ეროვნული
ბიბლიოთეკა

ანათემი

114/3
1996

3-4

1996

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ცნობები

ᲬᲔᲚᲘᲬᲐᲓᲘ 72-Ე № 3–4 1996 ᲬᲔᲚᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲬᲔᲠᲐᲚᲗᲐ ᲙᲐᲨᲨᲘᲠᲘᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲝ

Ш И Н А А Р Ь И

ᲑᲘᲑᲚᲘᲐ, ᲫᲕᲔᲚᲘ ᲐᲦᲗᲥᲛᲐ. გაგრძელება 3

ᲞᲠᲝᲖᲐ, ᲞᲝᲔᲖᲘᲐ

ᲑᲘᲑᲘ ᲡᲣᲚᲐᲙᲐᲣᲠᲘ — ლექსები 18
ᲯᲔᲛᲐᲚ ᲫᲘᲠᲘᲐ — ᲙᲘᲑᲔ ᲘᲐᲙᲝᲑᲘᲡᲘ. რომანი. გაგრძელება 24
ᲑᲘᲝᲠᲒᲘ ᲮᲣᲮᲐᲨᲕᲘᲚᲘ — ავტოკორტრეტი 49
ᲛᲐᲛᲣᲙᲐ ᲓᲝᲚᲘᲫᲔ — ᲐᲠᲐᲤᲠᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ 58
ᲕᲐᲡᲘᲚ ᲒᲕᲔᲢᲐᲫᲔ — ლექსები 75
ᲓᲐᲚᲘᲚᲐ ᲑᲔᲓᲘᲐᲜᲘᲫᲔ — ლექსები 79
ᲨᲐᲑᲣᲠᲐ ᲐᲠᲐᲑᲣᲚᲘ — ლექსები 82
ᲒᲕᲘᲐᲓ ᲠᲐᲢᲘᲐᲜᲘ — ლექსები 84
ᲞᲔᲠ ᲚᲐᲑᲔᲠᲙᲕᲘᲡᲢᲘ — ᲯᲐᲚᲐᲗᲘ 90
ᲚᲐᲓᲝ ᲡᲣᲚᲐᲑᲔᲠᲘᲫᲔ — ᲪᲮᲐᲓᲡᲘᲖᲛᲐᲠᲘᲐᲜᲐ. ნაწილი მეორე. გაგრძელება 121

ᲤᲐᲥᲢᲔᲑᲘ, ᲛᲝᲒᲝᲜᲔᲑᲔᲑᲘ

ᲛᲐᲠᲝ ᲛᲐᲧᲐᲨᲕᲘᲚᲘ — ᲓᲚᲘᲣᲠᲘ (პუბლიკაცია მარიამ (ნუგეშა) მაყაშვილისა) 133
ᲠᲔᲕᲐᲖ ᲙᲕᲔᲠᲔᲜᲩᲮᲘᲚᲐᲫᲔ — ᲙᲕᲚᲐᲕ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲔᲚᲔᲑᲡ ᲗᲠᲒᲣᲜᲐᲕᲔᲜ 174
ᲛᲐᲘᲐ ᲜᲘᲜᲘᲫᲔ — ᲘᲑᲐᲕᲣᲠᲘ ᲔᲜᲐ ᲓᲐ ᲡᲘᲢᲧᲕᲐᲙᲐᲖᲛᲣᲚᲘ ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲐ 180

ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲚᲝᲑᲐ „ᲡᲐᲛᲨᲝᲑᲚᲝ“ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ, Მ. ᲙᲝᲡᲢᲐᲕᲐᲡ 14.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მთავარი რედაქტორი **არჩილ სულაკაური**

სარედაქციო კოლეგია:

რეზო ამაშუკელი, მერაბ ბერძენიშვილი, გურამ გვერდწითელი, ალექსანდრე გომიაშვილი, გურამ დოჩანაშვილი, გენო კალანდია, მურმან ლებანიძე, ელგუჯა მაღრაძე, ლადო მრელაშვილი, გიორგი ნატროშვილი, რამაზ პატარიძე, ჯანსუღ ჩარკვიანი, ვაჟა ჩორდელი (პასუხისმგებელი მდივანი), **ნოდარ წულეისკირი, ოთარ ჭილაძე, ბესიკ სარანაული** (მთავარი რედაქტორის მოადგილე), **რევაზ ჯაფარიძე.**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბიბლია

ძველი აღთქმა

ეზეკიელ წინასწარმეტყველი

თავი ოცდამეერთე

25254

1. იყო უფლის სიტყვა ჩემს მომართ
ნათქვამი: 2. ადამის ძევ! თემანის გზი-
საკენ მიაქციე პირი და უქადაგე სამ-
ხრეთს, ნეგების ველის ტყეს უწინას-
წარმეტყველე. 3. უთხარი ნეგების
ტყეს: ისმინე უფლის სიტყვა, ასე ამ-
ბობს-თქო უფალი ღმერთი: აჰა, ცეცხ-
ლს წაგიკიდებ და შეგიჭამს ცეცხლი
ყველა ნედლ ხეს და ყველა ხმელ ხეს,
არ ჩაქრება აბრიალებული ალი და გა-
დაიბუგება ყოველი სახე სამხრეთიდან
ჩრდილოეთამდე. 4. დაინახავს ყოველი
ხორციელი, რომ მე, უფალმა დავანთე
ცეცხლი და არ ჩაქრება. 5. ვთქვი: ეჰა,
უფალო ღმერთო! ჩემზე ამბობენ, იგა-
ვების მთხზველი არ არისო? 6. იყო
უფლის სიტყვა ჩემს მომართ ნათქვამი:
7. ადამის ძევ! მიაქციე პირი იერუსა-
ლიმისაკენ და იქადაგე საწმიდარებზე,
უწინასწარმეტყველე ისრაელის მიწას.
8. უთხარი ისრაელის მიწას, ასე ამ-
ბობს-თქო უფალი ღმერთი: აჰა, მოვ-
დივარ შენზე, ამოვიწვდი მახვილს ქა-
რქაშიდან და მოვკვეთავ შენგან მარ-
თალს და ბოროტეულს. 9. რადგან უნ-
და მოვკვეთო შენგან მართალი და ბო-
როტეული, ამიტომაც ამოიწვდება ჩემი
მახვილი ქარქაშიდან ყოველი ხორცი-
ელის წინააღმდეგ სამხრეთიდან ჩრდი-
ლოეთამდე. 10. მიხვდება ყოველი ხო-
რციელი, რომ მე, უფალმა, ამოვიწვა-
დე ჩემი მახვილი ქარქაშიდან და აღარ
ჩაეგება. 11. შენ კი, ადამის ძევ! იკვ-
ნესე წელმოტეხილმა და გამწარებულ-
მა, იკვნესე მათ თვალწინ! 12. თუ გეტ-
ყვიან, რაზე კვნესიო, უთხარი, ავ ამბავ-
ზე, რომელიც მოდის-თქო, და დადნე-
ბა ყოველი გული, დაუძლურდება ყო-
ველი ხელი, შეღონდება ყოველი სული,
წყლად წავა ყოველი მუხლი. აჰა, მო-
ვიდა და ახდა, ამბობს უფალი ღმერთი.
13. იყო უფლის სიტყვა ჩემს მომართ
ნათქვამი: 14. ადამის ძევ! იწინასწარ-
მეტყველე და თქვი, ასე ამბობს-თქო
უფალი. თქვი: მახვილი, მახვილი გა-
ლესილია და გაფერილიც! 15. გალესი-
ლია დასაკლავის დასაკლავად, გაფერი-
ლია, რომ ელავდეს. ან თუ გვიხარო-
დეს, ჩვენი ძის კვერთხს რომ სძულს
ყოველი ხე? 16. მიცემულია გასაფე-
რად, რომ ხელმა ჩაბღუჯოს, გალესი-
ლია ეს მახვილი და გაფერილი, რომ
მკვლელს ჩაბარდეს ხელში. 17. იყვი-
რე და ივალალე, ადამის ძევ! რადგან ის
მოღერებულია ჩემს ხალხზე, ისრაე-
ლის ყველა მთავარზე. მახვილს არიან
მიცემულნი ჩემს ხალხთან ერთად. ამი-
ტომ ირტყი თეძოებზე. 18. რადგან გან-

საქართველოს
პარლამენტის
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

საცდელი გამოვლილია და რა იქნება, თუ მოძულე კვერთხიც აღარ იარსებებს, ამბობს უფალი ღმერთი. 19. შენ კი, ადამის ძევ, იწინასწარმეტყველე და ხელი ხელს შემოჰკარი, და სამგზის გაორკეცდება მახვილი. მუსვრის მახვილია ეს, დიდი მუსვრის მახვილი, მათი მდევარი. 20. რომ შედრკეს გულები და მათ ჭიშკრებთან დაცემულნი გამრავლდნენ, მივუშვებ სასტიკ მახვილს, ვაგლახ, გასაელვებლად შექმნილს, საკლავად წამახულს! 21. უკან შეტრიალდი, მარჯვნივ გადი, წინ წადი, მარცხნივ გადი! ყოველი მხრისაკენ არის მიმართული შენი პირისახე. 22. მეც შემოვკრავ ხელს ხელზე და რისხვას დავიცხრობ, მე, უფალი ვლაპარაკობ. 23. იყო უფლის სიტყვა ჩემს მომართ ნათქვამი: 24. შენ კი, ადამის ძევ! დაისახე ორი გზა ბაბილონის მეფის მახვილის მოსავლელად. ერთი ქვეყნიდან გამოვა ორივე. ქმენი ნიშანი, ქალაქის მთავარ გზაზე ქმენი. 25. დასახე გზა მახვილის მოსასვლელად რაბათში, ყამონიანთა ქალაქში, და იუდაში, გამაგრებულ იერუსალიმში, 26. რადგან შეჩერდა ბაბილონის მეფე გზაჯვარედინზე, ორი გზის თავში, სამკითხაოდ ისვრის ისრებს, ეკითხება თერაფიმებს, ღვიძლს ათვალიერებს. 27 მის ხელმარჯვნივ იერუსალიმზე გამოვიდა მისნობა, რომ განელაგებინათ ტარანები, ხოცვა-ულეტისათვის გაეხსნათ პირი, აეტეხათ საომარი ყიჟინა, ტარანები კარიბჭეებისაკენ მიეშვირათ, აღემართათ მიწაყრილები და აეგოთ გოდლები. 28. ეს ყალბ მისნობასავით იქნება მათ თვალში, ფიცით კი შეჰფიცეს, მაგრამ ეს ახსენებს მათ დანაშაულს, რომ შეპყრობილ იქნან. 29. ამიტომ ასე ამბობს უფალი ღმერთი: რაკი თავად იხსენებთ თქვენს დანაშაულს თქვენი შეცოდებების გამოაშკარავებით და თქვენი ცოდვების ჩვენებით ყველა თქვენს საქმეში, რაკი თავად იხსენებთ, ხელით იქნებით შეპყრობილნი. 30. შენ კი, ურჯულო, ბოროტეულო მთავარო ისრაელისა, რომელსაც დაუდგა ჟამი, როცა უნდა [illegible] ბოლო დანაშაულს, 31, ასე ამბობს უფალი ღმერთი: მოიშორე ჯიღა და მოიხადე გვირგვინი, ყოველთვის ასე არ იქნება: მდაბალი აღზევება, აღზევებული დამდაბლება. 32. დამხობას, დამხობას, დამხობას ვუწილხვედრებ და ესეც აღარ იქნება, სანამ ის არ მოვა, ვის ხელშიც არის სამართალი, რომ მას ჩავაბარო. 33. შენ კი, ადამის ძევ, იწინასწარმეტყველე და თქვი, ასე ამბობს-თქო უფალი ღმერთი ყამონიანებზე და მათ სირცხვილზე, თქვი: მახვილი, მახვილია გაშიშვლებული დასახოცავად, გაფერილია შესამუსრად, რომ ელვარებდეს. 34. ყალბი ხილვებით, ცრუ მისნობით მიგაგდებენ გვამებთან დახოცილ ბოროტეულთა, რომელთაც დაუდგათ ჟამი, როცა ბოლო უნდა მოეღოს დანაშაულს. 35. ჩააგე თავის ქარქაშში! შენი გაჩენის ადგილას, შენი შობის ქვეყანაში განგსჯი შენ. 36. გადმოვანთხევ შენზე ჩემს რისხვას, ჩემი ბრაზის ცეცხლით მოგასუნთქავ და ხელთ მიგცემ ხალხს, გამძვინვარებულს, განადგურებაში 'გაწაფულს. 37. ცეცხლს მიეცემი შესაჭმელად, შენი სისხლი ქვეყნის შუაგულში იდგება და არავინ გაგიხსენებს, რადგან მე, უფალმა, ვთქვი.

თავი ოცდამეორე

1. იყო უფლის სიტყვა ჩემს მომართ ნათქვამი: 2. ადამის ძევ! შენ განსჯი, განსჯი სისხლიან ქალაქს? გამოუცხადე ყოველი მისი სისაძაგლე 3. და თქვი, ასე ამბობს-თქო უფალი ღმერთი: ქალაქო, სისხლის მღვრელო შენს შუაგულში (მოვა მისი დროც!) და კერპთა მკეთებელო, საკუთარი თავის წასაბილწად! 4. შენი დაღვრილი სისხლით დადანაშაულდი და შენი გაკეთებული კერპებით გაუწმიდურდი. მოიახლოვე შენი ჟამი და მიეწურე შენს წელიწადებს. ამიტომაც ხალხების საგინებლად გაგხდი და ყოველი ქვეყნის სამასხარა-

[illegible]

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოდ. 5. მახლობელნი და შორებელნი გაგამასხარებენ სახელგატეხილს და მრავალღელვილს. 6. აჰა, ისრაელის ნათავარნი — თითოეული თავის ძალას იკრებდა, რომ სისხლი დაეღვარა შენს შორის! 7. მამას და დედას ამცირებენ თქვენში, ხიზანს უპატიოდ ექცევიან თქვენს შორის, ქვრივ-ობლებს ჩაგრავენ თქვენში. 8. ჩემი სიწმიდენი მოძულებული გაქვს და ჩემი შაბათები შელახული. 9. ცილისმწამებელნი არიან თქვენში, რომ სისხლი ღვარონ. ჭამენ მთებზე თქვენში და გარყვნილებას ეწევიან თქვენს შორის. 10. მამის სიშიშვლეს ააშკარავებენ თქვენში, მირეულ ქალთან ძალადობენ თქვენში, 11. ზოგი თავის მოყვასის ცოლთან სისაძაგლეს სჩადის და ზოგი თავის რძალს აუპატიურებს გარყვნილებით, ზოგიც თავის დასთან, თავისი მამის ასულთან, ძალადობს თქვენში. 12. ქრთამებს იღებენ თქვენში, რომ სისხლი ღვარონ, ვახშს და სარგებელს იღებ და ძალმომ, რეობით ყვლეფ შენს მოყვასს, მე კი დამივიწყე, ამბობს უფალი ღმერთი. 13. აჰა, ხელი ხელს შემოვკარი შენი სიხარბის გამო, რასაც სჩადიხარ, და ლებს იმ დღეებში, როცა აღვიძრე-თქვენს შორის. 14. თუ გაგიძლებს გული ან თუ შერჩება ძალა შენს ხელებს იმ დღეებში, როცა აღვიძვრები შენს წინააღმდეგ? მე, უფალმა, ვთქვი და გავაკეთებ. 15. გაგფანტავ ხალხთა შორის და გაგაბნევ ქვეყნებში, რომ უწმინდურობა წაგიშალო. 16. შეილახები ხალხების თვალში და მიხვდები, რომ უფალი ვარ. 17. იყო უფლის სიტყვა ჩემს მომართ ნათქვამი: 18. ადამის ძევ! წიდასავით გამიხდა, ისრაელის სახლი, ქურაში ყრიან ყველანი, როგორც სპილენძი, კალა, რკინა და ტყვია. ვერცხლის წიდა და ხენჯი არიან. 19. ამიტომ ასე ამბობს უფალი ღმერთი: რაკი წიდა და ხენჯი გახდით ყველანი, ამიტომაც, აჰა, შეგკრებთ ყველას იერუსალიმში. 20. როგორც აგროვებენ ვერცხლს, რკინას, ტყვიას და კალას ქურაში, რომ ცეცხლი მიუბერონ გადასადნობად, ასე შეგაგროვებთ ჩემი რისხვითა და წყრომით, ჩაგდებთ და გადაგადნობთ. 21. შეგყრით და მოგბერავთ ჩემი რისხვის ცეცხლს და გადნებით იერუსალიმში. 22. როგორც ვერცხლი დნება ქურაში, ასე გადადნებით იერუსალიმში და მიხვდებით, რომ მე, უფალმა, დაგანთხიეთ ჩემი რისხვა. 23. იყო უფლის სიტყვა ჩემს მომართ ნათქვამი: 24. ადამის ძევ! უთხარი მას: შენ მიწა ხარ, გაუწმედელი, უწვიმარი, რისხვის დღეს. 25. შეთქმულან იქ მისი წინასწარმეტყველნი, ლომებივით ბრდღვინავდნენ, ნადავლს გლეჯენ და ცოცხლად ჭამენ, საუნჯესა და განძეულს იტაცებენ, ქვრივებს ამრავლებენ იქ. 26. მისი მღვდლები აუკუღმართებენ ჩემს რჯულს და ბღალავენ ჩემს სიწმიდეებს. წმიდას ნალახისგან არ განარჩევენ, უწმიდურს გაწმედილისგან არ ასხვავებენ, უგულებელყვეს ჩემი შაბათები და მე შევილახე მათ გარემოში. 27. მათი მთავრები მგლებივით გლეჯენ ნადავლს, სისხლს ღვრიან, სიცოცხლეს უსწრაფებენ ანგარებისათვის. 28. მისი წინასწარმეტყველნი ეპირფერებიან მათ, ფუჭად მხილველნი და ცრუმისანნი, ეუბნებიან: ასე ამბობსო უფალი ღმერთი, უფალს კი არ უთქვამს. 29. მდაბიორნი ძალადობენ და მტაცებლობენ, ღარიბ-ღატაკს ჩაგრავენ, ხიზანს უსამართლოდ ავიწროებენ. 30. ვეძებდი კაცს ზღუდის მშენებელს, რომ დამდგარიყო ნანგრევთან ჩემს წინაშე და ეხსნა ქვეყანა დაღუპვისაგან, მაგრამ ვერ მოვნახე. 31. გადმოვანთხევ მათზე ჩემს სიბრაზეს და ჩემი რისხვის ცეცხლით მოვსპობ. მათ თავზე მივაქცევ მათსავე ნამოქმედარს, ამბობს უფალი ღმერთი.

თავი ოცდამესამე

1. იყო უფლის სიტყვა ჩემს მომართ ნათქვამი: 2. ადამის ძევ! იყვნენ ორნი დანი, ერთი დედის ასულები. 3. გაბოზდნენ ეგვიპტეში. სიყმაწვილიდანვე ბოზობდნენ. იქ დაისრესა მათი მკერდი

ეროვნული ბიბლიოთეკა

და იქ დაიჭყლიტა მათი ქალწულური ძუძუები. 4. მათი სახელები იყო — აჰოლა უფროსისა და აჰოლიბა მისი დისა. ჩემები იყვნენ და შვეს ვაჟები და ასულები. ეს არის მათი სახელები: აჰოლა სამარიაა და აჰოლიბა — იერუსალიმი. 5. გაბოზდა აჰოლა ჩემს ხელში და გადაეკიდა თავის საყვარლებს, აშურელ მეზობლებს, 6. ძოწეულით შემოსილთ,სარდლებს და მეფისნაცვლებს, ნანატრი ჭაბუკები იყვნენ ყველანი, ცხენოსნები, ცხენებზე ამხედრებულნი. 7. გადაყვა მათთან ბოზობას — ყველანი რჩეული აშურელები იყვნენ — და ყველაფრით, რასაც გადაეკიდა, ყველა მათი კერპით გაიუწმიდურა თავი 8. არ მიუტოვებია ბოზობა ეგვიპტესთან, რადგან მასთან წვებოდნენ მის სიყმაწვილეში. მათ დაუჭყლიტეს ქალწულური ძუძუები და გადმოღვარეს მასზე თავიანთი გარყვნილება. 9. ამიტომაც ჩავაგდე იგი თავისი საყვარლების ხელში, აშურელთა ხელში, რომელთაც აეკიდა. 10. მათ გამოუჩინეს სიშიშვლე, წაასხეს მისი ვაჟები და ასულები, თავად კი მახვილით მოკლეს. სახელი გაუვარდა ქალთა შორის, როცა სასჯელი დააკისრეს მას. 11. ხედავდა ამას მისი და აჰოლიბა, მაგრამ მასზე უფრო გაირყვნა თავი და თავისი დის ბოზობას გადააჭარბა. 12. აშურელებს გადაეკიდა, სარდლებს და მეფის ნაცვალებს, მეზობლებს, დიდებულად შემოსილთ, ცხენოსნებს, ცხენებზე ამხედრებულთ — ნანატრი ჭაბუკები იყვნენ ყველანი. 13. დავინახე, რომ გაუწმიდურდა, რომ ორთავეს ერთი გზა ჰქონდათ. 14. უმატა თავის ბოზობას: დაინახა კედელზე დახატული კაცები, ქალდეველთა გამოსახულებანი, ფერებით დახატული, 15. წელზე ქამარშემორტყმულნი, თავზე მოფრიალე ჩალმებით, სარდალთა შესახედაობისანი, ბაბილონის ძეთა მსგავსნი, ქალდეველთა ქვეყნისა, მათი სამშობლოსი. 16. და ვნებით აინთო მათ მიმართ ერთი თვალის მოკვრით და მოციქულები გაუგზავნა ქალდეაში. 17. მოვიდნენ მასთან ბაბილონელები სასიყვარულო სარეცელისაკენ და გააუწმიდურეს ის თავიანთი გარყვნილებით. და გაირყვნა მათგან და გული აიყარა მათზე. 18. როცა ახდილად დაიწყო ბოზობა და აიხადა თავისი სიშიშვლე, მეც ავიყარე მასზე გული, როგორც მის დაზე მქონდა გული აყრილი. 19. გაახშირა თავისი ბოზობა თავისი სიყმაწვილის გახსენებისას, როცა ეგვიპტის ქვეყანაში ბოზობდა. 20. მათ ხარჭებზე უფრო ავხორცი გახდა, რომელთა სხეული ვირების სხეულია და ცხენებივით არიან ატროკებულნი. 21. ასე გაიხსენე შენი სიყმაწვილისდროინდელი უზნეობა, როცა ეგვიტელნი ძუძუებს გიჭყლეტდნენ, რადგან ნორჩი მკერდი გქონდა. 22. ამიტომაც, აჰოლიბა, ასე ამბობს უფალი ღმერთი, აჰა. აღვძრავ შენზე შენს საყვარლებს, რომლებზეც გული გაქვს აყრილი, და მოგისევ მათ ყოველი მხრიდან — 23. ბაბილონელებს, ყველა ქალდეველს, ფეკოდს და შოაყს და კოაყს, ყველა აშურელს მათთან ერთად, ნანატრ ჭაბუკებს, ყველა სარდალს და მეფისნაცვალს, მხედართმთავრებს და წოდებულ ხალხს, ყველა ცხენოსანს. 24ა შემოგვსევიან შუბები, ეტლები, ბორბლები, უამრავი ხალხით, გარს შემოგადგებიან თოროსანნი ფარ-მუზარადით. სამსჯავროდ მიგცემ მათ წინაშე და თავიანთი სიმართლით განგსჯიან. 25. მოვაქცევ თქვენზე ჩემს გულისწყრომას და სასტიკად მოგექცევიან ისინი: ცხვირსა და ყურებს მოგაჭრიან, დანარჩენები კი მახვილით დაეცემიან, წაასხამენ შენს ვაჟებს და ასულებს, დანარჩენებს კი ცეცხლი შეჭამს. 26. შემოგძარცვავენ სამოსელს და სამკაულებს აგართმევენ. 27. ბოლოს მოვუღებ შენს გარყვნილებას და ეგვიპტის ქვეყნიდან მოყოლილ ბოზობას, აღარ გაიხედავ მათკენ და ეგვიპტელებს აღარ გაიხსენებ. 82. რადგან ასე ამბობს უფალი ღმერთი: აჰა, მიგცემ მათ ხელში, ვინც შეიძულე, მათ ხელში, ვისზეც გული აიყარე. 29. სიძულვილით მოგექცევიან და წაგართმევენ მთელს შენს მონაგარს, შიშველ-ტი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტველს დაგტოვებენ და გამოჩნდება შენი უხამსობის სირცხვილი, შენი გარყვნილება და შენი ბოზობა. 30. ეს დაგემართება შენი ბოზობის გამო ხალხების წამხედურობით, თავს რომ იუწმიდურებდი მათი კერპებით. 31. შენი დის გზით დადიოდი და მის თასს მოგცემ ხელში. 32. ასე ამბობს უფალი ღმერთი: შესვამ შენი დის თასს, ღრმასა და ფართეს, და სასაცილო და სამასხრო გახდები — ბევრს იტევს იგი. 33. სიმთვრალით და ნაღველით აივსები. სასოწარკვეთის და განადგურების თასია შენი დის, სამარიის თასი. 34. შესვამ მას და დასცლი, კიდეებს მოულოკავ და მკერდს დაიგლეჯ, რადგან მე ვთქვი, ამბობს უფალი ღმერთი. 35. ამიტომ ასე ამბობს უფალი ღმერთი: რაკი დამივიწყე და ზურგს უკან მომისროლე, იტვირთე კიდეც შენი გარყვნილობის და ბოზობის სასჯელი. 36. მითხრა უფალმა: ადამის ძევ! მსჯავრს დასდებ აჰოლას და აჰოლიბას? ჯერ გამოუცხადე მათი სისაძაგლენი, 37. რადგან მრუშობდნენ და სისხლი ჰქონდათ ხელებზე. თავიანთ კერპებთან მრუშობდნენ და შვილებსაც, მე რომ მიშვეს, ცეცხლში ატარებდნენ შესაჭმელად. 38. კიდევ ეს გამიკეთეს: გააუწმიდურეს ჩემი საწმიდარი იმ დღეს და ჩემი შაბათები შელახეს. 39. დაუკლეს თავიანთი შვილები მათ კერპებს და იმ დღესვე მოვიდნენ ჩემს საწმიდარში მის შესალახავად. აჰა, როგორ მოიქცნენ ჩემს სახლში. 40. შორიდან მომსვლელ ხალხსაც კი იბარებდნენ, როცა მოციქული იგზავნებოდა მათთან, აჰა, მოდიოდნენ ისინი, ვისთვისაც იბანებოდი, თვალებს იღებავდი და საკაულებით იმკობდი, 41. დიდებულ საწოლზე ჯდებოდი, რომლის წინ სუფრა იყო გაშლილი და ზედ საკმეველს და ზეთს აწყობდი. 42. უდარდელი ბრბოს ხმა გაისმოდა იქ და ამ უამრავ ხალხთან მოჰყავდათ უდაბნოდან საზეგლები, რომლებიც სამაჯურებს უკეთებდნენ ხელებზე მათ და თავზე ლამაზ გვირგვინებს ახურავდნენ. 43. ვთქვი ბოზობაში დაბერებულზე: ახლაც ბოზობენ მასთან? და ეს იც? 44. და მივიდნენ მასთან, როგორც მეძავ ქალთან მიდიან, ასე მივიდნენ აჰოლისთან და აჰოლიბასთან, გარყვნილ ქალებთან. 45. მაგრამ მართალი ხალხი განსჯის მათ გარყვნილთა მსჯავრით და სისხლისმღვრელთა მსჯავრით, რადგან გარყვნილნი არიან და სისხლია მათ ხელებზე. 46. რადგან ასე ამბობს უფალი ღმერთი: ბრბო მიუსიე მათ და მიეცი დასაფრთხობად და გასაძარცვად. 47. ქვით ჩაქოლოს ისინი ბრბომ და აკუწოს თავისი მახვილებით ამოხოცოს მათი ვაჟები და ასულები და მათი სახლები ცეცხლში გადაბუგოს. 48. ბოლოს მოვუღებ გარყვნილებას ამ ქვეყანაზე, გაფრთხილდება ყოველი ქალი და აღარ წაგბაძავენ გარყვნილებაში. 49. თქვენზე მოაქცევენ თქვენს გარყვნილებას და იტვირთავთ სასჯელს თქვენი კერპების გამო. მაშინ მიხვდებით, რომ მე ვარ უფალი ღმერთი.

თავი ოცდამეოთხე

1. იყო უფლის სიტყვა ჩემს მომართ მეათე წელს, მეათე თვის ათში ნათქვამი: 2. ადამის ძევ! ჩაიწერე დღის სახელი, ამ დღისა; ბაბილონის მეფე სწორედ ამ დღეს მოადგა იერუსალიმს. 3. გამოუთქვი ურჩ სახლს იგავი და უთხარი მათ: ასე ამბობს-თქო უფალი ღმერთი: შემოდგი ქვაბი, შემოდგი და წყალიც ჩაასხი შიგ. 4. ჩაყარე შიგ ნაჭრები, საუკეთესო ნაჭრები — ბარკალი და ბეჭი, ნარჩევი ძვლებით აავსე. 5. გამოარჩიე საუკეთესო ცხვარი, დაყარე შეშა ქვაბის ქვეშ და ადუღე ,რომ ძვლებიც კი მოიხარშოს. 6. ამიტომ ასე ამბობს უფალი ღმერთი: ვაი სისხლიან ქალაქს, ქვაბს, რომლის ქაფი მასშივეა და ქაფი არ გამოდის მისგან! ნაჭრები ნაჭრებზე გადმოყარე, რჩევას ნუ დაუწყებ. 7. რადგან მასშივეა მისი სისხლი. სალ კლდეზე ჰქონდა დასხმული, მიწაზე არ დაუღვრია, რომ მტვერით დაეფარა. 8. რომ განვრისხებულიყავი, რომ შური მეძია, სალ კლდეზე დავასხი სისხლი, არ დამიფარავს. 9.

ამიტომ ასე ამბობს უფალი ღმერთი: ვაი სისხლიან ქალაქს! მეც დავანთებ დიდ ხანძარს. 10. შეშას მოუმატე, ცეცხლი წაუკიდე, ბოლომდე მოხარშე ხორცი, შეკაზმე საკმაზით და ძვალიც ჩაიხარშოს. 11. მერე ცარიელი დადგი ნაკვერცხლებზე, რომ გახურდეს და გავარვარდეს სპილენძი, რომ გადნეს მასში მისი უწმიდურობა და გაქრეს მისი ქაფი. 12. ძნელია მოცილება, არ გამოდის მისგან, ბევრი ქაფი, ცეცხლშიც მისი ქაფია. 13. გარყვნილებაა შენს უწმიდურებაში, რადგან გწმენდდი, მაგრამ არა ხარ გაწმედილი. შენი უწმიდურობისაგან აღარ განიწმიდები, ვიდრე არ დავიცხრობ შენზე რისხვას. 14. მე, უფალმა ვთქვი: მოდის და აღვასრულებ. არ ვაპატიებ, არ დავინდობ, არ შევიბრალებ, შენი საქციელისამებრ და შენი ნამოქმედარისამებრ განგსჯიან, ამბობს უფალი ღმერთი. 15. იყო უფლის სიტყვა ჩემს მომართ ნათქვამი: 16. ადამის ძევ! აჰა, წაგართმევ შენს თვალთა ნეტარებას მოულოდნელი სიკვდილით. ნურც იგლოვ, ნურც იტირებ, ცრემლები ნუ დაგედინება. 17. იკვნესე ჩუმად, მიცვალებულზე გლოვას ნუ გამართავ. ოღონდ თავი წაიკარი, ფეხზე ხამლები ჩაიცვი, წვერებს ნუ დაიფარავ და კაცების პურს ნუ შეჭამ. 18. დილით ხალხს ველაპარაკებოდი და საღამოხანს მოკვდა ჩემი ცოლი. მეორე დილით ისე მოვიქეცი, როგორც მებრძანა. 19. მითხრა მე ხალხმა: არ გგეტყვი, რას ნიშნავს ეს ჩვენთვის, შენ რომ აკეთებო? 20. ვუთხარი ხალხს: იყო უფლის სიტყვა ჩემს მომართ ნათქვამი: 21. უთხარი ისრაელის სახლს, ასე ამბობს-თქო უფალი ღმერთი: აჰა, შევლახავ ჩემს საწმიდარს — თქვენი ძლიერების სიამაყეს, თქვენს თვალთა ნეტარებას და თქვენი სულის სანუკვარს, თქვენი ვაჟები და ასულები კი, რომლებიც მიატოვეთ, მახვილით დაეცემიან, 22. თქვენც ისე მოიქეცით, როგორც მე ვიქცევი: წვერ-ულვაშს არ დაიფარავთ და კაცების პურს არ შეჭამთ. 23. თავი წაკრული გექნებათ და ხამლები შემოსილი. არ იგლოვებთ და არ იტირებთ. დადნებით თქვენს დანაშაულებში და აკვნესდებით ერთმანეთში. 24. იქნება ეზეკიელი თქვენთვის ნიშნად: როგორც მან გააკეთა, ყველაფერს ისე გააკეთებთ. ეს ახდება და მაშინ მიხვდებით, რომ მე ვარ უფალი ღმერთი. 25. შენ კი, ადამის ძევ! იმ დღეს, როცა წავიღებ მათგან მათ ძლიერებას, მათი მშვენების სიხარულს, მათ თვალთა ნეტარებას, მათი სულის სანუკვარს, მათ ვაჟებს და მათ ასულებს, 26. იმ დღეს მოვა შენთან გადარჩენილი, რომ ყურში გასმინოს. 27. იმ დღეს გაიღება შენი ბაგე გადარჩენილის მიმართ და ალაპარაკდები. აღარ იდუმებ და ნიშანი იქნები მათთვის და მიხვდებიან, რომ მე უფალი ვარ.

თავი ოცდამეხუთე

1. იყო უცლის სიტყვა ჩემს მომართ ნათქვამი: 2. ადამის ძევ! ყამონიანებისკენ მიაქციე პირი და უწინასწარმეტყველე, 3. უთხარი ყამონიანელთ, ისმინეთ — თქო უფლის სიტყვა, ასე ამბობს-თქო უფალი ღმერთი: რაკი ვაგლახს ამბობს ჩემს საწმიდარზე, რადგან შელახულია, და ისრაელის მიწაზე, რადგან გაუკაცრიელებულია, და იუდას სახლზე, რადგან ტყვეობაში წავიდა, 4. ამიტომ, აჰა, აღმოსავლელებს მიგცემ სამკვიდროდ, დასცემენ ბანაკებს თქვენს შორის და მოაწყობენ საცხოვრებლებს თქვენს შორის. ისინი შეჭამენ თქვენს ნაყოფებს და ისინი შესვამენ თქვენს რძეს. 5. გადავაქცევ რაბათს აქლემების სადგომად და ყამონიანთა ქვეყანას — ცხვრის ფარეხად, და მიხვდებით, რომ უფალი ვარ. 6. რადგან ასე ამბობს უფალი ღმერთი: რაკი ტაშს სცემდი და ფეხს აბაკუნებდი, რაკი მთელი მძულვარებით, გულის სიღრმეში, ხარობდი ისრაელის მიწის გამო, 7. ამიტომ, აჰა, ხელს მოგიღერებ და საძარცვავად მიგცემ ხალხებს, ამოგძირკვავ ხალხებიდან და გადაგაშენებ ქვეყნებიდან, გაგანადგურებ და მიხვდები, რომ უფალი ვარ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

8. ასე ამბობს უფალი ღმერთი: რაკი
მოაბი და სეყირი ამბობენ: აჰა, ყველა
ხალხივით არისო იუდას სახლი, 9. ამი-
ტომ, აჰა, მოვარღვევ მოაბის მხარს ქა-
ლაქთაგან, მისი სასაზღვრო ქალაქთა-
გან ქვეყნის მშვენებას, ბეთ-იეშიმოთს,
ბაყალ-მაყონს და კირიათაიმს, 10. აღ-
მოსავლელთა შესასვლელად ყამონიანთა
წინააღმდეგ და მივცემ მათ ქვეყანას
სამკვიდროდ, რომ აღარ იხსენებოდნენ
ყამონიანელნი ხალხებს შორის. 11.
მსჯავრს დავდებ მოაბს და მიხვდებიან,
რომ უფალი ვარ. 12. ასე ამბობს უფა-
ლი ღმერთი: რაკი ედომი შურისგებით
ექცეოდა იუდას სახლს და მძიმედ დაა-
შავა, შური რომ იძია, 13. ამიტომ ასე
ამბობს უფალი ღმერთი: ხელს მოვუღერ
ებ ედომს და გავუწყვეტ კაცსა და პი-
რუტყვს, და უდაბნოდ ვაქცევ. თემანი-
დან დედანამდე მახვილით დაეცემიან.
14. აღვასრულებ შურისგებას ედომზე
ჩემი ერის, ისრაელის ხელით და მოექ-
ცევიან ედომს ჩემი რისხვისა და გუ-
ლისწყრომისაებრ. მაშინ მიხვდებიან
ჩემს შურისგებას, ამბობს უფალი ღმე-
რთი: 15. ასე ამბობს უფალი ღმერთი:
რაკი შურისგებით იქცეოდნენ ფი-
ლისტიმელები და შურს იძიებდნენ სი-
ძულვილით და მთელი სულით მათ და-
საღუპავად საუკუნო მტრობით, 16. ამი-
ტომ ასე ამბობს უფალი ღმერთი: აჰა,
ხელს მოვუღერებ ფილისტიმელებს,
ამოვძირკვავ კრეტელებს და მოვსპობ
მათ ნატამალს ზღვის ნაპირზე 17. აღ-
ვასრულებ მათზე დიდ შურისგებებს რი-
სხვის სასჯელით და მიხვდებიან, რომ
მე, უფალმა დავატეხე მათ ჩემი შურის-
გება.

თავი ოცდამეექვსე

1. მეთერთმეტე წელს, თვის პირველ-
ში, იყო უფლის სიტყვა ჩემს მომართ
ნათქვამი: 2. ადამის ძევ! რაკი ტვირო-
სი ვაგლახს ამბობს იერუსალიმზე, შე-
იმუსრება იგი — ხალხების კარიბჭე. ჩე-
მსკენ მოიქცევიან და ავივსები, ის კი
გაუკაცურდება. 3. ამიტომ ასე ამბობს
უფალი ღმერთი: აჰა, ტვიროსო, შენს
წინააღმდეგ ვარ: აღვმართავ შენზე უა-
მრავ ხალხებს, როგორც ზღვა აღმარ-
თავს თავის ზვირთებს 4. ჩამოაქცევენ
ტვიროსის კედლებს და დაანგრევენ მის
გოდლებს. მიწას ჩამოვრეცხავ მისგან
და პიტალო კლდედ გადავაქცევ. 5. სათ-
ხევლის მოსასროლად იქნება შუაგულ
ზღვაში, რადგან მე ვთქვი, ამბობს უფა-
ლი ღმერთი, ხალხთა სათარეშოდ შეი-
ქნება. 6. მისი ასულნი, ხმელეთზე რომ
არიან, მახვილით ამოიხოცებიან. მაშინ
მიხვდებიან, რომ უფალი ვარ. 7. რად-
გან ასე ამბობს უფალი ღმერთი: აჰა,
ნაბუქოდონოსორს, ბაბილონის მეფეს
მივაყენებ ტვიროსს, ჩრდილოეთიდან,
მეფეთ მეფეს, ცხენებით, ეტლებით, მხე-
დრებით, ბრბოთი და უამრავი ხალხით.
8. მახვილით ამოხოცავს შენს ასულებს
ხმელეთზე, კოშკებს აღმართავს შენს
წინააღმდეგ. 9. ტარანებით დაუ-
წყებს ცემას შენს კედლებს და თავისი
ცულებით შემუსრავს შენს გოდლებს.
10. მის ცხენთა სიმრავლე მტვრით დაგ-
ფარავს, მხედრების, ბორბლების და ეტ-
ლების ხმაზე შეირყევა შენი კედლები,
როცა შემოვა შენს კარიბჭეებში, როგ-
ორც ზღუდეგანგრეულ ქალაქში შედი-
ან. 11. თავისი ცხენების ქუსლებით გა-
თელავს შენს ქუჩებს, შენს ხალხს მახ-
ვილით ამოხოცავს და შენი დიდების
სვეტები მიწად დაემხობა. 12. მოიალა-
ფებენ შენს დოვლათს და დაიტაცებენ
შენს ნავაჭრს, დააქცევენ შენს კედლებს
და შენს სანუკვარ სახლებს დაანგრევენ.
ქვებს, ხეებსა და მიწას წყალში გადაყ-
რიან. 13. დავადუმებ შენს ხმამაღალ სი-
მღერებს და შენი ჩანგის ხმა აღარ გა-
ისმება. 14. ტიალ კლდედ გადაგაქცევ,
სათხევლის მოსასროლად შეიქნები და
აღარასოდეს აშენდები, რადგან მე, უფა-
ლმა, ვთქვი, ამბობს უფალი ღმერთი. 15.
ასე ეუბნება უფალი ღმერთი ტვიროსს:
ხომ შეირყევა ზღვისპირეთი შენი და-
ცემის ხმისაგან, დაჭრილთა კვნესით,
როცა ხოცვა-ჟლეტა მოხდება შენს წია-
ღში! 16. ჩამოვლენ ოვიანთი ტახტები-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დან ზღვის ხელმწიფენი, გადაიძრობენ მოსასხამებს და ნაქარგ შესამოსელს გაიხდიან, შიშით შეიმოსებიან და მიწაზე დასხდებიან. ყოველწამს შენი შიში და ძრწოლა ექნებათ. 17. გლოვას გამართავენ შენზე და გეტყვიან: როგორ დაიღუპე, ზღვაოსნობით დასახლებულო, განთქმულო ქალაქო, ზღვაზე რომ მძლავრობდი! დაიღუპა ისიც და მისი მკვიდრნიც, შიშის ზარს რომ სცემდნენ ყველას. 18. ახლა შეშინდებიან კუნძულები შენი დაცემის დღეს და შეძრწუნდებიან ზღვისპირელნი შენი გამოსვლისას. 19. რადგან ასე ამბობს უფალი ღმერთი: როცა უკაცრიელ ქალაქად გაქცევ იმ ქალაქებივით, სადაც არასოდეს უცხოვრიათ, როცა დაგაღირებ უფსკრულს და დაგფარავენ დიდი წყლები, 20. ჩაგიყვან საფლავად ჩამავლებთან ერთად წინანდელი ხალხის წინაშე, და დაგსვამ მიწის ქვეშეთში, მარადიულ უდაბნოში, საფლავად ჩასულებთან ერთად, რომ აღარ დაბრუნდე, ცოცხალთა ქვეყნად კი დიდებას დავამყარებ. 21. არარაობად გაქცევ და აღარ იარსებებ. დამიწყებ ძებნას და საუკუნოდ ვეღარ მომნახავ, ამბობს უფალი ღმერთი.

თავი ოცდამეშვიდე

1. იყო უფლის სიტყვა ჩემს მომართ ნათქვამი: 2. შენ კი, ადამის ძევ, გამართე ტვიროსზე გლოვა 3. და უთხარი ტვიროსს, ზღვის შესასვლელთან დასახლებულს, ხალხებით მოვაჭრეს ზღვისპირელებთან, ასე ამბობს-თქო უფალი ღმერთი: ტვიროსო, შენ ამბობ, სრულყოფილი მშვენების ვარო. 4. ზღვის გულშია შენი საზღვრები, მშენებლებმა სრულყვეს შენი მშვენება. 5. კვიპაროსის ხისგან დაგიმზადეს ფიცრები, ლიბანიდან კედარი მოგიტანეს, რომ ანძა გაეკეთებინათ შენთვის. 6. ბაშანის მუხის ნიჩბები გაგიკეთე, მერხები სპილოს ძვლისგან და ქითელთა კუნძულების ბზისგან გაგიკეთეს. 7. ეგვიპტური მოქარგული ზეზის იყო შენი აფრები, რომ დროშად გქონდა. შენი ტალახსაფარავი ელიშას კუნძულთა ლურჯი და მეწამული ქსოვილისაგან იყო, 8. ნიჩბოსნებად ციდონის და არვადის მკვიდრნი გყავდა. ბრძენი ხალხი იყო შენში, ტვიროსო, მესაჭეებად გყავდა ისინი. 9. გებალის უხუცესები და მისი ბრძენი ხალხი იყვნენ შენში გარღვეულის შესაკეთებლად. ყოველნაირი ხომალდი მეზღვაურებითურთ იყო შენში საქონლის გაცვლა-გამოცვლისთვის. 10. სპარსი, ლუდი და ფუტი იყვნენ შენს ლაშქარში — ომის კაცები, ფარსა და მუზარადს შენთან ჰკიდებდნენ, ისინი გიქმნიდნენ დიდებას. 11. არვადელები და შენი ლაშქარი იცავდნენ შენს კედლებს ირგვლივ, მორკინალნი შენს ციხე-კოშკებში ისხდნენ, თავიანთ დელამფარებს შენ გალავანზე ჰკიდებდნენ ირგვლივ, ისინი სრულყოფდნენ შენს მშვენებას. 12. თარშიში ვაჭრობდა შენთან, რადგან დოვლათით იყავი სავსე, ვერცხლს, რკინას, კალას და ტყვიას გაძლევდნენ სანაცვლოდ. 13. იავანი, თუბალი და მეშექი იყვნენ შენი გამსაღებლები, ტყვეებს და სპილენძის ჭურჭელს გიხდიდნენ საქონელში. 14. თოგორმას სახლიდან ცხენებს, საბრძოლო რაშებს და ჯორებს გიგზავნიდნენ სანაცვლოდ. 15. დადანელები შენი გამსაღებლები იყვნენ, ბევრი კუნძული გიცვლიდა საქონელს, სპილოს ეშვებს და ებანოზის ხეს გიბრუნებდნენ საფასურად. 16. არამი ვაჭრობდა შენთან, რადგან ბევრი ნახელავი გქონდა. იაგუნდს, ძოწეულს, ნაქარგებს, ბისონს, მარგალიტს და ბადახშს გაძლევდნენ სანაცვლოდ. 17. იუდა და ისრაელის ქვეყანა შენი გამსაღებლები იყვნენ: მინითის ხორბალს, ნამცხვარს, თაფლსა და ზეთს, და ბალზამს გაძლევდნენ შენს საქონელში. 18. დამასკო ვაჭრობდა შენთან, რადგან ბევრი ნახელავი და ბევრი დოვლათი გქონდა, ხელბონური ღვინო და ქათქათა მატყლი. 19. დანი, იავანი უზალიდან სანაცვლოდ რკინის ნახელავს, შტახსსა და ლერწამს გაძლევდნენ შენს საქონელში. 20. დედანი ვაჭრობდა შენთან ცხენის ასა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლით და მორთულობით. 21. არაბები და კედარის ყველა მთავარი შენთან ვაჭრობდნენ, სანაცვლოდ ბატკნებს, ცხვრებსა და თხებს გიგზავნიდნენ. 22. შებას და რაყმას მოვაჭრენი შენთან ვაჭრობდნენ, რჩეულ ნელსაცხებელს, ყოველნაირ ძვირფას ქვას და ოქროულობას გიგზავნიდნენ სანაცვლოდ. 23. ხარანი, ქანე და ყედენი, შაბას მოვაჭრენი, აშური და ქილმადი, შენთან ვაჭრობდნენ: 24. ძვირფას შესამოსელს, ლურჯ ნაქარგ მოსასხამებს, სკივრებში ჩაწყობილ ქემახს, თოკებით შეკრულს და შეფუთულს, შენი საქონლის სანაცვლოდ გიგზავნიდნენ. 25. თარშიშის ხომალდებს მიმოჰქონდა შენი საქონელი და აივსე და დიდად განითქვი ზღვათა შორის. 26. ნიჩბოსნები დაგატარებდნენ დიდ ზღვებზე, მაგრამ აღმოსავლეთის ქარი დაგლეწავს შუაგულ ზღვაში. 27. შენი დოვლათი, შენი საქონელი, შენი სავაჭრებელი, შენი ზღვაოსნები და მესაჭეები, გარღვეულის შემკეთებლები და შენი საქონლის გამსაღებლები, ყველა შენი მეომარი, ვინც კი არის შენში, და მთელი კრებული, შენს შორის მყოფი, ჩაინთქმებიან შუაგულ ზღვაში შენი დაცემის დღეს. 28. შენს მესაჭეთა ღრიალზე შეზანზარდება შემოგარენი. 29. გადმოვლენ შენი ხომალდებიდან ყველა ნიჩბოსანი, მეზღვაურები, ზღვის მესაჭეები და ხმელეთზე დადგებიან. 30. შორს გაისმება მათი ყვირილის ხმა შენს გამო და მწარედ აკივლდებიან. თავზე მტვერს დაიყრიან და ნაცარში გორვას დაიწყებენ. 31. თავს გადაიპარსავენ შენს გამო, ჯვალოს შემოიბლარდნიან და სულგამწარებულნი მწარე მოთქმით დაგიტირებენ. 32. გოდებას გამართავენ შენზე დამწუხრებულნი და გიგლოვებენ: ვინ არის, ტვიროსივით რომ დადუმებულიყოს შუაგულ ზღვაში? 33. როცა გამოდიოდა ზღვიდან შენი საქონელი, მრავალრიცხოვან ხალხს აძღობდი, შენი უხვი დოვლათით და სავაჭრებელით ქვეყნის მეფეებს ამდიდრებდი. 34. როცა ჩაილეწე ზღვაში, წყლის უფსკრულში, შენი საქონელი და მთელი კრებული შთაინთქა შენთან ერთად. 35. ყველა ზღვისპირელი შეძრწუნდა შენს გამო და მათი, მეფეები შიშმა მოიცვა და სახე მოექცათ. 36. ხალხებში მოარული ვაჭრები დაუსტვენენ შენს გამო, არარაობად იქცევი და აღარ იქნები უკუნისამდე.

თავი ოცდამერვე

1. იყო უფლის სიტყვა ჩემს მომართ ნათქვამი: 2. ადამის ძევ! უთხარი ტვიროსის მთავარს, ასე ამბობს-თქო უფალი ღმერთი: რადგან გადიდგულდი და ამბობ, ღმერთი ვარ, ღმერთის დასაჯდომელზე ვზივარო ზღვის გულში, თუმცა ადამიანი ხარ და არა ღმერთი, ღმერთის გულს კი უტოლებ შენს გულს, 3. აჰა, დანიელზე ბრძენი ხარ და არცერთი საიდუმლო არ არის შენთვის მიუწვდომელი. 4. შენი სიბრძნითა და გონებით მოგიხვეჭავს დოვლათი, ოქროთი და ვერცხლით აგივსია საგანძურები, 5. ბრძნული ვაჭრობით გაგიმრავლებია დოვლათი და გადიდგულებულხარ შენი დოვლათით, 6. ამიტომ, ასე ამბობს უფალი ღმერთი: რაკი შენს გულს ღმერთის გულს უტოლებ, 7. ამიტომ, აჰა, მოგისევ უცხოელებს, უსასტიკესთ ხალხთა შორის, და იშიშვლებენ მახვილს შენი სიბრძნის მშვენების წინააღმდეგ და შელახავენ შენს ბრწყინვალებას. 8. საფლავად ჩაგიყვანენ და ზღვათა გულში დაღუპულთა მსგავსად მოკვდები. 9. თუ იტყვი, ღმერთი ვარო, შენი მკვლელის წინაშე, როცა ადამიანი ხარ შენს დამღუპველთა ხელში და არა ღმერთი, 10. წინდაუცვეთელის სიკვდილით მოკვდები უცხოთა ხელით, რადგან მე ვთქვი, ამბობს უფალი ღმერთი. 11. იყო უფლის სიტყვა ჩემს მომართ ნათქვამი: 12. ადამის ძევ! გამართე გლოვა ტვიროსის მეფეზე და უთხარი: ასე ამბობს-თქო უფალი ღმერთი: სრულყოფილების ბეჭედი ხარ, სიბრძნით სავსე და მშვენებით სრული. 13. ედემში, ბაღში იყავი, ყოველნაირი ძვირფასი ქვა იყო შე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნი საფარველი, სარდიონით, თეთრი იაგუნდით, ალმასით, ქარვით, ონიქსით, იასპით, საფირონით, ანთრაკით, ზურმუხტით და ოქროთი იყო მოოჭვილი შენი დაფდაფები და სტვირები — შენი შექმნის დღეს იყო გამზადებული. 14. მფარველი ქერუბიმივით ცხებული იყავი და ღვთის წმიდა მთაზე დაგსვი. იქ იყავი და ცეცხლის ქვათა შორის მიმოდიოდი. 15. სრული იყავი შენს გზებზე შექმნის დღიდან, ვიდრე უკეთურება არ გამოგაჩნდა. 16. უზომო ნავაჭრმა აგავსო ძალადობით და სცოდე. ამიტომაც მოგკვეთე ღვთიური მთიდან და გაგანადგურე, მფარველო ქერუბიმო, ცეცხლის ქვებს შორის. 17. გადიდგულდი შენი მშვენების გამო და წარყვენი შენი სიბრძნე სიამპარტავნით. ამიტომაც დაგამხე მიწაზე მეფეთა წინაშე და მათი საყურებელი გაგხადე. 18. ბევრი დანაშაულით და უსამართლო მოხვეჭით შელახე შენი საწმიდარები, ამიტომაც გამოვიყვან შენგან ცეცხლს და შეგჭამს ის და ნაცრად გაქცევ მიწაზე ყოველი მხილველის თვალწინ. 19. ყოველი შენი მცნობელი ხალხებში შეძრწუნდება შენს გამო, არარაობად იქცევი და აღარ იქნები უკუნისამდე. 20. იყო უფლის სიტყვა ჩემს მომართ ნათქვამი: 21. ადამის ძევ! ციდონისაკენ მიმართე პირი და უწინასწარმეტყველე, 22. უთხარი, ასე ამბობს-თქო უფალი ღმერთი: აჰა, შენს წინააღმდეგ ვარ, ციდონო! გამოვაჩენ ჩემს დიდებას შენს წიაღში და მიხვდებიან, რომ უფალი ვარ, როცა მსჯავრს დავდებ მას და გამოვაჩენ ჩემს სიწმიდეს მის წიაღში. 23. მოვავლენ მასში შავ ჭირს და სისხლს მის ქუჩებში. დაეცემიან მასში დახოცილნი ყოველის მხრიდან მომართული მახვილით და მიხვდებიან, რომ უფალი ვარ. 24. აღარ ეყოლება ის ისრაელის სახლს მჩხვლეტავ ეკლად და შემაწუხებელ ხიწვად მათ შორის, ვინც გარს ახვევია და მისი მოძულენი არიან, და მიხვდებიან, რომ მე უფალი ღმერთი ვარ. 25. ასე ამბობს უფალი ღმერთი: როცა შევკრებ ისრაელის სახლს იმ ხალხებიდან, სადაც გაფანტულნი ყოფილან, და გამოვაჩენ მათზე ჩემს სიწმიდეს ხალხების თვალწინ, მაშინ იცხოვრებენ ისინი იმ მიწაზე, რომელიც ჩემს მსახურს იაკობს მივეცი. 26. იცხოვრებენ იქ მშვიდად, ააშენებენ სახლებს და ჩაყრიან ვენახს. იცხოვრებენ მშვიდად, როცა დავდებ მსჯავრს მის მოძულეებს მის ირგვლივ და მიხვდებიან, რომ მე უფალი, ვარ მათი ღმერთი.

თავი ოცდამეცხრე

1. მეათე წელს, მეათე თვის თორმეტში, იყო უფლის სიტყვა ჩემს მომართ ნათქვამი: 2. ადამის ძევ! მიმართე პირი ფარაონისაკენ, ეგვიპტის მეფისაკენ, და უწინასწარმეტყველე მას და მთელს ეგვიპტეს. 3. ელაპარაკე და უთხარი, ასე ამბობს-თქო უფალი ღმერთი: აჰა, შენზე ვარ ფარაონო, ეგვიპტის მეფევ, დიდო გველეშაპო, რომ ჩაწოლილხარ შენს მდინარეებში და ამბობ, ჩემია ჩემი მდინარე, ჩემთვის შევქმენიო. 4. ლაყუჩებში ჩანგლებს გაგიყრი, შენი მდინარეების თევზებს ქერეჭზე მოგაკრავ. ამოგიყვან შენი მდინარეებიდან და შენი მდინარეების ყველა თევზი ქერეჭზე გექნება მიკრული. 5. მოგისვრი უდაბნოში შენი მდინარეების თევზებთან ერთად და ტრამალზე დაეცემი. არავინ აგიღებს და არავინ აგკრეფს. მიწის ხეცებს და ცის ფრინველებს მიგცემ შესაჭმელად. 6. მიხვდება ეგვიპტის ყველა მცხოვრები, რომ უფალი ვარ, რადგან ლერწმის საყრდენი იყავი ისრაელის სახლისათვის. 7. როცა ხელს გავლებდნენ, იმსხვრეოდი და ჩხვლეტდი მათ მკლავებს. როცა გეყრდნობოდნენ, ტყდებოდი და წელში აშეშებდი მათ. 8. ამიტომ ასე ამბობს უფალი ღმერთი: აჰა, მოვავლენ შენზე მახვილს და ამოგიწყვეტ კაცსა და პირუტყვს. 9. გადაიქცევა ეგვიპტის ქვეყანა უდაბნოდ და ნაოხრად და მიხვდებიან, რომ უფალი ვარ, რადგან თქვა: ჩემია მდინარე და

ეროვნული ბიბლიოთეკა

მე შევქმენიო. 10. ამიტომ, აჰა, შენზე ვარ და შენს მდინარეზე, ოხრად ვაქცევ ეგვიპტის ქვეყანას და გავაუდაბურებ სევენეს ციხე-სიმაგრიდან ქუშის საზღვრამდე. 11. არ გაივლის იქ კაცის ფეხი და პირუტყვის ფეხი არ გაივლის იქ ორმოცი წელი დაუსახლებელი იქნება. 12. უდაბნოდ ვაქცევ ეგვიპტის ქვეყანას გაუდაბურებულ ქვეყანათა შორის და მის ქალაქებს ნაოხარ ქალაქებს შორის, და უდაბური იქნება ორმოცი წელი. გავფანტავ ეგვიპტეს ხალხებში და მიმოვაბნევ ქვეყანათა შორის. 13. რადგან ასე ამბობს უფალი ღმერთი: ორმოცი წლის ბოლოს შეკრებ ეგვიპტეს ხალხებიდან, სადაც იქნებიან გაფანტული. 14. დავაბრუნებ ეგვიპტის ტყვეებს, დავაბრუნებ ფათროსის ქვეყნად, მათ სამშობლოში, და შეიქნებიან დამდაბლებულ სამეფოდ. 15. სხვა სამეფოებზე დაბალი იქნება და ველარ აღზევდება ხალხებზე. დავამცირებ, რომ აღარ გაუბატონდეს ხალხებს. 16. აღარ იქნება ის იმედად ისრაელის სახლისათვის. დანაშაულს ახსენებდა, როცა მათკენ მიიქცეოდნენ. მაშინ მიხვდებიან, რომ უფალი ღმერთი ვარ. 17. ოცდამეჩვიდმეტე წელს, პირველი თვის პირველში, იყო უფლის სიტყვა ჩემს მომართ ნათქვამი. 18. ადამის ძევ! ნაბუქოდონოსორმა, ბაბილონის მეფემ, მძიმე სამუშაო დააკისრა თავის ლაშქარს ტვიროსის წინააღმდეგ: ყველა თავი გადახოტრილია და ყველა მხარი გადატყაულია, არ ექნება გასამრჯელო არც მას, არც მის ლაშქარს ტვიროსისაგან იმ შრომაში, რასაც მის წინააღმდეგ შრომობდა. 19. ამიტომ ასე ამბობს უფალი ღმერთი: აჰა ვაძლევ ნაბუქოდონოსორს, ბაბილონის მეფეს, ეგვიპტის ქვეყანას, რომ წაიღოს მისი დოვლათი, იალაფოს და დაიტაცოს. ეს იქნება მისი ლაშქრის გასამრჯელო. 20. მის წინააღმდეგ შრომის საზღაურად მივცემ მას ეგვიპტის ქვეყანას, რადგან ჩემთვის ირჯებოდნენ, ამბობს უფალი ღმერთი. 21. იმ დღეს აღმოვუცენებ რქას ისრაელის სახლს და მოგანიჭებ შენ პირის ხსნილობას მათ შორის და მიხვდებიან, რომ მე უფალი ვარ.

თავი ოცდამეათე

1. იყო უფლის სიტყვა ჩემს მომართ ნათქვამი: 2. ადამის ძევ! იწინასწარმეტყველე და თქვი, ასე ამბობს-თქო უფალი ღმერთი: ივალალეთ, ვაი ამ დღეს! 3. რადგან ახლოა დღე, ახლოა დღე უფლისა, პირქუში დღე. დგება ხალხების ჟამი! 4. მოვა მახვილი ეგვიპტეზე და სატკივარი ეწევა ქუშს, როცა დაეცემიან დახოცილნი ეგვიპტეში, წაიღებენ მის დოვლათს და დაანგრევენ მის საძირკვლებს. 5. ქუში, ფუტი და ლუდი, ყოველი არაბი, ქუბი და აღთქმის ქვეყნის შვილები მათთან ერთად დაეცემიან მახვილით. 6. ასე ამბობს უფალი ღმერთი: დაეცემიან ეგვიპტის მხარდამჭერნიც და დავარდება მისი ამპარტავნული ძალა. სევენეს ციხე-სიმაგრიდან მოყოლებული მახვილით დაეცემიან, ამბობს უფალი ღმერთი. 7. გაუდაბურდება გაუდაბურებულ ქვეყანათა შორის და მისი ქალაქები ნაოხარ ქალაქთა შორის იქნებიან. 8. და მიხვდებიან, რომ მე უფალი ვარ, როცა ცეცხლს წავუკიდებ ეგვიპტეს და ყოველი მისი შემწე გაცამტვერდება. 9. იმ დღეს ხომალდებით გამოვლენ ჩემგან მაცნენი უზრუნველი ქუშის შესაშინებლად და ეწევათ მათ სატკივარი, როგორც ეგვიპტის დღეს, რადგან აჰა, მოაწია უკვე. 10. ასე ამბობს უფალი ღმერთი: მოვსპობ ეგვიპტელთა სიმრავლეს ნაბუქოდონოსორ ბაბილონის მეფის ხელით. 11. ის და მისი ხალხი მასთან ერთად, უსასტიკესი ტომთა შორის, მოიგლინებიან ამ ქვეყნის დასაღუპავად, იშიშვლებენ მახვილებს ეგვიპტეზე და დახოცილებით აავსებენ ქვეყანას. 12. ამოვაშრობ მდინარეებს და ბოროტეულთა ხელში ჩავაგდებ ქვეყანას, გავაუდაბურებ ქვეყანას და მის სისავსეს უცხოთა ხელით. მე, უფალმა, ვთქვი. 13. ასე ამბობს უფალი ღმერთი: გავანადგურებ

კერპებს და აღვგვი ღმერთუკეებს ნოფიდან, აღარ იქნებიან მთავარნი ეგვიპტის ქვეყნიდან და შიშისზარს დავცემ ეგვიპტის ქვეყანას. 14. გავაუდაბურებ ფათროსს, ცეცხლს წავუკიდებ ცოყანს და მსჯავრს დავდებ ნოს. 15. გადმოვნთხევ ჩემს რისხვას სინზე, ეგვიპტის ციხე-სიმაგრეზე, და მოვსპობ ნოს სიმრავლეს. 16. ცეცხლს წავუკიდებ ეგვიპტეს, ჭირი დაადგება სინს, გასანგრევად გახდება ნო და ნოფს მტერი ეყოლება მარადღე. 17. ონის და ფი-ბესეთის ჭაბუკები მახვილით დაეცემიან და ქალწულები ტყვეობაში წავლენ. 18. თეხაფნეხესში დაბნელდება დღე, როცა შევმუსრავ იქ ეგვიპტის უღელს და ბოლო მოეღება მის ამპარტავნულ ძლიერებას. ბნელი დაფარავს მას და მისი ასულები ტყვეობაში წავლენ. 19. მსჯავრს დავდებ ეგვიპტეს და მიხვდებიან, რომ უფალი ვარ. 20. მეთერთმეტე წელს, პირველი თვის შვიდში, იყო უფლის სიტყვა ჩემს მომართ ნათქვამი: 21. ადამის ძევ! მკლავი გადავუტეხე ფარაონს, ეგვიპტის მეფეს, და, აჰა, არ შეხვეულა სამკურნალოდ, არ შეკრულა არტახებში, რომ მომაგრებულიყო მახვილის დასაჭერად. 22. ამიტომ ასე ამბობს უფალი ღმერთი: აჰა, ფარაონზე ვარ, ეგვიპტის მეფეზე: გადავუტეხავ მას მკლავებს — მრთელს და მოტეხილს, და ხელიდან მახვილს გავაგდებინებ. 23. გავფანტავ ეგვიპტელებს ხალხებში და ქვეყნებში მიმოვაბნევ. 24. გავუმაგრებ მკლავს ბაბილონის მეფეს და ხელში მახვილს მივცემ, მკლავს გადავუტეხავ ფარაონს და დაჭრილივით აკვნესდება მის წინაშე. 25. გავუმაგრებ მკლავს ბაბილონის მეფეს და ჩამოუვარდება მკლავები ფარაონს. მიხვდებიან, რომ უფალი ვარ, როცა ხელში მივცემ ჩემს მახვილს ბაბილონის მეფეს და დააღირებს მას ეგვიპტის ქვეყანაზე. 26. გავფანტავ ეგვიპტელებს ხალხებში და ქვეყნებში მიმოვაბნევ და მიხვდებიან, რომ უფალი ვარ.

თავი ოცდამეთერთმეტე

1. მეთერთმეტე წელს, მესამე თვის პირველში იყო უფლის სიტყვა ჩემს მომართ ნათქვამი: 2. ადამის ძევ! უთხარი ფარაონს, ეგვიპტის მეფეს, და მის სიმრავლეს, ვის ეძრები-თქო შენი სიდიადით? 3. აჰა, აშური კედარი იყო ლიბანში, რტომშვენიერი და ჩრდილოვანი ტევრი. ზრომაღალი იყო და ღრუბლებს სწვდებოდა მისი წვეროკინი. 4. წყლებმა გაზარდეს ის, უფსკრულმა აღამაღლა, მისი მდინარეები გარს უვლიდნენ მის ნერგს და გზავნიდნენ თავის ნაკადებს მინდვრის ყოველი ხისაკენ. 5. ამიტომაც მინდვრის ყველა ხეზე უფრო მეტად ამაღლდა მისი ტანი. გაეზარდა რტოები და დაუგრძელდა ტოტები უხვი წყლების წყალობით, რომელთაც ააღორძინეს. 6. ცის ყოველი ფრინველი იბუდებდა მის რტოებში და მის ტოტებქვეშ მინდვრის ყოველი მხეცი ბადებდა. უამრავი ხალხი ცხოვრობდა მის ჩრდილში. 7. მშვენობდა ის სიმაღლით და თავისი გრძელი ტოტებით, რადგან ფესვები დიდ წყლებში ჰქონდა გადგმული 8. კედრები ვერ ჩრდილავდნენ მას ღვთის ბაღში; ალვისხეები ვერ ეძრებოდნენ თავისი რტოებით, ნეკერჩხლები თავისი ტოტებით ვერ უტოლდებოდნენ მას, ღვთის ბაღის ვერცერთი ხე ვერ უსწორდებოდა თავისი სილამაზით. 9. უამრავი რტოებით დავამშვენე და შურდა მისი ედემის ყოველ ხეს, რომელიც კი იყო ღვთის ბაღში. 10. ამიტომ ასე ამბობს უფალი ღმერთი: რაკი გაიზარდა ტანით და მისწვდა მისი წვეროკინი ღრუბლებს, რაკი გადიდგულდა თავისი სიმაღლით, 11. ჩავუგდებ ხალხთა მძლეველს ხელში და ის გაუსწორდება მას, მისი უკეთურების გამო მოვიშორებ. 12. მოკვეთავენ მას უცხონი, უსასტიკესნი ხალხთა შორის, და დააგდებენ, ყოველ მთაზე და ყოველ ხევში ჩაიყრება მისი ტოტები, ჩაილეწება მისი რტოები ქვეყნის ყველა მდინარეში, გამოვა მისი ჩრდილიდან ქვეყნის ყოველი ხალხი და

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიატოვებენ მას. 13. მის ნანგრევებზე დასახლდება ცის ყოველი ფრინველი და მის ტოტებს მინდვრის ყოველი მხეცი შეაფარებს თავს. 14. რათა არ აღზევდეს ტანით წყალთან მყოფი არცერთი ხე და არ უწვდინოს ღრუბლებს წვეროკინი, რათა არ შეჩერდეს მის წინაშე წყლის მსმელი, მისი სიმაღლით გაოცებული, რადგან ყველანი სასიკვდილოდ არიან განწირულნი ქვეშეთისთვის საფლავად ჩამხდარ ადამის ძეთა შორის. 15. ასე ამბობს უფალი ღმერთი: მისი ქვესკნელში ჩასვლის დღეს გავუმართავ გლოვას, დავუგმანავ უფსკრულს და შევაკავებ მის მდინარეებს, და დაწდება დიდი წყლები, დავამწუხრებ მასზე ლიბანს და მინდვრის ყოველი ხე დაღონდება მის გამო. 16. მისი დაცემის ხმაზე ხალხებს შევაძრწუნებ, როცა ქვესკნელში ჩავიყვან მას საფლავად ჩასულებთან და ნუგეშს იცემს ქვეშეთის ქვეყანაში ედემის ყოველი ხე, ლიბანის რჩეული და საუკეთესო, ყოველნი, წყლით დარწყულებულნი. 17. ისინიც ჩავლენ მასთან ერთად ქვესკნელში, მახვილით განგმირულებთან ერთად. მისი მკლავი იყვნენ და ცხოვრობდნენ მის ჩრდილში ხალხთა შორის. 18. რომელს ედარები დიდებით და სიდიადით ედემის ხეთა შორის? მაინც ჩახვალ ედემის ხეებთან ერთად ქვეშეთის ქვეყანაში და წინდაუცვეთელთა შორის დაწვები, მახვილით განგმირულებთან ერთად. ეს არის ფარაონი და მთელი მისი სიმრავლე, ამბობს უფალი ღმერთი.

თავი ოცდამეთორმეტე

1. მეთორმეტე წელს, მეთორმეტე თვის პირველში იყო უფლის სიტყვა ჩემს მომართ ნათქვამი: 2. ადამის ძევ! გამართე გოდება ფარაონზე, ეგვიპტის მეფეზე, და უთხარი, ჭაბუკ ლომს ჰგავდი ხალხთა შორის და გველეშაპივით იყავი-თქო ზღვებში! ირქინებოდა შენს მდინარეებში და შეხებით ამღვრევდი წყლებს, თელავდი-თქო მათ მდინარეებს. 3. ასე ამბობს უფალი ღმერთი: მოვისვრი შენზე ჩემ სათხეველს ხალხთა სიმრავლეში და ამოგათრევენ ჩემი ბადით. 4. მოგისვრი მიწაზე და ტრიალ მინდორზე დაგაგდებ, დავასახლებ შენზე ცის ყოველ ფრინველს და მიწის ყოველ მხეცს შენით გამოვკვებავ. 5. მიმოვფანტავ შენს ხორცს მთებზე და ხევებს ავავსებ შენი მძორით. 6. შენი სისხლით მოვრწყავ შენს საზრუნველ მიწას მთებამდე და კალაპოტები შენით აივსება. 7. დავხურავ, როცა ჩაგაქრობ, ცას და დავაბნელებ მის ვარსკვლავებს. მზეს ღრუბლით შევბურავ და მთვარე აღარ გაანათებს თავისი ნათელით. 8. ყოველ მანათობელ მნათობს დაგიბნელებ ცაზე და შენს ქვეყანაზე წყვდიადს დავამკვიდრებ, ამბობს უფალი ღმერთი. 9. დავაღონებ უამრავი ხალხების გულს, როცა შენს დანგრევას გამოვაცხადებ ქვეყანათა ხალხებში, რომელთაც არ იცნობდი. 10. შევაძრწუნებ შენს გამო უამრავ ხალხს და შიშის ზარი დაეცემათ მათ მეფეებს შენს გამო, როცა მოვიქნევ მათ ზემოთ ჩემს მახვილს და ყოველ წამს სიკვდილის შიში ექნებათ შენი დაცემის დღეს. 11. რადგან ასე ამბობს უფალი ღმერთი: ბაბილონის მეფის მახვილი მოვა შენზე. 12. ძლიერთა მახვილებით დავცემ შენს სიმრავლეს. ხალხთა შორის უსასტიკესნი არიან ყველანი და გააცამტვერებენ ეგვიპტის სიამაყეს. განადგურდება მთელი მისი სიმრავლე.

13. ამოვწყვეტ მთელს მის პირუტყვს დიდ წყლებთან და აღარ აამღვრევს მათ კაცის ფეხი, პირუტყვის ჩლიქები აღარ აამღვრევს მათ.

14. მაშინ დავამდვრევ მათ წყლებს და მათ მდინარეებს ზეთივით ვადინებ, ამბობს უფალი ღმერთი.

15. როცა უდაბნოდ ვაქცევ ეგვიპტის ქვეყანას და გატიალდება მთელი სისავსე მისი. როცა მოვწყლავ მის ყოველ მცხოვრებს , მაშინ მიხვდებიან, რომ უფალი ვარ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

16. საგოდებელია ეს და იგოდებენ
ამ საგოდებელს, ხალხთა ასულნი იგო-
ლებენ მას, ეგვიპტეზე და მთელს მის
სიმრავლეზე იგოდებდნენ, ამბობს უფა-
ლი ღმერთი. 17. მეთორმეტე წელს, იმა-
ვე თვის თხუთმეტში, იყო უფლის სიტ-
ყვა ჩემს მომართ ნათქვამი: 18. ადამის
ძევ! დაიტირე ეგვიპტელთა სიმრავლე,
ჩაიყვანე ის და ძლიერ ხალხთა ასულნი
ქვეშეთის ქვეყანაში საფლავად ჩამავ-
ლებთან ერთად! 19. ვისზე ლამაზი ხარ?
ჩადი და იწექი წინდაუცვეთლებთან! 20.
მახვილით განგმირულთა შორის დაცე-
მიან. მახვილს არის მიცემული იგი, წა-
ათრევენ მას და მთელს მის სიმრავლეს.
21. ძლიერნი გაეხმიანებიან მას და მის
შემწეთ ქვესკნელის გულში. ჩავიდნენ,
წვანან წინდაუცვეთელნი, მახვილით გა-
ნგმირულნი. 22. იქ არის აშური და
მისი კრებული, მის გარშემო მისი საფ-
ლავები. ყველანი განგმირულნი არიან,
მახვილით დაცემულნი, 23. რომელთა
საფლავები ქვეშეთის უკანა სკნელშია
დადგმული და მისი კრებული მის საფ-
ლავების ირგვლივაა. ყველანი განგმი-
რულნი არიან, მახვილით დაცემულნი,
შიშის ზარს რომ სცემდნენ ცოცხალთა
ქვეყანას. 24. იქ არის ელამი და მთელი
მისი სიმრავლე, მისი საფლავების ირ-
გვლივ. ყველანი განგმირულნი არიან,
მახვილით დაცემულნი, რომლებიც წი-
ნდაუცვეთელად ჩავიდნენ ქვეშეთის
ქვეყნად, შიშის ზარს რომ სცემდნენ
ცოცხალთა ქვეყანას და წაიღეს თავიანთი სირცხვილი საფლავად ჩამავლებ-
თან ერთად. 25. განგმირულთა შორის
მიეცა საწოლი მთელს თავის სიმრავ-
ლესთან ერთად. მის გარშემო მათი საფ-
ლავებია. ყველანი წინდაუცვეთელნი
არიან, მახვილით განგმირულნი. რადგან
შიშის ზარს სცემდნენ ცოცხალთა ქვე-
ყანას, წაიღეს თავიანთი სირცხვილი სა-
ფლავად ჩამავლებთან ერთად. განგმი-
რულთა შორის მიეცათ სამყოფელი.
26. იქ არიან მეშექი და თუბალი და
მთელი მისი სიმრავლე. მათ გარშემო
მათი საფლავებია. ყველანი წინდაუცვე-
თელნი არიან, მახვილით განგმირულნი,
რადგან შიშის ზარს სცემდნენ ცოცხა-
ლთა ქვეყანას. 27. არ უნდა იწვნენ
ძლიერებთან, წინდაუცვეთელად დაცე-
მულებთან ერთად. რომლებიც ჩასულნი
არიან შავეთში თავიანთი საომარი სა-
ჭურველით? მახვილები თავქვეშა აქვთ
ამოდებული, მათი ცოდვები კი მათ
ძვლებზევეა, რადგან ძლიერთა შიშის-
ზარი ჰქონდა ცოცხალთა ქვეყანას. 28.
შენც წინდაუცვეთელთა შორის შეიმუს-
რები და მახვილით განგმირულებთან
დაწვები. 29. იქ არის ედომი, მისი მე-
ფენი და მთავარნი, რომლებიც მიეცნენ
თავიანთი სიძლიერით მახვილით განგ-
მირულებთან ერთად. წინდაუცვეთელებ-
თან წვანან ისინი და საფლავში ჩასუ-
ლებთან. 30. იქ არიან ჩრდილოეთის ხე-
ლმწიფენი, ყველანი და ყოველი სიდონე-
ლი, რომლებიც ჩავიდნენ განგმირულებ-
თან ერთად მათი ძლიერების შიშისზა-
რით სირცხვილნაჭამნი და წვანან წინ-
დაუცვეთელნი მახვილით განგმირულებ-
თან ერთად და წაღებული აქვთ თავიან-
თი სირცხვილი საფლავში ჩასულებთან
ერთად. 31. მათ იხილავს ფარაონი და
ნუგეშს იცემს მთელი თავისი სიმრავ-
ლის გამო, მახვილით განგმირულთა გა-
მო, ფარაონი და მთელი მისი ლაშქა-
რი, ამბობს უფალი ღმერთი. 32. რადგან
შიშის ზარს დავცემ ცოცხალთა ქვეყანას
და დაწვებიან წინდაუცვეთელთა შორის
მახვილით განგმირულებთან ერთად ფა-
რაონი და მთელი მისი სიმრავლე, ამ-
ბობს უფალი ღმერთი.

თავი ოცდამეცამეტე

1. იყო უფლის სიტყვა ჩემს მომართ ნა-
თქვამი: 2. ადამის ძევ! ელაპარაკე შენი
ერის შვილებს და უთხარი მათ: თუ რო-
მელიმე ქვეყანას მოვუვლენ მახვილს და
ამ ქვეყნის ხალხი ამოირჩევს თავისი წი-
ალიდან ერთ კაცს და თავის მფარველად
დაადგენს მას, 3. დაინახავს ის ქვეყა-
ნაზე მოვლენილ მახვილს, დასცემს
ბუკს და გააფრთხილებს ხალხს, 4. და
მოისმინა მსმენელმა ბუკის ხმა და არ

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაფრთხილდა, მოვიდა მახვილი და წაიყვანა იგი, მისი სისხლი მის თავზე იქნება. 5. ბუკის ხმა მოესმა და არ გაფრთხილდა, მისი სისხლი მასზე იქნება ვინც გაფრთხილდება, თავს გადაირჩენს. 6. თუ მფარველმა დაინახა წამოსული მახვილი და ბუკს არ დასცდა და ხალხი არ გააფრთხილა, მოვიდა მახვილი და წაიყვანა ვინმე მათგანი, ეს თავისი ცოდვის გამო წაიყვანება, მაგრამ მის სისხლს მფარველს მოვკითხავ. 7. აჰა, ადამის ძევ, ისრაელის სახლის მფარველად დამიდგენიხარ. ისმინე სიტყვა ჩემი ბაგიდან და ჩემგნით გააფრთხილე ისინი: 8. როცა ბოროტეულს ვეტყვი: ბოროტეულო, სიკვდილით მოკვდებიმეთქი, შენ კი არაფერს იტყვი, რომ დააკავო ბოროტეული თავის გზაზე, ბოროტეული თავისი ცოდვის გამო მოკვდება, მის სისხლს კი შენ მოვკითხავ. 9. თუ შენ გააფრთხილე ბოროტეული, რომ მოქცეულიყო თავისი გზიდან და არ მოიქცა, ის თავისი ცოდვით მოკვდება, შენ კი იხსნი შენს სულს. 10. შენ, ადამის ძევ, უთხარი ისრაელის სახლს, ასე ამბობ-თქო თქვენ: თუ ჩვენი დანაშაულნი და ცოდვანი ჩვენზეა და მათ გამო ვდნებით ჩვენ, როგორღა უნდა ვიცოცხლოთ? 11. უთხარი მათ: ცოცხალიმც ვარ, ამბობს უფალი ღმერთი! თუ მინდოდეს ბოროტეულის სიკვდილი, თუ ბოროტეულის მოქცევა თავის გზიდან და მისი გადარჩენა არ მინდოდეს! მოიქეცით, მოიქეცით თქვენი გზიდან, ბოროტეულნო! რისთვის უნდა დაიხოცოთ, ისრაელის სახლო! 12. შენ, ადამის ძევ! უთხარი შენი ერის შვილებს: მართალს ვერ იხსნის მისი სიმართლე შეცოდების დღეს და ბოროტეული არ წაიფორხილებს თავისი ბოროტების გამო თავისი მოქცევის დღეს ბოროტებისაგან. ვერ გადარჩება მართალი ცოდვის ჩადენის დღეს. 13. როცა ვეუბნები მართალს, გადარჩები-მეთქი, ის კი თავისი სიმაროლის მოიმედე ბოროტებას ჩაიდენს, არც ერთი სიმართლე არ იქნება გახსენებული და მოკვდება ბოროტებით, რომელიც ჩაიდინა. 14. როცა ვეუბნები ბოროტეულს, მოკვდები-მეთქი, ის კი მოიქცევა თავისი ცოდვისაგან და იქმს სამართალს და სიმართლეს, 15. გირაოს დააბრუნებს ბოროტეული, წართმეულს ზღავს, სიცოცხლის წესებით ივლის და ბოროტებას არ ჩაიდენს, ის ცოცხალი დარჩება, არ მოკვდება. 16. არც-ერთი ცოდვა, რაც კი ჩაუდენია, არ გაუხსენდება. სამართლისა და სიმართლის ქმნისთვის ცოცხალი დარჩება. 17. ამბობენ შენი ერის შვილები: სწორი არ არისო უფლის გზა. თავად მათი გზა არ არის სწორი. 18. როცა მართალი მიიქცევა თავისი სიმართლისაგან და ბოროტებას ჩაიდენს, ამის გამო მოკვდება. 19. როცა ბოროტეული მოიქცევა თავისი ბოროტებისაგან და სამართალს და სიმართლეს იქმს, ამის გამო გადარჩება. 20. თქვენ ამბობთ: სწორი, არ არისო უფლის გზა. თითოეულს თქვენი გზისაებრ დაგდებთ მსჯავრს, ისრაელის სახლო! 21. მეთორმეტე წელს ჩვენი ტყვეობისა, მეათე თვის ხუთში, მოვიდა ჩემთან იერუსალიმიდან გადარჩენილი და მითხრა: დაიქცა ქალაქი! 22. უფლის ხელი იყო ჩემზე საღამოხანს გადარჩენილის მოსვლამდე და გამიხსნა ბაგე, ვიდრე ის მოვიდოდა ჩემთან დილით. გაიხსნა ჩემი ბაგე და აღარ ვყოფილვარ დადუმებული. 23. იყო უფლის სიტყვა ჩემს მომართ ნათქვამი: 24. ადამის ძევ! ასე ამბობენ იმ ნაოხართა მკვიდრნი ისრაელის მიწაზე: ერთი იყო აბრაამი და მან დაიმკვიდრა ეს ქვეყანა, ჩვენ კი ბევრნი ვართ და მოგვეცა ეს ქვეყანა სამკვიდროდ. 25. ამიტომ უთხარი მათ, ასე ამბობს-თქო უფალი ღმერთი: სისხლით ჭამთ და თვალებს კერპებისაკენ აპყრობთ? სისხლს ღვრით და ქვეყნის დამკვიდრება გსურთ? 26. თქვენს მახვილზე დგახართ, სისაძაგლეს სჩადიხართ, ერთმანეთის ცოლებს ბილწავთ და კიდევ ქვეყნის დამკვიდრება გსურთ? 27. ასე უთხარი მათ, ასე ამბობს-თქო უფალი ღმერთი: ცოცხალიმც ვარ, თუ ნაოხარებში მყოფნი მახვილით არ დაე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცნენ და მინდვრად მყოფნი მხეცებს არ მიეცნენ შესაჭმელად, ვინც ციხე-სიმაგრეებში და გამოქვაბულებში არიან, შავი ჭირით არ დაიხოცნონ! **28.** უდაბნოდ ვაქცევ ქვეყანას და გაქრება მისი ამპარტავნული სიძლიერე. გაუკაცრიელდება ისრაელის მთები, ისე რომ არავინ იქნება გამვლელი. **29.** მიხვდებიან, რომ უფალი ვარ, როცა უდაბნოდ და უკაცრიელად ვაქცევ ამ ქვეყანას ყველა სისაძაგლისათვის, რაც ჩაუდენიათ. **30.** შენ კი, ადამის ძევ! შენი ერის შვილები ლაპარაკობენ შენზე კედლებთან და სახლების კართან, ეუბნებიან ერთმანეთს, მიდი, მოისმინე, რა სიტყვა გამოვიდა უფლის პირიდანო. **31.** მოდიან შენთან, როგორც ხალხი მოდის, და ჯდება შენს წინაშე ეს ჩემი ხალხი და ისმენს შენს სიტყვებს, მაგრამ არ ასრულებს მათ. სალაღობოდ აქცევენ მათ თავიანთ ბაგეებში, ანგარებისაკენ მიუდით გული. **32.** აჰა, სალაღობო სიმღერა ხარ მათთვის, ლამაზხმიანი და ტკბილად ნამღერი. ისმენენ შენს სიტყვებს, მაგრამ არავინაა მათი შემსრულებელი. 33. როცა ახდება ეს (აჰა, ახდა კიდეც!), მაშინ მიხვდებიან, რომ წინასწარმეტყველი იყო მათ შორის.

□გაგრძელება იქნება□

პროზა, პოეზია

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გიგი სულაკაური

●

ცხოვრებავ ჩემო,
როგორ მეგონა,
როცა სახეზე ხელს მომისვამდი,
ეს იქნებოდა აღფრთოვანება
ან ღმერთო,
რაღაც უფრო დიადი...
. . . . . .
ჰა,
შენს წინ ვდგავარ
შემცდარ შვილივით —
გთხოვ,
ღამიბრუნო ყველა ტკივილი...

●

რად უნდოდა სხვა ქალი
ვარსქენს,
რა იქნებოდა,
ასეთი მხეცი არ ყოფილიყო,
დაიძინებდა დედოფალი
მშვიდად მის მკლავზე,
დაზრდიდა ბავშვებს, მოუვლიდა,
დაეყრდნობოდა...
რა სამსახური გაუწია
დაუღგრომელ, კეთილ ხუცესსაც,
რას ათქმევინა: „მტკიცეულ სდგაა?"
ანდა ხუცესი
ვის მოგვივლენდა ნეტავ
წმინდანად?..
რა მოხდებოდა,
ვარსქენი რომ
ასეთი მგელი არ ყოფილიყო!
რას იზამდა სათნო შუშანიკ,
ვიღას ეტყოდა:
„უბადოო და უგულისხმოო..."

1923 წლის რუკა

უცნაურია:
ბევრი წლის მერე
ამ გაცვეთილმა,
მზისფერმა რუკამ
მომაგონა ის ხალიჩა,
რომელმაც ერთხელ დამასკოში
ზუსტად ეს რუკა გამახსენა
და, რომ ოქტომბრის დღევანდელი დღე
ფერწასულ რუკას და
ხალიჩას და
მოგონებას
ჰგავს ერთდროულად...

ეროვნული ბიბლიოთეკა

●

პატარა ბიჭი ახლდა მთვრალ მამას.
ბიჭი იყო „რუბიკით“, მამა კი — ჭიქით.
და მათ მდუმარე ურთიერთობას
ღუქნის მდგმურები
დაძაბულები
კეფით ვუსმენდით.

ბავშვის თვალებით გვიყურებდა დრო,
დრო — დამწყვდეული კედლის საათში,
დრო — ჩამოსხმული ღვინის ჭიქაში და
გაპარული უტყვ საუბარში.

●

პირველყოფილი მეოცნებე უყურებს ღამეს.
მას იზიდავს მიწა და არა ვარსკვლავი.
და, რადგან ჯერ არ იცნობს სამყაროს კანონებს,
ის ტოვებს მიწას და მიდის ვარსკვლავზე.

ხესმიყრდნობილი არამზადა უყურებს ღამეს.
ის გულგრილია. უარყოფს კანონებს.
და, რადგან კარგად იცის, რა ხდება ვარსკვლავზეც,
მას იზიდავს მიწა და, რჩება მიწაზე.

●

შენა ხარ წვიმით დაბურული სახიფათო ბაღი,
რომელშიც ქალაქის ჭორფლიანი სახე იმალება.
(ხოლო ქალაქი გოგონაში გაღვიძებული ქალის
უცნაური მზერით იხედება.
(არ გესმის, პირველი ჩხუბის სიმფონია
ამ მზერისაგან შეშლილი მომავალი კაცებისა?)
შენა ხარ ატეხილი ძუკნა და
ღუღაბი ბროლის კოშკისთვის.
შენა ხარ ღრუბლის სწრაფადმოძრავი ჩრდილი და
მდინარიდან დანახული ქალაქი.
შენა ხარ ლოგინში გაჭირვეულებული ქალი.
შენა ხარ თევზის ზურგებზე დამსხვრეული მზე და
ხავსმოდებული ქვის კიბე.
ხარ ობლის კვერი და სიმშვიდის მტერი და
ჯერარგამოთქმული სიტყვა.
შენა ხარ გასაღები ნაზამთრალი ხეებისა და
წესით არ უნდა გესმოდეს რას ნიშნავს სქესი.
შენა ხარ მწვანე დედამიწის მწვავე Appendix-ი.
შენა ხარ ლუდისაგან გამოხდილი არაყი და
მარადმწყურვალე მზერა ახალგაზრდა ჩინოვნიკისა.
შენა ხარ ზღვაში ჩამავალი მზე და
ზღვის მოულოდნელად მონატრება და
შენ გქვია გაზაფხული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გემები კვერცხის ნაჭუჭში

ჰონოლულუში ისევ ცივა ვარსკვლავთა წყებას
და თბილისისგან მიმავალი გემების რემა
იქით აპირებს გაარკვიოს ხვალინდელი დღე.

გემებს აცვიათ სიზმრის ქალამნები,
ხელში უჭირავთ ოცნების კომბლები.
ტანზე კი კვერცხის ნაჭუჭი შემოუკრავთ —
მაგარია და გამძლეაო.

ქარი აბორგებს ზღვის მლაშე ფერდებს.
დაბზარვიათ გზაში კვერცხის აბჯარი გემებს.
და ბზარებიდან შიშჩამდგარი ბნელი თვალებით
სიბნელეშივე იხედებიან უბრიყვესი მწვანე ტოტები.

გადაიარეს. გაქრნენ. წავიდნენ.
ვით ურჩხულები უმძიმეს ძილით...
ჰონოლულუში — ვილაცამ მითხრა
ჩამოვარდნილა ვარსკვლავი დილით...

●

ბიძია ხორცო!
დაგინახე წითელ მამალში,
რომელიც ყველა ჩვენგანში ცხოვრობს
და გვაოცებს თავისი ყივილით.
ბიძია ხორცო!
ხმაურით დაეშვი წვიმასთან ერთად!
ბიძია ხორცო!
გადმოიღვარე ღვინის ბოთლიდან!
იქეცი კვამლად,
რომ შეგისუნთქოთ და
გავიშავოთ შენით ფილტვები.
ბიძია ხორცო!

ძველისძველი ლოზუნგივით დაეწერე
ჩვენს თვალებს ასე:
„მთელი ძალაუფლება — ბიძია ხორცს!“

შეუძვერი საწოლში ბებიებსა და
მათსავით ჩამჭკნარ ბებუებს.
გადააქციე საკრავებად და
მანამ უკარი,
ვიდრე არ მოვა
გამთიშველი საკრებულოთა...
ვისთანაც შენაც არაფერი ხარ,
ბიძია ხორცო!

●

ჰო, უკეთესო,
შენა ხარ ჩემი ნიღაბიც და
ნათესაყოველიც...
მე ვფეთქავ შენში,
შენს ჩანჩქერებს ვეშვირები,
შენს მზეებს ვხედავ
და ვმოგზაურობ —
გალაღებული
მიგგუგუნებ შენს თბილ ყურეში...
და მაპატიე ეს სისუსტე
თუ სისასტიკე,

უნებური შეცოდება, ეგოიზმი
თუ სამუდამო გაუმაძღრობა...
გალაღებული მიგგუგუნებ...
ნახვამდის, კარგო,
მშვიდად იყავი, უკეთესო,
თუმცა იცოდე და ნუ შეგაკრთობს —
ჩვენ ერთმანეთს ერთმანეთი
გადავუნერგეთ,
ჩვენ ერთმანეთში კიდევ ბევრჯერ,
უცნაურად ავმეტყველებით...

ეროვნული ბიბლიოთეკა

●

რატომ მიყურებთ
მოხუცებო,
რაღაცნაირად?
შემატყეთ, განა,
თქვენიანი რომ ვარ
ბოლომდე,
თუ მხარეებმა სიბერისამ
არ გაამართლა
და, გებრალებით?

●

როცა ასეთი რამე მითხარი:
„ეს კაცი წინა ცხოვრებაში
კენტავრი იყო,
ისეთი ცხენის სუნი ასდისო“,
მე რატომღაც წარმოვიდგინე
ცხენსშეზრდილი,
ჟიპიტაურით გამტყვრალი თუში
(სახელად — გოდე),
რომელიც მათრახს კი არ იქნევს,
არყს შეწყვეტილ წკეპლას ხმარობს —
(პატრონის დედის დახმარებით)
იტყლაშუნებს ფერდებსა და მკვრივ
გავაზე
და ამაღამვე ფიქრობს ცერზე გადასვლას.

მოგონებების მოლეკულები
(ფრაგმენტი)

...ეს მანამდე იყო,
სანამ ჩემი უფროსი ძმა
ბროლის კოშკებს ააგებდა,
ხოლო უმცროსი — ცალთვალა ცხენს იპოვნიდა...
მაშინ ჩვენთან შავი, უჯიშო ლეკვი ცხოვრობდა.
ლეკვს მრისხანე სახელი — ზანზიბარი ერქვა და
მის სიშტერეს და გულუბრყვილობას ზღვარი არ ქონდა.
მე ვიყავი 13-14 წლის და ბოლომდე მოსჯილი მქონდა
უთენია წამოფრენა, სკოლა, ბევრი მასწავლებელი...
თან ვწერდი ლექსებს
და დროგამოშვებით ვანადგურებდი.
აი ერთი შედევრთაგანი, რომელიც მახსოვს:

იდგა ხე.
ჩამოუდიოდა ღელე.
წყალში ეგდო ქვა.
ნახევრად სველი.

სამაგიეროდ, მიყვარდა გაურკვეველი წარმომავლობის
გოგონა დინა,
რომელსაც ჰქონდა პატარა, ხელმოკლე ძუძუები.
(ეჰ, ზანზიბარის სიშტერეს და გულუბრყვილობას
ზღვარი არ ჰქონდა!)
ბებიამისი ისე უფრთხილდებოდა მის უმწიკვლობას,
როგორც თავისას თავის დროზე გაფრთხილებია.
უცნაური ქალი იყო ბებიამისი —
ერთხელ მახსოვს დინამ თხოვა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ის ამბავი მოეყოლა —
„ბაბუამ რომ დიდი ღლ`ეი დაიჭირა“
(ღლავი თურმე ბრაზიანად იღრინებოდა).
ასეთი რამე უპასუხა ძვირფას შვილიშვილს:
„დროის მანქანა კი არა ვარ,
სხვა სივრცეებში გადაგიყვანოთ,
მე კუდიანი დედაბერი ვარ!“
რაღა თქმა უნდა, არ ჩავეძიე
მათ საოჯახო ქრონიკებს და ისტორიებს,
უკვე ისედაც ნათელი იყო —
ჩვენი ამბიდან არაფერი გამოდნებოდა.
(ზანზიბარის სიშტერეს და გულუბრყვილობას
ზღვარი არ ჰქონდა!)
უფრო ადრე კი,
თუმცა შენ არასოდეს ყოფილხარ ოქტომბრელი
ჩემო ბიჭუნავ,
არც — პიონერი,
შესაბამისად „წითელი კუთხეც“ არ გინახავს,
არ ჩაგიხედავს პიონერთახელმძღვანელის
ჯადოსნურ კრისტალში,
დამერწმუნე, ჩვენ იქ ჩახედვა ბევრად გვერჩივნა
ცასა და ზღვაში ყურებას და
ღმერთისთვის თვალთვალს.
ყვავილებით ხელში არ დახვედრიხარ
ნ. ხ-ს და მის ძმაკაცს ფ; კ. რუსს
მცხეთის ვაგზალზე
(რას არ ნახავს და განიცდის ძველი ქალაქი!)
არ გინახავს დიდი ბელადის დიადი საქმის
გამგრძელებლები — (ჩაფსმამდე მისული,
აცრემლებული ბერიკაცი, თითქმის ბელადი)
ჯილდოები. ლოზუნგები და პარადები —
9. V, 7. XI, 25. II, I. V,
აგიტატორის დღე, მედიატორის დღე,
თეთრი დღე, შავი დღე,
ბიჭო, როგორ შა... და ა. შ.
ეს იყო ჩვენი ჯადოსნური სიზმრების სახლი,
რომელსაც ყველა მიმართულებით
ჰქონდა კარი გაჭრილი,
ოღონდ რა გზასაც დაადგებოდი,
საითაც გინდა წასულიყავი,
როგორც ზღაპარში,
ჯადოსნურ სიზმრების სახლს ვერ გასცდებოდი...
ჰო, ასე იყო ყველაფერი, ჩემო ბიჭუნავ,
ვერ წარმოიდგენ, რა ძალიან მიხარია,
რომ უკვე იცი —
რომ უკვე ბევრად წინა ხარ —
რომ ზანზიბარის სიშტერეს და გულუბრყვილობას
ზღვარი არა აქვს!..

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჯემალ ქირია

კიბე იაკობისი

რომანი

ორრიგად ჩამწკრივდნენ შინსახკომელები, დერეფანი გაჭიმეს შინსახკომიდან ბოტანიკურამდე.

იქ, ბაღისკიდეზე ყოჩაღ მიწისმთხრელებს ღრმა ხარო გაეთხარათ უკვე. მიწისა და ნესტის სუნი ტრიალებდა ჰაერში.

ამ ცოცხალ დერეფანში ყვირილით, მუქარით, კონდახებით შერეკეს ტყვედქმნილნი.

— ჩემი ძმა ბოლშევიკია, მოსკოვის კრემლში მუშაობს! — ტირილით ირწმუნებოდა ის ახალგაზრდა და ბერის ეს აკანკალებული, წკვიტინა ხმა მკვეთრად ჩაებეჭდა.

ირიჟრაჟა თითქოს, თუმცა ბნელი მაინც ვერ განიდევნა.

— ჩაამწკრივეთ! გადაითვალეთ! — აღმა-დაღმა დარბოდა ძღვიბი, განკარგულებებს იძლეოდა.

სიჩუმე ჩამოვარდა, ისეთი საზარელი, აუტანელი, თითქოს დედამიწის ზურგზე ხმა საერთოდ გაქრაო და ამ მდუმარებაში მჭახედ გაისმა:

— ყოველი მესამე!

ქოსას ხმაში დაუოკებელი სიძულვილი ისმოდა და უცებ ბერის საშინელი სიცხადით წარმოუდგა, რაც წუთის შემდეგ გათამაშდებოდა. არ უნდოდა დაეჯერებინა, ეგონა, სიზმარში ვარ და მალე გამეღვიძებაო.

— ერთი, ორი... ერთი, ორი... გამოდი!..

ხელფეხშეკრული გამოჰყავდათ მწკრივიდან, ხაროსპირს წამოაჩოქებდნენ, დაახლიდნენ პისტოლეტს კეფაზე და ხელსა ჰკრავდნენ.

შემზარავი იყო ზვარაკთა უხმო, უპროტესტო სიკვდილი.

სისხლი მათრობელია, ძღვიბი თოლორაია თვრებოდა სისხლით.

— ყოველი მესამე! — კალიასავით დახტოდა, რევოლვერს იქნევდა, თვალები გადმოვარდნასა ჰქონდა:

— ერთი, ორი... გამოდი!.. ერთი, ორი... გამოდი!..

ისევ ჭახაჭუხი, ისევ სიკვდილი, უთქმელი, უსიტყვო, მორჩილი...

და უცებ:

— ხალხნო, კაცნი არა ვართ, საქონელივით უნდა დავეკვლევინოთ?!

ტანმაღალი ვაჟკაცი იყო, ვეფხვივით გადმოეშვა, ხელები შეკრული ჰქონდა, მაგრამ თავური აძგერა ძღვიბის და გადააყირავა.

— ჩახოცეთ, ჩახოცეთ ყველანი! — იკივლა ძღვიბიმ და ძირს გაგორებულმა იმ ვაჟკაცს ტყვია შეაგება.

გაგრძელება. იხ. № 1-2.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შინსახკომელებმა, ზოგმა რევოლვერით, ზოგმა შაშხანით ატეხეს ბათქაბუთქი, სხვებმა ხმლები იშიშვლეს, დაერივნენ ტყვედქმნილთ... ისმოდა მხოლოდ სროლა, ჩახჩუხი, წივილ-კივილი, ზრიალი, გოდება...

სულ საღაც წუთი გავიდა, ბერის კი ეგონა, საუკუნეო... იდგა ერთ ადგილას, უაზროდ იყურებოდა აქეთ-იქით, მერე მუხლები მოეკეცა, ძირს ჩაჯდა და შარვალში სისველე იგრძნო.

სიკვდილის კალო მოსავლით აივსო, ღამით გათხრილი ხარო მოპირთავდა, სიმთვრალე კი ჯერაც არ განელებულიყო.

— ამათ რაღა ვუყოთ? — იკითხა ვიღაცამ ნერვულად. — გავუშვათ?

მიწისმთხრელი სვანები იყვნენ. აქამდე ალბათ არც იცოდნენ, რას თხრიდნენ. აუწერელი სანახაობით დათრგუნულებს გაცლაც ვერ მოეაზრებინათ.

ქოსამ კუშტად მოიხედა. თითქოს გამოერკვა. ალბათ ნამოქმედარის მასშტაბები გაისიგრძეგანა. მიხვდა, გადაამლაშა.

— გავუშვათ, ესენი ხომ უბრალო მიწისმთხრელები არიან! — თქვა იმან ხმის კანკალით, ვინც კითხულობდა, ამათ რა ვუყოთო.

— ესენიც კონტრებია! — წაისისინა ქოსამ. — წავლენ, ენას გადმოაგდებენ, ხალხს აგვიმხედრებენ! მოსცხეთ ერთი!

— დაეწყვეთ!.. სწორდით!.. დაუმიზნეთ!.. ცეცხლი!..

ორი წუთის შედლუხი დასჭირდა სიგიჟის ამ ზეიმის დაგვირგვინებას.

— კვალი უნდა წაიშალოს! — ხმა ჩურჩულამდე ჩაუვარდა ქოსას, — ხვალ ხალხი რომ გამოივლის, არაფერი არ უნდა ჩანდეს!.. შესანიშნავი ადგილია სტადიონის ასაშენებლად!

იმ დღეს ნესტორ თოდუამ ბერი ზაქარაიას სახლი გადაწვა. ხის ფშუტურა კედლებზე იყარა ჯავრი. ასანთივით წაეკიდა, აბრიალდა... ხელის შეთბობაც ვერავინ მოასწრო. კიდეც გაუხარდა ბერის, ამით მაინც დამსაჯა განგებამ, ცოტათი მაინც გამოვისყიდე დანაშაულიო, გაიფიქრა. ერთხელაც ვერ გამოზომა, ვერ გაარჩია მტყუან-მართალი.

ძღვიბიმ კი არ მოისვენა, ნესტორის კვალი აიღო ცხელ გულზე. იქ, მაცხოვრისგორის კიბესათან მიუსწრო. სირბილით შეუყვა ნესტორი კიბეს, შორს ვერ აასწრო, ტყვია მიეწია...

დეპეშას ველარ დაელოდა თბილისიდან. ფილიპე მახარაძე იწერებოდა, ნუ გადავამლაშებთ, კმარა, რაც სისხლი დაიღვარა, შეწყვიტეთო...

ვითომ გათენდა კიდეც! ჩამოღამებული, გაცრეცილი, უფერული დღე დადგა. ისეთი, როგორიც მხოლოდ შავთეთრ ფირზე შეიძლება აღიბეჭდოს. მანცხვარკარელები, ვინც გადარჩა, თითო-თითოდ გამოდიოდნენ სახლებიდან, შემკრთალნი, გაფაციცებულნი მიემართებოდნენ ბულვარისაკენ, სადაც სასულე ორკესტრი აგუგუნებდა „ინტერნაციონალს“, წითელი ნაჭრით შემოსილ ტრიბუნაზე იდგა დაუღლელი ძღვიბი თოლორაია და ხმაჩახრინწულ ამბობდა:

— ამხანაგებო! კონტრრევოლუციური ამბოხი ძირშივე ჩახშობილია! აქ, ამ წმინდა ადგილას განისვენებს რევოლუციის არწივი გერა კვარაცხელია, ვინაც ჩვენი პარტიის სამსახურში დალია სული!.. დღეს აქ მიწას უნდა მივაბაროთ რევოლუციის მეორე არწივი — — ნესტორ თოდუა, რომელიც მენშევიკთა პირსისხლიანმა აგენტებმა სიცოცხლეს გამოასალმეს... ორი წლის წინ აქ ჩვენ ვემშვიდობებოდით ჩვენს თანამებრძოლს გერას, ახლა კი მინდა ვთქვა: მშვიდობით, ჩემო განუყრელო თანამებრძოლო ნესტორ!..

ბერი ზაქარაია ზმანებისაგან ძლივს გამოერკვა. ქაღალდების დასტა განზე გასწია და მიაყურადა. არავინ აკაკუნებდა. მოუსვენრობამ შეიპყრო. მოგონებებმა მარტოობის სევდა გაუმძაფრეს. შიში შემოეპარა. თითქოს ქოსა ძღვიბიას შეეძლო საფლავიდან წამოდგომა. გამოეცხადებოდა ბერის, დაიმანჭებოდა, თვალს ჩაუპაჭუხებდა და ქირქილით

ეტყოდა: „შიშისაგან ჩაიფსი, ბიჭო, ბერი?“

16

გერა კვარაცხელიამ შიშს სძლია, როცა გიმნაზიელს თვალები დაუხუჭა, და კიდევ, როცა მაცხოვრისგორის ფერდობს შეუყვა; ნესტორ თოდუამაც სძლია შიშს, როცა ქოსას გადაუდგა და ამან სიცოცხლე მოუსწრაფა... ბერი ზაქარაიას ჟამიც ხომ უნდა დამდგარიყო, ხომ უნდა მოსულიყო დრო, როცა ის თავის პალიმფსესტს გაშორდებოდა, სამალავიდან გამოვიდოდა და ჭეშმარიტებას ღიად, თამამად გააცხადებდა... ამისათვის ერთი რამ იყო საჭირო: თავისი მე აემაღლებინა, არაფრად ჩაეგდო საზოგადო აზრი, ქვეყნის მოჩვენებითი ინტერესები, უარეყო ფარული ხელშეკრულება, რომელზეც ყველას ხელი ჰქონდა მოწერილი და ვერავინ ბედავდა დაკანონებულ დოგმებთან დაპირისპირებას. ალბათ ასეც იქნებოდა ყოველივე, თუ ის გახდებოდა თავისუფალი, დადგებოდა სიკვდილზე მაღლა, სიცოცხლეს იმდენად შეიყვარებდა, მოკლე ჟამს არსებობისა სიცრუეზე ვერ დახარჯავდა...

როდის, როდის დადგებოდა ის დღე!

* * *

ის დღე გაახსენდა ბერის, მართას რომ კომკავშირში იღებდნენ. თითქოს არ უნდა ყოფილიყო ეს საქმე ძნელი. მართა ხომ გერა კვარაცხელიას შვილი იყო, ძველი რევოლუციონერისა, დედამისს კი — ცაცანას მარქსის „კაპიტალი“ ჰქონდა თურმე წაკითხული. ქალაქში ხომ ორიც ვერ დაიძებნებოდა ასეთი. ტატაჩი მაინც ღელავდა, თუმცა ცდილობდა გარეგნულად ეს არ გაემჟღავნებინა, უფრო მეტიც, მართას ამშვიდებდა:

— ნუ გეშინია, ძღაბი! შეგეკითხებიან, რატომ შედიხარ კომკავშირშიო, შენც აიღე და უპასუხე, იმიტომ რომ ახალი, დიდებული მუშურ-გლეხური სახელმწიფო უნდა ავაშენო-თქო... დიდი სტალინის დროშის ქვეშ უნდა დავდგეთქო...

მართა თავს უქნევდა, ლამაზი შუბლი ეჭმუხნებოდა. ბაგე ბავშვივით უთრთოდა და მოჯადოებულ ტატაჩის ღამღამობით ეს ბაგე ესიზმრებოდა.

ბიკენტი ჩუმად უსმენდა ტატაჩის. ლამაზ თვალებს უხსენებელივით მიაცივებდა ხან ერთს, ხან მეორეს. ერთ კლასში ისხდნენ სამივენი — ტატაჩი, ბიკენტი და მართა. ერთმანეთს ისე შეეზარდნენ, თავდაპირველად ბიჭებს მართა მათი ნათესავი ეგონათ, მისი გულისათვის არაერთხელ სხვა ბიჭები უტყეპიათ. თანდათან გაირკვა, ვინ ვინ იყო. სამი საამაყო რევოლუციონერის შვილობა გამორჩეულსა ხდიდა მათს ყოფას. თანდათან ბიჭების გულში მეტოქეობამ დაივანა. ფარული ბრძოლა იქ, იმ ბნელეთში მიმდინარეობდა, სულის წიაღში, ზედაპირზე კი მცირე გაელვებაღა ამოაღწევდა. ხმა უნებლიედ გაუტყდებოდა ტატაჩის, ენა აუბორძიკდებოდა. სიფითრე გადაეკრობოდა ბიკენტის, უცბად გაიცრიცებოდა, დაუშნოვდებოდა. მართას კი სიწითლე აუღვივებდა ლოყებს, ნაძალადევ სიცილში მალავდა გაუმხელელს.

თავისთავად გამოვიდა ასე, ძალდაუტანებლად, მართა ტატაჩის უფრო მიენდო. ქალივით ნაზი იყო ტატაჩი. უფრო ღია და გულუბრყვილო. ეამაყებოდა, ნესტორის შვილი ვარო. ოცდაოთხში მეამბოხე მენშევიკებმა მოკლესო, რომ უთხრეს, ოდნავი ეჭვიც არ შეპარვია. მამა ყოველთვის ცხენზე ამხედრებული წარმოედგინა, წითელი დროშის ფონზე. დროშას ნიავი აფრიალებდა, ტკაცუნი გაჰქონდა. ნესტორის შვილიც ჭეშმარიტი კომკავშირელი და ბოლშევიკი უნდა გამხდარიყო, თუ საჭირო იქნებოდა, თავიც უნდა დაედო დიადი საქმისათვის... ბიკენტი უფრო გულჩახვეული გაიზარდა. არასოდეს დასცდენია, მამაჩემი ძღვიბი თოლორა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ია, დიდი კაციაო. რა კაციც იყო, შესანიშნავად ხედავდა. ტატაჩის გულუბრყვილო ტიტინი აღიზიანებდა, მისი სინაზე ზიზღსა გვრიდა. მაგრამ წინასწარვე, აკვანშივე დაანათლეს კვარაცხელიასა და თოდუას ნაშიერებთან მეგობრობა. ძღვიბი აძალებდა, რადგან მამების ლეგენდა შვილების ლეგენდით უნდა გაგრძელებულიყო.

კინაღამ ჩაშალა ბიკენტიმ კომკავშირული კრება. გულში ალბათ ბოღმა ჩაივანა, ეჭვიანობამ ღვიძლი აუწვა და მართას დასჯა გადაწყვიტა.

— დიდი რევოლუციონერი კი არა, მორწმუნე იყო მართას მამა, პირჯვარს იწერდა!

მართა გაწითლდა, ენა ჩაუვარდა. მამა პატარას დაეღუპა და არაფერი იცოდა მისი რწმენისა.

— სიცრუეა! — წამოვარდა ტატაჩი. — ქალაქში ყველამ იცის, ვინც იყო გერა კვარაცხელია!

— არაფერსაც არ ვცრუობ! — ცივად, აუღელვებლად შეეპასუხა ბიკენტი. — ან რატომ უნდა ვიცრუო! ის კიბე, მაცხოვრისგორაზე რომ ადის, გერას გაკეთებულია, ეკლესიამდე უნდოდა აეყვანა, არ დასცალდა!

აირია კრება. ახალგაზრდები ადგილებიდან წამოცვივდნენ. ბევრს არ სჯეროდა ბიკენტის ნათქვამი, სხვები კი, ჯერაც გამოუცდელნი, იოლად ამსხვრევდნენ გუშინდელ კერპებს. გასაოცარი ამაში არაფერი იყო, აგერ ა, გუშინ ტროცკის მოსცხეს... ბელადი ბელადიო და თურმე მოღალატე და ტროცკისტი აღმოჩნდა!

მართას თვალზე ცრემლი მოადგა. ან რა უნდა ეთქვა, აქამდე საამაყო მამას მიწაში უმარხავდნენ. ღვთის და თურმე მოღალატე და ტროცკისტი აღმოჩნდა!

ბერი უფროსობდა იმ კრებას. რამდენიმე წლით უსწრებდა მართას თანაკლასელებს, სკოლის კომკავშირლებს თავკაცობდა. თვითონაც თვალს ვერა სწყვეტდა გოგონას და მისი ცრემლი აფორიაქებდა. თუმცა რა ექნა, პოლიტიკური სიფხიზლე ხომ უნდა გამოეჩინა. ბიკენტი რიგითი მოსწავლე და კომკავშირელი კი არა, თვით ძღვიბი თოლორაიას შვილი იყო.

— ამხანაგებო, ნუ აღელდებით! მოდით, შევეკითხოთ ამხანაგ თოლორაიას, ე. ი. ბიკენტის მამას!

შეეკითხნენ კიდეც! დეპუტაცია აახლეს მრისხანე შინსახკომელს, თვით ბიკენტი და ბერი, მართა და ტატაჩი. გოგონას საშინელი განაჩენის მოლოდინში გული უკანკალებდა.

ძღვიბი თოლორაია ლოგინად იწვა იმ დღეებში. ზოგ-ზოგჯერ ავადმყოფობდა ბოლო დროს. ექიმებს მისთვის წამალი ვერ აღმოეჩინათ. პატარა კაცუნა მთლად დალეულიყო. ეშმაკი პირისახე დამჩაჩული ჩირივით აჩნდა ბალიშს. ქავილი აწუხებდა ძღვიბის, ტან-კისერზე მუწუკს აყრიდა. იმდენს იფხანდა, სისხლს დაიდენდა ხოლმე და სიმწრის ზმუილს იწყებდა... მერე მცირე ხნით გადაუვლიდა, გამოკეთდიო, იფიქრებდა, დაიბანდა, ხალხში გამოჩნდებოდა, მტერსა და მოყვარეს გაიკითხავდა, მცირე ხნით კვლავ ის ქოსა ძღვიბია იყო, შიშის ზარს რომ სცემდა ქალაქს, მაგრამ სენი, სასჯელად მოვლენილი, ისევ მოუბრუნდებოდა და ლოგინად დააგდებდა.

ახედა ქოსამ ახალგაზრდებს, სათითაოდ შეათვალიერა, იყუჩა მცირედ, თითქოს რაღაცას თავის გუნებაში წონისო და ბოლოს ბრძანა:

— გერა კვარაცხელია უმწიკვლო რევოლუციონერი და ჩემი დიდი მეგობარი იყო... ნესტორ თოდუაც უმწიკვლო რევოლუციონერი და ჩემი დიდი მეგობარი იყო. ისინი დაეცნენ საბჭოთა ხელისუფლებისათვის დიად ბრძოლაში! მათ სწამდათ მხოლოდ და მხოლოდ პროლეტარიატის დიქტატურა და ინტერნაციონალიზმი... რაც შეეხება კიბეს, გერა იმ კიბეს იმიტომ აშენებდა, რომ ტაძრის ადგილას ჩვენი დიდი ბელადების ლენინისა და სტალინის ძეგლები აგვეგო. მაშინ ვერ შევძელით, აწი, ჩვენი ძლევამოსილი გამარჯვების შემდეგ ავაგებთ

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

კიდეც!.. ჩვენ სამნი შემოვუძეხით საბჭოთა ხელისუფლებას — მე, გერა და ნესტორი!

ძღვიბი თოლორაიასთან მანცხარკარში არავინ დაობდა.

— ხომ გეუბნებოდი, ძღაბი! — ტატაჩიმ ხელი ჩამოართვა მართას, თან გაწითლდა...

ბერი ზაქარაიაც გაწითლდა, ამოიხვნეშა...

* *

ადრე დაქვრივებულებს გაუჭირდათ. ცაცანამ ბიბლიოთეკაში იშოვა ადგილი. ხელფასი მცირე ჰქონდა, მაგრამ ღამღამობით კერავდა ხოლმე და ორი სულისათვის საკმარისი გამოუდიოდა. ეფრომ სხვა რამ ხელობა არ იცოდა, გარდა თოხისა და ბარისა. მის პატარა ეზოში გოჭი და ქათამ-ინდაური არ ილეოდა, თითო ძროხა ყოველთვის ჰყავდა, კარგად მოვლილი ბოსტანი და ბაღი ჰქონდა. ფულიც იყო, ცხადია, საჭირო, შოვნა კი გაძნელდა... მაშინ მოისაზრა ტატაჩიმ, კაცი ვარ უკვე და თავს უნდა მივხედოო.

თექვსმეტისა ხდებოდა...

ბევრი არ უფიქრია, ადგა და ძღვიბი თოლორაიას მიუკაკუნა.

პატარა კაცი იყო ძღვიბი, დალეული, მაგრამ ხელქვეითებად მუდამ დევები ჰყავდა, ღონივრები და შიშისმომგვრელნი. იქნებ ამიტომაც იყო, მის მძიმე გამოხედვაში, ხელის ნელ მოძრაობაში, დამარცვლით საუბარში თავდაჯერება და ძალა იგრძნობოდა. თუმცა ძღვიბიმ ისეთი ცხოვრებით იცხოვრა, სხვისი დევობა არც სჭირდებოდა, ძალაც დიდი მოიპოვა, მისი ძლიერი სული ალბათ ვერც ეტეოდა ამ პატარა დაჯღვარკნილ სხეულში.

ტატაჩი შიშნარევი ცნობისმოყვარეობით მისჩერებოდა. პირი ოდნავ ღიად დარჩენოდა და ძღვიბის გაეღიმა:

— კაი ქენი, ჩემთან რომ მოხვედი! — გამოზომილად, სვენებ-სვენებით ამბობდა. — მამაშემი ჩემი უპირველესი ძმაკაცი იყო. მენშევიკებმა რომ მოკლეს, ბაღანასავით ვტიროდი... დიახ, დიდი კაცი იყო ნესტორ თოდუა, პარტიის ერთგული შვილი... მამას უნდა მიბაძო ყველაფერში. ჯერ პატარა ბიჭი ხარ, უნდა ისწავლო, კაცი გამოხვიდე... სამსახურში შიკრიკად მიგიღებ, კაი ორმოცი მანეთი ხელფასი გექნება, დრო თავზესაყრელი. დაიდევი წიგნი მუხლებზე და იმეცადინე. არ უნდა ჩამორჩე ტოლ-სწორებს. ცუღლუტობა არ გამაგონო, სირცხვილია მამაშენის შვილისათვის...

ამგვარად ილაპარაკა კიდევ ცოტა ხანს და გამოუშვა.

ჩააცვეს ტატაჩის გიმნასტურა, ფეხებზე ქირზის ჩექმები, თავზე კოზიროკიანი ქუდი და გაამწესეს შიკრიკად. იჯდა უფროსის მისაღებში. წამდაუწუმ აგზავნიდნენ აქედან იქით, მაღლა, დაბლა, მარჯვნივ და მარცხნივ... და ჰქონდა ბარათები, პატარა, ნაცრისფერ კონვერტებში ჩადებული, თან ჟურნალიც, ხელის მოსაწერად. გააფრთხილეს, სახელმწიფო საიდუმლო დაიცავიო, არსად არაფერი გათქვაო, თუმცა რომც სდომებოდა, რას გათქვამდა, რაკი მიდიმოდის გარდა არც არაფერი ესმოდა.

საღამოობით შინ ვერ ჩერდებოდა. გავარდებოდა კვარაცხელიებთან.

— ცაცანა დეიდა, მართას იბარებენ კომუჯრედში!

მართა უკვე მზად იყო, გამოცქრიალდებოდა სახლიდან და ტატაჩის გული მუშტივით შეეკუმშებოდა. მართას პირისახეზე სინათლე ეფინა, თვალები უცინოდა, ტუჩები... „უჰ, — გუნებაში ამოიოხრებდა ტატაჩი, — ტუჩებს ნუღარ იტყვი...“

ცაცანა ვერ ამჩნევდა ახალგაზრდების მღელვარებას, გაზეთს აუფრიალებდა თვალწინ, დღევანდელ „კომუნისტში“ „პრავდის“ მოწინავე რომაა გადმობეჭდილი, ის თუ წაიკითხეო. ეს ჩალასავით უგემური მოწინავეები თავის ასატკივებლად თუ იყო მოგონილი, ცა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცანას კი მისი წაკითხვა აუცილებლად მიაჩნდა და ტატაჩისაც აიძულებდა.

— ჰო, დედა, წაიკითხავდა, აბა რას იზამდა! გვეჩქარება, ხომ ხედავ! — მართა ჩაერთვებოდა მოულოდნელად, წრიალებდა, ფეხებს აბაკუნებდა, ტანზე კაბა უთრთოდა.

გვერდიგვერდ დაუყვებოდნენ ორღობეს, რა თქმა უნდა, საქმიანი საუბრით... გვერდი-გვერდ, მაგრამ შორიშორ, რაკი ვერც ერთი ვერ ბედავდა გულისნადების გამხელას. რა დროს სიყვარულიაო, გულსგარეთ ფიქრობდნენ, ჯერ მტერს უნდა გავუმკლავდეთო, სიყვარულის დროც დადგებაო.. ახალ, ბედნიერ საზოგადოებაში, აი, გორაკს მიღმა, ხელის გაწვდენაზე რომ შენდებოდა. ამიტომაც უფრთხოდნენ იდაყვების უნებლიე შეხებასაც, დენის უეცარ დარტყმასავით რომ დაუვლიდათ ძარღვებში და ტატაჩის ენაწყლიან საუბარს შეაწყვეტინებდა.

ტატაჩი კი ენას არ აჩერებდა. მართა ჯერაც სკოლაში დადიოდა, ტატაჩი უკვე „მსახურობდა“, „მტერს ებრძოდა“. გოგონას წარმოსახვაში იგი წერილების უბრალო დამტარებელი კი არა, მზვერავი იყო, რომელსაც წამდაუწუმ მტრის ზურგში აგზავნიდნენ და ამით მის სიცოცხლეს გამუდმებით საფრთხე ემუქრებოდა.

იმ დროს ბევრს იჭერდნენ, ეგონათ რომ ბევრსო, რადგან არავინ იცოდა, ხვალე რას მოიტანდა.

— არა, ბუხარინს მაინც რა უნდა! — იცინოდა ტატაჩი. — კუმ ფეხი გამოყოო.

ბუხარინის გვარს გაზეთში თუ შეხვდებოდა. წესიერად არ იცოდნენ, ვინ იყო და მართლაც რა უნდოდა. მისი გვარი „ბუხარის“ ასოციაციას იწვევდა და ალბათ სასაცილოც იყო „ბუხარის“ პრეტენზია.

— ზინოვიევს ხომ არ ეყო და არ ეყო პატივი... არა, რის გამო ხდებიან ადამიანები მოღალატეები?..

მართა თავს უქნევდა, ჩუმად უსმენდა. აზრი ვერ გამოეტანა, მაგრამ უკვირდა კია, საიდან იცოდა ტატაჩიმ ამდენი, მანცხვარკარიდან გაუვლელად სად შეხვდა იმ ბუხარინსა და ზინოვიევს, რანაირად გაიცნო ასე კარგად.

ასე საუბარ-საუბრით გავიდოდნენ ჩხერიის პირას. ისხდნენ მოფარებულ ადგილს , ეგონათ, მოფარებულსო და ჩურჩუტულ-პოლიტიკური მჭევრმეტყველებით ერთმანეთს თავბრუს ახვევდნენ.

ერთხელაც იყო და, აქ წააწყდნენ გოგო-ბიჭს ბიკენტი და ბერი. მართლაც კომუჯრედის სხდომიდან მოსეირნობდნენ. ესენიც პოლიტიკაზე საუბრობდნენ, იმ ბნელ ხლართებში, რომელშიც გარკვევა ძნელია, მაგრამ იოლია დანის ერთი დარტყმით კვანძის გახსნა.

მართა ქვაზე იჯდა. ხელები მუხლებზე დაეწყო და სახეზე ჩამავალი მზის ჟანგისფერი სხივი ეფინა. ტატაჩი მოშორებით იდგა, გულზეხელდაკრეფილი რაღაც ამაღლებულს ყვებოდა. ამ სურათმა უცბად გამოავლინა ახალგაზრდების უბიწოებაც და ფარული ვნებაც, რასაც ერთმანეთსაც და მთელ ქვეყანასაც უმალავდნენ.

ბერის საშინლად დასწყდა გული, გაფითრდა, მაგრამ ბედს შერიგებულმა, სცადა თავი არ გაეცა.

ბიკენტის კი ლოყები აუფორაჯდა, თვალი გველივით დაუწვრილდა და ტატაჩის ამრეზით ახედა.

— გოგოს ტვინს ნუ უმღვრევ, ამხანაგია ჩვენი!

— მე ვუმღვრევ? — დაიბნა ტატაჩი, უთქმელის გათქმისა შეეშინდა.

— ჰო, შენ! გვინახავს შენნაირი ჩიტები!

ჩხუბს ალბათ მეტი არაფერი ჭირდება, მაგრამ მართა წამოხტა. ბრაზით, აღელვებით, თხოვნით... ხან ერთს მივარდა, ხან მეორეს, ხან მესამეს:

— ბიკენტი!.. ტატაჩი!.. ბერი!.. ბიჭებო!

სამივე დაშოშმინდა, არც ერთს არ სურდა ხვაშიადის გამჟღავნება. ამიტომაც დათმეს, არ ჩაეჭიენ ერთიმეორეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტატაჩი მიხვდა, ფხიზლად უნდა ყოფილიყო, თორემ მისი წილი ბედნიერება ხელსა და ხელს შორის გაუფრინდებოდა. თუმცა არ იცოდა, რა ელონა. დროც აღარ ჰქონდა მოსაფიქრებლად. სწორედ იმ დღეებში ჩაუტარა ძღვიბი თოლორაიამ კაცობის გაკვეთილი.

კაბინეტში გამოიძახა, წინ დაისვა და ჰკითხა:

— რამდენისა ხარ, თუ იცი?

— თექვსმეტის! — მორცხვად შეეპასუხა ტატაჩი, ცოტათი წაიმატა ასაკი.

— თექვსმეტი ცოტა არაა, თექვსმეტისანი თავს ვდებდით სამოქალაქო ომში! ხომ იცი, რა მოხდა ჩვენთან?

დიახ, როგორ არ იცოდა!.. დაჭერებს მოუხშირეს. სოფლებიდანაც მოჰყავდათ „ხალხის მტრები“ ბლომად, თვით მანცხვარკარში კი შინსახკომის მწვანე „ვილისი“ სადაც გაივლიდა, მოქალაქენი სახლებში იკეტებოდნენ, შემთხვევით, ხელს არ გაგვაყოლონო. უკვირდა ტატაჩის, ასე უცებ ამდენი მტერი საიდან გაჩნდაო. ადამიანი ბოროტია! პირში გიცინის, გესიყვარულება, უკან კი დანას ლესავს, მზადაა ყელები დაგაჭრას... აქამდე გარეშე მტერი უფრო იყო, ახლა ციხე შიგნიდან გატყდა თურმე. მტრის აგენტურას შინსახკომის ფრთებქვეშ კვერცხი დაუდვია, წიწილები გამოუჩეკია და კარგა მოზრდილი ვარიები დაუზრდია. ძღვიბი თოლორაიას ვინ რას გამოაპარებდა. ჩაუსაფრდა, მახე დაუგო და გაიმარჯვა. ერთ დღეს მოხვეტეს გუშინდელი შინსახკომელები და იმ გზას გაუყენეს, საითკენაც მანამდე სხვებს აგზავნიდნენ.

— ხალხი შემოგვაკლდა, — ცალყბად გაიღიმა ძღვიბიმ. —საქმეს კი ვერ გავაჩერებთ. რა თქმა უნდა, მტრის დანდობა არ იქნება, მაგრამ უკანონობასაც ვერ დავუშვებთ! ყოველი დაპატიმრებულის საქმე უნდა გამოვიძიოთ, ჭეშმარიტება დავადგინოთ! მხოლოდ ამის შემდეგ უნდა დავსაჯოთ მტერი, მოყვარეს კი რას ვერჩით.., აიღე ახლა ეს საქალალდე, დაჯექი მესამე კაბინეტში და ეცადე სიმართლე გამოარკვიო. დღეის იქით გამომძიებელი ხარ! — ეს შენი პირველი საქმეა, იგი ეხება მეტად საშიშ გარეწარს, ჯაშუშსა და მოღალატეს. ასეთები უნდა გასრისო მატლივით!

ტატაჩის კინაღამ ხელიდან გაუვარდა საქალალდე, თუმცა წონა სულაც არ ჰქონდა, შიგ ალბათ რამდენიმე ფურცელიღა იდო. თავი მაინც არ გასცა, სხარტად, ყოჩაღად წამოდგა, ქუსლზე შემოტრიალდა და გუშინდელი შიკრიკი გაემართა მესამე კაბინეტისაკენ, რათა ასაკოვანი ბიძიებისა და დეიდების ბედ-იღბალი გადაეწყვიტა...

— რა გულუბრყვილონი ვიყავით! — ფიქრობდა შემდგომ ბერი ზაქარაია. — სიკეთე გვინდოდა გვეთესა და ამ სიკეთის დროშით არაფერს ვინდობდით. ახლაც მიკვირს, ჩვენ თუ სიკეთე და ბედნიერება მოგვაქვს, ამდენი კაცი რატომ აღუდგება მას წინ, საიდან ჩნდება ამდენი მტერი?.. მე ხომ ვიცნობდი ტატაჩის!.. კარგი კაცი იყო ტატაჩი თოდუა და ვერ გამოვესარჩლე!.. რატომ?.. შურის გამო? უცოდინრობის?.. უფრო შიშის!..

ბერი ზაქარიას თავში ლაგდებოდა შიშის ისტორია, არათუ საკუთარი შიშისა, არამედ ქვეყნიერების შიშისა. იქნებ ადამიანის არსებობა შიშის გარეშე საერთოდ შეუძლებელია. ოღონდ არის ჟამი, როცა შიში უხილავი და ყოვლისმომცველია. სიყმაწვილის დროს. სადღაც, მთებს გადაღმა ომი მძვინვარებდა, სიკვდილი სამკელს იმკიდა, მაგრამ ყოველივე ეს გასაგები იყო — იმპერია იმპერიას ებრძოდა და გიგანტთა ეს ჭიდილი უსისხლოდ ვერ დამთავრდებოდა... რევოლუციამ სისხლიანი ქარიშხალი მოიტანა. ესეც გასაგები იყო, ახალი ხელისუფლება ანადგურებდა ძველს... საქართველო წითლებმა რომ დაიპყრეს, არც ეს იყო გაუგებარი, რადგან არც ერთი დაპყრობა უსისხლოდ არ მომხდარა. დაპყრობილს ალბათ ეშინოდა, მაგრამ დამპყრობელიც ვერ გრძნობდა თავს უსაფრთხოდ... ოცდაოთხის სისხლიან სასაკლაოზე პირვე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლად გახდა გაუგებარი ვის კლავდნენ და რისთვის... შემდგომ ყოველივე ორ ფერად შეიღება — თეთრად და შავად, თუმცა არავინ უწყოდა, რა იყო თეთრი და რა იყო შავი... ამ გაურკვევლობამ შიში გააძლიერა, ცხოვრების ყველა კუნჭული მოიცვა, ამოსუნთქვის საშუალება მოსპო... შიში აღმოჩნდა ერთადერთი მამოძრავებელი ძალა. შიშის რელსებზე შემდგარი მატარებელი უფრო და უფრო უჩქარებდა სვლას, ბორბლებს გრიალი გაჰქონდა და ყურთასმენა წაეღო. ფიქრის არც დრო იყო, არც საშუალება. მაშინ ყველამ იწამა, რომ გზა, რომლისკენაც შიში მიერეკებოდა, ჭეშმარიტია.. მსხვერპლი აუცილებელია. და თუმცა ყველა ცდილობდა თვითონ არ მოხვედრილიყო მოლოხის ქვეშ, მაინც და მაინც თუ გამოსავალი არ იქნებოდა, ზვარაკის მოთმინებით ეწირებოდა დიად საქმეს, რისი ნამდვილი ფასი არავინ უწყოდა...

შიში თან სდევდა ბერი ზაქარაიას, უსაგნო და გაუთვითცნობიერებელი. ამიტომაც იწამა, რაკი ეს იყო გადარჩენის ერთადერთი საშუალება. თუმცა გულის გულში უპასუხო კითხვები უგროვდებოდა... ერთიც მაშინ დაებადა, როცა თექვსმეტი წლის ტატაჩიმ ბუდიდან რევოლვერი ამოიღო და ხელში შეათამაშა... ჩაიცინა ტატაჩიმ, მის ამ ჩაცინებაში უფლებამოსილება იგრძნობოდა, შეეძლო ძალაუფლება ისე გამოეყენებინა როგორც მოისურვებდა, მაგრამ ბერის ხომ არ აწყენინებდა და ამიტომაც მხოლოდ ჩაიცინა...

17

იროდიონ თადეოზის ძე რიგვავა, დაბადებული 1875 წელს, ქ. მანცხვარკარში, თეატრალური რეჟისორი, მანცხვარკარის დრამატული თეატრის თანამშრომელი, შეეკრა რა გერმანიისა და იაპონიის დაზვერვებს, უღალატა სოციალისტურ სამშობლოს და მტერს გაღასცა ცნობები, რამაც ძირი გამოუთხარა ქვეყნის უშიშროებას. ბოლოს, გერმანიის დაზვერვას იროდიონ რიგვავა მიეყიდა ჯერ კიდევ რევოლუციამდე, როცა ახალგაზრდობისას ჩავიდა ბერლინში იურისპრუდენციის შესასწავლად. რაც შეეხება იაპონიის დაზვერვას, იროდიონ რიგვავამ მასთან კონტაქტი დაამყარა თავისი გერმანელი რეზიდენტის ბრძანებით. კონტაქტი შედგა მანცხვარკარში ე წ. ჩინელი კომუნისტის ლიუ ცზიშის მეოხებით... იროდიონ რიგვავას დანაშაულს შეეფარდება საქ. სსრ სისხლის სამართლის კოდექსის მუხლი №№.

ტატაჩი თოდუამ ყოველივე ეს ამოიკითხა თხელ საქაღალდეში. ვინც ტექსტი შეადგინა, კალიგრაფიით ვერ დაიკვეხნიდა. ტატაჩი ასო-ასო კითხულობდა და ვერაფრით დაუკავშირა ჩინელი კომუნისტი იაპონურ და გერმანულ დაზვერვას... შეეცადა წარმოედგინა სად იყო იაპონია, ჩინეთი, გერმანია — ერთმანეთთან ვერანაირად ვერ მოათავსა და საკუთარი თავის წინაშე შერცხვენილი საქმიანი იერით მიუჯდა მაგიდას. წინ ოქმის დასაწერი ქაღალდი და საწერკალამი დაიდო. გული უფართქალებდა, მაგრამ გარეგნულად არაფერს იმჩნევდა. უბრალო საქმე ხომ არ იყო, იაპონიისა და გერმანიის დაზვერვის აგენტი უნდა დაეკითხა. გააფრთხილა კიდეც ძღვიბიმ, ფხიზლად იყავი, არ გაგაცუროსო.

იროდიონ რიგვავა წარმოსადეგი, ლამაზი მამაკაცი აღმოჩნდა. წვერი სუფთად გაეპარსა, მოკლედ შეკრეჭილი, ჭაღარა თმა უკან გადაევარცხნა. კიტელი ეცვა, საყელოში თეთრი, ქათქათა ნაჭერი ჩაეყოლებინა. სუფთა ხელებზე ფრჩხილები დაჭრილი ჰქონდა და, რამაც ტატაჩი გააკვირვა, გაპრიალებულიც. თავი ღირსეულად ეჭირა. ეტყობა, ასეთ ახალგაზრდა გამომძიებელს არ ელოდა. ალბათ იფიქრა, თვალი მატყუებს, თორემ რაც ჩანს, იმაზე მეტისა იქნებაო.

ტატაჩიმ ჩაახველა, ხმა ჩაიწმინდა. ღელავდა და სკამზე ვერ ისვენებდა.

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

საკუთარ თავზე გაბრაზდა და ფიცხად თქვა:

— დაბრძანდი, მოქალაქე, და ყველაფერი პირნათლად მომიყევი!

— დიახ, ბატონო მოქალაქე, მაგრამ რომ არ ვიცი, რა გაინტერესებთ? — აუღელვებლად უპასუხა ირ0დიონმა.

— ბატონობა დიდი ხანია გადავარდა, მე ბატონი არ გახლავარ! — ტატაჩი ისე გაიფხორა, თითქოს შეურაცხყოფა მიაყენესო.

— დიახ, ბატონო... — დაიბნა ირ0დიონი. — ეს მე ისე...

— ჰო! —მოლბა ტატაჩი. — რაკი არ იცი რა მაინტერესებს, კითხვებს დაგისვამ! როგორ და სად გაიცანი მოქალაქე ლიუ ცზიში?

— აჰ, იმ ჩინელს ერქვა ლიუ ცზიში? — გაიკვირვა ირ0დიონმა. — არც კი ვიცოდი!

— როგორ არ იცოდი, როცა აქ, მანცხვარკარში შეხვდი?

— კი, ბატონო... აჰ, უკაცრავად! მე, ბატონო მოქალაქე, კაი რუსული ვიცი. ამიტომ ბატონმა თოლორაიამ დამიბარა, უცხოელი სტუმარი ჩამოდის, ჩინელი კომუნისტია. ჩვენი რაიონი უნდა ვაჩვენოთ, თავი მოვაწონოთო. მე ხომ ჩინურისა არაფერი გამეგება-მეთქი. ჩინური აქ არავინ იცის, მაგრამ იმ ჩინელს ალბათ ორი ღერი რუსული ეცოდინება და იქნებ შენ მაინც გაუგო რამეო...

ტატაჩიმ ქაღალდი მოიჩოჩა და ბავშვური კალიგრაფიით დაიწყო ირ0დიონ რიგვავას მონაყოლის ჩაწერა. ჩქარა ვერ წერდა, მონდომებისაგან ენა გამოეყო და ტუჩებზე წამდაუწუმ ისვამდა. ირ0დიონს ჩაეღიმა. ტატაჩიმ ღიმილის მიზეზი ვერ ამოიკითხა, უმწეობა იგრძნო და უხეშად უთხრა:

— შენ განაგრძე!.. გისმენ!

— ისეთი არაფერი მომხდარა! დავხვდით იმ ჩინელს. ვაგონიდან რომ ჩამოვიდა, ორივე ხელი ასწია და მოგვესალმა „ნიხო!" თურმე „გამარჯობათო", — უთქვამს. ჩავსვით მანქანაში და შემოვატარეთ მანცხვარკარი. მე, რაც შემეძლო, ვუხსნიდი. ის იქით-აქეთ იყურებოდა, ყველაფერზე ერთნაირად პასუხობდა — „ხო, ხო!" კარგია, კარგიო... ბოლოს დაიღალა, მუცელზე ხელი დაიტყაპუნა და „ჩიფან, ჩიფანო..." — აიჩემა. მივხვდი , ჭამა უნდოდა. გავუშალეთ ჩვენებური სუფრა. თამადად ბატონი ძღვიბი დაჯდა. იმ ჩინელს არაფერი ესმოდა, მაგრამ ყველაფერს ერთნაირად მიირთმევდა და კმაყოფილი სულ „ხო, ხო"-ს იძახდა... ცოტა რომ დალია, მუშტი ასწია და შეჰყვირა: „ჩან კაი ში ბოხო, სტალინ ხო! სტალინ ვანსაი!.." — ესე იგი ჩან კაი ში ცუდია, სტალინი კარგია და ათასი წელი იცოცხლოსო...

— აკი ჩინური არ ვიციო? — ეჭვით დაეკითხა ტატაჩი.

— „ხო და ბოხოს" რომ მიხვდე, ბატონო მოქალაქე, დიდი ტვინი არ არის საჭირო! — კვლავ გაეღიმა ირ0დიონს. —სხვანაირ ჩინურს კი, რომც მომენდომებინა, ვინ მასწავლიდა?

— იმან ხომ იცოდა რუსული?

— კი, ორი სიტყვა იცოდა „ტავალისც!" და „დავაი, დავაი!"

„მატყუებს! — გაიფიქრა ტატაჩიმ. — აკი უფროსმაც გამაფრთხილა!"

ფიქრით კი გაიფიქრა, მაგრამ თავისდაუნებლიეთ მიენდო ირ0დიონის მშვიდ, აუღელვებელ ხმას.

—გერმანიისა და იაპონიის დაზვერვებზე რაღას იტყვი?

— იცით, ბატონო მოქალაქე, — ირ0დიონმა მხრები აიჩეჩა, —ჩემს სიცოცხლეში გერმანიასა და საერთოდ საზღვარგარეთ არ ვყოფილვარ. იაპონიაზე ლაპარაკი კი უბრალოდ სასაცილოა!

— როგორ? აკი ბერლინში იურისპრუდენცია შეისწავლაო?

—ნეტავი ეგრე ყოფილიყო! ხომ გეუბნებით, ბერლინში არ ვყოფილვარ-მეთქი. თუ დამიჯერებთ, არც იურისპრუდენცია შემისწავლია ოდესმე. უმაღლესი განათლება, სამწუხაროდ, საერთოდ არ გამაჩნია. სანკტ-პეტერბურგში კი ვყოფილვარ, მინდოდა უნივერსიტეტში მესწავლა, მაგრამ პურის ფული აღარა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მქონდა. მოხეტიალე არტისტებს შევეკედლე. სახუმარო სკეტჩებს ვდგამდით და ეზო-ეზო დავდიოდით. ჩვენმა თეატრმა სახელი მოიხვეჭა და საგასტროლოდ წავედით კიევსა და ოდესაში... მერე ომმა მოგვისწრო. ჯარისკაცებისათვის ვთამაშობდით... რევოლუციის შემდეგ შინ ჩამოვედი, თბილისში ვიმუშავე. ერთი წელია მანცხვარკარში მომავლინეს. ალბათ გინახავთ ჩემი სპექტაკლები...

ტატაჩი გაწითლდა. არც მანცხვარკარისა და არც რომელიმე სხვა თეატრში არასოდეს ყოფილა, ვერ მოიცალა. რცხვენოდა ამის გამხელისა. სიმორცხვემ გააფიცხა, შუბლი ჯიუტად წინ წასწია და თქვა:

— ვერ ვიცლი თეატრისათვის, სულ ვომობთ და ვომობთ!

ირონდიონ რიგვავამ გაკვირვება არ დაიმჩნია. ხელი მოხდენილად ასწია, მზერა ჭერისაკენ აღაპყრო და წაუმღერა:

— აჰ, ახალგაზრდავ, იცით, თეატრი ეს არის...

აზრი არ დაუბოლოებია, მაგრამ ისედაც ნათელი იყო, რომ თეატრი რაღაც ღვთაებრივი და დიადია.

—უკაცრავად, ბატონო მოქალაქევ, რამდენი წლისა ბრძანდებით?

— რაში გჭირდება? — უხეშად შეეპასუხა ტატაჩი.

— იცით, თქვენ აუცილებლად უნდა ნახოთ „რომეო და ჯულიეტა“. რომეო თითქმის თქვენი ტოლია. არ შეიძლება ამ სპექტაკლმა არ შეგძრათ! თქვენ, ალბათ, შექსპირი წაკითხული გაქვთ?

ტატაჩის არც შექსპირისათვის ეცალა.

— სამწუხაროა, სამწუხარო! — ამოიოხრა ირონდიონმა. — ჩვენ ვერ ვიცლით ჭეშმარიტი ღირებულებებისათვის, ცხოვრება კი, იცით, მიდის. ამაღლებული ხელოვნება ადამიანს აკეთილშობილებს. როცა რომეო და ჯულიეტას ტრაგიკული სიყვარულის ამბავს გაიგებს, მკვლელიც კი დანას გადაგდებს და გული შერიგებისათვის გაეხსნება!

— ჰმ, შერიგებისათვის... — ბაგე მოებრიცა ტატაჩის. — გააჩნია, ვის უნდა შეურიგდე! სამშობლოს მტერსა და მოღალატეს მე ვერ შევურიგდები! შენ თუ დაზვერვის აგენტი ხარ...

ირონდიონ რიგვავა უცბად ჩაქრა, სახეზე მოწყენა დაეფინა.

— ახალგაზრდავ, არავისი აგენტი მე არა ვარ და საერთოდ არ მესმის აქ რატომ მომიყვანეს!

გულის სიღრმეში ტატაჩის სჯეროდა ამ კაცისა. მართლაც რაღაც შეცდომაა! გაიფიქრა. — ალბათ შეაცდინეს ამხანაგი ძღვიბი, თორემ ქალაქში ასე გამორჩეულ კაცს ვინ დაიჭერდა!“

— აბა, დაიფიცე! — ბავშვურად, გულუბრყვილოდ სთხოვა ტატაჩიმ.

— სინდისს ვფიცავარ! — სერიოზულად თქვა ირონდიონმა.

— ასევე დაწერე ყველაფერი! — ქაღალდი გაუწოდა ტატაჩიმ. — წაიკითხე და ხელი აქ მოიწერე!

ირონდიონ რიგვავამ ხელი მოუწერა და იმედით შეხედა:

— გამათავისუფლებენ?

— უფროსს მოვახსენებ და ვნახოთ!

— ბატონო მოქალაქევ, ნუ მიწყენთ და გირჩევთ სპექტაკლს დაესწროთ!

ნახევარი საათის შემდეგ ტატაჩი უფროსის კაბინეტში იდგა.

— მაშ, შენ დაასკვენი, რომ რიგვავა უდანაშაულოა?

— დიახ! —ენა აუბორძიკდა ტატაჩის.

— რაღა დაგვრჩენია, ბოდიში უნდა მოვუხადოთ შეწუხებისათვის და გავუშვათ!

— დი—იახ!

— ასეც ვიზამ, ამხანაგო ტატაჩი, მაგას, მაგრამ ნებას თუ მომცემ, ამაღამ მეც დავკითხავ და თუ ყველაფერი შენებურად დადასტურდა, ცხადია, გავუშვებთ! — ძღვიბის უცებ სახე გაეყინა, თვალები დაუწვრილდა და წაისისინა: — ჩვენ ხომ მსოფლიოში ყველაზე სამართლიან ქვეყანაში ვცხოვრობთ, არა, ამხანაგო ტატაჩი! უდანაშაულოს თა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვიდან თმის ღერსაც ვერავინ ჩამოუგ-
დებს, ხომ ასეა, ამხანაგო ტატაჩი?!

— დიახ! — შემკრთალმა ბიჭმა უკან-
უკან დაიხია და, კარი რომ მიხურა,
შვებით ამოისუნთქა. თვითონაც ვერ
გარკვეულიყო, ასე რატომ თრგუნავდა
ამხანაგ თოლორაიასთან საუბარი.

მზე უკვე გადახრილიყო და სიცხია-
ნი დღე ალბათ საამური სიგრილით
შეიცვლებოდა. ტატაჩი სააფიშე ტუმ-
ბოსთან გაჩერდა, სხვადასხვა უინტერე-
სო აფიშებს შორის თეატრალურიც
მონახა. „უილიამ შექსპირი. რომეო და
ჯულიეტა. დამდგმელი რეჟისორი ირო-
დიონ რიგვავა...“ ქურდულად მიმოიხე-
და. თითქოს საძრახის საქმეს სჩადიო-
და. აქამდე არასოდეს გაჩერებულა
აფიშასთან, არ დაინტერესებულა, რა-
დგან თეატრი სულ სხვა განზომილება-
ში არსებობდა.

გზა განაგრძო, ყოყმანობდა. არ იცო-
და როგორ ხდება ეს — თეატრში
წასვლა! „მივალ სალაროსთან, ბილეთს
ვიკითხავ, მოლარე კი მეტყვის — შენ
რა, ახალგაზრდავ, აქაური არა ხარ?
ბილეთი რამდენი ხანია, დაიტაცეს,
მა-აშ, შენ დაგელოდებოდნენ, როდის
ინებებდი მობრძანებას!..“ ხვალ კი
ირომდიონ რიგვავას ეტყვის, ვიყავი,
მოქალაქევ, თეატრში, მაგრამ ბილეთე-
ბი დაუტაცნიათ და არავინ შემიშვაო.
ჩემი სახელი რატომ არ ახსენეთ? —
შეწუხდება ირომდიონი, თუმცა ნაძალა-
დევად, რადგან უხარია, რომ მის სპე-
ქტაკლზე ტევა არ არის... ამ ფიქრე-
ბით მიადგა ტატაჩი სალაროს. კაცი-
შვილი ახლო-მახლო არ ჩანდა. სარკ-
მლიდან მოლარემ გამოიხედა ამრეზით,
თითქოს ეუბნებოდა, მოგცლია ერთი,
რას მოეთრეოდიო.

— სამი ბილეთი!

ბილეთები ჯიბეს წვავდა. ეგონა, რომ
ყველა ხვდებოდა, თეატრში მიდისო.
უყურეთ, ბავშვივით აცეტებულა, რა
კაცის საქმეა თეატრში სიარული.
ან სამი ბილეთი რაღად გინდა? — ეშ-
მაკუნა ჩასჩურჩულებდა დაცინვით...
რა ვიცი? — ყოყმანით პასუხობდა ტა-
ტაჩი. — აგერ, ბიკენტის დავპატიჟებ,
იქნებ მართაც წამოვიდეს... მართა რომ
ნახა, ბიკენტი გადაავიწყდა, სითამა-
მე მოაკლდა... პატარა საქმე ხომ
არ არის? სულ სხვაა კომუჯრედის
კრებაზე წასვლა, სულ სხვაა — თეატ-
რში.

— ცაცანა დეიდა, მართას გამოუშვებ?

— სად მიდიხართ, შვილო?

— კომკავშირის კრებაზე!

— ამდენი კრება გაგონილა? ყოვე-
ლდღე კრება გაქვთ?

— აბა რა ვიცი! — დაიბნა ტატაჩი,
მაგრამ ამასობაში მართაც გამოცქრი-
ალდა.

— დედა, თუ საქმეს არგებს, ბილი-
დან საღამომდე კრებას ჩავატარებთ!

— ჰო, შვილო, მაგრამ ჩემს დროს
კრების გარდა, სხვა საქმეებსაც ვა-
კეთებდით!

— ის დრო სხვა იყო, დედიკო! —
— მართამ ცაცანას აკოცა. — ახლა
სხვა დროა! — ჭიშკართან კი კოპები
სასაცილოდ შეკრა და ვითომც გაბრა-
ზებულმა ტატაჩის უთხრა: — ახალი
რამე მოიგონე, ყოველ მოსვლაზე კრე-
ბას, იძახი!

— თეატრი რომ მეთქვა, გამოგიშვებ-
და?

— უი, თეატრში მივდივართ? — ტა-
ში შემოჰკრა მართამ. — სამი ბილეთი
რად გინდოდა?

— ერთი ბიკენტისთვისაა, მაგრამ აწი
ვერ მოვასწრებთ!

ფეხს აუჩქარეს, ოღონდ დაშორიშო-
რებით მიდიოდნენ. ბევრი კი არ სჭი-
რდებოდა მანცხვარკარელთა წინაშე
გამოჭენებას. დარბაზშიც ისე დასხდ-
ნენ, შუაში ცარიელი სკამი ჩაიტოვეს.
ტატაჩიმ ქუდი და ბილეთი დადო, აქა-
ოდა დაკავებულიაო...

გასუსულნი სხედან...

ოლები აჩქარებით უცემთ...

მუსიკა..

ხავერდის ფარდა მაღლა იწევა და
გამოჩნდება ვერონას ხედი...

არ არის ამბავი უფრო სევდიანი, ვი-
დრე ამბავი რომეოსი და ჯულიეტასი...

ეროვნული ბიბლიოთეკა

— შენა გგავს, მართა!

— ის კი შენ!

რომეო ეპარება ჯულიეტას... თითების პირველი შეხება, უნებლიე კრთომა, ნეტარი ჟრჟოლა, ურთიერთლტოლვა გაუსაძლისი...

მართას ხელი ქუდს ეხება... ტატაჩიმაც ქუდს შეახო თითი. უნებლიედ გოგოს ხელს შეხვდა... წამიერი ლაციცი... თავზარდამცემი და ამავე დროს უნეტარესი ჟრჟოლვა უვლით თავით ტერფამდე...

რომეომ ჟულიეტას ხელი დაიჭირა... ეს ბედნიერების მწვერვალია...

ტატაჩიმ მართას ხელი დაიჭირა... რა მოხდა?.. აქამდეც ხომ ჩამოურთმევიათ ხელი კომკავშირულად. სიამოვნებდა, მაგრამ ეს ხომ ჩვეულებრივი სალამი იყო, მეტი არაფერი... ახლა კი თითქოს პირველად შეეხო და ხელიდან ხელში გადაედინება თბილი ტალღები...

მაგრამ ბედნიერება ხომ მარადიული არ არის!.. ტიბალდი, მოუთმენელი და გაბოროტებული... ორთაბრძოლა და სისხლი... ასე ვის გაწირავს ტატაჩი?.. ასე ვის უერთგულებს მართა?..

განშორება... ცრემლი... სიკვდილი..

გამტკნარებული ზის ტატაჩი. კბილი კბილს მიეყინა. სცენას ისე მისჩერებია, თითქოს თვითონ კვდება.

ატირდა მართა, ჩუმად, სირცხვილიანად ასლუკინდა...

ფარდა ეშვება, ტაშის ღონე აღარაა...

გარეთ, ქუჩაში, ბინდი ჩამოშვებულა. მართამ ხელი გასწია, მაგრამ ტატაჩის მისი ხელი უჭირავს, აღარ უშვებს.

ასე მიდიან, მხრებით ერთმანეთს ეხებიან.

— ეროდიონ რიგვავა დაიჭირეს! — თქვა უცებ ტატაჩიმ. — შეცდომით... წარმოგიდგენია, საშინელ სისულელეებს აბრალებდნენ. მე კი სიმართლე გავარკვიე და ხვალ დილით გამოუშვებენ.

მართამ პატივისცემით შეხედა. ცხადია, ტატაჩი უკვე ვაჟკაცია, შეუძლია სიმართლისათვის იბრძოლოს.

აგერ ბიკენტიც! დგას შუა ტროტუარზე, გულზე ხელები დაუკრეფია, პირქუშად იყურება, თუმცა ქუჩის ნათურა თავზევით ბჟუტავს და იქნებ იმიტომაც ჩანს პირქუში.

— სად იყავით? — ხმაში წყენა ეტდობა.

— თეატრში! — წამლერებით, კეკლუცად ამბობს მართა.

— თეატრში! — აჯავრებს ბიკენტი.

— ჰო, შენთვისაც გვქონდა ბილეთი! — ტატაჩის არ მოსწონს მართას კეკლუცობა.

— ჩემთვისაც ჰქონდათ ბილეთი!. დიდი მადლობელი! — გაგულისებით ამბობს ბიკენტი.

სამნი მიდიან, აქეთ-იქიდან ამოსდგომიან ქალიშვილს და მართა სიცილ-სიცილ ხან მარჯვნივ იხრება, ხან მარცხნივ.

— ბრაზიანი ბიჭები! — დააგდებს და ჭიშკარში შევარდება.

ყმაწვილები ცოტა ხანს დგანან, არ იციან როგორ მოიქცნენ.

— ერთხელაც იქნება და შემომელახები!—მოულოდნელი მძულვარებით ამბობს ბიკენტი.

ტატაჩი იფხორება, გული საგულეში ვერ ეტევა.

— მოდი და სცადე, თუ ბიჭი ხარ! — დაქადნებით პასუხობს.

ბიკენტი სწრაფად შეტრიალდა და გაშორდა. ორი-სამი თვით უფროსი იყო ტატაჩიზე, საულვაშეზე ღინღლი ამოსვლოდა და თავი კაცი ეგონა...

შინ წამოვიდა ტატაჩი. თავში დომხალი ჰქონდა.

— დედა! — ეფროს უთხრა ძილის წინ. — მე და მართა თეატრში ვიყავით! იქ ყველაზე კეთილი კაცი მღვდელი იყო!

— ეგ გიკვირს, შვილო? —ეფრომ პირჯვარი გადაიწერა. — მღვდელი ღვთის მსახურია, ღმერთი კი მაღალია!

— ღმერთი კი არა ის არ გინდა! — უხეშად შეეპასუხა ტატაჩი და საბანი თავზე გადაიფარა.

მართამაც უთხრა ცაცანას:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— კრება არ ჩატარდა, დედა! თეატრში წავედით! რომეო და ჯულიეტა... რა ლამაზები იყვნენ!.. ვიტირე.. იცი, იქ ყველაზე კეთილი მღვდელი. იყო!

— შექსპირი დაგენაცვლე, კლასობრივად ჩამორჩენილია! — აუხსნა ცაცანამ. — მღვდელი ადამიანს გონებას უბნევს და ატყუებს!

— არ ვიცი, დედა! — ყოყმანით თქვა მართამ და ჩუმად პირჯვარი გადაიწერა...

18

დილით ტატაჩი ეფრომ გააღვიძა:

— რა იყო, შვილო, რას ყვიროდი? მეგონა, ვიღაცა გკლავდა!

ტატაჩი უაზროდ აბამბამებდა თვალებს, გონს კარგა ხანს ვერ მოეგო... მართლაცდა რა იყო, ისეთი რა დაესიზმრა... შიშისაგან ცივმა ოფლმა დაასხა. გახსენებით კი ისღა გაიხსენა, რომ იროდიონი და ძღვიბი გამოეცხადა. ვითომ ძღვიბის იროდიონი დაეკლა, ხორცის ნაჭრებს შამფურზე აგებდა და ნაკვერცხლებზე აფიცხებდა... რამ დაესიზმრა ასეთი ამაზრზენი სიზმარი. ძილისწინ ხომ მართაზე ფიქრობდა, რომეოსა და ჯულიეტას სევდიანი ამბავი ახსენდებოდა. თვალს რომ ხუჭავდა, ინატრა, მართა დამესიზმრებოდეს, ძილში მაინც ველაციცოო... მას კი იროდიონის გვამი და პატარა მხეცად გადაქცეული ძღვიბი დაესიზმრა...

— ჯგირიშ სქან სიზმარი, კარგად აგხდენოდეს! — მშვიდად მოუსმინა ეფრომ. —ახალგაზრდის სიზმარი სისხლის დულილია, ნურაფრის შეგეშინდება!

მაინც ვერ დამშვიდდა ტატაჩი. წყალი პირზე შეისხა, უგემურად მოციცქნა ღომი და ყველი. მძიმე, დაღლილი ნაბიჯებით გაემართა შინსახკომისაკენ. დღეც ისეთი იყო, უჟმური. გუშინდელი სიცხის შემდეგ, ცა მკრთალი, უსახური ღრუბელივით დაიფარა და ჰაერი შეაგუბა. ნიავიც არ იძვროდა, სუნთქვა გაჭირდა.

კიბის თავზე ძღვიბი თოლორაია დახვდა. დოინჯი შემოეყარა და ასე გადმოჰყურებდა ზევიდან. ტატაჩი მხრებში გასწორდა, ნაბიჯს სიმტკიცე შესძინა. უფროსს არ უნდა შეენიშნა მისი მღელვარება.

— შედი, ახლა, ამხანაგო ტატაჩი, კაბინეტში და ხელახლა დაკითხე ეროდონ რიგვავა! — მოფერებით, კრუტუნით ალაპარაკდა ძღვიბი. — ეს შენთვის გაკვეთილი იქნება! სიტყვაზე ნურასოდეს ენდობი მტერს. ისინი თავის გადასარჩენად რასაც გინდა იმას მოიგონებენ. ხომ გეუბნებოდი, ეროიდონ რიგვავა გამოცდილი და გაქნილი მტერიამეთქი, იგი სამშობლოს მკერდზე მიხუტებული გველია. ამიტომ მკერდს უნდა მოვწყვიტოთ და თავი ქვაზე ვახალებინოთ!.. მტერი აი, ასე უნდა მოვჭუჭნოთ! — ძღვიბიმ პატარა მუშტი ხელისგულზე დაასრისა, ვითომც შიგ გამომწყვდეულ მტერს ჭმუჭნიდა.

ტატაჩიმ შიშით შეავლო თვალი, თითქოს ამოწმებდა, აცხია თუ არა ძღვიბის ეროდიონის სისხლი, თქმით კი ვერაფერი თქვა, თავი უხმოდ დაუქნია.

— ისწავლე, შვილო, თქვენ ახალგაზრდებმა უნდა განაგრძოთ ჩვენი საქმე! — დასძინა ძღვიბიმ და გამხდარი, ჩხინკა თითები მხარზე მოუთათუნა.

ტატაჩიმ მხარი შეარხია, თითქოს ძღვიბის თითები მიეწება და იმის ჩამოშორება უნდაო.

— მიდი, მიდი! — გაუმეორა ძღვიბი.

„მოვწონვარ! — გაიფიქრა ტატაჩიმ, თუმცა ამ აღმოჩენას დიდად არ გაუხარებია. —ალბათ ნესტორის შვილი რომ ვარ, იმიტომ მეფერება!“

კაბინეტის კარი რომ შეაღო, უსიამოვნო სუნი ეცა. მის მაგიდას ბაღრაევის ჯარისკაცი უჯდა, გაზეთში გახვეულ „მახორკას“ ექაჩებოდა. ტატაჩის შემოსვლისთანავე წამოდგა, თუმცა არც ისე სწრაფად, როგორც სხვა გამომძიებლებთან გააკეთებდა. „პატარა ბიჭი ვგონივარ!“ — გაიფიქრა ტატაჩიმ, მა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გრამ გაჯავრების დრო არც ჰქონდა, რადგან ამ დროს დაინახა ირონდიონ რიგვავა.

მონუსხულივით გაჩერდა. ეს კაცი ჰგავდა კიდეც ირონდიონს და არც ჰგავდა. მომჩვარული ეგდო სკამზე, კედელს მიყრდნობოდა. ეს კედელი რომ არა, ალბათ ძირს ჩამოცურდებოდა. თავ-პირი ისე დალილავებოდა, ცოცხალი ადგილი არ აჩნდა. სისხლით დალაქავებული და დაგლეჯილი პერანგიდან ჭაღარა ბანჯგვლები მოუჩანდა. ხელები უღონოდ ჩამოეყარა, ფეხები ფართოდ გაეფარჩხა. შარვლის ტოტს სისველე ჩამოჰყვებოდა. სკამის ქვეშ გუბე იდგა.

ტატაჩიმ იგრძნო, რომ გული ერეოდა. ანგარიშმიუცემლად იტაცა ყელზე ხელი, სისუსტის გამჟღავნება არ ივარგებდა. თავს მოერია, ჯარისკაცს ანიშნა, გადიო. სკამზე დაჯდა, ხელები თავზე შემოიჭდო და კვლავ ირონდიონს გახედა.

ეგონა, ცოცხლებში უკვე არ ჩაითვლება, ალბათ არც სუნთქავსო, მაგრამ კაცის მზერას შეეფეთა და აირია.

ზიზღისმომგვრელი ხორცის გროვაში, რადაც ირონდიონ რიგვავა გადაქცეულიყო, ერთადერთი სუფთა და მართალი ეს თვალები შერჩენოდა და ტატაჩის თავგზა აებნა. რცხვენოდა ამ მართალი მზერისა და თან ბრაზდებოდა საკუთარ თავზე, რაკი ასეთი გამოუსწორებელი გულჩვილი აღმოჩნდა, მებრძოლის სიმტკიცე და მტრის სიძულვილი აკლდა.

თვალი აარიდა ტატაჩიმ ირონდიონს, დაკითხვის ოქმს დახედა, ძღვიბის წვრილი და გაბნეული კალიგრაფიით დაწერილს.

მე, ირონდიონ რიგვავა, — ეწერა იმ ოქმში, — დიახაც მივეყიდე კაიზერის გერმანიის დაზვერვას. ეს მოხდა ბერლინში ჩემი ყოფნის დროს, როცა იქ იურისპრუდენციის შესასწავლად გავემგზავრე. ომის შემდეგ შევეკარი ფაშისტური გერმანიის დაზვერვასაც, სულ ბოლოს კი იაპონიისა და მანჯოუ-გოს დაზვერვას, ლიუ ცზიშის, იგივე ჯუ სუნლინის მეშვეობით... მტერს გადავცემდი ნაირ-ნაირ ინფორმაციას მანცხვარკარის სამეურნეო და სამხედრო მდგომარეობაზე, გადავეცი ორი ფოტოსურათი რკინიგზის სადგურზე ჩამომდგარი ჯავშნოსანი მატარებლისა, აგრეთვე საგაზაფხულო თესვისა და ჩაის კრეფის მონაცემები...

— აკი ბერლინში არ ვყოფილვარო? — საყვედურით თქვა ტატაჩიმ.

ირონდიონის მზერაში სასოწარკვეთა და შიში გამოკრთა. დახეთქილ ტუჩებს ძლივს აცმაცუნებდა, ეწადა რაღაცის თქმა, მაგრამ პირიდან სიტყვა არ ამოსდიოდა.

— რა? რა? — ტატაჩი სწრაფად მიუახლოვდა, ალბათ საჭიროზე უფრო სწრაფად, რადგან ირონდიონი შეირხა, კედელს მიეკრა, შეიჭმუხნა.

„შეშინდა! — შერცხვა ტატაჩის. — ჩემი შეეშინდა, ეგონა მეც დავარტყამდი!“

შეკითხვა გაუმეორა:

—აკი ბერლინში არ ვყოფილვარო?

ირონდიონმა უარის ნიშნად თავი ოდნავ გააქნია.

— მაშ რატომ დაუწერე, ვიყავიო? — შეკითხვა გულუბრყვილო იყო, პასუხს არც მოითხოვდა და ირონდიონმა თვალი გაუსწორა. ეს იყო დატანჯული კაცის მზერა, რომელშიც მხოლოდ ერთი რამ ამოიკითხებოდა: ოღონდ თავი დამანებეთ და სიცოცხლეც წაიღეთო!

ბაგე შეარხია ირონდიონმა, ტატაჩი ძლივს მიუხვდა:

— რამდენი წლისა ხარ?

გაწითლდა ტატაჩი, უნდოდა ეპასუხნა, რა შენი საქმეაო, მაგრამ გაჩუმდა, ირონდიონმა კი ნიავივით წაიჩურჩულა:

— იცი, პუ სუნლინი ვინ არის?

ტატაჩიმ თავი გააქნია.

— მწერალია, მეჩვიდმეტე საუკუნეში ცხოვრობდა, ზღაპრებს წერდა... — ძლივს ამოთქვა და თვალი დახუჭა, გაისუსა, თითქოს მიიძინა.

ტატაჩი მაგიდისაკენ შებრუნდა, ქაღალდი აიღო, ტექსტი ერთხელაც წაი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კითხა. თითქოს უბიძგესო, იმ ქალალდის ფრიალით უფროსის კაბინეტს მიაშურა.

ძღვიბიმ უკმაყოფილოდ შეხედა, თვალებით თითქოს ხვრეტდა.

— რაო, დარწმუნდი?

— იროდიონ რიგვავა უდანაშაულოა! — ეს კი თქვა ტატაჩიმ, მაგრამ გული შიშით შეეკუმშა.

ძღვიბი სკამის ზურგს მიაწვა, უკან გადაიწია, აქანავდა... ქანაობდა, სკამს აჭრაჭუნებდა და ყმაწვილს მზერას არ აშორებდა. მერე შეპარვით, ალერსით ჰკითხა:

— რამდენი წლისა ხარ, ბიძია, შენ?

ტატაჩიმ ნერწყვი გადაყლაპა, კითხვაზე პასუხის გაცემა საჭირო არ იყო, რადგან ძღვიბიმ მისი ასაკი კარგად იცოდა.

კარგა ხანს დუმდა ძღვიბი, დაკვირვებით ათვალიერებდა ბიჭს. ქანაობა შეწყვიტა.

— ესე იგი არ ენდობი ჩემს გამოცდილებას? რა გითხრა იმ თახსირმა იროდიონმა ისეთი, მისი გჯერა და ჩემი არა?!

— აი, მაგალითად, პუ სუნლინი მწერალია, თანაც მეჩვიდმეტე საუკუნისა! — ამოღერღა ტატაჩიმ.

ძღვიბის პირისახე მოექცა, დაეჯღანა, წვრილი თვალები კიდევ უფრო დაუწვრილდა და უხსენებელივით ასისინდა:

— მე მაპამპულავებდა, ხომ?! მასხარად მიგდებდა?.. მარტო ამიტომაა ღირსი, თავი რომ ჩექმით გავუჭეჭყო!.. შენ, ბიძია, ფრთხილად იყავი!.. იმიტომ დაგაიალეთ ასეთი საქმე, მამაშენის შვილად გიცანით!.. მამაშენიც ყოყმანობდა, ბოლომდე არ ეყო სიმტკიცე! შენც ვერა ხარ წელმაგარი, ან ზედმეტად მიმნდობი ხარ, ან ცალი ყური მტრისაკენ გაქვს! ფრთხილად იყავი! იმ ძაღლისშვილმა ეს რომ გითხრა, შენც უნდა აგეღო და თავში სკამი ჩაგეფშვნია, მაშინ იქნებოდი მართალი... წადი ახლა, დღეს თავისუფალი ხარ! ეს გაკვეთილი იქნება შენთვის, იროდიონ რიგვავას კი მე თვითონ მოვუკალი, ნეხვი ნეხვშივე უნდა ჩაზილო... ასეა ეს!

ძლივს შებრუნდა ტატაჩი, ნაბიჯი ძლივს გადადგა და კარიც ძლივს გააღო. კეფაზე კვლავ ქოსა ძღვიბიას გველურ მზერას გრძნობდა და ამ მზერისაგან აძაგძაგებდა.

— თეატრში მეც გახლდი, ამხანაგო ტატაჩი! — გასძახა ძღვიბიმ. — ნიჭიერი კაცია იროდიონ რიგვავა, მაგრამ დამიჯერე, ნიჭიერი არამზადა და სოციალიზმის მტერია!.. ეს ამოვიკითხე მე იმ წარმოდგენაში!

შინისაკენ ნაცემივით მიდიოდა ტატაჩი. ტვინი უხურდა, მტყუან-მართალი ვერ გაერჩია. შინ რომ მივიდა, ლუკმა არ გაუტეხია, ტახტზე მიეგდო და პირი კედლისაკენ იბრუნა.

— ცუდად ხომ არა ხარ? — ჰკითხა ეფრომ.

— თავი მტკივა!

მართლაც სტკიოდა, თითქოს სალტე შემოუჭირესო, თითქოს ტვინში ლურსმანს აჭედებენო.

ეფრომ ხელი შუბლზე დაადო.

— ვითომ სიცხეცა გაქვს! — ყოყმანითა თქვა. — თავს არ უვლი და იმიტომა გაქვს სიცხე!

ტატაჩიმ მოუყრუა, თავის არეულ ფიქრებთან ეწადა დარჩენა.

ეფრომ კეჟერას ფოთოლი მოარბენინა, შუბლზე დაადო, მანდილით შეუხვია.

ფოთლის სიგრილემ ტკივილი დაუამა, შვება მოჰგვარა. თვალები დახუჭა და გონების თვალსაწიერზე იროდიონ რიგვავას მზერას შეეფეთა. სევდა, ტკივილი, მორჩილება იკითხებოდა იროდიონის მზერაში, — შიშიც, მუდარაც... სწორედ მას, ამ პატარა ბიჭს ემუდარებოდა ამოდენა კაცი, შველასა სთხოვდა.

უცებ გონება გაუნათდა ტატაჩის. ეს იყო მახე! ეს იყო გამოცდა, ძღვიბი თოლორაიამ რომ მოუწყო თავის ახალგაზრდა მოწაფეს. ახლა მოწმდება მისი პარტიულ-კომკავშირული სიმტკიცე,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთგულება, მტრისადმი დაუნდობლობა... ამ გზით ცდილობდა ძღვიბი თოლორაია ჩამოექნა თავისი ალიკვალი, საქმის გამგრძელებელი... თუ ბოლომდე გაჰყვება ტატაჩი მასწავლებელს, თუ უერთგულებს, ძღვიბის ძლიერი მფარველობა გაუკვლევს გზას... და თუ სისუსტეს გამოიჩენს, თავიდან მოიშორებენ, განზე მიაგდებენ და იქნებ საქმე ერთგულთა წრიდან გაძევებით არ დამთავრდეს...

იგრძნო საშიშროება ტატაჩიმ, დასცხა, აკვნესდა.

— ცუდადა ხარ? — კვლავ დაეკითხა ეფრო, შუბლი მოუსინჯა.

— ჰო, შეუძლოდა ვარ! — მართლაც შეუძლოდ იყო, გულს შესჭირვებოდა.

მთელი ღამე ვერ დაიძინა, შამფურივით ტრიალებდა...

მეზობელ ოთახში ეფრო იწვა, ხანდახან ხმამაღლა დაუძახებდა:

— ტატაჩი შვილო, არა გძინავს? ცუდად ხომ არა ხარ, დედა?

ტატაჩი გაიტრუნებოდა, თავს მოიმძინარებდა.

მეორე და მესამე დღეს სამსახურში არ წასულა. პატარა ბარათი გაატანა დედას, გავცივდი, სიცხე მაქვს და თუ ნებას დამრთავთ, შინ დავრჩებიო. ძღვიბი თოლორაიამ თურმე დიდი პატივით მიიღო ეფრო. ფეხზე წამოუდგა, მოიკითხა, ახალგაზრდობის წლები მოაგონა, ის დრო, როცა ტაშ-ფანდურისათვის და ცეკვა-თამაშისათვის იცლიდნენ და ხმის ჩახლეჩამდე კამათობდნენ შორეულ მომავალზე.

— ა, ხომ მოვიდა ეს მომავალიც! — კმაყოფილებით თქვა ძღვიბიმ.

ეფრომ პირი მოკუმა, არაფერი თქვა. ეს მომავალი ძღვიბისათვის იქნებ კარგიც იყო, ეფროს კი ძველებურად სული კბილით ეჭირა.

— დაისვენოს ბიჭმა ერთი ორი დღე! ღიმილით თქვა ძღვიბიმ, ხელები მოიფშვნიტა. — ცოტა მოშუშდეს! შენ ნუ გეშინია, ეფრო, ისე გავხედნი, კაცად ვაქცევ!

ამ ამბავს უყვებოდა ეფრო ტატაჩიმთან ძღვიბის ბაძავდა, მასავით ხელებს იფშვნეტდა და ქირქილებდა. ეფროს ამ ანგლობაში ხუმრობაზე მეტი წაიკითხა ტატაჩიმ. დედას არ უყვარდა ძღვიბი თოლორაია, უფრო მეტიც, დედას სძულდა თავისი ქმრის რევოლუციური მეგობარი. ეს აღმოჩენა იყო, მაგრამ შეკითხვა ვერ გაუბედა, მიზეზის ძიებაც არ დაუწყია. სულის სიღრმეში თვითონაც არ უყვარდა თავისი კეთილისმყოფელი...

მომდევნო ნაშუადღევს ჭიშკართან „ვილისი“ გაჩერდა და ძღვიბი თოლორაია გადმოვიდა. აუჩქარებლად გამოემართა კიბისაკენ. ხანდახან ჩერდებოდა, ხელის ზურგს იფხანდა, ანდა მხრებს იმნაირად შეარხევდა, ზურგი ექავება და მშველელი არავინა ჰყავსო. ტატაჩი ფანჯარასთან ჩაცმული იწვა და მანქანის ხმაზე წამოიწია, კარგად ხედავდა აქეთ მომავალ ძღვიბის.

ეფრო ჩაეგება კიბეზე, მობრძანდი, მობრძანდიო, თან ხელები ზურგს უკან დაემალა, არ უნდოდა გაეწოდებინა... კარგადაც მიუხვდა ტატაჩი დედას ნაფიქრალს.

— გამოვუარე, ეფრო, შენს ბარტყს! ვიფიქრე, მოვიკითხავ, დავხედავ... ვიცი მე, რა ავადმყოფობაც მაგას სჭირს. დამაცადე, წუთში მოვარჩინო!

ტატაჩი წამოვარდა, ტანსაცმელი შეისწორა და ძღვიბის ჯარისკაცულად გაჭიმული დახვდა.

— ასეც ვიცოდი! — თქვა ძღვიბიმ კმაყოფილებით. — დაჯექი, დაჯექი!

თვითონაც სკამი გამოაჩოჩა და ხელი დაუქნია, დაჯექიო.

ტატაჩი ტახტის კიდეზე ჩამოჯდა, ხელები მორიდებულად დაიწყო შეტყუპებულ მუხლებზე.

ეფრო ოთახიდან გავიდა, სამზარეულოში თეფშებს აჩხაკუნებდა, ალბათ სტუმრისათვის ახაზირებდა რამეს.

— მამაშენი ვაჟკაცი იყო, სიმტკიცე და გამბედაობა არ აკლდა. — ძღვიბი მოფერებით ლაპარაკობდა. — ერთი ნაკლი ჰქონდა მხოლოდ, თავის ნამოქმე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დარს სინდისის სასწორზე შეაგდებდა... რა არის სინდისი? საერთოდ რა არის ზნეობა, მორალი?.. ყოველ ჩვენთაგანში დარჩა ძველის გადმონაშთი. ათასი წელი მღვდელი ჩაგვჩიჩინებდა, ქრისტეს მცნებით იცხოვრეთ, ქრისტეს მცნებანი არ დაივიწყოთო. იმდენი გვიჩიჩინეს, ჩვენი არსების ნაწილად გადააქციეს და ყველანი, მორწმუნეებიც და ღვთისმგმობი ათეისტებიც მაგ განაწესით ვცხოვრობთ. მოდი, განვსაჯოთ: ჩვენ თუ ათეისტები ვართ, ღმერთი უარვყავით, მაშინ ქრისტეს მცნებანი ჩვენთვის ბორკილია და მეტი არაფერი... მტერს აპატიეო! მე რომ ვაპატიო, ის დამასწრებს და ხიშტზე ამაგებს!. აქ ომია, ამხანაგო ტატაჩი, ვინ ვის მოერევა, —ასე დგას საკითხი... ჩვენ უნდა გავიმარჯვოთ, მერე კი რამდენიც გინდა, იმდენ კეთილ კანონებს შევთხზავთ და გავატარებთ!. იქნებ ის ცოდვით სავსე იროდიონი არც იყოს მთლად დამნაშავე, მაგრამ ის სხვანაირია, სხვა ჭკუაზეა, რომც არ უნდოდეს, უნებლიედ გარყვნის მომავალი თაობების სულს. ამიტომ უნდა გავწმინდოთ საზოგადოება იროდიონებისაგან, ჩვენებურ თარგზე უნდა გამოვჭრათ იგი, ყველა, ვინც ხელს გვიშლის, გზიდან უნდა ჩამოვიშოროთ... შენ მამაშენის შვილი ხარ! მამაშენი მორალზე რომ დაფიქრდა, მაშინ დაიღუპა... ჯერ არ არის დრო, ასეთ საკითხებზე ფიქრისა. მტერი რომ განადგურდება და ნამდვილ, ჩვენებურ სოციალიზმს რომ ავაშენებთ, მერე არავისი შიში არ გვექნება და აი, იმ მომავალ საზოგადოებაში იროდიონსაც ექნება სიცოცხლის უფლება... ასეა ეს, ამხანაგო ტატაჩი, ეჭვები გულიდან გადაიგდე და მტკიცედ დადექი ჭეშმარიტი მებრძოლების მხარეზე! საზოგადოება ჯერ კიდევ ავადაა ძველი სნეულებებით. ქირურგის დანით ჩამოვაჭრით მას ბურჟუაზიულ გადმონაშთებს, ამ ოპერაციას კი, ცხადია, უსისხლოდ ვერ მოვახერხებთ... იცოდე, ბიძია, ჩვენი მომავალი მთელი კაცობრიობის მომავალია! დაიმახსოვრე, ვინც ჩვენთან არ არის, ის [illegible] ამ ჭოჭმანში მოხედვასაც ვერ მოასწრებ, მტრის ბანაკში აღმოჩნდები... ფრთხიად იყავი!.. დღეს შინ დარჩი, ხვალ კი, დილიდანვე გამოცხადდი სამსახურში!

ესა თქვა, ყმაწვილს პირის გაღებაც არ აცალა, წამოდგა და კარისაკენ გაემართა.

ეფრო სამზარეულოდან გამოვიდა, სტუმარს გამოედევნა.

— ძღვიბი ბატონო, ახლავე გავამზადებ რაღაცას. ჭიქა ღვინოზე ხელს ნუ აგვიკრავ, ოჯახი დაგვილოცე!

— სხვა დროს, სხვა დროს, ეფრო! — ხელი გააქნია ძღვიბიმ და მხრების უხერხული მოძრაობით, თითქოს ეფხანება და თავს ძლივს იკავებსო, გაცუნცულდა...

19

— დედა, მე ეს არ მაინტერესებს! — უთხრა მართამ ცაცანას.

ის დრო იყო, როცა კომკავშირლებში გამორჩეულს ჭკუა უნდა ეხმარა, განცხადება დროზე დაეწერა, ღირსად ჩამთვალეთ და მიმიღეთ ლენინურ-სტალინურ პარტიაშიო. დიდი ხანია, ცაცანა ოცნებობდა ამ დღეზე. წინასწარ ტკბებოდა იმის წარმოდგენით, თუ როგორ ჩაიდებდა გულისჯიბეში წითელ წიგნაკს მისი ერთადერთი ასული... ეს იქნებოდა პირველი საფეხური მაღალი კიბისა, მაგრამ მართამ სულ სხვა კიბე ირჩია, სქელტანიან, წითელ წიგნს ზიზღით დახედა და მოწყენით წარმოთქვა:

— დედა, მე ეს არ მაინტერესებს!

— რატომ შვილო?

— არ მაინტერესებს და იმიტომ!.. არ მაინტერესებს კომკავშირული კრებები, შაბათობები, პროლეტარული დღესასწაულები, არც პროლეტარები მაინტერესებს, არც ჩაის კრეფის მოწინავეები, ქაღალდის კომბინატის დამკვრელური მშენებლები, რაიკომი — პარტიისაც და კომკავშირისაც, არ მაინ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტერესებს პროფკავშირები, მარქსის ლენინის, სტალინის წიგნები... მაისობაზე ბავშვობიდან შაქარყინულის მამალოები მაინტერესებდა მხოლოდ!

ცაცანა გაშრა, შვილს ისე უყურებდა, როგორც იატაკიდან მოულოდნელად ამოსულ ურჩხულს. ხმა ძლივს ამოიღო:

— გაჩუმდი, შვილო, ალბათ მე მამასხარავებ!.. სხვამ არავინ გაგიგოს!

— სწორედ ამიტომაც არ მაინტერესებს, რომ ვერ ავდგები და ვერ ვიყვირებ. დაგიძახებენ კომკავშირის კრებაზე, ადგება მამაძაღლი ბიკენტი თოლორაია, დაგიწყებს ჭკუის სწავლებას, თან ისე გიყურებს თევზის თვალებით, თითქოს კაბას გხდიდეს... ფუჰ!.. მე კი არა, არც არავის აინტერესებს, დედა, ყველანი იტყუილებიან, თვალთმაქცობენ, თან ისე თავგამოდებით, თითქოს ტყუილების შეჯიბრში გადასწრებაზე არიანო...

ცაცანა გონს მოეგო, კიდევ კარგი, მეტი არავინ ისმენდა ამ ლაპარაკს.

— მეც ვტყუივარ, შვილო, მეც ვთვალთმაქცობ? — ხელები გულზე მიიდო.

— არ ვიცი, არ ვიცი! — შეშფოთდა მართა. — შენნაირების გულწრფელობაზე აშენდა ალბათ სიცრუის ეს შენობა!

— რას ლაპარაკობ, ბოგო, შენ?! — გაგულისდა უცებ ცაცანა. — ვინ ჩაგაგონა ასეთი რამ? იცი, მაგნაირ ლაპარაკს რა შეიძლება მოჰყვეს? ორივეს ციხეში გვიკრავენ თავს!.. ვინმემ რომ გაგიგოს, ყურით წაგიყვანენ ძღვიბი თოლორაიასთან, მუხლებზე დაგაჩოქებენ და სულ პატიებას გახვეწინებენ!

— მაგრამ რატომ, დედა? ეჰ, უმჯობესია სადმე მთაში გადავიკარგო! ქვებს მაინც ვეტყვი, რასაც ვფიქრობ, ისინი არ დამსჯიან!

— ქვებიც ჩვენს მხარესაა! — თქვა ცაცანამ მტკიცედ. — იმიტომ რომ, ჩვენი არჩევანი სწორია! შენ რომ მეტს კითხულობდე, უფრო ღრმად რომ სწვდებოდე დიდი ბელადების ნააზრევს, ასეთი რამ თავში არ მოგივიდოდა! რა-გორ ფიქრობ, მარქსმა და ლენინმა შენზე მეტი არ იცოდნენ? ანდა ქვეყნის ბედ-იღბალზე სტალინზე მეტს ფიქრობ?.. კი, გენაცვალე, მეც ვხედავ, ჩვენს ცხოვრებაში ყველაფერი რიგზე როდია, მაგრამ რა ვუყოთ! ბრძოლისა და გაჭირვების გარეშე ვერ მივაღწევ კაცობრიობის ბედნიერ მომავალს!.. შენ ბიკენტი აგითვალისწუნებია და ამიტომ მთელ ქვეყანას ნუ შეიძულებ!.. აგერ, ტატაჩისთან ხომ მეგობრობ? იგიც: მეომარია, სოციალიზმის საქმეს იცავს!

— ამდენი მე არ ვიცი, დედა! იქნებ ვცდები, მაგრამ ღმერთი ყველაფერს ხედავს!

— ღმერთი არ გამაგონო! — იკივლა ცაცანამ. — ვიცი, ვიცი, ვინც აგიბნია გონება! შენ იმ უწიგნური დედაბრის — ეფროს ენაზე ლაპარაკობ, მისი ენა კი მტრის ენაა! ჩვენიანია და ყურადღებას იმიტომ არ ვაქცევ სულელი დედაკაცის ბჟუტურს, თორემ სხვა ვინმემ რომ გაიგონოს, კაი დღე არ დაადგება, იცოდე!..

— არ ვიცი, არ ვიცი, დედა! — რაღაცნაირად ჩაქრა მართა, გაუჩუმდა, ლაპარაკის გაგრძელება არ ისურვა.

— ღმერთი ყველაფერს ხედავს და განსჯის! — მართლაც ასე უთხრა ეფრომ.

სწამდა კი იმ დროს მართას ღმერთი? მის წარმოსახულ სამყაროში ღმერთის ადგილი აღარ იყო. მართა უღმერთოთა სამყაროს გაურბოდა, მაგრამ რაკი არაფერი იცოდა ღვთიური სამყაროს არსებობისა, ჭეშმარიტი გზა ველარ ეპოვა. ეფროს ნათქვამი მისთვის სიტყვა იყო მხოლოდ და მეტი არაფერი, და თუ თვითონაც გაიმეორა, მეამბოხედ დაიბადა და იმიტომ!

— ჩვენც გვირევია ამხანაგები, რომლებიც დღისით ჩვენს გვერდით არიან, ღამით კი ჩუმ-ჩუმა პირჯვარს იწერენ!—ბიკენტი ამას რომ ამბობდა, თვალები მართლაც თევზივით ცივი ჰქონდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მართას მოეჩვენა, რომ ბიკენტი მას მისჩერებოდა და ჭირვეულად შეეპასუხა:

— კანონით ეს არ იკრძალება!

— კანონით კი! — ფრთხილად, მოზომილად დააგდო ბიკენტიმ და მეტი ამ თემაზე არაფერი უთქვამს.

ერთადერთი ადამიანი, ვისთანაც მართას შეეძლო გულის გადახსნა, ტატაჩი იყო. ადრე ტატაჩი ენამზეობდა, ვერ გააჩუმებდი, პირიდან სიტყვას სტაცებდა, თავდაჯერებით უხსნიდა და ასწავლიდა. ახლა რატომღაც დადუმდა. თვალებში შიში გაუკრთებოდა ხოლმე. აუხსნელი დარდი ჩაუგუბდებოდა, თითქოს ეუბნებოდა, — მესმის, ყველაფერი მესმის, ჩემო მართა! ნეტავი შენ, ბედნიერი ხარ, რომ ცოტა იცი! ჩემოდენა რომ იცოდე, სიცოცხლე შეგძულდებოდა!.. მართას აეჭვებდა ეს მდუმარება. ცდილობდა სასაუბროდ გამოეწვია, გული გადაეხსნევინებინა, მის სადარდებელს ჩასწვდომოდა... მაგრამ ტატაჩი, ადრე ასეთი მხიარული, გულღია, გახსნილი, ახლა ცხრაკლიტულში ჩაკეტილიყო.

გაზაფხულზე, აპრილის თვეში ისინი დაქორწინდნენ — მართა და ტატაჩი.

სუფრას ცოტანი უსხდნენ, ათი-თორმეტი კაცი. ძღვიბი თოლორაია ვერ მობრძანდა, ავადმყოფობამ შეუტია. ბიკენტიმ ცალყბად გესლნარევად მიულოცა ნეფე-დედოფალს, მერე კარგა ხნით დადუმდა. პირზე მიტკლისფერი ედო, ქათმის ფრთას წიწკნიდა და ღვინოს ჩუმად მიეძალა.

ტატაჩი მიუხვდა გულისნადებს, თვითონაც გაფითრდა, თქმით რა ეთქმოდა, ნაძალადევად უღიმოდა.

მხიარულება აკლდათ, ვერა და ვერ აეწყო. მართასაც გული დაუმძიმდა, ავმა წინათგრძნობამ შეაწუხა. პაპების გადმონალოცი მეგობრობა შვილიშვილებს ხუნდებად გადაქცეოდათ.

— წუთიერია ცხოვრება! — თქვა უცებ ბიკენტიმ, თავი არ აუწევია, ღვინიან ჭიქაში იყურებოდა. — აგერ ქორწილის სუფრას ვუზივართ, კიბეზე კი უკვე ამოდის შავი ვაცი, კარზე უდა დააკაკუნოს!

ვერავინ გაიგო ქარაგმა, არ დასცალდათ ამოხსნა. კარზე მართლაც დააკაკუნეს და შავკურტაკიანმა კაცმა ნეფეს გადასცა, თუ დგახარ, აღარ დაჯდე, თუ ზიხარ, ადექი და სამსახურს მოაშურეო...

რა ექნა ტატაჩის? სტუმრებს მოუბოდიშა, პატარძალს ლოყაზე აკოცა, მალე მოვბრუნდებიო და შავკურტაკიანს გაჰყვა. ეს „მალე“ ერთ კვირას გაგრძელდა. მართა ოთახში გამოიკეტა, გაბუსული იჯდა და საპატარძლო კაბას არ იხდიდა. ხანდახან ცაცანა შემოიხედავდა შეშინებული თვალებით, შვილისათვის ვერ მოეგონებინა დასამშვიდებელი მალამო. ეფრო შინსახკომში წავიდა, იქნებ ამბავი რამე მოვიტანოო. ნაცნობს გადაეყარა და იმან ჩასჩურჩულა, უმჯობესია შინ იჯდე და ცხვირი გარეთ არ გამოყოო, ყველანი ძალიან დაკავებულნი ვართ და პასუხს მაინც ვერავინ გაგცემსო.

ბოლოს ტატაჩი გამოჩნდა. მიწისფერი გამხდარიყო. თავი არ აუწევია, ისე თქვა:

— წყალი გამიცხელეთ, დაბანა მინდა!

გახარებული მართა გამოეგება, მაგრამ ტატაჩიმ უცხოდ შეხედა.

— ნუ მომეკარები, მართა, ჭუჭყიანი ვარ!

ქალი ელდანაცემი შეჩერდა, ფეხები შეებორკა.

დიდ გეჯაში ჩაჯდა ტატაჩი. დიდხანს იხეხავდა და ცხელ წყალს ისხამდა, თითქოს კანის გადაძრობას ცდილობდა. ისევ და ისევ ისაპნებოდა სარეცხი საპნით, ჭუჭყი კი ვერ მოეშორებინა.

პირსახოცში გაეხვია, ჩამოჯდა, თუთუნი გააბოლა, ერთ წერტილს მიაჩერდა.

ეფრომ ახალი საცვლები მოუტანა. ტატაჩი გამოერკვა, ჩაიცვა და თუმცა ჯერაც დღენათელი იდგა, ლოგინს მიაშურა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დარაბები დახურეს და ოთახში მქრქალი ბინდი დადგა.

ეფრო და ცაცანა სამზადში უჩუმრად დაბორიალობდნენ, ვახშამს უმზადებდნენ ტატაჩის.

მართა კი იქვე იყო, ამ ოთახში, კუთხის სკამზე იჯდა და ელოდა, როდის მოიხმობდა ჯერაც ვერშემდგარი მეუღლე.

ლოდინი გაჭიანურდა და ქალს მოთმინება დაეკარგა.

— ტატაჩი!

— ჰო! — შიშნეულად გამოეპასუხა ტატაჩი, თითქოს არც მოელოდა ადამიანის ხმას, თითქოს აქედან შორს იყო გადახვეწილი. — ჰო, მართა... — გაიმეორა და კედლისაკენ ჩაიწია, ადგილი გაათავისუფლა.

მართა კიდეზე ჩამოჯდა.

— რა მოხდა, ტატაჩი?

— რა უნდა მომხდარიყო? — ხმას ვერ იმორჩილებდა ვაჟი. — მაპატიე, მართა, შუა ქორწილში დაგტოვე, სამსახური ხომ იცი...

მართამ კაბა გადაიძრო. პერანგისამარა შეუძვრა საბანში, შიშველ მკერდზე მორიდებით აკოცა და ეჭვიანად თქვა:

— ძალიან შეცვლილი მეჩვენები, ტატაჩი!

ვაჟმა რაღაცის თქმა მოინდომა, მართა კი დაიხარა, ტუჩებით ბაგეზე შეეხო. ტატაჩის ბაგეები გაჭყინოდა და ქალის ნელ კოცნაზე არ უპასუხნია.

— მართა, — ხმა უკანკალებდა ტატაჩის, — მართა... მაპატიე, მართა...

და უცებ ისე მოიხარა, თითქოს მუცელზე მუშტი ატაკესო, მოიხარა და აძაგძაგდა. მქრქალ სინათლეში მართამ ძლივს გაარჩია ვაჟის დამანჭული სახე.

— არ შემიძლია, არ შემიძლია!.. — გაიმეორა რამდენჯერმე და გულამოსკვნით, ბავშვივით ატირდა.

მართას ენა ჩაუვარდა. მკერდზე ხელს უსვამდა, ეფერებოდა, თქმით კი, არ იცოდა, რა ეთქვა.

— ბნელი ღამე... სახელდახელოდ გაჩხრილი სამარე... სამარის პირას დაჩოქილი ადამიანები... კეფაში ტყვია... ერთი, ორი... ათი... ვერ დაითვლი, რამდენჯერ უნდა გამეორდეს... არ იცი, ვის ესვრი! არ იცი, რისთვის!.. არ შემიძლია, არ შემიძლია...

თავზარი დაეცა მართას, ვერ დაიჯერა ნათქვამი.

— ჩუ, შენ რაღაც გეზმანა... შენ დაგესიზმრა... არაფერი არ იყო, არაფერი... დაივიწყე... მოდი ჩემთან, მოდი...

ვაჟი გაყუჩდა, სლუკუნი ჩაიხშო და ჩურჩულით შეეპასუხა:

— არ შემიძლია, მართა, მაპატიე, კაცად არ ვვარგივარ... თავი უნდა მოვიკლა, ტყვია უნდა დავიხალო!..

ჭერს მიაშტერდა და თავზე ხელები შემოიჭდო...

20

მოსაწყენად ცრიდა. ცა ჩამობნელებულიყო. ნესტით გაჯერებული მანცხვარკარი კაეშანს შეეპყრო. მოქალაქენი ქუჩებში ლანდებივით მიმოდიოდნენ. ყველა ცდილობდა საკუთარ სახლში, კერას მიყუჟულიყო. გულს სასოწარკვეთა ეუფლებოდა, რაკი გაუხარელი და ცივი ზამთარი მოდიოდა.

ტატაჩიმ სამსახურში შეშა და ნავთი იშოვა. ჩამოღამებული დადიოდა. მართა შეშინებული შეხედავდა ხოლმე, ვერ გაეგო, რა ხდებოდა ტატაჩის სულში, რამ ჩაუქრო ახალგაზრდული სიხარული და სიგიჟმაჟე რაც ასე მოსწონდა ადრე. იმ მძიმე, აუტანელი ღამის შემდეგ ტატაჩის არც უხსენებია სამსახური. მართას ვერ გაეგო, სინამდვილე წამოსცდა მაშინ ტატაჩის, თუ ავადმყოფი გონების ზმანებაღა იყო ყოველივე. ალბათ გაუგებარი სენით დაავადდა ტატაჩი, გადაიღალა და მოჩვენებები ჩაუსახლდა ტვინში. კვირაობით იკარგებოდა სამსახურში. დაბრუნდებოდა და ძილად მიეგდებოდა. მოსაფერებლად გაწვდილი ხელი მართას ჰაერში უჩე-

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

რდებოდა. უყურებდა ლოგინში ზურგ-შექცეულ ქმარს და რწმუნდებოდა, აღარ ვუყვარვარო. რცხვენოდა ამის გამჟღავნებისა, ჩუმ-ჩუმა ტიროდა.

სხვაზე უწინ ეფრომ იგრძნო გასაჭირი, ოღონდ შინაარსი ვერ ამოიკითხა.

— ტატაჩი, შვილო, რა ამბავია შენს თავს, რა გაგიჭირდა? — ჩაეკითხა.

ტატაჩიმ სივრცეს მიაშტერა თვალი და ხმადაბლა, თითქოს საკუთარი ყურის გასაგონადო, ისე ჩაილაპარაკა:

— სიცოცხლე აღარ მინდა, დედა, სიკვდილი მომნატრებია!

— დიდუ, შვილო! — ამოიკვნესა ეფრომ, ვერ გაბედა ბოლომდე ჩაძიებოდა დარდის მიზეზს.

ტატაჩის თითქოს დაავიწყდა წუთის წინ ნათქვამი, დედას წამოძახილზე გაკვირვებით შეეხმიანა:

— რა იყო, დედა, რას ვიშვიშებ?

„უშვილობა თუ აწუხებს!“ — ქალურად გაიაზრა ეფრომ. ცაცანას დაუწყო კუთხე-კუთხე ჩურჩული. ცაცანაც აფორიაქდა, შეწუხდა, მაგრამ ისეთი დრო იყო, სტალინურ კონსტიტუციას იზუთხავდა და სიძე-ქალიშვილის საწუხარს ველარ ჩაუღრმავდა. „კარგი ცხოვრება თუ აწუხებთ! — ფიქრობდა ცაცანა. — როდის ვცხოვრობდით უკეთ! შეშა გვაქვს, ნავთი გვაქვს, საპონი გვაქვს... თითქმის შევაბიჯეთ სოციალიზმში!“ ეფროს სხვა გზა არ დარჩენოდა, რძალთან გამოენახა საერთო ენა. მართას ყურისათვის აწუწუნდა, ეს რანაირი თაობა გვერგო, ისე გაზარმაცდნენ, ბავშვის ყოლაც ეზარებათო...

მართა მიუხვდა გადაკრულს, გაწითლდა. დედამთილს ვერაფერი აკადრა, თუმცა სათქმელი და საჩივლელი ბევრი ჰქონდა. ესღა მოახერხა, გაუცინა, ხუმრობაში ჩაუგდო ნათქვამი. ამით სიტყვასაც გზა გაუხსნა და გათამამებულმა ეფრომ მოხსნა გუდას თავი, ხომ იცით, კაცები საქმეებით არიან დაკავებული, ახალგაზრდა და ლამაზი ცოლები ავიწყდებათო. ცოლების ღირსნი ასეთი კაცები არც არიან, მაგრამ, რა ვუყოთ, ეგ ყოფილა ქალის ხვედრიო. გაჭირდა ცხოვრება და ... დაორსულდება, გასაკვირი არაა. ეგერ მეზობლის ძროხა ბერწი აღმოჩნდა, ვერაფერი უშველეს, კინაღამ სახორცედ დაკლეს. მერე პატრონმა მაცხოვრისგორაზე აიყვანა, ეკლესიის ნანგრევებს ირგვლივ სამჯერ ლოცვით შემოატარა, და იმ წელს ხბო მოიგოო...

მართას გაეცინა, ეგ როგორ გამოგივიდა, დედამთილო, ძროხას მადარებო... ეფრომ ხელები გაასავსავა, ამისი თქმა არ მინდოდა, კაცს უნდა სწამდეს და აუხდებაო, რწმენა დიდი საქმეაო. ქმართან წოლა ერთია, მაგრამ მარტო ეს არ კმარაო... მთლად აებნა თავგზა ეფროს და ამ აბნეულობამ მართა გაამხიარულა, დიდხანს აკისკისა.

სიცილისათვის ალბათ არ იყო დაბადებული, მხიარულების საბაბს ცხოვრება იშვიათად იძლეოდა. ჭმუნვა შეუბრუნდა და ის, რაც აქამდე სასაცილოდ მიაჩნდა, სხვანაირად დაინახა. ნუთუ ღმერთი ვერ ხედავს ტატაჩის ტანჯვას და მართას გულშეჭირვებას. თუ ის ყოვლისშემძლე და ყოვლისმომცველია, მაშინ არც ეს უნდა გამოეპაროს. ღმერთი არ არის, — ფიქრობდა მართა, — მაგრამ თუ არის, ის ყოველივეს ხედავს... ამ უცნაური, აბდაუბდა ფიქრებისაგან მართას გააჟრჟოლა, ჭერს მიაჩერდა... იქ, ჭერსა და ცის მიღმა ყოვლისმხილველი თვალი ამჩნევს ყოველი მტილის ჭმუნვას, ამ მზერას ვერსად დაემალები... ამ ფიქრმა შეაშინა, ღმერთო შემინდე, ღმერთო შემინდეო, რამდენჯერმე ჩაიჩურჩულა და ამ მიმართვამ ცოტათი დაამშვიდა.

ერთხელ აკვიატებული ფიქრი მაინც ვერ მოიცილა. ვინ იცის, იქნებ მართლაც რაღაც ძალა აქვს მაცხოვრისგორას, იქნებ მართლაც გაუჩნდეს შვილი, მაშინ ტატაჩისაც სხვანაირი გული ექნებოდა, ოჯახგარე ნაკლებ იწანწალებდა. იცოდა ქალმა, სამსახურის საქმეებზე დაწანწალებდა ტატაჩი, გასართობად და დროის სატარებლად ვერ მოიცლიდა, დაღლილობა უგრილებდა გულს, ოღონდაც, ეჭვის სენი გონებას

ეროვნული ბიბლიოთეკა

არ ემორჩილება, ეს საწამლავი თავისთავად აწყალებს სისხლს..

ოცდაჩვიდმეტის ადრიან გაზაფხულზე, როცა წვიმებმა გადაიარეს, მწვანე ბალახი აბიბინდა და გარემო თვალის სასეირო შეიქმნა, ტატაჩი შინ გვიან დაბრუნდა. ტალახით მოსვრილი ჩექმები ძლივს გაიძრო ჯერ ფეხები დაიბანა, მერე ხელ-პირი, ვახშამზე უარი თქვა და ლოგინს მიაშურა.

მართა საწოლის კიდეზე ჩამოუჯდა. შუქი არ აუნთია და ერთმანეთს ლანდად ხედავდნენ.

— რა იყო, მართა? — ჰკითხა ტატაჩიმ.

— არაფერი!

ტატაჩი ამ პასუხმა დააკმაყოფილა. ალბათ გაუხარდა, კიდეც, გრძელ ლაპარაკსა და ახსნა-განმარტებებს გაურბოდა, ქალის წუწუნს ვერ იტანდა.

მართა დაელოდა, იქნებ კიდევ რამე შემეკითხოსო, მაგრამ მსუბუქი ფშვინვა მოისმა. ტატაჩის დაეძინა.

სარკმელს ბნელი ღამე მოაწვა, ჩახჩახა ვარსკვლავები ცნობისმოყვარედ იჭყიტებოდნენ.

ფრთხილად გაიხადა, ლოგინში შეუცურდა ქმარს.

ტატაჩიმ ფშვინვა შეწყვიტა, გაყუჩდა, შემდეგ სავსებით ფხიზლად ჰკითხა:

— რა იყო, მართა?

ქალი სიბნელემ გაათამამა, მხარზე ცხვირი მიუხახუნა, ჩასჩურჩულა:

— შვილი მინდა.

ტატაჩიმ ამოიოხრა, თითქოს მძიმე რამ ვალი დააკისრესო.

შემობრუნდა, ხელი პერანგქვეშ შეუყო, მოეფერა.

— სულ არ გიყვარვარ, ისეთი გულცივი გახდი! — ჩაიწუწუნა მართამ.

ტატაჩიმ პასუხი არ გასცა, არც ქალს აცალა ლაპარაკი, ტუჩებში ნაზად აკოცა.

მართამ სულსწრაფად უპასუხა, ცახცახით ჩაეკრა, მაგრამ იყო კაცის ალერსში რაღაც ნაძალადევი, უსურველი. ქალს უკმაყოფილება დაეუფლა, უნდოდა შეეწყვიტა ეს უნიათო ალერსი, ოღონდ თავში კვლავ ის აზრი ტრიალებდა — „შვილი...“ ამიტომაც დაუთმო სხეული, თუმცა სული უკვე აქედან შორს მიფრინავდა.

ტატაჩიმ იგრძნო ეს გაუცხოება, ცოტა ხანს იყუჩა და თავის მართლებას მოჰყვა:

— მართა, შენ უნდა გამიგო!.. მე ორი ადამიანი მიყვარს მთელ ქვეყანაზე—დედაჩემი და ჩემი ცოლი! დედაშენსაც პატივსა ვცემ!.. დანარჩენი ყველა მძულს — ძღვიბი თოლორაია მძულს, ბიკენტიც, ჩემი თანამშრომლებიც... ყველაზე მეტად კი საკუთარი თავი!

— ჩუმად, ტატაჩი, მაგას ნუ ამბობ, დავიღუპებით! — შეძრწუნდა მართა, პირზე ხელი დააფარა. კაცმა ხელისგულზე აკოცა და თვალებზე ჩამოიფარა.

მიხვდა ქალი, რაღაც საშინელი საიდუმლო ტანჯავდა კაცს, რაღაც უსაშველოდ მძიმე ტვირთს მიათრევდა იგი. იქნებ პირველი ბოდვა სულაც არ იყო ნაყოფი ზმანებისა. წარმოიდგინა მართამ იმ სიტყვების შინარსი, მაგრამ იმდენად დაუჯერებელი სურათი წარმოესახა, უმალ უკუაგდო... ალბათ ძღვიბი თოლორაიას მძიმე ხასიათია მიზეზთ მიზეზიო, ესღა დაასკვნა... ეს თოდუები ხომ მუდამ მართლის ძიებას გადაჰყვებიან ხოლმე.

— ტატაჩი, — თქვა უცებ მართამ, — თავი დაანებე მაგ სამსახურს, ჰა! აგერ ფიზკულტურის მასწავლებლად მოეწყვე სკოლაში!

კაცმა ამოიოხრა, არაფერი უპასუხა. ქალის ჭკუა მოკლეა, ტატაჩის ისეთი სამსახური ჰქონდა, იქ ვინც მოეწყობოდა, თავს ვერასოდეს დაანებებდა, თუ არ უნდოდა ეს თავი წაეგო. მართა მიხვდა, რომ პასუხს ვერ მიიღებდა.

— დაიძინე! — უჩურჩულა და მხარზე აკოცა.

მხოლოდ დილაუთენია ჩაეძინა. როცა თვალი გაახილა, მზე ფანჯარაში იყურებოდა. ტატაჩი უკვე წასულიყო.

„ იქნებ წუხელ ბავშვი ამყვა, ჰა!“ — გაიფიქრა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლოგინიდან ფრთხილად წამოდგა, ვაითუ სუსტი წელი მაქვს და მომწყდესო.

თავში ჩურჩუტული ზრახვა გაუჩნდა. ალბათ ბავშვური სიანცე უფრო იყო ეს გადწყვეტილება, რაკი მის რწმენას რწმენა არც ეთქმოდა.

ლამაზად ჩაიცვა. თმები დაივარცხნა. სარკესთან ტრიალებდა და საკუთარი თავი დიახაც მოსწონდა. ჯერაც ცქრიალა გოგონას ჰგავდა, გათხოვება არც დასტყობია.

ქალებს არც გაუმხილა, სად მიდიოდა. სკოლისდროინდელი ამხანაგი ახსენა, მკერავია და იმასთან მივდივარო.

საქმიანი იერით გადაჭრა ბულვარი. სასახლის ეკლესიასთან ნაბიჯი შეანელა. მოეჩვენა, თითქოს მის ყოველ ნაბიჯს ცის მაღალი გუმბათიდან დასცქეროდა ყოვლისმხილველი მზერა. უნდოდა პირჯვარი გადაეწერა, მაგრამ ღღისით-მზისით მთელი ქალაქის თვალწინ ვეღარ გაბედა.

ჩხერეთის ხიდზე თავდახრილი გადავიდა. არ უნდოდა კაკლებთან შეყრილ უსაქმურ მამაკაცებს თვალში მოხვედროდა, თუმცა იეჭვიანა, თითქოს იმ მამაკაცთა კრებულს ვიღაც გამოეყო და კვალზე აედევნა.

მოიხედა. მთელი ორღობე ხიდიდან ვიდრე მთისძირამდე უკაცრიელი იყო.

კიბეებს გულისფანცქალით შეუდგა. სულიერი ვინმე არც აქ ჭაჭანებდა. საეჭვო იყო აქ ამოსვლის თვით სურვილიც. აკრძალვით არავის აუკრძალავს. თავისთავად გამოვიდა ასე, ტაბუ დაედო მაცხოვრისგორას და მავანს არ გააკვირვებდა შეკითხვა, ამ გზაზე რამ წამოგიყვანა, რა გინდოდაო...

ნახევარგზაზე მოეჩვენა, კვალდაკვალ თითქოს ვიღაც ამოდიოდა კიბეზე. შეჩერდა, სუნთქვა დაიოკა. ჩქამი არ ისმოდა. ალბათ ნიავმა გაიფაჩუნაო და გზა განაგრძო.

შიშმა თანდათან გაუარა, დაღლამაც. მაღლა მიიწევდა, თითქოს უფრო მსუბუქდებოდა, გზა ეიოლებოდა.

მერე და მერე ვეღარც იხსენებდა, როგორ აირბინა ასერთი საფეხური, როგორ მოლია ვიწრო, დაცლილი ბილიკი, როგორ შედგა ფეხი მაცხოვრისგორის შუბლზე.

ნახევრად მორღვეულ ზღუდეს მიღმა ეკლესიის ნანგრევები ველურ ბალახს წაეღო. ქვის თლილი, ჩუქურთმებიანი ლოდები ჭინჭარსა და კატაბალახში ეყარა. ნანგრევებსა და ზღუდეს შორის მწვანე მდელო ხასხასებდა და მართა შუხლებზე დაეშვა. ლოცვის სიტყვები მან არ იცოდა და თვითონვე შეთხზა: „ღმერთო, მომივლინე ძე ნანატრი, ჭეშმარიტების დამდგენი, სიმართლის მაძიებელი და ვარქვა მას სახელად მართალი!“ თვითონაც არ ეგონა, მისი ნატვრა ასეთ ფორმას თუ მიიღებდა, მაგრამ იმასაც მიხვდა, უფალი თუ არის ცათა შინა, ის ყოვლისშემძლეა და რაგინდარა სიტყვები წარმოვსთქვათ, მან წინასწარ იცის ჩვენი ყოველი ზრახვა და ჩანაფიქრი.

მზერა აღაპყრო მართამ, ცის გუმბათს შეხედა. ციდან სილურჯე იღვრებოდა და იმ სილურჯეში მირიადი ლანდი კრთოდა, ამა ქვეყნის ანარეკლი ანდა იქნებ იმქვეყნის არსებობის დასტური... თაყვანი სცა მართამ იმას, რისი არსებობისა არა უწყოდა, დაიხარა, ხელებით მიწას დაეყრდნო და შუბლით გრილ ბალახს შეეხო... მუხლზე ჩოქვით დაიძრა იგი ეკლესიის ნანგრევებს ირგვლივ. ხანდახან შეჩერდებოდა, ცას ახედავდა, ხმამაღლა გაიმეორებდა აჩემებულ სიტყვებს:

— ღმერთო, მომივლინე ძე ნანატრი, ჭეშმარიტების დამდგენი, სიმართლის მაძიებელი და ვარქვა მას სახელად მართალი!

მერე ისევ გაივლიდა ჩოქვით იმდენივეს და კვლავ იმეორებდა... ასე შემოიარა ერთი წრე, მეორე... თავდაპირველად, მუხლები ეტკინა, დაებეგვა... თანდათან შეიპყრო გაუცნობიერებელმა აღფრთოვანებამ, თითქოს ციდან ჩამოიღვარა ღვთიური რამ მადლი... ტკივილები გაუქრა და სულში ზეიმი ჩაუგუბდა... ჩოქვით მიდიოდა მართა, იმეორებდა ლოცვის სიტყვებს, თაყვან-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სა სცემდა ლურჯი ცის თავანს და გრძნობდა, რომ მისი ეს სიტყვები უსაგნოდ არ იკარგებოდა, ეთერის შორეულ სივრცეებს სწვდებოდა და უსაზღვროდ დიდ სიკეთეს მისთვის მოეპყრა სასმენელი თვისი...

— ღმერთო მომივლინე ძე ნანატრი, ჭეშმარიტების დამდგენი, სიმართლის მაძიებელი და ვარქვა მას სახელად მართალი!

მესამედ შემოუარა მართამ ეკლესიის ნანგრევებს. ერთხელაც ახედა ზეცას, თაყვანით დაემხო პირმიწაზე და მიუგდო ყური... მისი სულის ზეიმში შეიჭრა უცხო რამ ბგერა, მსუბუქი ნაბიჯის ხმა, ბალახის გაფაჩუნება. უცბად მოიქუფრა, მუხლები ასტკივდა, იგრძნო საკუთარი სხეულის სიმძიმე და თავის აწევა გაუჭირდა. როცა მზერა აადევნა, შავი ჩექმები და ყავისფერი გალიფე დაინახა.

ელდანაცემმა წამოიწია, მაგრამ კაცის ღონიერი ხელები მხრებზე დაეყრდნო. ბიკენტი თოლორაია თვითონაც მუხლებზე დაეშვა, სახეში ჩახედა, თვალი გაუსწორა.

ქერა თმა შუბლზე გადმოცვენოდა ბიკენტის, ნიავი უწეწავდა. ლურჯი თვალები იმ ცას მიუგავდა, თავზევით რომ გადმომხობოდათ. ლამაზი ტუჩპირი და ჯანსაღი, თეთრი კბილები ჰქონდა.

— ვიცოდი, მართა, რომ შენში ორი სულია!

— თავი დამანებე, ბიკენტი, იცი შენ, ვინცა ვარ და ვისი ცოლიცა ვარ!— მკვახედ შეეპასუხა ქალი, მაგრამ მის ხმაში ჩვეული სიმტკიცე აღარ ისმოდა და ბიკენტიმ ეს მცირე ნიუანსი იგრძნო.

— დრო ისეთია, მართა, ორგულობა არავის ეპატიება, მაგრამ შენ ერთადერთი ქალი ხარ, ვინც მიყვარდა და მიყვარს!

— აღრე სად იყავი, ბიკენტი, — ვითომ ხუმრობაში გადაუგდო მართამ; — აღრე უნდა გეთქვა ეს!

— ისედაც ხომ ხვდებოდი, მართა, სიტყვები რა საჭირო იყო! შენ სხვა ირჩიე და ჩემი ბედინერებაც მაშინ გათავდა!

— გამიშვი ბიკენტი! — კვლავ შეეხვეწა მართა. — გამიშვი! და-ძმებივით შევეზარდეთ ერთმანთს, კარგად იცი, ვისი შთამომავალნიცა ვართ!

- ტატაჩის და არ ყოფილხარ, ჩემი და საიდან იქნები? ტატაჩი რომ მარჩიე, იმ დღეს შეცდი, მართა!

— გამიშვი, ბიკენტი! — კვლავ შეეხვეწა მართა, მაგრამ უმალ მიხვდა, კაცი იოლად არ გაუშვებდა. უღონოდ გაიბრძოლა და ამ გაბრძოლებამ ბიკენტი უფრო წაახალისა.

— მართა, მართა... — თვალები დაენისლა, პირზე წადილი აესახა, ქალი მოიზიდა.

მართამ მკერდზე მუშტები მიაბჯინა, ცდილობდა მკლავებიდან თავი დაეღწია, მაგრამ ძალა აღარ ეყო და ტირილი დაიწყო.

მისმა ცრემლებმა უფრო გაახელა ბიკენტი, უკანასკნელი რიდი მოეხსნა, კისერზე აკოცა და იქვე, მწვანე მდლოზე წააწვინა.

— გამიშვი, გამიშვი, ბიკენტი! — სუსტად იბრძოდა მართა. ოღონდაც, ეს ბრძოლა მოწოდებას უფრო ჰგავდა. მიხვდა ქალი, საკუთარმა ხორცმა დაღუპა, საკუთარმა წადილმა, უნებლიე ლტოლვამ გამოაცალა ძალა... ან რანაირად უნდა ებრძოლა მართას?.. აქამდე თურმე კაცი არც უნახავს, აქამდე რაც იყო, მხოლოდ მიბაძვა ყოფილა, უცეცხლო და უძალო... უსაზღვრო ტკბობისაგან თითქმის გონდაკარგული, ეკლესიის მწვანე ეზოში, ლორთქო ბალახზე იწვა და რამე ღონე წინააღმდეგობისა აღარ შერჩენოდა.

მერე, როცა ქარიშხალმა გადაიარა, ცეცხლი გაუნელდა და გონს მოეგო, პირველი, რაც მოაგონდა, სიკვდილის სურვილი იყო.

— თავს მოვიკლავ, ბიკენტი! — ჩასჩურჩულა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კაცი მიხვდა, ეს არ იყო თამაში, შეშფოთდა, შეშინდა და ერთადერთი გამოსავალი მონახა:

— ორივემ მოვიკლათ თავი, თუ გინდა!

მართამ ხელები გაასავსავა, მძიმედ წამოდგა, ბარბაცით მიაშურა ბილიკს, ადევნებულ ბიკენტის კი ხელით ანიშნა, დამტოვეო.

დაღმართზე რამდენჯერმე დაუცდა ფეხი. ასმეერთე საფეხურამდე ძლივს ჩააღწია, ჩამოჯდა და კარგა ხანს იტირა. უფრო სირცხვილისაგან, რადგან რცხვენოდა საკუთარი სისუსტისა, იმ უსაზღვრო ტკბობისა, რაც განიცადა... რანაირად უნდა მისულიყო შინ, რანაირად შეეხედა თვალებში ტატაჩისათვის, დედამთილისათვის, ლეკისათვის... „თავს მოვიკლავ!“ — ამ ფიქრებს ჩასჭიდებოდა, ამითღა იმშვიდებდა სინდისს.

თავი ვერ მოიკლა მართამ, ახალგაზრდა იყო, სიცოცხლე უყვარდა და იმიტომ ვერ მოიკლა.. მუცლით ნანატრ შვილს დაატარებდა და იმიტომაც ვერ მოიკლა... საკუთარი თავის კი არა, შვილის გადასარჩენად განუდგა სიმართლეს და სიცრუე ირჩია. დრო იყო ისეთი, სიმართლით შორს ვერ წახვიდოდი, სიმართლე კლავდა ადამიანს, სიცრუე გამხდარიყო არსებობის ფორმა...

□გაგრძელება იქნება□

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გიორგი ხუხაშვილი

ჩემი მეგობარი სამოცდაათი წლისაა. ამ სამოცდაათი წლიდან ორმოცდაათი წელი ერთად გავატარეთ, ერთად გავიარეთ ცხოვრების ურთულესი გზები. დღეს გიგლა ხუხაშვილი ცნობილი დრამატურგი, პოეტი და კრიტიკოსია, რომელმაც თავისი ნიჭი და ენერგია უშურველად შეწირა ჩვენს კულტურას. ჟურნალ „მნათობის“ რედაქციის სახელით ვულოცავ ამ ღირსშესანიშნავ თარიღს, ვუსურვებ ჯანმრთელობას, დღეგრძელობას და ახალ შემოქმედებით გამარჯვებებს.

არჩილ სულაკაური

ავტოპორტრეტი

სონეტები

„მინდვრები, ველები, ტყეები,
დღეები, ბავშვობის დღეები.“

გალაკტიონ ტაბიძე

1.

დრო ჩქარა გარბის, მემოკლება დღე და საათი,
იქნებ სულ ცოტა დარჩენილა დასასრულამდე?
მოგონებებად ცხოვრების წიგნს დავასურათებ,
სანამდე წელი გასრულდება სამოცდაათი.

ფიქრები ჩემი შორეთის გზებს გადაევლება,
გაფრენილ წლების სურათები სულში ლაგდება,
შორეთს გარბენილ ბილიკებად, ლიანდაგებად,
გრძელ გვირაბებში მოგუგუნე მატარებლებად.

წაშლილი გზებით, დაკარგული მისამართებით
მე აღდგენილი უზუსტობა მეპატივება,
ჩამრჩენ ხსოვნაში ფერგადასულ ნეგატივებად,
თითქოს ღამეში ხელში სანთლით მივემართები.

რაც სულში ცხოვლად აღბეჭდილი მიტარებია,
სინათლედ მოჩანს დაბინდული გვირაბებიდან.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

2.

მოგონებანი გზებს უჩინარ ფუნჯით ხატავენ,
თითქოს მდინარეს შეუპოვრად აღმა მივყვები.
აიშლქბიან კარნავალის ჭრელი ნიღბები,
გამინათებენ ჩირაღდნებით წაშლილ სათავეს.

წამართვა თითქოს მოჭიხვინე ცხენმა სადავე,
მოდის ჩქერებად სურათების სწრაფი დინება,
დატრიალებულ მორევებად, წყალვარდნილებად.
ვერც აღმა მივალ და ვერც გაღმა ვეღარ გადაველ.

აღმა მივცურავ ადიდებულ ჩქარ მდინარეში,
წამერთვა ძალი, მომეძალა უსუსურობა,
რამდენი ტალღა შეუერთდა უსასრულობას,
ზღვაში დაინთქა, დაიშალა ზათქით, თარეშით.

და რა ვიცოდი, ბედო, როდის გადამისროდი,
უძირო ზღვაში იდუმალი მარადისობის.

3.

ზღვასთან ქვიშაზე თითქოს ვეძებ წაშლილ ნაკვალევს,
მგზავრს გზააბნეულს ეჭვი სულში ჩამეფესვება,
ტაძრის კედლებზე მესახება წაშლილ ფრესკებად,
რესტავრატორის უსუსური ხელი კანკალებს.

ჯუახლოვდები, მაინც ახლოს ვერ მივეკარე
გაცრეცილ ფერებს, ჩამქრალ ხაზებს, გამქრალ კონტურებს.
თუმც წარმოსახვით არ ვყოფილვარ ბედის მომდურე,
მკრთალი ნათელი ვეღარ ანთებს ბნელში ეკრანებს.

დამბადებელო, შენ აღმინთე შუქი, სულმნათო,
რაც ჟამთა დენას შეემუსრა და დაეფლითა,
სამარადჟამოდ ფენიქსივით აღდგეს ფერფლიდან.
სიცოცხლე ჩემი ფურცელ-ფურცელ დავასურათო,

მზე ჩამავალი არ ჩამიქრო დასალიერო,
ჩანახატები მხატვარივით ვათვალიერო.

4.

როგორც მლოცველი მუხლმოყრილი და მოღაღადე,
შეგთხოვ სიცხადე მოანიჭო ჩამქრალ სურათებს.
ბნელში მოარულს წარუძეხი, გზა გაუნათე,
არქეოლოგი ნამსხვრევით რომ ჭურჭელს აღადგენს.

თუმცა არ ვიცი, ვის მივაგებ ამით სარგებელს,
ცხოვრების ჩემის გაფანტული შევკრა ფურცლები,
რასაც თიხისგან ვაქანდაკებ და ვეფუძნები,
ბავშვობა ჩემი ჟრიამულით შემომაგებე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოგონებებში რაც პირველი ხმებით აკივლდა,
გახელილ თვალთა სინათლეზე გამომიჩინე,
როგორც ავგაროზს, თუ ეღარუნა ფერად კინჭილებს,
ჩემს გასართობად დაკიდებულს, ვგრძნობდი აკვნიდან,

როცა დილის მზე ყოველივეს ასხვაფერებდა
ფერთა და ხმათა სამყაროში ასამღერებლად.

5.

დასაბამიდან დაგვიწესა დედაბუნებამ,
რაც დაკარგულა და გამქრალა სამარადისოდ,
ისევ ფერხორცით, სისხლითა და ცრემლით აღივსოს,
გავდეს მეორედ დაბადებას ეს დაბრუნება.

შეგვწევდეს ძალა სათავისკენ შესაბრუნებლად,
მარადიული იმედისთვის, დიდი რწმენისთვის,
აღდგეს ყოველი გარდასული, როგორც ფენიქსი,,
როცა სიცოცხლე დაღლილ ფრთებით გესალბუნება.

შემოქმედება, შრომა, გარჯა, ფიქრი, ჩალიჩი,
რაც დაძველებულ სურათებად სულში გეტევა,
არ წარიხოცოს, წყარო ჩქეფდეს დაუშრეტელად,
ნათლად იხილო, როცა ჟამი გართმევს თვალისჩინს.

სამყარო ვრცელი, საოცარი, ნათილისმარი,
არასდროს გაქრეს სამუდამოდ, როგორც სიზმარი.

6.

შენც არაერთხელ გიფიქრია ალბად ამაზე,
ჩვენი ბავშვობის წიაღიდან რადგან მოვედით,
შენი პორტრეტი არის ჩემი ავტოპორტრეტი,
რასაც აღვადგენ და ოდნავ არ შევალამაზებ.

რა ვიგრძენი და განვიცადე, იგრძნობ ამასვე,
ჩვენ საუბარი ერთმანეთში უნდა გაგვება,
სახით სისხლით და ცრემლით ერთნი შეგვქმნა განგებამ,
შენი სიცოცხლით და სიკეთით რადგან ამავსე.

თუმცა ყველას გვაქვს სახლი ჩვენი ბავშვობიდანვე,
გზა და მდინარე, გაღვიძებულ ფიქრის საგანი,
გვახსოვდა სხვენზე შენახული ჩვენი აკვანი,
როცა დღეებმა გაზაფხულის გამოვვიდარეს.

მინდვრად სირბილი, ცურვის სწავლა, ჭიშკრის გაღება
რვეულში პირველ ნახატებად გვეამაყება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

7.

ოცნებავ ჩემო რა სიცხადით მიეშუქები,
მზით რომ ივსები ყრმობიდანვე და იმსჭვალები.
ბანძის მინდვრები თუ აბაშის მწვანე ჭალები,
დიდი ცაცხვებით დაბურული მშვიდი შუკები.

გზებზე ნავარდი რა სიამით და მონდომებით,
ლორთქო ბალახის რძით და ნამით სველი ტუჩები,
მაისი მწიფე ალუბლებით და ალუჩებით,
თეთრი ზამთრები, კალთაუხვი შემოდგომები.

თეთრი დღეები თოვლის თეთრად გადანათებით,
აჩეხილ ყანებს საქონელი გადაბღაოდა,
თეთრი დუმილი ძელქვებმაღალ სასაფლაოდან,
თოვლის ბაბუა, ჩიტები და კაკანათები.

აპრილის წვიმა და ცაცხვებქვეშ გადაწვიმება,
მზით განცვიფრება ფერადოვან ფანტაზიებად.

8.

ხარ უცნაური მოუსვენრად ცნობისმოყვარე,
განცვიფრებული ბავშვის ცრემლიც გაჩნდა დრამაში,
ჭალაში ყოფნა, სტადიონზე ბურთის თამაში,
დაღლილობისგან კოჭლი ფეხი არსად მოხარე.

თუმცა მელექსე არ გყოლია კაცი მოგვარე,
ძველმა წიგნებმა სული შენი ზარდეს დღითიდღე,
დედაენაში რაც პირველად ამოიკითხე
და უნებურად იმ ლექსებმა ცრემლი მოგგვარეს.

ხარ მორბენალი, მოცურავე, მარდი მეთევზე,
სავსე ოცნებით, იმედებით და მონატრებით,
თოვლიან ღამით წაკითხული ძველი ზღაპრები,
მერე ნახშირით მიხატული საბძლის კედელზე.

განცვიფრებულმა ბებერ მუხას უნდა უყურო,
როცა იდუმალ ხმეებს გამოსცემს შავი ფუღურო.

9.

ბავშვობა ჩემი მეგებება მშვიდი სოფლიდან,
მზის მაცქერალი გაოცებით და განცვიფრებით,
ხან ჭალიკონში ვაყურადებ შრიალს იფნების,
პირველ სიზმრებში მგალობელთა გუნდი მოფრინდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მჭადის ნატეხი და ნაჭერი ყველი მყოფნიდა,
მერე ჭალაში უბელო ცხენს მივაჭენებდი.
ხან ხის მერქანზე ვხედავ სრბოლას ჭიანჭველების,
მუმლის, იდუმალ მოძრაობას პირველყოფილთა.

შენ არ გჩეოდა სიმშვიდეში თვლემა ოდესმე,
გაკვეთილებსაც არასოდეს იმეორებდი,
დასჩერებოდი მდინარეში ბრუნვას მორევის,
აბაშის პირას ფეხშიშველა მჯდარი კბოდეზე.

წვიმა და ქარი შორ სივრცეებს გაგაცილებდა
ბიჭს გარინდებულს მოშრიალე აკაციებთან.

10.

შენ უკვე წვდები აწითლებულ ტოტებს შინდისას,
უბეში მარჯვედ მოკრეფილი ხილი გეყოფა,
არაფერს მოკლავს არასოდეს შენი ხელთოფა,
თუმცა დევები დაუხოცავს იფნის შვილდისარს.

სიზმრებში ბორგავ და უხილავ მტერს ეომები,
რას გეუბნება შემოდგომის წყნარი მოტივი,
ქარის წისქვილებს როცა ებრძვი დონკიხოტივით
და ღამეებში უსმენ შორით ღმუილს ლომების?

შენ გეძახიან ნანგრევები ნოქალაქევის,
ტაძრის დაგმანულ კარებიდან მუნჯი ხატები,
როცა შესძახებ იდუმალ ბნელ შეღაღადებით
და გპასუხობენ ფრესკებიდან მოქადაგენი.

შენ იდუმალის შეძახილით შეძვრა მოგინდა,
როცა ღმერთის ხმა შემოგესმა სინაგოგიდან.

11.

შენ მეოცნების ფიქრი დაგყვა დედის მუცლიდან,
სული პირველად უპასუხო კითხვით დამძიმდა,
საიდან მოხველ, ან გზა საით მიდის ბანძიდან,
შენს დაბადებას ბედისწერა წლობით უცდიდა?

სიცოცხლე შენი აღორძინდა მკვიდრი ფუძიდან,
აზრგაღვიძებულს უთვალავი კითხვა გაწუხებს,
შეყურებ ცას და რა ამაოდ ეძებ პასუხებს,
იმათი ჯიშის, სული ფიქრით რომ დაუმძიმდათ.

რაღაც მარადი, ვერ ძღეული, შეუბღალავი,
საუკუნეთა სიშორეში აჩენს დასაბამს.
და შენ ამ ქვეყნად გაჩენილი იოდასაფად,
სიკვდილ-სიცოცხლით არ გასვენებს სიბრძნე ბალავრის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიხარულს შენსას იმთავითვე დაჰყვა ტკივილიც,
და უნებურად ატირდები ვაზის ტირილით.

12.

მაინც რას ნიშნავს ბედის სამზღვარს გადაცილება,
როცა სავსე ხარ ოცნებით და ნეტარებითა,
პატარა ია ამეტყველდა დედაენიდან,
და წარმოსახვა აყვავილდა ფანტაზიებად.

ცად ვარსკვლავებში იდუმალის მუდამ ძიება,
თითქოს ლურჯ ზღვაში გადაეშვი გაშლილ მკლავებით,
შენ გიყურებენ ციდან თითქოს ის ვარსკვლავები,
გაკრთობს დედის ხმა:„ შვილო, რატომ არ გეძინება“?

როცა აპრილში გააღვიძებს ხეებს კვირტები,
შენ ბუნებაში გაგაღვიძა თითქოს მინდიამ,
„დღენი საიდან მოდიან და საით მიდიან?“
ჩნდება კითხვები, დღე და ღამეს რომ აკვირდები.

თითქოს იმედად ხმა უფლისა გესმა ზეციდან,
და ნაბიჯები ეგვიპტიდან გადმოხვეწილთა.

13.

და ყოველივე სამყაროში როგორ განცვიფრებს,
მიწის წიაღით მარცვლებისგან აღმოცენებით.
წვიმა, ბალახი იდუმალი აღმოჩენები,
ადევნებული შთაგონება ღრუბლებს ნაცრისფერს,

ირგვლივ რამდენი სილამაზე და სინატიფე,
მზე და ბალახი, ცაში ფრენა ჩიტბატონების,
თუთარჩელაში გიმღერიან იადონები
და წიფობელა ვენახებში ყურძენს ამწიფებს.

დიდი სიჩუმე გაპობილი მეხთა ხმაურით,
ვარსკვლავებიდან მოღწეული ხმები განგების,
აკვირვებს ჩვენებს საღამომდე სად ვიკარგები,
მოუსვენარი, ჩხირკედელა და უცნაური.

მესმის დედმამის განცვიფრება და საყვედური:
„„რაღაც უცნაურ ვარსკვლავზეა დაბადებული“.

14.

მე კურდღლის ძილით მძინავს ღამით და ვხედავ სიზმრებს,
აყვავილებულ სიცოცხლის ხეს, მარად რტოვაშლილს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

თითქოს უეცრად დავიკარგე მარტოობაში
და მთიდან მთაზე მეჩვენება უსაზღვრო სივრცე.

და იდუმალ ხმებს ვარსკვლავებით მოღწეულს ვისმენ,
თითქოს ზარები ირეკლება მყუდრო ოდაში,
და ჩემს ფიქრებში, ნასიზმრალში თუ ნაბოდვარში
ასხის მთებიდან ჩამოდიან ქარები ისევ.

და ცისარტყელა, თითქოს ცაში ასული კიბე,
ჩვენი მდინარის გაღმა გზებს რომ გადავძახებდი,
ლურჯი ლებარდე თუ სვანეთის გადასახედი,
ქვეყნიერების დასასრული კიდითი კიდე.

და დათოვლილი თამაკონი, შორი ჩეგოლა
უკანასკნელი მზისქვეშეთში მიჯნა მეგონა.

15.

ღამით უეცრად ზღაპრებიდან მოსვლა დევების,
კოცონს ანთებენ მოარული ოჩოკოჩები,
ვარ ფეხმარიდი და ქარებს ვუსწრებ ჩემი კოჭლობით,
მემუქრებიან ალქაჯები გამოდევნებით.

ციდან წვიმებად დაწურული ღრუბლის მტევნები,
იდუმალება დადუმებულ სასაფლაოდან.
მძინარე სოფელს ღამე ბნელი გადაფაროდა,
მაინც იმედი ფანჯრებს მიღმა შემოთენების.

როცა მშვიდ ძილით იძინებენ ჩემოდენები,
რად ვუსმენ ძახილს მშობლიური ნანგრევებიდან?
რად ვიძაბები უცნაური ვახევებითა
და ვუსმენ ქარში გაბმულ ზუზუნს გველხოკერების.

ღმერთო მაღალო, ფიქრი ჩემი საით წარიღე,
საფლავის ლოდზე რომ ვკითხულობ წაშლილ თარიღებს.

16.

დიდი ცაცხვები საიდუმლოს თითქოს გამენდნენ,
ზეცაში ვხედავ ანგელოზებს, წყალში ფერიებს.
არავინ იცის პირველ ლექსებს რა მაწერინებს,
ოდნავ ჩაწეულ ლამპის შუქზე შუაღამემდე.

სად ვიკარგები და დემონი ჩემი დამეძებს,
რას მიამბობენ ქარიშხლები და ზეფირები?
საით მივილტვი პირველ ლექსთა დაზეპირებით
როცა მზე ჩადის და დღე მოკლე არი ღამეზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაც გაზაფხულმა აყვავილა, ქარში გადახმა,
დაჭკნობა ვარდთა, იდუმალი ფერისცვალება.
შავ ლრუბლებს იქით, ციურ ტბებში რა იშალება,
რა არი მაღალ ალვებსა და მთების გადაღმა;

რაზე მეტყველებს მდუმარებით თეთრი მარტვილი,
საით მეძახის ლურჯი სივრცე ანდამატივით?

17.

მე შევეჩვიე მდინარესთან ხშირად ხეტიალს,
როცა მზიანი დღე იფშვნება, როგორც თუთუნი,
რას მეუბნება აყალყებულ ჩქერთა დუდუნი,
ეს გარინდება სიცოცხლეზე ითითქოს მეტია.

რა ფიქრი მავსებს ილბლიანსა და ქუდბედიანს,
როცა წყალს მიაქვს უცნაური ჩემი აჩრდილი,
შორეთის ამბებს ყვება თითქოს ტობავარჩხილი,
დავიწყებაში რაიც დროჟამს წარუხვეტია.

თითქოს ხვითოს და ჯადოქრობას ნაზიარები,
შეძრული სული სიჩუმეში ახმაურდება,
როცა წისქვილი ამბებს მოქსოვს აბლაბუდებად,
ოქროს თევზები მორევებში დასრიალებენ.

და სიჩუმეში ბალახივით უხმოდ იზრდება,
ქვეყანა ირგვლივ განფენილი ფერად სიზმრებად.

18.

ზღვა სიხარულში ლანდად გაჩნდა შიში მაშინვე,
მოვა, ლოგინთან დამიჯდება შუაღამეში.
ფათურობს მწერი, სიბნელეში ფშვინავს კამეჩი,
და მე არ ვიცი ვარსკვლავები რატომ მაშინებს.

რატომ განვიცდი მზიურ ფერებს ღამით წაშლილებს,
რა მელოდია იკარგება გაბმულ გამებში?
საიდან მესმის სიჩუმეში ხმა გილგამეშის,
წამში ათასი ფიქრი ჩნდება, ქრება წამშივე.

და ბუხარივით ნელა ქრება ღამე ოდიშის,
ეკლბარდებში ძილგამკრთალი ითქოს გავები,
იქნებ ეს ღამე, ეს ცაცხვები და ვარსკვლავები
მილიონ წლებით ასე იყვნენ ჩემს მოლოდინში?

იქნებ წინაპრებს მოვყოლილვარ მე იმ დროინდელს,
გადმოხვეწილნი ეგვიპტიდან აქ რომ მოვიდნენ?

ეროვნული ბიბლიოთეკა

19.

არ მომასვენა, ღამეებში თითქოს დამაცხრა,
გამომედევნა დაუვიწყარ პირველ ხიბლივით,
იოქანანი თეთრი წვერით, კაცი ბიბლიის
და მუხლებამდე გრძელი ხანჯლით ჯმუხი თარასხან.

და შორეული ხმები აკრთობს ჩემს ფანჯარასაც,
ციხე-კოშკები, სიზმრებში რომ წარმომსახოდა,
ძაღლების ყეფა ფაღავების სამოსახლოდან,
და ნანგრევებთან შვილდისრებით ლაშქრის დარაზმვა.

საღამოს, როცა ნაწვიმარი მიწა შეშრება,
როცა მარიხი იკიაფებს ქუჯის ციხესთან,
სოფლის კლუბიდან ელნათურა გამოიხედავს,
ნაცნობ მეკარეს ვთხოვ კინოში მუქთად შეშვებას.

და ჩემი ფიქრი შორეულ გზებს მიმოედება
კინოფირების ლიანდაგთა კილომეტრებად.

20.

სადა ხართ ახლა ბედნიერი ჩემი ტოლები,
ჩვენი ოცნება რა ქარებმა მიმოაღავა,
ჩვენი სოფლელი დონკიხოტი ტატო ფაღავა,
ვის ნახატებსაც შევყურებდით გულათრთოლებით.

ვინც ძველ კედლებზე გამოსახე შორი ბრძოლები,
ამირანი და რაინდები ვეფხის ტყაოსნის,
ტანზე შეეცცვდა მამაპაპის ძველი სამოსი,
მშიერმწყურვალი ძველთა ძველ სახლს ველარ ტოვებდი.

თითქოს უსმენდი ზღაპრებიდან მოსულ ასულებს,
ვერ უპატრონე დაბრმავებულ მოხუც მამაშენს,
გურამიშვილი კინოფილმში ვერ ითამაშე,
ავტოპორტრეტიც შენი მაინც ვერ დაასრულე.

ვერ შეეჩვიე მეზობლებში მუქთა პურმარილს
და იმ ძველ სახლში ჩუმად მოკვდი მშიერმწყურვალი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მამუკა დოლიძე

ორაფრის შესახებ

(ამავე სახელწოდების რომანის მოტივებზე)

მიმდინარე წლის 17 ნოემბერს, ან შესაძლოა 23 მაისს, დღის თორმეტ საათსა და ოცდაშვიდ წუთზე დამირეკეს და მაცნობეს, რომ უნდა დაწყებულიყო. ვერ გავარჩიე, ვისი ხმა იყო. ხაზგასმულად თავაზიანი ტონი მუქარას გამოხატავდა. მაგრძნობინეს, რომ თუკი ამჯერადაც შუა გზაზე მივატოვებდი დაწყებულს, საერთოდ დავკარგავდი შემდგომი მუშაობის უფლებას. ამიტომ, დამიკიდეს თუ არა ყურმილი, კარადიდან ვერცხლის თასი გადმოვიღე, სპირტით ავავსე, ზედ ცოტა ზეთი მოვასხი, ნეკიდან ნემსით ორი წვეთი სისხლი გამოვიწურე და ჯამში ჩავაწვეთე. სპირტს ცეცხლი მოვუკიდე. ავარდა თუ არა ალი, ახალი ღოქმა გადმოვიღე, ბოლოში გადავშალე და გაბმულად, ოდნავი წამღერებით დავიწყე კითხვა.

— ისევ მუზა მოგყავს? — გამომეხმაურა დედა თუ ცოლი.

ხმა არ გავეცი, ალმოდებული ჯამი გადავაპირქვავე და წიგნი დავხურე.

ორის ოცი წუთი იყო, კიბეზე რომ ჩავრბოდი. ორის ნახევარზე უკვე გაჩერებაზე ვიდექი. მოვიდა პატარა, მაღალდიფერიანი ავტობუსი. ნომერი ვერ გავარჩიე, თუმცა ამას არც ჰქონდა მნიშვნელობა, შევეჭედე როგორც იქნა და მძღოლთან შევძვერი.

— ისევ იქით? — მკითხა. თავი დავუქნიე.

— ეჰ, შემობრუნდა და ხალხით გაჭედილ სალონს გადახედა. — შენ ვინცა ხარ,გასაგებია, მაგრამ ამათ რაღა დააშავეს?

— რა მნიშვნელობა აქვს, თუ ძმა ხარ, ვინ საით წავა. — ვუპასუხე.

უაზრო სახის მგზავრები მდუმარედ იდგნენ. ამ საცოდავებისათვის მართლაც სულერთი იყო, ვის საით გაიტაცებდა ჩემი უგზო-უკვლო სვლა.

— გააჩერე, მოვედით!

— მაშინ ხომ სხვაგან მიგიყვანე? — მომიბრუნდა მძღოლი.

— მაშინ მხოლოდ ვერთობოდი, ახლა კი რაღაც მნიშვნელოვანი იწყება.

ქალაქს სანამ არ გავცდით, მაინც არ ჩამომსვა. მეც აღარ გამიწევია წინააღმდეგობა; რაც უფრო შორს წავიდოდით, რაც მეტად გაიხსნებოდა სივრცე, მით უფრო ფართო იქნებოდა ჩემი ასპარეზიც.

მარცხნივ და მარჯვნივ მწვანე მინდვრები გადაიშალა. თავბრუ დამეხვა. მიხაროდა, რომ სწორედ აქ და ახლა შეწყდა ავტობუსით მგზავრობა და ასე საამოდ ჩავიკარგე მწვანე უსასრულობის სურნელოვან ტალღებში.

— ვერ დაიკარგები, ჩვენ აქა ვართ! — ბალახიდან ამოცურდა ახალგაზრდა კაცი. ავტომატს ათამაშებდა ხელში.

— შენ მელაპარაკე ტელეფონით? — მივუბრუნდი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ამას მნიშვნელობა არა აქვს. — მიპასუხა.

— საით მივდივართ?

— მშვენივრად იცი საითაც. რამდენჯერ წავედით და ვერ მივაღწიეთ.

— არ წამოვალ. — იქვე ჩავჯექი. — რამდენი უნდა მატაროთ? დაბრუნებაც ხომ უნდა შევძლო? თავი გავაქნიე. ავტომატმა ზედ ჩემს ყურთან დაიჭექა.

— ჯანდაბას! — წამოვდექი. — ერთხელაც ვცადოთ.

ცოტა ვიარეთ თუ ბევრი, გუგუნი მოგვესმა. წინ ჯაგნარი გაჩნდა. კაცმა ეკალბარდები გადასწია და ვიწრო დერეფანში გაგვაძვრინა. სამხედრო აეროდრომზე გავედით.

— აირჩიე რომელიც გინდა! — თვითმფრინავებისაკენ გაიქნია თავი.

— აი, ეს — ხელი დავადე ბუჩქებთან კალიასავით დასკუპებულ ვერტმფრენს.

კაცი წინ წავიდა და ერთ-ერთ მფრინავს სახელოში წვდა.

— თქვენ ხომ არჩილი ხართ? — მფრინავმა თავი დაუქნია. — ჰოდა გთხოვთ, გეხვეწებით, მეგობარს განავარდება მოუნდა და ხუთი წუთით დაგვითმეთ აი ეს პატარა ვერტმფრენი.

თქვენ უარს როგორ გეტყვით! თანაც საიდანღაც მეცნობით. ცუცა დეიდას ხომ არ იცნობთ?

— ცოტას გავინავარდებთ და დავჯდებით, ვიდრე წაიხემსებთ. მერე თუ ინებებთ, თქვენს სადღეგრძელოსაც დავლევ.

ვიცოდი, რომ გეცოდინებოდათ! ტაში შემოჰკრა მფრინავმა. — მსხვილი ქალია, ჩიყვიანი. ო, რა მიხარია, რომ სწორედ მე მომმართეთ თხოვნით! — მფრინავი ხტუნვა-ხტუნვით წინ გავარდა.

— მოიცა შე ოხერო! — კაცი წაეპოტინა, მაგრამ რაღას მიწვდებოდა!

— თავი დაანებე — ვუთხარი. — ახლა მაგათ საუზმე აქვთ. ძაღლი პატრონს ვერა ცნობს, როცა მშივრები არიან.

მფრინავებმა სასმელ-საჭმელი ამოიღეს, ხის ქვეშ მოიკალათეს და იქ დაიწყეს ქეიფი.

— ჩქარა! — კაცმა ხელი მკრა ვერტმფრენში ავძვერით, მავთულები ერთმანეთს მივუერთე. ავცახცახდით, მიწას მოვწყდით და პირდაპირ ავიჭერით ცაში.

ვერ ვიტყვი, რამდენ ხანს ვიფრინეთ. იქნებ წამი გაჩერდა? იქნებ საუკუნე გადაგორდა? ბინდდებოდა, მთას რომ მივაღწიეთ და ერთერთ ფერდობზე დავჯექით. უცებ ზღვის სურნელება შემოიჭრა ფერდობს შეფენილ ტყეში. უხვი იყო ეს სურნელება, მიმზიდველი და მაცდური. თვალს კი ატკბობდა ზეცას შეთამაშებული ზღვა, მაგრამ ვგრძნობდი, რომ ამ სიმშვენიერეს მეორე, იდუმალი მხარეც ჰქონდა და ეს შიშნარევი იდუმალება მიზიდავდა მისკენ. ასე ჩავედი ნაპირზე და შევცურე ზღვაში, სიტყვას შევუერთდი ზღვადქცეულს, რომელიც ისე გაიხსნა და გაფართოვდა, აღარც თბილისის ზღვა იყო და აღარც შავი, ერთიც იყო და მეორეც.

სურნელება თავბრუდამხვევი, სილამაზე ენით უთქმელი! „მოჭუტე თვალი, დაიჯერე, რომ ყოველივე სიკეთით და სიმშვიდით არის სავსე! მაგრამ არ შემიძლია! უნდა გადავიხედო სიკეთის მიღმა, დაფარული დავინახო!“ და უცებ მივხვდი, რომ ეს იყო სისხლის ზღვა! სისხლი აძლევდა სიტკბოს, სისხლი მატებდა სიშავეს! სისხლის ტალღები მაცხრებოდნენ თავს და ჩონჩხებმოფენილი ნაპირი ჩემსკენ იწვდიდა ხელებს! ნაპირზე ომი იყო გაჩაღებული მართლაც ჩონჩხები ებრძოდნენ ერთმანეთს! სხვადასხვა ფერის დროშები ტრიალებდნენ სისხლის მორევში, ციდან იღვრებოდა ცეცხლი და მთელ ზეცას, ზღვასა და ხმელეთს მოსდებოდა კალიების ურდო. კალიების შავი ღრუბელი ნთქავდა სივრცეს ნაპირებიდან ზღვის კიდემდე, გველეშაპივით ეხვეოდა მზეს, მთვარესა და ვარსკვლავებს, ურჩხულივით წვებოდა სისხლადქცეულ ზღვაზე. მეც მომეწია კალიების ლაშქარი, მეც აღმოვჩნდი ღრუბლის წყვდიადში, მაგრამ რომ დავაკვირდი, კალიები კი არა, კბილებამდე

ეროვნული ბიბლიოთეკა

იარაღში ჩამჯდარი მეომრები იყვნენ ისინი! მოელვარე მუზარადებით, სიბრაზისაგან გადასწორებული სახეებით. ზეციდან ეშვებოდნენ მწყობრად და სპობდნენ ირგვლივ ყველაფერს, თვითონაც იღუპებოდნენ, უცებ კარგავდნენ მზერას, იერ-სახეს, ფერსა და ხორცს, მაგრამ ჩონჩხადქცეულნი, მაინც აგრძელებდნენ ბრძოლას, ქმნიდნენ დაჯგუფებებს. პარტიებს... ეჯახებოდნენ ერთმანეთს, გზას უკაფავდნენ ახალ კალიებს, თავისუფლების დროშით რომ გამოდიოდნენ ზღვიდან და იდგა გოდება და ტყვიების მრავალწერტილი აზრსა და გარკვეულობას უკარგავდა ცეცხლში გახვეულ ნაპირს, ბნელს შერეულ ზღვას და გაისმოდა შეძახილები, მოწოდებები, სიძულვილით აღსავსე მეომრები ვეღარ არჩევდნენ მტერსა და მოყვარეს, ირგვლივ ყველაფერს ანადგურებდნენ და ბოლო არ უჩანდა ნგრევას, მაგრამ სიძულვილი ნგრევაზე უფრო შორს მიდიოდა და მარტო ბოროტებას კი არ უნთებდა ცეცხლს, ზღუდეს არღვევდა სიავესა და სათნოებას შორის და ეს იყო გაუკულმართების მწვერვალი, როცა განურჩევლად ითქვიფებოდა ერთმანეთში ცარიელი სიტყვებად ქცეული ბოროტება და სიკეთე.

კალიები ახლა ზღვისპირა ქალაქს უტევდნენ. ზეცა სავსე იყო მუქარითა და რისხვით. მეომარი ღრუბლები ჭექა-ქუხილით ეჯახებოდნენ ერთმანეთს. ფოლადის „ჩიტები“ ცეცხლის ისრებით ცხრილავდნენ უკვე დანგრეულ, ლამის მიწაში ჩამძვრალ ქალაქს. ქალაქი აღარ ერქვა მას, მაგრამ მაინც განაგრძობდა არსებობას, მაინც ებრძოდა არყოფნას,..

და აი, ფოლადის ჩიტების ახალი გუნდი წამოვიდა სისხლში ჩამხრჩვალი მზიდან, მაშინვე ქალაქის მხრიდანაც ამოვარდა შემხვედრი გუნდი, ზედ ჩემს თავზე შეეჯახნენ ერთმანეთს. რკინის ფრთებით დატრიალდა, მერე კი აალდა გავარვარებული ცა, ერთ-ერთმა „ჩიტმა“ ბოლი გამოაფრქვია და ვარდნა დაიწყო. ჩიტს პარაშუტი მოწყდა და ნარნარად დაეშვა ზღვის ტალღებზე. მფრინავი ვიცანი. სამხედრო აეროდრომზე რომ ვნახე ის იყო.

— არჩილ! — ძალა მოვიკრიფე და შევძახე. — რა ხდება?

არჩილმა მოიხედა, ან მიცნო ან ვერა, მაინც მიპასუხა.

— ალყა შემოგვარტყეს, ყველგან ღალატია, ზღვიდანაც გვიტევენ! ვერ ხედავ რამოდენა მხეცი ამოდის ტალღებიდან! ჩქარა!

ზღვიდან ამოცურებულმა. ათასი ცეცხლით მოელვარე ჯავშანმა თვალი მომჭრა.

დაგვინახა! ჩვენსკენ ატრიალებს ტუჩს, დაყვინთე!

ჩავყვინთე რაც შემეძლო ღრმად, გული მერეოდა, არადა უნებურად მაინც ვყლაპავდი ტკბილ, წებოვან სისხლს. დავმძიმდი, სიმძიმემ კიდევ უფრო ღრმად ჩამითრია, ტყვიები სტრიქონებივით ხაზავდნენ აქაფებულ ტალღებს. აქ კი, ზღვის სამარეში სიმშვიდე იდგა. ვეღარ აღვიქვამდი საკუთარ თავს, ვერც მუცელში ტყვიასავით ჩაღვრილ სისხლს ვგრძნობდი... სიმსუბუქის ძებნამ მომიყვანა ზღვასთან, ზღვადმოქცეულ სიტყვასთან, მიწიდან მსურდა მოწყვეტა და მიწას მივეჯაჭვე, ნიჟარათა ხავსმოდებულ ხლართებში გავიბლანდე. დასასრულის განცდა მაინც არ მქონდა, ვგრძნობდი, რომ ეს ყრუ სიმძიმე და განურჩელობა, როცა ჩემთვის აღარ არსებობდა ალმოდებული ზღვა და არყოფნის ნაპირი, იყო განსაცდელი, განსაწმენდელი, საიდანაც ახალი სიცოცხლე წამოვიდოდა. ამ გრძნობამ ამომიყვანა სამარიდან, თვითონ არ ვიცი როგორ შემოვიგლიჯე წყალმცენარეთა ბორკილი და ნელ-ნელა ამოვცურე ზღვის უფსკრულიდან.

ფერფლით, ძვლებითა და ხორცის ნაგლეჯებით მოფენილ ნაპირზე გამოვედი. ჩემი მეგზური გულაღმა იწვა. ტყვია კეფაში ჰქონდა მოხვედრილი. ღია თვალებით შეხვედროდა სიკვდილს. ბრძოლის ხმა ახლა შორიდან ისმოდა. ნაქალაქარი ხრჩოლავდა, აქა-იქ ფეთქდებოდა და

ეროვნული ბიბლიოთეკა

ისევ ქრებოდა. ზღვა ნელ-ნელა დაიწმინდა, გაფერმკრთალდა, განაზდა ამომავალმა მზემ უკვე შეაღო ცის კარი. ახალი დღის სუფთა, ჯერ დაუწერელი ფურცელი მოეფინა განთიადის ცას.

— მდაა... — მომესმა ხმა — მეტად ჰიპერტროფირებული ხილვებია... თქვენ ჩემო ბატონო, სწორედ ზღვაზე დასვენება გჭირდებათ.

●

ასე დაიწყო ჩემი მოგზაურობა არსაით, ჩვენი ძალად შექმნილი წყობის მოკადოებულ წრეზე. ხმა ჩემი წინას ხილვების შესახებ ელვის სისწრაფით გავრცელდა მთელ ჩვენს სისტემაში. პირველად ამ ხილვებზე რეაგირება მოახდინეს იქ, სადაც საჭირო იყო. სტრიქონები ბოლომდე არც მქონდა ჩამთავრებული, რომ უკვე მომივიდა მოწვევა იქიდან. მიბარებდნენ სასწრაფოდ, რატომღაც შესვენების დროს, პირველიდან ორ საათამდე.

— იმიტომ რომ არ გვინდა ჩვენს პირველ შეხვედრას ოფიციალური ხასიათი მივცეთ შესვლისთანავე ამიხსნა ბატონმა ღვალაძემ, ლომისფაფრიანმა კაცმა, რომელსაც შუბლზე ქოჩორი აკრეჭილი ჰქონდა. — დეიდა ცუცა, მოვიდა!

კაბინეტში შემოკრუსუნდა დეიდა ცუცა. გაურკვეველი ასაკის არსება, თაგვივით ცხვირწაწვეტებული, მგლის ჩამოგრძელებული ქვედაყბით.

— გვესტუმრა ჩვენი მოუსვენარი ბიჭი! — გაუღიმა ცუცას ლომისფარფლიანმა თუ ქოჩორაკრეჭილმა (რომელიც გნებავთ) კაცმა. ცუცა დეიდამ მაგიდაზე ყვავილების თაიგული შემოდგა, ყავა ჩამოასხა და მორცხვად ჩაღუნა თავი.

— ჩვენს ონავარ ბიჭს ჰგონია, — ისევ ცუცა დეიდას მიუბრუნდა კაბინეტის ლომი, — რომ ყველაფერს, რაც თავში მოუვა, ან ენაზე მოადგება, უფლება აქვს სიცოცხლე მისცეს. ისეთი ცნებები, როგორიც არის მასალის სელექციონერ-ოსის სისტემაში მოყვანა, სისტემის იდეისადმი დაქვემდებარება, მოტივირება, ახსნა, უცხოა მისთვის.

— ვინ გეკითხება! — ვეღარ მოვითმინე

— ხედავ, დეიდა ცუცა, გულზე როგორ მოხვდა! გვეკითხებიან, სწორედ ჩვენ გვეკითხებიან, სხვანაირად დაგვენგრეოდა თავზე ის, რასაც ვაშენებთ...

— იცი, ცუცა დეიდა, რა არის ცენზურა? — განაგრძო კაბინეტის ლომმა — ცენზურა მარტო ყურის აწევა და კუთხეში დგომა არ გეგონოს. ცენზურა არც მაკრატელია და არც კლასიკოსის ციტატა, გაფრენილ სიტყვაში უადგილოდ ჩასმული. ცენზურა მე და შენ, ჩემო ცუცა, უფრო ფართოდ გვესმის, იმდენად ფართოდ, რომ ზუსტად ვერც დავადგენთ, რაში მდგომარეობს ის. აი ეს ვაჟბატონი — ჩემსკენ გაიქნია თავი — დაუკრეფავში გადასვლას ცდილობს, სადაც არც ლიტერატურაა და აღარც ცხოვრება, ცხოვრების დაუკითხავად მისი სითავხედე იქამდე მიდის, რომ თავის თავსაც აღარ ეკითხება იმას, რას წერს. ცდილობს წარმოიდგინოს, რომ სადღაც თავისთავად მიედინება სათქმელი და ამ მდინარეში შესვლა, სურს ისე რომ რიყის ქვებს გველის პერანგივით შეატოვოს საკუთარი თავი! ხომ ლამაზად ვთქვი? — შემომიბრუნდა.

ტაში დავუკარი.

— ჰოდა, ქალბატონო ცუცა, წარმოიდგინოთ ახლა, რომ ეს მდინარე ზღვას უერთდება და ზღვადმოქცეულ სიტყვაში ჩაძირული, მარილწყლის ნაცვლად, სისხლის სიტკბოს შეიგრძნობს. რადგან საკუთარი თავი რიყეს შეატოვა, აღარ არსებობს შემაკავებელი ძალა, რომელიც ამ წიაღსვლას აღუდგება წინ.

— არა უშავს, ჯელი ბიჭია, გამოცურავს — თქვა ცუცა დეიდამ.

— თავისი ჯელობა და ბიჭობა უკან დარჩა რიყეზე, ლიტერატურული ფორმისადმი ასეთ უდიერ მოპყრობაში კი

ეროვნული ბიბლიოთეკა

არსებული წესრიგისადმი პროტესტია ჩაქსოვილი.

— რომელ წესრიგზე მელაპარაკები — შევაწყვეტინე — როცა ჩემზე უკეთ მოგეხსენება, რომ ირგვლივ არსებული უსაზიზღრესი ფარსია, სადაც არამკითხე ცენზორს თამაშობ!

— რას მიქარავ! — კიდევ რაღაცის თქმა უნდოდა, მაგრამ არ ვაცალე, ფაფარში ჩავავლე ხელი და პარიკი ჩამოვგლიჯე. მრგვალი ჭაღივით ალაპლაპდა მისი თავი.

— უი, ქოსა ყოფილა! — ისედაც ღია პირი კიდევ უფრო დააფჩინა ცუცა დეიდამ.

— ქოსატყუილა. — დავამატე მე.

— ხელს რატომ გვიშლით ჩემი ბატონო? — ფარდა გადაიწია და მეორე ოთახიდან რეჟისორი გამოვიდა. — რა მონდომებით, როგორი წვალებით დავდგით თქვენი შეხვედრა. ეს ხომ საკვანძო მომენტია, როცა გმირი უნდა განიწმინდოს აპოკალიფსური ხილვებისაგან და რეალობას დაუბრუნდეს. ადვილი ხომ არ გგონიათ ამის ორგანიზება? სადადგმო ინვესტიცია გაგვინახევრეს, მაგიდა და სკამები სახლიდან მოვიტანე, ვერცხლის კოვზები გავყიდე, რომ ეს არაჩვეულებრივი მართლაც ლომის ფაფარი შემეძინა. თქვენ კი შეხვედრაზე ისე გამოცხადდით, მგონი ტექსტიც კი არ იცით თქვენი.

— თუ გულსუსტი არ ბრძანდებით, ერთ საიდუმლოს გაგიმხელთ.

— ბრძანეთ! —

— ტექსტი : არ არსებობს.

— რაო!

— ტექსტი არ არსებობს. არც ჩანაფიქრი. ყველაფერი აქ და ახლა იქმნება.

—ვაი! — ესღა მოასწრო, წაბარბაცდა და მოჭრილ ხესავით დაენარცხა იატაკს.

— ექიმი ცუცა დეიდა! ნიშადური, ჩქარა, — კაკო გვიკვდება, აწრიალდა ქოსატყუილა.

ცუცა დეიდა კივილით კარში გავარდა შემოვარდა, ტელეფონს დასწვდა, კარგა ხანს უბერა სული, — ამასობაში სხვა მსახიობებიც შემოვარდნენ, ვინ ნახევრადჩაცმული, ვინ სახემოთხუპნული.

— რა უთხარი ასეთი იმ პატიოსან ადამიანს, შე არაკაცო! — ყელში მწვდა ქოსა. მუხლი ამოვარტყი და რეჟისორს მივუწვინე გვერდით.

— მილიცია, თუ პოლიცია! — ამოიხრიალა ქოსა ცენზორმა

— არ გვინდა, ჩვენც ვეყოფით! — მსახიობებმა ალყა შემომარტყეს.

ცუდად წავიდოდა ჩემი საქმე, ბედზე რეჟისორი გონს. რომ არ მოსულიყო. წამოჯდა, მიმოიხედა და მსახიობებს ხელით ანიშნა გაჩერდითო.

— მარტო დაგვტოვეთ! — ბრძანა.

ყველა გაიკრიფა. ქოსატყუილაც დერეფანში გაათრიეს.

— გულზე ხელი დაიდე, იხუმრე არა?

— არა — გულზე ხელი დავიდე და ვუპასუხე.

— კარგი გეყოფა — წამოდგა და მაგიდას მიუჯდა. ხომ ხედავ, არ ვაფიქსირებ შენს სიტყვებს. ვითომ არაფერი გითქვამს. მდივანსაც მოველაპარაკები, რომ ოქმი დახიოს..

— მაშინ მეც ბოლო უნდა მომიღოთ — ვუთხარი — რადგან მე ასე ვფიქრობ, ასე ვქმნი და ასე ვარსებობ.

— შენ უნდა გადასხვაფერდე. ჯერ ერთი, შეუძლებელს ცდილობ. თუ არ გაცხრილე თუ არ მოაწესრიგე ის, რაც შენს გულსა და გონებაში ტრიალებს, თუ არ ამოკვეთე ან არ დაასამარე ის, რაც შეეფერება სინამდვილეს, შენც დაილუპები და ჩვენც დაგვლუპავ!

— მაგრამ ის ხომ არსებობს! — დავიცვირე — სისხლის ზღვა არსებობს, ჩვენი ავკაცობით მოზღვავებული სისხლი!. არსებობს არა როგორც სიზმარი, არამედ როგორც ცხადი, რადგან მე ვარ ეს სინამდვილე!

— შენ სინამდვილის სარკე ხარ მხოლოდ — თითი დამიქნია. — იმაზე მეტი არ უნდა გამოსახო, რაც არ მომხდარა და არც შეიძლება რომ მოხდეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— რაც გამოგეცხადა, ის უნდა გამოსახო! თვალს თუ აარიდებ, თავს თუ მოიტყუებ და გულში ჩაიმარხავ, ის ჯებირს მაინც გაანგრევს და გადმოხეთქავ!

— ეს არ მოხდება — თავი გააქნია — მშვენივრად იცი რომ სისხლის ზღვა არასოდეს იქცევა სინამდვილედ.

— ვინ იცის? აკრძალულმა და გამოუთქმელმა ერთხელაც იქნება საშინელი ძალით შეიძლება იფეთქოს.

— ძალიან ამუქებ საღებავებს. — სიგარეტი შემომაბოლა და თავი გააქნია. — მესმის, რომ ეს ყველაფერი მხატვრული ხერხია, მაგრამ ბევრმა შეიძლება პირდაპირი მნიშვნელობით გაიგოს.

— ვისაც როგორ გაეხარდება, ისე გაიგოს. — ვუთხარი. — მე ვწერ იმას რასაც ვხედავ. — რას ხედავ მაინც ამისთანას?

— თუნდაც იმას, რომ თქვენი შენობა ნანგრევებადაა ქცეული.

— მოეშვი ამ ავადმყოფურ ხილვებს. დაწერე უბრალოდ, შენი თაობის სატკივარზე. დროშა დაიჭირე-მეთქი, არ გავალებ, მაგრამ ცოტა მზეც უნდა მოფინო შენს სტრიქონებს.

— აღარ უნდა მომეშვა? — საყელოში ვწვდი. — ჩემი ახალგაზრდობის წლებიდან ამ რეცეპტს მთავაზობ, ფეხდაფეხ მომდევ მოთხრობიდან მოთხრობაში, ათასნაირად ჭრი და კერავ სტრიქონებს, შენ რომ არ გეკუთვნის...

— მიშველეთ, ხალხნო! დეიდა ცუცა! — აფართხალდა.

შემოვარდა ცუცა დეიდა! საშინელი ძალით დამეტაკა, თავი ვერ შევიმაგრე და ორივენი ხალიჩაზე დავგორდით. ცუცა დეიდამ არნახული ძალა და სიმარჯვე გამოავლინა, განძრევა ვერ მოვასწარი, მუხლი კეფაზე მომაბჯინა, ხელები ზურგზე ამომიტრიალა და თასმით შემიკრა.

— ქამარი! — დაუყვირა

კაკომ სასწრაფოდ მოიხსნა ქამარი და ცუცა დეიდას გადაუგდო. გამიკოჭა ფეხებიც.

— ასეე, ახლა შეგვიძლია დამშვიდებით შევუდგეთ საქმეს. რით დავიწყოთ? — იკითხა კაკომ.

— შავი ზღვისპირეთის პასაჟი მთლიანად ამოსაღებია — თავი მოიფხანა ცუცამ.

— ეს სხვათა შორის შენს იდეასაც ამართლებს. — მომიბრუნდა კაკო. რაც უფრო შეებრძოლები ბოროტებას, მით უფრო ამკვიდრებ და აძლიერებ მას. ამიტომ უკეთესია, განზე გავდგეთ და ჩავთვალოთ, რომ სულაც არ არსებობს ის.

— მე ეგ არ მითქვამს — ვუპასუხე. — არსებულის არარსებულად მიჩნევა უარესი ბოროტებაა. ნათქვამია, ცოდვილს უფრო მიეტევება, ვიდრე განზე მდგომს. სიავეს ის სიკეთე კი არ ძლევს, რომელიც თავს არიდებს მას, არამედ ის, რომელიც სცნობს, თვალს უსწორებს, არ ეშინია მასთან შეხების, არ ეშინია გასვრის და მასთან ერთად ტრიალებს ცოდვა-მადლის მორევში.

— ამან ისევ გარეკა — თავი გააქნია კაკომ. — კუზიანს სამარე გაასწორებს.

ამ სიტყვებით ცხვირსახოცი ამოიღო და პირში ჩამიტენა. — ესეც ასეე, ახლა კი, ცუცა დეიდა, კარებთან დადექი, არავინ შემოუშვა! ჩქარა, დავიწყოთ!

— გვერდი მესამე — სათვალე გაიკეთა ცუცამ. „და უცებ მივხვდი, რომ ეს იყო სისხლის ზღვა, სისხლი აძლევდა სიტკბოს, სისხლი მატებდა სიშავეს! სისხლის ტალღები მაცხრებოდნენ თავს და ჩონჩხად ქცეული ნაპირი ჩემსკენ იწვდიდა ხელებს!

— აუ, რა საშინელებაა! — ყურებზე ხელი აიფარა კაკომ. — ხელნაწერის გადაკეთება დაიწყეს. აღარ მაძლევენ გასაქანს. აღარ მენდობიან. შებოჭილი ვარ ყოველმხრივ. აბლაბუდასავით გაბმულმა ფიქრმა სისხლი გამოწოვა სიტყვას. შმორის სუნი ასდის ძალად შეთხზულ სიკეთეს. წითური სახე, ნესტარივით რომ ამოაცალეს სიძულვილი, ღიმილის ნიღაბივით ჰკიდია სივრცეში. სულისშემხუთავად გატკბილდა ზღვისპირეთი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ელურტულებენ მერცხლები, ლაჟვარდში თოლიები დანავარდობენ და უცებ აფეთქების გამაყრუებელმა ხმამ შესძრა შენობა, აამღვრია ნათელ ფერთა თამაში...

— რა ხდება? — წამოხტა კაკო.

— ციდან დაგვესხნენ თავს, ქალაქს ბომბავენ. — თქვა ცუცა დეიდამ.

— მეორედ ეგ არ წამოგცდეს, ვინ უნდა დაგვესხას, როცა ირგვლივ სულ მეგობრებია!

სწორედ ამ დროს ყუმბარა ჩვენს შენობას დაეცა. თვითონ არ ვიცი, როგორ მოვასწარით გარეთ გამოვარდნა, ეს უზარმაზარი ნაგებობა, რომელსაც მთელ ქალაქში ჰქონდა გადგმული ფესვები, კარავივით წამოიქცა.

●

აღსრულდა ის, რასაც ვხედავდი წინასწარ! შინაგან საქმეთა შენობა ნანგრევებად იყო ქცეული! შავ დღეში აღმოჩნდა მთავარი პროსპექტიც! ყველგან ნგრევა, ცეცხლი, ნაცარი. დეკორაციებივით იდგნენ გულამოცლილი, გაჭვარტლული ფასადები! ნანგრევებს შორის უაზროდ დაბორიალობდნენ სახეგასისხლიანებული, ტანსაცმელშემოგლეჯილი ადამიანები. როგორც შევიტყვე, თავდასხმა ციდანაც იყო და მიწიდანაც. ამის შესახებ გაეროს უკანასკნელ სხდომაზე განცხადებაც კი იქნა გაკეთებული, თუმცა განცხადება რატომღაც შესვენების დროს გააკეთეს, როცა ერთა წარმომადგენლობის ძირითადი ნაწილი ლუდის დასალევად გაიკრიფა.

— არაუშავს, მაინც გაიგებენ. გაიგებენ და გამოგვესარჩლებიან! — თითი ცისკენ აღაპყრო ერთ-ერთმა მოქალაქემ, რომელშიც კაკო შევიცანი.

— გაერო ვერ გვიშველის — ვუპასუხე — თვითონ უნდა მივხედოთ საკუთარ თავს.

ლიტერატურული მიმოხილვა

რამდენადაც ჩვენი ლიტერატურული ცხოვრების მანძილზე დავრწმუნდით, რომ კრიტიკა დუმს, გადავწყვიტეთ თავად ვაქციოთ ჩვენივე თავი განსჯისა და ანალიზის ობიექტად.

რისი თქმა სურს ამ მხატვრული ნაწარმოებით ავტორს? ავტორს ამ მხატვრული ნაწარმოებით არაფრის თქმა არ სურს. უბრალოდ შეიძლება ითქვას, რომ ამ ბოლო დროს, ის, ვინც მიუჯდა საბეჭდ მანქანას მეტად არეულ, მდგომარეობაში იმყოფება. ერთი მხრივ, ათასნაირი საშინელება ტრიალებს მის ირგვლივ; ომი, შიმშილი, ინფლიაცია, ძველ საძირკველთა ნგრევა და ქაოსი. მეორე მხრივ კი ეს საშინელებები უცნაურია, მაგრამ ვერ არღვევენ, პირიქით უფრო აძლიერებენ ცხოვრების ერთფეროვნებას და ხსენებულ ავტორში პროტესტისა და შეურიგებლობის ნაცვლად განურჩევლობას და სიცარიელეს აჩენენ. ავტორი ერთ მშვენიერ დღეს უფსკრულის პირას აღმოჩნდა და გადარჩენის მიზნით მან შემოქმედებითი მობილიზაცია გამოუცხადა საკუთარ თავს.

ზემორე (ან ქვემორე, ეს სულერთია რადგან ჩვენ ნაწარმოების შუაში ვიმყოფებით) ლიტერატურული ექსპერიმენტი სწორედ ამ უფსკრულის ამოვსების ერთ-ერთი ცდაა. იმედია, რომ ავტორი ღირსეულად გაართმევს თავს უფსკრულთან ბრძოლას და მიაღწევს იმას, რასაც წინასწარ ვერაფრით ვერ დაუსახავდა თავის ნაწარმოებს მიზნად.

რაც შეეხება ხასიათებს. აღშფოთებით უნდა ავღნიშნოთ, რომ არცერთი ჩვენთაგანი არ არის დასრულებული და ლოგიკური. რა გვინდა, რისთვის ვარსებობთ? როგორ ვხედავთ ქვეყანას? რატომ ვამბობთ ერთს და ვაკეთებთ მეორეს? საბეჭდ მანქანასთან მჯდომს ამ შეკითხვებზე პასუხი არ მოეძებნება. ამიტომ მთელი პასუხისმგებლობით ვაცხადებთ: ეს არ არის ლიტერატურა, არა! მაგრამ ამავე დროს არ შეიძლება მთელი შეგნ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ებით არ ვაღიარეთ, რომ სწორედ ეს არის ლიტერატურა, რადგან ჩვენს დაუსრულებლობაში, ჩვენს ალეგიკურობაში წამით მაინც გაიელვებს ის შეუცნობელი არსი, რომელიც აუცილებელ მოვლენათა სიმძიმეს, უსასრულობაში ფრენის ნათელ სიმსუბუქედ გარდაქმნის.

●

— სად გავჩერდით? — თავი ასწია კაკომ.

— თვითონ რომ უნდა მივხედოთ საკუთარ თავს — ვუპასუხე.

— ეტყობა სხვა გზა მართლაც აღარ არის — ხელები გაშალა — ჩაწერე, რომ ზიხარ თვითმფრინავში და ზღვისპირეთისაკენ მიფრინავ...

ვზივარ თვითმფრინავში. ერთსაათიანი ფრენის შემდეგ ზღვა აციმციმდა და ნაქალაქარის კვამლი შეერია ღრუბლებს. ყველანი აქ არიან. კაკო და ღვალაძეც კი წამოვიყვანე, რომ თავისი თვალით ნახონ და დაიჯერონ ის, რისი დანახვაც და დაჯერებაც არ უნდათ. მფრინავი მკვეთრად ატრიალებს საჭეს და შემობრუნებული მანქანა ძირს ეშვება.

რბილი, ხასხასა მინდორი გადაიჭიმა ქვიშის ნაპირიდან დაბურულ ტყემდე. ასეთი სიმწვანე ამერიკულ სათავგადასავლო ფილმებში თუ მინახავს. წარმოუდგენელი სილამაზეა ირგვლივ, რასაც კოლორიტულად ამდიდრებს და ამძაფრებს აქა-იქ ავარდნილი ცეცხლი, ლაჟვარდს შერეული კვამლი. ასოასო აჩეხილი ადამიანები ვარდისფერ ლაქებად მიმოფანტულან მინდვრის ყვავილთა შორის. „ბე-ტე-რი“ იხტიოზავრივით დაცოცავს და სულთამბრძოლავ სხეულებს ცომივით აბრტყელებს. ნელ-ნელა ვეშვებით ბრძოლის ველზე. ტყიდან გვესროლეს და აალებული პროპელერი ცეცხლის წისქვილივით დატრიალდა. დაჯდომა მაინც მოვასწარით და ახლა თხრილისკენ გავრბივარ. ხანძრად ავარდნილი მინდორი ფეხდაფეხ მომდევს. ცეცხლის სხივებში წითლად გიზგიზებენ ნახევრად შიშველი მეომრები. მინდვრის მწვანე ფერი უცებ მუქ შეფერილობას იძენს. სადღაც ყუმბარა გასკდა და ნამსხვრევებმა სისხლის ახალი ლაქებით მოფინა ომის პალიტრა. არა, ალბათ ვერ დავხატავ იმას, რასაც ვხედავ. შევეცდები აზრი ამოვიკითხო და აზრის მიხედვით გავშალო და დავალაგო ფერთა ქაოსი! პირველივე აზრი კი ის მომდის, რომ არაბუნებრივი სილამაზე წარმუდგენელ სისასტიკეს ერთვის. სილამაზე კიდევ უფრო ამძაფრებს საშინელებათა მხატვრულ ეფექტს! და აქ მივხვდი, რომ ეს გახლდათ დადგმული სცენები! რომ დამდგმელიც აქვე ტრიალებდა და სიძულვილი, ასეთ ლამაზ ფერებად რომ იყო გაშლილი ბრძოლის ველზე, მის მიერ გახლდათ ხელოვნურად, პროფესიონალის მთელი ოსტატობით გალვივებული! ვხედავდი კიდევაც მისი მუშაობის კვალს; უცებ პროჟექტორი აღმოვაჩინე, რომელიც მიწიდან იყო ამოჩრილი და ჩონჩხს ანათებდა. ჩემი ეჭვი იქამდეც მივიდა, კლდის უზარმაზარი კედელი დეკორაციად იქცა, ზღვისპირა ქვიშა კი ნაგვით მოფენილ სცენად, ხოლო უკან, ლურჯად მოლივლივე ზღვა აბრეშუმის ზოლი აღმოჩნდა! უფრო უცნაური კი ის იყო, რომ ეს აშკარად თეატრალური ეფექტები სანახაობის მთელი ეს პირობითობა, ოდნავადაც არ ანელებდა და არ ამსუბუქებდა ომის საშინელებებს. მანქანები ნამდვილად ფეთქდებოდნენ, მეომრები მართლაც იხოცებოდნენ და თუ ეს ხოცვა-ჟლეტვა ვერ ახდენდა სასურველ ეფექტს, უხილავ რეჟისორს მეორე დუბლისათვის ახალი ცოცხალი ძალა შემოყავდა.

სიკვდილი თითქოს თავის თავს დასცინოდა, საშინელებებიდან სანახაობას ქმნიდა და ბრძოლის ველი წარმოადგენდა ტყით გარემოცულ სცენას, სადაც ერთდროულად უამრავი საბრძოლო ეპიზოდი იდგმებოდა. იქ, სადაც მე ვიდექი, (ვიდექი კი არა, თავფეხიანად მიწა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ში გახლდით ჩამძვრალი) „იხტიოზავრი“ ნადირობდა. ხორთუმაშვერილი მანქანა ჯერ, შორიდან გვებრძოდა, ზედიზედ გვაყრიდა ნაღმებს. შემდეგ მოგვიახლოვდა. ცოტაც და იმ თხრილზე ამოვა, სადაც ჩავსაფრდი. ზოგიერთი ვერ უძლებს დაძაბულობას, გარბის. განსაკუთრებით გაუსაძლისია ფიქრის ის მძლავრი პულსაცია, სიცოცხლის ის უმწვავესი სისავსე, რომელსაც მხოლოდ სიკვდილის პირისპირ ერძნობ. ამიტომ ბრძოლის ველი სიცოცხლით არის სავსე, გაშლილი და გაფურჩქვნილია უთვალავ ფერთა თამაშით. ჩვენს მიზანსცენაში განსაკუთრებით შთამბეჭდავია გაქცეული შიში, იხტიოზავრმა რომ ჩააცვა ცეცხლის ქურქი. ეფექტურია მიწიდან ამომძვრალი ზვარაკიც, ასაფეთქებელი ბოთლით რომ შეუვარდა მანქანას ბორბლებში.

აფეთქების ტალღამ მიწა გადმოგვანგრია თავზე. უხილავი რეჟისორი, ჩანს, ცოცხლად დამარხვას მიპირებს, მაგრამ რაკი მე მხოლოდ როლის შემსრულებელი არა ვარ, რადგან შემიძლია, გარედანაც შევხედო საკუთარ თავს, ვხედავ იმასაც, რომ მიწა თხლად არის წაფენილი და გვერდიდან შეიძლება საფლავის გარღვევა. ერთი ენერგიული გაბრძოლება, შიშის უკუგდება და უკვე ზევით ვარ! ხოჭოსავით გაშავებული, ჩანახშირებული მანქანა ხრჩოლავს, იწვის და იფერფლება. ამ ტყე-მინდვრის კონტექსტში ის მთლიანად კარგავს თავის მნიშვნელობას და რჩება როგორც განცდილი შიშისა და სიხარულის ტკბილმწარე ნალექი. ბრძოლიდან უვნებლად გამოსული, ახალ როლს ვეძებ, სიმაღლეს ვიკავებ და ვცდილობ გავმაგრდე. მოვიკრიფო აზრი, მოვახდინო გონების სრული მობილიზაცია, რომ გაჩნდება თუ არა ბზარი მტრის განლაგებაში მთელი ძალით შევიჭრა და ვახლეჩილი მთლიანობა ბოლომდე გავაკეთო. ეს ისეთი ბრძოლაა, რომელიც გამორიცხავს უკანდახევას. გამორიცხავს იმიტომ, რომ ყოველ წუთს ბოლომდე იხარჯები. სული არ ნაწილდება, ის მთლიანად უნდა გასცე, ბოლომდე უნდა ჩაქსოვო იმაში, რასაც აკეთებ. არ შეიძლება ერთდროულად მისი გაცემა და შენარჩუნება, რომ მარცხის შემთხვევაში რაღაც მაინც დარჩეს ჩემგან. ამ თავზარდამცემად ლამაზ მინდორზე ან ხარ, ან არა. თუ ხარ, ისე სავსეა ეს ყოფნა, რომ ვერ ეტევა რეალობის საზღვრებში. ზვავივით მოწყვეტილი ძალა ანგრევს ცალკე ყოფნის ჯებირს და ერთმა გულმა შეიძლება მოიცვას ქვეყნის მთელი სიხარული და დარდი! ამიტომ ვგრძნობ, რომ მარტო არა ვარ, რომ უამრავი ვინმეა თავმოყრილი ჩემს არსებაში. ზემოდან დავცქერი იხტიოზავრებს, ჩემამდე ამოსვლას რომ ცდილობენ. თუმცა ეს მეტაფორა უკვე ამოვარდა ომის ლექსიკონიდან. აქ, სადაც ყოფნა არყოფნას ებრძვის, არავინ ჯერდება ერთ მნიშვნელობას, უამრავ ქვეტექსტს ეთამაშება და მყოფობს როგორც მეტაფორა ან სიმბოლო. ამით უფრო მოუხელთებელი და ძლევამოსილი ხდება. თუკი ბრძოლის დროს დაკარგავს თავის ერთ მნიშვნელობას, მაშინვე ახალი წახნაგით შემობრუნდება და ახალ ასოციაციათა გამომწვევი ხატოვანებით წამოვა. ჩემი ამოცანაც იმაში მდგომარეობს, რომ ჯერ მივაგნო ათასფერ მინიშნებებად და სიმბოლოებად ქცეულ მტერს და შემდეგ ვძლიო, შეველიო თვითტკბობას და ჩემს მიერ მიგნებული შედარებები ამოვაგდო მეტყველებიდან, რომ გზა მივცე იმას, რაც თავისით, ძალდაუტანებლად წამოვა და თავისით მოიტანს სათქმელს. ეს იქნება მტრის როგორც ფიზიკური ასევე მეტაფიზიკური განადგურება, მოისპობა არა მხოლოდ ხორციელად, არამედ აღმოიფხვრება მის ახალ ვარიაციებად აღმოცენების სიმბოლოც.

ჯერჯერობით კი „ბე-ტე-ერი“ ახალი მნიშვნელობით აღსდგა ფეროულიდან, შემობრუნდა და ბორცვისაკენ დაიძრა. ის ახლა პრეისტორიულ ქვეწარმავალს კი არ მაგონებს, არამედ მერმისიდან ჩამოფრენილ ურჩხულს, რომლის მიზანი ჯერ გაურკვეველია ჩემთვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბორცვის წვერზე, ნანგრევებში ჩასაფრებული ველოდები ურჩხულის მოახლოებას. ახალი სიმბოლო იპყრობს ჩემს მისადგომებს. რომ ვძლიო მას, ჯერ უნდა გავხსნა და ამოვიკითხო რისი სიმბოლოა ის. ფაქტია, რომ პირდაპირ არ გვებრძვის, თითქოს მეგობრულად გვიღიმის კიდევაც და თეთრ დროშას აფრიალებს. მოახლოვდა. ნალმსატყორცნი შემოვატრიალე, შიგ ხახაში დავუმიზნე ურჩხულს.

მოიცა, არ გვესროლო! — ურჩხულის ფანჯრიდან თავი გადმოყო ღვალაძემ!— გნებდებით, რა გვაქვს გასაყოფი? ჩვენ ხომ ძმები ვართ? ჩვენ შორის სიძულვილი კი არა, სიყვარულია! დავარქვათ ერთს მეორე, თეთრად გადავღებოთ შავი და მივეცეთ განცხრომას! აბა, საჩუქრები ბიჭებს!

ღვალაძემ პიონერულ საყვირს ჩაბერა, ურჩხული ბროწეულივით გაიხლიჩა და მინდორი ულამაზესმა ქალებმა დაიპყრეს. მაშინვე ქვემეხის კოშკსაც თავსახური ახადეს და კბილებამდე შეიარაღებული, უზარმაზარი ორკესტრი ამოლაგდა მწვანე მუცლიდან. მუსიკოსებმა იარაღი შემართეს, ზოგმა ავტომატის ტუჩს ჩაბერა, ზოგმა კონდახი გიტარასავით მოიმარჯვა და ყოვლად უსახურმა, მონოტონურმა, გამაბრუებელმა ფეთქვამ მოიცვა მთელი მინდორი. ვარდის მჭკნარი ფურცლებივით ცვივათ ქალებს თხელი სამოსი, რაც მეტი ცვივა, მეტად იმოსებიან, ბოლო არ უჩანს მათ გაშიშვლებას, ვიდრე არ ვხვდებით, რომ ისინი არაფერს წარმოადგენენ იმ სამოსელის გარდა, რომელსაც თანდათან იხდიან. მინდორიც ცეკვის რიტმში ტრიალებს. ცეკვა-ცეკვით ხოცავენ ადამიანები ერთმანეთს, საშინელებებიდან სანახაობებს ქმნიან! რაღაც მაგიური, ჯოჯოხეთური რიტუალი ამოძრავებს და ათამაშებს ყველას! სისხლის ნაკადიც რიტმულად სჩქეფს და ამ სასიკვდილო ფერხულს ურჩხულის კოშკზე შემომჯდარი საესტრადო ორკესტრი წარმართავს! მუსიკოსებს ქანცი გაუწყდათ, დაეგლიჯათ თითები, ჩაეხლიჩათ ხმები, რამდენიმე ვირტუოზი გადმოვარდა სცენიდან, ერთს სისხლი წასკდა, მეორეს ჩიტივით აფართხალებული გული ამოუფრინდა ყელიდან, მესამეს სული არ დაჰყოლია მიწამდე. დანარჩენები ძლივსღა უკრავდნენ, საცეკვაო მოედანიც თანდათან შენელდა, დამძიმდა, აქ ღვალაძემ მათრახი ამოიღო და ანსამბლს მთელი ძალით გადაჰკრა. ისევ მომძლავრდა მუსიკის ფეთქვა უკიდურესობამდე გამწვავდა, ტკივილამდე დაიძაბა. დიდხანს ვერ გასტანა ეს დაძაბულობა, ღვალაძემაც იგრძნო ეს. მათრახი შემართა და საცეკვაო მოედანზე სიჩუმე ჩამოაგდო.

— სმენა იყოს! — დასჭყივლა. — ახლა, ძმებო, მოდით, მოვაწყოთ საჩვენებელი გამოსვლა, რომ საბოლოოდ დავამარცხოთ და სამაგალითოდ დავსაჯოთ ის ბნელი ძალა, რომელიც ამღვრევს ჩვენს ნათელ ცხოვრებას!

ეს თქვა და ურჩხულის პირიდან წითელ ბედაურზე ამხედრებული ცუცა დეიდა გამოფრინდა! ცხენმა დაიჭიხვინა, ტლინკები აყარა, ცუცა დეიდამ ფაფარში მოქაჩა, ყალყზე შეაყენა, შემდეგ დეზი ჰკრა და გააქროლა მინდვრის ბოლოს შავი სილუეტისკენ. უნაგირის ჯიბიდან ჟინჟილებიანი ორი შამფური ამოიღო და ცხენდაცხენ ზურგში ჩაასო ბნელ სხეულს. სხეული ტკივილისაგან ისე დაიკლაკნა, კინაღამ არ შემიღონდა გული, ამასობაში ცუცა დეიდამ ვარსკვლავებით მოჭედილი ქარქაშიდან მახვილი იძრო, ძახილის ნიშანივით აღმართა, შემობრუნდა და ღვალაძეს მოწიწებით დაუხარა თავი. ღვალაძემაც უსიტყვოდ თავი დაუქნია, ცუცა დეიდამ უცებ იცვალა ფერი, მახვილი ცისკენ აღმართა, დაიყვირა და ახლა უკვე სასიკვდილოდ შეუტია მტერს. წამით მხედარიცა და ბნელი ძალაც განურჩევლად შეერწყა ერთმანეთს. ცუცა დეიდა ცხენიდან გადმოხტა და ეკვეთა მტერს. ბნელი სხეულიც გამოქანდა მისკენ. ცუცა დეიდამ მოსასხამი ტორეადორივით გაშალა და სიბრაზისაგან ბრმადმოძრავი სხეუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლი ირგვლივ შემოიტარა, ერთხელაც აიცდინა დარტყმა, ლამაზი ბრუნი გააკეთა და თავბრუდახვეულ მტერს შიგ გულში გაუყარა მახვილი. შემდეგ სხეულს ფეხები შეუკრა, თოკი ხელზე დაიხვია, რაშს მოახტა და სხეული, ჯერ კიდევ სულთამბრძოლი, თრევა-თრევით გაიყოლია! თვითონ უნაგირზე წამოდგა, ყირა გაჭიმა და ასე ყირამალა ჩაუქროლა ღვალაძეს. აბა ტაში, ტაშიო! „იღრიალა ამ უკანასკნელმა და ლამის ზეცა ჩამოინგრა მაყურებელთა ტაშისცემით.

რა ხდება? ნუთუ ღვალაძე და ცუცა დეიდა ბოროტებასთან მებრძოლ გმირებად იქცნენ? მაგრამ ეს სახე-სიმბოლოთა მხოლოდ წინა ფარდაა, რომელიც უნდა ჩამოვხსნა, არსი რომ ვიხილო. ამისთვის კი ჯერ უნდა გავარკვიო ვის ეკუთვნის ის ბუნდოვანი, ზნელი სხეული, რომელსაც ასე უმოწყალოდ დაათრევენ ბრძოლის ველზე.

ნათელია, რომ ამ ბნელ სხეულს ადრეც შევხვედრივარ. ვთქვათ ვიწყებ ნამცეციდან, უცაბედი შთაბეჭდილებიდან ან შტრიხიდან და ასოციაციათა ჯაჭვით ჩავდივარ საგანთა სიღრმეში, არსთა არსისაკენ და უცებ ვეჯახები ბნელ სხეულს, რომლის იქით ველარ მივდივარ, რადგან ყოველი ცდა გადავაბიჯო ამ სხეულს მამღვრევს და გონებას მიფანტავს. ნათელია, რომ ეს სხეული ვარ მე, არა როგორც სხეული და არ როგორც სული, არამედ ერთისა და მეორის მთლიანობა, ამიტომ მე არა ვარ მხოლოდ ცხენს გამობმული, მძიმედ დაჭრილი სხეული, არამედ ვარ ძალა, რომელიც აღმადგენს და, ახალი მნიშვნელობით შემომაბრუნებს.

მივხვდი თუ არა ამას, ხედვა დამიბრუნდა, ქვებზე დარტყმებს თითქმის ვერა ვგრძნობ, ჭრილობა შეხორცდა. ტკივილი გაქრა. მოვახერხე თავის წამოწევა, მერე წამოჯდომა; ცხენი ისევ საშინელი სისწრაფით მიმათრევს, მაგრამ თოკს ჩაჭიდებული, თითქმის აღარ ვეკარები მიწას, მსუბუქად მივსრიალებ სათავგადასავლო მინდორზე. ბნელი სხეულის სიმბოლო ახალი კუთხით განათდა და მივხვდი, რომ ბნელი იმიტომ კი არ ვარ, ბოროტებით ვარ სავსე: არამედ იმიტომ, რომ უსაზღვროებას გაურკვევლობას ვატარებ თან, როგორც ჩემს ფერისცვალებათა დაუშრეტელ სათავეს.

ღვალაძემ და ცუცა დეიდამ ჩემი უსაზღვროება ბნელ ძალად მონათლეს, ჩემთან შეჯახებამ ურჩხულთან მებრძოლ გმირებად გამოაჩინა ისინი. ახლა ნათლად ვხედავდი, რომ ეს ორთაბრძოლა ფარსი იყო, რომ სიკეთე, ძმობა, ერთობა და სამართლიანობა ცარიელ სიტყვებად ყლერდნენ სრულ განურჩევლობასა და გულგრილობაში. ბნელ ძალაზე გამარჯვებისთვის ცუცა დეიდას მედალი მისცეს, ღვალაძე სახალხო არტისტობაზე წარადგინეს, ტყიდან დაფდაფების ცემით და სიმღერით პიონერები გამოვიდნენ. დაიწყო დაჯილდოებისა და წოდებაზე წარდგენის ცერემონიალი. ყმაწვილებმა ცუცა დეიდა ხელში აიტაცეს და სახელდახელოდ შეკრული ტრიბუნისაკენ გააქროლეს. ერთ-ერთმა ჩემსკენ გამოაპარა თვალი. გონს მოსული და ფეხზე დამდგარი რომ დამინახა, დაბნეული და გაოგნებული შეჩერდა.

— ბიჭიკო! — რაც შეიძლება ალერსიანად მივმართე. — ნუ გეშინია, მე ვარ.

ბიჭიკო მაინც საშინლად დაფრთხა, ყვირილ-ყვირილით შეიჭრა თავისიანებში. აქ სხვებმაც შემამჩნიეს, უკუიქცა გაოგნებულ სახეთა ტალღა.

— შეწყვიტეთ დაჯილდოება! —ბრძანა ღვალაძემ. — ისევ აღსდგა სატანა! სიკვდილი იმას, ვინც მუქ ფერებში ხედავს ჩვენს ნათელ მომავალს!

აქ დატრიალდა ენით აუწერელი რამ! ამაოდ ვცდილობ ესკიზურად მოვნიშნო და აზრი მივცე იმას, რაც აღარ ექვემდებარება არც კალამს, არც გონებას. აქ ხდება ისეთი რამ, რაც შეიძლება შევადაროთ ცხენ-კაცებად აზვირთებულ ზღვას, თუმცა ეს შედარება არაფერს გვაძლევს, სჯობს წარმოვიდგინოთ ზღვასავით გაშლილი და აქოჩრილი მინდორი, სადაც ორი თვალთახედვა ეჯა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხება ერთმანეთს. ღვალაძის მიხედვით, ეს არის ბედნიერი ცისქვეშეთი, სადაც ლამაზ სიტყვად ქცეული სიკეთე ათანაბრებს და აერთიანებს ყველას, მხოლოდ მე ვარ შემთხვევითი ლაქა ნათელ ფერთა მწკრივში, მე კი ვხედავ რომ ღვალაძის მინდორი არის დეკორაცია, რომელიც ვერ ფარავს იმ საშინელებებს, რაც აქ ხდება.

ისევ ჩაიხუთა სივრცე. საშინლად ცხელა. ძლივს ვმოძრაობ მძიმე, შედედებულ, წებოვან გარემოში. ავცოცდი ბორცვზე, ჩავწექი ნანგრევებში და ველოდები ახალ შემოტევას.

წამოვიდა, მაგრამ რა წამოვიდა! ბეტე-ერს ველარ დავარქმევ მას! პრეისტორიულ ურჩხულთა სახელებიც ვერ იტევენ გრეხილ ფორმათა უცნაურობებს! წინ ცხვირზე ნალმსატყორცნი აზის ციკლოპის თვალივით ბრიალებს პროჟექტორი. გარს თუჯის კედელი აკრავს, სათოფურებიდან ტყვიამფრქვევები იცქირებიან, თავზე მრგვალი ანტენა ტრიალებს, ყმუის და ათასფერ ტალღებს აფრქვევს, მაგრამ ყველაზე გასაოცარი ის არის, რომ ეს ამავე დროს წარმოადგენს ყვავილთა ზვირთებში ჩაძირულ ხომალდს, ღია ტერასებითა და თვალისმომჭრელი გემბანით.

— აირჩიე რომელიც გინდა! — მიყვირის ღვალაძე. — თუ ჩვენ დაგვიჯერებ. ბედნიერების ხომალდზე აღმოჩნდები, არადა, შეაკალი თავი ციკლოპს.

— თავის მოტყუებას, თავი შევაკლა მირჩევნია! — შევძახე.

ისევ მგზნებარე სიტყვები! რა დროს ესაა, როცა ომია, ქვეყანა ცეცხლითა და სისხლისღვრით გამოდის ყოფნა-არყოფნის ბურუსიდან. სიტუაცია გაცილებით უფრო მძაფრი და მარტივია: ჩემს წინ დგას ციკლოპი და ერთადერთ თვალს მიბრიალებს. ღმუილით ამოდის ბორცვზე. ფოლადის ხელით ებღაუჭება მეომარს. მეომარი ბღავილით უჩინარდება ციკლოპის ხახაში...

სცენა შთამბეჭდავია, მაგრამ ბოლოს რივად გაუმართავი. რა შუაშია ციკლოპი? აქ ხომ ორი ხედვა ებრძვის ერთმანეთს? ეს ციკლოპი კი არა, სადღესასწაულო ხომალდია, აივანზე გადმომდგარი დადებითი გმირები კოცნას გვიგზავნიან და ყვავილებს გვესვრიან. მაგრამ ყვავილები ტყვიებივით მოფრინავენ, ცეცხლის ისრებად გადი-გამოდიან ძვალსა და რბილში.

— ზევით! ზევით ისროლეთ! — ყვირის ღვალაძე. — ყვავილები შევაყაროთ ბედნიერი ქვეყნის ცას!

დადებითი გმირები მაშხალებს ისვრიან. წითელ-ყვითელ ყვავილებად იფურჩქნება ცა. თაიგული ჯერ იკვრება, შემდეგ იფანტება და ცეცხლის ყვავილთა წვიმა წვავს მინდორს, ცამდე ადის დაჭრილთა კვნესა, ყვირილი...

— მუსიკა! სიმღერა, ცეკვა! — ღვალაძე მათრახის ცემით ესტრადაზე მოერეკება დამკვრელებს. ეს საცოდავებიც რის ვაი-ვაგლახით სწორდებიან წელში, მჟავე ღიმილით გასცქერიან ზესკნელს და იწყებენ, მაგრამ ვერ გაგიგია, რას უკრავენ, ნათელი, სიხარულით სავსე თემა წალმა-უკუღმა ტრიალებს, ხანაც საშინლად მძიმდება და სამგლოვიარო მარშში გადადის და ვერ გაგირკვევია, ბედნიერების ჰიმნია ეს თუ „თავო ჩემო“...

— რა გვაქვს სატირალი! ცრემლი! ცრემლი არ დავინახო! — მუშტებს ატრიალებს ღვალაძე. — ო, რა ტკბილად მღერის ჩვენი ტოროლა!

ტოროლას კი არა, უფრო ოფოფს წაგავს თმაგაჩეჩილი მომღერალი, ველეშაპის ქერქივით რომ აქვს შემოხვეული კაბა-შლეიფი.

მომღერალმა გამიღიმა, ხელი დამიქნია, შემდეგ ხახა დააფჩინა და ცეცხლი შემომაფრქვია.

— დაწექით! — ესღა მოვასწარი. ცეცხლის ქარმა უვნებლად გადაგვიქროლა თავზე.

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ამასობაში დამკვრელმა ბოლო სიმიც გაგლიჯა, გიტარა ავტომატივით შემოაბრუნა და დასარტყამ ინსტრუმენტზე შემომჯდარი პიონერი დაცხრილა. რკინის თეფში დაითრია და ტოროლ-გველეშაპს თავში ჩასცხო. მომღერალმა კუდი-შლეიფი დაიქნია, მუსიკოსები გადახვეტა სცენიდან.

მუსიკოსები ისევ აბობღდნენ სცენაზე, ღვალაძემ ხელჯოხი დირიჟორივით დაიქნია, მაგრამ ერთიან ანსამბლად ვეღარ შეკრა ბრაზით დაქსაქსული ბრბო. ვინ მომღერალს დაეძგერა, ვინ ერთმანეთს ეკვეთა... ღვალაძეს ტრომბონი ისე მოსდეს ღრანჭში, ესტრადის ნიჟარა გაანგრია და ხომალდიდან გადმოეკიდა. მუსიკალური ინსტრუმენტები ცეცხლსასროლ იარაღებად იქცნენ, ანსამბლის წევრები მოსისხლე მტრებად და ათასფერად აბრჭყვიალებული ესტრადა სასაკლაოდ გადაიქცა! ერთმა დანა დააძრო, მეორემ რევოლვერი... ღვალაძემ რის გაჭირვებით მოახერხა სცენაზე აცოცება, მათრახი აიღო და დაიქნია. შოლტის ხმაზე გაქვავდნენ ერთმანეთს შეჯახებული მუსიკოსები. ღვალაძემ მათრახი გადაკრა ესტრადაზე დამდგარ ზედახორას. ტკივილისაგან დაიგრიხა სამკვდრო-სასიცოცხლოდ შეჭიდებული გორვალი, დაიგრიხა და ცალკეულ სახეებად დასკდა. მუსიკოსებმა გაიღიმეს, თავები ერთმანეთს მიადეს, ხელი ხელს გადახვიეს და მრავალჟამიერი დასცხეს!

— აი როგორ უნდა მუშაობა! — გადმოსძახა ღვალაძემ. — ერთად ავამღერე მოისისხლე მტრები!

— აბა, ბიჭებო! — მივუბრუნდი ჩემს მეომრებს. — ერთი მივაწვეთ და გათავებულია მაგათი საქმე!

პირველივე გასროლით პროჟექტორი ჩავამსხვრიე და ბორცვიდან დავეშვი. უტოპიური ხომალდის იდეალმა კვლავ ცოკლოპის მნიშვნელობა შეიძინა, მაგრამ ერთადერთი თვალი უკვე ჩამსხვრეული ჰქონდა ციკლოპს, ბრმად აცეცებდა ხელებს და თავისსავე მომხრეებს ნთქავდა. გადარჩენილებს ჩვენ ვუსწორდებოდით, ვაგლეჯდით ღიმილის ტიტებს, ვაცლიდით თეთრ საღებავს და თავისი ნამდვილი სახე-სხეულით ვაბრუნებდით საკუთარი ბუნების წიაღში. ვინც არ გარდაიქმნა, ვინც ვერ მოიშორა თავსმოხვეული გარსი, გავანადგურე. ღვალაძე მაინც ვერ მოვიგდე! ჩემს გვარდიელებს შეეკრა და თავისიანებს დაუწყო ხოცვა! გაოცებისაგან წამით მომიდუნდა ნება, ღვალაძემ ამით ისარგებლა, უცებ დაგვისხლტა ხელიდან ზურგზე მოახტა გაქცეულ ციკლოპს და ყვირილი მორთო:

— გვიშველეთ!

ამ შეძახილზე კალიების ღრუბელი გამოფრინდა ტყიდან. თხემით ტერფამდე იარაღში ჩამჯდარი, მოტოქვემეხზე ამხედრებული დეიდა ცუცა წინ მოუძღოდა კალიების ურდოს. ჰაერი გულისგამაწვრილებელი წუილით, ზუზუნით და გრუხუნით გაივსო.

გვარდიელებს ვანიშნე, გაჩერებულიყვნენ. სასწრაფოდ წრე შევკარით, რადგან ღრუბელი ყოველი მხრიდან მოდიოდა. — გაიღიმეთ, თანაც იმღერეთ! — დაუყვირა ღვალაძემ. — თქვენი სიკეთით სავსე მზერა მეხივით უნდა დაეცეს მტერს!

ცუცას ღიმილისაგან სახე დაეგრიხა, გაეფლაშა, ეშვებმა გამოანათეს სისხლიანი პირიდან.

მეომარმა კალიებმა ჩაბერეს საყვირებს, დაფდაფებს შემოკრეს.

გაისმა სიმღერა-მარში მწყობრად მიმავალი ნათელი მერმისისაკენ..

ფერად-ფერადი ბუშტების ღრუბელი ავარდა ზეცად, კალიებზე სწრაფად გამოფრინდა ჩვენსკენ.

დაწექით! — დავიყვირე.

ბუშტები ზედ ჩვენს თავზე სკდებოდნენ. წამოვიდა ბუშტებს მობმული ყუმბარების თავსხმა...

ცის რისხვამ გადაბუგა ნიავ-ფერებად აზვირთებული ველი. ჰეპლებად დატრიალდა ნახანძრალი მინდვრის ფერფლი.

ყვავილებით მოჩითული ფარდაგი გადასძვრა მიწას, ქვესკნელის სიმხურვა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლე აუვიდა შავ-თეთრ უდაბნოს.

ცის ჩამონგრევამ და მინდვრის უდაბნოდ ფერისცვალებამ შეიწირა ჩემი გმირები სად თავი აგდია, სად — ხელი, სად—ფეხი!

მოახლოებული, სახეგამსხვილებული კალიები ძმათა სასაფლაოს თხრიან.

ღვალაძემ უსახელო ჯარისკაცის მემორიალი აღმართა. უდაბნოს წიაღიდან ამოიზარდა, ცას მიებჯინა ყორღანი.

ოღონდ ეს ქვესკნელის ცაა, ვერტმფრენებით გადაშავებული, შხამნარევი, მომაკვდინებელი წვიმით.

დგას ამ ცის ქვეშ ღვალაძე და ღვრის ცრემლებს დაღუპულთა გამო.

სახე ისე უთამაშებს, ვერ გაგიგია ტირის თუ გულიანად იცინის.

ერთი რამ ცხადია: იგრძნობა მწუხარება და სინანული ჭირისუფლების მხრიდან.

ოღონდ ეს სინანული კი არაა დაღუპულთა გამო, არამედ შიშია გადარჩენილთა მიმართ.

ღვალაძეს გული უგრძნობს, რომ ცოცხალი ვარ. ცოცხალი რომ არ ვიყო, ასეთი ორაზროვანი არ იქნებოდა მისი ცრემლისღვრა, ღიმილი ვერ შეეპარებოდა მის მწუხარებით დაღრეჯილ სახეს.

ცოცხალი რომ არ ვიყო, კომიკური ელფერი არ მიეცემოდა სამგლოვიარო რიტუალს. უსაშველოდ დამძიმდებოდა და ტრაგიკულ სინამდვილედ იქცეოდა ფერთა თამაშით შემდგარი ყორღანი.

მაგრამ თუ ცოცხალი ვარ, ჩემი გმირების დაღუპვაც პირობითია, რადგან თუ წყარო არ დამშრალა, ისევ შეიძლება გადმოსკდეს სახეებად გაშლილი ფიქრი.

მაშინ ეს ცარიელი ყორღანია. ის არაფერს მოიცავს და ვერ იქცევა ძმათა სასაფლაოს სიმბოლოდ. ეს თვალისმომჭრელი უდაბნოც შუქ-ჩრდილთა თამაშითა და თეატრალური ეფექტებით ყოფილა შექმნილი. ღვალაძეს რამპის შუქზე ოფლი ჩამოსდის. ოფლთან ერთად ცრემლი და საღებავიც ჩამოღვენთა სახეზე.

— ისევ აურია, ისევ დაარღვია ლოგიკა! — ცას მუშტი მოუღერა მსახიობმა.

ღრუბლებმოხატული ფარდა გაიხსნა და სასაფლაოს ველზე რეჟისორი, ბატონი კაკო გამობრძანდა.

— არა, ასე შეუძლებელია მუშაობა! გადმომძახა, გამოდი და გაგვაგებინე შენი — თამაშის წესი!

— მაგას ყოველნაირი წესების დარღვევა აქვს წესად? — თქვა ღვალაძემ, — როცა იმარჯვებს, მშვენივრად ეთვისება სიტუაციას და მისთვის ხელსაყრელ მოვლენებს დამაჯერებლად სახავს, გაუჭირდება თუ არა, ახსენდება რომ ეს ყველაფერი ფარსია და ავტორის უფლებით არღვევს მისთვის საბედისწერო ლოგიკას!

ახალგაზრდა კაცი ხარ და ერთ რამეს გირჩევ — ისევ ჩემსკენ შემობრუნდა რეჟისორი. — ასეთი უწესრიგო, აგდებული თამაშის შედეგად საპნის ბუშტივით გაგისკდება ის, რასაც გინდა სული ჩაბერო. ვერასოდეს ჩაწვდები რაღაც ცოცხალსა და ნამდვილს.

—ერთადერთი ნამდვილი, რასაც შეიძლება ჩავწვდე, არის ჩემივე თავი — ველარ მოვითმინე და შევძახე. — ამიტომაც ვერ მოვიტყუებ თავს და ვაღიარებ ყველაფერი, რაც აქ ხდება, ჩემი ხილვებია!

ამ სიტყვებით ჩრდილიდან სინათლეში გადავედი, მოტოქვემეხს მოვახტი და მტერს ცეცხლი გავუხსენი!

— რამდენიც გაგეხარდება, გვესროლე! — მკერდი მომიშვირა ღვალაძემ. — თუ მხოლოდ ხილვა ვარ, რას დამაკლებს ტყვია!

მხოლოდ კაკომ, როგორც რეჟისორმა იგრძნო, რომ მართლაც რაღაცა ხდებოდა ჩემს თავს. ნამდვილმა სიბრაზემ გაარღვია სიზმრის ჯებირი და ცეცხლში გაახვია სცენა.

— დაწექი, მართლა გვესვრის! — შეუძახა ღვალაძეს.

დაიჯერა თუ არა ღვალაძემ ეს, ტყვიებმა, რომლებიც უმტკივნეულოდ, სხივებივით გადიოდნენ მის სხეულში უცებ

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაიბრუნეს მომაკვდინებელი ნესტარი, ღვალაძემ დაყვირებაც ვერ მოასწრო, თავი რეხვა ქვას და განუტევა სული.

—ღვალაძე მოგვიკლეს! — აყვირდნენ, აწრიალდნენ მეომარი კალიები. ურიცხვი ფრთა გაიშალა მინდორზე. ჭრიჭინებმა დაატრიალეს პროპელერები, ვერტმფრენებად ქცეულნი ცაში აიჭრნენ. წამოიშალა შურისმაძიებელთა ხანჯლებმოელვარე ღრუბელი, კაკო წამოუძღვა მათ წინ.

— ბრძოლაში გიწვევ! — დამიყვირა.

მოქნეულ ხმალს ხმალი დავახვედრე. მივაწექი. კაკო უკან გადახტა. მარჯვნიდან გავკვეთე ჰაერი, ხელი უცებ შევაჩერე და მარცხნიდან შემოვკარი. ერთი დარტყმით გავაგდებინე თავი! სისხლის ჩანჩქერმა ხმალი ლამის გამომგლიჯა ხელიდან! მტერი კი კვლავ აღსდგა! მოკვეთილი თავის ნაცვლად სამი თავი წამოეზარდა! მივხვდი, რომ ურჩხულთან ბრძოლის თემა შემოაგდო რეჟისორმა, მაგრამ ეს თემა მეც ჩემებურად დამუშავებული და გაღაწყვეტილი მქონდა. თუ გავიხსენებდი ამ თემის ჩემებურ გადაწყვეტილებას, გადავრჩებოდი, მაგრამ მტერი არ მაცლიდა არაფრის გახსენებას, გოლიათურად აღზევებული, გააფთრებით მიტევდა. ხმალი ქვემოდან შემოვკარი. წაიქცა თუ არა სამივე თავი წავაწყვიტე, მაგრამ კიდევ უფრო გადიდდა და სამის ნაცვლად ახლა ცხრა თავი გამოიბა! ახლა უკვე მართლაც ურჩხულს ვებრძოდი. რაც მეტად ვაწვებოდი, რაც მეტი გააფრთებით ვუტევდი, მით მეტ წინააღმდეგობას მიწევდა. და აქ მივხვდი, რომ გველეშაპად ქცეული მტერი ჩემი სიბრაზიდან, ჩემი გააფთრებიდან იკრეფდა სასიცოცხლო ძალას! რომ ხმალი კი არ სპობდა, უფრო აძლიერებდა და ამრავლებდა ბოროტებას, რომ საჭირო იყო შეჩერება, სიბრაზის დაოკება, დანდობა, რაც ბოლოს მოუღებდა მას.

— დამარტყი, რატომ არ მირტყამ? — კაკომ მომიშვირა თავები, მაგრამ მე შევძელი თავის შეკავება, ბოჭვილი ხანჯალი შევაჩერე და უკან მოვისროლე.

და აქ მოხდა ის, რასაც ველოდი! გაოგნებული ურჩხული უკუიქცა, გაფერმკრთალდა, დაპატარავდა და ჩრდილივით გაიფანტა შემოღამების ლანდებში...

●

აღარ მინდა ამდენი ბრძოლა! ფრთხება პეპელასავით მოფარფატე ფიქრი, ფრთაშეტრუსული იფერფლება და ქრება, რადგან ისეთ რამეს ვეძებ, რასაც ვერასოდეს მოვიპოვებ ბრძოლით! მე ვეძებ სიტყვას, სიცოცხლეს, არსებობას! იმ არსებობას რომელიც ბუნებრივად კი არ გეძლევა, არამედ არსებობას, რომელიც უნდა მოიპოვო! სიტყვით შედიხარ ამ არსებობაში, სადაც გამოგონილს მეტი ძალა აქვს, ვიდრე ნამდვილს! ნამდვილს, რომელიც ნაჭუჭივით უნდა შემოიცილო, მეორედ დაბადება რომ შესძლო! სიყვარულია ამ სიცოცხლისკენ სავალი გზა და ეს გზა უნდა გავკვალო ბრაზმორეულ ქალაქში! დავაჯერო ჩემივე თავი, რომ მე ვარ მე, რომ არ ვეკუთვნი არცერთ დაჯგუფებას, არცერთ პარტიას. ახლა ვხედავ, მხოლოდ საკუთარ თავთან ყოფნა არის სულის შენარჩუნებისა და ქვეყნის გადარჩენის ერთადერთი გზა! რომ როგორც კი შეერწყმევი რომელიმე ძალას, თუნდაც სიკეთის და სამართლიანობის დროშით რომ გამოდის ბრძოლის ველზე, მაშინვე იწყებ ჩაძირვას ინტრიგების ქსელით მოფენილ ჭაობში, სადაც ნელ-ნელა იკარგება ზღვარი სიკეთესა და ბოროტებას შორის. არადა, ძალიან ძნელია საკუთარ თავთან ყოფნა. ძნელია თუნდაც იმიტომ, რომ ყველა დაჯგუფება, სიძულვილის ჭაობში ჩათრეული ყოველი ძალა ჩემს წინააღმდეგ მოქმედებს. მართალია, ისინი ისევ ებრძვიან ერთმანეთს, მაგრამ გრძნობენ, რომ ერთმანეთის მტრობით საზრდოობენ და მხოლოდ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მე, ბრძოლიდან გასული და განმარტოებული ვარ მათი გაფერმკრთალებისა და გაუფასურების კერა. ამიტომ ძებნაა გამოცხადებული ჩემზე. უნდა როგორმე მომიხელთონ, და ან რომელიმე პარტიას მიმაკუთვნონ, ან ვით მარტოსული საერთოდ ამომშალონ ცოცხალთა სიიდან.

ჩემი საკითხი პარლამენტის სხდომაზეც კი გადის. სურთ, ჩამომართვან მოქალაქეობა, რადგან უმრავლესობის აზრით, დღეს, უმწვავეს პოლიტიკურ ვითარებაში არავის აქვს თავის თავთან ყოფნის უფლება, რომელიმე ფრაქციასა ან საზოგადოებრივ მოძრაობაში მონაწილეობის გარეშე. საშინელებაა, რომ ამ ინტეგრაციას, ამ გათანაბრებას თავისუფლება ჰქვია! არავის ეკრძალება, ვთქვათ, სიყვარული, მაგრამ ის, ვისაც უყვარს, უნდა გახდეს შეყვარებულთა კავშირის წევრი. ამ კავშირის სახელით უნდა დაუპირისპირდეს ის სხვა ძალებს და მათთან ბრძოლაში განახორციელოს თავისი ოცნება. ასე შეიქმნა „მეოცნებეთა“ ფრაქცია, სევდით შეპყრობილთა კლუბი და მრავალი სხვა, სადაც ეს სიტყვები, ოდესღაც მარტოობაში მფეთქავნი, კარგავენ თავიანთ ხიბლსა და ჯადოს და ცარიელ ლოზუნგებად ჟღერენ!

მე კი ისევ ზევით მივიწევ. ყოველი კუნთი მითრთის. თავსმოხვეული სახეები, აკვიატებული ხილვები იპყრობენ სივრცეს. მწვერვალიდან ქვათა ცვენა დაიწყო. ყინულს მოწყდა თოვლის უზარმაზარი გუნდი და წამოვიდა, მაგრამ რა წამოვიდა! ვდგევარ ფერდობზე და ამოსუნთქვას ვერ ვბედავ უფსკრულში რომ არ გადავიჩეხო. კაკო კლდეს ეჭიდება, უძალიანდება თოვლის ნიალვარს, თან შიშით შემომცქერის, რადგან გრძნობს, რომ მე ვარ ამ უეცარი გაავდრების სათავე. მე ვარ ზვავი, რომელმაც პირწმინდად წალეკა მისი სიმართლე და ძირგამოცლილ ხილვათა ქროლვაში, დალეწილი ტყეებისა და დანგრეული სოფლების უკან გამოაჩინა ბაბილონი, რომლის მიღმა დგას არაფერი და ისინი, ვინც ებრძოდნენ მთას, ვინც იპყრობდნენ მის მწვერვალს, ზვავმა წაიღო და დაშლილი, ფორმადაკარგული მასალა ანგრევს ფიქრის არტახებს და მოდის, მოედინება, რა, თვითონაც არ ვიცი... ხან დეკორაციის ნაფლეთები ბრუნავენ ქარბუქში, ხან ნიღბები. მერე კი მოდის სხეულს მოგლეჯილი თავი, ხელი, ფეხი, აზრგამოცლილი სიტყვა, ვერგამოთქმული ტკივილი, სიბრაზენარევი სიამე, ზვავს მოაქვს გარდასული ამბები, ზოგი ტკივილით, ზოგი მსუბუქად ჩაცლილი. ზვავს მიაქვს ქალაქიც! მთელმა ქალაქმა ჩამიქროლა ცხვირწინ! ცეკვა-თამაშით გაუჩინარდა უფსკრულში! ყველა, ვინც მახვილი აიღო ხელში, სულერთია სიკეთის თუ სიავის სახელით, ყოველი მათგანი ზვავმა წაიღო! და უამრავ დაჯგუფებებად დაშლილი მთლიანობა, მისი გაფანტული, თავქეიფა ნაწილები საშინელი სისწრაფით მოქრიან ჩემსკენ, რომ მომწყვიტონ ადგილიდან და დასაკარგავში წამიღონ! და უცებ ზემოთ დავინახე ციდან გადმოშვებული სინათლის სვეტი, ამ სვეტს ჩავეჭიდე, მოვწყდი სისხლით და ოფლით გაპოხილ ცხოვრებას, სხივთა თამაშმა გაფანტა ზვავი და მიეხვდი, რომ ჩემს წინ იყო არაფერი, რომელსაც მთელი ცხოვრების მანძილზე ვეძებდი მის შუქზე უცებ დამშვიდდა მოა, სინათლე მიეცა ქვეყანას, სინათლით აივსო სული და ვიგრძენი, რომ მთელი ჩემი ტკივილი, ფიქრი, მღელვარება, ბრძოლა, სიხარული და იმედი, სურნელებით სავსე დრო, ჟამარეული ქვეყანა; ეს ყველაფერი, რომელთა შორის გაიარა ჩემმა ცხვრებამ, იყო არაფერი, იყო თამაში, თამაში, რომლის უკან ვიდექი მე, ჩემი ტკივილებით, განცდებით, აზრთა მიმოქცევებით და ვხედავდი შამპანურის ქაფივით მოთამაშე გონებას, სადაც ყველაფერი ფეთქავდა, ვხედავდი არაფერს, რო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მელიც შუქსა და სიმსუბუქეს ანიჭებდა ჩემს უსაშველოდ მძიმე ცხოვრებას.

დიდხანს არ შემეძლო ამ მეხივით გაელვებულ მწვერვალზე დგომა, ამ თვალისმომჭრელ ქაფსა და დუღილში ტრიალი! საჭირო იყო უკან დაბრუნება, ვარდნა, რომ ისევ თავიდან დაწყებულიყო ასვლა და თავიდან გამოკვეთილიყო არაფრის მაძიებელი სული.

თვითონ არ ვიცი, როგორ ჩამოვედი მწვერვალიდან. როგორ აღმოვჩნდი მიწაზე, ნაცნობ, მოთვინიერებულ სიტყვათა გარემოში. ფერდობს [illegible] ავტობუსი მოადგა.

— ამოიწურა შენი დრო, არ მოდიხარ? — თავი გადმოყო მძღოლმა.

ერთხელ კიდევ შევხედე ზღვის კიდეზე აღმართულ მთას, შებინდების ნისლში ისე განაზებულსა და ფერწასულს, ვერც კი გაიგებდი, იყო თუ არა.

შემდეგ შემოვბრუნდი, ავტობუსს შევახტი, მანქანა ადგილიდან მოწყდა და ჩემს მოლოდინში მთვლემარე ქალაქისაკენ დაიძრა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვასილ გვეტაძე

ცნობილ ქართველ პოეტს ვასილ გვეტაძეს დაბადებიდან 75 წელი შეუსრულდა. ჟურნალ „მნათობის“ რედაქცია ულოცავს პოეტს ამ თარიღს და უსურვებს, ახალ-ახალი ნაწარმოებებით გაეხარებინოს მისი მრავალათასიანი მკითხველი.

თანდათან მიდის

1

„... ძველი თაობა თანდათან მიდის,
როგორც წუხილი არაგვის კიდის,
როგორც ძახილი ეფემერიდის..“!
მე ვიმეორებ დღეს გარინდებით
ამ ატირებულ პიეტის პწკარებს
და დამათრევენ ზანტი ბინდები
მორიალებულ სამშობლოს გარეთ.

გრძელი გზა თითქოს ამოვათავე,
შუქი ელევა თანდათან თვალებს,
ვაი, თუ ჩავქრე უეცრად მალე...
მაგრამ ძველთაგან ერთიც რომ
დარჩეს,
ის ერთი მაინც საკუთარ თვალით,
მჯერა გაარჩევს ჩვრებიდან ფარჩებს
და დაიწყება გადახდა ვალის.

რომ ბუკის ხმებმა კვლავ
შეგვაერთოს...
ისე კი, ასე, მაღალო ღმერთო,
გაჭიანურდა სიცოცხლე ერთობ
და ხმლის ტარს მისით დაეძებს ხელი
მით უფრო, როცა ახლოა ბინდი.
...მიდის თანდათან თაობა ძველი,
ო, რანაირი თაობა მიდის!

2

ჰო, მოულეველ სათქმელს რა მოლევს!
და წაგებულ თუ მოგებულ ბრძოლებს
ჩვენ მოვიგონებთ და შეგვაჟრჟოლებს
შუა ტრამალში გამკრთალი ელვა,
ტყისპირზე შავად მბოლავი ხატა,
გულზე უჩინო მხატვარის ხელმა
ასე ლამაზად რომ დაგვახატა.

ეს მოგონებაც ლამაზი არი,
ყურთან ჩავლილი სხვაა ზრიალიც,
რაიღა ცოცხლობ და აზრიანი
თვალი დაცემულ ნალმს გააყოლე,
თუმცა კი გული ოდნავ აქელდა,
და ბეწვის ხიდზე გადავლილ ბრძოლებს
ცივი გონებით ზომავ აქედან.

ომში თავჩახრით შესულმა ასჯერ
შენ სხვის მიწაზე სიცოცხლე ხარჯე.
სხვის დასაცავად იწვდიდი მარჯვენს?
სხვის ტყეში გრძნობდი შენი ტყის
სურნელს,
რომ ჰქონდა გემო საოცრად მწუთხე?
შენ დასაცავი შინ დაგრჩა თურმე,
შენივე ფუძე და კედელ-კუთხე.

3

რად გამონათდა დღეს ასე წმინდად
ცა, იმ მღვრიე დღემ რომ გადაბინდა,
და რატომ მინდა და რატომ მინდა,
ამ ერთ წუთს მაინც გამოიქროლოს
იმან, რაც ვნახე და ვეღარ ვნახავ:
...დგას თეთრი არყი ხუტორის ბოლოს
და ერქანივით ქანაობს ახლაც.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დუმს იქვე ბორცვი მზის გადასვლამდე,
მზე ჩავა, ბუკი წამოყრის ლანდებს...
დე, იდგნენ, სადაც დადგომა ანდეს —
ფიქრში უნახავ ზეგნების იქით,
ცხრა მთის გადაღმა შეხვედრილ
დნეპრთან,
და ბორცვის თავზე ტკბილია ფიქრი
უცნობ თუ ნაცნობ ფიქრებთან ერთად.

მისწი-მოსწიე ფარდები ფანჯრიდან,
თუ უწერია ახდომა სურვილს,
იყოს ხსენებაც დღის გარდასულის...
ძნელია ცქერა მდუმარე ველის,
ჩუმია ოხვრა არაგვის კიდის.
...მიდის თანდათან თაობა ძველი,
ო, რანაირი ვარამით მიდის!

გინდა წახვიდე?

ჩემს შვილს, ლევანს

შენ ამბობ, არ ღირს კაცი ახირდეს,
ბუდეში დარჩეს ბუდემოშლილი,
ლუკმის საძებრად გინდა წახვიდე
შენც უცხოეთში, თურმე,
ცოლ-შვილით...

რომ საზღვარი აქვს მაინც გასაჭირს,
რომ ვერ განახა სხვა გზა ცხოვრებამ,
ამ სიბნელეში თვალი არა ჭრის,
და გაქცევა ჯობს გამათხოვრებას

და მეკითხები (არ მაქილიკებ),
ბედით მოსჯილი ტანჯვის უარად
მეც გავუყვები ახალ ბილიკებს,
მეც ამ გრძელ გზაზე წავალ თუ არა?

გავიქცე? მერე ვისგან გავიქცე,
ვის სახლს მივადგეთ ვისი უბრები.
ის, რაც ახლა თქვი, შვილებს გაფიცებ
მართლა გულით თქვი თუ მეხუმრები.

მართლა გვეცლება ფესვი, იერი?
ჩუ, ეს გრძნობები ჩვენთან გაქვავდეს!
შენ ღვთის დამჯერე, შენ ღვთისნიერი,
რამ მიგიყვანა ნეტავ, აქამდე.

თუმცა დღეა და არ დუღს ღრუბელი,
თვალს ცრემლს რომ ადრეც ძლიერ
ადენდა,
ესეც ბოღმაა დაუგუბელი,
ბოღმა, რომ ასე მღვრიედ გათენდა.

ისიც, ძმა რომ ძმის სისხლს დააქცევდა,
უკვირთ, დაკარგეს სახე და-ძმებმა,
და ამდენ არაწმინდა კაცებთან
უჭირს დღეს წმინდა კაცებს გაძლება.

გამოსარჩევი დასტურ არა ვარ,
მკლავს ოღონდ ნატვრა ერთი, უბრალო:
საქართველოდან წასულ ქარავანს
ნუ გააყოლებ ჩემს შვილს, უფალო!

ნუ გაიტყუებს სიტყვა რიოში
სხვისკენ.... მიწაა მჭლე სხვისეული...
მტკვარზე გაპწკარულ მთის მაყრიონში
უნდა ლპებოდეს ჩემი სხეული.

უნდა ასეთი რამეც გაგანდო —
გაწვას ტკივილმა მხარსაც ნატყვიარს:
...ომმა ძაღლივით გარეთ გამაგდო,
ვიღაცამ ესეც არ მაპატია!

და ტრანშეებში ნათრევს, ნაისარს,
სიტყვით ჩამარტყა დანა, ისარი,
და მეშინოდა ასე რაისაც,
შემერქვა სხვისი და ნასხვისარი.

ამაგს ჩვენსავით ვინ დაუფასებს,
მიხვდი? შეხედე და არ გეძნელოს,
როცა აბნეულ, მღვრია სუფრაზე,
ის ისევ რიხით სვამს სადღეგრძელოს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღმერთი ამისთვის დასჯის კიდევაც,
მადევს მეც ცოდვა არანაკლები:
ჩემი ფუძე რომ გაიყიდება,
მას ემატება აგარაკები.

ფერი შრება და ხმები რჩებიან,
მაგრამ ბორცვს ხედავ შქერით
შეფერილს?
ყველა ასარჩევს მე მირჩევნია
აქ ჩავალაგოთ ძვლები ბებერი.

ჩემთვის, თავჩახრით მე მივდიოდი,
თვალი დროდადრო ძირს ბორცვს
უმზერდა...
სხვა რომ არ იყოს, შენი სიოთი
შუქს შემოაფრქვევ, შვილო, გულზედა.

რა ვქნა არაფრის ქვეყნად არმქონემ,
ალმა ისედაც თუ იალოსა
და იქ აქედან ვერ გაგაგონე
ხმა, წინ რომ უძღვის სულის
ამოსვლას.

ოკრიბა

დღეც ჩაჩუმდება, სიჩუმესთან რაკი შეთავსდა,
სიოს სისინიც, სინესტეში შემონასტვენი.
...მტრედს მომტვრევია ფრთა უეცრად მოწამეთასთან,
ძირს ყელწაწვდილი დახვედრია ეს მონასტერი.

აგერ გელათი, ფრჩხილით ნაფხოჭნ თხემზე ხრესილი,
მწვანე გვიმრებში სისხლის წებო, სპა დასრესილი...
იმ ტყეებიდან მოაქვს ოხვრა ქარს გაუძლები,
და სუნი ქამასოკოების, წაბლის ბუძგების.

ტყისპირს, გამოსულ ძმების გმინვა ვერ გაიგონე,
თვალიც ვერ გახდა მომტვრეულ ფრთის მნახველი მაშინ,
და გულგარეშე ქვისმთლელივით თლიდი სტრიქონებს
და ეს სიცოცხლე ჩამოთავდა ამ ქვების თლაში.

სიტყვის ხელობამ ბევრი ყალბი ფერი შერია
შენს ლექსს, გაჩენილს უამრავი ლექსების გვერდით...
შენ უნდა ისე წერო, როგორც დაგიწერია,
შენ უნდა წერო ისე, როგორც აქამდე წერდი.

მაშ, სამშობლოსკენ გაჰყევ შარას და ბრმაო ლამის
გზა ჯოხით ხელში გაიარე, რაკი მოხუცდი.
...თუ თავის დროზე ვერ გაათბე შენ სახლი მამის,
მამის საფლავთან შენს ბოლო დღეს მაინც მოუცდი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

●

ღვთისმშობლის ხატთან დავდგები საყდრის კუთხეში მარტო:
— ცოდვილი ვარ და მომხედე ცოდვილს, ღვთისმშობლის
ხატო!

ცოტა კი შემაგვიანდა წმინდა საყდარში მოსვლა,
თაფლის სანთელი აგინთე და ბერის კაბა მმოსავს,
ორივე მუხლზე დაჩოქილს მნახავ ამ საღამოსაც.

შემოხედვითაც მიხვდები, გულზე ამეხსნა ლოდი.
თუ რამე ცოდვა მქონია, თვალიდან ცრემლად მოდის.
მთელი სიცოცხლე, ეტყობა, მე ამ დღეს მოველოდი.

მაგრამ ეს წუთი, უფალო, მე მაშინ მომანიჭეს,
აკანკალებულ თითებში სანთელს რომ ვეღარ ვიჭერ

●

წინ გზა რომ არ ჩანს შუქით მწვანეთი,
რისი ბრალია,
რად შევიძულეთ ჩვენ ერთმანეთი
ასე ძალიან...

სამოცდათხუთმეტს

სამოცდათხუთმეტს მოვესწარი გამოდარებას,
სამოცდათხუთმეტს... სიცხეების და ავდრის შემდეგ...
მიჭირს დროდადრო საკუთარი ტანის ტარება,
თუმცა ჩაღმართში ჩემი ფეხით ჩავდივარ დღემდე.

არა, არ მინდა ჯერ სიკვდილი, დროული თუნდაც,
ვება ულელში და ხარებმა არ იცალცალონ...
ჩემო იღბალო, ცოტა კიდევ მაცალო უნდა,
მტანჯე, მაწვალე... მაგრამ ცოტა უნდა მაცალო!

სურათზე

საყვარელია დასანახად თმაც კი ფერითა,
რეტი დამასხა მოგონებამ და გამაბრუა.
მომჩერებია შენი სახე ღრმა სიბერიდან,
გათეთრებულო ერთიანად, ჩემო ბაბუა.

ეს ერთადერთი სურათია, რომ შეგინახა
შუქი თვალებში, სათნო სახე, რაღაც ნაღველი.
გნახავს უცხო და, ერთი ნახვით იტყვის, ვინა ხარ,
მე კი სურათშიც რამდენი რამ მაქვს სანახველი...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დალილა ბედიანიძე

ქალი

მე მხოლოდ ქალი ვარ და თავი მტკივა თქვენი ფილოსოფიით,
თქვენი მიმდინარეობებით, თქვენი ომებით.
თქვენ მე ცხოვრებას არ მაცლით.
არ მაცლით, ვაჩინო და ვზარდო ბავშვები.
არ მაცლით, მქონდეს ლამაზი კაბები.
არ მაცლით, ჩავიცვა შორტები და არხეინად გავიშოტო
ზღვისპირა აივანზე,
ვწრუპო ყავა და დავინახო, ცა სად უერთდება დედამიწას.
არ მაცლით, ვიცეკვო, გავიხარო, ლამაზი ვიყო
და ჩემისთანა კაცს შევხვდე და
ჩემისთანა ამხანაგებთან წავიდე დაბადების დღეზე.
მე მხოლოდ ქალი ვარ და კაცები არ მძულს —
ინტერესით ვათვალიერებ მოსახლეობას —
რომელია ნამდვილი კაცი და რაში ვჭირდები — ვუყვარვარ?
ჩემთან ამხანაგობა უნდა?
უნდა, რომ ერთად შევწვათ კარტოფილი ან
კეგლი ვითამაშოთ შუადღისას და ლუდი დავლიოთ?
მე მხოლოდ ქალი ვარ და ასე მესმის —
ლამაზად უნდა მოვაწყო სახლი, სადილად სტუმრები მივიღო,
საღამოს ჩავჯდე მანქანაში და თეატრში წავიდე,
იქიდან კი შინ მარტო არ დავბრუნდე და
გვიან დამემდე აივანზე წითელი ღვინის ირგვლივ
ვილაპარაკოთ იმაზე, რაც თეატრმა გვიჩვენა ან
ვერ გვიჩვენა, მერე კი ყველა დავტიო ჩვენთან,
დავაძინო და დილით ღიმილით გავიღვიძოთ.
მე მხოლოდ ქალი ვარ და ძალიან მინდა დიდი ბაღიანი სახლი.
ძალიან მინდა, ბრილიანტის საყურეები მეკეთოს, ბრი-
ლიანტის ბეჭდები. და კოლიე, რომ ჩაბნელებულმა არ ვიარო.
დილით, როცა გავიღვიძებ, აუზში ვისკუპო და ქმარს ცურ-
ვაში შევეჯიბრო (რა საკვირველია, მაჯობებს), მერე კი —
თუ ზამთარია, ბავშვები გამოვრეკოთ და თხილამურებით და-
ვეშვათ მთის ფერდობზე, ყურებში ქარი წიოდეს. ვიკენდები
მინდა, ქალაქგარეთ სახლში გავატარო, იქ მეგობრებმა ამოგვაკითხონ,
დიდი საზამრთო, ნესვი და ბევრი ნაყინი ამოგვიტანონ, ჩვენ კი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცივი ფრანგული შამპანური თავზე ვასხათ და ვიმღეროთ „მხიარულ შინ ერთს“.

მე მხოლოდ ქალი ვარ და ძალიან მინდა, რასაც ქმარი გააკეთებს, ის ვაკეთო, ვიყო მისი ნახევარი და ვგავდე მას. როიალზე ოთხ ხელში ვუკრავდეთ და ზაფხულს ჯუნგლებში ვატარებდეთ მხოლოდ ჩვენ ორნი, ბავშვებს კი ბებია-ბაბუასთან ვტოვებდეთ ხოლმე. მინდა, ხანდახან თვითონ გავუკეთო ქმარს საღილი და თვითონ გავურეცხო თეთრი მაისური ტენისის თამაშის შემდეგ, როცა სამიდან ორ გეიმს მომაგებინებს და ჩემს სიხარულზე გაეცინება. მინდა, ძალიან ვუყვარდე ჩვენს დამლაგებელს, ჩვენს მრეცხავს, ჩვენს მზარეულს, ჩვენს მძღოლს, ჩვენს ძაღლს და ჩვენს ყვავილებს — ბედნიერების ჩუმ მოწმეებად რომ იდგებიან მთელ სახლში ყველგან. მე მათ ყველას მოვუვლი და ვუპატრონებ.

მე მხოლოდ ქალი ვარ და არ მესმის, რატომ უნდა შემშურდეს ან შემეშინდეს ვინმესი, რატომ უნდა დამენანოს ფული ან ნივთი ვინმესათვის ან კარგი სიტყვა, როცა ყველაფერი ულევი მაქვს და ულევი მქონდა წინა ცხოვრებაში. ბავშვობიდანვე ყველაფერი მახსოვს. რაც უფრო ვიზრდები, უფრო უკეთესად ვიხსენებ მშობლიურ დიდ სახლს შიდა კიბით და ანთებული ბუხრით, როცა გარეთ ყინულის ლოლუებიდან წყალი მოწკაპუნებდა, ბებია კი ზღაპარს მიყვებოდა, კალთაში მაძინებდა, კატა, რომელიც ბუხრის პირას კუდდაშვებული წინ და უკან სეირნობდა და იატაკზე ირეკლებოდა, ვეფხვი მეგონა, ისე პატარა ვიყავი და თუ ისევ იმდენი არ მექნება ყველაფერი, მე ვერ ვიცოცხლებ, ავდგები და გამოვტოვებ ამ ცხოვრებას და წინა ცხოვრებიდან პირდაპირ იმ მომავალში მოვალ, რომელშიც ჩემებურად ვიცხოვრებ. მე ჩვენი თავლაც კი მახსოვს და ჩემი თეთრი კვიცი და ისიც მახსოვს, თავლა როგორ დაწვა ვიღაცამ, იმიტომ, რომ თვითონ არ ჰქონდა და არც შეეძლო ისე კარგად ემუშავა, რომ ჰქონოდა.

მე მხოლოდ ქალი ვარ, კაცად ვერასოდეს ვერ ვიქცევი. მინდა, რომ ქმარმა ბევრჯერ იეჭვიანოს, ბევრჯერ ვიჩხუბოთ და ბევრჯერ შევრიგდეთ; თვითონ არასოდეს ვიეჭვიანებ — ავდგები და გავექცევი, თუ შევნიშნე, რომ თვითონ სხვასთან გაიქცა. რაში მჭირდება, რაში მჭირდება, რაში მჭირდება ნახმარი და ჭუჭყიანი. იქნებ მის ამხანაგსაც გავყვე ცოლად, ასე ვუყო, ის უფრო ახლობელია. უმჯობესია, იმას სდიოს, ვინ რატომ მიხსნის სიყვარულს — იქნებ მას მტრობენ! აი, ასე! ჩემი ვთქვი და გული მოვიოხე. თქვენ მე ცხოვრებას არ მაცლით, არა! განა ეს ცხოვრებაა? ეს რა არის, რაც არის ან ჩემთვის, ან თქვენთვის? სულ ასე მიმდინარეობით და სულ ასე ომობთ და ამტკიცებთ, რომ ცხოვრება ბრძოლაა. უქონელთათვის — ბატონო ჩემო, უქონელთათვის. ვისაც აქვს, ის არ იბრძვის და იმდენად კეთილშობილია, თავსაც არ იცავს, თავდასხმას არ არის მიჩვეული, მიჩვეულია, რომ დაცვა ჰყავს, სიმართლის დაცვა და სად ვინ ემსხვერპლება სიმართლის მტრობას, არ აინტერესებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ისევ იმას ვამბობ, რასაც მუდამ ვამბობდი — ამაოებაა თქვენი საქმე და აქ ხელს ნუ მიშლით, ქალი ვიყო, თორემ თავის დღეში ქალს თვალით ვერ ნახავთ და გინებით და ფურთხებით ივლით იმის ხსენებაზე, ვინც ქალის სახით გვერდით დაგიდგებათ, როცა კარგად გაიცნობთ, თავს კი ისევ ფილოსოფიით ინუგეშებთ — ისაო — „ასეთიაო ადამიანიო". ჯერ მითხარით, შინ რა არის და მერე შევალ. ჯერ მითხარით, გარეთ რა არის და მერე გამოვალ. ვზივარ **აქ, ჩემს** არსებაში და ხელს არ გიშლით, თავი კარგად დაიღუპოთ და ხელი არ შემიშალოთ, **რომ** მხოლოდ ქალი ვიყო და შეყვარებულს კაშნე ვუქსოვო.

უკანასკნელად გეკითხებით დამაცლით თუ არა ცხოვრებას?

ამირანი

ნეტავ, რა უნდა, რა უნდა?
ამირანს ლექსის თქმა უნდა.
საამირანო ლექსის თქმას
საამირანო გზა უნდა,
საამირანო სიტყვა და
საამირანო ხმა უნდა,

შვიდკვირეული ფიქრი და
შვიდკვირეული სჯა უნდა,
რჯა უნდა ორჯერ უმეტეს
და ლექსის მოსვლას ცდა უნდა...
ნეტავ, რა უნდა, რა უნდა?
ამირანს ლექსის თქმა უნდა.

უკუნეთი დღე

ისეთი ბნელი დღე არის ახლა,
იქნება ღამის თორმეტიც იყოს.
თუ სადმე თოფი გავარდა, მახლას!
იქნება ღამემ დღე დაიბრიყვოს.

იქნება სძლიოს ბოროტმა კეთილს,
მხოლოდ—დროებით, ოღონდ—დროებით.
დავიმახსოვრებთ, როგორც—გაკვეთილს,
ჩვენ იმედი გვაქვს უსაზღვროების...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შაბურა არაბული

●

კვნესის, შფოთავს ჩემს
გარშემო
პარკი ზოოლოგიური.
რა ვუშველო ამდენ ცხოველს
მე რა პურით დავაპურო?
სად ვუშოვო მამალს მდედრი,
სად ვუშოვო დედალს კურო?
ვით ვუსმინო ამდენ სულელს,
ამდენ მახინჯს ვით ვუყურო?

●

უეცრად რომ ახლა
დავიღუპო,
კუპონებით ვინ მიყიდის კუბოს?
მენატრება ერთი ქალის უბე,
თუ ვერ ვნახე, ნიშნავს დავიღუპე!
აპრილია, ცას ახედა იამ,
ვლოცავ მზესა და ვაგინებ
ღრუბელს.

●

ვერ არჩევენ,
ვხედავ ოდეს
მართალსა და
მტყუანს...
ნეტავი მე
ფული მქონდეს,
ხოლო მათ
კი ჭკუა.

ზამთრის სურათი

შურით შეჰყურებს ჭერზე
ჭალს — ჭალი,
გარეთ კი ყინვას გააქვს
ჭახჭახი.
ესაუბრება ვხედავ ქალს — ქალი
და შესდგომია სხეულს კანკალი.
ცივ ქარში ხეებს გააქვთ ცახ-ცახი
განათებული ფანჯრის თვალებით
დგას და გაჰყურებს თოვლში
სახლს — სახლი.

●

ჩახლართვია ღობეს ღობე —
ისევ წვიმა წკეპლავს სოფელს...
სხედან ჩემი სოფლელები —
ცხვარ-ძროხაზე ბაასობენ.

და ბოსტანში სურნელს აფრქვევს
ოხრახუში, ქინძი, კამა.
გაზეთს ჩასცქერს ბერიკაცი —
მე კი ვფიქრობ, რით და როგორ
გადავიხდი მშობლის ამაგს?..

●

დასრულდა ტკბილი სიზმარი.
გათხოვდა კარგი ნათია...
სხვას უწვება და სხვა კოცნის
ჩემს მუზას ჭრელ ხალათიანს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არ დაჩოქილან ჯერ მთები —
დარდი კი როგორ დავმალო?
ღამევ, ამაოდ თენდები,
ამაოდ ყივი მამალო...,

ცოცხალი ჩავწვე მიწაში
თავი თვით დავისამარო?

●

ასე, ნათიას ნატვრაში
წავიდა წუთისოფელი...
ნაწნავიანო ლამაზო,
რად არ ხარ ჩემი სწორფერი?

რა ვუყოთ ველარ შეეშვი
აღმა და დაღმა ხეტიალს,
მაგრამ სადაც კი ვიყავი,
სუყველგან ჯოჯოხეთია...
ფუი! დღეები შავია,
ღამეები კი თეთრია.

●

თვალი გამიშტერდა ქალზე —
ვიღაც მეგრელ ცირაზე...
(ბაღში ქარი ხეებს არწევს
მაღლა ცაში ბრწყინავს მზე.)

მე ავანთებ სანთებელას,
მოვუკიდებ პაპიროსს...
ერთად დავჯდეთ, ვისაუბროთ
„სკანი გოლუაფირო".

და სულს უთქვამს ოდნავ
ქალაქს
ხეთა მწვანე მარაო...
არ წამოხვალ ჩემთან? — არა
არ წამოხვალ? — არაო!
სხვა გზა არ მაქვს, ისევ
ლექსს ვწერ,
ისევ ვწარამარაობ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ზვიად რატიანი

გზა, რომელიც ქალთან არ მიდის

კამერული პოემა

„და იგი, რაიც ერთიანია, და უქონელია ფერისა, მრავალსახოვანი ძალის მეოხებით, თანახმად თვისი დაფარულის მიზნისა, ქმნის სხვადასხვა ფერებს“.

(„შვეტაშვატარა უპანიშადა“, IV, I.)

I

მე, შენს ოთახში, შენთან

ვწერ მე ამას ლექსად
სირცხვილის, მუსიკალური სმენის,
სიგარეტისა და, რაც მთავარია, საკუთარი
ორკესტრის არქონის გამო.

სიტყვა
(როგორც მარმარილო, როგორც მერქანი, ან როგორც თიხა,
რომელმაც, ერთხელ, „მცადეო“, გითხრა)
და ამის მერე — სიჩუმე დიდხანს...
.....
მუსიკა, მუსიკა შენს ხელისგულზე, მუსიკა შენს მხრებზე, და ფეთქვა.
და მშვიდი, მშვიდი სიმარტოვე შენი ხელის, შენი მუხლების.
„რაღაც“ — რაც, ალბათ, უნდა გვეთქვა (შენ უნდა გეთქვა),
რასაც უთქმელად ჩვენ ერთმანეთს ვერ მივუხვდებით,
—იზრდება —
ყელში,
საფეთქლებზე,
ვენაზე,
ყველგან...

ეროვნული ბიბლიოთეკა

(მუსიკა მოდის. თავს დაგიკრავს. გთავაზობს ხელკავს.)

მუსიკა გიცდის, მოსასხამს გაწვდის, მან რაღაც იცის, შეგახო ღაწვი,
უსიტყვო ფიცით, სხეულის კაწვრით, აგავსებს მიწით, დაგფარავს ნაცრით,
მუსიკა — ბილწი,
მუსიკა — მკაცრი,
ვიკრძალავს სიცილს, მან რაღაც იცის, სინათლის ციმციმს —
წვეთებად გაცრილს —
უძირო ყანწით ბეჭებში გაცლის.
დრო არის აწი —
შენს ყველა ნაწილს
და ყველა წერტილს კაბის თუ საცვლის —
შეეხოს ფიცი
ველური კვიცის —
მუსიკის ხრინწის,
ბგერების სიძვის.
(მუსიკა — ბილწი,
მუსიკა — განძი.)
დრო არის აწი, შენს ყველა ნაწილს, კედლების თვალწინ ჩრდილებად გაცრილს,
შეეხოს ღაწვი — თბილი და ბაცი,
რომელიც იწვის, რომელიც იღწვის, სინათლეს გიცრის და რაღაც იცის,
გეღვრება, გაწვიმს,
გათრობს და —
აწი —
დრო არის —
დაწვი!

მე შემომხედე, მე აქ ვარ, ახლოს, და ჩემს ხსოვნაში ჯერ კიდევ სახლობს
შენი ნათქვამი —
ნათქვამი ძველი, ძველი და მოკლე გამონათქვამი —
რომ „მკვდარი ბუზი სინანულს აჩენს“, —
სად ეს ფრაზა და
(დაფიქრდი)
სად შენ!
(მუსიკა, —მინაზე მოგორავს წვეთი.
მუსიკა, —ქარი და მინების ზანზარი.
მუსიკა, —ტოტი და ელექტრო წრედი.
მუსიკა, —ზარი და მონათა ბაზარი.)

სურვილი თენდება, სურვილი ღვივდება, სურვილი მკვრივდება, მაგრამ ჯერ
უმია.
ასრია სიტყვა და კალთებიც გასვრია (ფრთხილად, აქ კასრია!), ცხოვრებას
აზრიანს

გისურვებ, გთავაზობ (აქ კი სიჩუმეა).
„სიცხეში ილოცეთ“ (ეს სხვისი აზრია).
ახლა კი,
ძვირფასო,
პირდაპირ საქმეზე —
არ მსურდა ამის თქმა (თვითონ წამაქეზე) —

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენ წინ გაქვს პრობლემა, ჯერ გადაუჭრელი, —უნდა დილანდელი ბდარეცხილი ჭურჭელი,

უნდა მომეფერო
მე —
შენთვის დაცემულს,
და როგორც „მოკითხვას“, ჯერ-არ-გადაცემულს,
უნდა მომიფრთხილდე და უნდა მიფრთხოდე,
რომ ის არ დაგწამონ, სხვებზე რომ იტყოდნენ
და ის არ ეგონოთ, სხვები რომ ჰგონიათ
(ხომ ხედავ, ძვირფასო, სინდისიც მქონია!).

გახსოვს?
—ღამე იყო, ბნელი და დახშული, მწარე ღამე იყო, როგორც დარიშხანი
(„ბნელზე“ გამახსენდა — ვითარცა ნახშირი);
და მე ჩაგაშხამე
ბრწყინვალე ვახშამი.

როგორც მარმარილო, ან როგორც მერქანი,
ან როგორც თიხა და...(რა დაგვრჩა?) —სხეული,
—მე გამოგიკვეთე „სიტყვა“ ულირსი და —
სწორედ ულირსობით —
ასე ღირსეული!

გტკიოდეს, შემახე ხელი და გტკიოდეს (ტკივილი — სიჩუმის ერთ-ერთი დარგია),
რომ ერთი ოცნება აღარ გაგიორდეს...
მე შენთან ვიღლები.
(მუსიკა კარგია!)

II

მე, ჩემს ოთახში, ჩემთან

ვწერ მე ამას ლექსად
საკუთარი ბინის, საკმაო სახსრების
და, რაც მთავარია, სკლეროზის არქონის
გამო.

მითხარით
ღირდა თუ არა და თუ ღირდა ღირდა რა ფასად
გამოღვიძებულს ჩამოყრდნობილს ფანჯრის რაფაზე აზრად მომსვლოდა
გახსენება შენი სიტყვების
ან სარდაფებში შეყუჟული რუხი ვირთხების
ანდა ყველაფრის რასაც ვგმობ და რასაც ვაფასებ და რასაც ვწერ
და ვშლი და ვხატავ სულის დაფაზე
და რასაც ახლა ვერ გაგიმხელთ მაგრამ განვიცდი
ანდა ჯანდაბას
არ დაგწყვიტავთ გულებს ამისთვის
მაინც გაგიმხელთ მე ვკითხულობ ღირდა რა ფასად დარდი რომელიც

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეახოცა ფილტვებს ნაფაზმა
ანდა რად ღირდა წაკითხული თრთოლვით წიგნები მათში ნასწავლი ერთგულება კოცნა პირობა თითქოს ყოველთვის უმიზეზოდ მისი იქნები ანდა რად ღირდა თუ სხვისი თუ შენი გმირობა
რად ღირდა ცრემლი სახეზე რომ კვალს არ ტოვებდა რად ღირდა საქმე დასაწყები მუდამ ახლიდან
ქედი
მოხრილი სხვათა ჭირთან სხვათა ომებთან
გინდაც საკუთარ სიყვარულთა გლოვა რად ღირდა

მითხარით
როგორ ჩამტევია სული სხეულში
ანდა სხეული სულით საქმეს რატომ ირთულებს ან ორივ ერთად როგორ იქცა შუქს მისეული ღამის მწერების უღალატო მესაიდუმლედ
რად ღირდა წამი როცა თმაში გრძელი თითები შემისრიალა გოგონამ და მეტსაც დამპირდა
ახლა კი ვზივარ წყლის ნაპირთან და ვაკვირდები რომ მზე წავიდა და დაბინდდა
და რომ ვგრილდები
რომ ამოფრინდა ჩემს მწვერვალზე სხვისი დაბიდან
მონატრება და
ჩამოეშვა თეთრი ტრაპიდან
და როგორც ბავშვმა თოთო ფეხი მძიმე საბნიდან ისე გამოჰყო წარსული და უმალ გაფრინდა

ერთ დღეს რომ იწყე სიმარტოვე, იწყე რა დღიდან?

ერთ დღეს რომ იშვი, გაისვარე, მოკვდი, რად ღირდა?

III

ჩვენ, სხვის ჟუჩაზე, ერთად

ვწერ მე ამას ლექსად
საიდუმლოების, მიმზიდველი გარეგნობის,
იმედისა და, რაც მთავარია, სამსახურის
არქონის გამო.
რა მნიშვნელობა აქვს, რომელი ქალი ხარ, ძველი თუ ახალი, სატრფო თუ ხასა;
შენს მუხლს აგონდება ჩემი ცრემლები თუ
ჩემს ენას შენი შემთბარი სასა;
რა მნიშვნელობა აქვს, როდიდან გიყვარვარ,
როდიდან გძულვარ ან როდიდან მყიდი;
ჩამიდგი თუ არა ახალი გული და გადასდე თუ არა ჩემს სულზე ხიდი;
რა მნიშვნელობა აქვს (და თუ აქვს, მითხარი) —
ყალბად მოვილხენთ თუ გულწრფელად ვიომებთ,
შემრჩა თუ არ შემრჩა შენი სურვილი და —
თუ შემრჩა — მქონდეს თუ არ მქონდეს იმედი;
ყველა შემთხვევაში, დღეს შენზე ძლიერად

ეროვნული ბიბლიოთეკა

მსურს ვიყო სოფელში — ის — ფრსტალიონი,
და მქონდეს ჩანთა და — ის — ველოსიპედი.

აქ არც ყვავილების მღელვარე მდელოა
და არც ბრძოლის ველი რუხი ზარბაზნებით
გზად არც წყალი არის და არც სამრეკლოა მარტივი გრძნობების
რთული გააზრების

და,
    რაღა გაკავებს,
ბომეცი ხელი, გახსენი შუბლი, და ისიც,
— კრიჭა.
წავიდეთ, შენს გვერდით მე ვივლი დინჯად; შენ ივლი სხეულის საამო რხევით.
დროს ნუღარ დავკარგავთ, კეთილო, წავიდეთ! მიგიწვევ ყავაზე,
მშვიდად ვიბაასებთ.
ამგვარად უვლიათ ასებს და ათასებს. და თუკი შემცდება რაიმე, მაშინ —
შენ შემომაშველებ გამოცდილ ანდაზებს
და მეც გავწითლდები (ო!) როგორც ბავშვი!
ხომ იცი,
შენსავით ქალი ვარ ხანდახან.
მეც ვიცი, ჩემსავით შენც ზოგჯერ კაცი ხარ.
გენდობი: იმ „ზოგად“ საზღვრებს არ გადახვალ;
მეც, რაც მთავარია, არ ვგავარ ნაციხარს!
წავიდეთ
და შევქმნათ ლამაზი წარსული, რათა მოვიგონოთ, როცა მოვხუცდებით.
(ახლა უნდა ვიყოთ კაი ხნის წასულნი, და ისევ აქა ვრთ, — ტყუილად ნუ
ვცდებით!)
წავიდეთ მინდვრით ან ქუჩით ან მოედნით —
რა მნიშვნელობა აქვს — მე შენთვის ვიქნები
პირადი მცველი ან პირადი პოეტი —
თვალებში რისხვით და ტვინში კი — წიგნებით.

დროდადრო,
მოდად რომ ქცეულა სიტყვები (ასე მაგალითად — „დამასხით თავზარი“,
ან კიდევ — „ამ ჩემი გრძნობების ზანზარი“, ან იმ მუსიკიდან — „მონათა
ბაზარი“...
და, მოკლედ, მოდად რომ ქცეულა სიტყვები), იმათ მოგაშველებ ეს თუა
საშველი,
ხოლო თუ იგრძენი, რომ აღარ გამშვენებ,
— ჩემს წაშლას რა უნდა! — სიტყვაა საშლელი!
(„დამასხით თავზარი“, „გრძნობების ზანზარი“, „მონათა ბაზარი“...
— ეჰ, არ ვარ ლაზარე!
ლაზარე კი არა, პოეტიც „ვითომ ვარ“).

„ო
ქალბატონო
თქვენ ისეთი დიდი გული გაქვთ, ისეთი დიდი, უზარმაზარი
რომ კაცი ცხენსაც გააჭენებს, თუ მოინდომა“

ეროვნული ბიბლიოთეკა

სოფია,
აქედან შორია ყოველი, თუმც არ ვარ მკვლელი ან, ვთქვათ, იეღოველი,
სოფია,
ნუ მიმზერ დაღლილს და მოთენთილს, თუმც არ ვარ გიჟი და არ ვარ იმპოტენტი,
სოფია,
როდესაც სხვის გვერდით დაწვები, მე არ შემიცოდო, თუმც არ ვარ გამძლები!
შენ კი, გამომყევი, ჩვენ უნდა წავიდეთ, ჩვენ უნდა ვიაროთ ერთურთის გვერდით.
ჩამხედე თვალებში, ჩამკიდე ხელი და, ჩამძახე რამე და, შემახე მკერდი.
(გინახავს (?) ოდესმე სურათი ბავშვობის — იმ ქალის, რომელსაც სხეულით
თელავდი
და რაღაც ათიოდ წუთის წინ დაშორდი,
მზერა რომ მოწყვიტე შენს გვერდით გაშოტილს
და რომ დაინახე — სურათი ელავდა,
ელავდა სურათი
იმ ქალის ბავშვობის).
მომყევი,
ნუ გაფრთხობს შენ ჩემი სიმუნჯე, და ჩემი სიბრმავე, და ჩემი სიყრუე.
წავიდეთ, მზე არის! (წავიდეთ, თოვლია! წავიდეთ, ნისლია! წავიდეთ,
გვაწვიმს!)
წავიდეთ ერთად და —
(ერთმანეთს თუ არა —
ფანჯრიდან რომ გვიმზერს —
იმ ბავშვს მოვატყუებთ —
იტყვის, ვიხილეთ **ქალი და კაცი.**

IV

ჩიხი

ვწერ მე ამას პროზად
რითმათა მოძიების დროისა და, რაც
მთავარია, პოეტური ნიჭის არქონის გამო.

გზა, რომელიც ქალთან არ მიდის,
— ანუ — **ქალსაცდენილი გზა** — მიდის — **გზასაცდენილ ქალთან,** მაგრამ მე არ მესმის, რას ნიშნავს „გზასაცდენილი ქალი", და იმასაც ვხვდები, რომ გზა მხოლოდ მანინ არის **გზა,** თუ ის მიდის **სიკდილისაკენ,** — სიცოცხლის გავლით, მაგრამ მაინც — **სიკვდილისაკენ.**

არსებობს ვერსია, რომ ზოგიერთი გზა **ტაძართან** მი- ᲨᲘ. იქნებ ასეცაა. გავითვალისწინებ!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

პერ ლაგერკვისტი

ჯალათი

ჯალათი ჩაბნელებულ სამიკიტნოში იჯდა და სვამდა. მიკიტნის გადმოდგმული ერთადერთი ქონის სანთლის მხრჩოლავი ციმციმი მაგიდასთან გაშხლართულ, სისხლისფერ-წითელ სამოსში გამოწყობილ ძლიერ, ზორზოხა სხეულს ეცემოდა. და კიდევ ხელს, რომელიც შუბლზე ამომწვარ დამღას ფარავდა. რამდენიმე უბნელი ხელოსანი და შეზარხოშებული ქარგალი სუფრის ბოლოს შემოსხდომოდნენ და ღრეობდნენ. ჯალათის მხარეს არავინ იჯდა. ქვის იატაკზე უჩუმრად ჩაივლიდა მიმტანი ქალი, ხელის კანკალით შეუვსებდა კათხას. მოშორებით მიმალული შეგირდი ბიჭუნა, სიბნელით რომ ესარგებლა და სამიკიტნოში შემოპარულიყო, ჯალათს ანთებული თვალებით უმზერდა.

— სვიანი ლუდია, არა? აბა, რას გვეტყვი, ჯალათო? — გასძახა ერთმა ხელოსანმა. — არ გაგიგია? მიკიტნის დიასახლისი სახრჩობელასთან მოგეპარა, ქურდბაცაცას თითი ცხვირწინ აგიწაპნა და ლუდის კასრში ძაფით ჩაკიდა. ოღონდ საუკეთესო ლუდი ქონდეს და ტყავიდან გაძვრება, ოღონდ მუშტრები მოიზიდოს და უკან არაფერზე დაიხევს. ლუდს, კი, არ გაგიგია, ეშხსა და გემოს ჩამოხრჩობილის თითივით ვერაფერი მატებს.

— მართლაც და საოცარია, — ჩაილაპარაკა პირმოღრეცილმა ბებერმა მეწაღემ და ჩაფიქრებულმა წვერიდან ლუდი ჩამოიწურა. — რასაც კი უკეთურებასთან აქვს საქმე, ყველაფერში იდუმალი ძალა იმალება.

— ძალა და ეგეთი! მახსოვს, ჩვენს მხარეში აკრძალული ნადირობისათვის ერთი კაცი ჩამოკიდეს. თავად კი ამტკიცებდა უდანაშაულო ვარო, ვინ მოუსმინა. როგორც კი ჯალათმა ფეხქვეშ საყრდენი გამოაცალა და ყულფმა წაუჭირა, ისეთი ქარები გაძვრა მთელი მხარე მოწამლა. ყვავილები გადაჭკნა, სახრჩობელის აღმოსავლეთით მდელო თითქმის მთლიანად გადაიბუგა და გავერანდა. ქარი მაშინ დასავლეთიდან უბერავდა. ერთსაც გეტყვით, იმ ზაფხულს უმოსავლო წელი დაგვიდგა.

ყველა ახარხარდა და მაგიდას მიაწყდა.

— მამაჩემი სხვაგვარად ყვებოდა ამ ამბავს. მის ჯეელობაში ერთი დაბალი თურმე ცოლისდასთან დაძვრებოდა და როცა მისმა ჟამმა დარეკა, სწორედ ასევე დაემართა. არცაა გასაკვირი, ყოველი მიწიერი სწრაფად უნდა მოიშორო. იმანაც ირგვლივ ისეთი სიმყრალე დააყენა, ხალხმა უკანაც კი დაიხია. ამ დროს ცაზე ღრუბელი გამოჩნდა, შავი და როგორი შავი, გულზე შემოგეყრე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბოდა. ღრუბელზე თავად ეშმაკი გადამ-ჯდარიყო, ქარცახით მართავდა, ცოდ-ვილ სულს მიათრევდა და თანაც სია-მოვნებით ხითხითებდა, ასეთი სიმყრა-ლე რომ დააყენა.

— ნეტავ სისულელეებს არა როშავ-დეთ, — კვლავ ჩაერია მოხუცი და ჯა-ლათს ალმაცერად გახედა. — ეს სახუ-მარო საქმე როდია. რაღაც სხვა ძალა იმალება მეთქი, გეუბნებით. თუნდაც კრისტენი გავიხსენოთ, ანას ბიჭი, პირ-ზე დუჟმორეული მიწას ისე დაასკდე-ბოდა ხოლმე, თითქოს გულ-გვამში ეშ-მაკი ჩასახლებოდა! რამდენჯერ დამიჭე-რია და პირიც გამიღებინებია მისთვის. ნეტავ იცოდეთ, როგორ ძაგძაგებდა, ეგეთი ერთიც არ მინახავს, თუმცა ბევ-რი შემთხვევის მომსწრე კი ვარ. ერთ-ხელაც დედამისმა წაიყვანა და აი, ერ-კერ-მჭედელი რომ მოკვდა, იმისი სის-ხლი ძალით დაალევინა. მაშინვე ყვე-ლაფერი გაუქრა. მას მერე ერთხელაც არ წაქცეულა.

— ჰო-ო...

— მე ხომ მათი მეზობელი ვარ თუმ-ცა რა, ეგ ამბავი ხომ თქვენც კარგად იცით.

— ვინ გედავება.

— სისხლი აუცილებლად მკვლელისა უნდა იყოს, თანაც ჯერ კიდევ თბილი თორემ ვერაფერს შველის.

— ეგ ხომ ეგრეა.

— ჰო. საოცარია, აბა, რა არის.

— აი ის ბავშვებიც, სნეულები ან გა-ძვალტყავებულები რომ არიან, მაშინვე მოყოჩაღდებიან ხოლმე, როგორც კი ჯალათის მახვილიდან სისხლს მოალო-კინებ. ჯერ კიდევ ბალღობიდან მახ-სოვს, — განაგრძო მოხუცმა. — ჩვენს მხარეში ეს ყველამ იცოდა. ერთი ექიმ-ბაში დედაკაცი გვყავდა, ამ სისხლს ჯალათის სახლიდან ეზიდებოდა. ჰა, ცუდი ხომ არაფერი წამომცდა, ჯ.ლა-თო?

ჯალათს ზედაც არ შეუხედავს, არც შერხეულა. მოციმციმე, მხტუნავ შუქში მისი მძიმე, შეუვალი სახე, შუბლზე შემოღებულ ხელებქვეშ ძლივს-ძლივ-ჩანდა.

— ჰო. უკეთურებას განკურნებაც შეუ-ძლია, ნაღდად ასეა, — დაასკვნა მოხუ-ცმა.

— ეტყობა, ხალხი ასე ხარბად ტყუი-ლად არ ეტანება ყოველივე უკეთურს. ღამით შინ მობრუნებულმა სახრჩობე-ლას თუ ჩაუარე, ჰო-ჰო-ჰო, ისეთი ფუ-სფუსი და ქოთქოთი დაგხვდება, შიში-საგან გული ფეხებში ჩაგივარდება. აი სად კრეფენ მეაფთიაქეები, ექიმბაშები თუ სხვა უღვთო ჯადოქრები თავიანთ ბანგსა თუ წამალს, მერე ღატაკსა და გაჭირვებულს ოფლით მოპოვებულ ფულს ოხრად ახდევინებენ. იმასაც ამ-ბობენ, ზოგიერთ გვამს ძვლებამდე ისე გაცლიან ხოლმე, ვერც კი გაიგებ, ოდე-სმე ადამიანი თუ იყოო. განა თქვენზე ნაკლებად ვიცი, რომ უკეთურებას ძალა აქვს და თუ გაგიჭირდა, ვერც აცდები. თავადაც გამოვცადე და სხვათაშორის არც ჩემს დედაკაცს დაკლებია. და მაინც ვამბობ: წყეულიმც იყოს! მარტო ღორე-ბი და ყვავები კი არა, ჩვენც მძორით ვცხოვრობთ მეთქი!

— მორჩი ყბედობას, ნეტავ გულებს რას გვიხეთქავ. მაინც რა გადაყლაპე ალარ იტყვი?

— არც მითქვამს და არც გეტყვით. მე სხვა რამეს ვამბობ: წყეულიმც იყოს ეშმაკეული ძალა, რადგან ეს ყველაფერი მისგან მოდის მეთქი. ეგრეა, თუ დამი-ჯერებთ!

— ა-ა, სისულელეს როშავ. მთელი სა-ღამო უაზროდ ყბედობთ. ყელში ამო-ვიდა ამდენი სისულელე.

— ლუდს რატომ არა სვამ?

— ვსვამ, აბა, რას ვშვრები, შენ თვი-თონ შეუბერე, შე ლოთო, შენა.

— მაინც უცნაურია, რომ უკეთურე-ბას შველაც შეუძლია და თან ამდენი ძალაცა აქვს.

— საქმეც ეგ არის, რომ აქვს.

— ნუ კი ეხუმრები, ასეთი ძალაა, უნ-და დაგღუპავს, უნდა აგაშენებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ისევ ჩაჩუნდნენ. კათხები უკან დასწიეს. ზოგიერთმა პირი იბრუნა და ალბათ პირჯვარი გადაიწერა.

— ამბობენ, ჯალათს ვერც დანა ერევა, ვერც მახვილიო, — თქვა მოხუცმა და მდუმარე, ზორზოხა სხეულს ალმაცერად გახედა. — არ კი ვიცი, მართალია თუ არა.

— ეგ ყველაფერი სულ ტყუილია.

— ეგ არა თქვა. ზოგი ისეთი პიტალო შეგხვდება ვერაფერს დააკლებ. ჩემს ჯეელობაში გამიგონია, ერთ ეგეთს საშინელი ბოროტებისათვის დასჯა დაუპირეს, არადა მახვილით ვერა და ვერ მოერივნენ. შემდეგ ნაჯახით სცადეს და ისიც ხელიდან გაუვარდათ. შიშისაგან გულები დაუსკდათ და მაშინვე გაათავისუფლეს. ყველა მიხვდა, რომ უწმინდური ჩასახლდებოდა.

— სისულელეა!

— ღვთის მადლმა, მართალს ვამბობ. მიწა გამისკდეს თუ ვტყუოდე.

— სისულელეებს როშავ მეთქი, გეუბნები! აბა ვინ არ იცის, რომ სხვა ნაძირალებივით ჯალათებსაც ნაჯახითა და მახვილით აცლიან თავს. თუნდაც ენსჯალათი გაიხსენე, განა თავისივე ცულით არ წააცალეს თავი!

— ენსი სხვა საქმეა, ის ამ ძალებთან შეკრული არ იყო. მაგ საცოდავს უბედურება დაატყდა თავს და სიცოცხლე მოიმათხოვრა, თავის დედაკაცსა და ბალღებს ვერ შეელია. ეს ძმაო, გამონაკლისი იყო. ამ ხელობას თავადაც ვერ შეეწყო. ფიცარნაგზე ავიდოდა და უბედურ ცოდვილებზე მეტად ეგ კანკალებდა. უკეთურობისა ეშინოდა, აი რა იყო. ასე მგონია, სიკვდილიც იმიტომ მოიმკო, რომ შიშს ვერ მოერია, ეს ხელობა მისთვის ძალზე მძიმე აღმოჩნდა. ჰოდა, აიღო და თავისი საუკეთესო ძმაკაცი, სტაფანი მოკლა. მე ეგრე ვიტყოდი, ნაჯახი ენსზე ძლიერი აღმოჩნდა მეთქი. თითქოს თავისკენ იზიდავდა, თითქოს ყოველთვის იცოდა, წინააღმდეგობას ვერ გავუწევ, ადრე თუ გვიან მის ქვეშ ამოვყოფ თავსაო და ამოყო კიდეც. არა, მას უკეთურის ძალა არ ქონდა. აი, ვისაც აქვს, იმას ვერაფერი მოერევა.

— რაღა თქმა უნდა, ჯალათის ძალა სხვას სიზმრადაც არ მოელანდება. უკეთურებასთან ასე ახლოს ტყუილად ხომ არ ტრიალებს? ისიც ნათელია, რომ რაღაცა ძალა მის ნაჯახსა და სხვა იარაღებშიც იმალება. ალბათ იმიტომაც ვერავინ ეკარება ვერც მის იარაღს და ვერც თუნდაც სხვა რამეს, რასაც ჯალათის ხელი შეხებია.

— ეგ ხომ ეგრეა.

— ბოროტებას, ძმაო, ისეთი ძალა აქვს სიზმრადაც არ მოგელანდება. ერთი თუ მოგიგდო, კარგად მეყოლე, კლანჭებს ჩაგავლებს და თავს ველარ დაიძვრენ.

— ნეტა შენ რაღა იცი? — შეეპასუხა კაცი, აქამდე ჩუმად რომ იჯდა. — მის არსში ჩაწვდომა იოლი ხომ არ გგონია? ცოტა მიახლოვება თუ მოახერხე და ბოროტებას თვალი შეავლე, გაოგნებული დარჩები. იმას კი არ ვამბობ, ბოლომდე ჩავწვდი მეთქი, უბრალოდ ცოტა ხნით მისი გავლენის ქვეშ მოვხვდი, თითქოს სახეში ჩავხედე და მის საიდუმლოს ოდნავ ავხადე რიდე. ეს კი სამუდამოდ გამახსოვრდება. საოცარი კია, მაგრამ ამის შემდეგ თითქოს აღარც გეშინია მისი.

— ვითომ ეგრეა?

— აღარ გეშინიაო? რაღაც არ მჯერა.

— გეუბნები აღარ გეშინია მეთქი. აი მომისმინე და თუ გინდა, გიამბო, რატომაც აღარ მეშინია. სანამ ისხედით და ქაქანებდით, უცებ ერთი ამბავი გამახსენდა.

როცა ეს მოხდა, სულ პატარა ბიჭი გახლდით, ხუთი-ექვსი წლისა თუ ვიქნებოდი. მამისეულ მამულში ვცხოვრობდით. მამაჩემი კარგი მეურნე იყო და გაჭირვებაც არ გვიგრძვნია. ჩემს დედმამას ერთადერთი შვილი მე ვყავდი და მგონი, მეტისმეტადაც ვუყვარდი. ჩვეულებრივ ხომ ასე ხდება, როცა ოჯახში მხოლოდ ერთი შვილი ჰყავთ ხოლმე. ბედნიერი ბავშვობა მქონდა. ისეთი კეთილი და ალერსიანი მშობლები მყავდა, სხვას რომ ვერ ნახავ. კარგა ხანია,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ორივე გარდაიცვალა, ღმერთო, აცხონე იმათი სულები. ჩვენი მამული განაპირას, სოფლის ბოლოში იყო და მეც უმეტესად ან მარტო ვთამაშობდი ან დედ-მამას დავსდევდი კუდში. დღემდე მახსოვს ეზოში სად რა გვედგა, სახლის სამხრეთით მდელოცა და ბოსტანიც კაგად მახსოვს. თუმცა ახლა ეს ყველაფერი უკვე დავკარგე და ალბათ ვეღარც ვიხილავ, მოგონებები მაინც ცოცხლად შემომრჩა.

და აი, ერთხელაც, ზაფხულში, გახურებული მკის დროს დედამ მამაჩემსა და მის ნადს სადილი წაუღო. იმ სიშორეზე ჩემი წაყვანა ძალიან ძნელი იყო, ამიტომ შინ მარტო დამტოვეს. მზე აჭერდა, თაკარა სიცხე იდგა. ბუზები ზღურბლის ქვასაც შეესიენ და საქონლის ბაკთან იმ ადგილსაც, დილაობით რძეს რომ წველიდნენ ხოლმე. უაზროდ დავეხეტებოდი და ეზოს ვათვალიერებდი. ბაღში შეშის ფარდულთან მივედი, შემდეგ ფუტკრებიც მოვინახულე, მაძღრები და სითბოთი მოთენთილნი თავისი სკებიდან ზანტად რომ მოძვრებოდნენ. და როგორღაც ისე მოხდა, მომწყინდა, თუ რა იყო, ახლაც ვერ გეტყვით, ღობეზე გადავძვერი და ტყეში იმ ბილიკს შევუყევი, ჩვენს სახლთან რომ იწყებოდა, ხოლო სად თავდებოდა, მაშინ არ ვიცოდი. ახლა სრულიად უცნობ ადგილებში მოვხვდი. ბილიკი ფერდობს მიუყვებოდა, ტყე ხშირი იყო, უშველებელი ხეები იდგა და მეც ტოტებშუა თუ ხავსმოდებულ ლოდებს შორის ვიჭვრიტებოდი. ქვემოთ, ხეობაში მდინარე მოქუხდა და ჩვენი სოფლისაკენ მიედინებოდა. ჩემთვის მივაბიჯებდი და ვხაროობდი, კარგი ამინდიც კი მახალისებდა. მზე ხის ტოტებში, ფოთლებს შორის თელემდა, კოდალების კაკუნი ისმოდა, თბილი უისით გაჟღენთილი ჰაერი ჩიტების ჭიკჭიკს აევსო.

აღარ მახსოვს, რამდენ ხანს ვიარე, რომ უცებ შრიალი გავიგონე. ხშირ ბარდებში თითქოს რაღაცამ გაიშლიგინა და მიწას მოსწყდა. მაშინვე ნაბიჯს ავუჩქარე, მაინტერესებდა, ვის გადავწყდი. მოსახვევთან მისულმა თვალი ბილიკარი ვიღაც გარბოდა და მეც უკან დავედევნე. ბილიკი ვაკეზე დაეშვა, ტყე გამეჩხერდა, უცებ თავი ველობზე ამოვყავი და დავინახე წინ ორი ბავშვი გარბოდა. ჩემი ტოლები თუ იქნებოდნენ, თუმცა სულ სხვაგვარად იყვნენ ჩაცმულები. ისინი ველობის მეორე ბოლოში გაჩერდნენ, უკან მოიხედეს და ისევ გაიქცნენ. მეც უკან გამოვუდექი, თანაც ვერ გამექცევით, სულ ერთია დაგიჭერთ მეთქი, ვფიქრობდი. მათ კი ბილიკს გვერდი აუქციეს და თავი ხშირ ბარდებს შეაფარეს. თავდაპირველად მეგონა,დამალობანას მეთამაშებოდნენ, შემდეგ მივხვდი, ასე არ იყო. მე მათი გაცნობა და თამაში მეწადა. ამიტომ არ შევჩერებულვარ და ნელ-ნელა წამოვეწიე კიდეც. ბოლოს და ბოლოს ორივე სხვადასხვა მხარეს გაქანდა. ერთ-ერთი მათგანი წაქცეული ნაძვის ქვეშ შეძვრა და თითქოს ჩაიმარხა. მივირბინე, ტოტები გადავწიე და დავინახე: მოკუნტული ბიჭი იწვა. გახვითქული, ხარხარით დავახტი ზემოდან და მიწას მივაკარი. ბიჭი აფართხალდა, თავი ასწია, ველური, შეშინებული თვალები ააცეცა და ტუჩები ბოროტად მოღრიცა. მწითური, მოკლედ შეჭრილი თმა ჰქონდა, სახე კი წვრილ, ჭუჭყიან ჭორფლს დაეფარა. ტანზე მხოლოდ ძველი, დაფხრეწილი ფლასი ემოსა. ასე თითქმის შიშველი იწვა ჩემს ხელებში და პატარა ცხოველივით თრთოდა.

ჩემი აზრით ცოტა უცნაურად გამოიყურებოდა, მაგრამ ცუდი არაფერი მიფიქრია და არც ხელი გამიშვია. ერთი კი სცადა გამსხლტომოდა, მაგრამ მაშინვე მუხლი დავაჭირე და არა, გენაცვალე, ვერსად წამიხვალ მეთქი. ავხარხარდი. ისიც ჩაწყნარდა, მიყრუებოდა და ხმას აღარ იღებდა. მივხვდი, რომ მოთვინიერდა და აღარ გამექცეოდა. მაშინ ხელი გავუშვი, წამოვდექით და გზასაც ერთად გავუყევით, თუმცა დამფრთხალ თვალებს მაინც არ მაშორებდა. ის მეორე, მისი ალმოჩნდა. სამალავიდან რომ გამოვიდა, ბიჭმა მას მიაშურა და ჩურჩულით დაელა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

პარაკა. გოგონა თვალებდაჭყეტილი, შეშინებული უსმენდა, მაგრამ როცა მივუახლოვდი, აღარ გაქცეულან.

ასე დავიწყეთ თამაში და რახან მოთვინიერდნენ, ამ თამაშში ხალისიანადღაც კი ჩაებნენ. ხან აქ დაიმალებოდნენ ხან იქ, ამ ადგილებს როგორც ჩანს, კარგად იცნობდნენ. ვიპოვნიდი თუ არა, ასევე ჩუმად ახლა სხვა ადგილისაკენ გარბოდნენ. მდელო თითქმის მოშიშვლებული იყო, მხოლოდ ლოდები და წაქცეული ხეები მოჩანდა. მათ კი ეს მდელო, ეტყობა, ზეპირად იცოდნენ და ხანდახან ძლივსღა ვპოულობდი ხოლმე. არასოდეს მენახა ვინმეს ასე უხმაუროდ ერბინოს, არც კი გამიგია, ბავშვი ასე ჩუმად თამაშობდეს. ცოტა ხნის შემდეგ გახურდნენ, აქეთ-იქით თრითინებივით სხარტად დაქროდნენ, ოღონდ მაშინაც კი მათგან ჩქამი არ ისმოდა. არც ჩემთვის უთქვამთ სიტყვა, მაგრამ უამისოდაც კარგად გავერთეთ, ყოველ შემთხვევაში, მე კმაყოფილი დავრჩი. თუმცა დროდადრო, შუა თამაშში უცებ გახევდებოდნენ და მდუმარედ შემოცქეროდნენ.

ეტყობა, კარგა ხანს ვთამაშობდით, სანამ ტყიდან ძახილი არ გაისმა. ბავშვებმა სასწრაფოდ შეხედეს ერთმანეთს და მაშინვე იქით გაქანდნენ. ერთი მივაძახე, ხვალ ისევ შევხვდეთ მეთქი, მაგრამ არც კი მობრუნებულან, ბილიკზე მხოლოდ მათი შიშველი ფეხების ტყაპუნის ხმა ისმოდა.

შინ რომ დავბრუნდი, ჯერ კიდევ არავინ იყო მოსული. დედაც მალე გამოჩნდა, მაგრამ არც ის მითქვამს, სად ვიყავი, არც ის, რა ვნახე. ვერ კი გეტყვით, რატომ გავჩუმდი, თითქოს საიდუმლო გავიჩინე.

მეორე დღეს დედამ ისევ წაიღო სადილი. როგორც კი მარტო დავრჩი, მაშინვე გუშინდელ ადგილს მივაშურე და ჩემი მეგობრები მოვინახულე. მათ თავი კვლავ შორს ეჭირათ და თავდაპირველად ვერც კი გავერკვიე, ჩემი დანახვა გაუხარდათ თუ არა. ერთი კია, ისე ზუსტად დამხვდნენ, თითქოს გამიზნულად მელოდებოდნენ. ისევ წამოვიწყეთ თამაში და ამ ჩუმი სირბილისაგან მთლად ოფლში გავიხვითქეთ. აღარც მე ვყვიროდი და ვჭყლოპინებდი, თუმცა ისინი რომ არა, ალბათ ასეც მოვიქცეოდი. მეჩვენებოდა, უკვე დიდი ხანი იყო, რაც ერთმანეთს ვიცნობდით. ამჯერად დიდ მდელომდეც კი მივირბინეთ და უცებ დავინახე წამოშვერილი კლდის ქიმზე მიკრული ქოხი, რაღაცნაირი პირქუში იერი რომ ედო. ოღონდ ჩვენ ამ ქოხს ახლოს არ გავკარებივართ.

შინ მობრუნებულს დედა უკვე მელოდებოდა. სად იყავიო, შემეკითხა და მეც, უბრალოდ ტყეში ვსეირნობდი მეთქი, ვუპასუხე.

ის დღე იყო და ის დღე, ყოველ ცისმარე დილას ტყეში გავრბოდი. ჩვენი ოჯახობა ისე იყო თიბვით გართული, ჩემთვის არავის ეცალა, ვერავინ ამჩნევდა, სადღაც რომ ვიპარებოდი. ბავშვები ახლა შუა გზაზე მეგებებოდნენ და თავიც შორს აღარ ეჭირათ.

ძალიან მინდოდა მათი საცხოვრებელი მენახა, ისინი კი საშუალებას არ მაძლევდნენ, თითქოს სულ იქით მექაჩებოდნენ, სადაც საერთოდ ვთამაშობდით ხოლმე. ერთხელაც გავბედე და მათ ქოხს მივუახლოვდი, ბავშვებიც ცოტა მოშორებით გამომყვნენ. აქ ყველაფერი ჩვეულებრივი იყო, ოღონდ ქოხის ირგლივ არც ხნულები ჩანდა, არც კვლები, მიწა ისე მიტოვებულსა და გავერანებულს გავდა, თითქოს ადამიანს აქ არასოდეს ეცხოვროს. ქოხის კარი ღია დამხვდა, ბავშვებს დაველოდე და შიგ ერთად შევედით. ქოხში ბინდი ჩამოწოლილიყო და შმორის სუნი იდგა. წინ ქალი შემოგვეგება, თუმცა არც მოგვსალმებია, არც ხმა ამოუღია. მკაცრი თვალები ქონდა ამ ქალს, თითქოს გბურღავსო, მზერაში რაღაც არასასიკეთო კრთოდა. თმა ლოყებზე კულულებად ჩამოშლოდა, დიდ, სისხლისაგან დაცლილ პირზე კი ავი ღიმილი დასთამაშებდა. თუმცა მაშინ მისი გარეგნობისათვის დიდი ყურადღება არ მიმიქცევია, ის კი

ეროვნული ბიბლიოთეკა

გავიფიქრე, ალბათ ბავშვების დედაა მეთქი და ქოხში მიმოვიხედე.

— აქ საიდან გაჩნდა? — შეეკითხა ქალი ბავშვებს.

— სათამაშოდ მოდიოდა ჩვენთან, ტყეში, — შიშით უპასუხეს ბავშვებმა. ქალმა ცნობისმოყვარეობით შემათვალიერა და თითქოს მზერაც ცოტა შეურბილდა, ანდა ვინ იცის, იქნებ მე შევაჩვიე თვალი. ისიც კი მომეჩვენა, თავის ქალიშვილს გავს მეთქი, აი ისეთს, სამალავიდან გამოსული პირველად რომ დავინახე — თვალებდაჭყეტილი.

ბინდს ნელ-ნელა შევეჩვიე და ვერ გეტყვით რატომ, იქაურობა რაღაც უცნაური მომეჩვენა. ჩვენი სახლისაგან თითქოს დიდად არც განსხვავდებოდა და მაინც სხვანაირი იყო, არ მომეწონა. ყველა საცხოვრებელს ხომ თავისი სუნი აქვს, აქ კი ნესტიანი და დახშული, მძიმე და ცივი ჰაერი იდგა, იქნებ იმიტომაც ქოხი კლდის კალთას რომ მიკვროდა.

დავდიოდი და ყველაფერს გაოცებით ვათვალიერებდი.

მოშორებულ კუთხეში ფართო, სწორი, უშველებელი და ორლესული მახვილი ეკიდა. მასზე გამოესახათ ღვთისმშობელი, ჩვილი ქრისტეთი, თან უამრავი იდუმალი ნიშნები და წარწერებიც ამოეტვიფრათ. ახლოს მივედი რომ უკეთ დამეთვალიერებინა — მსგავსი ხომ აქამდე არაფერი მენახა — თავი ვერ შევიკავე, ხელი წავატანე და მაშინვე თითქოს ვიღაცის ოხვრა და ქვითინი შემომესმა.

შემოვბრუნდი და ბავშვებთან მივედი.

— ვინ ტირის? — ვიკითხე.

— ტირის? არავისაც არ უტირია, — მიპასუხა დედამ და შემომხედა, თვალები სულ გადასხვაფერებოდა.

— აბა, აქ მოდი! — დამიძახა, ხელი მტაცა, უკან მიმაბრუნა და მახვილს ისევ შეეხეო, მიბრძანა.

იმ წუთშივე ღრმა ამოოხვრა და ყრუ ქვითინი ისევ გაისმა.

— მახვილია! — შესძახა ქალმა და უკან გამომწია. — მახვილი გლოვობს.

შემდეგ ხელი გამიშვა, შებრუნდა, ბუმელთან მივიდა და ცეცხლზე შემომდგარ ქოთანს მოურია.

— ვისი შვილი ხარ? — შემეკითხა ცოტა ხნის შემდეგ და მომეჩვენა რომ პირი ავად მოეღრიცა.

ვოლელი კრისტეფორის შვილი ვარ მეთქი, ვუპასუხებ, მამაჩემს ასე ერქვა.

— აი თურმე ვისი ყოფილხარ.

გალურსული ბავშვები ველური, შეშინებული თვალებით ერთ წერტილს მიშტერებოდნენ.

ქალმა ცოტა ხანს კიდევ იფუსფუსა ცეცხლთან, შემდეგ საქმე მოითავა, მერხზე ჩამოჯდა, კალთაში ჩამისვა და თავზე ხელი გადამისვა.

— ოჰო, ჰო, — ჩუმად ჩაილაპარაკა და დიდხანს თვალმოუშორებლად მიყურა. — მოდი შენიანებთან წამოვალ, ასე აჯობებს, — დაამატა ბოლოს.

ქალი მოემზადა, კაბა გამოიცვალა, რაღაც ისეთი შემოიხვია თავზე, ადრე სხვა ქალზე არასოდეს რომ არ მენახა და გზას გავუდექით.

— აქ თამაშობდით ხოლმე? — შემეკითხა, როცა ტყეში შევედით. გზაში კიდევ რამდენჯერმე გამომეპალაკა და შეჩქვიფება რომ შემამჩნია, ხელი ჩამკიდა.

ვერაფერი გამეგო და არც არაფერი მიკითხავს.

სახლს რომ მივუახლოვდით, დედა პარმაღზე გამოვარდა. ასე გაფითრებული არასოდეს მინახავს.

— რას ერჩი ჩემს შვილს? ხელი გაუშვი მეთქი, გესმის? ახლავე გაუშვი, შე წყეულო!

ქალმა ხელი მაშინვე გამიშვა, სახე მოეღრიცა და დაკოდილ მხეცს დაემსგავსა.

— რა უქენი ჩემს შვილს?

— ქოხში იყო ჩვენთან...

— შენს წყეულ ქოხში შეიტყუე, არა? — დაიყვირა დედამ.

— არ შემიტყუებია, სიმართლე თუ გინდა, თავად მოვიდა. ჰოდა, როცა მახვილს მიუახლოვდა და შემთხვევით ხე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლი შეახო, მახვილმა ამოიოხრა და აქვითინდა.

დედა გაოგნდა და ალმოდებული თვალები შიშით შემავლო.

— თავადაც უნდა იცოდე, ეს რას ნიშნავს.

— არა... არ ვიცი.

— ჯალათის მახვილით აღესრულება.

დედამ ყრუდ დაიკივლა, ტუჩები აუკანკალდა, მიცვალებულივით გაფითრდა და მომაჩერდა, ოღონდ საპასუხოდ სიტყვა არ დასცდენია.

— ვიფიქრე, ჯობს მივიდე და გავაფრთხილო მეთქი. შენ კი მაღლობის ნაცვლად დამდგარხარ და ბოღმას ანთხევ. აჰა, ბატონო, ჩაიბარე შენი ნაბიჭვარი და ჩვენს ხმას ვერ გაიგონებ, სანამ ჟამი არ დაჭკრავს; თავადვე მოისურვე ასე!

ქალი განრისხებული გატრიალდა და წავიდა.

აკანკალებულმა დედამ ხელი დამტაცა, მკერდში ჩამიკრა და კოცნით დამახრჩო. გაყინული და გაუცხოებული მზერა ქონდა. შემდეგ სახლში შემიყვანა, თავად კი ეზოში გავარდა და დავინახე მინდორში ყვირილით როგორ გარბოდა.

დედა და მამა ერთად დაბრუნდნენ, მოშლილნი და დადუმებულნი იყვნენ. დღესავით მახსოვს, ფანჯრიდან ვხედავდი, სამანის გასწვრივ გზას შინისაკენ როგორ მოუყვებოდნენ.

ჩემთვის სიტყვა არ უთქვამთ. დედა ღუმელთან აფუსფუსდა. მამა ჩვეულებრივ კი არ ჩამოჯდა, წინ და უკან ბოლთის ცემას მოყვა. მისი გამხმარი სახე ისე გაიყინა და გახევდა უსიცოცხლოს დაემსგავსა. როცა დედა ერთი წუთით წყლის მოსატანად გავიდა, მამამ წინ დამიყენა, თვალებში შიშით და თან გამომცდელად ჩამხედა. შემდეგ ისევ შებრუნდა. ჩემი მშობლები ერთმანეთსაც აღარ ელაპარაკებოდნენ. მცირე ხნის შემდეგ მამა ეზოში გავიდა, ერთხანს უსაქმოდ იხეტიალა, შემდეგ გაჩერდა და თვალი სივრცეს გაუშტერა.

მძიმე და პირქუში ჟამი ჩამოწვა. ხელ მარტო დავრჩი, აღარავის ვჭირდებოდი. ირგვლივ ყველაფერი სხვაგვარი იყო, მინდვრებმაც კი იცვალეს სახე, თუმცა ისევ მზიანი, ნათელი დღეები იდგა. თამაშიც აღარ გამომდიოდა. დედ-მამაც ისე მივლიდნენ გვერდს, თითქოს უცხო ვიყავი, თუმცა ღამ-ღამობით, ძილის წინ, დედა ისე მძაფრად მიკრავდა გულში, სულის მოთქმა მიჭირდა.

ვერ გამეგო, ყოველივე ასე რად შეიცვალა, ასე უღიმღამო რად გახდა. ხანდახან გავხალისდებოდი კიდეც; მაგრამ ეს უწინდელ მხიარულებას სულაც არ გავდა. ჩვენი მამული თითქოს ჩაკვდაო, აქ ერთმანეთს თითქმის აღარავინ ელაპარაკებოდა. თუმცა დროდადრო, ჩემს იქ ყოფნას როცა ვერ ამჩნევდნენ, დედამის ჩურჩული მესმოდა. ვერ ვხდებოდი, რა დავაშავე, მეგონა, ალბათ საშინელება ჩავიდინე, რახან ჩემი დანახვაც კი აღარ უნდათ მეთქი. ვცდილობდი შეძლებისდაგვარად ჩემი თავისთვის თვითონ მომევლო და თვალში არავის ვეჩხირებოდი. ჩემი მშობლებისათვის ასე რომ ჯობდა, ამას ვხვდებოდი.

დედას ლოყები ჩაუცვივდა, თითქმის აღარაფერს ჭამდა. დილაობით ნამტირალევი თვალები დასიებული ქონდა. მახსოვს ბაკის უკან ადგილი შევარჩიე და ქვებისაგან ჩემთვის ცალკე სახლის აშენებაც კი დავიწყე.

ერთხელაც დედამ დამიძახა და დავინახე, გვერდით მამა ედგა. მივუახლოვდი თუ არა, ხელი ჩამკიდა და ტყისკენ წამიყვანა, მამა კი ადგილზე დარჩა და ჩვენს კვალს გასცქეროდა. დედას სწორედ იმ ბილიკისკენ მივყავდი, მაშინ რომ დავრბოდი და სწორე გითხრათ თავდაპირველად მართლა შევშინდი. მაგრამ ირგვლივ ყოველივე ისე უღიმღამო იყო, ჯანდაბას, ამის უარესი რაღა მოხდება მეთქი, გავიფიქრე. თვინიერად მივეკარი დედას, ბილიკზე დაყრილ ქვებსა და ფესურებს ფრთხილად ვუქცევდი ფეხს, რათა დედისათვის ზედმეტი საზრუნავი არ გამეჩინა, მას ხომ ისეთი შე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

შუპებული სახე ჰქონდა, ვერც კი იცნობდი.

მდელოზე მივედით, ქოხი გამოჩნდა და დედა აკანკალდა. მთელი ძალით მოვუჭირე ხელი, მისი გამხნევება მინდოდა.

ამჯერად ქოხში ბავშვებისა და დედის გარდა ერთი კაცი კიდევ დაგვხვდა. ჩაფსკვნილი, ძლიერი აღნაგობის მამაკაცის მსხვილი, თითქოს გადმოტრიალებული ტუჩები გარდიგარდმო ნაოჭებს დაესერა. ნაყვავილარი სახე, უხეში, ველური გამომეტყველება, მძიმე მზერა და რაღაც მოყვითალო თუ მოწითალო, ჩასისხლიანებული თვალები ქონდა. ჩემს ცხოვრებაში არც ერთ მოკვდავს ასე არ დავუზაფრივარ.

გამარჯობა არავინ გვითხრა. ქალი ოუმელთან დაღგა და ქარცახი ისე გააებით შეუჩიჩხინა, სულ ნაპერწკლები აცვივდა. კაცმა ჯერ ალმაცერად შეგვათვალიერა, შემდეგ კი მანაც ზურგი შეგვაქცია.

დედა ზღურბლზე გაჩერდა და რაღაცას დამცირებით შეემუდარა. იმასღა მივხვდი, რომ ჩემზე ლაპარაკობდა, ოღონდ მათგან რა უნდოდა, ეს ვეღარ გავიგე. დაუსრულებლად იმეორებდა, რაღაც საშუალება ხომ უნდა არსებობდეს, თუ დახმარებას მოინდომებთო.

პასუხი არავინ აღირსა.

დედა ისეთი გაუბედურებული და გასაცოდავებული ჩანდა, მეგონა უარს ვერაფრით ეტყვიან მეთქი. ისინი კი არც შემობრუნებულან, თითქოს მათთვის არც ვარსებობდით.

დედა მარტო განაგრძობდა ლაპარაკს. უფრო და უფრო ტანჯული და მაევედრებელი, ყრუ და სასოწაკვეთილი ხმით ეხვეწებოდა. მისი საცოდაობით დავიწვი. ის კი დაუსრულებლად იმეორებდა, ერთადერთი შვილი მყავსო და თვალები ცრემლით ევსებოდა.

იდგა და ახლა უკვე მხოლოდ ტიროდა, მისმა მუდარამ, როგორც ჩანს, ნაყოფი არ გამოიღო.

ისე შევშინდი, სად წავსულიყავი, აღარ ვიცოდი და ბავშვებთან მივირბინე, კუთხეში რომ ატუზულიყვნენ. შეშფოთებით გადავხედეთ ერთმანეთს, შემდეგ კი ყველა ერთად კედელთან მიდგმულ მერხზე ჩამოვსხედით: ფეხზე დგომა აღარ შეგვეძლო.

უსასრულოდ დიდხანს ვისხედით. უცებ ეს საშინელი სიჩუმე მამაკაცის უხეშმა ხმამ გაჰკვეთა. მე შევხტი. კაცი იდგა და ჩვენკენ იყურებოდა, ოღონდ მარტო მე მეძახოდა.

— გამომყევი!

აკანკალებული ფრთხილად მივუახლოვდი. იგი გზას გაუდგა, მე კი წინააღმდეგობის გაწევა ვერ გავბედე და დავედევნე. დედაც კვალში ჩაგვიდგა. ღუმელთან მდგომი ქალი შემობრუნდა და დედაჩემის კვალს „თფუ!“-ო, მიაფურთხა.

მოგვიანებით მე და ეს კაცი მარტონი გავუყევით გაკვალულ გზას, სახლის ახლო-მახლო არყის ტევრისაკენ რომ მიდიოდა. მის გვერდით ყოფნა არ მსიამოვნებდა და ვცდილობდი მოშორებით მევლო. და მაინც, სანამ მივდიოდით, თითქოს ერთმანეთი გავიცანით. ტყის სიღრმეში, ხეებს შორის წყარო მოწანწკარებდა, როგორც ჩანს წყალს აქედან იღებდნენ ხოლმე, რადგან გვერდით სახაპავი ეგდო. კაცი წყაროს პირას მუხლებზე დაეშვა და პეშვი გამჭვირვალე წყლით აივსო.

— დალიე! — მიბრძანა.

აშკარად ეტყობოდა, რომ ცუდი განზრახვა არ ქონდა და მეც ხალისით ავასრულე მისი მოთხოვნა, სულაც არ შემშინებია. ალბათ იფიქრებთ, ასე ახლოდან უფრო საზარელი დასანახი იქნებოდაო, მაგრამ პირიქით კი აღმოჩნდა. ის გამძვინვარება მასში თითქოს აღარც იგრძნობოდა, თითქოს ჩვეულებრივ ადამიანს უფრო დაემგვანა. მუხლებზე იდგა, მისი ჩასისხლიანებული თვალების მძიმე მზერას ვგრძნობდი და მახსოვს, ნაღდად ესეც უბედურია მეთქი, ვფიქრობდი. ამასობაში კი კაცმა წყალი სამჯერ დამალევინა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ესეც ასე, ახლა ჩამოგეხსნება, — მითხრა მან. — რახან წყალი ჩემი ხელიდან შესვი, ნუღარაფრის შეგეშინდება. — თქვა და თავზე ხელი მსუბუქად გადამისვა.

ეს უკვე ნამდვილი სასწაული იყო!

კაცი წამოდგა და უკან გამოვბრუნდით. მზე ჩახჩახებდა, ჩიტები ჟღურტულებდნენ, არყის ფოთლებისა და ქერქის სურნელი იდგა. ქოხთან დედა გველოდებოდა და როცა დაინახა, ხელჩაკიდებულები თანხმობით როგორ მოვდიოდით, თვალები სიხარულით გაუცისკროვნდა. მაშინვე გულში ჩამიკრა და გადამკოცნა.

— უფალმა გაკურთხოთ, — უთხრა ჯალათს, მაგრამ მან ზურგი შეგვაქცია. ჩვენ კი ბედნიერები შინისაკენ გამოვეშურეთ.

— ოჰო, ჰო, — ჩაილაპარაკა ვიღაცამ, როცა თხრობა დასრულდა.

— ხედავ, რა მომხდარა.

— განსაცვიფრებელი რამეა ეს უკეთურება, სადავოც კი არ არის.

— თითქოს ცოტა სიკეთეც კია მასში მიმალული.

— ჰო.

— არადა, რა ძალა აქვს! უნდა მოგსპობს და უნდა სიკვდილისგან დაგიხსნის.

— აბა.

— საოცარია, მაშ რა არის.

— გაიგონებ ასეთ რამეს და ნაღდად ჭკუა მოგემატება.

— მე მგონი, დედაშენს არ აწყენდა, ჯალათის ცოლისთვის ბოდიში მოეხადა. ასე რომ გამოლანძღა.

— მეც ასე მგონია, აი მან კი არ ისურვა მონანიება.

— კარგი ერთი.

ცოტა ხნით ჩაჩუმდნენ. ლუდი მოწრუპეს და ტუჩები მოიწმინდეს.

— რა თქმა უნდა, ჯალათიც შეიძლება კეთილი იყოს. ვინ არ იცის, რომ ტანჯულებსა და სნეულებს, აი ზღვართან რომაა კაცი მისული და ყველა მკურნალს ხელი აქვს ჩაქნეული, ხანდახან სწორედ ჯალათი შველის ხოლმე.

— ჰო, ისიც ნაღდია, რომ ტანჯვა არც მისთვისაა უცხო ხილი. ეტყობა, თავადაც ეწამება იმითი, რასაცა იქმს. ვინ აღარ იცის, რომ ჯალათი სიკვდილმისჯილს აღსრულების წინ ყოველთვის პატიებას თხოვს ხოლმე.

— სწორია. ავი ნამდვილად არა სურს იმისთვის, ვისაც კლავს. ხანდახან ძმაბიჭურადაც კი ექცევა ხოლმე. თავად მინახავს!

— სწორედ რომ ძმაბიჭურად! აი მე ერთხელ ისიც კი ვნახე, მსხვერპლი და ჯალათი ხელგადახვეულები ფიცარნაგისაკენ ერთად როგორ მიაბიჯებდნენ.

— მიდი?!

— მინახავს მეთქი. ორივე ისეთი მთვრალი იყო ფეხზე ძლივს იდგნენ. რაც კი მიართვეს, ყველაფერი გადაყლურწეს და რაღაც კიდევ დაამატეს. ჰოდა, ფეხიც აერიათ. ორივე კარგად იყო გამობრუჟული, მაგრამ ჯალათი, მგონი, ცოტა წინაც უსწრებდა. „უჰ“-ო, შესძახა, ეს მაშინ, თავი როცა წააცალა.

ყველამ გადაიხარხარა და კათხები მოიყუდეს.

— ესე იგი, შენც კუნძი გელოდება. თუმცა ვინ იცის, შეიძლება, არც სხვებს აგვცდეს.

— ეგრეა, ძმაო.

— არა, მაინც რამხელა ძალაუფლება ქონია. ეს რა სასწაული მოგვიყევი. შეჩვენება რომ არ მოეხსნა, გათავებული იყო შენი საქმე.

— ეჰ, ძმაო, ეგეთი სასწაულები შეუძლია! მგონი, ზოგიერთ წმინდანსაც გაუსწროს.!

— არა, ყველაზე დიდი სასწაულების მოხდენა მაინც წმინდა მოციქულებსა და ღვთისმშობელს შეუძლიათ.

— და იესო ქრისტეს, ჩვენი ცოდვები რომ იტვირთა.

— ეგ ხომ თავსთავად, შე უტვინოვ, მაგრამ ახლა ქრისტე რა შუაშია. ჩვენ ჯალათზე ვლაპარაკობდით!

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ნაღდად აქვს ძალაუფლება. უკეთურებას დიდი ძალა აქვს, ამას წყალი არ გაუვა.

— ძალა კი აქვს, მაგრამ საიდანა აქვს? ეშმაკისეულია მეთქი, გეუბნებით! ალბათ იმიტომაცაა ხალხი ყველაზე მეტად უკეთურს რომ ეტანება. საღვთო წერილსა და წმინდა ზიარებასაც კი ურჩევნია.

— ამას კი უშველა და...

— ჰო, რაც გინდა თქვი და ამას ხომ უშველა!

— იქნებ ასეცაა.

— აი მღვდელი, შეიძლება, ვერც კი მორეოდა.

— რას მოერეოდა! აქ ბოროტება მბრძანებლობდა, იმან ჩაიგდო ხელში.

— ფუ, სატანას ოინებია!

— ოჰ-ო-ო?

— რა არ გაიგონეთ? ჯალათს ზურგი შეუქცევია, როცა დედამ „უფალმა გაკურთხოთო“, უთხრა.

— ჯანდაბას!

— ეშმაკმა დალახვროს, დავლიოთ! ნეტავ რას დავმსხდარვართ და ამდენ უკეთურებას ვიხსენებთ.

— სწორია, სწორი! აბა ლუდი მოგვართვით! ლუდი მეთქი, გეუბნებთ, თანაც საუკეთესო იყოს, იცოდეთ!

— საუკეთესო კასრიდან ჩამოგვისხით! ოწ-ო-ო... ოღონდ იქიდან არა, სადაც ქურდბაცაცას თითია ჩაკიდული... რა, მართლა ქურდის თითი ჩამოაკონწიალეთ ლუდში?

მოსამსახურე ქალს ფერმა გადაკრა, თავი გაიქნია და რაღაც ჩაიბურტყუნა.

— ნეტავ რას უარობ, ეს ხომ მთელმა ქალაქმა იცის! ჯანდაბა შენ თავს, თუნდაც იქიდან ჩამოასხი. მაგარი კი იყოს და რას დავეძებ!.. უჰ!.. — ჯალათივით შესძახა ბოლოს.

— ძალიანაც ნუ ოხრავ, თორემ ერთხელაც იქნება თავი აღარ შეგრჩება მხრებზე. მოგინდება დალევა და ჩასასხმელი აღარ გექნება.

— ჰოდა, სანამ დრო მაქვს, უნდა მოვასწრო.

— ეს ლუდი თავად ეშმაკის მოხარშულია, გემოზე ეტყობა!

— აქ ხომ სწორედ სატანის ბუნაგში ვართ, სამაგიეროდ უკეთეს ლუდს ვერც კი ინატრებ.

ისევ დალიეს. სუფრაზე გადაწვენ და იდაყვები აქეთ-იქით გაშალეს.

— აი, ვფიქრობ, ნეტავ ხვალ ალიონზე ვინმეს დასჯიან თუ არა მეთქი, — თქვა ბებერმა მეწაღემ.

— ეგ ვინ იცის..

— შეიძლება, დასაჯონ კიდეც...

— იმიტომ ვფიქრობ, რომ, აი, ჯალათმა მოულხინა. თანაც წითელი სამოსი აცვია, სრული აღჭურვილობით გამოგვეცხადა.

— ჰო... ეტყობა, ეგრეა...

— თითქოს არავის უთქვამს, ვინმეს დასჯას უპირებენო?

— არა.

— რაც არის, ეგ არის. დაფდაფების ხმას მაინც გავიგონებთ, თუკი დასცხებენ.

— ოჰ, ამდენ ყბედობას ჯობს, დალიო, ბაბუა!

ისევ დალიეს.

ახალგაზრდა ჭაბუკს თან ორი ქალი შემოყვა.

— ოჰო, კახპებიც მობრძანებულან!

— სადაც ჯალათი მივა, მთელი მისი ხროვაც თან მიყვება.

— აბა, ჯელელო, სანთლები აგვინთე, ამ შენს კახპებს თვალი მაინც შევავლოთ.

— ოჰო, ლამაზმანები ყოფილან. დიდოჯახიდან ხომ არ არიან?

— ვერ ხედავ, რომ ეგრეა.

— ჯალათის გვერდით რატომ არ სხდებით? ჰა, ხომ არ შეგვიშინდით?

— ოჰ, თქვენ ამ ჩვენს ჯალათს, ეტყობა, ნამეტანი ახლოს იცნობთ.

— ეი, უმანკო ქალწულებო, სახრჩობელასთან ხომ არ ჩაგივლიათ? ერთი ვინმეა ჩამოკონწიალებული. ღამით ტანსაცმელი გახადეს და ახლა სულ დედაშობილა კიდია, მთელი ქონება გარეთა აქვს გამოფენილი. თუ ასეთი რამ დიდხანია აღარ გაოცებთ! ჰო, ჰო, ეს დედა-

კაცები კი დილიდანვე ისე გაქანდნენ, თითქოს წირვაზე მიიჩქაროდნენ. უნდა შეიცხადონ, აბა რა, ჩამოხრჩობილს ხომ ერთი რაღაცა განსაკუთრებით მიმზიდველად მოუჩანს. ნეტავ რას ხითხითებთ? ფრთხილად, თორემ ჯალათი გიჩვენებთ სეირს.

— სამარცხვინო ბოძთან ჯერ არ გაუშოლტიხარი?

— ალბათ არც ეგ დაკლებიათ.

— ცოტაც მოიცადეთ და მისი შოლტების შიშით ქალაქიდან სულ აორთქლდებით. თანაც თავქუდმოგლეჯილები მოკურცხლავთ. ან არადა კოხტა უკანალები დაგიმახინჯდებათ!

ერთი ქალი შემობრუნდა:

— ჰეი, შენ, იოკუმ ხვადაგო, ენას კბილი დააჭირე! ჯობს, შენს დედაკაცთან შინ წაეთრიო, ჩვენზე ნაკლებს კი არ დაეხეტება. გუშინ საღამოს ჩვენს დაწესებულებაში მოქანდა, არიქა, მიშველეთ, თორემ შინ ვერ დამაგრილესო!

— აბა, აბა, ბევრს ნუ ტლიკინებთ. თუ გგონიათ, გული გამიხეთქეთ, ძალიან შემცდარხართ. უთქვენოდაც ვიცი, რა კახპაც არის! ერთხელაც იქნება ტყავს გავაძრობ!

— ეგ არის და ეშველება!

— არ ეშველება და წირვასაც გამოვუყვან!

— მაგასაც ეგ უნდა, აიღებს და თავად სატანასთან გაგორდება.

კაცმა პასუხად რაღაც ჩაიბურტყუნა. დანარჩენები ისევ დასცინოდნენ.

— ჰო, დედაკაცების საშველი არ არის, გინდ ამ ქვეყანას იყვნენ, გინდ იმ ქვეყანას, მაინც ვერ მოარჯულებ.

— არა თქვა, ჩვენი არ იყოს, არც მაგათ აკლიათ დაწვა, ჩამოხრჩობა და სიკვდილით დასჯა.

— სწორია. ჯალათი არც მაგათ წყალობს.

— ეგეცაა.

— ჰო, შემიმჩნევია, ზოგიერთ ჯალათს განსაკუთრებით მოსწონს კიდეც დედაკაცების წამება.

— გასაგებიცაა რატომ.

— თავისთავად ცხადია, ეგ უფრო სასიამოვნოა, ვიდრე მამაკაცების თავის კვეთა.

— ალბათ.

— და მაინც, ეს გემოვნების საქმეა, ვის რა მოსწონს. ყოველთვის ეგრე კი არ ხდება. ერთხელ თავადაც შევესწარი, ჯალათმა დედაკაცი ვერ მოკლა და მორჩა.

— არა მართლა?

— ჰო, ეგრე იყო. ვერა და ვერ მოკლა, იმიტომ რომ იქვე, ფიცარნაგზე გიჟივით შეუყვარდა.

— მიდი?

— უყურე შენ!

— ჰე! ყველამ დაინახა, რომ სიყვარულით გაითანგა. იდგა და ქალს შესცქეროდა, ნაჯახი კი ვერა და ვერ ასწია!

ქალი მართლაც ძალიან ლამაზი იყო. მახსოვს გრძელი, შავი თმა ქონდა. მისი მშვენიერი თვალები კი, მოკრძალებული და შეშინებული, ცხოველის თვალებივით ნამიანი, მაშინვე დაგატყვევებდა. ახლაც თვალწინ მიდგას იმდენად უჩვეულო და მშვენიერი სახე ქონდა. ამ ქალს არავინ იცნობდა, შორიდან იყო მოსული, სულ ახალი დასახლებული იყო ჩვენთან. ჯალათმაც პირველად დაინახა და, რა გასაკვირია, რომ ასე შეუყვარდა. ტილოსავით გაფითრდა, ხელები აუკანკალდა და „არ შემიძლიაო“, ჩაილაპარაკა. ახლოს ვინც იდგა, ყველამ გაიგონა.

— კარგი ერთი!.. წარმოგიდგენია?

— ჰო, საოცარი სანახაობა იყო, მართლაც განსაცვიფრებელი. ხალხმა ჯალათის თვალებში სიყვარული შენიშნა და გული აუყუჩდათ, აჩურჩულდნენ და აჩოჩქოლდნენ,, აშკარად ჩანდა, კაცი შეეცოდათ.

— გასაგებია.

— ჰო, ცოტა ხანს ასე იდგა, შემდეგ ნაჯახი გააგდო და ქალს ხელი გაუწოდა. ქალს კი ცრემლი წასკდა და თითქოს სიყვარულმა მის სულშიც იფეთქა. ან კი რა გასაკვირია, როცა კაცი ასე მოიქცა — ისინი ხომ ფიცარნაგზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

იდგნენ და ქალიც მასში მხოლოდ ჯალათს ხედავდა.

— ჰო-ო...

— მერე რით დასრულდა?

— ჯალათმა მოსამართლეს მიმართა და ამდენი ხალხის წინაშე განუცხადა, ცოლად მინდა ვითხოვოო. ხომ იცით, ასეთ შემთხვევაში შეწყალების უფლება აქვთ, თუ მოინდომებენ, ცხადია. ხალხიც ახმაურდა, სიცოცხლე აჩუქეთო. ამ ამბავმა სუყველა შესძრა., ხალხიც და მოსამართლეც, რადგან სიყვარულის სასწაულთმოქმედი ძალა ყველას თვალწინ, პირდაპირ თხემის ადგილას გადაიშალა. ბევრი იდგა და ტიროდა. ასეც მოიქცნენ. მღვდელმა მაშინვე დასწერა ჯვარი და ცოლ-ქმარი გახდნენ.

ოღონდ ქალს შუბლზე დამღა ამოწვეს, როგორც წესი და რიგია. სახრჩობელა ხომ თავისას მოითხოვს. თუმცა, როგორც გითხარით, სიკვდილს გადაურჩა.

— ხედავ, რა ხდება?

— რას არ გაიგონებს კაცი.

— მერე რაღა მოხდა? ნუთუ მართლა ბედნიერები იყვნენ?

— კი, ჯალათის სახლში ბედნიერად ცხოვრობდნენ. მეზობლები ერთხმად ამტკიცებდნენ ჯალათი ასეთი ჯერ არასოდეს გვინახავსო. მგონი, სიყვარულმა სულ გამოცვალა, ადრე ხომ ასეთი არ იყო. სულ სხვანაირად ცხოვრობდა ადრე მის სახლში, როგორც წესია ყოველგვარი უწმინდურობა ბუდობდა, ახლა შეიცვალა. ხშირად მხვდებოდნენ ქუჩაში, ქალი უკვე ბავშვს ელოდა და სხვა შეყვარებული წყვილებისაგან არაფრით განსხვავდებოდნენ. ქალიც ძველებურად ლამაზი იყო, თუმცა თავზე ჯალათის ცოლის სამარცხვინო თავსაბური ეხურა, შუბლზე კი დამღა უჩანდა. მაინც მშვენიერი იყო მეთქი, გითხარით.

როცა მშობიარობის დრომ მოუწია მათაც სხვებივით ბებიაქალის მოწვევა მოინდომეს, თითქოს სხვა ცოლ-ქმარივით მათაც უხაროდათ შვილის გაჩენა, ყოველ შემთხვევაში ხალხი ასე ამბობდა. ყველაფერი სწორედ აქედან დაიწყო. მახსოვს, ჩვენს მოპირდაპირე სახლში მოაკითხეს ერთ ბებიაქალს, აუცილებლად მისი წაყვანა უნდოდათ, ეშინოდათ, მშობიარობის დროს ცუდი არაფერი მოხდესო. ბებია ქალმა კი უარით გაისტუმრა. სხვებმაც შორს დაიჭირეს თავი. ისინი ხომ ასე თუ ისე მაინც უკეთურები იყვნენ.

— რაც გინდა თქვი და არაა ქრისტიანული, ასეთ დროს ადამიანს, რომ არ დაეხმარები.

— უკეთურება ხომ გადამდებია, აბა,, დაფიქრდი, ბებიაქალმა კი ამის შემდეგ წესიერი ქალი უნდა ამშობიაროს.

— ეგ თავისთავად.

— ჰოდა ასე გამოვიდა, რომ ქალი სულ მარტო დარჩა და მარტომ იმშობიარა. კაცმაც კი ვერ მოუსწრო, ცოტა ადრე დაეწყო და კარგი საქმე ვერც ეს იყო. ზუსტად არავინ იცის, რა მოხდა, სასამართლოზე კი ქალმა აღიარა, ჩვილი მოვგუდეო.

— რა თქვი?.. მოვგუდეო?

— კი მაგრამ, რათაო?

— ამბობენ, ასე თქვა, როგორც კი ვიშობიარე და ცოტა ძალა მოვიკრიბე, ბავშვი ავიყვანე, სახიდან სისხლი ჩამოვწმინდე და შუბლზე თანდაყოლილი ნიშანი შევნიშნე, სახრჩობელას რომ გავდაო. მათ ხომ ქალსაც ამოწვეს შუბლზე დამღა, თანაც ისეთ დროს მუცელში ჩვილი რომ ჩაესახა და მასაც ამის გამო გული დაუწყულდა და დაეტანჯა. ჰოდა არ ისურვა, ცოცხლად დაეტოვებინა პირმშო, თავიდანვე ნიშანი რომ ედო, ქალს ხო იგი სულს ერჩია. სხვაც ბევრი რამე მოუყოლია, ოღონდ ყური მოვკარი, დაბნეულად ლაპარაკობდაო. როგორც ჩანს, მაგ საცოდავს იღბალზე ეწერა უკეთურ საქმეში გაბმა, ეგ არის და ეგ.

— მე კი ძალიან მეცოდება.

— ჰო, რაც არ უნდა თქვა, საცოდავია.

— ჰოდა, განაჩენიც გამოუტანეს, ცოცხლად დაიმარხოსო. პატარა ცოდვა კი არ დაუდვია სულზე. ჯალათი იძულებული გახდა თავად დაემარხა. მეც წა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვედი სანახავად, ძალიან კი გაუჭირდა, მას ხომ უყვარდა ეს ქალი, მართლა უყვარდა, თუმცა ბოლო დროს მისი ბოროტმოქმედების გამო, შეიძლება გულიც კი აუცრუვდა. ნიჩბით მიწას აყრიდა და თვალს არ აშორებდა მის მშვენიერ სხეულს ნელ-ნელა მიწით რომ იფარებოდა. როცა სახეს მიაღწია, რაც კი შეეძლო, შეანელა მუშაობა. ქალსაც მთელი ამ ხნის მანძილზე სიტყვა არ წამოცდენია, მგონი წინასწარაც კი დაემშვიდობნენ ერთმანეთს — იწვა ქალი და სიყვარულით სავსე თვალებით უყურებდა. ბოლოს და ბოლოს, ცხადია, სახეზეც მიაყარა მიწა და ზურგიც შეაქცია. ჰო, ძალიან გაუჭირდა, მაგრამ აბა, რა ექნა, განაჩენი გამოტანილი იყო.

იმასაც ამბობდნენ, ღამით მოვიდა და ამოთხარა, იქნებ ჯერ კიდევ ცოცხალია, ოღონდ ჭირები მგონია, თავადაც ხომ მიხვდებოდა, რომ ეს შეუძლებელი იყო.

სხვათა შორის ძალიან მალე ჯალათი ჩვენი მხარიდან გადაიხვეწა და აღარავინ იცის, რა დაემართა.

— ხედავ შენ, მაინც საცოდავები არიან.

— თავადაც ხომ უნდა ცოდნოდათ, რომ არაფერი გამოუვიდოდათ, მათი უკეთურება ჩვილზედაც გავრცელდებოდა.

— ეგრეა მაშ! ისე კი მაინც საოცარია, რომ სახრჩობელას ნიშანი დაჰყვა.

— ჰო, ამას, როგორც ჩანს ვერასოდეს მოიშორებ.

— ეგ არის.

— თავში ქვა იხალე, არ გაგიშვებს და მორჩა. ნაღდად ეგრეა.

— ესე იგი მაინც გახდა მისი ჯალათი.

— სხვა რა გზა ქონდა.

— როგორც ჩანს, ბედისწერა ჩაერია.

კართან წამოძახილები და ჩოჩქოლი გაისმა. სამიკიტნოში ხმაურით შემოასკდა ადამიანი, ზურგსუკან, სიბნელეში ვიღაცას დაუყვირა და მტევანწაკვეთილი ხელი მუქარით დაუქნია.

— მიჰქარავ, მყრალო ხეპრევ! თავად არ დათვალე ქულები, ხომ სწორი გამოვიდა, არა?

— ტყვია გქონდა ჩასხმული, მაგ შენს კამათლებში, დამპალო!

— ტყვია არა, ეშმაკი! ეს რა მითხრა, ტყვია ჩაასხიო! აბა ხმა ამოიღე იუკე.

— არაფერიც არ იყო ჩასხმული, — უპასუხა ბიჭმა, რომელიც ხელებწაკვეთილს ფეხდაფეხ შემოყვა.

— ეს ეშმაკის ფეხი უკვე კარგად გაქნილია, იმიტომაცაა სულ კუდში რომ დაგდევს. შენ ხომ ბანქოც ვერ დაგიჭერია ხელში ეშმაკის სახიჩარო! ნაღდად დანიშნული იყო ბანქო, თორემ ასე როგორ გამცლიდით!

— მოკეტე, ხეპრევ—ხელებწაკვეთილი ჩამოჯდა და ირგვლივ ალმაცერად მიმოიხედა. ჯალათის დანახვაზე სახე მოექცა. გამხდარი, ლოყებჩაცვენილი სახე ჰქონდა, თვალები კი ნაკვერცხლებივით უელავდა. ბიჭიც მის გვერდით, მერხზე მოკალათდა.

— ოჰო, ლასე ჩამოხრჩობილიც მობრძანებულა!

— ჰა, ლასე, შენც ხომ არ შეგეშინდა ჯალათთან დაჯდომის?

— ნეტავ არ ყბედობდე!

იგი ბაჯბაჯით წავიდა დაა მოშორებით, სუფრის ბოლოში ჩამოჯდ.ა. ბიჭიც უკან დაედევნა.

— სწორედ ჯალათთანაა შენი ადგილი, წყეულო, — დაუყვირა ერთმა გლეხმა. — მოიცადე, ერთხელაც იქნება, კიდევ მოგიგდებს ხელში!

— ჰო, ძმაო ლასე, ახლა სახრჩობელაზე თუ ჩამოგაკონწიალებენ თორემ მოსაჭრელი აღარაფერი შეგრჩა.

— სისულელეებს ნუ ფქვავ, რეგვენო, ვერ მომერევა ეგ თქვენი სახრჩობელა, გესმით?

— სად შეუძლია...

— ვითომ ვერ მოგერევა?

ხელებმოკვეთილმა მხრები აიჩეჩა და მაგიდასთან ახლოს მიიწია.

— ლუდი! — შესძახა მსახურ ქალს და ქალმაც მაშინვე ჩამოუსხა. ბიჭმა კათხა მოუყუდა, მანაც მოზრდილი ყლუპი შესვა და სული მოიბრუნა. ბიჭმა ადროვა, შემდეგ კი ისევ მოუმარჯვა კათხა. — მაშ ვყალთაბანდობ, არა? — თქვა

ეროვნული ბიბლიოთეკა

და დინჯად შებრუნდა გლეხისაკენ, სადღაც კართან ახლოს რომ იჯდა.

— არა, ბიჭო არ ყალთაბანდობ!

— დიდად მჭირდება ყალთაბანდობა შენი უბადრუკი გროშები რომ გამოგტყეუო! თავად მოფრინავენ ჩემს ჯიბეში! სიმყრალის გამო ველარ ჩერდებიან შენთან!

— მოკეტე მეთქი შენი აქოთებული პირი, გეუბნები!

გლეხს ყველა დასცინოდა, უფრო კარგი გინება ველარ მოგიძებნიაო.

— ნეტავ რაში მჭირდება ან ბანქოს დანიშვნა ან კამათელში ტყვიის ჩასხმა! ლასე ჩამოხრჩობილი უმაგისოდაც კარგად მოიწყობს ცხოვრებას!

— უფრო ეშმაკური ფანდებიც იცის, მაგას რას მოერევი, შე გლეხუჭავ, შენა!

— ეგეც ისე იქცევა, როგორც სხვა თაღლითები. ვერ გამიგია, ლასე, რა დღე არ დაგაყარეს, მაინც აღარაფერი გეშველა.

— მოიცა, ერთი, ლასე არ დაიკარგება!

— ეგრე გამოდის...

— მახსოვს თითები რომ მომაჭრეს, აი ამხელა ვიყავი, — თქვა ხელმოკვეთილმა და ბიჭზე ანიშნა.

— ლურსმნებით კუნძზე დააჭედეს. ეჰ, თავადაც მივედი სანახავად. კარგი სანახავი იყო, რაღა! მაშინ მითხრეს „აი, შენი ქურდული თითები ახლა სად არისო?!" მე კი მხოლოდ ვიცინოდი, ფეხებზედაც არა მკიდია, ლასე მაინც არ დაიკარგება მეთქი! ეგრეც გამოვიდა!

თვალები რამდენჯერმე დაახამხამა და სახე მოექცა. შემდეგ ტაკვი იუკეს გაჰკრა და ლუდი მოითხოვა. ბიჭმაც მაშინვე მოუყუდა კათხა. მას გონიერი სახე ქონდა, თვალებს კი ისე აცეცებდა აქეთ-იქით, არაფერი გამოეპარებოდა.

— მარტო თითები ხომ არ მოგკვეთეს, ხელებსაც მისდგნენ, ეგ კი ალბათ ეგრე ადვილად ველარ აიტანე, არა?

— ოჰ, ფეხებზედაც არა მკიდია...

და მან პირი სახელოთი მოიწმინდა.

სუფრის მეორე ბოლოში ბებერი მეწაღე წინ გადმოიხარა.

— არ გაგიგიათ? მაგას მანდ[illegible] ფესვი აქვს, — ჩაისისინა და აღგზნებით დაუსტვინა.

— მე არაფრის მეშინია, — ხმამაღლა, ნიშნისმოგებით განაცხადა ლასემ. — ფეხებზედაც არა მკიდია ყველაფერი. ეგერ ბიჭიცა მყავს. გოგრა უმუშავებს, ეგრე კი ნუ გგონიათ.

— ეტყობა კიდეც!

ბიჭს შექება ესიამოვნება და თვალები მოწკურა.

— რა ვქნა, შენი შვილი ხომ არ არის, ჰა, ლასე?

— რას გაიგებ! ისე კი მგავს ხომ იცი, ჰე, ჰე, ჩემი ალი-კვალია.

— ოჰო, ესე იგი, თვითონაც არა გცოდნია.

— არა. კახპა ჰანას შვილია, დედამისს დაეთესა, მცემდა და არ მაჭმევდაო და მე მომეკედლა. ჩემთან რამეს მაინც ისწავლის, ცხოვრებაში გამოადგება. ეგეთი დაქოქილი მეორე არ მეგულება. ჰა, იუკე, მამაშენი ვარ თუ არა?

— ჩემთვის სულ ერთია, — ჩაიხითხითა იუკემ.

— სწორია, არ მიმიფურთხებია? მოწონს ჩემთან ყოფნა, მორჩა და გათავდა! ხომ ეგრეა, იუკე?

— ჰო, — გაიკრიჭა ბიჭმა.

— არა, მარტო ეგ ლაწირაკი რას გიშველიდა, ვერ დამაჯერებ.

— გეგონოს!

— მგონია კიდეც!

— არა, ძმაო, შენ რაღაც სხვა ძალებს უხმობ საშველად, ნაღდად ასეა.

— მაინც რა ძალებს, ჰა?

— აბა, მე რა ვიცი!

— არ ვიციო? მაშ ენას რაღას ატარტარებ?

წამიერად ყველა ჩაჩუმდა, კათხებს წასწვდნენ და მისწი- მოსწიეს.

— ესე იგი ჭორია და არა გაქვს ფესვი?

— ფესვი არა...

— ეგრეც იქნება, აბა შენ ფესვს როგორ ამოგლეჯდი?!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ანთებულმა თვალებმა ბინდში დაიკვესა, გამხდარი სახეე კი უფრო მეტად დაიძაგრა.

— ეგრე გეგონოს, არ დამჭირდეს თორემ ლასე ეგეთებს მოერევა?

— მართლაც და.

— არა თქვა. ეგეთი ფესვის ამოგლეჯა ზედ სახრჩობელის ქვეშ ეგრე იოლია? თანაც თუ კაცს ხელები არა აქვს.

— ისიც ხომ ყველამ იცის, რომ თუ ყვირილი გაიგონე, შენი საქმე წასულია, ესე იგი, სიკვდილმა მოგაკითხა.

ლასეს ალმაცერად შეავლეს თვალი. ის კი აკანკალდა და თავი გამომწვევად ასწია.

— მე კი ვიტყოდი მაგ ფესვის გარდა სხვაც ბევრი რამე აქვს მეთქი! მგონი კარგა ხანია სული ეშმაკს მიყიდე, არა ლასე?

— არა, ბიჭო!

— მეც მაგას არ ვამბობ!

— ოჰო, გაიგონეთ?

— ღამ-ღამობით უკეთური სულები ხომ არ გაკითხავენ?

— არა.. ეშმაკს ვინც დაიძმაკაცებს, იმას ვინ შეაწუხებს. იმას ახალშობილივით უშფოთველად ძინავს.

— ეგ კი ნამეტანი მოგვიდა, ლასე!

— ჰო, ძამიკო, მგონი ცოტა გადაამლაშე! ეგრე რომ იყოს, სახიჩარი ხომ არ ივლიდი ამ ქვეყანაზე!

— ჯალათმა ისე გაგალამაზა ეშმაკის კი არა, ნაღდად თავისი ნადავლი ეგონე!

ყველა ხუმრობდა და ხარხარებდა. კაცის ანთებულ ძზერაში კი ბოროტება გაკრთა.

— ფეხებზედაც არა მკიდია, გესმით?

— ვითომ ეგრეა?

— განა შენც ჯალათის ჩვეულებრივი ნადავლივით არ მოგექცენ? ღმერთმანი ასეა!

— მერე რა! ლასე ჩამოხრჩობილს მაინც ვერავინ გატეხავს! — იკივლა მან და თვალები მრისხანედ დააკვესა. — ხომ მოინდომეს, არც ეგრე იოლი აღმოჩნდა!

—რას მეუბნები? დაწყებით ხომ წამომოიწყეს, ჰა?

— ფეხებს მომჭამენ ძირმა, სადა აქვთ ამდენი ძალა! — იყვირა მან და წამოხტა. — არა აქვთ მეთქი, არა აქვთ და მორჩა. არ შეუძლიათ ადამიანებს ჩემი გატეხვა, გითხარით და გავათავე!

— რასა ბრძანებ? რაღა გვეშველება!

— ჩემამდე ვერავინ მოვა. ამქვეყნად ვერავითარი ძალა ვერ წამართმევს იმას, რაც მოვიპოვე. ჩემს მერე კი, აი, ამ ბიჭს დავუტოვებ, ეგ არის ჩემი მემკვიდრე.

— აჰ, მემკვიდრეობაც გაქვს ლასე? გაიგონეთ, ხალხო?

— აბა, რა გეგონათ? თქვენ რომ არ დაგესიზმრებათ, იმდენი მაქვს! ეს ჩემგან ფესვსაც მიიღებს და მთელ ჯოჯოხეთსაც!

— ესე იგი, მართლა გაქვს ფესვი?!

— მაქვს დალახვროს ეშმაკმა, მაქვს. შენ რა, გაჩვენო გინდა?

— არა, არა!..

— აი აქ მკიდია, მკერდზე! გარედან კაცუნასა გავს და ეს თუ მოიგდე, მერე გინდ იქურდე, გინდ რაც გინდა ქენი, ყველაფერი შენს ხელში მოიყრის თავს, თუნდაც სულ არ გქონია ეს ხელები!

ყველამ პირი გააღო და ხელებწაკვეთილს შიშით მიაჩერდა.

— როგორ ჩაიგდე, შე წყეულო შენა, ნუთუ თხემის ადგილას იყავი?

— აბა, სად ავიღებდი? სახრჩობელის ქვეშ, სწორედ იქ მოვძებნე, სადაც ქარის ჩამოგდებულ გვამებს მარხავენ ხოლმე!

— რა, იქ წასვლა გაბედე? და თანაც ღამით?

— საქმეც ეგ არის, რომ გავბედე! ეგ შენ ლოგინში კოტრიალი და „მამაო ჩვენოს“ ბურტყუნი ხომ არ გგონია? შენ თავის ღლეში ვერ გაბედავდი!

— ვერა! ვერა!

— რას ოხრავდნენ და კვნესოდნენ, რომ იცოდე — საშინელება იყო...

— ვინ კვნესოდა...

— ახლა ვინ კვნესოდაო... მკვდრები, ცხადია! თავს მესხმეოდნენ და მებღაუჭებოდნენ, სანამ ხელებს ვაფათურებდი! ისე მეკროდნენ! მუშტებიც კარგად და-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვუშინე, მაგრამ რა გამოვიდა, დასაოკებლად მოთეთქვილი გიჟებივით კიოდნენ და ბღაოდნენ! ისეთი ხმაური იდგა, თავი ჯოჯოხეთში გეგონებოდა. ერთი ვიფიქრე, გავგიჟდები მეთქი, ვერაფრით ვერ ვიშორებდი თავიდან. „შორს ჩემგან წყეულებო, შორს ჩემგან უწმინდურებო, ჯერ არ მოვმკვდარვარ, ჯერ ცოცხალი ვარ და ფესვიც გამომადგება მეთქი“, ვკიოდი. ბოლოს და ბოლოს, როგორც იქნა გაიფანტნენ და მაშინვე სახრჩობელას ქვეშ ამოსული ფესვი დავინახე. სახრჩობელაზე კი მაშინ პეტერ-ყასაბი და კიდევ ვიღაც-ვიღაცეები ეკიდნენ. ტაკვით მიწა გათხარე, შემდეგ კი გავწექი და კბილებით ამოვგლიჯე!

— რაო? კბილებითო?

— კბილებით, დიახ! ვისაც ვერაფერი გაუბედავს, სხვისიც არ უნდა რომ დაიჯეროს!

მის გამძვინვარებულ მზერას ცეცხლის ალი ასდიოდა.

— უცებ ფესვმა ყმუილი დაიწყო და ისეთი, ძარღვებში სისხლი გაგეყინებოდა! მაგრამ სხვებივით ყურებზე კი არ ამიფარებია ხელი! დედაკაცი ვარ თუ რა?! ვითმენდი და ფესვს ვექაჩებოდი და ვექაჩებოდი! ირგვლივ სიკვდილის, გახრწნისა და სისხლის სუნი იდგა, მიწისქვეშეთიდან კივილი და ბღავილი ისმოდა! მაგრამ მე ყურებზე არ ამიფარებია ხელი! ვექაჩებოდი და ვექაჩებოდი! იმიტომ, რომ მისი მოპოვება მსურდა!

იგი შლეგიანივით ძაგძაგებდა და ყველამ უკან დაიხია.

— როგორც კი ფესვი ამოვგლიჯე, ირგვლივ ყველაფერი ახმაურდა, აზანზარდა აყირავდა! უფსკრული განიხნა და გვამები და სისხლი ამოცურდნენ! ბნელეთი გაიპო და ცეცხლის ალმა დედამიწას გადაუქროლა! კოშმარიც იყო და გლოვის ზარიც! ყოველივეს ალი მოედო! თითქოს დედამიწაზე თავად ჯოჯოხეთი გადმოიფრქვა! მე კი ვკიოდი: „ახლა ჩემია, ჩემია მეთქი!“

კაცი იდგა, როგორც დასახიჩრებული, საზარელი მოლანდება და თავს ზემოთ ტაკვებს იქნევდა, თვალებს შლეგიანივით აბრიალებდა, ხმას კი ... ული ადარაფერი შერჩენოდა.

— მაქვს მემკვიდრეობა, მაქვს მეთქი, გეუბნებით! დალახვროს ეშმაკმა, მაქვს, მაქვს!

ჯალათი არ განძრეულა. მისი მძიმე მზერა დროის მიღმა, სიბნელეს მიშტერებოდა.

* * *

ხალხმა იმატა, დარბაზი გაიჭედა და ახმაურდა. ბინდში ადამიანების სიცილისა და ჭიქების წკრიალის ხმები ისმოდა. ჭერზე დაკიდული შუშის ბურთი ნელა ტრიალებდა და დახშულ, მოლურჯო-მოიასამნისფრო თუ მომწვანო სხივებს აფრქვევდა. ოთახის შუაგულში მოცეკვავე წყვილები ტრიალებდნენ, მუსიკას ინტიმური ჟღერადობა შეეძინა. თანდათან მოცეკვავეებმა მაგიდის შუა გასასვლელებიც დაიპყრეს და მთელ დარბაზს მოედვნენ. თვალებმიბნედილი, ღია ფერის კაბებში გამოწყობილი ქალები მამაკაცებს კისერზე ჩამოკიდებოდნენ. ჯაზური რიტმები ქუხდა.

ჩაფუნთუშებულმა ლამაზმანმა ჯალათის გვერდით ჩაისრიალა და კავალერის მხრის ზემოდან მას თვალი შეავლო.

— შეხედე, ჯალათიც აქ ყოფილა, — წამოიძახა ქალმა. — რა საინტერესოა!

ამ ხმაურიან ალიაქოთს ათინათები დასთამაშებდა, მაგიდებს მკრთალი მიწისფერ-მომწვანო შუქი ეცემოდა, ოფლში გახვითქული მიმტანები აურზაურსა და წივილ-კივილში აქეთ-იქით დაქროდნენ და შამპანურის ბოთლებს ხმაურით ხსნიდნენ.

ჩასუქებული ბატონი, გულისპირი რომ ამოჩაჩოდა, ჯალათს მიუახლოვდა და თვი მოწიწებით დაუკრა.

— ჩვენთვის დიდი პატივია ჯალათის ხილვა, — თქვა მან, მლიქვნელურად მოიფშვნიტა ხელები და გაისწორა პენსნე, რომლის მიღმაც ეკლიანი თვალები უელავდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცეკვა დასრულდა, წყვილები დაიშალნენ და გაღიმებულები სუფრებთან დაბრუნდნენ.

— იცით, ჯალათი აქ ყოფილა!

— რას მეუბნები!

— ჰო, შეხედე, აი იქ ზის!

— აუჰ, რა კარგია, არა?

ახალგაზრდა ყმაწვილი, რომელსაც ენერგიული მოზარდის სახე ჰქონდა, ჯალათს მიუახლოვდა, ქუსლი ქუსლს შემოკრა და მარჯვენა გაჭიმული ხელი წინ აისროლა.

— ჰაილ! — დაიძახა და წამიერად გაიყინა. შემდეგ შემობრუნდა, ქუსლი ქუსლს კიდევ ერთხელ შემოკრა და უკან, თავისი ადგილისაკენ გაემართა.

ყველა უაზროდ ყბედობდა და ხარხარებდა. დარბაზში ჩამოძონძილი კაცი შემოიპარა და მაგიდებს შემოუარა. იგი თავისთვის რაღაცას ბუტბუტებდა და გაძვალტყავებულ ხელებს მოწყალებისათვის იქამდე იშვერდა, სანამ გარეთ არ გააგდეს.

ქუჩის კახპები ისხდნენ და სასმელს წრუპავდნენ.

— ნახე, ნახე, რა შნოიანია, როგორ უხდება ეს წითელი კოსტუმი, არა?

— ჰო, კარგი ვინმეა!

— მტაცებელ მხეცს არა გავს? აი, მესმის, ნამდვილი მამაკაცია!

— გარეგნობით სწორედ ნამდვილ კატას გავს!

— არაფერი შეგეშალოს, გააფრინე და ეგ არის. კაცი ვარო, მაგან უნდა თქვას!

— ეს ხელები რაღას შემოუწყვია შუბლზე?

— აბა, მე რა ვიცი.

— მაინც შნოიანია.

— ჰო!

— როგორ ფიქრობ, ჯალათთან რომ... ჰა?

— ო... ო..- ეჭვიც არ შეგეპაროს, თითებს ჩაიკვნეტ.

მუსიკა კვლავ გაისმა და ამჯერად მიბნედილ-მინაზებულად აყღერდა. ორკესტრი გამოცვლილიყო. წყვილები ნელა ირწეოდნენ, ლურჯი შუქის ათინათები მხრებზე ჩამოწყობილ ხელებს ანათებდა. მინაბულ თვალებს ეცემოდა.

— რა, ხვალ დილით ვინმეს უპირებენ დასჯას?

— არ ვიცი, მაგრამ დასასჯელების მეტი რა ყავთ. მე თუ მკითხავ, ასემც უქნიათ, სულ ამოუხოცავთ.

— ჰო, სულაც არ იქნებოდა ურიგო. ადამიანები ამ ქვეყნად საჭიროზე მეტად გამრავლდნენ. ცხადია მე ნამდვილ, სრუფასოვან ადამიანებზე მოგახსენებ. საუკეთესოები, ყოველ შემთხვევაში, როგორც წესი, ცოცხალი რჩებიან. დარწმუნებული ვარ ამას, ნამდვილად აქცევენ ყურადღებას.

— აბა, რა!

ხანშიშესულმა ბატონმა, სამხედროსავით რომ გაჭიმულიყო და ტუჩებს იკვნეტდა, ჯალათის მაგიდას მყარი და თანაც სხარტი ნაბიჯით ჩაუარა.

— კარგია, რომ წესრიგი დამყარდება, ბატონო ჯალათო! ხალხმა თავი აიშვა, დალახვროს ეშმაკმა, დროა მოარჯულონ!

— რაშია საქმე, ბატონო. ჩვენ მშრალი ღვინო შეგიკვეთეთ, თქვენ კი ნახევრადმშრალი მოგიტანიათ. ეს რა უმსგავსოებაა!

— ოჰ, უკაცრავად...

— დიახ, დიახ, აბა, მეტი რა გაქვთ სათქმელი. პირდაპირ ავ თვალს არ ენახვება თქვენი მომსახურება. თანაც ამდენი ხანი გვალოდინეთ!

— არა, გენაცვალე, გამოცვლა მოგიწევს. ჩვენ მხოლოდ მშრალ ღვინოსა ვსვამთ.

ნაპატიები ბიურგერი ქალი ტუალეტიდან ბაჯბაჯით გამოდიოდა. ჯალათის დანახვაზე ხელები აასავსავა.

— შეხედეთ, შეხედეთ! ჯალათიც აქ ყოფილა! აუცილებლად უნდა ვაცნობო ჰერბერტს!

ქალი ჯალათს მიუახლოვდა და მხარზე ხელი ნდობით დაადო.

— ჩემს შვილს ნაღდად გაუხარდება თქვენი გაცნობა. ჩემი საყვარელი ბიჭუნა ხომ პირდაპირ ქედს იხრის სისხლისღვრის წინაშე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქალმა თავი ასწია და დარბაზს დედის ღიმილით მოავლო თვალი; თაეისიანებს ეძებდა.

მუსიკა მოთენთილივით ჟღერდა და ქალთა მოქნილ, სალუქ სხეულებს ეალერსებოდა. შავტუხა ბიჭუნა, ორმაგი კარიდან დარბაზში რომ შემოპარულიყო, ახლა მაგიდებს შორის დაძვრებოდა, ძონძებს იწევდა და ქვეშ შიშველი ვარო, ყველას აჩვენებდა. ბოლოს მიმტანებმა დაიჭირეს და ქუჩაში გააპანღურეს.

— პირიქით, ბატონო ჩემო! ძალადობა ადამიანის არა მხოლოდ ფიზიკური, სულიერი ძალების უმაღლესი გამოვლინებაცაა! ეს ფაქტი ბოლოს და ბოლოს აშკარად დადასტურდა და სწორედ ჩვენი წყალობით! ხოლო ვინც სხვგვარად ფიქრობს, სწორედ ძალადობის საშუალებით შევაცვლევინებთ აზრს. აი, მაშინ ნაღდად დაგვიჯერებენ. თქვენ რა, სხვაგვარად ხომ არ ფიქრობთ? არ მეთანხმებით?

— რას ბრძანებთ, ცხადია გეთანხმებით.

— ჰო, ჩვენც ამის იმედი გვაქვს.

— მაშ ასე. ჩვენ კატეგორიულად მოვითხოვთ. ყველა, ვინც სხვაგვარად ფიქრობს, უნდა დასაჭურისდეს! ეს ელემენტარული აუცილებლობაა, თუ გვსურს ჩვენი იდეების გამარჯვებას ფესვი გავუმაგროთ! აბა, რომელი ჭკუათმყოფელი მოგვთხოვს ამ გადამდებ სენს საშუალება მივცეთ შემდგომ თაობებსაც მოედოს. არა, ბატონო ჩემო! ჩვენი პასუხისმგებლობა კარგადა გვაქვს შეცნობილი.

— ჰო, რა თქმა უნდა!

— არა, ბატონო ჩემო, ძალიან სასაცილო კია, მაგრამ თქვენ ისევ წარსული და ჩვეული ფასეულობის გავლენის ქვეშ ბრძანდებით მოქცეული. ბოლოს და ბოლოს გაიგეთ, რომ ჩვენი მსოფლმხედველობის გარდა, ყველა დანარჩენი დასამარდა! აღარ არსებობს, გასგებია? ერთხელ და სამუდამოდ დასამარდა!

— რას მეუბნებით! აი, ახლა გასაგებია! ჰო, ასე იქნება, ცხადია!

— რა იოლია, არა? საკმარისია ჩვენი აზრთაწყობისაგან თავი გამოიხსნა და ჩვენს სრულიად ახლებურ შეხედულებებს მაშინვე შეისისხლხორცებ, ხომ მართალია? ცოტა დასაწყისში გაგიჭირდება, თორემ საერთოდ ძალიანაც იოლია.

— ჰო, რა თქმა უნდა.

— არასოდეს გინახავთ ურჩებს რა საფუძვლიანად ცემენ? ჩვენს პრაქტიკაში ამას ხშირად ვიყენებთ. ფრიად შთამაგონებელი სანახაობაა. გარწმუნებთ, ისეთი შეგრძნება გიჩნდება თითქოს კაცობრიობის აღზრდის, და ახალი, უფრო ამაღლებული ცხოვრების შექმნისა თუ სრულქმნის საქმეში უშუალო მონაწილეობას იღებდე.

— ოჰ, დიახ, მართლაც სიამოვნებით ვნახავდი.

— იყო შემთხვევები, ოთხმოცი წლის ბერიკაცებიც კი მოგვიქცევია, თუკი დრო არ დაგვენანებოდა, ცხადია.

— ნამდვილი სასწაულია. საერთოდ ხალხში ჭეშმარიტი რწმენის გავრცელება ხომ წარმოუდგენლად ძნელია.

— ჰო, ნამდვილად! თუმცა გარწმუნებთ, ჩვენ განსაკუთრებულ წარმატებებს მივაღწიეთ!

—ჩვენ შეცნობილი გვაქვს პასუხისმგებლობა მომავალი თაობების წინაშე, გასაგებია? ვიცით, რომ ერთი წუთის დაკარგვაც კი არ შეიძლება თუ ახლა ჩავუნერგეთ ხალხს სწორი აზრები, მომავალში ყოველთვის სწორად იფიქრებენ! არ უნდა დაგვავიწყდეს, რა დიად დროში ვცხოვრობთ! ჩვენს დროს მთელი კაცობრიობისა და ცხოვრების მომავალი განვითარებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება!

— ჰო, რა თქმა უნდა.

— ისიც შეცნობილი გვაქვს, რომ პასუხისმგებლები მხოლოდ ჩვენა ვართ.

— კლასებიო, არავითარი კლასები აღარ არსებობს! ჩვენი დროის მნიშვნელობა და სიდიადე სწორედ ეს არის! არსებობს ხალხი, ვინც ჩვენსავით ფიქრობს და ხალხის რაღაც რაოდენობა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვინც ვირის აბანოში ჩააყუდეს, რათა ჩვენსავით ფიქრი ასწავლონ. თუკი ვინმე ცოცხალი გადარჩა, ნამდვილად ისწავლის.

— აბა შეხედეთ, აქ მაგალითად შამპანურს სვამენ, ან უმეტესობა უბრალოდ ლუდს ყლურწავს. ბიურგერებიც, მუშებიცა და მდიდრებიც ერთმანეთში არიან აზელილები და ყველა ზუსტად ერთნაირად, სწორედ ჩვენსავით აზროვნებს! ვინც ვირის აბანოში არაა ჩაყუდებული, ყველა ჩვენსავით ფიქრობს!

— ჰო.

— როგორც იქნა, გადაიშალა ჩვენი თვალის წინ ერთიანი და შედუღაბებული ერის შესანიშნავი, ჯერ არნახული სურათი! ეჭვიც არ მეპარება, რომ მალე მათ გზააბნეულებიც შეუერთდებიან. ვინც გაჯიქდება, იმათ მალე მოვუგრეხთ კისერს! ხალხი ერთ მუშტადაა შეკრული თავისი ციხეების ირგვლივ და ნეტარებით ელოდება, როდის გაიგონებს კიდევ ერთი მოქცეულის კივილს!

—შესანიშნავია! რა ამაღლებული სულია!

— ჰო, ასეთი რამ მსოფლიოს ჯერ არ უხილავს! ეს საყოველთაო ლოცვასა გავს. ბევრი სმენაზეა გაჭიმული და ისე ელოდება ახლადმოქცეულთა კვნესას. აი ასეთი მოწიწებით ეთაყვანებიან თვალთაგან დაფარულ საიდუმლოს, მათ რასაში რომ აღესრულება. ჭეშმარიტად პათეტიკური სანახაობაა. ასეთი რამ მხოლოდ ჩვენთან შეიძლება მოხდეს. ჩვენ ამ ქვეყნად არც ერთ სხვა ხალხს არ ვგავართ! სულ არა ვგავართ!

— ჰო, ჩვენ აუცილებლად გვჭირდება საკუთარი ღმერთი, თანაც რაც შეიძლება ჩქარა უნდა მოვიპოვოთ! დაუშვებელია, რომ ჩვენი ხალხი იმ ღმერთს ეთაყვანებოდეს, რომელსაც სხვა, არასრულფასოვანი რასები ეთაყვანებიან. ჩვენი ხალხი ძალიან ღვთისმოსავია, მას საკუთარი ღმერთი სურს ყავდეს რაღაც სხვა, საერთო ღმერთის წარმოდგენა ჩვენი შეხედულებების მთელი სისტემის აშკარა დაცინვაა და სწორედ ისე დაისჯება, როგორც დანაშაულის სხვა ფორმები ისჯება ხოლმე.

ერთი საეჭვო სუბიექტი დარბაზის ბინდბუნდში დაეხეტებოდა და თავხედური ღიმილით მათხოვრობდა. თუ არაფერს მისცემდნენ მაგიდას ხელს კრავდა და ჭიქებიდან სასმელს ღვრიდა.

მოშორებულ კუთხეში სუფრას კომპანია შემოსხდომოდა.

— რა ჯანდაბაა! ჩვენ ლუდი და სოსისები შეგიკვეთეთ, თქვენ კი შამპანური მოგაქვთ. რა უმსგავსობაა! ამ ნასუქი ღორებივით მილიონერები ხომ არ გგონივართ?

—მომიტევეთ, მაღალი წრის ხალხია მეთქი, ვიფიქრე...

— ფუ, ჯანდაბას! მეორედ თვალები გაახილე, თორემ ერთს ისეთს მოგაკერებ, ეგრე ზეზეურად აღარ ჩამოგეძინება!

დარბაში ფეხარეული ჯარისკაცი შემოვიდა, ჯალათს გვერდით მიუჯდა და სახეში მიაყარა:

— რა ბრიყვს დამსგავსებიხარ!.. საველე ფორმა რად არ გაცვია, ჰა? არა, ერთი ამას დამიხედეთ, ჰა!..

—ჩუ... —ჩაიჩურჩულა ვიღაცამ გვერდით. —ნუთუ ვერ ხედავ, ეს ხომ ჯალათია.

—ვხედავ, ბატონო, ვხედავ! რომ ვხედავ, იმიტომაცაა სიცილით რომ ვიგუბოდი. ესაა ჯალათი? ფუ, ვის რაში ჭირდება ასეთი ჯალათი! ტყვიამფრქვევები გვინდა, ტყვიამფრქვევები! და კიდევ ყუმბარები!... აი, ეს მესმის, გასაგებია? არ ვარგიხარ ამ ხელობისათვის, ზედ გეტყობა, რომ არ ვარგიხარ!

— სისულელეებს ნუ როშავ. ვარგა კი არა, იქნებ უკეთესიც იყოს. ნეტავ ტყუილად რას ქაქანებ, ყმაწვილო, თქვენ ხომ მონათესავე სულები ხართ, თავადაც გესმის.

— მეც მაგას ვამბობ, ტყვიამფრქვევები გამოიყენოს მეთქი!.. კარგი გამოგონებაა, თანაც თანამედროვე, გესმით თუ არა?.. ერთ წამში, ბახ, და ყველაფერი

ეროვნული ბიბლიოთეკა

გათავებულია!... საველე ფორმა გჭირდება მეთქი, გესმის, ბებერო?

— ძალიან ნუ გადაამლაშე! ჩემს ღამის ქოთანსაც კი შენზე უკეთ ესმის ომი რა არის! ზედვე გეტყობა, რომ ჯერ არ მოგისუნია!

— არ მესმის და გავიგებ, გასაგებია? ეშმაკს გეფიცები, გაივიგებ! აი, მაშინ მიყურე, დალახვოს ეშმაკმა!

— ჰო, აბა რა, შენ თუ აიწყვიტე!..

— ჰო, მეცა და სხვებმაც! ნუ გეშინიათ,ჩვენი საქმე კარგად ვიცით! და არც მხდალების რიცხვს განვეკუთვნებით!

— ყოჩაღ, ყმაწვილო, სწორი ხარ!

— ყოჩაღი ბიჭია, თუმცა მაგისი თავქარიანი თავისათვის ამდენი ლუდის ყლურწვა მეტისმეტი გამოდგა. რა კარგია, რომ ჩვენს მშვენიერ ქვეყანაში ასეთი სასიქადულო ახალგაზრდობა გვეზრდება! მოხუც კაცს გული აგიჩუყდება ამის შემხედვარე...

— ეჰ, ბებრებო... ნეტავ თქვენც რამე გესმოდეთ... შენ გაგიმარჯოს, ჯალათო! აი შენ ნამდვილად მომწონხარ! მე და შენ — ორივე ერთად რომ შეეჭიდოთ, როგორმე მოვაწესრიგებთ ამ ქვეყანას!.. რატომ არა სვამ? ვითომ რაო. ყურები ხომ არ ჩამოგიყრია?

ერთ სუფრასთან მიმსხდარი ხალხი ისე ხარხარება, რომ სტუმრებსაც და მიმტანებსაც თვალი იქით გაურბოდათ. ახალგაზრდა ქალი ლამის წელში გადაწყვეტილიყო.

—ომი გვჭირდება, ეს დღესავით ნათელია! ომი ჯანმრთელობაა, ბატონო! ერი, რომელსაც ომი არ სურს, სნეული ერია!

— სწორია! მშვიდობა ჩვილი ბავშვებისა და ავადმყოფებისთვისაა გამოგონილი — აი მათ ნამდვილად ჭირდებათ! მოზრდილი, ჯანმრთელი ადამიანი კი, აბა რა თავში იხლის!

—სანგარი ერთადერთი ადგილია, სადაც კაცური კაცი თავს შეიძლება კარგად გრძნობდეს! მშვიდობიან დროსაც კი სანგრებში უნდა ცხოვრობდე, ამ სახლებმა მეტისმეტად გააზიზა ხალხი!

— ჰო, აბა ომისეულ ტყვიის ზხაპს რა შეედრება! ჯანმრთელი ერი უამისოდ ათწლეულზე მეტს ვერ გაძლებს, ვერა! ან არადა, გადაშენდება, თუ ცხადია, მართლა ნორმალურ ერთან გაქვს საქმე.

— ის, ვინც ომს შეწყვეტს — მოღალატეა!

— ნაღდად!

— ძირს მოღალატეები! ძირს მოღალატეები!

— სიკვდილი მოღალატეებს!

— მაშინაც მოღალატეა თუ ომს გამარჯვებით დააგვირგვინებს. ამ შემთხვევაშიც კი საკუთარ ერს მშვიდობიანი არსებობის სრულ გაურკვევლობას უსჯის უნამუსოდ. რა არის ომი, ეს ყველასთვის ნათელი და გასაგებია, ხოლო თუ ხალხი მშვიდობით ცხოვრობს, მას ყოველი მხრიდან იდუმალი ხიფათი ემუქრება.

— ნაღდად ასეა.

—გვეყო, ბატონო! დროა ბოლო მოვუღოთ ამ დამღუპველ მოთენთილობას! ბავშვები ომისთვის უნდა აღვზარდოთ. სიარული მათ სამხედრო საჭიროებისათვის უნდა ისწავლონ და არა თავიანთი დედიკოებისათვის!

— ამ საქმეს მალე ეშველება. ბავშვებს ჩვენ თვითონ აღვზრდით. არ შეიძლება, ისინი უპასუხისმგებლო მშობლების იმედზე დავტოვოთ.

— რა თქმა უნდა.

—ასე და ამგვარად ჩვენი მომავალი განაღდებული იქნება.

— თუ სწორად გავიგონე, ომზე საუბრობდით, ჩემო მეგობრებო, — ჩაერია კაცი, რომელსაც ტყვიებისაგან დაგლეჯილ სახეზე მხოლოდ ქვედა ყბა გადარჩენოდა, ზედა ნაწილს კი წითელი, ხეშეში კანი ფარავდა. — მართალი გითხრათ, გული გამინათდა! იმედი მაქვს მოვესწრები იმ ბედნიერ დღეს, როცა ჩემი ერი გარდასული ბრძოლის ველებისაკენ კვლავ ამაყად გასწევს! კიდევ იმედი მაქვს, რომ თანამედროვე მეცნიერება ამ დროისათვის ისეთ სიმაღლეებს დაიპყრობს, მეც კი შევძლებ ომში მონაწილეობის მიღებას. ახლა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხან ერთი წიგნი გამოვიდა. შიგ წერია, მეცნიერები ცდილობენ იმას მიაღწიონ, რომ ადამიანი მხოლოდ სულის მეშვეობით ხედავსო. ესე იგი დამიზნებასაც შესძლებს, არა? თუ ასე იქნა, პირველ რიგებში მე მიგულეთ და თვალიც გამჭრიახი მექნება, რადგან სული, მეგობრებო, სწორედ მოწოდების სიმაღლეზე მიდგას!

— ბრავო! ბრავო!

— მშვენიერია!

— შესანიშნავია!

— ასეთი ხალხი მხოლოდ დიად დროს შეიძლება იშვეს!

— ტყუილად კი არ ამბობენ, ომი აკეთილშობილებს ადამიანსო, აშკარად ასეა!

— ასეთ ერს ჭეშმარიტად ვერავინ დაამარცხებს!

—ცხადია, ჩვენი იდეები მთელ მსოფლიოს უნდა მოეფინოს! საშინელება იქნებოდა, სხვებისთვის რომ არ გაგვეზიარებინა! ხოლო თუ რომელიმე ერი არ ისურვებს მის გაზიარებას, სხვა რა გზა გვრჩება, უნდა გავანადგურო!

— რაღა თქმა უნდა. მათთვისვე იქნება ასე უკეთესი. ნებისმიერი ერი ჯობს განადგურდეს, ვიდრე ამ იდეების გარეშე დარჩეს.

— რა თქმა უნდა!

— მსოფლიო მადლიერიც კი დაგვრჩება, როცა მიხვდება, რისთვის ვიბრძოდით.

— ჰმ, სწორედ რომ საჭიროა, კაცობრიობამ დროდადრო დააქციოს თავისივე შექმნილი! ან არადა აღქმის ბავშვური უშუალობა დაიკარგება. ნგრევა უფრო მნიშვნელოვანი მოვლენაა, ვიდრე პრიმიტიული შემეცნება, მასში ხომ უბრალოდ ჩვევის ძალა ვლინდება. რა დიადი და მშვენიერი ჟამი დაგვიდგა! შემეცნების მოსურნე მონდომებული და მშრომელი ჭიანჭველები ყოველთვის მოიძებნებიან, ამაზე თავის შეწუხებაც არ ღირს, თავხედი გონება კი, ერთი ხელის დაკვრით რომ გაანადგურებს ადამინათა სათამაშო სამყაროს, რათა ყოველივე თავიდან დაიწყოს, იშვიათად ჩნდება და ისიც მხოლოდ მაშინ, მისი ღირსნი რომ ვხდებით!

— ჰო, ჩვენი ერი აბსოლუტურად ჯანმრთელი ერია! ამიტომაც გვყოფნის ძალა პირდაპირ განვაცხადოთ: ჩვენ გვხიბლავს ის, რაც სხვებს ჩაგვრად მიაჩნიათ. ამას მხოლოდ დაბეჩავებული ან დეგენერატული რასები გაურბიან. ყველა ძლიერი ერი მის თავზე აღმართულ მათრახს სიხარულით ეგებება და თავსაც მშვენივრად გრძნობს!

—ნამდვილად ასეა, არა? ყველაზე მეტად კი ფრთები იმან შეგვასხა, ჩვენს რიგებში ახალგაზრდობა რომ ვიხილეთ. ახალგაზრდობა — ჩვენი საყრდენია! ეს მამაცი, არასენტიმენტალური და თანამედროვე ახალგაზრდობა! ჩვენ, ძალაუფლების მქონეთ, ყველგან გვიჭერენ მხარს და ახალგაზრდა გმირები არიან!

—კი, ჰყოფნით ასეთი სიმამაცე!

— მგონი, რაღაც ჩაილაპარაკეს?.. არა? ალბათ მომესმა.

შემოსასვლელ კართან ჩოჩქოლი ატყდა ხალხი აჩურჩულდა, ადგილებიდან წამოიშალა. ყველა იქით იყურებოდა და ხელს წინ იშვერდა. დარბაზს ხმაურის ტალღამ გადაუარა.

— გაუმარჯოს მკვლელებს! გაუმარჯოს მკვლელებს!

ორი კარგად ჩაცმული, მომხიბვლელი ახალგაზრდა, გარეგნულად სხვებისაგან არაფრით რომ არ გამოირჩეოდნენ, ხელების ორ მწკრივს შორის მოაბიჯებდნენ და აქეთ-იქით ხალხს თავს თავაზიანად უკრავდნენ. მთელი დარბაზი წამოიშალა, საცეკვაო მუსიკა შეწყდა და ორკესტრმა, რომელიც საუკეთესოდ ითვლებოდა, მაშინვე ჰიმნი დასჭექა. ამ ჰიმნს ყველა ფეხზე მდგარი ისმენდა. სამი მიმტანი მაშინვე ახლადშემოსულებისაკენ გაქანდა. მეტრდოტელიც უკან დაედევნა და სიჩქარეში ლუდის კათხებითა და წითელი ღვინის გრაფინებით სავსე მაგიდა ვიღაც ქალბატონებზე წამოაპირქვავა. ქალებმა ჩუმად, თან მხურვალედ დაარწმუნეს, არაფერიაო, და ისიც კვლავ ახალმოსულებისაკენ გაეშურა. დარბაზი გაჭედილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

იყო, ამიტომ ვიღაც იძულებული გახდა, წამომდგარიყო და შინისაკენ გაეტია, ახალგაზრდები კი განთავისუფლებულ მაგიდას შემოუსხდნენ.

— რა ჯანდაბაა, სადაც არ უნდა მიხვიდე, ყველგან გცნობენ!

— დალახვოს ეშმაკმა, მართალია! — უპასუხა მეორემ, პირიდან ბოლი გამოუშვა და შეკვეთის მოლოდინში ფეხები მაგიდის ქვეშ გაჭიმა. — მგონი, უკვე მომბეზრდა კიდეც.

— ჰო, რომ გვცოდნოდა მკვლელად ყოფნა ასე მძიმე ტვირთი აღმოჩნდებოდა ის ჯეელი შეიძლება არც მიგვეხვრიტა. სხვათა შორის, არა უშავს რა, კაი ბიჭიც კი იყო.

— ჰო, მაგრამ შუბლზე ეწერა, ჩვენიანი რომ არ გახლდათ.

— ეგ კი ეგრეა, მაგრამ შუბლზე, კაცმა არ იცის, რა ეწერა.

ზანგთა ორკესტრი ისევ ფოქსტროტს ახუჭუჭებდა. დარბაზში გაძვალტყავებული ქალი შემოეხეტა თავშალში გახვეული ჩვილით ხელში და რადგან თვით მომსახურეებმაც კი არ მიაქციეს ყურადღება, ცოტა ხნის შემდეგ ისევ უკან გაბრუნდა.

— მოხვალ ამაღამ გვამების გადასათრევად?

— გვამების გადასათრევად?

—ჰო, ზოგიერთი მოღალატისა და ახალი მსოფლმხედველობის მტრების გვამები საფლავებიდან უნდა ამოვთხაროთ და ჭაობში გადავუძახოთ. მათი ადგილი სწორედ იქ არის.

— ჰმ...

—ჰმ?.. რა, არ გინდა?

—არ ვიცი. აზრი ვერ გავიგე.

—აზრი? ჩვენი მოძრაობის იდეაა, ძამიკო!

— კი მაგრამ... ისინი ხომ ბევრად ადრე დაიხოცნენ, სანამ ეს იდეა გაჩნდებოდა.

— მერე?

—ეს უკვე ჯანდაბამ უწყის, რა არის.

— რა თქვი? არ გინდა? უარზე ხარ?

— რა უარი, უბრალოდ ვამბობ, ეს კი მეტისმეტია მეთქი.

— მეტისმეტიაო? იქნებ სიხულელედაც მიგაჩნია?

— არა, სისულელე კი არა...

— მისმინე, მაინც რის თქმას აპირებ? აბა ბოლომდე გადმოალაგე!

—რა ვთქვი ასეთი? რას შემომიჩნდი?

—ბრძანებას არ ემორჩილები? მსჯელობა დამიწყე, არა?

—გამიშვი მეთქი, გეუბნები!

— ნახე, რა მომინდომა, ეგ არის და გაგიშვებთ!

— გამიშვით მეთქი, ოხრებო!

— გესმის, რა დაგვიძახა?

— დამპალო, უარზე ხარ, არა? სხვის ბანაკში გადაბარგდი!

— როდის გითხარით უარი!

—არა, გვითხარი!

— ნეტავ რას ეკამათები ამ მოღალატეს! მორჩი ყბედობას!

სროლის ხმა გაისმა და სხეული იატაკს მძიმედ დაასკდა.

— გაათრიეთ აქედან ეს ნეხვი!

— ჯანდაბას, ეგდოს, ნეტავ ვის რას უშლის!

ჯაზი კვლავ გრიალებდა. წვრილკისრიანმა გოგონამ თავი შემოაბრუნა.

— რა ხდება აქ? — იკითხა მან.

— მგონი ვიღაც მიახვრიტეს.

— ა...ა...

პატარა ჯგუფი მოშორებით მდგარ მაგიდას შემოუსხდა.

— ყველა იმაზე ქაქანებს, ეს ხვალე როგორი იქნებაო. მე კი, იცი, რა მგონია?

— რა?

— ისეთი სულაც არ იქნება, ამ ლაწირაკებს რომ წარმოუდგენიათ!

— აბა, როგორი იქნება?

— ჰმ... — სიგარეტი გაახვია, მეზობლისგან მოუკიდა და თამბაქოს ნამცეცი გადმოაფურთხა. — თუ საჭირო გახდა ჩახმახზე თითის გამოკვრა ჩვენც შეგვიძლია. ისიც საკითხავია, ზოგიერთი ხრიკი ჩვენგან ხომ არ ისწავლეს, თუკი საერთოდ საჭიროა ამისი სწავლა.

— არა მგონია, საჭირო იყოს. ჩვენ დროში ასეთი რამე ყველამ ბუნებრივი მონაცემებით იცის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ცხადია.

— ურიგო როდი იქნებოდა, კაცობრიობა ცოტათი კიდევ გაგვეწმინდა. მე მგონი ნამდვილად არ აწყენდა.

— ჰო, შეძლებისდაგვარად მონაწილეობასაც სიამოვნებით მივიღებდი.

ერთი ახალგაზრდა ქალი ჯალათს მიუახლოვდა და მის გვერდით ჩუმად ჩამოჯდა. ერთი შეხედვით მდაბიოს გავდა, მაგრამ თავშალი მოიხადა თუ არა, საოცარი ნათელით გასხივოსნებული სახე გამოჩნდა. მან ფრთხილად დაადო ჯალათს ხელი ხელზე და ისიც მისკენ შებრუნდა — ეს ქალი ვგონებ ერთადერთი იყო, ვისაც ამ დროის მანძილზე ჯალათმა ყურადღება მიაქცია, თუმცა მასზე საუბარს ჩვენ კიდევ დავუბრუნდებით.

მუსიკის ჟღერადობა იცვლებოდა, ღარბაზის მეორე ბოლოში საუკეთესო ორკესტრი ნელი ტანგოს კლასიკურ მელოდიას უკრავდა. საზოგადოებას მშვიდი, შთაგონებული განწობა დაეუფლა, მაგრამ თითქოს ჯიბრზე ვიღაც ბატონს ტუალეტში გასვლა სწორედ მაშინ დაჭირდა. უკან დაბრუნებისას ესტრადის უკან სუფრასთან შემომსხდარი ზანგები დაინახა, თავიანთ ბუტერბროტებს სასწრაფოდ რომ ნთქამდნენ. ბატონს სახე გაულურჯდა და ზანგებისაკენ გაქანდა.

— ღორებო, როგორ ბედავთ! დამსხდარხართ და თეთრკანიანებთან ერთად მიირთმევთ!

ზანგები გაოგნებით შესცქეროდნენ. უფრო ახლოს მჯდომი სკამზედაც კი წამოიწია.

— რაო? რა მინდაო?

— რა მინდაო? როგორ ბედავ მეთქი, რომ დამჯდარხარ აქ და ხეთქავ, ოხერო, მაიმუნო!

შავკანიანი ზამბარასავით წამოხტა და თვალები დააკვესა, თუმცა ვერაფერი შებედა.

— გესმით, ბატონებო, ხედავთ! — გააფთრებით შეუძახა საზოგადოებას განრისხებულმა ბატონმა და ხალხმაც იხუვლა, ზანგებისა და მის ირგვლივ თავი მოიყარა. —არა, მსგავსი თუ გინახავთ რამე? გაუგონარი ამბავია! ეს მაიმუნები დამსხდარან და ჩვენთან ერთად ჭამენ!

საშინელი აურზაური ატყდა.

— რა თავხედობაა! სად გაგონილა! თქვენ რა, თავი ზოოპარკში ხომ არ გგონიათ? არა, იქნებ ასე გგონიათ?

— ჭამა ჩვენც გვინდა, როგორც ყველა ცოცხალ არსებას! — თქვა ერთმა ზანგმა.

— ოღონდ ადამიანებთან ერთად არა, ძაღლო!

— ჭამაო? თქვენ აქ დასაკრავად მოხვედით თუ საჭმელად!

—ამხელა პატივი გხვდათ წილად, ჩვენთვის უკრავთ, რადგან ჩვენ გვსურს თქვენი მუსიკით ვისიამოვნოთ! ოღონდ კეთილი ინებეთ და წესიერად მოიქეცით, ან არადა ლინჩის წესით გაგასამართლებთ, გასაგებია?

— აბა, სცენაზე აძვერით!

— გაინძერით მეთქი, დაუჩქარეთ!

ზანგებს ბრძანების შესრულება არც უფიქრიათ.

— რა ხდება, ბატონებო, ეს ხომ ნამდვილი პასიური წინააღმდეგობაა! — თქვა წარმოსადეგმა მამაკაცმა კეთილშობილის გარეგნობით რომ გამოირჩეოდა.

— ჰა, კიდევ დიდხანს უნდა გელოდოთ?

— აბა, აბა, დროზე აძვერით ესტრადაზე!

— ჩვენ მშივრები ვართ! თუ არ ვჭამეთ, ვერაფერს დავუკრავთ!

— მშივრებიო? გესმით, რას ამბობენ?!

— ჰო, ჭამა გვინდა და გვაქვს კიდეც ამის უფლება, — თქვა უშველებელმა ოქლაქმა და თვალები მუქარით დააკვესა.

— უფლებაო ეს შენა გაქვს უფლება? აი, შე ურცხვო, შენა!

— ჰო, მაქვს, —უპასუხა ზანგმა და მისკენ ნაბიჯი გადადგა.

— რა?! როგორ პასუხობ თეთრკანიანს, შე თახსირო, შენა! — კაცმა ზანგს სილა გააწნა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზანგი მოიკუზა, მხეცივით აკანკალდა, შემდეგ წინ ელვისუსწრაფესად გაქანდა და მუშტი ისეთი ძალით ჩასცხო, თეთრკანიანი ბატონი იატაკზე გაიშხლართა.

არნახული აურზაური ატყდა. ხალხმა იხუვლა, მთელ დარბაზს უკიდეგანო აღგზნება მოედო! ზამბარასავით შემართული და გახელებული ზანგები მჭიდრო ჯგუფად შეიკრნენ. თვალები სისხლით ავსებოდათ, კბილები თეთრად უელავდათ და ადამიანთა ჯუნგლებში შერეკილ საოცარ ცხოველებს გავდნენ. უცებ სროლის ხმა გაისმა და ზანგების ჯგუფს ერთ-ერთი ღმუილით მოსწყდა. მთლად სისხლით მოთხვრილი იგი თეთრკანიანებს დაერია და განურჩევლად არბევდა. დანარჩენებიც ბღავილით დაიძრნენ, მაგრამ ისევ რევოლვერებით შეაჩერეს. სროლის ხმა განუწყვეტლივ ისმოდა და დასისხლიანებული ზანგები მაგიდებსა და სკამებს ეფარებოდნენ.

— ჰა, დაუკრავთ თუ არა? — იყვირა მომხიბვლელმა, ქერა მამაკაცმა და თავისი ბრაუნინგი სწორედ იქით დაცალა, სადაც შავკანიანები იმალებოდნენ.

— არა! — დაიღმუვლეს ზანგებმა.

— მეორე ორკესტრიც ხომ გვყავს! — ხალხის დასაშოშმინებლად დაიყვირა ეიღაცამ. — კიდევ ერთი ორკესტრი გვყავს.

— ჭირს წაუღია ეგ თქვენი სენტიმენტალური ლაყბობა! სწორედ ამათ უნდა დაუკრან! აბა წამოხტით, შავკანიანო მაიმუნებო!

ზანგები თავშესაფრიდან გამორეკეს და ამჯერად უარესი ზედახორა გაიმართა; ბრბო გახელდა, სხვადასხვა ნივთები ჰაერში სასიკვდილო ჭურვებივით დაფრინავდა, სკამებზე შემხტარი კახპები კიოდნენ. ზანგები მთელ დარბაზს მოედვნენ, ბრბო კი მათ დაედევნა.

— ჯანდაბა მაგათ თავს, ბოლოს და ბოლოს ჩვენ ხომ ცივილიზებული ერი ვართ!..

— რა?! კიდევ ერთხელ იტყვი ამ სისულელეს და შუბლს გაგიხვრეტ!

— ცივილიზაციაო? ღალახვროს ეშმაკმა!

შავკანიანი გოლიათი, ვგონებ სწორედ ის მუშტებს რომ იქნევდა, დარბაზში ველური მხეცივით დაქროდა, გზიდან ხალხს წიხლისკვრით იშორებდა და აქეთ-იქით ყველას სასიკვდილო ნოკაუტებით უმასპინძლდებოდა. მაგრამ ზუსტად გასროლილ ტყვიას ვერსად გაექცა, ხელი მკერდზე იტაცა, იატაკზე გაიშხლართა და არაფრისმთქმელი ღიმილით ტუჩები ფართოდ გაეჭიმა. დანარჩენმა ზანგებმა დაქსაქსული ძალები გააერთიანეს, სკამები მოიმარჯვეს და ვისაც კი მისწვდნენ ყველას თავები დაუხეთქეს. ბრმა გახელებით იბრძოდნენ და თვალის გუგებითაც კი სიძულვილს ასხივებდნენ, სანამ დამარცხებულები ძირს არ დაეცემოდნენ.

— იკბინები კიდეც, შე მშიშარა ძაღლო! — დაუღრიალა სამხედრო ფორმაში გამოწყობილმა გოლიათმა იატაკზე გაშოტილ ერთ ცოცხალ-მკვდარ ფერადკანიანს, კბილებით ფეხზე რომ ჩაფრენოდა, იარაღი მიუშვირა და ესროლა. ზანგები ისეთი საშინელი, ველური, საომარი ყიჟინით კიოდნენ, მხოლოდ პირველყოფილ ტყეებში რომ გსმენიათ, მაგრამ თეთრკანიანებმა თავი არავის შეაშინებინეს და პოზიცია მედგრად მხოლოდ იარაღის მეშვეობით შეინარჩუნეს. რევოლვერების სროლის ხმა ტყვიამფრქვევების კაკანს ემსგავსებოდა. ცხელი და გახელებული ბრძოლა გაიმართა.

ორ ახალგაზრდა მკვლელს არავითარი მონაწილეობა არ მიუღია, ისხდნენ და ერთობოდნენ, თავიანთი საქმე ხომ უკვე გაკეთებული ჰქონდათ.

ბოლოს და ბოლოს ცოცხლად გადარჩენილი ზანგები კუთხეში მოიმწყვდიეს და ალყა შემოარტყეს, მათი წინააღმდეგობა გატყდა, ძალაუნებურად გამარჯვებულებს დანებდნენ.

— ეგრე რაღა! — სული მოითქვეს თეთრკანიანებმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— აბა, ესტრადისაკენ გასწიეთ, სწრაფად!

ზანგები სცენისაკენ გაირეკეს და მათაც ძალაუნებურად საკრავები აიღეს.

სმოკინგში გამოწყობილი ჩასკვნილი მამაკაცი სკამს ცხენივით გადააჯდა და რევოლვერი მათ მიუშვირა.

— ვინც არ დაუკრავს დაიხვრიტება! — განაცხადა მან.

და ზანგებმაც დაურეკეს. თვალებჩასისხლიანებულები, ასევე სისხლით მოთხვრილი სახეებითა და ხელებით, საზარელი გახელებით, შლეგიანებივით უკრავდნენ. ეს საშინელი, ჯერ არსმენილი, შლეგი მუსიკა იყო, რომელიც გავდა ჯუნგლებში გაგონილ შუაღამის ყმუილს, იმ სასიკვდილო დაფდაფების ხმას, მზის ჩასვლისას ტყეში შეკრებილი ველურები რომ ახმიანებდნენ. წინ ჩამომჯდარი გოლიათი ზანგი კბილს კბილზე აჭერდა და საკრავს გახელებით ურახუნებდა. გახეთქილი თავიდან სისხლი კისერზე ჩამოდიოდა, შემოხეული პერანგი კი წიოლად ღაღანებდა. დასისხლიანებულ მუშტებს იგი დაუსრულებლად ურტყამდა და ურტყამდა საკრავს, დანარჩენ საკრავთა ხმები ამ ქუხილს ერწყმოდა და ერთ მთლიან ღრიანცელში ითქვიფებოდა.

— შესანიშნავია! შესანიშნავი!

თეორკანიანები ამ მუსიკის ტაქტზე ცეკვავდნენ, ხტოდნენ და ყირას ჭიმავდნენ. ყველგან ცეკვავდნენ. უშველებელი დარბაზი ავსულის აჩუხჩუხებული საწამლავივით დუღდა. ბრძოლისაგან თუ იმიტომაც რომ შენობაში ცხელოდა, ხალხს სახეები გახურებოდა, მძიმე ოხშივარი დარბაზში მხუთავ ტალღებად იშლებოდა, მაგიდებს შორის მომაკვდავები ეყარნენ და ხროტინებდნენ, მოცეკვავე წყვილები კი მათ წიხლის კვრით იშორებდნენ. ჭერზე ჩამოკიდებული ბუშტი, უამრავი ფერით ალიკლავებული, ამ აქოთებული ნალექის თავზე ტრიალებდა. ქალები ვნებებსა და სილამაზეს აფრქვევდნენ, ანთებულ მზერას გასისხლიანებულ ზანგს არ აშორებდნენ და ფეხებს მამაკაცთა ფეხებშუა აცურებდნენ. ამ მზერითა და წელზე ჩამოკიდებული რევოლვერით აღგზნებული მამაკაცები ქალებს მკერდზე მძაფრად იკრავდნენ.

აღფრთოვანებით წამოწითლებული ერთი მამაკაცი, ბრძოლაში საყელო რომ შემოხეოდა, ჯალათთან ახლოს მაგიდაზე შეხტა და ბრაუნინგი ჰაერში აიქნია.

— გავიმარჯვეთ, ბატონებო! ჩვენს წინააღმდეგ აჯანყების ყველა მცდელობა ამაოა! წესრიგი და დისციპლინა! სწორედ ამ ნიშნით ვიმარჯვებთ! მსოფლიო ბატონობასაც ამით მოვიპოვებთ! — იგი ხელებს იქნევდა და გაჰკიოდა, ირგვლივ კი მის მოსასმენად ბრბო შემოიკრიბა. — და აი, ამ ღირსშესანიშნავ დღეს, როცა ჩვენი რასის უპირატესობა განვამტკიცეთ, გვაქვს ბედნიერება ჩვენს შორის იმ საქმის წარმომადგენელი ვიხილოთ, ყველაზე მეტად რომ ვაფასებთ. ჯალათი ჩვენთანაა! და ჩვენც ვამაყობთ ამით! თუ აქამდე ვინმეს არ ესმოდა, დაე ახლა გაიგოს! მისი აქ ყოფნა ადასტურებს რომ ჩვენ დიად საუკუნეში ვცხოვრობთ! უკან დაგვრჩა უპატიური სისუსტის საუკუნე და კაცობრიობის თავზე ახალი განთიადი ამობრწყინდა! ჯალათის ძლიერი ფიგურა რწმენასა და სიმამაცეს გვმატებს! წინ უნდა წაგვიძღვეს — ის ხომ ერთადერთია ვისი წინამძღოლობითაც წინ უყოყმანოდ გავწევთ!

მოგესალმებით, ბელადო ჩვენო, მივესალმებით შენს წმიდათაწმიდა ემბლემებსა და სიმბოლოებს, ყველაზე ნათელსა და ძვირფასს, რაც ცხოვრებაში მოგვეპოვება და რაც კაცობრიობას ახალ ხანას გაუხსნის! ადამიანის ფერი სწორედ სისხლის ფერია! ჩვენ ვიცით ღირსეული შვილები ვიქნებით შენი! ჩვენ ვიცით, თამამად შეგიძლია გვენდო, როცა აღტაცებით შემოგძახებთ „დიდება შენდა, დიდება!“

კაცი მაგიდიდან ჩამოხტა, გაწითლებული და აქოშინებული კერპისაკენ გაემართა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯალათმა თვალი შეავლო, თუმცა არც თავი აუწევია, არც შერხეულა და არც პასუხი გაუცია.

აწითლებული ბატონი ცოტა არ იყოს შეცბა, რა ექნა, აღარ იცოდა.

— დიდება! — ერთხელ კიდევ შესძახა, თუმცა ხმაში ყოყმანი დაეტყო და ხელი წინ გაიშვირა. დანარჩენებმაც მას მიბაძეს.

ჯალათი კვლავ უსიტყვოდ შესცქეროდა.

— კი მაგრამ... განა შენ ჯალათი არა ხარ? — ყოყმანით შეეკითხენ მას.

მან კი, ვისაც კითხვით მიმართეს, დაღდასმული შუბლიდან ხელი მოიშორა. დარბაზი მაშინვე აღფრთოვანებულმა ყიჟინამ შესძრა.

— ჰო, ჯალათი ვარ! — თქვა მან და წამოდგა. თავის სისხლისფერ-წითელ სამოსში უშველებელი და საზარელი ჩანდა. ყველას მზერა მაშინვე მას მიეჯაჭვა და აბღავლებულ დარბაზში ისეთი სიჩუმე ჩამოწვა, მისი სუნთქვის ხმაც კი ისმოდ.

— მას შემდეგ, რაც სამყარო შეიქმნა, ჩემს საქმეს ვაკეთებ და დასასრული ჯერ კიდევ არ ჩანს. ათასწლეულები გაკრთებიან, ერები იბადებიან და ერთ ღამეში ქრებიან, მელა ვრჩები და სისხლით მოთხვრილი მათ კვალს გავცქერი. მხოლოდ მე არ ვბერდები. ადამიანთა ერთგული მუდამ მათ კვალს მივსდევ და ჯერ არ გაკვალულა ისეთი იდუმალი ბილიკი, სადაც აბოლებული კოცონი არ დამენთოს ან მიწა სისხლით არ მომერწყოს. დასაბამიდან კვალში გიდგავართ და თქვენს შორის ვრჩები. სანამ ჟამი არ დაკრავს, როცა ღვთაებრივი ხილვით შთაგონებულებმა პირველად შეხედეთ ზეცას, თქვენთვის ძმა დავკალი და მსხვერპლად შევწირე. დღესავით მახსოვს ქარით მოხრილი ხეები და ცეცხლის ის ანარეკლი თქვენს სახეებს რომ დასთამაშებდა, როცა ძმას გული ამოვგლიჯე და ცეცხლში ჩავაგდე. მას შემდეგ ბევრი დამნაშავე თუ უდანაშაულო მსხვერპლი შევწირე ღმერთს თუ ეშმაკს, ზეცას თუ ჯოჯოხეთს. მთელი ერები აღმიგვია პირისაგან მიწისა, იმპერიები დამიცლია და ნანგრევებად მიქცევია. ყველაფერს ვაკეთებდი, რასაც კი ჩემგან მოითხოვდით. მთელ ეპოქებს ვასამართლებდი და წამით თუ შევისვენებდი სისხლიან მახვილზე დაყრდნობილი, სანამ ახალგაზრდა, მოუთმენელი ხმებით ახალი თაობები კვლავ არ მომიხმობდნენ. ადამიანთა ზღვას სისხლის ქაფად ვთქვეფდი და მის მოუსვენარ ხმაურს სამარადჟამოდ ვახშობდი. წინასწარმეტყველებსა და მაცხოვრებს მკრეხელობისათვის კოცონზე ვწვავდი, ადამიანთა სიცოცხლე ღამესა და ბნელეთში გამოვამწყვდიე. ყველაფერს ვაკეთებდი თქვენთვის.

ახლაც მიხმობენ და კვლავ მივდივარ. სივრცეს გავხედავ: დედამიწას ციებცხელება მოსდებია. სიცხით ითანგება, ზეციური სიმაღლიდან ჩიტების სევდიანი ჭიკჭიკი ისმის. დადგა ჟამი ბოროტებამ ანთხიოს თესლი! ჯალათის დრო დადგა!

მზე ღრუბლებში იხრჩობა. მისი ნესტიანი ბურთი შედედებული სისხლის ლაქასავით ბჟუტავს. მინდვრებს მივუყვები, შიშსა და საშინელებას ვთესავ და მსხვერპლს ვკრეფ. შუბლზე დანაშაულის დამღა მაქვს ამომწვარი, თავადაც ავსული ვარ, უკუნითი უკუნისამდე მსჯავრდადებული, შეჩვენებული და ეს თქვენი ბრალია.

მე მოსჯილი მაქვს გემსახუროთ და ერთგულად ვასრულებ ჩემს საქმეს. ათასწლეულების სისხლი მძიმედ მაწევს მხრებზე.

ჩემი სული სავსეა თქვენი სისხლით! ჩემს თვალებს სისხლის რიდე აფარებია და ვერაფერს ხედავს, როცა ადამიანთა მოდგმის ყმუილი ჩემამდე აღწევს! ყველას და ყოველს გახელებით ვარბევ, როგორც თქვენა გსურთ, როგორც თქვენ მიკიჟინებთ! თქვენი სისხლით ვარ დაბრმავებული! უსინათლო ვარ, თქვენში ჩაკეტილი! ეს თქვენა ხართ ჩე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მი ჯურღმული, საიდანაც თავს ვერასოდეს დავაღწევ!

საკუთარ სახლში კი, ჯალათის სახლში, ჩაბნელებულ ფანჯარასთან ვდგები, მის მიღმა საღამოს სიჩუმეში ჩათვლემილ მინდვრებსა თუ ყვავილებს და ღრმა ღვთაებრივი სიმშვიდით შემოსილ ხეებს შევცქერი და მაშინ ჩემი ბედისწერა მახრჩობს, მაწამებს. ძალმიხდილი წავიქცეოდი კიდეც, გვერდით ეს ქალი რომ არ მედგას.

მან ქალს შეხედა, სწორედ იმ ქალს მდაბიოს რომ გავდა. მათი მზერა ერთმანეთს შეხვდა.

— და მე ზურგს ვაქცევ ყველაფერს! მტკივნეულია იმის დანახვა თუ რა მშვენიერია ეს დედამიწა. ქალი კი ფანჯარას ისევ გასცქერის, სანამ ყოველი ბინდით არ შეიმოსება.

ისიც ტუსაღია, ჩვენი საერთო სახლის ტუსაღი, მაგრამ შეუძლია, დედამიწის მშვენიერება იხილოს და მაინც იცოცხლოს.

ჯალათის სახლი სუფთად აქვს მოვლილი, ისე ესათუთება, თითქოს ადამიანის საცხოვრებელი იყოს. მაგიდას, სადაც ვჭამ, მუდამ სუფრას აფარებს, არც კი ვიცი ვინ არის იგი, მაგრამ ჩემთვის სიკეთე მოაქვს. როცა ეზოში ჩამოღამდება, შუბლზე ხელს მისვამს და ჯალათის დაღი აღარ მოჩანსო, მეუბნება. იგი სხვებს არ გავს, მას ჩემი სიყვარული შეუძლია!

ხალხში გავიკითხე, ვინ არის მეთქი, მაგრამ არავინ იცნობს.

ვის შეგიძლიათ მითხრათ, რისთვის ვუყვარვარ ან ჩემს სახლს რაისთვის უვლის?

ჩემი სახლი ხომ ჯალათის სახლია! სხვაგვარი არც შეიძლება იყოს, ჩემი სასოწარკვთილება უფრო გაუსაძლისი გახდებოდა!

მუდამ ველოდები, სანამ ჩემს მკლავებში მშვიდად ჩაიძინებს, შემდეგ ვდგები, თბილად ჩავფუთავ და უჩუმრად ვემზადები, რომ არ გავაღვიძო. ფრთხილად გამოვდივარ სახლიდან, რომ ჩემი საქმე ღამით აღვასრულო, ავიხედავ ზეცას შევცქერი, დედამიწას პირქუშად რომ ჩამოსწოლია. კარგია, რომ არ გაელვიძა, კარგია, რომ ჩემი მოუშორებელი ტვირთივით კვლავ მარტო ვრჩები.

მაგრამ ვიცი, დამელოდება და უკან მობრუნებულს, საქმემოლეულს, სიქაგაცლილსა და სისხლში მოთხვრილს შემეგებება.

რად უნდა ვზიდო მარტომ ყოველი! ეს ყველაფერი მე რად უნდა დამაწვეს მხრებზე! შიში თუ დანაშაული, თქვენს მიერ ჩადენილი! მთელი ეს სისხლი, თქვენს მიერ დათხეული მე რად უნდა მომეკითხოს, რად ვერ უნდა შევიცნო სამყარო! ჩემს უბედურ სულს რად უნდა ტანჯავდეს ავსულთა წყევლაც და უდანაშაულო მსხვერპლთა ჩივილიც!

მსჯავრდადებულნი თავის ბედისწერას მე მაბრალებენ, ვცდილობ, არ გავიგონო, სიკვდილის მოლოდინში რასაც ამბობენ, მაგრამ სიტყვები მაინც ხმიანობს ჩემში. ხმები შორეული ათასწლეულებიდანაც კი ხმიანობენ. ყველას მიერ დავიწყებული, სიცოცხლისგან დაცლილი ხმები ჩემში ძველებურად ცოცხლობენ! გულს მირევს თქვენი სისხლის სუნი, ცოდვის მოუნანიებლობით ვიხრჩობი!

თქვენი ბედისწერა მე უნდა ვზიდო, თქვენი გზით დაუღალავად მევე უნდა ვიარო, მაშინაც კი როცა თავად კარგა ხანია საფლავში ისვენებთ!

ვინ ხათხრის ისეთ ღრმა საფლავს მე რომ დამასამაროს! მეც მინდა ვეზიარო თავდავიწყებას! შეჩვენების ტვირთს მხრებიდან ვინ ჩამოშხსნის და სიკვდილის სიმშვიდეს ვინ მომანიჭებს.

არავინ! ჩემი ტვირთის თრევა არავის ძალუძს!

როცა ღმერთი ჯერ კიდევ არსებობდა, ერთხელ მასთან მივედი ჩემი გასაჭირის მოსახსენებლად. და რა პასუხი მივიღე!

მახსოვს, რისთვისაც წავედი. ერთ ისეთ ადამიანს ვდარაჯობდი, ვინც მაცხოვარი ვარო, ამბობდა. თქვენს ნაცვლად

ეროვნული ბიბლიოთეკა

სურდა დატანჯულიყო და მომკვდარიყო, თქვენი ხსნა სურდა. ჩემი გათავისუფლებაც კი უნდოდა.

მისი სიტყვების არაფერი მესმოდა, რადგან ვხედავდი: სუსტი და უძლური იყო, ჩვულებრივი მამაკაცის ძალაც კი არ ქონდა და მეც მხოლოდ დავცინოდი. იგი თავს მესიას ეძახდა, ამქვეყნიურ მშვიდობას ქადაგებდა და განაჩენიც ამისთვის გამოუტანეს.

ჯერ კიდევ ბიჭუნა მიხვდა, რომ ადამიანებისთვის უნდა დატანჯულიყო და მომკვდარიყო. ბევრს მიამბობდა თავის ბავშვობაზე — სიკვდილმისჯილნი ხომ მუდამ ბავშვობას იხსენებენ ხოლმე — იმ მხარეზე, გალილეას რომ ეძახდა, თითქოს მშვენიერი რომ იყო — სხვებიც ასე ამბობენ ხოლმე.

გაზაფხულობით იქ, მთებში, უამრავი შროშანა ყვავისო. მათ შორის ვიდექი, ნათელ მინდვრებს გავცქეროდი და სწორედ მაშინ მივხვდი, რომ უფლის ძე ვიყავიო, მითხრა. მეც მაშინვე მივხვდი, რომ უბედურ შეშლილთან მქონდა საქმე. ის კი განაგრძობდა, მინდვრებს გავცქეროდი, თვალი ამეხილა და მივხვდი, ამქვეყნიური მშვიდობა იყო ის მოძღვრება, რაც ხალხისთვის უნდა მექადაგა, მეცნობებინაო. მეც შევეკითხე: რა საჭიროა შენი სიკვდილი, რათა სხვებმა მშვიდობით იცხოვრონ მეთქი. მანაც მიპასუხა, საჭიროა, უზენაესი შეთანხმება ასეთიაო, მამამ ჩემმა ასე მაცნობაო, მამად კი თავად უფალი ღმერთი მიაჩნდა და თავისი მრწამსის კეთილი ბავშვივით ჯეროდა.

მაგრამ როგორც კი მისმა ჟამმა დარეკა, სხვებივით შეშინდა, ათრთოლდა და ალბათ ძველებურად დარწმუნებულიც აღარ იყო. მეც აღარაფერი მითქვამს და თავის შიშთან მარტო დარჩა. მზერა კი ხანდახან ძალიან შორს გაურბოდა, თითქოს კვლავ თავისი ბავშვობის მხარე და შროშანებით მოფენილი ველები სურდა ეხილა.

შიში უფრო და უფრო გაუძლიერდა. მუხლებზე დაემხო, აჩურჩულდა და ლოცვა დაიწყო. წათრევაც კი დამჭირდა მისი, როცა დრო დადგა.

ჯვრის სათრევად ძალა ძლივს ეყო, ღონემიხდილი მიბარბაცებდა. შემეცოდა, ჯვარი გამოვართვი და გზის ნაწილი თავად ვატარე. მხოლოდ მე მივეშველე — სხვებმა არ ისურვეს. თუმცა რა იყო ეს სიმძიმე იმასთან შედარებით, ადამიანთა ნაცვლად რომ მითრევდა.

ჯვარზე რომ დავაწვინე, ლურსმნების დაჭედების წინ ჩვეულებისამებრ პატიება ვთხოვე. არ ვიცი, მისი მოკვლა ასე რად მტკიოდა. კეთილი, დამფრთხალი თვალებით შემომხედა — დამნაშავის კი არა, უბედურის თვალები ქონდა. „შემინდვია, ძმაო“ — ჩუმი ხმით მითხრა და თუმცა მე არ მჯერა, ერთი ახლოს მდგომი იმასაც კი მიმტკიცებდა, ამ დროს შუბლიდან ჯალათის დაღი გაგიქრაო.

არ ვიცი, ძმა რად დამიძახა! მაგრამ მომეჩვენა, რომ მართლა ღვიძლ ძმას ვაკრავდი ჯვარზე. არასდროს ასე სულდამძიმებული არ ვყოფილვარ თუმცა რამდენი დამისჯია. როცა ჩემს ხელობას მისდევ დროდადრო ძალაუნებურად გიწევს მსხვერპლის შეთვალიერება. ის კი არც ერთ ჩემს მსხვერპლს არ გავდა.

არასოდეს დამავიწყდება, რა თვალებით შემომხედა ამ სიტყვებს რომ მეუბნებოდა!

რა კარგად მახსოვს! ჰო, მახსოვს, მე ხომ თქვენს მიერ კარგა ხნის წინ დავიწყებული ყველა ხმა და დაღვრილი სისხლი შემოვინახე!

მე რად უნდა ვეწამებოდე! თქვენს გამო მე რად უნდა ვიტვირთო ყოველი! მე რად უნდა დავიტანჯო თქვენი ცოდვებით!

მე ხომ მათრახითაც კი ვცემე ციხის ეზოში — თითქოს უამისოდ ვერ მოკლავდნენ. მისი სხეული ჩემი ხელით იყო

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაიარებული და შეშუპებული. ეს ყოველივე ისე ამომივიდა ყელში მისი ჯვარი ძლივსლა ავწიე.

ხალხმა კი, ო, რა გაიხარა, როცა ჯვარს გაკრული ავწიე. ყვიროდნენ და ზეიმობდნენ, როცა ბოლოს და ბოლოს ჯვარცმული იხილეს. ჯერ არასოდეს მინახავს თხემის ალაგას ხალხს ასე ეზეიმოს, როგორც მაშინ ზეიმობდა, ის რომ გავაკარი ჯვარზე! დასცინოდნენ და მასხარად იგდებდნენ, ლანძღავდნენ და აკინებდნენ თავი ჩვენს მესიად, ჩვენს ქრისტედ რად წარმოიდგინეო. სხვასაც ბევრ რამეს ეუბნებოდნენ... აფურთხებდნენ და მისი წამება სასაცილოდაც არ ყოფნიდათ. მან თვალები დახუჭა, რათა არ ეხილა ადამიანები იმ წუთებში, როცა მათ გადარჩენას ლამობდა. იქნებ ცდილობდა კვლავ ეფიქრა, რომ მაინც მათი მეუფე და უფლის მირონით ცხებული იყო. ხალხის მოწნული ეკლის გვირგვინი მის გასისხლიანებულ თავს გვერდით სასაცილოდ ჩამოეკიდა. ამის დამნახავს მე შემეშინდა და ზურგი შევაქციე.

სანამ სული ამოხდებოდა მთელ დედედამიწაზე წყვდიადი ჩამოწვა და მისი ხმამაღალი ყვირილი გავიგონე:

— უფალო, უფალო, რაისთვის დამიტოვე მე!

და მაშინ სულ ვეღარ შევხედე. ამის შემდეგ მალე გარდაიცვალა კიდეც, რაც მისთვის მადლი იყო. ჩვენც მაშინვე ჩამოვხსენით, რადგან შაბათი დგებოდა და მისი ჯვარზე დატოვება არ შეიძლებოდა.

როცა ხალხი გაიფანტა, რათა შაბათს მომზადებული შეხვედროდა და იქაურობა როგორც იქნა მოცარიელდა, იქვე თხემის ალაგას, გვამების სიმყრალესა და უწმინდურობაში ჩამოვჯექი და მახსოვს, ვარსკვლავების ქვეშ გვიან ღამემდე ასე ვიჯექი. სწორედ მაშინ გავიფიქრე, ღმერთთან მივალ და ვესაუბრები მეთქი.

დავტოვე მიწა და მივიშურე ზეცას, სადაც უფრო იოლად და ლაღად ვსუნთქავდი. დიდხანს ვიარე, არც კი ვიცი, რამდენ ხანს. საშინლად შორს ცხოვრობდა, ის, უფალი ღმერთი.

როგორც იქნა თვალი მოვკარი, ზეციურ სივრცეებს შორის ტახტზე ზვიადად იჯდა. იქით გავეშურე, მივუახლოვდი და ჩემი სისხლიანი ნაჯახი ზედ ტახტის ძირში დავაგდე.

— ყელში ამომივიდა ეს ჩემი ხელობა, — ვუთხარი მას. — მგონი, საკმაოდ გემსახურე, არა?

ის კი უძრავი, გაქვავებულივით იჯდა და სიცარიელეს მიშტერებოდა.

— არ გესმის? მეყოფა მეთქი ჯალათობა! მეტს ვეღარ ავიტან! აღარ შემიძლია ამ სისხლითა და საშინელებით ცხოვრება. შენ კი თვალს ხუჭავ! ის მაინც ამიხსენი ყოველივე ამას რა აზრი აქვს? ერთგულად ვემსახურე ჩემს საქმეს, ყველაფერს ვაკეთებდი, რაც ჩემს ძალ-ღონეს აღემატებოდა, მაგრამ აღარა მაქვს მეტი ძალა! მეტს ვეღარ ავიტან! მეყოფა! გესმის?

მაგრამ ის არც კი მამჩნევდა. მისი უსიცოცხლო და ცარიელი, მომრგვალებული გუგები სივრცეს ისე მიშტერებოდა, თითქოს უდაბნოს გასცქეროდა. მაშინ მეც შიში და აუტანელი სასოწარკვეთილება დამეუფლა.

— დღეს შენი სულიერი ძე გავაკარი ჯვარზე! — ველური გახელებით წამოვიძახე, მაგრამ მის პირქუშ, უგრძნობელ სახეზე ნაკვთიც არ შერხეულა. თითქოს ქვისაგან იყო გამოკვეთილი.

ვიდექი ასე, ამ გაყინულ სიჩუმეში და მარადისობის ქარის სიცივე ძვალ-რბილში მატანდა. რა უნდა მექნა? ვისთან მელაპარაკა? აღარაფერი არსებობდა. ისლა დამრჩენოდა ჩემი ნაჯახი ამელო და იმავე გზით უკან დავბრუნებულიყავი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

და მე მივხვდი, რომ ის არ იყო მისი ძე. ის ადამიანთა მოდგმას ეკუთვნოდა და რა გასაკვირია, რომ სწორედ ისე მოექცნენ, როგორც საერთოდ ექცევიან ერთმანეთს. თავისი მოდგმის ერთი წარმომადგენელი, როგორც ჩვეოდათ ჯვარზე აცვეს, მეტი არაფერი. განრისხებული და აღშფოთებული ვბრუნდებოდი უკან და ვიყინებოდი.

იგი სხვებივით გაქრა და სიმშვიდე მოიპოვა. ჩემი ბედკრული სული კი განწირულია კვლავ გააგრძელოს ეს გზა აწ და მარადის, უკუნითი უკუნისამდე. მე უნდა დავბრუნებულიყავი დედამიწაზე და კვლავ ეკლიან გზას შევდგომოდი — სხვა გზა არ მქონდა. მე ვერავინ მიშველის.

არა, ის არ იყო მაცხოვარი, ასეთს სად ექნებოდა ამდენი ძალა! მოზარდის ხელები ქონდა მისი საცოდაობით ვიწეოდი ლურსმებს რომ ვაჭედებდი და სულ ვცდილობდი თხელ ძვლებს შორის გამეტარებინა. იმაზეც კი ვეჭვობდი, დაიჭერენ კი ეს ხელები, როცა მათზე ჩამოეკიდება მეთქი. სად ქონდა ძალა, ასეთი ხალხი გადაერჩინა!

გვერდში მახვილი რომ ვატაკე, იმის გასარკვევად შეიძლებოდა თუ არა მისი ჩამოხსნა, უკვე მკვდარი იყო. გაცილებით უფრო მალე მოკვდა, ვიდრე საერთოდ კვდებიან ხოლმე.

აბა რა მაცხოვარი ის იყო, ის უბედური! თქვენ დახმარებას როგორ შესძლებდა! ან მე ჩემს ტვირთს როგორ მოხსნიდა! აბა ხალხისთვის ის რა ქრისტე იქნებოდა! მაშინღა მივხვდი სწორედ მე რად უნდა გემსახუროთ, სწორედ მე რად მიხმობდით ხოლმე!

მე ვარ ქრისტე თქვენი! დაღდასმული ჯალათი! თქვენთან ზეცით მოვლენილი!

რათა დავთესო მტრობა დედამიწაზე და ბოროტი ადამიანში!

საკუთარი ღმერთი ქვად გადააქციეთ. იგი დიდი ხანია მოკვდა! მე კი, ქრისტე თქვენი, ცოცხალი ვარ! მე ვარ მისი დიადი აზრის ნაყოფი, თქვენში ჩასახული მაშინ, როცა ჯერ კიდევ ძლიერი იყო, ჯერ კიდევ ცოცხლობდა და იცოდა, რა სურდა, ყოველივეში რა აზრს დებდა! ახლა უმოძრაო ასვენია ტახტზე, რომელსაც ჟამი ძირს კვერთხივით უთხრის და მარადისობის სასიკვდილო ქარი მის გვამს ზეციური უდაბნოსაკენ მიაქროლებს. მე კი, ქრისტე თქვენი, ცოცხალი ვარ, რათა თქვენც იყოთ ცოცხლები! ეს მე მივაბიჯებ ამ ქვეყნად საბრძოლო გზით, ყოველ დღე სისხლით მომაქვს ხსნა და მე არ მაცვამთ ჯვარს!

მენატრება მსხვერპლის სიკვდილით მოკვდე — როგორც ოდესღაც ჩემი ბედკრული, უსუსური ძმა მოკვდა. მენატრება ჯვარზე გაკრულმა სული ამოვუშვა და გულმოწყალე წყვდიადში გავითქვიფო! მაგრამ ვიცი, ეს დრო არასოდეს დადგება. სანამ არსებობთ, ჩემი საქმე უნდა აღვასრულო. ჩემი ჯვარი არასოდეს არ აღიმართება! ბოლოს და ბოლოს ალბათ დასრულდება ჩემი შრომა და დედამიწაზე საქმე აღარ დამრჩება. მაგრამ მაშინაც კი ჩემი უზიარებელი სული დაუღალავად იქროლებს სამყაროს ღამეში მამის ჩემის სასიკვდილო სავანეს რომ შემოხვევია, კვალში კი შიში და ტანჯვა ჩაუდგება, ყოველივე იმის გამო, თქვენთვის რომ ჩაუდენია!

და მაინც მენატრება ის დღე, როცა პირისაგან მიწისა აღიგვებით და ჩემი აღმართული ხელი ბოლოს და ბოლოს ძირს დაეშვება, როცა დაისადგურებს სიჩუმე, აღარ გავიგონებ, ხრინწიანი ხმა როგორ მიხმობს, მარტო ვიქნები, ირგვლივ მომოვიხედავ და მეცოდინება, რომ ყოველივე უკვე დასრულდა.

გავემართები მარადიული წყვდიადისაკენ, უბედურ მიწაზე კი მოვისვრი ჩემს სისხლიან ნაჯახს — როგორც მოგონებას ადამიანთა მოდგმაზე, ოდესღაც აქ რომ ცხოვრობდა!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯალათი ხალხს მკაცრი და ალმოდებული მზერით დასცქეროდა. შემდეგ მაგიდას ხელი გაჰკრა და გასასვლელისაკენ მრისხანედ დაიძრა.

ის იყო კარს ხელი წაატანა, მაგრამ ქალი, გვერდით რომ ეჯდა და მდაბიოს გავდა, ადგილიდან წამოხტა, მკაფიო, ჩუმი ხმით დაელაპარაკა, სახე კი იდუმალი, ტანჯული ბედნიერებით გაუნათდა!

— შენ იცი, მე დაგელოდები! როცა დატანჯული და სისხლით მოთხვრილი მოხვალ, არყის ხეებს შორის დაგხვდები! შენ თავს მომაყრდნობ, ამ ცა მიყვარებ! ხელებიდან სისხლს ჩამოგწმენდ და შენს გახურებულ შუბლს ვემთხვევი!

შენ იცი, მე დაგელოდები!

ჯალათი ქალს ჩუმი, ნაღვლიანი ღიმილით შესცქეროდა. უცებ ქუჩიდან დაფდაფების ყრუ ხმა გაისმა, ისიც გაჩერდა და ყური მიუგდო.

შემდეგ ხელი ქამარზე ჩამოიდო და ბურუსიანი განთიადის შესახვედრად გასწია.

თარგმნა **მანანა მიქელაძემ**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლადო სულაბერიძე.

ცხადსიზმარიანა

(თავგადასავალი)

ნაწილი მეორე

მიმოწერები ჭაბუა ამირეჯიბთან

19 მაისი, 1955

გამარჯობა, ძმაო ვლადიმერ!

კიდევ გწერ წერილს. მენატრები უკიდურესად. ობოლივითა ვარ უშენოდ. წარმოიდგინე, რომ შენს გვერდით წერის იშტა მეტი მქონდა, ალბათ იმიტომ, რომ პრაქტიკულად გამართლებული იყო მუშაობა, შენი სახით მსმენელი და შემფასებელი მყავდა.

მივიღე შენი „ფხოვლები", ჩემს შთაბეჭდილებას მეორე, უკეთ ვთქვათ პირველ წერილში ვწერ. ველი, იქნებ კიდევ მომაწვდინო რაიმე, მაგრამ ჯერჯერობით ამაოა ჩემი ლოდინი.

დედას წერილი მივიღე, რომელიც შენი მეუღლისა და დედის შესახებ განმეორებით და დამატებით მწერს, რომ მისულან ალიოშა ალავიძესთან (ჩემი დის მამამთილი და ჩემივე ადვოკატია). უნდოდათ შეეტანათ საჩივარი იქ, სადაც ჩემი საქმე ირჩევა. ალავიძემ დაუნიშნა დრო, მაგრამ აღარ მისულან. დედაჩემი ასკვნის, რომ ალბათ ვლადიმერის ახლო მომავალში აქტიროვკით განთავისუფლების ამბავი მოუვიდათ და იმიტომ აღარ მივიდნენო. რა თქმა უნდა, არ მჯერა ასეთი ვარიანტი, აქტირება რო შეჩერებულია და თან ვიცი, რომ არაფერს მისწერდი განთავისუფლების შესახებ.

მივიღე როდამისგან აუცილებელი სპეციალური ლიტერატურა. ვენაცვალე, მართლა საამაყო და მყავს, მოსიყვარულე და ყურადღებიანი. მინდა მოგწერო, რომ ჩემი ცოდნა კინოდრამატურგიის დარგში ფრიად საგულისხმო ყოფილა, საკვირველია, მაგრამ ასეა. წარმოიდგინე, რომ ამჟამად ჩემს ხელთ არის ვრცელი ლიტერატურა საუკეთესო ავტორებისა და ახალი ჩემთვის თითქმის არაფერია იშვიათი გამონაკლისის გარდა და ამ გამონაკლისსაც ინსტინქტურად ვგრძნობდი, თუ დაკანონებული ჭეშმარიტებების სახით არ იყო აღბეჭდილი გონებაში. ერთი სიტყვით ამ ლიტერატურამ ძლიერ გამამხნევა და შთამ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბერა რწმენა, რომ ძალმიძს განვახორციელო ჩემი მიზანი. კერძოდ: დავწერო მაღალხარისხოვანი დრამატურგიული ნაწარმოები, ორიგინალური სტილისა, შესრულებისა და შეხედულებების აზრით.

ნეტავ ერთად ვყოფილიყავით! შეიძლება დამეყოლებიე ერთად მუშაობაზე. მაკლია, ძლიერ მაკლია საღად მოაზროვნე ოპონენტი, ან თანაავტორი.

აქ გავიცანი ვინმე იური ოსიპოვიჩ დომბროვსკი. ფრიად განათლებული და ნიჭიერი მწერალი. იგი ავტორია რამდენიმე გამოქვეყნებული ნაწარმოებისა და ერთი რომანის. „Череп обезяны" —რომელსაც სწორედ შენი ლექსების ბედი ეწვია[1]. ვსაუბრობდით ხშირად, ვუზიარებდით ერთმანეთს როგორც აზრებს, ისე ნაწერებს შეძლებისდაგვარად. მაგრამ ამ დღეებში გაწერეს და ლაგპუნქტზე გააგზავნეს, დავტრიალდი ჯარასავით, ვეცადე დამეტოვებინა როგორმე, ამაოთ.

ვწერ გააფთრებით. ეს თემა უკვე მოძველებულად მეჩვენება. ახალი აზრები მეპარება გონებაში სურვილის წინაღმდეგ, მაგრამ მივეცი ჩემს თავს პირობა, მაისში მოვუღო ბოლო სცენარს და მერე სხვას რასმე მოვკიდებ ხელს.

დასწყევლოს ღმერთმა! როგორ დავამყაროთ რეალური კონტაქტი? მე მაქვს მისამართი, რომლითაც თავისუფლად შეგვიძლია ვისარგებლოთ, მაგრამ შენ?

აბა, სცადე და მომწერე ოფიციალური წერილი. იქნებ მივიღო ჩემი მისამართია: Иркутская обл. Уст-Кутонский р. пос. Осетрово п/я 90/4-«Ж».

თუ მოახერხო, რაიმე გზებით გამომიგზავნე ნაწერები, მეც ასე შევეცდები.

შენი ძმა და ნიჭის
თაყვანისმცემელი ჭაბუა.

1. ჩემი პირველი კრებული „ყირიმის ღამეები" აკინძული იყო, დაიგზავნა სასიგნალო ეგზემპლიარებიც, მაგრამ ჩემი დაპატიმრების გამო 1948 წელს ტირაჟი გაყიდვაში აღარ გასულა, (ს.).

11 აგვისტო, 1955

გამარჯობა, ჩემო ლადო!

ვიღებ შენს წერილებს რეგულარულად, მაგრამ ვერ გპასუხობ იმიტომ, რომ აქედან შესტაკოვოში ჭკუათმყოფელი არავინ არ მოჰყავთ. ვწერ ამ წერილს იმ იმედით, რომ ზეგ ე. ი. 13 აგვისტოს პულატოვი აპირებს წამოსვლას თქვენთან და ვფიქრობ იმას გამოვატანო. თუ არ წამოვიდა — ჩიხში ვხვდები ისევ. მაშინ მომიხდება წავიღო წერილიც და ნაწერებიც ზაიარსკში, სადაც შეკრებაზე მივდივარ, იქ გადავცე მშველიძეს, რომელიც ცრმ-ზე დაბრუნების შემდეგ როგორმე მანდ მოგაწოდებს. ასეა თუ ისე, ვწერ (ვინ იცის მერამდენეს) და შევეცდები მოგაწოდო.

შენს წერილებში ხშირად ვხვდები აზრს რომ ჩვენმა დაცილებამ წერის საქმეებზე უარყოფითად იმოქმედა,. რატომ? ამაზე ბევრს ვფიქრობ, მაგრამ რაიმე განსაზღვრულ ჭეშმარიტებამდე ვერ მივედი. ვხედავ მხოლოდ ერთს, რომ ვწერ ძლიერ ცოტას და იგივე მესმის შენგან. მგონი რომ ბევრი დავკარგეთ ერთმანეთთან დაცილებით, მით უმეტეს, რომ ჩემი ბრძოლა განთავისუფლებისათვის ჯერჯერობით ამაოდ მიმდინარეობს. ძლიერ მიზანშეწონილი იქნებოდა, თუ როგორმე მეშვიდე ლაგპუნქტზე გადმოხვიდოდი, აქ, ოსეტროვოში. და, აი, რატომ: ჯერ ერთი, რომ მე ხშირად შემიძლია ყოფნა მეშვიდეზე ჩემი სპორტული „მოღვაწეობისა" გამო და თითო დღით მაინც შევხვდებოდით ხოლმე ორ-სამ კვირაში ერთხელ. მეორე გვარი ჯერ არ ვიცი, მაგრამ მეშვიდეზე არის ვიღაც ქართველი მწერალი. ამ ბოლო დროს გავიგე ამბობენ პროფესიონალიაო. ვინაა — არ ვიცი. ეს ყველაფერი ერთად აღებული შექმნის წერის სტიმულს. იფიქრე ამის შესახებ, იქნებ, მიუხედავად შენი მორიდებულობისა, შესძლო როგორმე. პირადათ მე ბედნიერად ჩავთვლიდი თავს, შენ რომ ჩემს ახლოს იყვე.

ჩემსა და ჩემი გარემოცვის შესახებ: მოსკოვის კომისიამ შემამოწმა და დამ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტოვა პნევმოტორაქსით სამკურნალოდ, რაც დამადეს კიდეც მარცხენა ფილტვზე, მაგრამ მიუხედავად ამისა როე ოცდახუთზე ქვევით არ იწევს, ე. ი. ანთებითი პროცესი მიმდინარეობს, ხოლო კოხის ჩხირების გამოყოფა გრძელდება. მარცხენა ფილტვში კავერნა აღმოჩნდა და იმიტომ დამალეს პნევმოტორაქსი, მარჯვენაში კი ინფილებრაციული პროცესი მაქვს. შენა და შალიკო ამ წერილს უთუოდ ერთად წაიკითხავთ და ის აგიხსნის ყველაფერს. მიუხედავად ამისა არ გამიკეთეს აქტირება, ვფიქრობ ჩემი შესახედაობის გამო. ყველაფერ ამას ზედ დაერთო სიყვითლე, რომელიც შედარებით ადვილად მოვიხადე. აქ ეპიდემიაა სიყვითლისა. არავითარ მუშაობას არ ვეწევი, ვწევარ კორპუსში, ვკითხულობ, ვწერ და ვლაქლაქებ.. ცოტას ვთამაშობ ფრენბურთს. საზოგადოება კარგია, შედარებით. ინტელიგენცია საკმაოდ მრავალრიცხოვანი და კარგია. სეგედი — მსახიობი და რეჟისორი. კაუფმანი — მუსიკოსი, აკორდეონისტი, ეკონომისტები, იურისტები. კალბინოვსკი „ოდესღაც ცენტრალური პრესის კორესპონდენტი, ცოტა ფელეტონისტი, ერთხელ სცენარისტი. ასე რაღა!“ —ეს ფრაზა ჩემს მიერ დაწერილი ერთ-ერთი პორტრეტიდანაა, რომელსაც არ გიგზავნი და რომლითაც შევეცადე დამეხასიათებინა ეს პიროვნება, როგორც საზოგადოებრივად გავრცელებული ტიპი — საშუალოობის განსახიერება. არიან აგრეთვე მხატვრები, გუშინწინდელი დღიდან ჩვენთან, კერძოდ ფერშლად ჩემს, მეექვსე კორპუსში, არის პეტრე დუჟი. აქაური ატმოსფერო — დადებითია. ყველგან გავაბი ნაცნობობა — მეგობრობა. როგორც პატიმრები, ისე ყველა მოქალაქეებში, უკლებლივ, ხუთი თვეა აქა ვარ და დრომ თავისი ქნა.

სახლიდან ახალი არაფერია. ჩემი კურთხეული საქმე ისინჯება უკვე ხუთთვენახევარია მეორე ინსტანციაში პროკურორ ჟვანიას ხელშია — მგონი, რომ დოსტი უნდა იყვეს იმ ხალხისა, რომლებიც მცემელ — მწვალებელ ფალსიფიკატორებად დავასახელე საჩივრებში და არა მგონია, რომ „ძაღლმა ძაღლის ტყავი დახიოს“. მომივიდა როდამის წერილი „მალილოს“, უკვე — „ღაღადისი იადონისას“, — შესახებ. ვწერ რამოდენიმე აბზაცს ამ კრიტიკიდან:“... ორჯერ გულდასმით გადავიკითხე. პირველად ნაკლებად მომეწონა. მეორედ უკვე აღტაცებაში მოვედი. ამ ჩვენს გაშორებაში შენ შესანიშნავად დაეუფლე ქართულ ენას. მდგარი, პოეტური ენის გრძნობა გაქვს. ადგილებში რიტმი თეთრ ლექსამდეც კი აღწევს. ერთი სიტყვით, მე შემიძლიან შეგედავო მხოლოდ, რამდენად მიზანშეწონილია ამ სტილით წერა — სხვაფრივ კი შენ მიაღწიე წარმატებას. მაინც ორი პრეტენზია მაქვს შენდამი: არ მომწონს სახელი მალილო — სენტიმენტალურია. თვით სათაური „ღაღადისი იადონისა“ და საერთოდ იადონთან დაკავშირებული ფრაზები. ეს მანერულობა ვაჟკაცობას აკლებს ნოველას. ენის სიმდიდრეს სისადავე უნდა ახლდეს თან..“ „... შენს მოთხრობაში უდაოთ სჭარბობს ფორმისაკენ ლტოლვა, ხანდახან შინაარსი, მოქმედება იღრჩობა პოეტური ფორმის ძიებაში. მოკლედ რომ ვთქვა — ფორმალისტობის დაწამება ძალიან ადვილია“... “... ლტოლვა პროზის პოეტიზაციისაკენ ახალი არ არის ქართულ მწერლობაში. ეს ჰქონდა გრ. რობაქიძეს, დემნა შენგელაიას, კოწია გამსახურდიას. წარმოიდგინე, ამ ორ უკანასკნელზე მგზნებარე ფრაზა გაქვს. იცოცხლებს თუ არა დღეს ეს სტილი? მგონი, არა“. ამას მოსდევს სცენარის ეპიზოდის კრიტიკა, რომელსაც არ გწერ დაუმთავრებლობის გამო. რადგან ჩემს ლიტერატურული საქმიანობის თემას მოვადექი, ამიტომ მოგწერ კიდეც თუ რას ვაკეთებ. ჩემი ავადმყოფობა შენ იცი, —კერძოთ, — საკუთარი სტილი. მალალო და ცოქალა თუ საკუთარი სტილითაა დაწერილი, რაშიაც ჯერ კიდევ არა ვარ დარწმუნებული ეს სტილი გამოდგება მხოლოდ ისტორიული რომანტიკისათვის. სხვა

ეროვნული ბიბლიოთეკა

თემებისა და მით უმეტეს იდეოლოგიური კონცეფციების დასაძლევად — არ ვარგა. ამიტომ ვთვლი, რომ ისტორიული მოთხრობის და საერთოდ ისტორიული თემატიკის სტილი მიგნებული მაქვს. სხვა სტილით ისტორიას არ დავწერ, მაგრამ ამ ჟანრით რომ არ ამოიწურება ხელოვნება? დავიწყე სტილის ძიება სასცენარო ჟანრში და მგონი მივაგენი. ამის გამო მომიხდა ძლიერ დიდი ლიტერატურის გადალეჭვა, ამან აუარებელი დრო წამართვა და მომიყიჭა გული იმ ზომამდე, რომ იძულებული ვიყავი მიმეტოვებინა დროებით. მოვკიდე ხელი სტილის ძიებას ახალ ჟანრში და აქ კი დასტურ არ ვიცი, რა გამომივიდა. სატირა. წარმოიდგინე სატირის წერა, როდესაც სდგას ამოცანა: არ ჰგავდეს შჩედრინს, ჩეხოვს, სვიფტს და სხვა დიდი ოსტატების ნაწარმოებებს. გიგზავნი ორ პორტრეტს. წაიკითხე და გულახდილი, დაუნდობელი კრიტიკა მომწერე. მიზანი და გამართლება ამ პორტრეტის დაწერისა (ჯერჯერობით ექვსის მეტი არ დამიწერია, ვაპირებ დავწერო ოცდაათამდე). უპირველეს ყოვლისა ეს ვარჯიშია. მეორე ისა, რომ განვიზრახე დავწერო პორტრეტები იმ საზოგადოებრივად ტიპიური დადებითი და უარყოფითი ადამიანებისა, რომელთაგანაც შესდგება თანამედროვეობა და მესამე: თუ ამ პორტრეტების განსაზღვრულ ფორმაში მოთავსებამ ანუ ერთ ძაფზე ასხმამ დამთავრებული, დამოუკიდებელი ნაწარმოები არ მომცა, მაშინ ყოველი პორტრეტთაგანი დამრჩება, როგორც ესკიზი გმირისა მომავალ დიდ ნაწარმოებთათვის, რომელიც ასეა თუ ისეა, როდესმე უნდა დავწერო, ნახულ-გადატანილ-გამოცდილების საფუძველზე, თუ მწერალი გავხდი... მაგრამ ჩემს შესახებ კმარა.

მოისმინე ჩემი აზრი იმ სამი ნაწარმოების შესახებ, რომლებმაც ჩემამდე მოაღწია. მეტი ალბათ არც გამოგიგზავნია. ესაა: „დედა", „ფხოველები" და „ჩემო ლექსებო". თემის სილამაზითა და ორიგინალობით „დედა" ყველაზე საყურადღებოა, მაგრამ ... ყველაზე სუსტადაა შესრულებული ტექნიკურად. მეტისმეტად გადაძაბულია და გემოვნებას და გრძნობას რითმის ძიება აზარალებს. საერთოდ, ჩემი შეფასებით, კარგია. „დედა"-ზე მეტს არ შევჩერდები, ვინაიდან ეს ნაწარმოები საკმარისად შესწავლილი გვაქვს ჯერ კიდევ 523-ზე. „ფხოველები", ქებათ არ მიიღო, მაგრამ ჩემის აზრით ქართული პოეზიის ერთ-ერთი ულამაზესი და უთვალსაჩინოესი ნაწარმოებია მიუხედავად ზოგიერთი დეფექტისა, რომლებიც უნდა მიეწეროს შენი პოეტური ბუნების თავისებურებას — არ გიყვარს ლექსზე მუშაობა. ნაწარმოები მთლიანობაში მაღალი ტონის ესთეტიურობით არის შესრულებული, რაც თავისთავად მიგნებაა, ძვირფასი მიგნება, მაგრამ ისევ რითმის ძიება არღვევს რიტმს. რატომ არ სვამ საკუთარი თავის წინაშე ამოცანას: წერო მხოლოდ მაღალხარისხოვანი, უხარვეზო, უზადო ნაწარმოები. „არაგვის ნაპირ-ნაპირ მიდენის" — ეს პწკარი არამც თუ გამართლებული არ არის რითმე, არამედ კონტრასტია და წინააღმდეგობაშია როგორც წინამდებარე, ისე შემდგომი პწკარებისა და მთლიანად ნაწარმოების რიტმთან. სხვაფრივ კი „ფხოველები" ძლიერ მომწონს და მოწმეა შენი პოეტური უდაო ზრდისა. ყველაზე ძლიერ მახარებს ის გარემოება, რომ ყოველი შენი ნაწარმოები წინაზე უკეთესია. ასე თუ იარე, შორს წახვალ და ოსტატობაში დიდ წარმატებებს მიაღწევ. იმუშავე, ადამიანო, ლექსზე, იმუშავე. რა ვიცი... შენ გინდა ლექსზეც არ იმუშავო და „თბილისში ეთიმ-გურჯმაც არ გაჯობოს". შენ ხომ თვითონ იცი მშვენივრად, რომ თუ არ იმუშავე ლექსზე, სრულყოფილ პოეზიას ვერ შექმნი. ლაპარაკია სრულყოფილ პოეზიაზე და არა კარგ პოეზიაზე. ტიციანის ლექსები ხომ არ მიგიღია სახლიდან? „ჩემო ლექსებოს" ტიციანის სუნი უდის. უკეთ ვთქვათ. ორ უკანასკნელ კუპლეტს უდის ტიციანის სუნი. ეს ლექსი კარგი რამ

ეროვნული ბიბლიოთეკა

არის. მე ხშირად ვკითხულობ დიდის სიამოვნებით და ერთადერთი დეფექტი, ჩემის აზრით, მდგომარეობს იმაში, რომ ამაყია. თავმდაბლობა პოეზიის გვირგვინია, თუმცა კი სიამაყე, — საკვირველია, მაგრამ ეს შენიშვნა ჩემი პირადი განწყობილებიდან გამომდინარეობს, და როგორც კრიტიკულ ვარიაციას, ფასი არა აქვს.

შენი წერილები მომდის, მაგრამ ლექსებს კი არ მიგზავნი. რაშია საქმე? ველი. შენ მეტი საშუალება გაქვს. მე აქ ხანგრძლივი სტუმარი ვარ, მწერე და შეძლებისდაგვარად მეც მოგწერ ხოლმე. ოფიციალური ფოსტით ვერაფერს გავხდი, ეტყობა არ გაძლევენ წერილებს და კიდეც თუ გავხდი რასმე, მოკითხვის მეტს ხომ ვერაფერს მივწერთ ერთმანეთს.

ვამთავრებ. მომიკითხე ვახტანგი, ალე და ყველა ქართველი. ხო, თუ გაქვს და შეიძლო, როგორმე ცოტაოდენი ფული მომაწოდე. შალვას უგულითადესი ქართული სალამი და საუკეთესო სურვილები.

აბა, იყავი მაგრათ და იფიქრე, იქნებ 407 ბანაკში წამოხვიდე. ბორისა აქ საჯარიმოზეა. ვეშველები რითაც შემიძლია, ხან ფული, ხან თამბაქო და ხან კიდევ რაღაც-რაღაცეები.

იცოცხლე. სწერე.

გიგზავნი სურათს.

ჭაბუა.

27 სექტემბერი, 1955

ძმაო ვალოდია!

მოდის კაცი სანახევროდ ჭკვიანი, ვსარგებლობ შემთხვევით, გწერ ამ ბარათს.

უპირველესად ყოვლისა მოგილოცავ განთავისუფლებას, რაშიაც, რამდენადაც ვიცი შენი საქმე, ეჭვი აღარ მეპარება, ბევრი წამება გამოგივლია, მაგრამ გეღირსა, როგორც იქნა. ეხლა კი ჩააწევ შენ ცოლშვილთან და დედმამასთან. ხედავ, როგორ მეხვევით დაგეცა თავისუფლება?ბედნიერი ხართქო, რომ გითხრა, არ ვიქნები მართალი, ვინაიდან ბედნიერ ადამიანად ვერ ჩაითვლები მაგოდენა დავიდარაბის გადამტანი, მაგრამ უდაოთ სასიხარულო ამბავია, რაც მთავარია თავისუფლდები სახლში დაბრუნებით და თითქმის რეაბილიტაციით, სრული იმედი მაქვს, რომ მალე წავიკითხავ შენს თხზულებებს ბეჭდვით სიტყვაში. წარმოდგენილი მაქვს რა განუზომელი სიხარული ტრიალებს ამჟამად შენს ოჯახში. ალბათ უკვე დასახვედრადაც ემზადებიან. სრულდება ამდენი წლის გამონატანჯი ოცნება. ცოლი, შვილი, დედ-მამა, ძმა, მეგობრები და ნაცნობები. დასასრულ და უმთავრესი — მშობლიური ცა და ჩვენი შფოთიანი დედაქალაქი. ყველაფერი ეს ისეთ გრძნობებს იწვევს ადამიანში, რომ ეთიმ-გურჯის ლექსის მშვენება და სულის სინაზე ჩვეულებრივი მოვლენაა. ასეთმა განცდებმა მგოსანს ის სტრიქონების მწყობრი უნდა გადმოაღვრევიოს, რომლის სწორი პოვნა მის დანარჩენ შემოქმედებაში ძნელი-ღა უნდა იყოს. გილოცავ, ჩემო ძმაო, გილოცავ წრფელი, ალალი გულით და გისურვებ, რომ ხნითა და გამოცდილებით გამდიდრებულმა სიცოცხლე უძღვნა მუზას და პატარა სამშობლოს.

მოლოდინი ძნელია, მაგრამ ისე გაირბენს დრო განთავისუფლების დღემდე, რომ ვერაფერს გაიგებ. ლოდინი ჩვენი ხვედრია და ამ უკანასკნელ ლოდინსაც აიტან როგორმე.

მივიღე შენი დიდი წერილი და თოთხმეტი ლექსი. მადლობას გიძღვნი, ორმაგ მადლობას. იმისთვის, რომ არ მივიწყებ და იმისთვისაც, რომ ასე კარგად სწერ. „პატარა ჩიხში“ ზეპირად ვისწავლე. ეს ლექსები უხარვეზოა. გადამეტებულათ ნუ ჩამითვლი, მაგრამ ჩემის აზრით ეს ლექსი სრულქმნილი რამ არის, „ის ამერიდა“-ზე ძლიერია უდაოთ და საერთოდ რაც კი წამიკითხავს ან გამიგონია შენი მცირე ფორმის ნაწარმოებთაგანი — ასეთი არცერთი არ არის. დანარჩენი ლექსები კარგია. ყველა თითქმის ერთი ღირსებისაა და

ეროვნული ბიბლიოთეკა

მათი წამკითხავი მხოლოდ იმას იტყვის, რომ თვალნათლივ იზრდება შენი სულიერი კულტურა, ვაჟკაცდება და საძირკვლიანდება შენი ტალანტი. „ციმბირი“ — ორიგინალურია. „მერცხლები“ და „მზესუმზირებთან“ ღრმააზროვანი, კარგათ გამიზნული ნაწარმოებებია. „მთები შავ ზღვასთან“ ძლიერ საინტერესო რამ არის. მართალია პეიზაჟის პათეტიკა ვაჟასაც მაგარი აქვს, მაგრამ „მთები“ რაღაც თავისებურ სულს ატარებს. კარგია ძლიერ. ერთი შემჩნევა მაქვს. ჩემის აზრით უმჯობესი იქნებოდა „ტროა“ ეწეროს ასე: „ტროია“. რითმა არ ირღვევა და ალბათ უფრო სწორი იქნება. „ პატარა ჩიხში“ როგორც ზემოთ ვწერ, ზეპირად ვისწავლე, მაგრამ ერთი ცვლილებით, მე ვამბობ „შეგაკრთოს“ და არა „დაგაკრთოს“, როგორც ეს დედანშია (ბოლო სტროფის პირველი პწკარი), თუმცა კი ისეც სწორია და ასეც.

ერთი სიტყვით ამ ლექსებმა ძლიერ გამახარეს და სიამოვნება მომგვარეს: უწინ რომ ვკითხულობდი ან ვისმენდი შენს ლექსს,უეჭველად შემერჭობოდა ხოლმე ორიოდე ხიჭვი, რომელთა შესახებაც ან გეტყოდი ხოლმე, ან არა. აქ კი სიგლუვე, სისწორე ახასიათებს ლექსს. ეს იმას ნიშნავს, რომ გაცილებით უკეთესად დაიწყე წერა.

ეხლა ორიოდე სიტყვა ჩემს შესახებ. ეს დავიდარაბა მე არ მეხება. არცერთი ბრძანებულება არ ვრცელდება ჩემზე და აქტიროვკის საქმე ისევ არარაობისაკენ წაიღრიჯა. მოკლეთ, უნდა ვიჯდე ჯერჯერობით. ალბათ არ სურს განგებას. დასწყევლოს ღმერთმა! თუ ასეა, ვიჯდები და ის იქნება, იქამდე, სანამ ან მე მომბეზრდება და ან ამათ. წერის გუნებაზე სულ არა ვარ. ცოტას ვწერ ძლიერ, მაგრამ მაინც ვწერ. რამოდენიმე სახის მუშაობას ვეწევი. კერძოთ: ორ თემას ვამუშავებ თეორიული ხასიათისას კინოდრამატურგიის გარშემო, უთუოდ ჩემთვის საკუთრივ, ზოგიერთ აზრებსა და დასკვნებში განმტკიცების მიზნით. სცენარის საქმეს მოვაჯანჯლებ ნელნელა. პორტრეტებს ვწერ — ამასაც ნელნელა, ზლაზვნით. ამჟამად ჩემს მთავარ სამუშაოს წარმოადგენს ქრონიკებისა და ზოგიერთი აზრების ფიქსირება. ესაა მასალა იმისა, რის დაწერასაც ვფიქრობ მომავალში. მეშინია ჯერ ამაზე ლაპარაკი. საერთოდ კი ისეთი გრძნობა მაქვს, რომ უახლოეს თვეებში რაღაც, ჩემის აზრით მნიშვნელოვანი უნდა დავწერო. აუწერელი სურვილი მაქვს მუშაობისა, მაგრამ ძლიერ ნერვებაშლილი ატმოსფერია. შენ თვითონ გაიგებ რა მიზეზითაც.

ამ დღეებში მივიღე როდამის წერილი და ორი ფოტოსურათი. ერთზე გადაღებულნი არიან მანანა ქიქოძე, გერონტის ქალიშვილი, ნათია და როდამი, მეორეზე ნათია და მანანა. ჩინებული სურათებია. გადაიღეს მოსკოვში. ქალბატონი მანანა გერონტიევნა ხომ ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატი გახლავთ და დრეზდენის გალერეის სურათების დასათვალიერებლად წასულა მოსკოვში მივლინებით, ნათიაც წაჰყოლია და ერთი თვე როდამთან უცხოვრიათ. როდამი პირდაპირ აღტაცებულია და ისეთ წერილს მწერს, ვერ წარმოიდგენ. როდამის სცენარი ჯერაც არ გადაუციათ წარმოებაში, აქამდე სასცენარო განყოფილებაში დევს, მაგრამ როგორც წერილიდან ვგრძნობ, მალე დაამტკიცებენ.

ძმაო ვალოდია! ორი სათხოვარი მაქვს შენთან, პირველი ის, რომ განთავისუფლების წინ თუკი რაიმე ქართული ან რუსული წიგნები გამოიმეტო, გამომიგზავნე ნათხოვრობის სახით. და თუ ღმერთმა ჩემი განთავისუფლებაც ინება, უკლებლივ ჩამოვიტან თბილისში და დაგიბრუნებ. მე მგონია არ დამიკავებ. თემატიკას მნიშვნელობა არა აქვს. რამდენადაც ვიცი ერთი ტომარა წიგნები გაქვს, — მოიღე მადლი. მეორე ისა, შენი მისამართი არ ვიცი, — თბილისის, — და თუ შენთვის მძიმე არ იქნება მინდა ხანდახან თითო-ოროლა პწკარი გამოგიგზავნო ხოლმე. ამიტომ გთხოვ მომწერო მისამართი. თუ კი ამ ჩემს

ეროვნული ბიბლიოთეკა

სურვილებს დააკმაყოფილებ, დიდათ მადლიერი დაგრჩები. გადმოგზავნა ყოველივე ამისა ადვილია მგონი, ვინმე წამომსვლელის თუნდაც მოქალაქის ხელით.

აბა, იყავი ჯანმრთელად, მხიარულად, შენთან ერთად ვხარობ შენს სახლში დაბრუნებას. იქნებ ინებოს ღმერთმა და შევხვდეთ ერთმანეთს სამშობლოში. ვიმედოვნებ, რომ მოინახულებ ჩემს დედაბრებს თბილისში, ბარნოვის 67. თუ ძმა ხარ, მოსკოვში შეიარე როდამთან, ძლიერ გაუხარდება Проезд Мхата 2кв. 20. პორტრეტები წაუკითხე თუ გაქვს.

შენი ძმა ჭაბუა.

4 ივნისი, 1956

სალამი და გამარჯობა, ძმაო ვალოდია!

მოულოდნელად მივიღე შენი წერილი. მოულოდნელად იმიტომ, რომ არა ვიცოდი რა შენი ასავალ-დასავალისა. ზოგი ამბობდა, რომ განთავისუფლდი, ზოგი — ჩუკშაზეაო. ერთი პატარა ბარათი გამოგიგზავნე იქ და როგორც ჩანს არ მიგიღია, ან სახლში გაასწარი.

გმადლობ, ძმაო, რომ არ დამივიწყე და მომწერე. კარში გასული ხალხი გულგრილობას იჩენს დარჩენილებისადმი და ეს მოვლენა არამც და არამც არ არის სასაყვედურო. თავისებური ახსნა აქვს ამას და ჩინებულად მესმის ყოველივე.

მე მგონი უნდა დამიჯერო, რომ შენმა განთავისუფლებამ და შემდგომმა წარმატებამ ძლიერ გამახარა. რახან კავშირში აღუდგენიხართ და გამოქვეყნების საქმე მოწესრიგებულია, მომავალიც რიგიანად უნდა წავიდეს, ხოლო ჯდომას ნუ ინანებ, ყოველი ჭირი უდაოდ მარგებელია, თუ კი კარგად დამთავრდება. თუმცა ბევრმა წამებამ და ვაებამ გადაიარა შენს თავს, — არაფერია, ცხოვრება ნახე და ხომ თითონ იცი, ხელოვნების დიდი რამ არის ეს. ჩემის აზრით ყველაზე უარყოფითი მემკვიდრეობა — აქაურობის მიერ დატოვებული, — ვიპერტონია არის. რას სჩადის შენი წნევა? თუმცა კი ამაზე ნაწილობრივ დამშვიდებული ვარ, ხომ ბოლო დროს დაიწია და ეხლა, ასეთი დიდი ცხოვრებითი გარდატეხის შემდეგ და ამასთან დაკავშირებული ნერვიული გადატრიალების შედეგად, მგონი სულ უნდა მოგეშვას.

ნეტავი შენ! ცხრა წლის ვაჟკაცი დაგიხვდა და ყელზე მოგეხვია. ცოლი, დედ-მამა, ძმა, ამხანაგები, მეგობრები!.. პერსპექტივები და ა. შ. გისმინა ღმერთმა და დაგაბრუნა სამშობლოს მიწა-წყალზე. ეხლა აღარაფერი გიჭირს, ნიჭისა და მხნეობის ასპარეზზე ხარ გასული. ცხოვრება დოღია, შენისთანა მხედარმა უნდა ჩამოიღოს თასი ყაბახზე, ყველაფერი გაგაჩნია საამისოდ.

ყოჩაღ, რომ მისულხარ ჩემს დედაბრებთან. წარმოიდგინე, ექვს თვეზე მეტია წერილი აღარავისთვის მიმიწერია, გარდა როდამისა. სიზარმაცის შედეგი არ ყოფილა ეს, — ასე მოიტანა ცხოვრებამ.

რაც გაგშორდი, მას შემდეგ რამდენიც შესაძლებლობა გამოჩნდა განთავისუფლებისა, ყველამ გასწვრივ ჩამიარა. ჩვიდმეტი სექტემბრის ამნისტია არ შემეხო. არც სამი სექტემბრისა. პირველი აქტიროვკით სასამართლომ არ გამანთავისუფლა შეცდომით, ამიტომ მეორედ შემიდგინეს აქტი და ამჟამად ისევ სასამართლოს ველი. მაისში უზენაესი საბჭოს კომისიის წინაშე წარვდექი, — უარი მითხრეს. მრჩება ერთადერთი შესაძლებლობა, — ხელმეორედ სასამართლო და, როგორც ეტყობა საქმეს, ვერც ამით ვიხეირებ რასმე. ერთი სიტყვით, ვერლავეს საქმე, მაგრამ ჯანდაბას ყველაფერი, — „რაცა ვისცა ღმერთმა მისცეს, დასჯერდეს და მას უბნობდეს“, — ო. სწორედ ამდენი მარცხია ზედიზედ დამნაშავე იმაში, რომ წერილებს აღარ ვწერ ჩვენებს. ამდენ გულისხმიერებას მე ვეღარ ვუძლებ და მაგ მოხუცებმა როგორღა უნდა აიტანონ? არადა, როდემდის შეიძლება იმე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დებით საზრდოობა?! ვათავებ წუწუნს, თავი მოვაბეზრე ალბათ, ახლა, ცოტა-ოდენი ჯანმრთელობის, სულიერი განწყობილებისა და საქმიანობის შესახებ.

ცალი ფილტვი გაბერილი მაქვს — ხელოვნური პნევმოტორაქსი. ამას წინათ ოსეტროეოში, სადაც სახელმწიფო კომისია იყო, დასწყევლოს ღმერთმა, დამინიშნეს პნევმოტორაქსი მეორე ფილტვზეც, — არ გავიკეთე. პირადად მე არავითარ ავადმყოფობას არ ვგრძნობ გარდა ხველებისა. თუ გაჭირდა, იმდენი ჯანმრთელობა და ძალღონე კიდევ მაქვს, რომ ჯიშიან ბულას კისრულზე წამოვიღებ. სულიერი განწყობილება — არ შეიძლება ითქვას, რომ სულდაცემული ვარ და მხნეობამ მიმტყუნა, მაგრამ უნდა ითქვას, რომ გუნებაზე ვერ გახლავარ რიგიანად. ან საიდან უნდა ვიყვე მხიარულად, როცა ქვეყანა თავისუფლდება, — მე აქა ვყურყუტებ და ისეთი არავინ არის, რომ ხმა გავცე. ჩემი ერთადერთი სიხარული და შვება წერაა. როგორღაც ვახერხებ სინამდვილიდან ფსიქიკის გამორთვას და ვწერ ძლიერ ბევრს, შეუნელებლად, მაგრამ ყოველივე ამას უფრო ძიების ხასიათი აქვს, ვიდრე შემოქმედებისა.

რაც გაგშორდი, სულ ერთსა და იმავეს ჩაგჩიჩინებ — სცენარსა ვწერ. მაგრამ სცენარის დაწერაში რომ იყოს საქმე, ისეთი სცენარის დაწერაში, როგორიც დღევანდელ კინო-ხელოვნებაშია გაბატონებული,—რა ხანია დავამთავრებდი. საქმე ისაა, რომ ისეთი სცენარის დაწერა განვიზრახე, რომელიც უპირველესად ყოველისა მხატვრული პროზა იქნება და არა კინო-დრამატურგიული ნაწარმოები, რომელიც არამც და არამც არ წარმოადგენს მხატვრულ პროზას, იმ ნაწარმოებს, რომელზედაც ვმუშაობ ამდენ ხანს, ვუყენებ შემდეგ მოთხოვნებს: **ნაწარმოები უნდა იყოს მხატვრული პროზა, აგებული კინო-დრამატურგიის კანონების საფუძველზე, შეთანხმებული სასცენარო ხელოვნების ყოველგვარ მოთხოვნებთან, ოღონდ უპირველესად ყოველისა მხატვრული პროზა, საინტერესო საკითხავი და არა სცენური მშრალი მონტაჟი.** ამ საქმეს უწინარეს ყოველისა სჭირდება ცოდნა, როგორც პროზის თეორიული საფუძვლისა, ისე საერთოდ დრამატურგიისა და კერძოდ კინო-დრამატურგიისა. როდესაც ყოველივე ეს კარგად იქნება შესწავლილი, ამის შემდეგ იწყება ფორმის ძიება, ხოლო ეს უკანასკნელი კი, როგორც მოგეხსენება, იდეურ-მხატვრული პრინციპებიდან, სხვაგვარად, სტილიდან უნდა გამომდინარეობდეს. აი, მოკლედ და ბუნდოვნად იმ მუშაობის შესახებ, რომელმაც წელიწადზე მეტი შეჭამა, მაგრამ აქვე უნდა დავსძინო, რომ ეს პრობლემა მგონი დავძლიე. მგონი-მეთქი, გესმის? იმიტომ ვამბობ მგონი-მეთქი, რომ კრიტიკის აზრია გადამწყვეტი და არა ჩემი რწმენა, თუნდაც ფეხმოუცველელი, ქვემოთ მომყავს ერთი ეპიზოდი, და მხოლოდ იმისთვის, რომ მივიღო შენი აზრი შეკითხვაზე: **არის თუ არა ეს მხატვრული პროზა და უახლოვდება თუ არა ნოველას?** რაც შეეხება კინო-დრამატურგიულ მხარეს ამ ეპიზოდისა — ეს სხვა საქმეა და მგონი, რომ ვერავინ მომდებს შარს. შეძლებისა და ცოდნისდაგვარად ყოველივე დაცულია, დაწყებული კომპოზიციიდან დ დამთავრებული დიალოგის სპეციფიურობით. ტექსტის დანაწევრება—დააბზაცება გამომდინარეობს ხედვითი სურათების ცვლიდან, ანუ: ინტერვალი ნიშნავს ხედიდან ხედზე გადასვლას. მაგალითად: საერთო ხედი, საშუალო ხედი და მსხვილი ხედი — ვიწრო ხეობა, მდინარის ნაპირს მოჰყვება მხედარი, — ეს იქნება საერთო ხედი. მხედარმა ხელი მოიჩრდილა და ფერდობებს ახედა, თავჩაქინდრული ცხენი დაღლილი, მძიმე ნაბიჯით მოემართებოდა. — ეს იქნება საშუალო ხედი. მხედარმა ჩოხის კალთით შეიმშრალა ოფლი, — მტვერი აიგლისა სითხეში და ლაქა დაამჩნია საფეთქელს ქვემოდან. — ეს იქნება მსხვილი ხედი. თუმცა ნაჩქარევია ეს მაგალითი, მაგრამ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მგონი გასაგებია, თუ რისი თქმა მინდა. ინტერვალს ვაკეთებ აგრეთვე იმ შემთხვევაში, როდესაც მიზანსცენა ან მსახიობების განლაგება, ან აპარატის ხედვის წერტილი იცვლება. თითონ შინაარსი უნდა ამბობდეს, რომ სურათს, პერსპექტივას ვცვლი. აბზაცს ვუკეთებ ისეთ შემთხვევაში, როდესაც მიზანსცენა იგივე რჩება, ოღონდ აპარატი ან მსახიობი მოძრაობს — ამას ვუწოდებ დათვალიერების ხერხს ნუ ვქმნი მკითხველის ფსიქიკაში მოძრავ პერსპექტივას ან მოძრავ მოქმედ პირს. დასასრულ: თავადაც შეამჩნევ, რომ ეპიზოდი სხვა არა არის რა, თუ არ სურათების მწყობრი. ავტორისეულ რემარკებს და ფსიქიურ ანალიზს მივმართავ იმიტომ, რომ მკითხველისთვის (ასეთი ნაწარმოების მკითხველი მაყურებელი უფრო უნდა იყოს) ცხადი გახდეს კავშირი ფსიქიურ პროცესებსა და მოქმედებას შორის. ერთი სიტყვით, მომყავს ეპიზოდი:

„კვლავინდებურად გიზგიზებდა კოცონი სათევზაო ხარაჩოსთან ცოქალას ეზოში. მკრთალი ოქროსფერი ედო ფოთლიანს. ცეცხლთან ცოქალა ტრიალებდა. კაკლის ქვეშ პაპა და ჯალილი უსხდნენ სკამ-მაგიდას.

ქვაბი თუხთუხებდა სამფეხზე. ნერგის წნელის ლასტი ეჭირა ცოქალას ცალ ხელში, მეორეთი მდულარედან ციცხვით ამოჰქონდა მოხარშული ციმორები და ლასტზე ალაგებდა მწკრივში. მოყვითალო სინათლე თრთოდა კაბის ნაკეცებსა და შინდისფერ თმაზე. კატა ბორგავდა ირგვლივ, კანტი-კუნტი წამოკნავლებით ემუდარებოდა პატრონს საჭმლის მოწილადებას. მაგიდაზე გადაფარებული ქათქათა სუფრა მწვანილს, ლანგრებს და ღვინის ჭურჭელს აეჭრელებია საამურად. გრძელყელიან, ტანწერწეტ სურას საფერავში ამოვლებული ხელადა გამოჰყურებდა მოხატული ლამბაქიდან და გულიანად ეპატიჟებოდა ფერხთით მილაგებულ ყანწებს, ფიალებს და ორთომელებს. თურაშაულებს, გულაბებს და წითელლოყა წვნიან ატმებს დაეზნიქათ ლანგარი. ვეება ნაგაზს ცეცხლზე მიეფიცხებია ზურგი და ჭკვიანი თვალებით შეჰყურებდა მოსაუბრეებს.

— ყველაფერი ალლაჰისაგან, მოდის, ბერიკასო! — დაასკვნა ჯალილმა.

მისი კილო და იერი მაღალ ღირსებას, თანამოსაუბრეზე უდაო აღმატებას მოწმობდა. მან მოწყალედ შეჰღიმა პაპას, როგორც, მისის აზრით, საჭირო იყო ამ შემთხვევაში, და ფეხების შეკეცა განიზრახა აღმოსავლურ ყაიდაზე, მაგრამ გამკეთებელს ამგვარი ჯდომისთვის არ გაუთვალისწინებია სკამი. პირველ უშედეგო ცდას მეორე და მესამე მოაყოლა, ხელებიც კი მოიშველია, მაგრამ რამდენჯერაც სცადა ამ სურვილის აღსრულება, იმდენჯერ წონასწორება დაკარგა და ძლივს შეიმაგრა სკამზე თავი. უკმაყოფილებამ აუბრიცა სახე. მუხლები დაეღალა, შეურიგდა მდგომარეობას და კვლავ ქვე ჩამოუშვა ფეხები. პაპა კი ცივი, თანაგრძნობას მოკლებული თვალით შეჰყურებდა სტუმარს, სადღაც სახის კუნჭულებში ოდნავ შესამჩნევი კმაყოფილების ღიმილიც კი მიმალვოდა.

— ვალლაჰ, ჯიუტი ხალხი ხართ ქართველები! — წარმოსთქვა ჯალილმა გაღიზიანებით, — ათასი სელისადია ვერაფერმა ჩამოგიყვანათ გიაურული კუნზებიდან ისლამის ბალიშებზე, — მან ისე გადაუქნია პაპას თავი, როგორც უხეირო შეგირდს.

—ყველაფერი ღმერთისაგან მოდის, ეფენდი! — მიუგო პაპამ და კრიალოსანი ჩააჩხრიალა.

ცოქალამ მაგიდაზე შემოდგა თევზით დატვირთული ლასტი და სუფრის მოწესრიგებას შეუდგა. ჯალილმა უკმაყოფილოდ შეათვალიერა სუფრა. დარწმუნდა, რომ მაგიდაზე უპირებდნენ გამასპინძლებას და არა ხალიჩაზე, მაჰმადიანური წესით, და პაპას მიმართა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მაჰმადის სიბრძნით განათლებულ კასს ესეთი გამასპინძლება არ შეჰფერის, ბერიკასო!

ღიმილმა გამოჟონა თურქის სახეზე, საფუძველს მოკლებული საყვედურის შესარბილებლად. მაინც სიცივის სუსხი დახვდა პაპას თვალებში. ჯალილმა მყისვე მოსწყვიტა მზერა ბერიკაცს. საქციელი წაუხდა. მერე მოაგონდა ალბათ, რომ არისტოკრატს მდაბიორის წინაშე საბოდიშო არაფერი ჰქონდა, ხელი ნიადაგს დააშვირა და წარმოსთქვა:

— აი, აქ! ხალიჩა, ბალიშები, დასტარხანი... ჩვენი ადათ-წესით!

პაპამ დინჯად გადაიქნია თავი და წყნარად უპასუხა სტუმარს:

— ჩემს ახალგაზრდობაში მრავალჯერ ვიმოგზაურე თქვენს ქვეყანაში. არსად მომითხოვია ქართული ადათ-წესით დახვედრა, არც მუსულმანური ხალიჩის ქრისტიანული მაგიდით შეცვლა მომითხოვია არასოდეს.

მღელვარება დაეტყო მოხუცს, ცოქალაც მეტისმეტად შეაძრწუნა სტუმრის კადნიერებამ, მაგრამ როდესაც პაპამ საკადრისი პასუხი გასცა და ჯალილს მთლად წაუხდა საქციელი, სტუმართმოყვარეობის გრძნობამ სძლია გოგონას აღშფოთებას. მან ეშხიანად, დამატყვევებლად გაუღიმა თურქს, შარბათით სავსე სურით სასმური შეუვსო და მორცხვად მიმართა:

—სტუმრისთვის მასპინძლის გულთბილობაა მთავარი. მიირთვით, სუფრა დაგვილოცეთ.

ეს ღიმილი და გულღია, ალერსიანი ხმა კლდეს გაალღვობდა და მოხიბლული თურქის გული როგორღა წინაღუგებოდა, როცა უამისოდაც გააფთრებით ეძებდა მისი გონება შექმნილი უხერხული მდგომარეობიდან რაიმე გამოსავალს.

— ვალლაჰ, სოდვაში შემიყვანს ჩემი მზეთუნახავი მასპინძელი! — მსუბუქად გაიღიმა ჯალილმა და ალმაცერად ჩახედა ცოქალას მიერ შეთავაზებულ შარბათს. — ყურანი მაგარ სასმელს უკრძალავს ალლაჰის მრევლს. — დაამტკიცა მან თითქმის სიხარულით, რომ ასე უცბად და ადვილად მოხდა დაძაბულობის შენელება, სასმისი ასწია და დაელოდა, სანამ ცოქალა ყანწს გაუვსებდა პაპას საფერავით. გოგონამ მხარი აუბა გამხიარულებულ სტუმარს და კისკისით გამოელაპარაკა:

— შარბათია, ეფენდი, თქვენი სასმელი!.. ხედავთ, ჩვენი ღმერთი თქვენსაზე გულკეთილი და მოწყალეა, ღვინის სმის უფლებასაც აძლევს თავის მრევლს და შარბათისასაც. აი, მეც დავლევ თქვენებურ შარბათს! — მან ხელადა დადგა და ცოტაოდენი შარბათი დაისხა შუშის წელიან ორთომელაში.

— შეგვიწყალე უფალო!.. — წარმოსთქვა პაპამ, პური გატეხა და ყანწი მიიტანა პირთან.

— ო, ალლაჰ! — წარმოსთქვა ჯალილმა და შარბათს დაეწაფა.

ცოქალამ შარბათი მოსვა, ორთომელი დასდგა, ინტერესით ჩაათვალიერა ჯერ პაპა, მერე სტუმარი და მიწისკენ ჩაჰხარა თვალები.

კინკრიხოზე წამოსკუპებული ფისო აჰყურებდა ცოქალას თავის ულუფის მოლოდინში. ნაგაზს რატომღაც მოალერსება მოესურვა და მისკენ წამოიწია. მტრობისა არა ეტყობოდა რა, მაგრამ კატუნიას არაფრად ეჭაშნიკა ნაგაზის მოახლოება და ფრთხილად გაერიდა იქაურობას.

ჯალილმა გუდის ყველს ნედლი ტარხუნა ჩააყოლა, ლუკმა გადაყლაპა და მოსვლის მიზეზის გამხელა განიზრახა.

— იმას ვამბობდი, ბერიკასო, — დაიწყო მან, — ყველაფერი ყოვლისშემძლე ალლაჰისაგან მოდის. გადავსყვიტე, შენი შვილიშვილი შევირთო! — ეტყობოდა, დაუყოვნებელ თანხმობას მიიღებდა. ცოქალას კინაღამ ხელიდან გაუვარდა პაპას ყანწის შესავსებად გაწვდილი ხელადა და ალმაცერად გაჰხედა სტუმარს. — მზითევზე ზრუნვა არ მოგიხდება,.. მაჰმადის სიბრძნე კიდევას კარგ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ურვათს მოგსემს. გულუხვი კასი ვარ, მოვრიგდებით. სინ ხომ არაფერი უდგას ალლაჰის ჩაგონებულ გადასყვეტილებას?

პაპამ სიმშვიდე შეინარჩუნა.

— არაფერი... გარდა ღმერთის მიერვე შვილიშვილისათვის ჩაგონებული გადაწყვეტილებისა. — მიუგო სტუმარს.

— ქალი?! ქალს რა ესაქმება, ბერიკასო?! როგორც მამაკასები მორიგდებიან, ქალის ისე უნდა მოიქსეს! — აღშფოთდა ჯალილი.

პაპამ გაიღიმა და უპასუხა:

— ჩვენი ადათის მიხედვით, ქალსაც უსათუოდ დაეკითხებიან, ჯალილ-ეფენდი! აქა ხართ ორივენი. შეეკითხეთ! — ღვინო მოსვა მოხუცმა და სახეალეწილ შვილიშვილს შეხედა.

•

დაუძლეველი დაბრკოლების წინაშე ამოყო თავი ჯალილმა. მიხვდა, რომ ამ პირობას ვერაფერი მანქანებით ვერ აუხვევდა გვერდს. ააფორიაქა ქალთან ამგვარ თემაზე გასაუბრების პერსპექტივამ. ამ მაჰმადიანთათვის არასაკადრისმა შესაძლებლობამ თავმოყვარეობა შეულახა. მან მკვახე მზერა ესროლა ცოქალას და იმდენად უყოყმანო უარი დახვდა დიდრონ თვალებში, რომ უფრო მეტად გაწიწმატდა... ბრძანების ჟესტით გაუწოდა სასმისი შარბათით შესავსებათ. ამ საქციელში გამოხატა მან ქალის სურვილისა თუ უარყოფისადმი გულგრილობა, უმნიშვნელობა დიაცის აზრისა და რწმენა, რომ სრულიად საკმარისია უბრძანო ქალს და იგი უეჭველად დაჰყვება მამაკაცის სურვილს... ცოქალამ ქვეცნობიერად აღასრულა სტუმრის ნება, სურა აიღო, სასმურზე დაუმხო, მაგრამ არც თვალი მოუწყვეტია ჯალილასაგან და არც მრისხანება შემცირებულა მის გამომეტყველებაში. მორჩილება კეთილის მომასწავებელ ნიშნად ეჩვენა ჯალილს. გაიფიქრა, რომ ახლა კი დაყვავება იყო საჭირო დადებითი პასუხის მისაღებად და კადნიერი, ჯიუტი გამომეტყველება თოვლივით შემოადნა სახეზე. გაიღიმა, შარბათი მოსვა და რაღაც, გადამეტებული ალერსიანობით შეხედა ცოქალას. იმდენად აღაშფოთა გოგონა სტუმრის უღირსმა რეგვნულმა იერმა, რომ თვალი აარიდა და კვლავ ნიადაგს ჩააშტერდა.

ალბათ კეკლუცობაში ჩამოართვა ნაგაზმა ალერსის წეღანდელი უგულვებელყოფა ფისოს, რომ კვლავ განიზრახა თათის მოცაცუნება გაფუმფლულ კუდზე. ისევ გაიწია კატამ და როდესაც ნაგაზი არამც თუ დაცხრა, არამედ ახლა გრძელი, ხორკლიანი ენით დაუპირა გალოკვა, კადნიერებამ აღაშფოთა, აიწურა, კუდი გაბზიკა, ტანი მშვილდივით მოხარა და გადამჭრელი უარი მიახავლა ძაღლს. ეს კი აღარ მოეწონა ნაგაზს და პასუხად ღვარძლიანად შეჰღრინა. კატამ მარდად მოუცაცუნა თათი, ცხვირი მოაფხაჭნა ბრჭყალებით და თავს უშველა. ეტკინა ნაგაზს, მაგრამ ალბათ ეჭვი შეეპარა საკუთარ ძალაში, ერთი კი მიაყეფა გაქცეულ ციცუნიას, განზე გაძუნძულდა კუდამოძუებული, მიწაზე მოიფრთხნა და დაზიანებული ენით გაილოკა.

— ცოქალა-ხანუმ! ნუთუ უარს იტყვი ჩემისთანა ვაჟკაცის სოლობაზე? — მიმართა ჯალილმა მორჩილად, ალერსიანად. თავი არ აუღია ცოქალას. ჯალილმა კი უთუოდ გაძლიერება დააპირა ნათქვამისა და პათოსით დასძინა: — გიურჯისტანის სიმდიდრევ!

თურქი მოელოდა, რომ სითბო და ღიმილი მოედებოდა ცოქალას და როდესაც ღიმილი კი დაინახა, მაგრამ დაცინვისა, ხოლო სითბოს მაგიერ ყინვამ მოუსუსხა მოლოდინი, სასმისს დასწვდა და შარბათს დაეწაფა. მძიმე, უხერხული, სულის მკაწრავი სიჩუმე ჩამოწვა. გაუგებარი გრძნობა რაიმე მოქმედებას, ნაბიჯს, განყენებულ საქციელს მოითხოვდა ცოქალასაგან... მუქი-ქარვისფერი ლორით სავსე საინი მიართვა სტუმარს. ჯალილმა მირთმეულის მიღება დააპირა, ხელიც კი გაიშვირა საინისაკენ, მაგრამ უეცრად შედგა, ზიზღმა აუმღვრია თვალები. გულისრევამ

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახე დაუშრიტა და ცივად გააბრუნა ხელი. ცოქალამ საინს დახედა, მიხვდა შეცდომას. — მაჰმადიანები ღორის ხორცს არ ჭამენ, — განზე, მოშორებით დადგა საინი. საშინელებამ მოიცვა მისი არსება. ჯალილის სურვილის განხორციელების წამით დაშვებულმა შესაძლებლობამაც კი თავზარი დასცა გოგონას. იმდენი გულსაკლავი ამბავი ჰქონდა გაგონილი, საცოდავს, მაჰმადიანურ ქვეყნებში გატაცებულ-გაყიდული ქართველი გოგონების ტანჯვა-წამების შესახებ, იმდენი სევდა და ჩუმი ცრემლი მოადინა მას უბედურთა ბედისწერამ, ზამთრის გრძელ, მომქანცველ ღამეებში, რომ ეხლა, როდესაც უშუალოდ მას ეხებოდა განსაცდელი, სასოწარკვეთილებამ შესძრა მისი ფაფუკი სული. ცრემლი ჩაუდგა თვალებში. მშვენიერი, ნარნარი იყო იგი თავის უსაზღვრო ხედვაში.

ბულბულის სტვენა გაისმა ფოთლოვანიდან. პაპამ ყური მიუგდო და თავი გადაიქნია აღტაცებით, თითქოს ბულბულის გალობა უფრო მნიშვნელოვანი იყო ამჟამად, ვიდრე მის თვალწინ გაშლილი სურათი. ან იქნებ წინდაწინვე იცოდა დასასრული, დარწმუნებული იყო მტკიცედ, ურყევად, რომ შვილისშვილი სათანადო ძლიერებას გამოიჩენდა სულისას და თავისი ბერიკაცული სიცოცხლის უკანასკნელ წლებში რაიმე ახალის აღმოჩენას ლამობდა ბულბულის ჯადოსნურ გალობაში.

ველარ აიტანა სიჩუმე ჯალილმა. საამური განცდები წამებად ექცა. ძლივს ამოღერღა სათქმელი:

— მეტი რა გინდა, სოქალავ?! აბა! შემომხედე... გარეგნობა მაკლია, სახელი თუ შეზლება?.. ალლაჰის მადლმა, სოქალავ... სოქალა კი არა, ლეილა-ხანუმ უნდა გერქვას შენ! — ცოქალამ მკვეთრად მოაბრუნა თავი და თვალი გაუყარა თვალში, — ისლამის უნეტარეს სავანეში შეგიყვანს ჯალილა-ეფენდი...

— ისლამის სავანეში! — უნებურად გაიმეორა ცოქალამ.

— სიმდიდრეს და ფუფუნებას არ მოგაკლებ. ისპაანის, ბაღდადის, ისტამბოლის გვირგვინის ზურმუხტად გაქცევ, ხანუმ! მარგალიტის მარსვლით ფარშავანგებს და გედებს გამოგიკვებავ, სამოთხის ჩიტის ხორსით — ფინიებს. —ხავერდსა და ზოსეულს დაგიგებ ფერხთით. ოქრომკერდის ჩადრით შეგმოსავ. მზეთუნახავო!..

— ოქრომკერდის ჩადრით?!

— ლალ-იაგუნდით ასხმულ ოქრომკერდის ჩადრით!.. ისმინე ჩემი ფისი და სიყვარული... ვალლაჰ, სოლო ხარ, სოქალა-ხანუმ! ვინმე მასანსალას ხელში ჩავარდები...

□გაგრძელება იქნება□

ეროვნული ბიბლიოთეკა

მარო მაყაშვილის დღიური

მაროს სახელი ჩვენს ოჯახში იდუმალებით იყო მოცული და ამიტომ იგი ჩემთვის ახლობელიც იყო და შორეულიც... ზღაპრული, დედაჩემის საწოლთან ეკიდა მაროს სურათი, მისივე ხელით ნაქარგ ჩარჩოში. საწერ მაგიდაზე, ზარდახშაში, მაროს დღიურები ინახებოდა და კიდევ მისი მოჭრილი თმა. ეს იყო ჩვენი ოჯახის წმიდათა წმიდა რელიკვია. დედისაგან ანდერძადა მქონდა — ეს თმა მისთვის ჩამეყოლებინა საფლავში და ზარდახშა პირველად დედაჩემის გარდაცვალების შემდეგ გავხსენი. მაშინ წავიკითხე მაროს დღიურები და შევიგრძენი მისი გამორჩეული ბუნება, დავინახე სიცოცხლეზე უსაზღვროდ შეყვარებული 17—18 წლის გოგონა, ტოლ-ამხანაგების წრეში ჩაბმული, მხიარული და თავდავიწყებით მოცეკვავე. ამავე დროს, ჩემს თვალწინ გამოიკვეთა მისი მჭუნვარე სახე, სამშობლოს ბედზე სერიოზულად დაფიქრებული. ეს არის 1918—19 წლები და მთელი მაშინდელი პოლიტიკური ვითარება განცდილი და აღბეჭდილი ჯერ კიდევ გიმნაზიის მოსწავლე გოგონას მიერ.

მე იმ ამბებს არ შევსწრებივარ. ჩემს და-ძმებში ყველაზე უმცროსი ვიყავი. დავიბადე მაროს დაღუპვის შემდეგ და სახელად მეც მარიამი დამარქვეს. ჩემი მშობლები და ნათესავები ხშირად ამბობდნენ თურმე — ეს ბავშვი ჩვენს ნუგეშად დაიბადაო და ამიტომ საბოლოოდ სახელად ნუგეშა შემრჩა.

ახლაღა გახდა შესაძლებელი მარო მაყაშვილის სახელის ხმამაღლა ხსენება. ამ ბოლო დროს ჟურნალ-გაზეთებში დაიბეჭდა არა ერთი სტატია მის შესახებ. მაგრამ, ვფიქრობ, ზედმეტი არ იქნება ქვემოთ გამოქვეყნებულ დღიურს წაემძღვაროს მამაჩემის, კოტე მაყაშვილის მიერ დაწერილი მაროს მოკლე ბიოგრაფია:

„მარო მაყაშვილი დაიბადა 1901 წლის 25 მარიამობის თვეს. სწავლობდა თბილისის ქალთა ქართულ გიმნაზიაში,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომელიც დაასრულა 1919 წ. შემდეგ შევიდა ქართულ უნივერსიტეტში სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტზე. ბუნებით უხვად დაჯილდოებული, ცოცხალი და გამჭრიახი მარო ამასთანავე იყო მეტად მორცხვი, კდემამოსილი და გულკეთილი. ქართული ლიტერატურა ზედმიწევნით იცოდა. სწერდა მშვენიერის ქართულით და იმედს იძლეოდა, რომ ჩინებული მწერალი გამოვიდოდა მომავალში. სიკვდილის შემდგომ მას დარჩა ორი დიდი რვეული დღიურისა და პატარა მოთხრობები. ბეჯითად შეუდგა უცხო ენების (ინგლისურისა და ფრანგულის) სწავლას; აზრად ჰქონდა ზედმიწევნით შეესწავლა ეს ენები და კაზმულსიტყვიერების კლასიკური ნაწარმოებები გადმოეთარგმნა პირდაპირ დედნიდან. „შევარდენის“ საზოგადოების დაარსებას მარო აღტაცებით მიეგება. იგი ჩაეწერა შეგირდად. ამ საზოგადოების ავკარგიანობაში დაეჭვებულთ უპასუხებდა ლათინური ანდაზით: „ჯანსაღ სხეულში ჯანსაღი სულიაო“. სამშობლოს აღდგენის და ქართველი ერის კეთილდღეობის იდეით იყო მთლად გამსჭვალული. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ამ იდეისკენ იყო მიმართული მისი გონება და გული. იგი იყო მისი ოცნება და ცხოვრების მიზანიც. ამ იდეამ იმსხვერპლა კიდეც“.

ყველაფერი უეცრად მოხდა. როცა 1921 წლის თებერვალში საქართველოს რუსეთის მე-11 არმია შემოესია და **მის** თავისუფლებას დაემუქრა, უნივერსიტეტის რექტორმა ივანე ჯავახიშვილმა სტუდენტობას საბრძოლველად მოუწოდა. მოვიშველიებ ისევ შამაჩემის მიერ დაწერილ ბიოგრაფიას:

„ვერავითარმა მუდარამ, რჩევამ ვერ გასჭრა მაროზე. მე იქ უნდა ვიყვე, სადაც იღვრება სისხლი და ცრემლი თანამემამულეთაო. 17 თებერვალს იგი ჩაეწერა წითელ ჯვარში მოწყალების დად. იმავე დღეს სანიტარულ რაზმთან ერთად წავიდა კოჯრის ფრონტზე. 19 თებერვალს, საღამოს, მის გვერდით გამსკდარმა ყუმბარამ არც კი დააცადა უკანასკნელი სალამი ეთქვა სამშობლოსა მშობლებისათვის“.

მარო დაკრძალეს სამხედრო ტაძრის ეზოში, ფრონტზე დაღუპულ იუნკერთა საძმო საფლავის გვერდით, გალავანთან. სწორედ იმ ადგილას, სადაც 1989 წ. 9 აპრილის ტრაგედია მოხდა. მაროს დაკრძალვაზე მრავალი სიტყვა იქნა წარმოთქმული. ტიციან ტაბიძემ თქვა:

„წარმოუდგენელია მეტი მწუხარება, რასაც განიცდის დღეს ქართველი საზოგადოება ამ ტრაგიკული სიკვდილის გამო. ბევრი მებრძოლი მხედარი იმსხვერპლა ამ ბრძოლამ, ბევრს კიდევ იმსხვერპლებს, მაგრამ ასეთი უცაბედი სიკვდილი უფრო მტანჯველია მაინც. თითქოს სიწმინდემ აკურთხა პირველ უმანკო სისხლით ქართული ფრონტი და ისიც მარიამისა. სამშობლოს სიყვარული კიდევ ბევრ ლანდს გააჩენს ჟანა დარკისა და კიდევ მეტ სასწაულს პატრიოტიზმისას...“

მაროს ხსოვნას უძღვნეს ლექსები და წერილები ვალერიან გაფრინდაშვილმა, რაჟდენ გვეტაძემ, იოსებ გრიშაშვილმა, ვარლამ რუხაძემ, ალ. წერეთელმა და სხვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბავშვობაში დედას მივყავდი მაროს საფლავთან, მაგრამ იქ ჩვენ დიდხანს არ ვჩერდებოდით, რადგან ეს არ შეიძლებოდა. პოეტი ქ-ნი მაყვალა მრევლიშვილი იმ გიმნაზიის უმცროსკლასელი მოსწავლე იყო, სადაც მარო სწავლობდა (ახლანდელ შ. ჩიტაძის ქუჩაზე), მისი ნაამბობიდან ვიცი, რომ ის და მისი ამხანაგები ჩუმად მიდიოდნენ მაროს საფლავზე და ყვავილებს აწყობდნენ. ასეთი რამ სხვებისგანაც მსმენია. ჩემი უფროსი ძმა, შალვა, იგონებდა, როგორ მოვიდა ზაქარია ფალიაშვილი მამასთან სახლში და უთხრა — ჩემი ახალი ოპერის, „დაისის", გმირ ქალს შენი მაროს უკვდავსაყოფად მისი სახელი დავარქვიო. ესეც მაროს საფლავზე დადებული ყვავილი იყო.

დროთა დინებამ მაროს საფლავი წაშალა. მას შემდეგ დედას იმ ქუჩაზე აღარ გაუვლია. მოგვიანებით კოტე მაყაშვილისადმი მიძღვნილ ლექსში ი. გრიშაშვილმა გამოიტირა საქართველოს თავისუფლებისა და მაროს საფლავის დაკარგვა:

„... და ორი წელი დაგვრჩა იგავად,
ახლა სხვა დროა და სხვა ტაროსი,
გულიდან გრძნობა კვლავ აღიგავა,
როგორც საფლავი შენი მაროსი".

1924 წელს გაზეთ „ქართული სიტყვის" № 14-ში დაიბეჭდა წერილი „წიგნი მარო მაყაშვილზე", სადაც ვკითხულობთ: „მარო მაყაშვილის, პოეტ კოტე მაყაშვილის ასულის გარდაცვალებიდან 3 წლის თავზე გრ. რობაქიძის და ი. გრიშაშვილის ინიციატივით გამოვა წიგნი, რომელშიაც მოთავსებული იქნება მარო მაყაშვილის დღიურები, მოთხრობები და ლექსები დაწერილი მასზე". (სამწუხაროდ, ეს წამოწყება მაშინ არ განხორციელებულა. ამჟამად, პოეტმა და ჟურნალისტმა ნანა ღვინეფაძემ, რომელმაც არა ერთი წერილი უძღვნა მაროს ხსოვნას, გამოსაცემად მოამზადა ახალი წიგნი მარო მაყაშვილზე).

მაროს გარდაცვალების წლისთავზე მამაჩემმა, კოტე მაყაშვილმა, მის ხსოვნას უძღვნა ლექსი „ჩემს მაროს", რომელიც დაიბეჭდა 1922 წელს გაზეთ „პოეზიის დღეში". ეს ლექსი შემდეგ მისი ლექსების კრებულში არ შესულა (გასაგები მიზეზების გამო), მაგრამ ბევრი პატრიოტი ქართველის ხსოვნას შემორჩა პოეტის სიტყვები:

„არც სიცოცხლის, არც სიკვდილის აღარა მაქვს ხალისი,
თებერვალმა დამიზამთრა სამუდამოდ მაისი!

. . . . . .

დავიღალე... დავიჩაგრე... და შენი ვარ მხმობელი
ჩემო გმირო და წმინდანო გამამხნევე მშობელი!
სამშობლო, თუ შენ — რომელი, ახ, ვიტირო რომელი?!
დავდნი ცრემლად ორივესთვის, სხვათა ცრემლთა
მშრობელი!"

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაზაფხული

დიდი ძილის შემდეგ ამოჰყო მზემ თავი, თვალები დაისრისა, ზარმაცად გადმოხედა დედამიწას და გაიფიქრა: „ნეტარას აკეთებენ იქ, დიდი ხანია, არ ჩამიხედნია“. დედამიწამაც იგრძნო სითბო და ნელ-ნელა გადაიხადა თავისი თბილი საბანი. აჩუხჩუხდნენ რუები, აღელდნენ ხეები მოუთმენლად ელოდნენ თავიანთ კეკლუც კაბებს. ცამაც გადაიფარა ცისფერი სარტყელი. გაცოცხლდა ბუნება და გააცოცხლა სულდგმულიც. ჭიალუამ აიდგა ფეხი და მუშაობას შეუდგა. ფრინველები თან და თან იკრიბებიან შორეული ქვეყნებიდან და ერთმანეთში ჭორიკანობენ. საღამო მშვენიერი არის. მთვარე მფლობელი ღამის სივრცისა დაბრძანდება თავის ციმციმა ამალით. სიჩუმეა. სიოც განაბული სთვლემს ტოტებში. ზოგან წამოიკვნესებს ბულბული და ისევ მალე წყდება მისი ჰანგი. ყვავილები ერთმანეთს ეკონებიან. მთვარემ გადაავლო ყველაფერს თვალი, დარწმუნდა რომ ყველგან მშვიდობაა, გამოესალმა აქაურობას და ისევ მიიძინა. მის მაგივრად მზემ გაუცინა კვლავ გაღვიძებულ დედამიწას. სოფლები ახმაურდნენ. ყველა ჩქარობდა წასულიყო ყანაზედ და მოეთოხნა პური, რომ წლის სარჩო შეეძინათ. ყველა ფუსფუსებდა, უმეტესად დედაკაცები. კაცები აქა-იქ სჩანდნენ, ისიც ან ძალიან ახალგაზრდები ან ბებრები. ყველა მირბოდა მდელოებისაკენ. ამ ფუსფუსში ბევრს ცრემლი ადგებოდა თვალთ. რა ამბავი იყო? აი რა: მუშა-ხელი გამოილია. რამდენმა ყმაწვილმა ბიჭმა შესწირა თავი მამულს და რამდენი სხვა ქვეყანაში იყო და თავისი სამშობლო გასაუბედურებლად დაუგდო. ამ ომმა ბოლო მოუღო მუშაობასაც და ბედნიერებასაც. რამდენმა დედამ ცრემლებით გაგზავნა თავისი შვილი სასიკვდილოთ. რამდენმა დედამ ღამეები ლოცვაში და ტირილში გაატარა. საბრალო არსებანი. გაზარდეს რა წვალებით და ეხლა რა დღე დაადგათ. ნუთუ მაგისთვის შესწირა დედამ თავისი სიცოცხლე, რომ ვიღაცა გარეული ადამიანისთვის შესწიროს შვილი. სამშობლო, საქართველო აღარ იყო. მტერი სამშობლოს კი არ აწუხებდა, სამშობლოს უცხო პატრონს, რომელსაც მტერი უნდა მოეგერიებინა და საბრალო ქართველი წაასხა. სად არის სამართალი. ერეკლე, ერეკლევ რაზედ დაგვლუპე. მართალია, შენც სხვა გზა არა გქონდა, მაგრამ რუსს რად მიგვეცი. იმიტომ რომ მთელი ჩვენი სიცოცხლე ვიტანჯოთ, რათ? რა დაგიშავა საბრალო ერმა, ღმერთო!

გაზაფხულია, მოალერსე, მომღიმარე, მაგრამ ეს არავისზედ არ მოქმედებს. მათი ფიქრები სულ სხვაგან არის: ან შვილებთან, ან ქმრებთან და ძმებთან, რომელნიც იქნება განგმირულნი გდიან ბრძოლის ველზედ. მოხუცებული კაცები

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიიზლაზნებოდნენ მინდვრებისაკენ გადაგდებული თოხებით და ხორბლით. უკანაც ბავშვები მისდევენ წყლით და პურით, მთელი დღის საგზლით. სიმღერა აღარ ისმის. სად არის ურმული და ჰოროველა? ყოველი ხორბალი ცრემლებით ითესება. მისი მთესველი იმას არ ეუფლება ღმერთს, რომ კარგი მოუყვანოს ყანა და შიგ ღვთის თვალი დატრიალდეს და თავთავმა მიწაზედ დახაროს სიმძიმისაგან თავი. არა! ის ლოცულობს მისი შვილი ან მახლობელი მშვიდობით დაბრუნდეს ბრძოლიდან და მაგაზედ მეტი მას არა უნდა რა. შინაც დედაკაცი მხიარული არ არის, მოწყენით და ოხვრით ასრულებს თავის მოვალეობას. მისი ჭკუა დაბნეულია და ხანდისხან იმას აკეთებს, რაც საჭირო არ არის. ბავშვსაც კი ესმის ესეთი მდგომარეობა. „დედა ნუ გეშინიან, მამილო მალე მოვა, და თუ არ მოვიდა, ღვთის ნებაა, მე მალე გავიზრდები და ნახავ, როგორ შეგინახავთ“. მაგრამ ამ სიტყვებზედ ბავშვსაც სტკივა გული. დედას ამხნევებს, თვითონ კი იტანჯება. სოფლის ქუჩები მთელი დღე ცარიელია. ან ყველა მინდორშია ან სახლში ჩაკეტილი. ბალღობა ზოგიერთ ალაგას აბუზულა ან მოწყენით ლაპარაკობენ. ზოგიერთნი კი სულ პატარები დალასლასებენ, ან ყვირიან ან ჩხუბობენ. აი ესენი არღვევენ სიჩუმეს. სახლში შეხვალ იქ ცრემლებით არწევს დედა ბავშვს და ეუბნება: შე საბრალო, იქნება მამაშენის ნახვა არ დაგცალდეს. და ამაზედ უფრო ამოუჯდება გული საბრალოს. მოხუცებული დედა კი იგონებს თავისი შვილის ყოველ ნაბიჯს და დასტირის ჯერეთ ცოცხალს. თუ ძველად სამშობლო თავისუფალი ყოფილიყო, თუ დედა არ შესწირავდა სიხარულით შვილს თავის მამულის დასაცავად, ეხლანდელი დედა დაემსგავსებოდა უწინდელს თუ კისერს უღელი არ ჰქონდა. ოჰ, მონობა რა ცუდი ყოფილა. შენ გინდა და სხვა გიშლის. რუსეთმა, რაც კი კარგი გვქონდა, ჩვენი კულტურა სულ დასცა და ახალიც არაფერი შემოიტანა ენის გარდა . ამისთანა მფარველი რომ ღმერთს არ გაეჩინა, უფრო კარგი იქნებოდა. ეს მეტად ცუდი იყო გლეხებისათვის, რომლებსაც თავს დაადგნენ და ტყავს აძრობდნენ. ამ რუსობამ გლეხებიც კი..... გაფუჭა და სინდისი დაუკარგა, ნამუსიც. ეხლა თავისუფლება გამოვაცხადეთ, კვლავ დამოუკიდებლები ვართ. ამისდა მიუხედავათ გლეხი სულით და ხორცით დაეცა, დაავიწყდა რწმენაც და პატიოსნებაც. იმის მაგივრად რომ ყველანი ერთად იცავდნენ ამ მონობის განთავისუფლებისაგან, აქ გლეხი გამხეცდა თავის მოძმე ქართველსა ჰკლავს. საზღვარი არ არის. ადამიანი დაიღუპა, გაფუჭდა. აი რუსობამ რა შედეგი მოუტანა ჩვენ ერს. ნუთუ დადგება ის დრო, როგორც ძველებურად აუძგერებს ყველას გულს. ღმერთო, მალე, მალე მოვიდეს ის დღე.....

რა იქნა ჩვენი განათლება, სწავლა და კულტურა. მანდილი გადააფარა ამას ყველაფერს ოხრათ დარჩენილმა რუსმა. ოჰ როგორ მძულან, მეტადრე ეხლა, ამ ომის დროსა და მერე: ვკითხულობ ყაზბეგის წიგნს, სადაც რუსეთის მთავრობის მო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქმედებაა! ეგ ერთი ერია მგონი ესეთი უღმერთო, უბედური, გაუნათლებელი და ღმერთისგან დაწყევლილი. ღმერთო, მოგვიმართე ხელი.

1918 წლის 20 მაისს 10 საათი საღამოსი

12 ივნისი ახალი სტილით.

დღეს დაგვიდგა უბედური დღე: დღეს შემოვიდა გერმანელის ჯარი და ქართველები ე. ი. ჯარი სიმღერით დაუხვდა. ჩვენც წავედით სანახავად. რა სურათი წარმოგვიდგა თვალწინ: ჩასუქებული, ჩასხმული, მხარბეჭიანი გერმანელები ხიშტებით ხელში შუა ქუჩაში იდგნენ რიგ-რიგად და ხალხი მათ გარს შემოხვეოდა, მათ ისეთი შეხედულება ჰქონდათ, თითქოს უნდა ადამიანი შუაზე გაეგლიჯათ — წარბშეხრილნი და გამგელებულნი... პარადი იყო. მე ისეთი გრძნობა მქონდა, ვითომ ვიღაცა მახლობელს ასაფლავებდნენ. მღეროდნენ ქართველები, მაგრამ გულში რა ჰქონდათ? სევდა და დაღონება. მოვიშორეთ ერთი ბატონი. მონობისაგან გავთავისუფლდით, ეხლა კი ახალი უღელი დავიდგით. ღმერთო, მამაზეციერო, რა დაგიშავა ამ პატარა ერმა, რომ მთელ თავის ჯავრს ჩვენზე იყრი. ამ საშინელ დღეს მიდიოდა ორი ჯარი ქართველი და გერმანელები. ხალხი ბუზებივით ირეოდა. ზოგი იცინოდა, მხიარულობდა, ზოგი კი სდუმდა და სევდას ეძლეოდა. ჩემზე ამან ისე იმოქმედა, რომ ტირილიც კი მინდოდა. აი რისთვის ვიბრძოდით, აი ნაყოფი წარმოუდგა ეხლა ყველას. რა საზარელი შეხედულება აქვთ: ჩასხმულები, მხარბეჭიანები გოჭივით ჩასუქებული ცხვირ-პირი და სასტიკი გამომეტყველება. ჩემს უკან მოდიოდნენ ორი რუსი. ერთმა მათგანმა სთქვა, როცა ქართული სიმღერა გაიგეს: „пой ласточка, пой. и могилу себе рой».

აი რუსების უკანასკნელი გამომშვიდობება. ამ სიტყვით მოგვეგებნენ. ეს აზრი დაგვილოცეს მათ.

16 ივნისი

რა ვიცი, თითქო ჯერ კარგად ეპყრობიან გერმანელები ქართველებს. გუშინ ლაპარაკობდნენ, ვითომ სომხები რაღაცას სთხოვდნენ გერმანელის უფროსს, მაგრამ მან მიაძახა: ჯერ ქართველებს და მერე იქნება თქვენცაო. ქართული და გერმანელი ჯარი ბრძოლაში იყო და ორი ქალაქი დაიხსნა. თანდათან იქნება დისციპლინას შეგვაჩვიონ. ჩვენ ხალხში ეგ საჭიროა. უმაგისოთ ჩვენ ყველაზედ დაქვეითებული ერი ვიქნებით, ეკონომია და ყველაფრის გაზომვა უნდა შევითვისოთ, თუ გვინდა რომ ვიარსებოთ. იქნება გერმანელებმა მაინც კარგ გზაზე დაგვაყენონ.

ყოველი სოციალისტის ლაპარაკში ეხლა ნაციონალურ პატრიოტული ელემენტიც შეიპარა. ყველამ იგრძნო, რომ საქართველოში სოციალისტობა შეუძლებელია. მაგრამ სოციალისტებს არ უნდათ, რომ სხვებმა ჩააჩუმონ ისინი და მაინც

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგ პარტიას აღმერთებენ. აი რა ხდება ეხლა საქართველოში. რომელიმე ქართველი მეფე ამას წარმოიდგენდა. ამაზე ფიქრიც კი ეშინოდათ. ოჰ, თამარ, თამარ, სად არის შენი ბრწყინვალე დრო და ან შენი დავით აღმაშენებელო.

იქნება სხვები ამას არა ხედავენ, მაგრამ მე ისეთი გრძნობა მაქვს, რომ სრულათ ეღირსები ამ ბედშავს ერს თავისუფლება, მაშინ იქნება მისთვის აუწერელი ბედნიერება. ყოველი ადამიანი მას აღტაცებით მიეგებება, როგორც მშობელს. მაშინ მზეც მხიარულად გაანათებს და გაათბობს არეს და მთვარეც გაანათებს ძველ კვალს, რომელიც სიმართლისკენ მიდის.

ეხლა მინდა, ცოტა ჩემ თავზედაც ვილაპარაკო. მე იმიტომ გადმოვიტანე ჩემი დღიური აქ, რომ ძველი მეზიზღება. იქ არასასიამოვნო (ეხლა) ჩემთვის ამბები და ჩემი გრძნობები არის. მერე იმაში წერაც არ მიმიწევს, რადგანაც სულ დაჯღაბნულია. ერთი ფურცელი არ არის, რომ რამე წაშლილი არ იყოს, კარგიც ვქენი. ძველი ყველაფერი დავივიწყე და ახალ გრძნობას მივეცი.

«Новым чувством всем сердцем отдался
как ребенок душою я стал
и я сжег все, чему поклонялся
поклонился всему, что сжигал».

ეს ოთხი პწკარი ჩემ დღიურებში მესამედ არი გატარებული, რადგანაც ამ სტრიქონებში მე ვხედავ იმას, რაზეც წინათ ბრმად ვიყავი. მართლა, რომ დავწვი, რასაც წინად თაყვანს ვცემდი. უფრო ცუდი სულ წავჯღაბნე ისე, რომ მარტო შავი ხაზები დარჩა დაწერილი სიტყვების მაგივრად. როცა ვშლიდი, აი სწორედ მაშინ სურვილი მქონდა, დღიური მთლად დამეხია, მაგრამ თავი შევიკავე, რადგანაც იქ ბევრი სხვა რამ მქონდა ისტორიული და უფრო საინტერესო, და იმიტომ ისე დავირჩინე.

20 ივნისი.

დღეს გავათავე შესანიშნავი წიგნი «Моль» ჟიდისა მართლა ძალიან მომეწონა. აქ არის გამოყვანილი ორი ტიპი ადამიანისა. ერთი სულით მაღალი, გაურყვნელი და მაღალი იდეალებით. მეორე, დაცემული, გახრწნილი და თავისი გრძნობების მონა. აქ ნათლად გვიხასიათებს ავტორი ამ ორ ჯგუფს, რომელიც ერთმანეთისაგან ძალიან არიან დაშორებულნი. მაგალითად, ამ რომანში გმირი ქალი ვერა და კორეზი შეუდარებელნი არიან. ბევრმა, რომ წაიკითხოს, იტყვის ამისთანა ადამიანები არ არიანო დედამიწაზე. მე კი ვიტყოდი — არიან და ძალიან ბევრიც. ვერას უყვარს მთელი თავისი არსებით გამოჩენილი მომღერალი. უკანასკნელი კი აღმერთებს მას. მისთვის მას შეუძლიან გასწიროს ყველაფერი, რაც უფრო საჭიროა მისთვის, მაგალითად, ხმა. ვერა იდეალია კორეზისა და ისიც იდეალური ტიპია. მაგისთანა მტკიცე ხასიათით, მაღალი შეხედულებით. ის მხოლოდ იმიტომ არ მიდის თავის საცოლესთან, რომ იმას ჰყავს ქმარი, რომელიც მისი პა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტრონი გახდა. იმისთვის უცხოა ქმრისთვის ღალატი (იმ დროს ეგ დიდ მოდაში იყო) და იმ აღთქმის დაშლა, რომელიც ეკლესიაში აღუთქვა. აი ეს სტანჯავდა მას. ის ქმარს ცივად ეპყრობოდა. ის ამ საზოგადოებისათვის არ იყო დაბადებული, სადაც მუდამ ინტრიგები, შური და შეურაცხყოფა იყო. ვერა იდგა სულ თავში თავისი გრძნობებით და ეს დაცემული საძაგელი საზოგადოება ფეხთ. თავისი საყვარელი არსება კორეზი რამდენჯერ მოიცილა თავიდან, რადგანაც მას უნდოდა, რომ ყველას წინაშე ის სუფთა ყოფილიყო, რომ არ ეთქვათ აი ამანაც გაიჩინაო. მაგრამ რა ბედნიერი იქნებოდა იმასთან, ვინც უყვარს. ქმარი რუსი თავადი, რომელიც ძალიან მდიდარი იყო და სულ საზღვარგარეთ ცხოვრობდა. მხეცი, გარყვნილი ადამიანი. მან იყიდა ჯერ 16 წლის ახლად გაშლილი ვარდივით ქალი. აქ მშობელი დედის საქმე იყო. ცუდმა, გველმა, ოღონდ თვითონ ყოფილიყო უზრუნველად მოიცილა თავიდან თავისი ქმრის შვილი (ვერა მისიც იყო) როგორც თვითონ ამბობდა, რადგანაც თავის ქალში თავისას არაფერს ხედავდა. არ დააფასა რუსმა თავისი ცოლი. ის იყო მისთვის მარტო ძალიან ლამაზი საგანი. ბევრ შეურაცხყოფას აყენებდა თავის ახალგაზრდა ცოლს. ისიც მოთმინებით ელოდა. სძულდა თავისი ქმარი მთელი თავისი არსებით. ბოლოს ველარ გასძლო, როცა დაინახა მთელი სისაძაგლის მშვენიერება. ქმრის ყურებამდის მიაღწია საზოგადოების ჭორიკანობამ, ვითომ კორეზი ცოლის საყვარელი იყო, გამოიწვია დუელში და შიგ ყელში დაუმიზნა. ორივე ცოცხალი დარჩა, მხოლოდ შესანიშნავი როგორც მომღერალი მოკვდა. ხმა დაეკარგა. კორეზმა ვერა გაიცნო, როცა ის 16 წლისა იყო. მაშინვე შეუყვარდა საბრალო ბავშვი, რომელიც თავის დედის საზოგადოებაში ჩავარდა. კორეზი აფრთხილებდა: როგორც ჩრჩილს შეუძლიან შეჭამოს ბეწვიო, ისე თქვენც გაგაფუჭებენო. მერე როცა ვერა გათხოვდა 4 წლის განმავლობაში კორეზი გმირულად იქცეოდა, ერთხელ არაფერი უთხრა თავის გრძნობაზე თავის იდეალს. ის იტანჯებოდა, როცა ხედავდა, ვერა რა მდგომარეობაში იყო. უნდოდა ეშველნა, მაგრამ ნება არა ჰქონდა. მისი რა საქმე იყოო, ეგრე იტყოდა სხვა, მაგრამ როგორ თუ რა საქმე ჰქონდა, იგი იტანჯებოდა იმ საზოგადოების ყურებით, რომელშიც ჩრჩილი შეფრინდა. რამდენჯერ უნდოდა კორეზს ფეხქვეშ ჩავარდნოდა თავის ღმერთს, მაგრამ თავისი თავისა რცხვენოდა. ვერა ისეთი ქალი არ იყო, როგორიც სხვა. მას ვერას ხორცი კი არ ენატრებოდა, არამედ მთელი თავისი სულით და გრძნობებით. კორეზს მხოლოდ შეეძლო დაემშვიდებინა ის და გაემხნევებინა. რამდენჯერ სულ სხვა ქვეყანაში იყო კორეზი და ვერას ერთი დანახვისათვის მიდიოდა იქ. როგორ უნდოდა მას გაენთავისუფლებინა ის ამ მწუხარებისაგან... მაგრამ ძალა არა ჰქონდა. მაგრამ როცა ის მოკვდა, როგორც მომღერალი, ვერამ ველარ გასძლო და მივიდა მასთან. ის ხმას აღარ ნანობდა. მისი მზე კვლავ ამობრწყინდა. მის გვერდით იყო ის, რასაც უიმედოდ ეძებდა მთელ თავის სიცო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცხლეში. ამისთანა ადამიანებს, ღმერთო, ნუ მოაკლებ დედამიწას.

მე რომ ვკითხულობდი ამ წიგნს, თითქო მეც იმას ვიზამდი, რასაც ვერა, მხოლოდ ქმრის წინაშე. მაგრამ ეგრე დიდხანს სატრფოს ვერ მოვიშორებდი. ძალა მიღალატებდა. ამისთანა სიყვარული კარგია. მართალია, ვერა ძალიან ლამაზი იყო... ის სადაც ფეხს შედგამდა ანათებდა იქაურობას. ნუთუ სიყვარულში დიდ როლს თამაშობს სილამაზე? ეგ ჩემთვის გამორკვეული არ არის. მე მგონი, ჯერ გულის და სულის, გრძნობების სილამაზე უნდა შეამჩნიო და მერე გარეგნული. ხანდახან გარეგნობა ადამიანს მაცდურ მდგომარეობაში აყენებს. იყოს ლამაზი სახით, მაგრამ გული და გრძნობები მახინჯი, მე მგონია, მაშინ ის არ არის ბედნიერი და სხვასაც გააუბედურებს. იქნება სახით ადამიანი არ იყოს შესანიშნავი, მაგრამ გულით კი შეუდარებელი და ჭკუით. მე ამისთანებს ვამჯობინებ და ყოველთვის ამ აზრისა ვიქნები. იმისთანა ადამიანი, რომელიც სულ თავის ინტერესებზე ფიქრობს, წვრილმანია. მისი შეხედულება უმნიშვნელო არის. ის სხვას არაფერს არ მოუტანს სასარგებლოს. ისეთი ადამიანი, რომელიც ცხოვრობს სხვებისთვის, ის მესმის. მე არც ასეთი ვარ, არც ისეთი, მაგრამ იქნება გავხდე და უფრო მინდა როგორც უკანასკნელი. ბევრს ჰგონია, რომ ბედნიერება ფულშია. მეც ეგრე მგონია, მაგრამ ამ ფულის დახარჯვა თავისზედ კი არა, არა, ამ ფულით შეიძლება სხვას მოუტანო ბედნიერება და მაშინ თითონაც იქნები ბედნიერი. „რასაცა გასცემ შენია, რას არა დაკარგულია". სხვაზე ფიქრი უფრო კარგია. თავისზედაც უნდა, მაგრამ სულ მუდამ, არა. ღმერთო რად დამბადე ქალად. ქალი უძლური რაღაცა საგანია კაცების აზრით, მაგრამ ეგ ტყუილია. მაგრამ მაინც მინდოდა ვყოფილიყავი მძლავრ და ჭკვიან კაცად. კაცს უფრო ეხერხება ყველაფერი ვიდრე ქალს. ქალს პატრონობს კაცი, კაცს — ღმერთი. კაცი მაღალი სულით სულ სხვა არის ამგვარ ქალზედ. მაგრამ უმეტეს ნაწილში ქალი უფრო მაღლა სდგას კაცზედ, მაგრამ ეს არა სჩანს — ის მდგომარეობის მონაა.

რა არის სიცოცხლე წვრილმანი ადამიანისთვის? სულელური და ცარიელი უქმე ჩემის აზრით.

1918 წ. ივნისი — თბილისი.

22 ივნისი.

ნუთუ არასოდეს არ მელირსება, რომ სადმე სოფელში სახლი და მიწა მქონდეს. ეგ არის ყველაზე დიდი ჩემი ნატვრა, ერთი წლის შემდეგ გავათავებ სწავლას და უსათუოდ სამეურნეო კურსებზე წავალ. წავალ და რაში უნდა გამოვიყენო სწავლა? მე მამული არ მაქვს, მიწა-წყალი. თუ კარგად ვიქნებით, იქნება მამამ შეიძინოს სიბერის დროს დასასვენებელი ალაგი და იყიდოს მიწა და სახლი. მაშინ როგორ მოვა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

წყობ. უსათუოდ საფრანგეთში უნდა წავიდე და იქ შევისწავ-
ლო სამეურნეო საქმე. ჩემი ფიქრი ეგ არის. მე თვითონ მინდა
ვიმუშაო ჩემს მიწა-წყალზედ. თუ მშობლები არ
შეიძენენ, მე შევეცდები ჩემი ნამუშევრით ჯერ ცოტა რამ
ვიყიდო და მერე ბევრი. უფრო ზღვის ნაპირას მინდა, თუ
არა და კახეთში. ბებიაჩემმა სახლი რომ ჩვენ მოგვცეს, სამო-
თხეს დავამსგავსებთ მე და შალიკო. მე მგონია შალიკოც მაგ
სამეურნეო უნივერსიტეტში შევა. მაშინ ჩვენ ორნი გავაკე-
თებთ ძალიან ბევრს. ოჰ! ღმერთო, აგვისრულე ეს მცირე
თხოვნა. გაგვიგრძელე სიცოცხლე, მოგვეც ძალ-ღონე და თუ
ადამიანს უნდა, ყველაფერს შეძლებს. ნათქვამიც არის, რომ
თუ ადამიანს უნდა შეუძლებელს შესაძლებელს გახდის. ეხლა
ჩვენ ყველანი ვიჯექით და ვლაპარაკობდით თუ რა ბედნიერია
ადამიანი, ვისაც თავისი სახლ-კარი აქვს. იქნება ჩვენც გაგვი-
ღიმოს ბედმა. მამა პარლამენტში არის და იქ ეხლა აძლევენ
ჯამაგირებს (ესეთი პროექტია). თუ გაიყვანეს, მაშინ იქნება
რამე გადაარჩინოს და ბოლოს სულ მიწას შესწიროს და
მოიყვანოს, რაც კი მოგვინდება. ლამაზი სახლი... დიდი ბაღი...
უჰ... ნუთუ მეღირსება და რომ სულ ჩვენი ხელით იყოს. გა-
კეთებული ან ჩვენი ყურადღებით — მუშების. მე ყველაფერი
წარმოდგენილი მაქვს. მე ბავშვობიდან ვნატრობ ამას.

იქნება ახალქალაქში წავიდეთ და მგალობლიანთ აგარაკში
დავსახლდეთ, ძალიან კარგი იქნება. ჯერ ერთი მხიარულად ვი-
ქნებით პატესთან, ელიჩკასთან, მეორე კი ჩემი სანატრელი
იქნება, ეხლა მაინც შემისრულდეს და ბლომად ცხენზე ვისე-
ირნო.

28 ივნისი

28 ივნისს თითქმის პირველად ვიყავი ქართულ წარმოდ-
გენაზედ. სდგამდნენ „მარგალიტა გოტიეს", ნუცა ჩხეიძის გა-
სტროლები იყო. არ ვიცი, მაგრამ, მართალი რომ ვსთქვა, არ
მომეწონა. მარგარიტა სულ სხვანაირად მქონდა წარმოდგენი-
ლი და როგორი ვნახე? უკანასკნელ სცენებში კი მართლა მო-
მეწონა. არმანი საძაგელი იყო. ვიყავით: მე, ქეთო, ღამბაშიძე-
ანი, მგალობლიანი და რუსია. ვიყიდეთ იაფფასიანი ბილეთე-
ბი, იარუსში. გოგამ და პატემ ჩვეულებრივ ჩაუჩეჩეს ხელში
ფული და ისე შემოვიდნენ. მანამ დაიწყებოდა, ჩვენ ყველანი
ვიდექით პარტერში მეოთხე რიგთან. გვინდოდა, როცა ფარდა
აიხდებოდა, თავისუფალ ალაგებზედ დავმსხდარიყავით. გო-
გამ გაგვიწყალა საქმე, დაჯექით ეხლა და არავინ არაფერს
გეტყვითო. ჩვენ გავიყავით: ქეთო მეორე რიგში დაჯდა, მე, რუს-
ია, ელიჩკა და ეოგა ერთად, დანარჩენები სადღაც უკან მთელი
საღამო გიჟებივით ვიცინოდით, ისე რომ ყველანი შენიშვნას
გვაძლევდნენ. ერთმა კიდეც გვითხრა: „იქნება გიშლიან სცე-
ნიდან არტისტები ლაპარაკსო". ამაზე ჩვენ უფრო გაგვეცინა,
გოგამ მოგვკლა. პირველი მოქმედება რომ გათავდა, დავსეირ-
ნობდით. უცბათ... ოჰ, სისხლი ამივარდა თავში, მივვარდი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქეთოს. ჩვენ წინ გაიარა პაულო იაშვილმა. მასთან ჩემი შეხვ-
ბული ნათესავი იყო. მე დაუკარი მას თავი. პაულომ შეამ-
ჩნია, რომ მე და ქეთო ხან აუვლიდით, ხან ჩაუვლიდით და ისე
მიყურებდა, რომ ძალიან გამიკვირდა. ასე ყოველ ანტრაქტზედ.
მეოთხეთ რომ გამოვედით კორიდორებში ყველანი ერთად
ვსეირნობდით. ბოლოს ერთ კუთხეში დავდექით. ჩვენ პირ-
დაპირ დადგნენ პაულო, ტიტე ტაბიძე და ორი პოეტი, არ
ვიცი მათი გვარი, და ჩვეულებრივ მათთან ნინო მაყაშვილი.
მე ვდგევარ და ვწითლდები. ყველანი მე მიყურებენ: აქეთ გო-
გა, რუსია და ქეთო, აქეთ ელიჩკამ ხომ გამიწყალა „ოჰ
მარო, ნუ ღელავ! ნუ წითლდები, кто больше всех волнуется
და სხვ. მერე ისე ხმამაღლა იძახდნენ, რომ იმათ ესმოდათ.
მერე ჩაჩუმდნენ. პაულო ჰკითხავს ჩემზედ, ვინ არის ესო, ნი-
ნო მაყაშვილი ეუბნება: ეს კოტე მაყაშვილის ქალიაო. „კოტე-
სი“! გაუკვირდათ და ყველანი მობრუნდნენ, დამიწყეს ყურება,
პაულომაც. მე გავწითლდი, მოვავლე ხელი ქეთოს და გავიქ-
ცით. წარმოდგენა რომ გათავდა, საშინელი წვიმა მოვიდა.
ყველანი კარებებში ვიდექით. უცბათ ვიღაცის ძალა ვიგრძე-
ნი, მივიხედე და ჩემს პირდაპირ პაულო სდგას და მიყურებს.
მე გოგას ამოვეფარე. უცბათ დააბნელეს ისე, რომ სულ ვერა-
ვის ვხედავდი. მერე გაანათეს. ჩემს გვერდით ის იდგა. ჩვენ
არ დაუცადეთ, სანამ წვიმა სულ არ გადაიღებდა და წამოვე-
დით. ძალიან მხიარულად მოვდიოდით. 2 საათი იყო ღამისა,
ესე გვიან გათავდა წარმოდგენა. საცა წვიმა მოგვასწრებდა პა-
დიეზდებში შევდიოდით ხოლმე. სახლში 3 საათზედ მივედით.
დიდხანს ვერ დავიძინე. მისი თვალები წინ მედგა. მერე მთე-
ლი ღამე თეატრი მესიზმრებოდა.

30 ივნისი

დიდი უბედურება გვეწვია ჩვენ ქართველებს. 27 ივნისს
სოფ. მარტყოფში გარდაიცვალა (თავი მოიკლა) კათალიკოს-
მა კირიონ II-მ. ის იყო მარტყოფის მონასტერში, თავს კა-
რგად გრძნობდა. მეორე დილას მივიდა ბერი და დაუკაკუნა,
არავინ გასცა ხმა. მერე შევიდა და ნახა გულში ტყვია ჰქონდა
მორტყმული კირიონ II-ს. რევოლვერიც იქვე იყო ერთი გილ-
ზით დატენილი. კირიონი ერთი თვეა, რაც ავად იყო ისე,
რო სულ თავის ჭკუაზე არ იყო, შესაძლებელია იმიტომ მო-
იკლა თავი ან იქნება სხვამ მოკლა, ეს ჯერ გამორკვეული არ
არის. ყოველი მხრიდან ახალი და ახალი უბედურება. 7 თვე
იყო მარტო კათალიკოსად 1917 წლის შემდეგ და ესეც არ
დაგვცალდა. ღმერთო! რას გვიმზადებ, რასა? დაკრძალვა მცხე-
თაში იქნება. მე მგონი, წავალთ. ოქტომბერს აკურთხეს დი-
დის ამბით და სიხარულით, ივნისში კი იმავე ალაგას გლო-
ვით და ტირილით მიწას უნდა მიაბარონ წმინდა სხეული.
გლოვის დღე რომ გაიელის, ნამდვილად ლეონიდს აირჩევენ.

. . . . . .

ლელი ჯაფარიძე დამპირდა პაულოს გაგაცნობთო. მე ველი.

. . . . . .

ეროვნული ბიბლიოთეკა

5 ივლისი.

დილაობით საშინლად ცხელა ისე, რომ კარში გასვლა შეუძლებელია. მაგრამ ჩემთვის კი საჭიროა კვირაში რამდენჯერმე გავიდე ხოლმე. საღამოობით ვიკრიბებით ხოლმე მეგობრები და ვმხიარულობთ. გუშინ საღამოთი ორდას და საბანეევას კონცერტზედ ვიყავით. შესანიშნავი იყო. მთელი საღამო სიამოვნებაში გავატარე. მე ორდა აუწერლად მომწონს. ჩემს სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა, როდესაც მივედით თეატრში, ჯერ ერთი საათით ადრე იყო. ჩვენ გავისეირნეთ. მე და ელიჩკა დავდექით მათ სასტუმროსთან. 20 წუთის შემდეგ გამოვიდა ორდა მარტოკა. ჩვენც მაშინვე უკან გამოვყევით. სახე ლამაზი აქვს. როცა პირველი განყოფილება გათავდა (ხალხი ძალიან ბევრი იყო) დავდივართ მე და ელიჩკა და ვამბობთ, ნეტა ნაცნობები შეგვხვდნენ. ეს რომ ვსთქვით და კიბეზე ჩამოსვლას ვაპირებდით უცბათ შევეტაკე პაულო იაშვილს. ძალიან და ძალიან გამიკვირდა და თანაც გული ამიკანკალდა იმან მიცნო და მე რომ შევკრთი, შენიშნა და გამიღიმა, როცა ჩავიდა ჩვენც უკან გავყევით. შევიდა კომისრის ლოჟაში. ჩვენ პირისპირ დავდექით და უყურებდით ოჰ, რასა ვგრძნობდი მაშინ! უყურებდით და გვიყურებდა, ვიცინოდით — იცინოდა. ბედმა გამიღიმა მაშინ. ძალიან კარგი იყო იმ საღამოს. ორდამ დაატკბო და საბანეევამ ხალხი. ბევრი ყვავილები მიიღეს. ამ საღამოს პირველად აწეული თმით ვიყავი. ცუდად ვგრძნობდი თავს. ბევრი კარგი ნაცნობი იყო. შესასვლელი ბილეთი გვქონდა და სადაც დავდგებოდით, გვრეკავდნენ. ბოლოს იარუსში ავედით და იქ ვიყავით. ყველანი ძალიან დავიღალეთ.

23 ივლისი.

8 ივლისიდან 17-დე ყოველდღე დავდიოდით მე და ქეთო არტისტულში, რადგანაც 18-ში უკანასკნელი წარმოდგენა უნდა ყოფილიყო. იქნება მთელი ზაფხულიც ეთამაშნათ მსახიობებს, მაგრამ ერთმა ძალიან დიდმა მწუხარმა გარემოებამ ნება არ მისცა. რამდენიმე არტისტმა გამოლანძღა მთავრობა (ესეც ნამდვილი არ არის მგონი), და გადაასახლეს საქართველოს საზღვრების გარეთ. მათ შორის მოხვდა ძალიან კარგი მსახიობი ტორსკი. რაკი ის და სხვებიც წავიდნენ, მთელი არტისტულის დასიც მიდის. ისე მეწყინა, ეს რომ გავიგე, რომ ჩუმათ ვიტირე კიდეც. ისე შევეჩვიე მაგ თეატრს, რომ როგორც სახლში ისე ვგრძნობდი თავს. კვირაში სამჯერ უსათუოდ უნდა წავსულიყავი. ეგ თითქო მე და ქეთოსთვის სავალდებულო იყო. მე გაგიჟებით მომწონს დნეპროვი და ტორსკი. მე მთელი დღე შემეძლო ყოფნა წარმოდგენაზე ან მსახიობებისათვის ცქერა. რამდენჯერ ჩუმათ გავპარულვარ სახლიდან წარმოდგენაზე. ვყიდულობდით სადმე 1 მ. და 20 კაპ. ბილეთს და პარტერში პირველ რიგში ვიჯექით. ყველა გვიცნობდა იქ, ისე რომ ხმასაც არავინ გვცემდა. პირიქით ალაგსაც მოგვიძებნიდნენ. გატაცებით სულგანაბული ვუსმენდი

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ყოველ დნეპროვის სიტყვას ვყლაპავდი. გარშემო აღარ ვგრძნობდი, იყო ვინმე თუ არა. ოჰ, რა კარგია, იყოს ადამიანი მსახიობი მხოლოდ ერთი წამით. მე მინდა თითქოს, ვიყო მსახიობი, მაგრამ მათი უმიზნო ცხოვრება მძულს. არტისტს რეპუტაცია აქვს გაფუჭებული. მსახიობს ისე არ უყურებენ, როგორც პატიოსან ადამიანს. რათ? მე წამიკითხავს წიგნები, სადაც არტისტი ისე ადამიანზე სულითაც და ხორციელათაც მაღლა სდგას. იშვიათია ამისთანა ადამიანი, მაგრამ რაკი ის მსახიობია, ის არ არის ღირსი პატივისცემისა. უყვართ არტისტი, დასდევენ მას, იქნება გადაირიონ კიდეც, მაგრამ მას სულ სხვა თვალით შეხედავენ და ნასწავლ კაცს, რომელიც მსახურობს, მაგრამ სულით დაბალია, უფრო მეტ პატივს სცემენ. რა არის სცენაზე გამოსვლა? ეგ წარმოადგენს რაღაცა ფანტასტიურს. ავიწყებს ადამიანს რომ ეგ მარტო.... ყველაფრის და ნათლად წარმოიდგენ მართლა ამ სურათებს. ხანდახან ვზივარ თეატრში და მაძაგძაგებს, წუთებით მავიწყდება, რომ ეს მარტო წარმოდგენაა და ოფლი მესხმევა, მგონია, რომ მართალია. ესე ყოველთვის. მე და ქეთო იქ ვიყავით მთელი წლის განმავლობაში და ეხლა უცბათ შეწყდა. ყველა ის მსახიობები, უბრალოც კი, მიდან ოდესაში. ნეტავი იმ ოდესელებს, ეხლა ისინი დასტკბებიან. სახლში რასაც ვაკეთებ, უცბათ გავჩერდები და გული ამტკივა ისე, ისე, რომ გუნება მიფუჭდება და რასაც ვაკეთებ, თავს ვანებებ. არსად არ მიმიწევს, არსად. წინათ სიხარულით იმიტომ დავდიოდით, რომ ვიცოდით ხვალ ან ზეგ არტისტულში ვიქნები, ან საცა წავალ, იქნება მსახიობი ტორსკი ან დნეპროვი... შემხვდეს მე და ქეთოს. ეხლა ყოველდღე რომ ვხვდებით ერთმანეთს, პირველი კითხვა ეგ არის: ეჰ, სადღაა არტისტული. ისე მომინდება, ცრემლები გადმომცვივდება. სხვა დასი არ მინდა, არა. რამ მიმიზიდა. ოპერაში ვიყავი რამდენჯერმე, მაგრამ დრამა სულ სხვაა. ორდა და საბანეევა როცა თამაშობდნენ, დავდიოდი დიდი აღტაცებით. ისე, როგორც არტისტულში. სხვაზე შესვლაც არ მინდა. ეხლა აღარსად დავდივარ. ჯერ კი ხალისი მაქვს. ერთი ნაწილი დასისა აქ არის, საცა დნეპროვია, პოლუბინსკაი, მიხაილოვსკი, საქსონოვა და სხვ. მაგრამ ისინი ხვალ ან ზეგ მიდიან. დღეს გაკვეთილზე რომ მივდიოდი, დილით ტრამვაიში ვიჯექი, შემხვდა დნეპროვი, მინდოდა ჩამოვხტარიყავი, მაგრამ შევიმაგრე თავი, ვსთქვი სისულელეა. მაგრამ ისე დამწყდა გული, რომ მანამ ტრამვაი არ დაიმალა, თვალი არ მოვაშორე. იქიდან რომ მოვდიოდი არტისტულთან კიდევ შემხვდა. იქ იდგა. მეც დავდექი და უყურებდი. არტისტულის კარებები ჩაკეტეს, აფიშები მოხსნეს, სულ ცივი შეხედულება აქვს. ნუთუ წინათ რომ ხალხი იდგა ხოლმე, ეხლა.... დღესაც მთელი დღე ვბრაზობდი, ვეძებდი საბუთს, რომ მეტირნა. სხვამ რომ წაიკითხოს ეს დღიური, იფიქრებს ამას არტისტობა უნდაო. სრულებითაც არა. მე ყურება მიყვარს ძალიან, ძა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლიან და არა მე თვითონ გამოვიდე. ღმერთო, ეგ დასი მალე ჩამოიყვანე კიდევ, დნეპროვი მაინც.

28 ივლისი.

ღმერთო! გემუდარები დამაჭერინე გამოცდები კარგად. კარგად გავათავო ეს უკანასკნელი წელიწადი. ოჰ როგორ მინდა ჩქარა მოვრჩე საშუალო სასწავლებელს და უმაღლესში წავიდე უსათუოდ საზღვარგარეთ, ეგ მე გადაწყვეტილი მაქვს. რათ შემჯავრდა სასწავლებელი... არა ამისთანა სიტყვები შეუძლებელია, რათ არ უნდა მიყვარდეს? იმიტომ, რომ მასწავლებლები არიან ცუდი? არა!

როგორა მაქვს წარმოდგენილი ჩემი ცხოვრება. უსათუოდ ქეთოც წამოვა. მე ვისწავლი მეურნეობას, ქეთო — სიმღერას. ხვალ გავაგრძელებ. როგორ მგონია, მოვეწყობი.

ეხლა 12 საათია ღამის.

20 მარიამობისთვე.

დღეს მე, ქეთო, ელიჩკა ჩამოვედით ახალქალაქიდან. ჯერ აქედან რომ წავედით, ძალიან დავიღალეთ. მთელი ღამე არ გვეძინა, სულ ვიცინოდით. ელიჩკა სიცილის გუნებაზე იყო. დილას ავდექით თუ არა გიჟებივით ჩავიცვით და სადგურისაკენ მოუსვით. გვეგონა დავიგვიანებდით, მაგრამ ადრეც მივედით. ვიყიდეთ მესამე კლასის ბილეთები და ახდილ ვაგონში ჩავსხედით. გრაკალამდის 6 საათი ვიარეთ, მოვკვდით პირდაპირ. მეტეხში ჩამოვხტით და ფეხით ავედით ახალქალაქში. ისე, რომ დილის 7 ს-ზე გამოსულნი საღამოს 7 საათზე სახლში ვიყავით. საშინლად დავიტანჯეთ. გოგას და პატეს ძალიან გაუკვირდათ, როცა სამივე იმათ სახლს მივადექით. ეს სამი დღე საუცხოოდ გავატარეთ. მთელი დღეები ერთად ვიყავით და ვმხიარულობდით. პატე მშვენიერია..... იქიდან პატემ და გოგამ მეტეხამდის ჩამოგვაცილეს. იქაც 5 საათი ვისხედით. რა ოხრად მივიღე წრეულ გამოცდა. თავისუფალი რომ ვყოფილიყავი, ახალქალაქში ვიქნებოდი.

ამას წინათ მე-5 შემხვდა „ის". არ ვიცი არც მისი სახელი და არც გვარი. ძალიან მომწონს. კარგი სახე აქვს. ძალიანაც მინდა გავიცნო. როგორც კი შევხვდები ხოლმე, ისიც მიყურებს, არ ვიცი რისთვის, იმიტომ, რომ ვწითლდები თუ..... ღმერთო გამაგებინე, ვინ არის. თუ ქართველია კარგი, თუ სომეხი და დაიკარგოს, შემზიზღდება. ნეტა ვინ არის?.....

მოსწავლეა გიმნაზიაში. იქნება მე-7 ან მე-8 კლასში. ამას წინათ თეთრ ჩოხაში ვნახე, შესანიშნავი იყო. რაღაც მემართება. ეხლა ძალიან შემეშინა მარტოკობა, მინდა დედა მალე ჩამოვიდეს, მოწყენით ვარ .

17 ენკენისთვე.

ჩემი ნატვრა თუ ამისრულდა, ხომ კარგი და თუ არა და?.. ძალიან მინდა, ყველა ენები შევისწავლო ისე, რომ მშვენივრად ვიცოდე. თუ არ ვიზარმაცებ, მუსიკას გავაგრძელებ. მინდა საზღვარგარეთ ძალიან და ძალიან. წავალ უსათუოდ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სწავლის შემდეგ ერთ წელიწადს ვიმსახურებ, მოვაგროვებ ფულს და გავუადვილებ ჩემ მშობლებს ამითი. იქ ცხოვრებისთვის ცოტა მეყოფა. ისე მინდა გავაკეთო, რომ მამამ ბევრი არ მიგზავნოს, ჩემიც მქონდეს. ძალიან მინდა პარიზში და იტალიაში. ნუთუ რამე შემიშლის ხელს? ღმერთო, გემუდარები, გეხვეწები მონა შენი, დავიჭირო გამოცდები და სწავლა კარგად დავასრულო. არ შევკრთე და მალე გავიგო ამოცანა, რომელსაც მასწავლებელი მომცემს. ჩემი თხოვნა და მუდარა ეგ არის.

19 ენკენისთვე.

ველარ შემხვდა „ის". ვერ გამიგია ვერც მისი გვარი, ვერც მისი სახელი, მაგრამ ძალიან კი მინდა ვიცოდე. რა კარგია წიგნი, მეტადრე თუ ძალიან საინტერესოა. მე შემიძლიან მთელი დღეები ვიჯდე და ვიკითხო ერთიმეორეზე. მავიწყდება ყველაფერი რაც გარშემო ხდება. მთლად მივეცემი ხოლმე წიგნს. მე ვიზიარებ გმირთან ერთად ჭირსაც და ლხენასაც. ხანდისხან ისე ამტკივა ხოლმე გული, რომ ვერ ვაგრძელებ კითხვას და წიგნით ხელში რამეს ჩავაჩერდები ხოლმე, დიდხანს, დიდხანს, მაგისთანა ცხოვრება ჩვენში არ არის, როგორც ზოგიერთ წიგნშია და არც შემთხვევები. თუ რამე ისეთია წიგნში, მაჟრჟოლებს და ალაგს ვერ ვზივარ, ხან წამოვხტები წიგნით, ხან სხვა ალაგს გადავალ. თუ ვინმემ შემაწყვეტინა, ვბრაზობ და ხანდახან ბრიყვულად უპასუხებ ხოლმე, რითაც დედას ვაჯავრებ. იცის ხოლმე, „აი თავის რომანებს ჩაუჯდა და ველარაფრით ვერ გააცლიო".

ენკენისთვე.

რა ცუდი რამე გახდა თამაზი, სულ თავის თავზე ფიქრობს, მასთან ლაპარაკიც კი არ შეიძლება, მომაბეზრა თავი, დაიკარგოს. ჩოხა ჩაიცვა და ჰგონია, მე ვარ მთელ თბილისში ერთიო. იმ დღეს მოვიდა ჩემთან და მკითხა: თეთრი თუ შავი ახალუხი მიხდებაო, სულ გატუტუცდა. მგონი, ათ ქალშია შეყვარებული, საბრალო. ირაკლიც მაბრაზებს. ისეთი უშნო გახდა სახით, რომ ადამიანს შეეშინდება, რომ დაინახოს. სულ სისულელეებზე ლაპარაკობს. მართალია, ძალიან მეგობრულად ვართ, მაგრამ...

მარტოკა ვარ და როცა ისინი მოვლენ ხოლმე, გამეხარდება. გამოცდები ჩავაბარე. ერთი დამრჩა და არ ვიცი, ჩემი ბედი გადაწყდება მალე. ჩამოვიდეს დედა მალე. მარტოობაში რამის სული ამომხდეს. მამა თითქმის სახლში არ არის ხოლმე.

25 ენკენისთვე.

„ის" უნახავს ქეთოს დღეს, მე კი არა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

30 ენკენისთვე.

გუშინ მესამედ ვიყავი „ევგენი ონეგინზე". კიდევ ოცჯერ შემიძლიან წავიდე, მაგრამ მარტო ორდა იყოს ონეგინი. ჩემთვის ის შეუდარებელია. ყურს რომ უგდებდი, ტანში მაჟრჟოლებდა. თავის ბენეფისზე უფრო კარგი იყო, შესანიშნავი. გუშინაც ძალიან კარგად ჩაატარა თავისი როლი. მე მგონია დილიდან საღამომდეს რომ უსმინო მას, არ მომწყინდება. მაგისთანა ონეგინი მგონი აქაურებს ჯერ არ უნახავთ. როგორც სიცხეში, ისე ვიჯექი, ბინოკლს არ ვაშორებდი მის სახეს. ვიყიდეთ მე და ქეთომ მესამე იარუსის ბილეთი. პირველი მოქმედების შემდეგ პარტერის მე-6-ე რიგში ჩავედით, ბოლოს კი ლიტერნი ლოჟაში. მე შემიძლიან უფასოდაც ვიარო მამას ბილეთით. ხალხი საზოგადოდ ცოტა დადიოდა ოპერაში. გუშინ კი თითქმის სავსე იყო. როცა გაათავა და სთქვა «Позор, тоска...» უკანასკნელ სიტყვაზე ველარ ასწია ხმა და ჩასწყდა, მაგრამ არაფერი იყო რა, ხალხი ძალიან და ძალიან კმაყოფილი დარჩა. ლივიცკაიაც ძალიან კარგი იყო ტატიანას როლში. მთელი შემადგენლობა ძალია კარგი იყო, ზალივსკის გარდა. არა! თეატრში ხშირად ვივლი. ძალიან მიყვარს, მეტადრე თუ ისინი თამაშობენ, ვინც ძალიან მომწონან. ღამე ქეთოსთან მეძინა. მანამ დავიძინებდით, მთელი წარმოდგენა წარმოვადგინეთ. ღამე სულ სიმღერა მედგა ყურებში და სიტყვები: «Увы сомненья нет...» და «А счастье было так близко, так возможно» შარშან შეუბნებოდნენ, ხშირად დადიხარო. რა მექნა, მაგნიტივით მიზიდავს. წრეულ კი არ ვივლი?! ეხლა ვნატრობ იმას თუ რატომ ღმერთმა კარგი ხმა არ მომცა. სახლში მთელი ოპერა დაუკარი საღამოთი. ქეთოსთან წავედი და ავად დამიხვდა. მასაც შეხვდა ახალი მოდური ავადმყოფობა „ისპანკა". წამოვედი სახლში. ნუნუ შინ დამხვდა. ყოველდღე ველი ჩვენებს. ნეტა მალე ჩამოვიდნენ სოფლიდან. მარტოკა ყოფნა მომწყინდა. ვითომ უნდა გვენახა, გვაქვს ხმა თუ არა, მე და ვავა სხვადასხვა ნოტებს ვიღებდით როიალზე. ისეთები მიდიან სასწავლებლად, რომლებსაც სულ არა აქვთ ხმა. რამდენი რამის დაწერა მინდა, მაგრამ მეძინება....

8 ოქტომბერი.

დღეს ძალიან სასიამოვნო ამბავი მახარეს: შენ გადახვედიო. მე ჯერ არ დავიჯერე, მაგრამ ბოლოს დამარწმუნეს. მე მე-VII კლასის მოწაფე ვარ, ვაშა!!!

ოქტომბერი.

ძალიან მიყვარს მგალობლიშვილებთან... დროს გატარება. საუცხოო ოჯახია: გოგა, პატე, კოსტა და ელიჩკა ძალიან მიყვარან. მათთან მოწყენით ყოფნა არ შეიძლება. მხიარულები და სასიამოვნო ყმაწვილები არიან. არ ვიცი, რა მიზეზია ეს. მახლობელი ნათესავები ვართ და თქვენზე (თქვენობით) ვლაპარაკობთ. რაღაც ვერ მეხერხება შენზე (შენობით) ლაპა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაკი. დღესაც იქ ვიყავი. ქეთო გამექცა, შინ ეჩქარებოდა. ჯერ სუსანასთან ვიყავით, „ისპანკით“ არის ავად. მერე ელიჩკასთან ავედი. ბევრი ვილაპარაკეთ იმაზე თუ რა საღამოებს გავმართავდით ახალ სასწავლებელში. ინსტიტუტის შენობაში. „პლანები“ კარგი დავაწყეთ. ავასრულებთ თუ არა, არ ვიცი, გარემოებაზე არის დამყარებული ყველაფერი. „ზნაჩოკები“ შევუკვეთეთ VII-ე კლასისათვის. ეს უკანასკნელი კლასია და საჭიროა სხვასთან გასარჩევად. 25 მანეთი გვიჯდება თითოს. მართალია ძვირია, მაგრამ...

P. S. დღეს სთქვეს, რომ მგონი ოსმალოები ბათომს სტოვებენ და მირბიანო.

10 ოქტომბერი. 1918 წლის 9½ საღამოს

მე მაქვს ეხლა წარმოდგენილი ის, თუ როგორ ვიცხოვრებ მე, როცა სწავლას დავამთავრებ. მექნება ჩემი სახლ-კარი — ჩემებურად მოწყობილი. არ ვიცი რათა, მე მინდა ჩემი ოთახები ძველებურ სტილზე მოვაწყო. ჩემს ამხანაგებს (ქეთოს, ვავას) სულ სხვა მისწრაფებები აქვთ. ისინი ამბობენ: როცა ჩემთვის ვიცხოვრებ, ბევრი ოთახები მექნებაო. ოთახები, რომლებშიც მივიღებ სტუმრებს, ოთახები საკუთრად ჩემთვის, „ბუდუარი“ და სხვ. ეგენი მეჯავრება, რა სისულელეა. მექნება სასიამოვნო სახლი, სულ უბრალოდ, მაგრამ ლამაზად მოწყობილი. თუ გავთხოვდები, ქმრის კისერზე არასგზით არ ვიქნები. ჩემით ვიმუშავებ და ჩემთვის ფულს შევიძენ. რა სამართალია სხვისი ამაგით ცხოვრება. ეხლა, როცა ვხედავ, რა გაჭირვებაშია მამა, გული მეწვის. ერთი ის მუშაობს 6 კაცზე. რათა? განა ეგ დავალებული აქვს? მე მაგის წინააღმდეგი ვარ.

9. ნოემბერი.

დღეს მესამე დღეა, რაც ავდექი. 3 კვირა ლოგინში ვიწექი; ამ ახალმა ავადმყოფობამ ჩემზედაც შინჯა თავისი ძალა. ერთხელ 10 დღე ვიწექი, მოვრჩი, ავდექი. მეორედ კიდევ გავციოდი და უფრო საშინელი რამ დამემართა. მთელს ჩემს სხეულს დაუარა ამ „ისპანკა“-თ წოდებულმა სატკივარმა. სიცხე დიდი მქონდა, 40°-ზე მეტი. ძალიან და ძალიან გავიტანჯე. ორი დღე სულ გაუნძრევლად ვიწექი, რადგანაც ყველა ძვლები მტკიოდა. ეპიდემია თბილისში. ერთი სახლი არ არის, რომ ავადმყოფი არ იყოს. იქ. თუ გაცივდა ადამიანი და ფილტვების ანთებაზე გადავიდა, ძალიან ძნელია. ამ მოკლე ხანში ძალიან ბევრი მოკვდა. გაფრთხილება უნდა. ჩვენთან მე დედა და კატუნა ვიწექით. დედაკაცი არა გვყავდა. მამა სამსახურში არ დადიოდა და გვივლიდა. სადილსაც ის აკეთებდა, მაგრამ ვაი იმ სადილს, სუფის მაგივრად რაღაცა ფაფას აკეთებდა. შალიკოც ვითომ შველოდა. პარლამენტის წევრი, ბანკის დირექტორი და სახლში მზარეული. დედა მალე მორჩა. დედაკაცი დავიჭირეთ და ცხოვრება ცოტ-ცოტა კალაპოტში ჩადგა. მე ვეღარ და ვეღარ გამოვკეთდი. ხანდისხან ისე მო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მინდება გარეთ გასვლა, რომ რამის წამოვხტე და წავიდე. ამ ხანაგები მოდიან, მიამბობენ, რას აკეთებენ და როგორ ატარებენ დროს სასწავლებელში. გული და სული იქა მაქვს. ნუთუ კიდევ მთელი კვირა უნდა ვიჯდე სახლში. ოჰ რა ძნელია. ქეთოც ავად გახდა. თავს არ გაუფრთხილდა და ისიც ლოგინად ჩაწვა. ნეტა მალე მორჩეს. თუ კარგი დარი იქნება, ამ დღეებში გავალ ცოტა მზეზე. ჩემდა საუბედუროდ ეხლა უფრო აცივდა და მზეც აღარსად სჩანს. „Вас так мрачно и серо ძალიან მიმიწევს თეატრში. ვინ წამიყვანს ავადმყოფს. ნეტა მალე სულ კარგად გავხდე, ღმერთო!

ამ წოლის დროს ბევრი ფიქრები მიტრიალებდნენ. ჯერ ერთი, როცა დიდი სიცხე მქონდა და თავზე ყინული მედო, სხვადასხვა ტიპები გამომეცხადებოდნენ ხოლმე, მე ნათლად ვხედავდი. ყველა ნაცნობს წარმოვიდგენდი და დავინახავდი კიდეც. ღამეები არ მეძინა. თვალები დახუჭული მქონდა და სხვადასხვა აზრი მიტრიალებდა თავში. მაგ., მთელი ღამე ვხედავდი: ვითომ მე, ქეთო, ელიჩკა და ტასო რამიშვილი მივდიოდით პარიზში. დაწვრილებით მახსოვს, როგორ გაგვაცილეს სადგურზე ბევრი ნაცნობები იყვნენ, რომლებმაც დიდძალი ყვავილები და კანფეტები მოგვიტანეს. მეორე კლასის კუპე მთლად გვიყიდეს და შიგ მოვეწყეთ. გოგა და პატე გვაცილებდნენ. ფული ბევრი გვქონდა მიკერებული პერანგზე. ცოტა ვიტირეთ და მატარებელი დაიძრა. ბევრი რამ გვქონდა ძალიან მხიარულად მივდიოდით. ზოგიერთ ქალაქში ჩავიდოდით და ვსინჯავდით. ძლივს ჩავედით პარიზში. იქ იყვნენ!სუნანა და მედია, რომლებმაც ორი ოთახი დაგვიქირავეს, ავიყვანეთ ეტლი, დავტვირთეთ ბარგით და მივადექით ჩვენ ახალ სადგომს. მშვენიერი ორი დიდი ოთახი. ერთ ძალიან დიდ ოთახში ოთხი თეთრი საწოლი სუფთად. ყოველ საწოლთან პატარა შკაფები და ჩამოსაკიდი. ერთ კედელთან დიდი სარკის შკაფი და კომოდი. მეორე ოთახი სუნანამ ხალიჩებით მოგვირთო. შუაში დიდი მაგიდა, კედელთან ტახტი, კრესლოები, პატარა მაგიდები ყვავილებით. ჩვენ მივედით დილით. მაშინვე გავხსენით ბარგი. კაბები გამოვიცვალეთ. დიასახლის წინდაწინ ფული მივეცი. სუნანას და მედეას ოთახი ჩვენს გვერდით იყო. სადილის დროც მოვიდა. სადილის შემდეგ წავედით პარიზის დასათვალიერებლად. შესანიშნავი იყო. ბევრი ალაგი მოვიგონეთ. მედეამ გვითხრა, რომ ჩვენი ქაღალდები უნივერსიტეტში შეტანილია და ნამდვილად მიგვიღებენო... ამაზე გავახილე თვალი. გათენებული იყო. ნუნუ ყვიროდა, ჩქარა პური მომე, მაგვიანდება სასწავლებელშიო. ამისთანა სიზმარი შესანიშნავია. ნეტა ამისრულდეს.

18 ნოემბერი. 1918 წ. (Тифл. на воен. положен.)

გერმანიაში რევოლუცია დაიწყო. ვილჰელმი გადადგა. თავისი მანიფესტი გამოაცხადა. თბილისიდანაც მიდიან გერმანელი ჯარისკაცები. მათ სამაგიეროდ ინგლისელების და ფრანგების მისია ჩამოვიდა. საქართველოს დამოუკიდებლობა პრინციპში მიიღეს. გერმანელები რომ მიდიოდნენ, თურმე

ეროვნული ბიბლიოთეკა

უთქვამთ, ჩვენ არასოდეს თავს არ დაგანებებთო გაჭირვების დროს.

ოხ! ამ სომხებზე რა ჯავრი მომდის. ეს ღმერთისაგან დაწყევლილი ხალხია,გაუბედურებული. ნამცეცი პატიოსნება არა აქვთ. რამდენი სიკეთე გაუკეთეთ, რამდენი ლტოლვილი გადაურჩინეთ, მაინც უმადურ ხალხს ვერაფრით დააკმაყოფილებ. რა საქმეს სჩადიან. იმ დღეს მათ მიერ ჩადებული დინამიტები იპოვეს ელექტრონის სადგურზე, მტკვრის პირას. ერთი მეთევზე თურმე ჭიაყელებს ეძებდა ქარხანასთან მიდგმულ ძველ ნოტიო კედელში. ამ ჩიჩქნაში კი წააწყდა დინამტს. შეატყობინა მილიციას. დაიმალნენ. როცა მოვიდნენ, ამფეთქებლები დაიჭირეს, სომხები აღმოჩნდნენ. გუშინ ვერის ხიდთან მთელი სრუტე იპოვნეს. ჯარით იყო შემორტყმული ხიდი. ამბობენ სასახლესთანაც ნახესო და თეატრთანაცო. ეს უკანასკნელები რამდენად სწორეა, არ ვიცი. თურმე ყველა ხიდების აფეთქება უნდოდათ და მთელი რაიონების. ვერაზე უპოვეს რამდენიმე რუსს ყუმბარები, ბომბები და სხვადასხვა ამფეთქებელი საგნები. რას სჩადიან არ მესმის, როდემდის უნდა იყოს ესეთი მდგომარეობა. დაშნაკცუტიუნები ტყუილად ჰყრიან ქუჩაში ბავშვებს, რომ მერე ილაპარაკონ: „აი რა ქალაქია თბილისი, ქუჩაში ცოცხალი ადამიანი გდია. არავინ აქცევს ყურადღებასო“. რამდენი ათი ათასისთვის მიუქცევიათ ყურადღება, რაღა სულ სომხები გვხვდებიან. ოჰ! ოღონდ მათი ჯავრი ამომაყრევინა და რა ვიცი. მადლობას შემოგწირავ ღმერთო.....

1 დეკემბერი 1918 წ. (ახალი სტილით).

ეს დღე ისტორიულია ქართულ ცხოვრებაში. ამ დღეს შესრულდა ნახევარი წელიწადი, რაც საქართველოს თავისუფლება აღიარეს. მთელმა ქართველობამ თბილისისა თავი შეიყარა სასახლის წინ. აქ მოხდა „პარადი“. წესრიგობა მშვენივრად იყო დაცული. დაიწყო კრება. ბევრი მოლოცვები იყო. ბოლოს ორატორებმა თქვეს სიტყვები. ამ დღეობამ კარგად ჩაიარა. ყოველი ქართველი თავის თავს თავისუფლად გრძნობდა. აღტაცების ღიმილი უკრთოდა ყოველს და თითქო ეს ეწერათ: „ოჰ, ძლივს გვეღირსა! ძლივს გვეღირსა! არა, ნუ ვჩქარობთ. მტერი გარშემო გვყავს და გვითვალთვალებს. რა უნდათ ჩვენგან? ეს ღმერთმა იცის. ძლივს გვეღირსა და ქართული დროშები დავინახეთ. რა მშვენივრად ფრიალებდნენ. ჰაერში ტრიალებდნენ აეროპლანები. მე სულ მაკანკალებდა. ჩემს არსებაში რაღაცა თრთოდა. ოჰ! რად გვიშლიან სხვები, რა უნდათ ჩვენგან? ნუთუ ერთი წვეთი სიყვარულისა და შებრალებისა არა აქვთ. წმ. გიორგი, იყავ მფარველი საქართველოისა!

ოჰ როგორ მძულან, სულ მაგათი ბრალია. რას ჩაგვაცივდნენ. არა! მოთმინება ეკარგება ადამიანს. გაიძვერა, ეშმაკი და არ ვიცი, რა სახელი უწოდო შესაფერი სომხებს. ღმერთო მაპატიე რომ ესე ვლაპარაკობ, მაგრამ მოთმინებას საზღვარი აქვს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენ ხედავ, მაღალო, ზეციერო მამავ, სამართალს. ჩამოგვაშორე
რე მტერი და თავისუფლად ამოგვასუნთქე.

3 დეკემბერი.

რა მომივიდა! ამ წლამდის არ დავდიოდი მგალობლიშვილებთან, ეხლა ხშირად ვარ მათთან. სხვას რომ ჰკითხო, ვინმე მათგანი მოსწონსო — რა სისულელეა. მათთან კარგად ვატარებთ დროს და იმიტომ. პატე მეჯავრებოდა. მეგონა რომ რაღაც მიუკარებელი ადამიანია და თამამი. ეხლა, როცა ახლო გავიცანი — მშვენიერია, უფრო.... დღეს ადგა ლოგინიდან. გამხდარი, გაყვითლებული მომხიბლავი იყო. თვალის მოშორება არ მინდოდა. ეს იმას არ ნიშნავს, რომ მე მიყვარს. სრულებით არა, ესენი კარგნი არიან, როგორც ადამიანები. საცინელია კოსტა, სულ იცინის მხიარულობს და კუნტრუშობს, როცა მივალთ. გოგაც ოხუნჯობს. მაინც ყველას.. მირჩევნია, დღეს იყო იგი შეუდარებელი.

«О, если б — без слов
сказаться душой было можно».

17 დეკემბერი (ახ. სტ.) 3 საათი შუადღ.

ეჰ! რა დროს წინანდელზე და პირად გრძნობაზე ლაპარაკია. ამ დღეებში წყდება საქართველოს ბედ-იღბალი. გათავდა მსოფლიო დიდი ომი. ვიფიქრეთ, პატარა და დიდი მხეცები ეხლა მოისვენებენო. არა! დიდებმა დაისვენეს. ახლა პატარებმა, უმნიშვნელომ და გაფუჭებულმა უსვინდისო და კიდევ სხვა ერმა — სომხებმა გამოუცხადეს ომი! მერე ვის?.. ქართველებს. სულით დაბალნი, ლაჩრები. რამდენი სიკეთე უყავით. ათასობით ლტოლვილები, გლახები შიმშილს და სიკვდილს გადავარჩინეთ, მეზობლებათ და მეგობრებათ ვთვლიდით... მუხანათები. არ ვიცოდით, რომ მათ გულში ეშმაკი ბუდობს. დღეს ფაქტიურად დაიწყო ბრძოლა. 10 დეკემბრიდან თუ ადრეც ჩვენი ტერიტორიის დარაჯები მოკლეს, ვინც ტყეში წაიყვანეს ვერაგულად მოეპყრნენ, — ყურები, ცხვირი თვალები დაუჭრეს. გაგზავნეს სანაინისაკენ რაზმი გვარდიელებისა. მაგრამ დამარცხებულნი იქმნენ. ეს დანამდვილებით არ ვიცით. ისინი 6 თვის განმავლობაში ემზადებოდნენ. რეგულარული ჯარი ჰყავთ.. გუშინ ულტიმატუმი წარუდგინეს სომხის მთავრობამ — ქართველებს. ახალქალაქი, ახალციხე, ჯავახეთი დაგვიცალეთო. თბილისი ნეიტრალურ ქალაქად გახადეთო. უნამუსოები. შორიდან გულადები. ჩვენ ესეც გვიუკადრისეს. ჩვენი დედაქალაქი, სადაც ჩვენი წინაპრები საუკუნოებით იბრძოდნენ და იცავდნენ სამშობლოს, ეხლა ისე დავეცემით და გავლაჩრდებით, რომ ესენი ავასრულოთ. სისხლის უკანასკნელ წვეთამდე ვიბრძოლებთ და არავის დავანებებთ საყვარელ დედას — თბილისს. სომეხი შორიდან არის გულადი. ხომ გავიგეთ, რომ ჯარი დალაგებული ჰყავთ, ჩვენებსაც გავგზავნით და სეირს უჩვენებთ. ქართველი ძალიან მომთმენია, მაგრამ მოთმინებასაც აქვს საზღვარი. წაეკიდება. მსხვერპლი დიდი იქნება, აი რა

ეროვნული ბიბლიოთეკა

არის საშიში. ღმერთო! ნუთუ მაგისთანა უსვინდისო ხალხზე შენი კურთხევა წამოვა! არა მგონია, არა! სამართლიანად უნდა იყოს. ყოველმა სომეხმა ჩემში აღძრა სიძულვილი..... ზოგიერთნი ამბობენ: „ტიპლის ნაშ გოროდ". აი სადამდის მივიდა მათი სითავხედე... ყოველ ტერტერას შეხვედრაზე გული მიწუხდება. მაშ დაიცადეთ. მგონი დაგავიწყდათ ქართველების მუშტის გემო!!!!!!! ძალა რომ მქონდეს მე.....

რა არის უმაღლესი და ულამაზესი სამშობლოსადმი სიყვარულის გრძნობისა.

Что выше, что краше любви к Отечеству? Это чувство соединяет людей крепкими узами привязанности. Это — духовное братство.

(Тур.)

27 დეკემბერი.

ომი, მერე რა ომი. ათასობით იღუპება ხალხი. ევროპა დაწყნარდა, მსოფლიო სტიქია ჩაწყდა. თითქო ყველამ მოისვენაო. ჩვენ კი უბედურება დაგვატყდა თავს. ბინძურმა ხალხმა გამოგვიცხადა ომი. არა მაქვს ისეთი გამომხატველი მათი საქციელისა სიტყვა, რომ მათ უწოდო, აირია პატარა საქართველო. დაიწყო ძველებურად ბრძოლები. რამდენი ყოჩაღი და მშვენიერი ვაჟკაცი მოკვდა. მერე ვისგან? ოჰ, ღმერთო, ეს ტანჯვა აუწერელია. ჩვენ ჯერჯერობით ვჯობნით. მათაც კარგი ჯარი ჰყავთ.... 19 ამ თვეს იყო ბრძოლა, ქართველებმა აჯობეს, მაგრამ ბევრი მსხვერპლი შეიწირა. რა მოგველის, არ ვიცი?.....

ჩვენ სახლშიც არევ-დარევა ჩანს. 1) შალიკო 24 დეკემბერს ჩაეწერა სანიტრად და წავიდა სანაინისაკენ. ნეტავი არაფერი მოუვიდეს, მშვიდობით დაბრუნდეს. ღმერთო, მოუმართე ხელი. 2) ნუნუ გაგვიხდა ძალიან ავად. ჯერ არ ვიცით, რა აქვს. ექიმი ვერ მიხვდა, ვერ გამოარკვია, რა არის. ხვალ კონსილიუმია. მგონი მუცლის სახადია (ბრიუშნოი ტიფი). ღმერთმა დაიფაროს და სიპნოი არა ჰქონდეს. ეგ უიმედოვნო არის. ძალიან იტანჯება ბავშვი. უბედურება მოგვივლინა ღმერთმა. რა დაგიშავეთ წმ. მამაო რა შეგცოდეთ. გუშინ მთელი ღამე არ მეძინა. სადმე რომ მივდივარ, სულ იმაზე ვფიქრობ, ნეტავი კარგად დამხვდეს და სხვ. ძალიან სუსტი გული აქვს და ძალიან გვეშინიან. მჯერა, რომ ღმერთი და ღვთისმშობელი არ დაგვარჩენს უყურადღებოდ და უპატრონებენ შალიკოს, მოარიდებენ ტყვიას და ხიფათს და აქ ნუნუს მოგვირჩენენ. მჯერა მაგ ძალაში დედა საშინლად დაიტანჯა. მამას და დედას ღამეები არ სძინავთ. ბაბო ყრუა და ვერა შველის. ჩემ მხრივ ვცდილობ, რამე შეუმსუბუქო. ხვალ კრიზისია, გავიგებთ, რა ავადმყოფობა აქვს. უნდა გამოარკვიონ ხვალ დილით ორმა ექიმმა. ღმერთო, არაფერი საშინელება არა ჰქონდეს ნუნუს და ყველაფერმა მალე გაუაროს. გემუდარები და გეხვეწები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1918 წ. 30 დეკემბერი.

აი ასე უბედურად გვითენდება ახალი წელიწადი. 1919 წელო, იყავ ბედნიერი მომავალში. რაღა ყველა უბედურება ჩვენ უნდა გვეწვიოს? ნუნუ ძალიან ავადაა. საბრალო ბავშვი ძალიან იტანჯება 40°7/10 აქვს. სუსტი არსებაა, ძნელად იტანს სიცხეს. ექიმმა სთქვა, რომ გული მაგარი აქვსო. ნეტავი ღმერთმა გადმოგვხედოს და ნუნუ გამოაბრუნოს. საბრალო დედა და მამა ძალიან დაიტანჯნენ. შალიკოც სდუმს. არ გვატყობინებს თავის მდგომარეობას. გუშინ წერილი მივწერე. არ ვიცი, მიიღებს თუ არა. მოსვენება არა მაქვს, მთელი დღე დავრბივარ აქა-იქ, რომ ნუნუს წამლები მოუტანო.

აი, ღმერთო! ყველას რომ საჩუქრებს და გასახარელს მოუტან ხოლმე, პატარა საჩუქარი ჩვენც გვიბოძე. ნუნუ მალე მორჩეს და შალიკოც მშვიდობიანად ჩამოვიდეს. დედ-მამა და ყველანი გაგვაბედნიერე ამით. ამ უმცირესი საჩუქრის ასრულება არ არის ძნელი. მჯერა შენი ძალისა და თხოვნის ასრულებისა. დღეს რაღაცა მომივიდა, არ ვიცი, რა იყო! მივდიოდი ნუნუს წამლის საყიდლად, ადრე იყო და ქეთოსთან ერთად წავედი სინემატოგრაფში. თან მინდოდა წასვლა და თან არა, იმიტომ, რომ ვფიქრობდი, მე იქ ვისიამოვნო და ნუნუ სიცხეში იწვეს მეთქი. არა, მე იმიტომ კი არ წავედი, რომ მესიამოვნა, სრულებითაც არა! უნდა დამესვენა და დავვიწყებულიყავი, რომ აღარ გამეგო ტანჯვა. მაგრამ ის ფიქრი, რომ მე წავედი არა თავის დროზე, მიღრღნიდა გულს. ღმერთი მაპატიებს ჩემ სიმდაბლეს და არ გამირისხდება. მანამ ნუნუ კარგად არ იგრძნობს თავს, არსად წავალ სამხიარულოდ. ვიჯდები და ვისწავლი, რომ კარგად გავათავო სწავლა და ჩემი მშობლები გავახარო.

ისე დავიტანჯეთ ამისთანა მდგომარეობით, ისე, რომ სიცოცხლეც გაგვიმწარდა. როგორ მინდა, ეხლა ამიყვანონ და სულ სხვა ქვეყანაში ამომაყოფინონ თავი, საცა არა ვგრძნობდე არაფერს. რამე ცხოვრების ტალღაში ჩამაგდონ, დამატრიალონ და მერე მიმატოვონ. მინდა ვიყო სულ მარტო. არა ვგრძნობდე ვისმეს სიახლოვეს, მოვშორდე ამ ქვეყანას მხოლოდ რამდენიმე წამით.

ნეტა იმას, ვინც ბედნიერია იმით, რომ ვინც უყვარს და რაც უყვარს, კარგად არის. მას არაფერი აწუხებს.

ჩვენ ვართ, ჩვენ უბედურები. ამისთანა ძვირობაში შეუძლებელია ავად გახდომა. მამა ჯერ ნუნუს ავადმყოფობით იტანჯება და მერე ძალიან ბევრი ფულის დახარჯვით. საშინელი ფასებია წამლებზე. მამამ სთქვა: უკანასკნელ ფულს დავხარჯავ, ოღონდ თქვენ კარგად მყავდითო. საბრალო კაცმა რა დაუშავა ქვეყანას, იღბალმა რად უმტყუნა? რატომ მისი ცხოვრება ბედნიერი არ გახდა. სულ უბედობა და უიღბლობა. ხვალ ახალი წელია. აბა, ფორტუნა თავის ყანწიდან რას გადმოგვიყრის. ხვალ ახალი სტილით არის 1919 წელი. ღმერთო, ეს წელიწადი გააბედნიერე და მრავალი სიკეთე მოუტანე შენ

ეროვნული ბიბლიოთეკა

დატანჯულ ერს. რა ამბავი აქვთ კატებს. მე აქ ვწერ და ისინი
გარეთ კნავიან როგორც ადამიანები. ეს წმ. ქალწულო ცუდ
ნურაფერს მოგვივლინებს. დღეს ვლოცულობდი ეკლესიაში,
მუხლმოდრეკილი ვიყავი ღვთისმშობლის ხატის წინ. წმ..
დედა ღიმილით მიმზერდა და თითქოს ჩემს თხოვნაზე დასთა-
ნხმდა. მე მჯერა შენი უზენაესი ძალისა. ამისრულე, ამისრუ-
ლე, უფალო, ვიტანჯები. ნუნუს დილით ჰქონდა ეხლა
საღამოს 9 საათზე 39°. იქნება ღმერთმა გვიშველოს და საში-
ში არაფერი იყოს.

1919 წ. 4 იანვარი.

დროებით შეწყდა ომი. მოლაპარაკება გამართეს სომხებ-
თან. უბედურები ვართ ჩვენ, ქართველები. როგორ შეიძლება
მათთან შერიგება. ოჰ, ღონე მქონოდა, რას უზამდი მათ. რამ-
დენმა სიცოცხლით სავსე ჭაბუკმა შეაკლა გმირულად თავი.
რამდენი მშობელი დარჩა უშვილოდ, რამდენი უძმოდ, და სხვ.
უბედურებას უბედურება მოსდევს, ბოლო სად არის? სამართა-
ლიც სად არის? სად? ამ დღეებში შალიკო ჩამოვა. საცოდავი
დაჭრილებთან ყოფნის მაგივრად ტიფიანებთან იმყოფება და
გარშოკები გაგვაქვსო, როგორც თითონ იწერება. ისეთი ამბ-
ით წავიდა და ეხლა იწერება, ჩქარა გამომწერეთო. ძალიან
ძნელი საქმე უნდა იყოს, რადგანაც მან ვერ აიტანა. წარმო-
დგენილი მაქვს, რამდენ ჭუჭყს ჩამოიტანს. თბილისი თანდათ-
ან ივსებს ინგლისელების ჯარით. არავინ არ გვაჩვენებს ჩვენ
ხან ფრანგები გვეწვევიან, ხან გერმანელები, ხან სომხები. ეხ-
ლა ინგლისელები რას გააკეთებენ აქ, არ ვიცი.

თანდათან რაღაც მეპარება გულში. რაღაც ახალი გრძნობა,
ტკბილი, სასიამოვნო. ერთ ვინმეს რომ დავინახავ ხოლმე გუ-
ლი ძგერას დამიწყებს და სისხლი ამივარდება თავში. მე არ
ვიცნობ მას. არ ვიცი, არც მისი სახელი, არც გვარი. ნეტა
ვინ არის? მაგრამ მგონია, მალე გავიგებ.

1919 წ. 10 იანვარი.

სცენა მიყვარს გაგიჟებით, მაგრამ მე თვითონ მსახიობი
არასოდეს არ ვიქნებოდი. მაგონდება ერთი მსახიობის სიტყვე-
ბი: «Да, жалок тот, кто поступает на сцену» ოჰ, რა კარ-
გია ვიყო მსახიობი მხოლოთ რამდენიმე წუთით. თუ რამე მო-
მწონს სცენაზე არტისტში, ალაგას ველარ ვზივარ, ველავ
და არ ვიცი, ჩემი აღტაცება რაში გამოვხატო. ხანდახან ძალ-
იან მომინდება, რომ მეც მქონდეს ნიჭი, ვიყო გამოჩენილი მსა-
ხიობი. არ ვიცი, რას ვიზამდი, ოღონდ იქ წავსულიყავი. მაგ-
რამ რომ მაგონდება ის თუ რა არის მათი ცხოვრება, მუდმივი
განხეთქილება არტისტებს შორის, შური და ბრძოლა. შურით
აღჭურვილი ცდილობს როგორმე გააშავოს ხალხის თვალში
მასზე ნიჭიერი მსახიობი. მთელი სიცოცხლე ყოფნა კარდონის
დეკორაციებში და ხალხის წინ მხიარულობდე, მაშინ, როცა
შენი გული იწვის და იტანჯება რაიმე მიზეზით. რას განიც-
დის მსახიობი? არ ვიცი. მაგრამ მსმენელი ბედნიერია. მის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყურამდის მიდის ავიც და კარგიც, სიმღერაც და ცრემლიც. კაცის გული ხან შფოთავს და ხან ხარობს. თუ გულზე რამე დუხჭირი აწევს ადამიანს, ის წარმოდგენაზე არ წავა. კარგ გუნებაზე უნდა იყოს, რომ მოისურვოს თეატრში წასვლა. მსახიობი კი არა? მას დანიშნულებით აქვს ეს და მოვალეა ასრულოს ის, რასაც სთხოვენ. ჩვენ არ ვიცით, ის გულწრფელად ამბობს თავის როლს, თუ მარტო მძიმე ტვირთივით იტანს. ზოგიერთ მსახიობს თავისი თავი ავიწყდება, სცილდება ცხოვრებას და მთლად იფლება თავის ახალ და ახალ როლებში. ის ხან მხიარულია, ხან უბედური და ორივეს კარგად ასრულებს, ავიწყდება, ავიწყდება ის თუ მას გულზე აქვს რამე ტანჯვა. მე მგონი იქ, სცენაზე ისვენებს და თავის თავს ივიწყებს. აი მე დღეს მე-4 ვიყავი რუსულ დრამაზე „ვიდრე ხვალ უფალო", სენკევიჩის რომანით. პირველად ვნახე მარკ ვინიციის როლში დნეპროვი და დიდ აღტაცებაში მოვედი. ღამეც კი არ მეძინა. სულ იმას ვხედავდი და თვალწინ მედგა. მაშინ ორჯერ ვნახე, ეს იყო 1918 წ. ეხლა 1919 წელს კიდევ ვნახე სხვა არტისტების შესრულებით. დნეპროვი სულ დამავიწყდა და ის კაშევსკიმ დაჰფარა. აი ის არტისტი, რომელსაც თავი ავიწყდება და სულით და გულით ასრულებს თავის მოვალეობას. ის თითქოს ნამდვილად განიცდისო, ისე თამაშობს. მე მეგონა, რომ პირველი დასი რომ წავიდა, მათ ნაცვლად ცუდი მოვა მეთქი და თითქმის მივსტიროდი **დნეპროვს და ტორსკის,** მაგრამ შევცდი. ეხლა უფრო კარგი გაგვიჩნდა. არა! თეატრს არაფერზე არ გავცვლი. მიყვარს და მეყვარება კიდეც. იქ მე ყველაფერი მავიწყდება და სმენად გადავიქცევი ხოლმე. თუ რამე ძალიან მომეწონა, 10-ჯერ რომ ვნახო, არ მომწყინდება. იქნებ ეს ბავშვური საქციელი იყოს, მაგრამ რა არის ამაში ცუდი? მამა ამბობს: ეს ისეთი პერიოდი არისო, მალე გაივლისო. არა მგონია. მე მინდა რომ, მუდამ დაახლოებული ვიყო მსახიობებთან. ოჰ, რა კარგია მქონდეს დარბაზი, სადაც იკრიბებოდნენ ქურუმები ხელოვნებისა, მაგრამ ამას უნდა ფული და ფული. ამ უბრალო პატარა საგანს აქვს უდიდესი ძალა....

ჩემი იდეალი არის ის, რომ როცა გავათავებ სწავლას, მოვიარო მთელი ქვეყანა. ამაზე დიდი ბედნიერება რა იქნება? ნუთუ ღმერთი არ მაღირსებს იმისთანა სიხარულს, როდესაც დადგება ის დრო, რომ მე ბარგი შევკრა და სამგზავროთ გავსწიო. ჯერ: საფრანგეთში, ინგლისში. ე. ი. დასავლეთ ევროპაში, და მერე ამერიკაში, აფრიკაში. იმაზედაც დავსთანხმდები თუ მარტო ამერიკაში წავიდე. არა, იტალიის და საბერძნეთის ნახვაც ძალიან მინდა. ოჰ, ფულო, ფულო, რათა გაქვს მაგისთანა ძალა, რომ შენს წინაშე ყველა კარები ღიაა? ვეცდები, გულით და სულით ჩემი უდიდესი განზრახვა როდისმე შევასრულო.

მიჟუხინისთანა კარგი მსახიობი არ მინახავს, მაგრამ ჩემდა საუბედუროდ იგი მარტო ეკრანზე არის. მის ხმას და თამაშს ცოცხლად ვერ ვხედავ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

15 იანვარი

გუშინ ვიყავით მე, ქეთო და მგალობლიშვილები რუსია ამირეჯიბთან. მერე ერისთავიანთა წავედით. იქნებოდა 9 საათი საღამოსი. პატე არ მასვენებს, ჩამაცივდა და ყოველ ჩემ სიტყვას იმეორებს, დამცინის ხუმრობით. რა საცინელია. ძლივს-ძლიობით იჯდა ამირეჯიბიანთან ეჩქარებოდა ერისთავიანსა. ყოველ წამს იმეორებდა: ვილუპები, ჩემი ბედი წყდება. რომ არავის გაეგო თუ სად მიდიოდა, უთხრა რუსიას, ჩემ ნათლიასთან უსათუოდ უნდა წავიდე და მიულოცოო. წაგვსკდა სიცილი. ძლივსძლიობით მის გახარებულ გულზე. წავედით მამა დავითში, ნინუცას დღეობაზე ახალი სტილით. გიჟებივით მივრბოდით მე, პატე და ელიჩკა, რომ ტრამვაიზე მიგვესწრო, მერე აღმართზე სული ამოგვძვრა. მეათე საათი იყო, როცა იქამდის მივედით. ძალიან ბევრი ხალხი ჰყავდათ. 11 საათამდის დავრჩით და წამოვედით. მე მგონი, მარტო ამ წასვლა-მოსვლაში გავატარეთ დრო. გოგა და პატე მეძახიან «Пташка» არ ვიცი, რათ?

«Тот, кто не умеет находить счастье в самом себе, не найдет его и в целом мире».

Ауэрбах.

ინგლისელები თავის ჯარებით მოდიან და მოდიან. აქ გაავრცელეს ხმა, რომ ისინი 20 კ. ვერცხლისა ჰყიდიან შოკოლადს. მე, ქეთო და ელიჩკა გავიქეცით სათავად. სასწავლებელში (ეხლა ქართული უნივერსიტეტი) პატეც გამოგვყვა. გზაში გვეუბნება, თქვე სულელებო, მოგატყუილესო. მერე, უპასუხე მე, შენ რაღად მოგვდევ? — მე მინდორზე მივდივარ ჰაერის ჩასაყლაპადო! კარგი. ჩვენ შევედით ეზოში და ვაპირებთ ინგლისელ ჯარისკაცებთან მისვლას. პატე არ გვიშვებს, სირცხვილიაო. როცა მე ვკითხე, აკი მინდორზე მიდიოდი მეთქი — სთქვა არა, უნივერსიტეტში საქმე მაქვსო. იქ კარებში იდგა, როცა ჩვენ მივედით ინგლისელთან, ისიც მოგვიახლოვდა, მაგრამ იმ ინგლისელს ვერაფერი გავაგებინეთ და ხახამშრალნი შინ დავბრუნდით.

1919 წ. 22 იანვარი.

დღეს გავათავე აუერბახის „აგარაკი რეინზე". შესანიშნავი წიგნია. აქ ჰყავს მწერალს გამოყვანილი ტიპები მაღალ გრძნობით და იდეებით. მათი მიზანი სიცოცხლეში ნამდვილია. ისინი ებრძვიან უსამართლობას და სიმართლისკენ და სინათლისკენ მიისწრაფვიან. ფილოსოფიას ამ წიგნში დიდი ალაგი უჭირავს. მე მგონი, ამ წიგნის წამკითხავს გულში ბევრი რამ ჩარჩება. აქედან შეიძლება გაიგოს ადამიანმა სიბილწე და სიკეთეს შეუწყვეტელი ბრძოლა, რომელიც მიიყვანს რომელიმე გამარჯვებასთან. ეს ორი უზარმაზარი რამ არა სწყალობენ ერთმანეთსა და ერთმანეთის ბოლოს მოღება უნდათ. ერთი მათგანი სცდილობს დაამყაროს ქვეყანაზე სიმშვიდე, სიყვარული, პატიოსნება. მეორე კი — სულ წარღვნა და შავი ძალები

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაამეფოს. ამ წიგნში აი ამ უმთავრეს ელემენტებს უჭირავთ ალაგი. სიკეთე და ბოროტება იბრძვიან და როგორც უმეტეს ნაწილში სიკეთე დაგვირგვინებული და გამარჯვებული გამოდის. გმირი ამ წიგნის პირდაპირ ცხოვრებიდან არის აღებული თავის გრძნობებით. ავტორი აყენებს მას ჩვენ წინ და თავის ფიქრს და აზრს მისი პირით გვიხატავს. იგი რეზენიორია ჩვენ წინ. დიდი ჭკუის პატრონი ახალგაზრდა ფილოსოფოსი გვიხატავს თავის შეხედულებას მსოფლიოზე. მისი ღრმა აზრები ადამიანს აღელვებს და მის ალაგას თავის თავს აყენებს. ის მიდის პირდაპირ თავისი მიზნისაკენ და არსად არ უხვევს. მის გზაზე არავითარი შემთხვევის ატანა ძნელი არ იქნება. თუ იმის გულში ღრმათ არის ჩანერგილი ესა თუ ის სურვილი, მტკიცე ხასიათის ადამიანი ყველაფერს აიტანს. ამისთანა ტიპები როგორც წიგნებშია იშვიათად შეგვხვდება ცხოვრებაში. არ ვიცი, მე ჯერ არსად მინახავს არც ერთი მაგალითი. არ ვიცი, იქნება ჯერ ადრეა ჩემთვის და მოვესწრები. რას წარმოადგენს ადამიანი? ის სტუმარია დედამიწის, აქ ის ლხინობს მასთან ერთად, იტანჯვის და მერე ისევ შორდება. მანამ ადამიანში ნაპერწკალი ღვივის, იგი ხარობს და ტანჯობს. როცა იგი ჩაქრება, ყველაფერი ისპობა და ქრება. ესე, რომ რაც გინდა გონიერი და ნიჭიერი ადამიანი იყოს, თუ ჩაქრა ნაპერწკალი, ისიც ქრება. ადამიანის ფსიხოლოგია სულ მასზედ არის დამყარებული, ამ ერთ ბეწო ნაპერწკალზე.

1919 წ. იანვარი.

რა არის ფული? იგი ხელის ჭუჭყია, როგორც ამბობს ხალხი, მაგრამ ამ ჭუჭყს დიდი ადგილი უჭირავს ადამიანის ცხოვრებაში, თითქმის პირველი. უფულოთ ბევრი რამის გაკეთება არ შეიძლება. გუშინ ველაპარაკებოდი დედას: უსათუოდ ევროპა უნდა მოვიარო მეთქი. ჩაიცინა, მერე ფულიო? აქაც ფული. მამა შეძლებს, მე დარწმუნებული ვარ და გამომიგზავნის ხოლო. ოჰ, რა ბედნიერება იქნება, როცა მე საზღვარგარეთ გავჩნდები. უნდა უსათუოდ ასრულდეს!

20 თებერვალი.

რამდენი სახიფათო რამეა ადამიანის ცხოვრებაში. ამ უკანასკნელ დროს მტრებმა არ დაგვაყენეს. ყოველ მხრიდან თავს გვესხმიან. იქ ახალციხე თათრებმა აიღეს, აქ სოჭი მოხალისეთა რაზმმა დენიკინის მეთაურობით. გუშინ ვიყავი თეატრში, იქ წაიკითხეს, რომ ინგლისის მთავრობამ გამოგზავნა დეპეშა, რომელშიაც იყო: ინგლისის მთავრობა უბრძანებს ინგლისის მისიას გასცეს ბრძანება დენიკინს და ის მოსცილდეს საქართველოს საზღვრებს. დიდი ტაში და ჰიმნების დაკვრა იყო. დიდ ისტორიულ მომენტს განვიცდით. 15 ამ თვეს არჩევნები იყო დამფუძნებელ კრებისა. სოც. დემ. ძალიან ბევრნი გავიდნენ. მერე №2 ეროვნ. დემოკრ. და სხვა. დიდი ამბები იყო ქუჩებში. ბიულეტენები დაფრინავდნენ ჰაერში, ავტომობილები დასრიალებდნენ და ნომრებს ყრიდნენ. ყველა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩქარობდა, ხმა მიეცა იმ პარტიისთვის, რომელიც მოსწონდა. ძალიან ბევრს ვლელავდით ჩვენც. №11 იყო უპარტიოებისა და არც ერთი არ გავიდა. 480 ხმა მიიღეს. ახალი პარტიაა და ბევრი მას არ იცნობს. ყველგან სოც. დემოკ. გადიან, ოჰ, ეგ პარტია ცრუ გზაზე აყენებს. ეგ სოციალისტები კი არ არიან, არამედ ბურჟუები, მარტო სახელი აქვთ სოციალისტებისა და მის ენით ლაპარაკობენ. მთელი ერი მგონი 15 პარტიად გაიყო. აბა აქ რა იქნება, რა გამოვა.

გავიცანით მე და ქეთომ პაულო იაშვილი, ძალიან სასიამოვნოა.... მხიარულია. ყოველთვის სახაზინო თეატრში ვხვდებით. ის მონაწილეობას იღებს ჩვენს დიდ საღამოზე, რომელსაც ვმართავთ 22 თებერვალს. ოჰ, რა ფაციფუცში ვართ. არტისტებთან დავრბივართ, ვთხოვთ, რომ მონაწილეობა მიიღონ. იქ სხვაზე გავიქცევით. დრო არა გვაქვს.

23 თებერვალი 1919 წ. გაგრძელება 24.

გუშინ სასწავლებელში გვქონდა დიდი საღამო-ბალი. ჯერ მანამ ეს გაიმართებოდა დიდ ფუსფუსში ვიყავით, ვლელავდით და გვეშინოდა, რომ ცუდად ჩაივლისო. მაგრამ ჩვენი მოლოდინი არ გამართლდა. 7 საათზე ხალხმა დაიწყო თავის მოყრა. სანამ კონცერტი დაიწყებოდა, რაღაც უცხო ხალხი იყო, მოსწავლეები და წვრილფეხობა. სასიამოვნო არ იყო. თამარა ილინიშნამ მე, ქეთო და ვავა საჩაიეს ოთახში დაგვაყენა. ბუფეტი შესანიშნავი იყო. ბევრი რამის გემოც ვნახეთ. 9 საათზე არტისტებიც მოვიდნენ: ვანო სარაჯიშვილი, ინაშვილი, სპიტკო. გავიცანით ინაშვილი... თავისი სურათები გვაჩვენა დემონში გადაღებული. პირველმა სპიტკომ იმღერა, რადგანაც კომერციული სასწავლებლის საღამოზედაც იყო მიწვეული. სწორედ იმ საღამოს თითქო ჯიბრზე კომერსანტებმაც გამართეს ბალი. კონკურენცია იყო ჩვენ და მათ შორის. საკონცერტო განყოფილება ძალიან კარგი იყო. 12 საათზე ცეკვა გაიმართა. ბევრი ვითამაშე, ძალიან დავიღალე კიდეც, თვალები მიჭრელდებოდა, როცა მაგდენ თვალებს ვხედავდი. კორიდორებში გამოვედით დასასვენებლად. მერე გოგა, მე, ქეთო, გუგული და ბევრი სხვა ჩვენი ჯგუფისა შევედით პატარა სასტუმრო ოთახში და ცალკე ცეკვა გავმართეთ. იქვე როიალი იდგა, გუგული მამაცაშვილი უკრავდა. ჩვენ კი ყველაფერს ვცეკვავდით, ტანგოსაც კი. მერე ჩაჩნური მათამაშეს, ყველას ძალიან მოეწონა. მუსიკა მშვენიერი იყო. ხალხი ძალიან ბევრი იყო და კინაღამ ჩხუბი არ მოუვიდათ ზოგიერთ სამხედრო პირებს, მაგრამ გააშველეს. 11 საათზე პაულო იაშვილი მოვიდა. მივესალმეთ და ყვავილები მივეცით. შემდეგ კოპალიც მოვიდა და ვახშმისთვის სულ კარგი ხალხი დარჩა. 1 საათზე, თუ $^1/_2$ ს-ზე ვახშამზე დასხდნენ. პაულო ტოლუმბაში იყო. აუქციონზე შამპანური ორ ათასად გაჰყიდა. ძალიან ყვიროდა და დაიღალა. ესტრადაზე მე და ქეთო აგვიყვანა და იქ გვეჭირა ბოთლი. სხვები ფულს აგროვებდნენ. კაბარეს დროს პაუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლომ და კოპალმა ლექსები წაიკითხეს. სახაზინო თეატრიდან მოიპატიჟეს მოცეკვავეები და მომღერლები ძალიან კარგი იყო. ჩემი მაგიდიდან ბლომათ ავიღე ფული. ძალიან ბევრნი მოვიდნენ კომერციული სასწავლებლის საღამოდან ჩვენ ვახშამზე. 4 საათზე ხალხი წავიდ-წამოვიდა. თამ. ილინიშნამ ძლივს გააბრძანა ზოგიერთი მთვრალი სამხედრო პირი. მერე დავრჩით მე, ელო, ტასო, ნიცა, ბეჟანიშვილი და რცხილაძე თითქმის მთელი მე-6 კლასი, ზოგიერთნი მე-6ა-დან, პაულო, ლელი და კოპალი, ყველა მასწავლებლები, დირექტორი, გამგე თავის მახლობლებით, 8 აფიცრებამდინ, სუნანა, მედია, აფხაზი ნიკუშა და სხვ. გავმართეთ ცეკვა. მუსიკა წავიდა და როიალზე უკრავდით. აქ უფრო კარგად გავატარეთ დრო. მე პირველად ვიყავი საღამოზე და ისე ნასიამოვნები არასოდეს არ დავრჩენილვარ. მათამაშეს ჩანგური. პაულო და კოპალი არ მშორდებოდნენ. იცინოდნენ და მიხაროდა, რომ ჩემ მიერ დაპატიჟებულნი კარგად ატარებდნენ დროს. 5 საათზე ვახშამი გაგვიშალეს. ერთი უშველებელი საერთო მაგიდა იყო. ქეთო 4 საათზე წავიდა. მეც მეუბნებოდა, მაგრამ ამხანაგებმა დამარჩინეს. ჩვენი გერმანულის მასწავლებელი ძალზე დაითვრა და ყველას ქათინაურებს ეუბნებოდა. საცინელი იყო სიმთვრალეში და ცეკვაში. ბ-ნი ლეოც ჩამოვიდა ზუგდიდიდან ჩვენ საღამოზე. ძალიან გაგვეხარდა და ისიც გახარებული იყო. როცა ცოტა გადაჰკრა, აღარ გვშორდებოდა, გვეხუმრებოდა და ოხუნჯობდა. ვახშმის დროს დირექტორმა მოგვილოცა ჩვენ და გვისურვა ბედნიერება. მან სთქვა: მე მინდა, რომ თქვენ ცხოვრებაში თქვენი აზრით და ჭკუით იყოთ და არავის არ მიბაძოთ, მაგაზე საშინელება არაფერი არ არის. მერე პაულომ და კოპალმა დალიეს, ალავერდი ჩემთან იყო. დაუკრეს ჩაჩნური, ვიცოდი, რომ მე მათამაშებდნენ, გავიქეცი და დავიმალე სხვა ოთახში. ყველანი გამომეკიდნენ „კნიაჟნა“, „კნიაჟნა“! სულ ერთია, არ დაგანებებთ თავსო, სანამ არ ითამაშებო. რა მექნა, მეც დავსთანხმდი. ტასო და რცხილაძე დათვრნენ. ტასო ძლივს იჯდა სკამზე. ხან მე დამადებდა თავს მხარზე, ხან ელოს. რცხილაძეც სულ რაღაცეებს ბუტბუტებდა. ოჰ, რამდენი ვიცინეთ.

8 საათზე სახლში წამოსვლა დავაპირეთ. არ გვიშვებდნენ, მაგრამ მაინც წავედით. მე-6 კლასი და დანარჩენები წინ წავიდნენ. ვაჟები, მე, სუნანა და მედია ერთად გამოვედით. აი აქ იყო, რაც იყო. სახლამდინ არ მოგვიკუმშია პირი, გიჟივით ვიცინოდით. სასწავლებლიდან რომ გამოვედით, პაულომ მოტეხა დიდი ტოტი ერთი ხისა, შუა ქუჩაში დადგა და ყვირილი დაიწყო, გაიღვიძე, მინისტრო ევგენი გეგეჭკორო! გეგეჭკორი იქვე სდგას (ცხოვრობს). ქუჩაში ვინც კი არ შეხვდებოდა, ხელს ართმევდა, ქუდს უხდიდა და ჰკოცნიდა კიდეც. ერთი „ტაჩკა“ დაინახა, შიგ ჩაჯდა და ყვირის მცხეთაში მივდივარო, იმ დღეს კურთხევა იყო კათალიკოსის ლეონიდის. იქიდან ჩამოაბრძანეს, ისე ვხუმრობდით, რომ ყველა ფანჯრებში იყურებოდა ღამის საცვლებში. პაულო და კოპალი ქუდს უხდი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დნენ და კოცნას უგზავნიდნენ... შეგვხვდა ერთი დროგი ჭარხლით. პაულომ მისცა მედროგეს 5 მას. და 4 დიდი ჭარხალი ამოაცალა და გადმოგვიგდო, ერთი საჩაიეში შეიტანა და უთხრა, სადილისათვის ჭარხლის სუფი გამიკეთეთო.,. ორი ვირი მოდიოდა, ზედ შეჯდა და გარეკა. ტრამვაი გაივლიდა და თავს უკრავდნენ ყვირილით: Здравствуй душечка. Оля, Маруся, Таня... კოპალი და ერთი ავიატორი ციციშვილიც აჰყვა. როცა სახაზინო თეატრს მიუახლოვდით მუსიკის ხმა მოგვესმა. დავინახეთ ქართული ჯარი ქართული დროშით მიმავალი მცხეთაში. კოპალმა და პაულომ ორი უშველებელი თაიგული იები გვიყიდეს. მე და სუნანას ყველაზე დიდები მოგვცეს. დავდექით შუა გზაში და ჯარი რომ მოგვიახლოვდა, ყველას დაურიგეთ პატარ-პატარა თაიგულები და მერე თავზე ვაშას ძახილით გადავაყარეთ. ჯარი შედგა და ქართული სიმღერა დასძახეს. პაულომ ექსპრომტები უთხრა. მერე ჯარს უკან მარშით გავყევით. ხალხი გვიყურებდა და უკან მოგვდევდა ცქერით. ყველა ფანჯრებიდან გვიცქერდნენ. 9 საათი იყო. ხალხი ძალიან ბევრი იყო. დავეწიეთ დანარჩენ მოწაფეებს და ყველა ერთად წავედით.... ერთი თათრის დუქანში შევიდა პაულო, აიღო დიდი ვაშლი და მთელ ქუჩაში მიყვირის, მარო მაყაშვილის ქალო, ვაშლი, ვაშლი დაიჭირეო და გადმომიგდო. მე ძლივს დავიჭირე. მერე აიღო რაღაცა და მეუბნება, რა მაქვსო თქვენთვის, რაო! მე მივედი და ხახვი ჩამიდო ხელში.

ჩაგვაცივდნენ მცხეთაში უნდა წამოხვიდეთო თქვენ და სუნანაო ავტომობილითაო. ძალიან ბევრი გვთხოვეს, კინაღამ ძალით არ ჩაგვსვეს, მაგრამ ჩვენ გავექეცით. 2 საათზე მეტს მოვდიოდით ინსტიტუტიდან. გამოვეთხოვე მათ. კოპალმა და პაულომ დიდის ამბით ხელზე მაკოცეს და 10 ს-ზე სახლში მოვედი, ძალიან შეშინებული იყო დედა, ეგონა რომ იქ დავრჩი ღამე, რადგანაც წვიმა იყო. მერე ხან რა მოუვიდა ფიქრად, ხან რა. მე ძალიან დაღლილი მივედი, დავლიე ჩაი და დავიძინე მაგრად სადილობამდის. საღამოთი სტუმრები მოვიდნენ და მოდუნებული, გამოჩერჩეტებული ვიყავი . დამცინოდნენ. რაზეს მეუბნებოდნენ, მე სხვას უპასუხებდი.

Общественная жизнь. Это зал, а семья это те камни из которых сложен этот зал.

მე თანახმა ვარ გარინ მიხაილოვსკის ამ აზრის.

12 მარტს გამოცხადდა საქართველოს დამფუძნებელი კრება.

23 მარტი.

დღეს სწორედ ერთი თვეა, რაც მე დღიურში არ ჩამიხედია. ან რა მაქვს ისეთი, რომ გაუზიარო მას. ცხოვრება თავის რიგზე მიდის, კვალს არა სტოვებს, რომ მე აღვნიშნო. დადგა გაზაფხული, მშვენიერი, მომხიბლავი, მაგრამ მარტი მაინც თავისას არ იშლის, კარგს დღეს ავდარსაც მოაყოლებს. მაინც

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჰაერი გამოიცვალა, სულ სხვა ჰავა ტრიალებს. ოჰ მზეო, მზეო, შენზე კარგი რა არის, მეტადრე გაზაფხულისა.

გაზაფხული მოგვადგა კარზედა
ბიჭებო დაუკარით ნაღარასა და თარზედა.

როგორც გაზაფხულმა გაიღვიძა, ისე ქართველი ერი იფშვნეტს თვალს. უნდა მოველოდეთ, რომ სულ გამოფხიზლდება.

სასწავლებელში გაგვიმართეს ორ კვირაში ერთხელ შეღავათიანი დღე. აი გუშინ მოხდა ეგ დღე და ბარათაშვილის დილა გავმართეთ. ვასამართლებდით ერეკლე მეორეს იმაზე, თუ რათ შეუერთა საქართველო რუსეთს. ბრალმდებლებიც იყვნენ. დიდი კამათის შემდეგ გავამართლეთ. ყოველ ამ დღეს ჩვენ ვინმე პოეტის პოეზიას გავარჩევთ. შემდეგში მინდა ავიღო ვაჟა-ფშაველა და მის პოეზიაზე მოხსენება დავწერო. ბევრს ვმხიარულობდით ხოლმე ამ დღეს. ამ დილას ჩავაცივდით ნიცა ნასიძეს, შენ უნდა უსათუოდ სცენაზე გამოხვიდე და «Умирающий лебедь» იცეკვო. ნიცა დაბალი და სქელია. ვაჯავრებთ ხოლმე, რომ ის არის стройная, изъящная, гибкая. ეს სულ ხუმრობით ვამბობთ ხოლმე. ისიც გვეხუმრება და დაიწყებს თავისი ტლანქი ფეხებით და ხელებით სხვადასხვა პა-ს გამოყვანას და ჩვენც გიჟებივით ვიცინით.

. . . . . .

გამგის გაკვეთილზე ჩუმათ სიცილით ვკვდებით. დადგება ხოლმე დაფასთან, გააშტერებს თვალს და გაშეშდება, «томные» თვალებს აკეთებს, დაკრიჭავს კბილებს, მუცელს გამოიგდებს და დგას. ჩვენ ერთმანეთს უყურებთ და ვხარხარებთ. როცა ის მობრუნდება, ძლივს შევიკავებთ ხოლმე თავს. საცინლად იტყვის ხოლმე „დიდება, შენდა ღმერთო!.. ყვირილს იწყებს. იმ დღეს არავინ არ მივედით კლასში, გვეგონა შეღავათიანი დღეაო. თურმე სხვა კლასში იყო სწავლა. დაგვსაჯეს. ორი დღით კლასი დაკეტილი იყო. გაგვიჯავრდნენ. იმ დღეს კიდევ რა გავაკეთეთ: გარდაიცვალა ქართველი პოეტესა ნინო ორბელიანი. წაიყვანეს ქალთა სემინარია. ჩვენ რომ დავინახეთ ეს, ავტყდით, რომ ჩვენც უნდა წავიდეთო. მესამე დასვენება იყო. ამ დღეს 6 გაკვეთილი გვქონდა, დანარჩენი გაკვეთილები ცუდები გვქონდა. ავჯანყდით. მოვატყუილეთ, რომ ყველა გიმნაზიები მიდიან და ჩვენ თუ არ ვიქნებით, სირცხვილია. ბევრი ყვირილის შემდეგ წაგვიყვანეს.... მერე ნიკოლოზის სასაფლაოზე წავედით მთელი კლასი. იქ ბევრი ვიმღერეთ, ვილაპარაკეთ. ამას წინათ დიდი, ძალიან დიდი გაზაფხულის ავდარი მოვიდა. მე-5 გაკვეთილი თავისუფალი გვქონდა. ვსხედვართ ფანჯარაში. ყველას საშინლად გვშია და მე-6-ს უცდით. ავდექით და დირექტორისაგან 10 მ. ვისესხეთ, ვიყიდეთ 4 გირვანქა თხილი და მოვსულიერდით. იქიდან წვიმამ ცოტათი გადაიღო, მაგრამ გზაში მოგვისწრო. მარტო კლასში ვმხიარულობ და უფრო კარგად ვსწავლობ. დანარჩენ დროს სახლში აუწერელი მოწყენილობაა. სადაც. უნდა წავიდე, ყველგან ისე არ მიმიწევს გული, როგორც წინათ. არავინ არ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაინტერესებს. თითქმის სულ სახლში ვზივარ. მე, ქეთო დაგიბლიოთეკა შალიკო ინგლისურს და ფრანგულს ვსწავლობთ. მინდა, მალე შევითვისო ეს ორი ენა. მინდა, დაველაპარაკო ინგლისელებს და მრცხვენიან.

ამ დღეებში ფრანგების მისიაც ჯარით ჩამოვა. რამდენი სტუმარი მოდის, რამდენი და ნეტა როგორები არიან? რა მიზანი აქვთ, ერთმა ღმერთმა იცის. ღმერთო, გეხვეწები, რომ ეს მიზანი ჩვენთვის კარგი იყოს და არა ბოროტი. ყველა აქეთკენ მოისწრაფვის, ნეტა რა დარჩენიათ აქ!

24 მაისი (ახალი სტილ.). 1919 წ. თბილისი.

ეს რვეული მე-5 და მინდა სულ ახალი გრძნობები და ფიქრები აღვბეჭდო. მე წინა რვეულებში ვწერდი, მოვიდნენ მეთქი — გერმანელები, მერე ინგლისელები, ეხლა კი იტალიელები არიან ჩვენთან. ამერიკელებით აივსო თბილისი, ინტერნაციონალურ ქალაქად შეიქმნა. ბოლოს და ბოლოს ვის ჩაუვარდებით ხელში, არ ვიცი. ჯერ მგონი, კიდევ ბევრნი გვესტუმრებიან. დელეგაციები საფრანგეთში არიან კიდეც, მაგრამ კონფერენცია ჯერ არ გათავებულა და მალე გათავდება თუ არა, არც ეგ ვიცით. მოხალისეთა რაზმი დენიკინის მეთაურობით ესევა საქართველოს, მაგრამ სასტიკათ ამარცხებენ. ლტოლვილებით თბილისი აივსო. პური ისევ ძვირია, შავი 5 მ., თეთრი 7, შოთი 9. მიდი და იცხოვრე. ფეხსაცმელები შეუკვეთე, ველარ მეღირსა გამოტანა 300 მ. უნდა მივცე. დღეში მამა ამბობს საშუალოდ 150 მ. იხარჯებაო. ჩულქები 150, 200 მ. როგორ უნდა ჩავიცვათ. ფულს ჩვენ თვითონ ხომ არა ვჭრით. უბედურებას უბედურება მოსდევს. იმ დღეს სთქვეს, ამერიკიდან 180 ათასი ფუთი ფეხსაცმელი მოდისო, ჯერ არ ვიცით, როდის მიიღებს ქალაქი. ეჰ! ფასი ისევ იმისთანა იქნება.

აქ ძალას გვატანენ, 26-ს დროშა უსათუოდ იყიდეთო, დიდი უქმეაო და ყველამ უნდა გამოკიდოსო, ვინც ამ განკარგულებას წინ გადაეღობება, მას 300 თუ 400 მ. ჯარიმას გადაახდეინებენო. ძალადობა შეიძლება? ვისაც შეუძლიან, იყიდის, ვისაც არა, კეტით არ აყიდინებ. გულში მწამს სამშობლოს თავისუფლება, უსათუოდ წითელი ბაირაღი უნდა გამოვკიდო? 26 დიდი ზეიმია მოსალოდნელი, ყველა კავშირები გულდადგენით მუშაობენ. დაწვრილებით ავსწერ, როცა ვნახავ ამ უდიდეს ღღესასწაულს ქართველთა ცხოვრებაში. 1 წელი საქართველოს დამოუკიდებლობისა მართლაც რომ იშვიათი მოვლენაა. უღელი გადატყდა და თავისუფალი კისერი აღმართა ქართველმა, დადაგულმა და დაჩაგრულმა ერმა. რა მოგველის, ჯერ ძნელია თქმა! ამ უქმეს ჩვენ სასწავლებელშიც უქმობენ. მე მომცეს, საღამოსთვის დავწერო „თავისუფალი ქართველი ქალი და თავისუფალი საქართველო“. ეს თემა შესანიშნავია, მინდა, ბაბომ მიშველოს, რომ კარგად გამოვიდეს. დიდ მზადებაში არიან ჩვენი მოწაფეები და მასწავლებელნი. არაფერი

ეროვნული ბიბლიოთეკა

არ მინდა, ოღონდ ჩქარა დაგვითხოვონ და მე-8 კლასში გადავ-
ვიდეთ.

დღეს მე-7 ვაჟთა სასწავლებელში (ყოფილი სათავადაზნაურო სასწავლ.) იმართება დიდი საღამო მე-VIII კლასის გამოსამშვიდობებლად, დაპატიჟებული ვიყავი, როგორც მშველელი, მაგრამ არ წავედი, რადგანაც კაბა არ იყო ჯერ ერთი მზად და მეორეს მხრივ ფეხსაცმელის გამოტანა ყოვლათ შეუძლებელი იყო. იმით დავკმაყოფილდი, რომ ავიღე ხელში დღიური და წერა დავიწყე.

მე-8 კლასის მოწაფე ვარ. აქამდის ბედნიერებას წარმოადგენდა ის წუთი, როდესაც გამომიცხადებდნენ, შენ გადახვედიო. როცა მართლა დადგა ის დღე, გულგრილად მივიღე და მასწავლებლებთანაც ჩხუბი მქონდა ნიშნებზე, უფრო კარგი მინდოდა. ოჰ, სწავლისგან მაინც მოსვენებულად ვიქნები მთელ ზაფხულს. სურათიც გადავიღეთ ჩვენ კლასის დამრიგებელთან. ერთი ვავა გადის და მე-8 არ იქნება დანარჩენები უსათუოდ ვრჩებით და მგონი სხვა სასწავლებლის მოწაფეებსაც შეგვიერთებენ. როცა ნიშნები დაგვირიგეს, წმ. ელენე და კონსტანტინეს დღე იყო და ამის გამო მისალოცად წავედით. მე და ქეთო ვიყავით ელო აკალიშვილთან. ოჰ, როგორ ვიცინოდით, სულ პირი გვიღიმოდა. დიდები შემოგვნატრონენ, დამატებით: ვაი იმ მასწავლებლის ბრალი, რომელიც თქვენ გასწავლითო. ჩვეულებისამებრ ქეთო ამღერეს, გავიცანით ახალი მხატვარ-ფუტურისტი გუდიაშვილი, ჩამაშტერდა, როცა გაიგო კოტეს ქალიაო. 10 საათზე ელიჩკა მგალობლიშვილთან წავედით. იქ მეტი ახალგაზრდობა იყო და ძალიან დიდი მხიარულება. საზოგადოდ იმათ სახლში მოწყენას ალაგი არა აქვს. პირველ საათზე დავბრუნდით.

მე პატესადმი არავითარი გრძნობა არა მაქვს. მასზე სრულებით არა ვფიქრობ, არც კი მაინტერესებს, მაგრამ უფრო კარგად ვგრძნობ ხოლმე თავს მაშინ, როცა პატე შინ არის. უფრო მხიარულია, ხუმარა. ზაფხულში ვეხვეწები დედას, ახალქალაქში წავიდეთ და პატეც იქ რომ იქნება, უფრო დიდი მხიარულება იქნება. პირდაპირ მთელი არსებით მიმიწევს სოფელში. შარშან მთელი ზაფხული თბილისში ვიყავი, ვემზადებოდი. მხოლოდ ერთი თუ $1^1/_2$თვე ოქროყანაში ავედი მაშინ ნათლიასთან. ჩვენებთან მომინდა ყოფნა. მეგონა უნივერსიტეტში შესვლა ენკენისთვეში, მაგრამ უმე-8 კლასოთ არ შეიძლება და უნებლიეთ უნდა განვაგრძო სწავლა მე-7 ქალთა გიმნაზიაში (ყოფილი სათავადაზნაურო). გაგვიმართეს საღამო გამოსამშვიდებელი. მე წავიკითხე „თავისუფალი ქართველი ქალი თავისუფალ საქართველოში“. მშობლები ამ საღამოთი აღტაცებაში მოვიდნენ. ჩვენც ბედნიერები ვიყავით იმ დღეს. ტასო რამიშვილი, მე და ქეთო ბ-ნ აკაკი ფაღავას სულ უკან დავდევდით, ყვავილების თაიგულები გაუგზავნეთ ცავრინას ხელით. ბ-ნ თედოსაც გაუჭირეთ საქმე. მას მოსწონს ქ-ნი ნინო და სულ ერთად არიან განცალკევებულნი. საცა არ წავლენ,

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

მე, ტასო და სხვები გვერდში ამოუდგებოდით და ილუზია იკარგებოდა. ვაშორებდით მათ ერთმანეთისგან, თედო ბრაზდებოდა, მაგრამ გვიღიმოდა... მას ეგონა, რომ ეს ღიმილი გულწრფელი იქნებოდა. ძალიან ვღელავდი, როცა ვკითხულობდი, მაგრამ ყველას მოეწონა, მილოცავდნენ. მითხრეს დაბეჭდეო. ჩვენ მოძღვარს მოეწონა და აღტაცებაში მოვიდა იმითი, რომ მე ჯერ ერთი კარგად წავიკითხე და მეორე ის, რომ გულზე ალმასის ჯვარი მეკიდა. დაუწყო მამას, ეგ ერთადერთი იყო, რომელსაც ჯვარი ეკეთაო, მისი გზა ასეთი და ასეთი იქნებაო. ქადაგობა დაუწყო. როცა მიამბეს, თან მიამა და თანაც გამეცინა.

(22 მაისი) 4 ივნისი

მდგომარეობა უცვლელია, დენიკინი ჯარით არც ახლოვდება, არც მიდის. კრებები გაუთავებელია. ამ დღეებში მობილიზაცია მოხდებაო. ოჰ! როდის უნდა ამოვისუნთქოთ თავისუფლათ. როდის აყვავდება წალკოტივით ჩვენი ქვეყანა, რათ უნდივართ ჩვენ სხვებს, დაგვანებონ თავი, ჩვენც ვგრძნობთ, ვსუნთქავთ, ვხარობთ. ადამიანზე უარესი არაფერი არ არის. ის ყველა მხეცზე მხეცია და მისი განზრახვა აუცილებელია.

აბა რას ვერჩით დენიკინს, რა უნდა ჩვენგან? არა, ქართველი ერი მხნე და გულადი არის, არავის დაანებებს თავის სამშობლოს. სამშობლოსადმი სიყვარული უდიდესია, სხვა ყველა გრძნობებზე მაღლა სდგას. შეებრძოლება მტერს სისხლის უკანასკნელ წვეთამდის. შეებრძოლება და ან სიკვდილი ან გამარჯვება. აი დევიზი ქართველ ერისა.

დაგვიანებული დღე 26 მაისი 1919 წ. საქართველოს დამოუკიდებლობის ერთი წლის გამოცხადება.

დღე თითქო თანაუგრძნობდა ზეიმს. დილიდან საღამომდის მზე უხვად ასაჩუქრებდა დედამიწას თავისი სხივმოსილი ისრებით. ქართველი ერი ბედნიერი იყო და ღმერთიც. მზის გარშემო რამდენიმე საათის განმავლობაში ცისარტყელა იყო.

ქ. თელავი 1919 წ. 21 ივნისი

გზა გაუთავებელი იყო თბილისიდან თელავამდინ. მიდიხარ, მიდიხარ უფრო მიცოცავ და ბოლოს, როგორც იქნება, თავს ამოჰყობ თელავში. ჩალაუბანთან რომ მივედით, წინ გადავეშალა ალაზნის ველი. მართალია, ძალიან მომეწონა, აღტაცებაში მომიყვანა მყინვარებმა, რომლებიც გუშაგივით გარს შემოერტყნენ კახეთს, მაგრამ ბოლოს შთაბეჭდილება არაფრის არ დამრჩა. მე მგონი, უფრო იმიტომ, რომ დაღლილი ვიყავი, ჩვენებზე ვფიქრობდი. მერე სულ ერთნაირი სურათია, განსხვავება არ არის. მე მინდა ვნახო ალაზნის ველი კარგ დარში, ან მზის ჩასვლის დროს, მთვარიან ღამეში. მაშინ, ვგონებ, სულ სხვა თვალით შევხედავ ყველაფერს. სადგური თელავის საძაგელია, პატარა, უმნიშვნელო, არა შესაფერისი ქ. თელავის, როგორც მეგონა, სანამ თვით თელავში ავიდოდი

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვითონ გზა ქალაქამდის საშინელია ოღროჩოღრო, ბიჭურ-ასი წლის ბებრის კბილებია. არაფერი გაგონებდა ქალაქს. უბრალო სოფლის ქუჩები და სახლები. მოვედით შენ. სიხარულით დაგვიხვდნენ ძალუა ქეთო ბავშვებით. იმ საღამოსვე ავდარი მოვიდა, მეორე დღესაც მთელი დღე წვიმდა. ისე რომ დამწყვდეული ვიყავი სახლში. ბაღის მეტს ვერაფერს ვერა ვხედავდი. მესამე დღეს კარგი ამინდი დადგა და გავისეირნეთ „ბულვარზე" როგორც თელავის მოქალაქეები უწოდებენ. შემოღობილი ალაგია 200 ან 300 ნაბიჯში თუ მეტი. აქეთ-იქით ხეხილებია ჩარგული და ხალხი დილიდან საღამომდის ან შუაღამემდის წინ და უკან დადის. საღამოთი ის ალაგი მომხიბლავი მომეჩვენა. ყველაზე ძალიან „ნადიკვარი" მომეწონა, გადაშლილი ალაგი, გარშემო მდებარე მიდამო სჩანს. მართლაც რომ დიდებული ყოფილა კახეთი თავისი წალკოტებით, მთაგრეხილებით და ჰაერით, რომელიც ნეკტარივით სასიამოვნო არის. ჩემდა საუბედუროთ მთვარე არ არის, ჯერ არ ამოსულა ახალიო. თელავში თუ ვინმე გაჩნდება ახალი პირი, დიდ ყურადღებას იპყრობს ისე, რომ მრცხვენიან კიდეც გარედ გასვლა. ბორია და მისი მეგობარი დადიოდნენ და მიხსნიდნენ ლამაზ ადგილებს თელავისას. ჯერ 1/20 არ ვნახე, იმისა, რაც უნდა მენახა. ძალუას ოჯახში ადამიანი არ მოიწყენს. მხიარული დიასახლისი და კმარა მთელი სახლიც გამხიარულდება. მეუბნება, უნდა გაგასუქო და ისე გაგისტუმრო დედაშენთან, რომ მეორეთაც გამოგგზავნონო.

თელავი ეგ ჩემის თვალსაზრისით დიდი და ლამაზი სოფელია ანუ დაბა, ქალაქს არასოდეს არ დაუძახებდი. სადმე სახლის წინ ქვატკეცილი 3 ან 4 არშინი რომ დაინახო, გაგეხარდება ადამიანს. ადრე ვთქვი, გზაში რომ მივდიოდი, უჩვენებოთ ძალიან მომწყინდა, შეუჩვევლობით მომივიდა. კინალამ ვიტირე, როცა შალიკო თბილ. სადგურზე გამომემშვიდობა. ბოლოს თავი შევიკავე. ამის შემდეგ მინდა, შორს საზღვარ გარეთ წავიდე სასწავლებლად. მაშინ სულ სხვა გართული ვიქნები წიგნებში, ხშირად წერილებს მივწერ და ამაში ვინუგეშებ თავს, რომ მალე ვნახამ. საღამოთი უნდა კიდევ წავიდე უდიდესი ქალაქის დასათვალიერებლად.

25 ივნისი 1919 წ. თელავი

ესეც შენი თელავი. არაფერს ისეთს არ წარმოადგენს. რაც მეგონა, ის არ არის! მთელი დღეები ვზივარ და ვკითხულობ ხან რას და ხან რას. აქ პირველად წავიკითხე გონჩაროვის «Обыкновенная история». ბევრი კარგი აზრი გამოსთქვა გონჩაროვმა ბიძა ადუევის პირით. მართლაც და მართლაც, რათ არის დედაკაცი დამნაშავე თუ მისი სიყვარული გაჰქრება ერთისთვის და მეორესთვის კი აფეთქდება, ვეთანხმები ავტორს და ვამბობ, ეგ ბუნებრივია. მაგ., ქალს უზომოთ უყვარს, დარწმუნებულია, რომ ეგ სიყვარული მუდმივია, ჩაუქრობელი. მაგრამ დადგა წამი და გული სიყვარულისაკენ არ მიიწევა, თავის თავს უკვირდება, უნდა გამოასწოროს, გამოარკვიოს

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავისი საქციელი — ამაოდ, გული გულგრილადაა. საშინელებაა. კაცი ძალათა მტრობს. რათ უნდა ქალი მის გვერდით იყოს, როდესაც სიყვარული აღარ არის. ორივესთვის სიცოცხლე გამწარებულია. მიე თავისუფლება, საცა უნდა წავიდეს და რაც უნდა ის გააკეთოს. ამას წინათ გავიგე ერთისგან: ერთ კაცს უყვარს ქალიო და ეუბნება, თუ არ გამომყვები — მოგკლამო. რა სისაძაგლემდე უნდა მივიდეს ადამიანი, რომ ეგ სთქვას! კარგი — ქალს არ უყვარს, შიშისგან გაჰყვა, რაა მათი ცხოვრება. სულ უთანხმოება მათ შორის ჩხუბი, სიყვარულზე ლაპარაკიც არ შეიძლება (არის შემთხვევა, როცა ქორწინების შემდეგ შეუყვარდება) ეს განზე დავტოვოთ. რა ნება აქვს ვიღაც სხვა კაცს, ჩემი ნებით ისარგებლოს, გინდა თუ არაო. თუ მინდა, ხომ კარგი, თუ არა და, მისი რა საქმეა. ეგ მარტო გაუნათლებელი ან საძაგელი ადამიანი, გაპირუტყვებული ჩაიდენს, სხვა კი არავინ. ბევრი რამე გამაცნო გონჩაროვმა ცხოვრების.....

თითქმის არსად არ დავდივარ. თუ წავალ ისიც საღამოთი დილით ძალიან ცხელა და ფეხსაცმელები მენანება. მართალი რომ ვსთქვა, თბილისში ძალიან მინდა. დედა და მამას ნახვა მენატრება. თბილისს რომ გავცილდები ხოლმე. თითქო მშობელს დავშორდიო. ისე შევეჩვიე დედაქალაქს, რომ იქ ყოფნა მირჩევნია, თუ ყველა ჩვენები იქ არიან და მეგობრები. არაფრის გაგება არ შემიძლიან. გაზეთები არ მოდის. თითქო უცხოეთში ვარ მეთქი. დედაც არ იწერება — ნეტა რა ამბავია.

ოჰ, ახალქალაქში ძალიან მიმიწევს. მინდა ერთხელ მოსვენებით ვიმხიარულო იქ. შარშანწინ იქ არ ვიყავი, შარშან გამოცდა მქონდა და სულ იმის შიშში ვიყავი, დავიჭერ თუ არა მეთქი. ეხლა მაინც გამიღიმოს ბედმა.

ვნახე კახეთი.

დიდებულია კახეთი თავისი სიმშვენიერით. უბრალოდ არ დამღერა და ააჟღერა თავის ჩანგი ვახტანგ ორბელიანმა. მართლაც რომ მომხიბლავი არიან მისი წალკოტები, სადაც იდუმალობა სუფევს. ალაზნის ველი გადაშლილი ხელის გულივით იბყრობს ყველას ყურადღებას. ზურმუხტოვანი, აბიბინებული ყანები შორიდან ზღვას წააგავს. გარშემო შემობოჭილია კავკასიონის ქედი, შუბლ შეჭმუხვნილი მყინვარი გადმოჰყურებს თავის ფეხთან მდებარე არეს და თითქოს ამბობსო, მეც თქვენზე ნაკლები არა ვარო. შეხედეთ ჩემს შეევრცხლილ თავს. რა არის, რომ მოვხუცდი, მაგრამ სიბერეშიაც სილამაზეს არ ვკარგავ. უჩემოთ თქვენი შვენება დაიკარგებოდა.. მართალიც არის. მთები თითქოს ფერხულში ჩაებნენო, გარს შემოერტყნენ და მცველებივით გამზადებულნი არიან. ბევრ რამემ გადაიარა მათ თავზე და გადაივლის კიდეც. გაუნძრევლად, ხმაგაკმენდილნი დგანან. ან რამ უნდა გაამხიარულოს, სადღაა ძველებური ჰარალალო, როცა მეფე ერეკლეს ჯარი ამ მთებს გადაივლიდა, მაშინ მთებიც ბანს აძლევდნენ, თავის სიხარულს მარტო მაშინ გამოხატავდნენ. ერეკლე — პატარა კახი სდუმს, მთაც ხმას არ იღებს. მასთან ერთად შე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სწყდა საქართველოს კეთილდღეობა. ორთავა არწივი აღარ ასვენებს. ბოლოს ეს არწივიც მოკლული იქმნა. მისი კლანჭები აღარავის აღარ აშინებს. თითქო ძილისაგან გამოიღვიძა, ბუნებამაც, ქედმაც გაიღიმა. მიზეზი ამ ყველაფრისა, საქართველო აღზდგა. ეჰ, რამდენი ფიქრები ტრიალებს თავში, არ იცის ადამიანმა რომელს მოანდომოს დრო.

იყალთო 28 ივნისი 1919 წ.

სულ სხვა წარმოდგენა მქონდა იყალთოზედაც. რამდენი ამბობა, რამდენი ლაპარაკი იყო იმაზე, თუ აი ამას წარმოადგენს იყალთო, აი ამასო. მართალია, ჯერჯერობით არაფერი მინახავს რა, მაგრამ რომ ვნახო კიდეც, ისეთ აღტაცებაში არ მოვალ, როგორსაც მოველოდი. ვნახე მამას სახლი, საცა მისი მშობლები ცხოვრობდნენ. ეხლა პაპის ძმა სდგას თავის შვილით და შვილიშვილებით. სოფელში აქეთ იქით მიპატიჟებენ. მამას ბიძაშვილმა აღარ იცის, როგორ გამიმასპინძლდეს. ვიყავი ძალუა სონასთან, სადილი ვჭამე იქ, ძალიან გაუხარდათ ჩემი ნახვა. 7 წელიწადია ელიჩკა არ მენახა. ეხლა ისე გაკეთდა, გაიზარდა. თელავის წმ. ნინოს სასწავლებელი გაათავა 7 კლ. ეხლა ვაცივდები ელიჩკას მე-8 კლასში თბილისში ჩვენ სასწავლებელში გადმოდი მეთქი. ძალუა თითქოს დათანხმდა. მე ძალიან მინდა, ძალიან. უნდა იქამდე ჩავაცივდე დედას, მანამ არ დასთანხმდება. მენატრება, რომ სახლში მყავდეს მეგობარი. ვიყავი „ღვთაებაში“, იყალთოსგან 1/2 ვერსზე არის. კარგი ეკლესიაა იქ. ძველებური ხატები იესო ქრისტესი. ვემთხვიე, მათ შევეხვეწე მუდმივი ჩემი ნატვრა, გულ დამშვიდებული გამოვედი. დავათვალიერე იქაურობა. ჩემ ბებიის და პაპის საფლავებიც ვინახულე. კარგად იმოქმედა ჩემზე მაგ სანაწაობამ. გარშემო ტყეები. იქვე ტაძართან აკადემია, სადაც დიდებულმა შოთამ და ბევრმა ქართველმა მიიღო განათლება. ნანგრევებია სადაც ეხლა, მარტო გარეული ბალახია და სხვა მძრომელები დაბუდებულან. ჩემთვის ვფიქრობდი, აი აქ მე ვდგევარ და ოდესღაც იქნება „ისიც“ განიცდიდა ამ ალაგას იმ დიდებულ გრძნობას, რომლითაც პოეტი არის დაჯილდოებული ღმერთისგან. ღვთაებიდან თითქოს კახეთი ხელისგულზეაო, ყველა სოფლები ჩანს თითქმის და თელავიც. იქიდან გადმოვედით ერთ მთაზედ, ტყეა იქაც, სადაც რამდენიმე ნანგრევია ეკლესიებისა. დიდ მანძილზე ერთი ციხის დასაწყისია და მეორე მხარეს მეორე. თურმე სულ ერთად ყოფილა ეს შეერთებული. გამიკვირდა. დაქანცულები სხვა და სხვა შთაბეჭდილებით მოვედით სახლში. საღამოთი წვიმა მოვიდა და ძალიან მოწყენით ვიყავი. წავიკითხე რამდენიმე მოთხრობა რუსული და მაგაში გავატარე დრო. დღესაც მთელი დღე წვიმს. ძალიან მოქმედობს ჩემზე ეს ცუდი ამინდი. სახლში ვზივარ და უფრო მინდა ჩვენების ნახვა. გარედ რომ ვყოფილიყავი გავერთობოდი, აქაც სულ ვკითხულობ, მაგრამ მაინც ვიღლები და მოწყენილობას სულ უფრო და უფრო ვგრძნობ. ძალუა ქეთოს მივწერე დღეს წერილი, რომ ხვალ თელავში წამიყვანოს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

3 ივლისი იყალთო

ესეც შენი იყალთო. გუშინწინ ჩავწექი ლოგინში კუჭის ტკივილი საშინელი მქონდა. გულს მაწვებოდა რაღაცა, ორი დღე ლოგინში დავყე და ძალიან კარგად არა ვარ ეხლაც. მაგრამ უსათუოდ თელავში უნდა წავიდე. აქ ძალიან მოწყენით ვარ და იქიდან თბილისში. ნეტა არაფერი მომივიდეს და კარგად ვიყო.....

თელავი

ჩამოვედი. მერე რა ბორია (ბიძაშვილი) ძალიან მაბრაზებს. დღესაც ვეხვეწებოდი, წამომყე ცოტა გავისეირნო მეთქი და თავი მტკივაო! ვიცი, უნდა წამოსვლა, მაგრამ რაკი კარგი ჩასაცმელი არა მაქვს არ წამოვალო. ისე ძალიან კარგია, კეთილია, მაგრამ პრანჭია. დათა აბაშიძე მთხოვს, მე გაჩვენებთო, მაგრამ ეხლახან გავიცანი და ისე არ მინდოდა. სულ მეხვეწება, მე გაბრაზებულ გულზე უარს ვეუბნები. როგორა სწყინს... დათა აბაშიძე კარგი ყმაწვილია, ძალიან განვითარებული, ძალიან სასიამოვნო და პატიოსანია. როცა მოვა ხოლმე, მიხარიან. მასთან ლაპარაკი შეიძლება იმ საგნებზე, რომელიც საერთოა. ბაასი ხშირად გვაქვს ყანწელებზე, თვითონაც ყანწელია. კარგა აჯავრებს გრიშაშვილს. ბევრი ლექსი იცის მისი. ტიტე და პაულოც მოსწონს. ამისთვის კამათი გვაქვს ხოლმე. მე წინააღმდეგი ვარ ფუტურიზმის — ის კი მომხრე. ეხლაც ველი, ნეტა მოვიდეს, ცოტა გავერთო. ესე ჯდომა მომწყინდა.

10 ივლისი თელავი

ძლივს ძლივობით გამოიდარა. შაბათს მივდივარ და ძალიანაც მიხარიან. მხოლოდ რა უბედურებაა ეს უკანასკნელი დღეები, ძალიან ნელა მიდის. უნდა პარასკევს ვყოფილიყავი თბილისში, ბორია ჩამაცივდა, მე შაბათს მივდივარო და ბარემ ერთად ვიქნებითო. მართლაც, ცალ-ცალკე სიარული ეხლანდელ დროში, ცოტა არ იყოს, სახიფათოა.

საღამო საუცხოოა. რაღაცა უბედურება მომდის, როცა კარგი ღამეა, რაღაცა მოწყენილობა მეცემა და უაზროვნოთ უყურებ მთვარეს. თუ სახლიდან მოშორებით ვარ, ცრემლები მახრჩობენ. ესე ჯდომა მომწყინდა. ძალო ქეთო მეუბნება, შენ როგორ მოგბეზრდაო აქ ესე ჯდომა. მე უარს ვეუბნები, „რას ბრძანებთ მეთქი“ გულში კი მინდა, სადმე წავიდე. ეჰ! ეხლა ისეთი დროა, ვისა სცალიან სამხიარულოდ, თუ არა ისე ცოტა აფრაკათ შესულ ხალხს. მაინც თბილისში უნდა მოვახერხო და რამდენჯერმე თუ სეზონი არ დაიხურება, თეატრში წავიდე,

30 ივლისი ახალქალაქი

30 ივლისი ახალქალაქი

ორი კვირაა, რაც ახალქალაქში ჩამოვედი. კახეთმა ჩემზე ფრიად სასიამოვნო შთაბეჭდილება მოახდინა და რაც უფრო

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეტი დრო გადის, მით უმეტეს მომწონს წარმოდგენით. არა! ეხლა ვგრძნობ, რომ კარგად გავატარე იქ დრო.

ახალქალაქში ძველებურად მომიწევდა გული. თბილისში შევარდენის გულისთვის თუ მინდოდა დარჩენა. ისიც როცა გავიგე, რომ ბევრნი სოფლად მიდიან იქიდან, უფრო დამშვიდებით წამოვედი. კახეთიდან ჩამოსვლის უმალ დამიხვდა ქეთო. თბილისიდან ერთად წამოვედით, ის ქვიშხეთში, მე ახალქალაქში. აქ მგალობლიშვილები არიან და უცნაური საზოგადოებაც, რომელიც შემდგარა დიდებისაგან და პატარებისაგან ერთად. მუდამ განხეთქილება ხდება ამ ორ ჯგუფს შორის. ხშირად ავალთ ხოლმე მე და შალიკო საღამოობით იქ დროს გასატარებლად. ქეთო თუ ჩამოვა, მე მგონია, აქ უფრო სასიამოვნო იქნება ჩემის აზრით.

მთვარის შუქზე ვწერ ჩემს დღიურს, სასიამოვნოა...

გუშინ არ ვიცი, რათ მგალობლიშვილებთან ამივარდა საშინელი ქვითინი, ისეთი, რომ თითქმის 1 საათი ვტიროდი. ამომიჯდა გული. ვეკითხები ჩემ თავს, რა არის, მაგრამ იგი სდუმს და პასუხს არ მაძლევს. რა მიზეზია, არ ვიცი...

ქეთო ჩამოვიდა ჩემ დღეობისთვის. მხიარულათ ჩაიარა... მეგობრები მყავდნენ. ქეთოს მოსვლა ძალიან გამეხარდა, ეს მოულოდნელად იყო. კვირას კოლაანთ ავედით. იქ კოსტამ მითხრა, შენთან ტელეგრამაა. მომცვივდნენ, სანდრიკა, პატე ჩამაცივდნენ ეს ნამდვილი არ არისო. ტელეგრამა ქეთოსგან იყო, „დამხვდით მოვდივარო". ორწყალშუა ვიყავი. კოსტა იფიცავდა, ნამდვილიაო. სხვები აბირდნენ, არა და არაო. მაინც დავიჯერე, რადგანაც ზემოდან ქეთოს სადგური წავიკითხე. სანაძლეო მოუგე სანდრიკას — სილა.

13 აგვისტო 1919 წ. ახალქალაქი

აი 12 საათია კიდეც და მე არ მეძინება. ჩემს თვალებს ძილის ნიავმა ფრთა არ შეახო. საშინლად მომინდა დღიურის წერა. საინტერესო არაფერი მაქვს, რომ ჩავწერო. მაგრამ ხელის გავარჯიშება, მართლა რომ ვსთქვათ, მომსურდა. ამ საღამოს ვიყავით მე და შალიკო მგალობლიშვილებთან. გარეშე პირი არავინ იყო. ლაპარაკში და ბაასში გავატარეთ დრო. სამაგალითონი არიან, ყოველთვის ვიტყვი ამას, დღესაც წინააღმდეგი ვიყავით ჩვეულებისამებრ მთავრობისა. საწყალი რეზიკო რომ დაიჭირეს, ბოლშევიზმს აბრალებენ. ამაზე გული მოგვდიოდა. ესეც შენი სიტყვის თავისუფლება. პატემ კარგად სთქვა, სიტყვის თავისუფლება ნიკოლოზის დროსაც იყო, თუკი მასზედ კარგ რამეს დასწერდნენ. ის არის საწყენი, რომ თავისივე ერი, თავისივე მოძმე გავიწროებს. სხვა ყოფილიყო, ისე გასაკვირველი არ არის. აქ კი ქართველი — ქართველსავე ავიწროებს. კახეთი ჯერ-ჯერობით სდუმს, მაგრამ მათი ფიალა თურმე ივსება, რამდენიმე წვეთი და გადმოვა სიჩქარით, შეუჩერებლივ. მაშინ ამ სტიქიას ვერც ერთი ვერ გადაუდგება. მუდამ ვწერდი ყოველ მოთხობაში, ჩემ მოგონილში, ამირანმა აწყვიტა თავის ჯაჭვი და საქართველო გაან-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავისუფლა მეთქი. ეს ილუზია იყო მარტო. თურმე იგივე ამირანი უფრო გაუწყვეტელ ჯაჭვებით არის შებოჭილი და მის გაწყვეტას დიდი, ძალიან დიდი ღონე უნდა.

აგრე ადვილი არ ყოფილა თავისუფლების მიღება. რამდენიმე ხელში უნდა გაიაროს, გამოსწოვოს უკანასკნელი წვეთები და როცა დაუძლურდება, მერე მიაგდოს, როგორც გამოუსადეგარი რამ. ესეა ჩვენი ცხოვრება. მტრობა გაუთავებელია.

მშვენიერ სანახაობას წარმოადგენდა № ალაგი. თითქმის ყველგან მოსჩანდა უზარმაზარი ხეხილები, რომლის ქვეშ დამათრობელი ჩრდილი იყო. აბიბინებული, მინდვრები გულს უმშვიდებდნენ ადამიანს. ფიქრით დაღალული, ფიზიკურად დაქანცული წავაწყდი ერთს წყაროს, რომელიც მოჩუხჩუხებდა ერთი ცაცხვის მეზობლად. ისეთი მომხიბლავი იყო ეს ალაგი, რომ მივწექი იქვე და ოცნებას მივეცი. ტკბილია ოცნება მყუდროებაში. საღამო ჟამი იყო, ჰაერში სიჩუმე სუფევდა, მზეც მისუსტებული უკანასკნელ სხივსღა უგზავნიდა არეს. დაუდეგარი და მოუთმენელი მთვარე მზის ჩასვლამდე დასკუპებულიყო ცის კამარაზე და თითქოს ეუბნებოდა, „მზეო, ეხლა ჩემი რიგიაო“. ჩამობინდდა. ჩემს გულსაც თითქოს სიბნელე ეკარებოდა. ტკბილი ოცნებიდან მწარეზე გადავდიოდი და ესეთი სასტიკი შეცვლა ძნელი იყო. ჩემდა მოულოდნელად ეს ფიქრები იბადებოდნენ ჩემს თავში: მაგ. რომ ჩაუკვირდეთ ცხოვრებას, რას წარმოადგენს იგი, რა უმნიშვნელოა ქალი მამაკაცის წინ. რა არის სიყვარული. ეს აზრები მიბნევდნენ გონებას. ყოველ ამ კითხვაზე ვეძებდი პასუხს. ბოლოს იე აზრს დავადექი, რომ ბევრს არაფერს წარმოადგენს ადამიანი. იგი ხეხილივით ხარობს, მხოლოდ უფრო მეტი სარგებლობა მოაქვს მით, რომ ის აზროვნებს და მოქმედობს, დანარჩენით კი ისიც იბადება, იკვებება და ბოლოს, როგორც ყველა, ხმება. და ეს ყველაფერი იქცევა არაფრად და ამ არაფერზე ისევ მისი მსგავსი დაიბადება და ასეა.

22 მარიამობისთვე

ახალქალაქში ერთხელ მგალობლიშვილებთან გავმართეთ საღამო. პატარა წარმოდგენა დავდგით. მერე ვახშამი. მხიარულად გავატარეთ დრო. გიჟებივით დავხტოდით, ვცეკვავდით. ვახშამზე მე და ელიჩკა დავთვერით კიდეც და მთელ მაგიდაზე ვმღეროდით. ქართული ჰიმნი დავიწყეთ, ყველა ავაყენეთ ფეხზე. დიდი პატარა სულ აირია. ამას წინადაც სცენის სასარგებლოდ, „მეზობლები“ მიდიოდა. გორიდან ორკესტრი მოიწვიეს. მომინდა ძალიან წასვლა. ავედი ელიჩკასთან, ყველანი ავაშფოთე და ქვევით წამოვიყვანე. ჩამოვიდა თბილისიდან სანდრიკა. სხვანაირი არსებაა იგი, ძნელი გასაგები, ხან ძალიან მხიარული, ხან ისე დაღვრემილი, მოწყენილი, რომ უკვირს ადამიანს. ხელი მახლო, მე გაუჯავრდი. ეწყინა და მგონი ხმას აღარა მცემს. „Чудак“-ი დავარქვით. ამ სახელის ღირსიც არის. ერთხელ თავი უნდა მოეკლა. ჩემთან ძალიან

ეროვნული ბიბლიოთეკა

კარგ განწყობილებაშია, კარგად ვექცევი, მეგობრულად. დღეს კი მოვიდა მგალობლიშვილებთან, იჯდა ჩუმათ, იჯდა დიდხანს, მერე წავიდა ხმა ამოუღებლივ სახლში. ჯერ მარტო ლამფის წინ იჯდა. კოსტა ხუმრობდა: ლამფა შეიყვარაო, მაგრამ ის პასუხს არ აძლევს. ან არა უყურებს «как танцуют комары» ბევრი ვიცინე, ძალიან საცინელია კოსტა. მისი გაბრაზება მიყვარს, მეტადრე როცა სხვა აჯავრებს, სიცილით ვკვდები. პატენ ხუმრობამ ხომ მომკლა. შევარდენის საშინელი წინააღმდეგია. მთელი საღამოები მაგაზე გვაქვს ჩხუბი. ის მიმტკიცებს, რომ ქალს არ უხდება მაგისთანა ვარჯიშობა, არამედ პლასტიკა უნდაო. მე პირიქით ვამტკიცებ, რომ უმაგისოთ კარგა ვერ განვითარდება საქართველოში ქალი. ოჰ, რა ლაპარაკია ხოლმე გაცხარებული. ის უფრო მეტი წილ მაბრაზებს და უნდა სიბრაზისგან ვილაპარაკო. შევეჩვიე და მეც დაცინვით უპასუხებდი. დღესაც გამიწყალა გული, „შევარდენკა“, „შევარდენისტკა“. ხვალ მიდის თბილისში და თითქოს რამე მაკლდებაო. მე საზოგადოდ როცა დიდი თუ პატარა სადმე მიემგზავრება, გული დამწყდება, თითქოს რაღაცა მახლობელი მოვიშორე მეთქი.

29 მარიამობისთვე 1919 წ.

რა მხიარულად გავატარეთ გუშინდელი დღე. დილის 10 საათზე ელიჩკამ, თამარა ჯინჭარაძემ, კოსტამ და სანდრიკამ გამომიარეს მეტეხში წასასვლელად. ამ დღეს ყოველ წელიწადს დიდი უქმეა 15 მარიამობისთვეს ძველი სტილით. თეთრ კაბებში გამოწყობილები. გავსწიეთ. თითქმის ვერც კი გავიგეთ, როგორ მივედით საყდრამდის. საზეიმო ხალხი ბევრი იყო, მაგრამ არც იმდენი, რამდენიც წინა წლებში. ვილოცეთ ღვთისმშობლის ხატის წინ, სამჯერ შემოუარეთ ტაძარს. უცბათ თავს დაგვაყენეს თუხარელებმა ტანია და კოლია. ძალიან გვთხოვდნენ, იმათთან წავსულიყავით სადილად. ჩვენ გვრცხვენოდა. სანდრიკა მუშტს გვიჩვენებდა, არ გაბედოთო, ახალქალაქში წავიდეთო. ისე გვთხოვდნენ, რომ სირცხვილიც იყო, უარი გვეთქვა. დავსთანხმდით. სხვათა შორის მაზნიაშვილების ოჯახიც იქ გახლდათ. სადილობამდის ისე ვისხედით, თითქოს ღვინოს უცდიდნენ და მერე გამხიარულებას. მშვენიერი ოჯახია თუხარელიანთი, რა კარგა მიგვიღეს! სადილობისას ერთად დავსხედით მე, ელიჩკა, თამარა. პირდაპირ გოგა და ვანია მაზნიაშვილი (Мазнев) როგორც დავარქვით. დაიწყო ღვინის დასხმა, უსათუოდ უნდა დალიოთო. ელიჩკამ 3 ჭიქა დალია მე 4. თავბრუ დამესხა, ფეხები ამიკანკალდა, სახე გამიწითლდა, თვალები ამენთნენ. მაზნიაშვილი დაითრო, გამიწყალა გული, რამდენჯერმე ჩემი სადღეგრძელოც დალიეს. მერე თამადამ მიმართა: ყოველმა ყმაწვილმა დალიოს იმის სადღეგრძელო, ვინც მოსწონს, აბა შენ ვანია, ის ადგა და მე გამომიწოდა სავსე ჭიქა. ეგ იკმარა, რომ გოგა ჩამციებოდა. დალია კიდევ ჩემი სადღეგრძელო მის მამამ, გენერალ მაზნიაშვილმა «Вот отец и сын отличились, но яуступаю сыну»-ო

ეროვნული ბიბლიოთეკა

მითხრა. მერე როდის გაათავებთ სწავლასო, მე უპასუხე, 1 წლის შემდეგ. დანარჩენს მე თქვენს მამას მოველაპარაკებიო. წამსკდა სიცილი, ძლივს ძლიობით ავდექით სუფრიდან. აღარა მშორდებოდა ჩემი „Жених"-ი როგორც დაარქვეს მას. ისე გამიწყალა გული, რომ ვემალებოდი. მაინც გამომძებნიდა და მოვიდოდა. გოგამ და სანდრიკამაც ბოლო მომიღეს, ოჰ, უნდა ვიქეიფოთ შენს ქორწილზე, ბარემ ეხლა მოვრჩეთო საქმეს. იმდენს ვხუმრობდით და ვიცინოდით, რომ რა. დავაპირეთ წამოსვლა, არ გვიშვებდნენ, მაგრამ მაინც წამოვედით. ყველას წინ მარტო მე ვანიამ ხელზე მაკოცა, აქ შემრცხვა და გამოვიქეცი. გოგა და კოსტა იქ დარჩნენ. მე, ელიჩკა, თამარა და სანდრიკა წამოვედით. მუხლები მტკიოდა სისუსტისაგან, სანდრიკასაც თვალები აეწითლა. მხიარულად მივედით სახლამდის, გზაში მგონი 5 დავისვენეთ. 4 ვერსი ღვინის შემდეგ ადვილი არ არის. „Чудак", როგორც დავარქვი სანდრიკას, გზაში ყველას გამოეცნაურა, კინაღამ ერთთან ჩხუბიც არ მოუვიდა. მერე უცბათ ჩაწყნარდა, გაიბუტა. საკვირველია მისი ხასიათი. მერე ისევ მოუარეს. ღამე ცუდათ მეძინა, როცა დავიღლები, ეგრე მომივა ხოლმე. ძალიან მომეწონა მეც და ელიჩკასაც თითონ პატრონის შვილი კოლა თუხარელი. სანიაზო სახე აქვს ძალიან. მე და კოლა ვთამაშობდით „კოშკი მიშკის", ელიჩკა ბრაზდებოდა, რასაკვირველია ხუმრობით. მათამაშეს. ზურნა უკრავდა. ეს მეორეთ იყო ჩემს სიცოცხლეში ესეთი მხიარული დღე. პირველი, როცა ჩვენ სასწავლებელში „ბალი" გავმართეთ, მეორე გუშინ, სულ მოულოდნელად მოვხვდით თუხარელიანთა.

ენკენისთვე

გუშინდელ დღემდის თბილისში წასვლა არ მინდოდა, მაგრამ ეხლა მივისწრაფი ქალაქისკენ. რა უბედურებაა, მგონი, პატე მომწონს სულ უფრო და უფრო. რა მშვენიერი იყო გუშინ, ფერ მიხდილი, თვალები მშვენივრად გამოიყურებოდნენ. მთელი საღამო ერთად ვიყავით. დავწერე პატარა მოთხრობა და მთელი ჩემი ფსიხოლოგია იქ გამოვიყენე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რევაზ კვერენჩხილაძე

კვლავ უნივერსიტეტებს თრგუნავენ

1948 წელს სხვა ქართველ პატრიოტებთან ერთად დააპატიმრეს ორი ძმა-ვალი მწერალი — გივი ნოეს ძე მაღულარია (დაიბ. 1926—1995). და ოტია (ოტო) მიხეილის ძე პაჭკორია (1928—1984).

მაინც რა იყო დაპატიმრების მიზეზი?

აი, რას მოგვითხრობს ამის თაობაზე გ. მაღულარია: „ომის შემდეგ, 1947—1948 წლებში, ჩვენ უნივერსიტეტის სხვადასხვა ფაკულტეტის მესამე-მეოთხე კურსის, სტუდენტები, ყოველივეს ვხედავდით, ვფიქრობდით იმაზე, თუ რა გზით გვეშველა ჩვენი ხალხისა და ქვეყნისათვის. ვიკრიბებოდით და ვმსჯელობდით, რა გვეღონა, რა მოგვემოქმედა იმ უზარმაზარი მანქანის შესაჩერებლად, ქართველ ხალხს გასრესას რომ უქადდა. მაგრამ ვიღაცამ ჩვენი „შეთქმულება“ გასცა და ჩვენ, ცხრა კაცისაგან შემდგარი ჯგუფი: ალეკო მელაძე, შოთა ჯიჯაძე, გიორგი (ჟორეს) ცინცაძე, ბორის ხუხუა, კუკური ძიმისტარაშვილი, იური მაჩაიძე; ოტია პაჭკორია, თენგიზ ზალდასტანიშვილი და მე სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს ციხეში აღმოვჩნდით“ („თბილისი“, 5. III. 1990).

ჯგუფი თავის თავს „საჯარო ბიბლიოთეკის მკითხველთა ორგანიზაციას“ უწოდებდა, რადგან ამ ბიბლიოთეკაში, მისი საპირფარეშოს წინა ოთახში იკრიბებოდნენ და მსჯელობდნენ პოლიტიკურ საკითხებზე, ამაზე მოგვითხრობს ამ ჯგუფის მეორე წევრი ჟორეს ცინცაძე (ეცინება და იცინის „გ-55“, „ერი“, 1991. 20. II).

ორი წლის შემდეგ, ინტერვიუში („დედამიწა“, 1992. 14. III) გ. მაღულარიამ გულწრფელად, შეულამაზებლად კახსენებული საგულისხმო წვრილმანებით უფრო ზუსტად გაგვაგებინა, რა ამოძრავებდათ ამ სტუდენტებს და რამდენად იყვნენ მომზადებული მიზნის მისაღწევად;

„იმ პერიოდში, როდესაც ანტისაბჭოთა (როგორც მას უწოდებდნენ) ორგანიზაცია იქმნებოდა, იმის გამო, რომ ახალგაზრდები ვიყავით და არანაირი პოლიტიკური გამოცდილება არ გაგვაჩნდა, დიდი და ფართო პროგრამა არც გვქონია. ძირითადი მიზანი მაინც იყო ტოტალიტარული, დამწიხლავი რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლა და მისი დამხობა. ამდენად, ბრძოლის ხერხები და მეთოდები იყო უფრო პერსპექტიული, გამიზნული ბრძოლისათვის და არა მო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მავალი ცხოვრებისათვის. თუ რა ფორმას მიიღებდა საზოგადოებრივი წყობა, მომავალი საქართველო იქნებოდა დემოკრატიული რესპუბლიკა, კონსტიტუციური მონარქია თუ ავტორიტარული სახელმწიფო, ამაზე არც საუბარი გვქონია და არც პროგრამა შეგვიმუშავებია. ეს მაშინ ვერც მოესწრებოდა, რადგან მოითხოვდა ძალიან ღრმა კონსპირაციას და ამის დრო უბრალოდ არ იყო: თუმცა არ მოესწრო ისიც კი, რისი შემუშავების საშუალებაც მაშინ არსებობდა. შეიძლება ითქვას, ის იყო სურვილზე აგებული ბრძოლა".

გ. მაღულარიას ცნობებს ჯგუფის მიზნებისა და მოღვაწეობის თაობაზე ასეთივე ფრიად საგულისხმო მოგონებით ავსებს ჟ. ცინცაძე: საჯარო ბიბლიოთეკაში „გადაწყდა (1946 წელს) საქართველო დროა გახდეს თავისუფალი. თავისუფლებას მოგვიტანს არა „საერთაშორისო პროლეტარიატი" და მისი ერთადერთი ბელადი, ხალხის მამა, მასწავლებელი, მზე, მთვარე, მეცნიერი, ფილოსოფოსი, ენათმეცნიერი, წინასწარმეტყველი (და კიდევ რას უწოდებდნენ?) დიდი სტალინი, არამედ **ჩვენ თვითონ უნდა მოვიპოვოთ იგი, მაგრამ როგორ? ცხადია, კონსტიტუციაში ჩაწერილი ცნობილი მუხლესა და ორგანიზებული მშვიდობიანი ბრძოლის მეშვეობით"** (ხაზგასმა ჩვენია, რ. კ.).

აი, ასეთი გულუბრყვილობა დაემართათ. ცხადია, იცინებდა ამაზე მათი გამომძიებელი იოსებ ჭავჭავაძე, რომელსაც, როგორც იგივე ჟ. ცინცაძე იგონებს, საკმაოდ გულახდილად უთქვამს მისთვის: ეს მუხლი დაწერილია არა შენთვის, არამედ უცხოელთათვის, შეყეყეჩოო (ლაპარაკია საბჭოთა კავშირიდან გამოსვლის უფლებაზე)

პირველად, როგორც ხდება ხოლმე, ორი-სამი კაცი საუბრობდა, თანდათან ანდობდნენ ერთმანეთს თავიანთ ნაფიქრ-ვარ აზრებს. მერე გამოირკვეოდა, რომ კიდევ არსებობდა ასევე განწყობილი, ასეთივე შეხედულების მქონე ორ-სამ კაციანი ჯგუფი. პირველი სამეული არც კი იცნობდა მეორეს...

ამ შემთხვევაშიც ასე მოხდა, მათ შორის კავშირს ა. მელაძე ამყარებდა...

ამასობაში ერთმა წელმა გაიარა, ის იყო საქმეზე უნდა გადასულიყვნენ — პროკლამაციების გამოშვება უნდა დაეწყოთ, სტამბა უნდა შეექმნათ („სტუდენტური ორგანიზაცია არსებობდა, იურიდიულად მას არაფერი გაუკეთებია" — ა. მელაძე, „დედამიწა", 1992. II. III), — რომ 1948 წლის ოქტომბერში ი. მაჩაიძის, კ. ძიმისტარაშვილის, ბ. ხუხუას სამეული და სამეულთა დამაკავშირებელი ა. მელაძე დააპატიმრეს. ცხადია, ვიღაცამ გასცა ისინი. ეს ცალკე თავსატეხი საკითხია და ვინ იცის, ისიც როგორ იტანჯებოდა, ვინც ეჭვის თვალით უყურებდა ამხანაგს და ისიც, ვისაც ეჭვით უცქერდნენ...

პირველი სამეულის შემდეგ სხვები ყოველდღე ელოდებოდნენ დაპატიმრებას. 10—12 დღის შემდეგ ერთ ღამეს თ. ზალდასტანიშვილი, გ. მაღულარია და ო. პაჭკორიაც წაიყვანეს და შედგა საქმე №10—5590—49.

ორგანიზაციის დაპატიმრებული წევრებიდან ცხრა კაცი ვახსენეთ. მათ გარდა კიდევ ორი კაცი დაატუსაღეს. ესენი იყვნენ სტუდენტები: ფსიქოლოგი გივი ანთელავა და ფილოლოგი გიორგი ჩიქობავა.

შვიდი თვე გაგრძელდა გამოძიება თავისი საშინელებებით. ამ პერიოდში უკანასკნელად დაპატიმრებულნი ისე დაამუშავეს, ისე მიასიკვდილეს, რომ ორივე გასამართლებამდე გაათავისუფლეს — ისედაც ჭლექიანი და ეპილეფსიანი გ. ანთელავა მალე კიდეც გარდაიცვალა. გ. ჩიქობავა კი დაავადმყოფებული გამოვიდა.

ხმა დადიოდა — ერთ-ერთ დაბრუნებულს მოწაფეებმა ზურგი შეაქციესო. მაგრამ როგორც დღეს ამ ჯგუფის წევრები ამბობენ, ამ პიროვნებას ბრალი არ მიუძღვის ჯგუფის დაპატიმრებაში...

ჯგუფას ასეთი ბრალდება წაუყენეს: 1. შეიარაღებული აჯანყების მზადება; 2. პოლიტიკური ტერორი; 3. ორგანიზაციის შექმნა; 4. ანტისაბჭოთა პროპაგანდა.

ჯგუფის წევრებს 58-ე მუხლის უმძიმესი პუნქტები მიუყენეს და იქვე, ციხეში მისულმა, სამი კაცისაგან შემდგარმა ტრიბუნალმა 1949 წლის 8 მარტს, საბჭოეთში ასე განდიდებულ ქალთა საერთაშორისო დღეს, ღამის პირველ საათზე პატიმრებს განაჩენი გააცნო: ყველას (9 კაცს) 25—25 წელი მიუსაჯა (მაშინ სიკვდილით დასჯა გაუქმებული იყო, თორემ არც იმას დაიშურებდა), რის შემდეგ 5 წლით საარჩევნო უფლება ექნებოდათ ჩამორთმეული[1].

ამ „უფლების“ ჩამორთმევასთან დაკავშირებით ჟ. ცინცაძეს, როგორც ის დღეს იხსენებს, უთხოვია: ეს მაინც მომაკელით, სტალინის სიყვარულით განთავისუფლებისთანავე მინდა არჩევნებში მონაწილეობა მივიღოო.

ამ სიტყვებზე „კანვოის“ გასცინებია, სამეული კი გაქცეულა. მათთვის თ. ზალდასტანიშვილს დაუდევნებია: „ურა, ნაროდნი სუდ უდირაეტ!“

თ. ზალდასტანიშვილი, გ. მაღულარია და პაჭკორია გადაასახლეს ყაზახეთში, ყარაგანდის ოლქის ჯესკაზგანის უდაბნოში, 1948 წელს შექმნილ სპეცბანაკში — „სტეპლაგში“[1].

იქ, მარცხენა ხელ-ფეხზე, ქუდზე და ზურგზე ნომრებდაკრულები, დილის 6 საათზე საწოლიდან წამოგდებული პატიმრები 10 საათის განმავლობაში შრომობდნენ სპილენძის მაღაროში.

მოგვიანებით თ. ზალდასტანიშვილი ფერშლად მუშაობდა და ეს ერთგვარ შეღავათს ანიჭებდა — ჰქონდა „თავისუფალი“ (გარკვეული საათებისა და მარშრუტის ფარგლებში) გადაადგილების საშვი, რომელიც დღესაც ინახება მის ოჯახში.

იქაურ მძიმე პირობებზე თ. ზალდასტანიშვილი ნართაულად სწერდა პაპამისს 1950 წლის 6 ოქტომბერს: „დავანებე თავი ქვევრსა და ღვინოსთან ჭიდილს და ეხლა სხვას ვეჭიდები ღვინოზე ძლიერსა და საშინელს და თუ დავძლიე, დავბრუნდები გამარჯვებული და ბედნიერი. მაშინ შენთან ერთად უნდა ვადღეგრძელო, ჩემი მოხუცო, ყველა ქართველის ბედნიერება“.

სამწუხაროდ, პაპა ვერ მოესწრო შვილიშვილის ჩამოსვლას...

ვისაც სურს გაიგოს, თუ როგორ პირობებში მუშაობდნენ და არსებობდნენ პატიმრები, გ. მაღულარიას ზემოხსენებული ინტერვიუ და მისივე დიდი ხნის წინათ (1961.) დაწერილი, მაგრამ

---

1. „უშიშროების“ სამინისტროსაც და ტრიბუნალსაც არა მარტო ღია პროცესების ეშინოდათ, არამედ გასასამართლებლად პატიმრის ციხიდან გაყვანისაც. ამას ერჩიათ ტრიბუნალის წევრები თვითონ მისულიყვნენ ციხეში და იქ გაეთამაშებინათ თავიანთი სისხლიანი ან უსისხლო ფარსი“ (გ. მაღულარია, წარსულის ყრუ გამოძახილი, „მამული“, №9, 10, 11. 1991).

საერთოდ, მკითხველს დაბეჯითებით ვურჩევთ, წაიკითხოს მითითებული სტატია, რომელშიც მოცემულია ბოლშევიკური ტერორის მიზეზებისა და საბჭოური მიზნების, საბჭოთა სადამსჯელო მაქანის არაადამიანური სიმკაცრის, ციხეების, ეტაპების, სპეცბანაკების ცხოვრების საშინელებათა მართალი და ღრმა ანალიზი.

1. ჯესკაზგანში განლაგებული იყო მაშინდელი საბჭოთა კავშირის სპეცბანაკების ოთხი საამმართველოდან ერთ-ერთი (დანარჩენი სამი — კოლიმაში, ვორკუტასა და ნორილსკში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მხოლოდ უკანასკნელ დროს დაბეჭდილი რომანი „უკუქცევა“ უნდა წაიკითხოს („ცისკარი“, 1989, №5–8).

აქ კი მკითხველს მივაწვდით ამ ჯგუფის ერთ-ერთი წევრის, ამჟამად თბილისის სასულიერო აკადემიის პრორექტორისა და პროფესორის, ფილოსოფიის ინსტიტუტის წამყვანი მეცნიერთანამშრომლის ჟორეს (გიორგი) ცინცაძის მოკლედ ჩამოყალიბებულ გამოკვლევას, თუ რას წარმოადგენდა და რას ემსახურებოდა საბჭოთა საკონცენტრაციო ბანაკები:

„ეკონომიკა საბჭოთა კავშირში მონურ შრომაზე იყო დამყარებული. მძიმე მრეწველობის სულ ცოტა 75–80 პროცენტი ეფუძნებოდა პატიმრის შრომას, პირველ წყაროს შეადგენდნენ ე. წ. პოლიტიკური პატიმრები. ოქროს საბადოები, ხე-ტყე, ყოველგვარი ჯოჯოხეთური, რაც კი შეეძლო მოეფიქრებინა ადამიანის გონებას. 1947 წლიდან დახვრეტა შეცვალეს 25-წლიანი პატიმრობით ე. ი. პატიმრობაში აყვანილი ადამიანები სამუდამოდ იყვნენ განწირულნი. პატიმრის შენახვა დღე-ღამეში 5 მანეთი და 55 კაპიკი, ამ თანხაში შედიოდა ბადრაგი, რომელსაც ჩვენ ვინახავდით, ძაღლები, რომლებიც 4 პატიმრის ულუფას იღებდნენ, ბანაკის ადმინისტრაცია, მცველები, ოფიცრები, ზედამხედველები და ა. შ. მუშახელი კი ნაწილდებოდა ГУЛАГ-ის მიერ*, რომელიც ყველა საწარმოებიდან ღებულობდა მიმართვას საჭირო მუშახელის რაოდენობის შესახებ. ხალხი იღუპებოდა, ახალგაზრდები სახიჩრდებოდნენ. ამის შემდეგ მოსკოვი ანაწილებდა რესპუბლიკებზე იმ რაოდენობას, რისი საშუალებითაც უნდა მომხდარიყო მუშახელის შევსება. ეს კი ნიშნავდა, რომ გეგმიურად უნდა დაეპატიმრებინა ადამიანების გარკვეული ნაწილი“ („დედამიწა“, 1992. 14. III).

ამასობაში შორეული გადასახლების ადგილებში — პატიმრების ადამიანური ღირსების შეზღუდვა-შელახვის პირობებში, შიმშილისა და სიცივის, კატორღული შრომა-ჯაფისაგან დაღლილობის მუდმივ შეგრძნებაში, აქ კი —მშობლებისა და სხვა ახლობლების ასევე მუდმივ ღელვაში: ჩვენს პატიმარს იქნებ შია ან სწყურია, სცივა ან ავადაა, მეტად მძიმე და დამქანცველი სამუშაო აქვს, წერილს რატომ არ იწერება, ამანათს რატომ არ იღებსო, ხოლო ორივეგან — ქვეყანაში პოლიტიკური ვითარების შეცვლის ნატვრაში, სხვადასხვა ინსტანციაში საქმის გადახვევის, სასჯელის შემსუბუქების, შეწყალების თხოვნით გაგზავნილი განცხადებების პასუხის მოლოდინში მძიმე-მძიმედ გაწელილი წლები რომ მიიწურა და გულებიც გადაელიათ, — დადგა 1953 წელი, გარდაიცვალა (თუ მოწამლეს) სტალინი, გაასამართლეს და დახვრიტეს (თუ ამ ფარსამდე მოკლეს) ბერია, რასაც მოჰყვა მისი უახლოესი თანამშრომელ-ჯალათების გასამართლება.

ალბათ ბევრმა მშობელმა მისწერა თავის პატიმარს იმედის მისაცემად ისეთი სტრიქონები, რაც თ. ზალდასტანიშვილმა ჯესკაზგანში წაიკითხა დედამიწის 1955 წლის 17 ოქტომბრის წერილში:

„აქ წარსულ თვეში გაასამართლეს ჩვენი დამღუპველი რუხაძე თავის დამქაშებით. პროცესს ესწრებოდა თვით რუდენკო. სასამართლომ უმაღლესი სასჯელი დახვრეტა მიუსაჯა, მხოლოდ როგორც ხმებია უზენაეს საბჭოსათვის დამნაშავეებს უთხოვიათ სიცოცხლის შანარჩუნება და ეს თხოვნა, ვგონებ, დაუკმაყოფილებიათ“....

და შემდეგ 1955 წ. 22 ნოემბრის წერილში:

„დღევანდელ გაზეთებში „კომუნისტსა“ და „ზარია ვოსტოკაში“ გამოქვეყნებულია ჩვენი დამღუპველის რუხაძის და სხვების საქმის განხილვის შედეგები. უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა უარი გამოუცხადათ შეწყალებაზე და ჯანაჩენი სისრულეშია მოყვანილი.

---

* Главное управление лагерей — ბანაკების მთავარი სამმართველო, რ. კ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იქნებ ეხლა მაინც გვეშველოს და თქვენი საქმე მალე გაირჩეს“.

გათავისუფლებამდე, როგორც თ. ზალდასტანიშვილის დედა წერდა (1956. 15. VI): „პირველი გამოძიების შედეგად 1954 წელს ხუთ ბიჭს შეუმცირეს პატიმრობა 25 წლიდან 10 წლამდე დაყვანით“.

ბოლოს კი, 1956 წელს ცხრავე გაათავისუფლეს.

გადასახლებიდან დაბრუნებულმა გ. მალულარიამ 1959 წელს უნივერსიტეტი დაამთავრა. მომდევნო წლებში გამოაქვეყნა ისტორიულ და მითოლოგიურ თემებზე დაწერილი მოთხრობების კრებულები: „მეამბოხენი“ (1982), „ვიღას შეაფაროს მიწამ თავი“ (1988), თომლებშიც თანამედროვე სატკივრის შენიღბულად გადმოცემას ახერხებს.

გ. მალულარია ლიტერატურათმცოდნეობაშიც მუშაობს და გამოცეული აქვს წიგნები: „ომარ ხაიამი“ (1977), „ლიტერატურული წერილები“ (1982).

ოტია (ოტო) მიხეილის ძე პაჭკორიას „ცხოვრების დიდი ნაწილი უდაბნომ შეიწირა“, როგორც თავად ამბობს თავის ჩანაწერებში („მნათობი“, 1990, № 4) —უდაბნო ცხოვრობდა ჩემში და მეც ხარკს ვუხდიდი მის მღვრიე სიჯიუტეს. ეს მძიმე დრო იყო და მეხსიერების უღრმეს შრეებში ჩაიკარგა“.

ჩაიკარგა, მაგრამ მაინც ხშირად ახსენებდა თავს...

ამბობენ ოტიას პატიმრობის გახსენება არ სიამოვნებდაო. ამას სხვადასხვანაირად ხსნიდნენ გიორგი შატბერაშვილი და ალექსანდრე ბეგაშვილი. ნანა კანდელაკმა კი გვითხრა: ოტიამ მისი წიგნის რედაქტორობისას კითხვაზე —რატომ არ წერ, რეპრესირებული რომ იყავიო, — გაღიზიანებულად მიპასუხა: არ გამაგონო, მაგაზე ლაპარაკი არ მინდაო...

დიახ, მაინც ხშირად ახსენებდა თავს უდაბნო და ბანაკის კატორღული ცხოვრებისა და შრომის სიმწარე. ასე ადრე, 56 წლის ასაკში რომ გარდაიცვალა, ესეც იმ წლების „დამსახურებაა“.

და მაინც ო. პაჭკორიამ ბევრი რამ მოასწრო. ის იმითაც ერთგულად ემსახურა ჩვენს მწერლობას, რომ მრავალი წლის განმავლობაში მწერალთა კავშირის უპირველესი ჟურნალების პასუხისმგებელი მდივანი იყო. განსაკუთრებით დიდხანს (1967—1982) უერთგულა ახალგაზრდულ „ცისკარს“, შემდეგ კი „მნათობში“ მუშაობის წლები (1982—1984) უკანასკნელი აღმოჩნდა მის ცხოვრებაში.

ცნობილი კრიტიკოსის სახელი ჰქონდა დამკვიდრებული ო. პაჭკორიას, როდესაც ჩვენი ჟურნალების ფურცლებზე გამოჩნდა და მკითხველთა ყურადღება მიიპყრო მისმა მოთხრობებმა, რომლებიც წიგნებად მხოლოდ მწერლის გარდაცვალების შემდეგ გამოვიდა („შენდობა“, 1986: „გობელინი“, 1988).

თ. ზალდასტანიშვილი, რომელსაც როგორც ნიკო ყიასაშვილი ამბობს (გახსენება, „თბილისის უნივერსიტეტი“, 1991. 17. V), ერეკლე ტატიშვილის მადლი ეცხო, დაბრუნების შემდეგ ნაადრევ გარდაცვალებამდე (1990) თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ინგლისურ ენას ასწავლიდა და სტუდენტთა საყვარელი ლექტორის, პატიოსნებით აღვსილი ადამიანის სახელი დაამსახურა. მისი როგორც ინგლისური ენის სპეციალისტთა და ამავე დროს მშობლიური ენის უზადო მცოდნის შესაძლებლობანი კარგად გამოჩნდა რეი ბრედბერისა და სტივენ ლიკოკის მოთხრობების მისეულ თარგმანებში და კიდევ მის მიერ ჩატარებულ გასაოცარ მრავალწლიან შრომაში — ინგლისურ-ქართული ლექსიკონისათვის 300 000 ბარათის გამზადებაში.

ორიოდე სიტყვა ამ ორგანიზაციის სხვა წევრებზე, მათ გადასახლების შემდგომ ბედზე:

ალეკო მელაძე — „მეორედ 1960 წლის დეკემბერში დამაპატიმრეს (1965 წლის ივნისში გავთავისუფლდი). მაშინ სარწმუნო წყაროებიდან ვიცოდით, რომ ხრუშჩოვი აპირებდა ქართველების გადასახლებას ტაიგაში და როდესაც შემომთავაზეს, რომ ის მოგვეკლა, როცა

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოში ჩამოვიდოდა, გავიზიარე ეს წინადადება და თანხმობა მივეცი, რაც ვერ გავაკეთეთ, რადგანაც გაგვცეს" („დედამიწა", 1992. 14. III).

ა. მელაძე შემდეგაც განაგრძობდა ეროვნულ-გამათავისუფლებელ ბრძოლას. მერე დამოუკიდებელი საქართველოს პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს წევრი გახდა და იქაც სწორ პოზიციაზე იდგა..

1948 წ. 17 ოქტომბერს უნივერსიტეტის მეხუთე კურსიდან წაყვანილი და ბანაკიდან 1956 წ. 23 აგვისტოს გათავისუფლებული ჟ. ცინცაძეს შემდგომი მოღვაწეობა ზემოთ ვახსენეთ მოკლედ. (იხ. აგრეთვე ნარკვევი „ტყვედნამყოფობისათვის დასჯილნი").

როგორც ვხედავთ, არ წყდებოდა ფიქრი და ზრუნვა საქართველოს ბედზე ამაზე მეტყველებს მწერლების რეპრესირება 1921 წლიდან 80-იანი წლების ჩათვლით (მაგრამ მხოლოდ მწერლები ხომ არ იბრძოდნენ საქართველოს ბედნიერებისათვის!).

ამ აზრს სხვებიც იზიარებენ, იმიტომ რომ ეს სიმართლეა:

„მთელი ამ ხნის მანძილზე, რაც საბჭოთა კავშირი არსებობდა, არ ყოფილა პერიოდი, რომ ანტიტოტალური მოძრაობა არ ყოფილიყო. რა თქმა უნდა, ეს მოძრაობა ყოველთვის ითრგუნებოდა, მაგრამ იყო ჯანსაღი ნაწილი საზოგადოებისა, რომელიც ებრძოდა თავისი მაშტაბებით არნახულ რეჟიმს. ეს ხალხი მართლაც ისჯებოდა, მაგრამ რაღაც კრიტიკული დამოკიდებულება რეჟიმისადმი და სხვისი გამომაფხიზლებელი სიო მაინც შემოჰქონდა საზოგადოებაში" (გ. მაღულარია, „დედამიწა". 1992. 14. III).

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მაია ნინიძე

იგავური ენა და სიტყვაკაზმული ლიტერატურა

ალეგორიულ მეტყველებასა და იგავურ სახეებს დიდი ხნის ისტორია აქვს. ისინი უხვადაა ნახმარი ბიბლიაში, განსაკუთრებით — ახალ აღთქმაში. თვით ზეციური სასუფევლის შესახებ საუბრისასაც კი მაცხოვარი ცდილობდა, სასუფეველი შეედარებინა ადამიანებისათვის იოლად აღსაქმელ, ნაცნობ მოვლენებთან, რათა გაეიოლებინა მათთვის უხილავისა და სიტყვით დაუტევნელის წარმოდგენა. წმინდა ოთხთავში გვხვდება იგავები მთესველის, უძღები შვილის, ხორბლისა და სარეველას, ათი ქალწულის შესახებ და ბევრი სხვა. თუ რატომ მიმართავდა მაცხოვარი თავის ქადაგებებში იგავებს ასე ხშირად, იოანე ოქროპირი შემდეგნაირად განმარტავს: „რადთა უფროდსად გამოცხადებულ და გულისხმის-საყოფელ იქმნენ სიტყუანი, რამეთუ გონებამან რაჟამს სახეიცა ისმინოს საქმისაჲ და იხილოს რაჲ იგი, უმეტესად გულისხმა — ჰყოფს საქმესა მას, რომლისთვისაც ისწავლიდეს: და კუალად ამისათვის, რადთა უფრო ტკბილად სახსენებელი იყოს კაცისა, რამეთუ არა ესრეთ მიზიდავს მსმენელთა სიტყუაჲ მარტივი ვითარ რა ჟამს სახეიცა აქუნდეს გამოცდილისა საქმისაჲ“.

იგავთა ენას ოდითგანვე მიმართავ მწერალმაც. იგავური მეტყველების შესახებ საუბრისას ილია ჭავჭავაძე წერს: „საღმრთო წარილის იგავნი ორკეც თვისებისა და ღირსებისანი არიან და მთელი ეგრეთ წოდებული სიტყვაკაზმული ლიტერატურაც ამ საფუძველზეა აშენებულიო“. მართლაც, იგავურ-მხატვრული სახეები, მეტაფორები და სიმბოლოალეგორიები მწერლობის ძირითადი ღერძია, მაგრამ ამ სახეთა ღირსება სახარებისეული იგავების მსგავსად ორაზროვნებაშია და თუ სიღრმისეულ მნიშვნელობას ვერ მივაგენით და ზედაპირულად ვიკითხეთ, მთავარი ჩანაფიქრი შეუცნობელი დაგვრჩება.

სამწუხაროდ, ამ მხრივ სავსებით შეუსწავლელია არაერთი დიდი მწერლის და მათ შორის თვით ილია ჭავჭავაძის შემოქმედებაც.

ჩვენი საუბარი საღმრთო წერილის იგავებით შემთხვევით არ დაგვიწყია, როგორც ირკვევა, სწორედ ისინი გვაძლევს ილიას არაერთი ნაწარმოების შემოქმედებითი ჩანაფიქრის გასაღებს. „ძრიელ გონივრად იქცევა ისა, ვინც მუდამ ჟამს კითხულობს საღმთო წერილსა. იმის წამკითხავი ორნაირად არის სარგებლობაში, პირველად: შეისწავ-

ებს ღვთის ვედრებასა და რამდენსაც მომატებულად კითხულობს, იმდენად მკვიდრად დაინერგება მის გულში სარწმუნოება ქრისტესი, და მეორედ: იქ შეხვდება მრავალ ნამდვილ ქართულ სიტყვას, რომელნიც ამჟამად ბევრნი მათგანნი აღარ იხმარებიან საერო ლაპარაკში". წერდა ილია და, როგორც ჩანს, თავად მართლაც მრავალმხრივ იყენებდა წმინდა წერილის არა მხოლოდ სულიერ სწავლებებს, არამედ გამოხატვის იგავურ ფორმასაც.

ილია ჭავჭავაძის მიერ დაარსებულ პირველ ჟურნალს „საქართველოს მოამბეს", რომელმაც მისი წინამძღოლობით ეროვნული გამოფხიზლების უდიდესი საქმე იტვირთა, ილიამ წარუმძღვარა მაცხოვრის სიტყვები მარკოზის სახარებიდან: „ხოლო ლეღვისაგან ისწავეთ იგავი ესე: რაჟამს იგი რტონი მისნი დაჩჩვიან და გამოვალნ ფურცელი, უწყოდეთ, რამეთუ ახლო არს ზაფხული." სახარების იმ თავში საიდანაც არის ეს ციტატა, ლაპარაკია ქვეყნის აღსასრულსა და მაცხოვრის მეორედ მოსვლაზე და ცხადია, რომ „ზაფხული" — ჟამი მკისა, იგავურად მიგვანიშნებს სწორედ იმ დროზე, რომლის მოლოდინიც ყოველთვის უნდა ჰქონდეს მართლმორწმუნე ქრისტიანს. ილიას მიერ დაარსებული ჟურნალის ეპიგრაფი და ძირითადად მასში დაბეჭდილი მასალებიც ამ სიფხიზლისაკენ მოუწოდებდა ქართველებს.

ილია ჭავჭავაძის შემოქმედებაში თითოეული დეტალი და მხატვრული ნიუანსი, რომელიც მწერლის სუბიექტურ დამოკიდებულებას გამოხატავს, ყველა გმირი და მოვლენა ქრისტიანული პოზიციებიდან არის დანახული და სახარებისეული ზნეობრივი კანონის სასწორზეა აწონილი. ჟამთა სიავემ, რომელმაც კარგახნით დაგვაშორა იმ სულიერ განწყობასა და სიწმინდეს, რომელიც ჩვენს წინაპრებს ჰქონდათ, დაგვიკარგა მათი ნააზრევის წვდომის უნარი. ამიტომ ბევრი რამ არასწორად გვესმოდა. კაკო, ზაქრო და გაბრიელი, რომლებიც ფიზიკურად გაუსწორდნენ თავიანთ მებატონეებს, წლების მანძილზე ჩვენში აღფრთოვანებას იწვევდა. ვერ ვხვდებოდით, რომ მწერალს ისინი არა გამარჯვებულ და მისაბაძ გმირებად, არამედ უკულმართი წუთისოფლის, ბოროტების საცდურის უბედურ მსხვერპლებად ჰყავს წარმოჩენილი.

„კაცს რომ წყალი მოსწყურდება", ისე დაეწაფა გაბრიელი მოძღვრის სწავლებებს და სიხარულით მიიღო, მაგრამ ცხოვრებაში ვერ აღასრულა. მას ხშირად ჰქონდა მღვდლისაგან გაგონილი: „ღმერთი... მარტო კარგის საქმით იდიდებაო", „ვინც კარგსა საქმეს არ მისდევს, იგი თავისა მტერიაო", „კაი კაცობა არ შეგიძლიან? მაშ რაღა კაცი ჰყოფილხარ? ღვთის სული რად გიდგაო?", მაგრამ ვერ გაითავისა ეს სიტყვები, იფიქრა, რომ პეპიასათვის მიცემული უსასტიკესი ფიცის შესრულებით მღვდლის სწავლებას აღასრულებდა, „სხვა შენთვისაო და შენ სხვისთვისაო" ის კი ვერ მოისაზრა, რომ დათიკოც ერთი ამ სხვათაგანი იყო. „რა უნდა მომივიდეს?.. სამუდამო ტანჯვა და ჯოჯოხეთი?! მაშ, სამოთხე რომ მომელოდეს, რაღა თავის გამოდება იქნებაო" — იფიქრა მან და გადაწყვიტა თავისი ფიცის აღსრულება, დათიკოს მოკვლა არა მარტო ხორციელად, არამედ სულიერადაც, რადგან წინასწარი განზრახვით უკარგავდა მას სიკვდილის წინ აღსარების თქმისა და ზიარების მიღების შესაძლებლობას. ეს ალბათ უდიდესი ვნებაა, რაც კი ადამიანმა ადამიანს შეიძლება მოუტანოს და იგი ამას არ ნანობს არც უშუალოდ მკვლელობის შემდეგ, რაც გამოიხატება სიტყვებში: „გეტყვით ჩემის გულის ძუნწობას, მე ის მაინც არ შემეცოდაო", და არც თავისი ამბის თხრობისას სიკვდილის წინ, როცა აღიარებს: „ის დალოცვილი მღვდელი ხშირად მარიგებდა ხოლმე, რომ მტერსაც პატივობა უნდაო, მეც ვამბობ, მაგრამ მაგას მარტო ენა ამბობს და გულში კი სხვა ბალღამი ტრიალებს".

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაბრიელს თავი დამნაშავედ არ მიაჩნია. მღვდელი რომ ეკითხება, ამ დღემდე რამ მოგიყვანაო, იმას კი არ ეუბნება, ჩემმა ცოდვებმაო, „იმ ცეცხლმა, რომელიც ყველას ღვთისაგან გულში გვინთიაო“, და ზედ დასძენს, „მე ასე მგონია და სხვისა კი არ ვიციო“. მოდით, მივყვეთ ამ სიტყვებს და შევეცადოთ დავინახოთ, რას ფიქრობდა ამის შესახებ არა მოთხრობის გმირი, არამედ თვით ავტორი — რატომ გადაწყვიტა, თავისი ნაწარმოები ასე შემზარავად და არაორჭოფულად დაემთავრებინა — „საცოდავსა მაინც ზიარების მიღება არ დასცალდა“, რისი თქმა უნდოდა მწერალს?

„ყველას გულში ღვთისაგან ანთებული ცეცხლი ანთია; ის ცეცხლი არ უნდა გავაქროთ, თუ რომ გვინდა პირნათლად შევეყაროთ ჩვენ გამჩენსა... რაც შეგვეძლოს, ჩვენ ისა ვქნათ, ღმერთიც ჩვენგან იმასა თხოულობს და კაცია.“ — ამ სიტყვებით არიგებდა მღვდელი და უკაფავდა გზას გაბრიელს, მაგრამ, „ჟამმა მიმუხთლა და არ დამაცალა ზედ გამევლო!.. მომიტანა კლდემ ქვიშა და... ისე ვქრები ამბობს ის სახარებისეული ათი ქალწულის იგავი რომ გავიხსენოთ. ეს ცეცხლი უქრება მათ, რომელთა რწმენასაც კეთილი საქმეები არ ახლავს. „კლდის“ მხატვრულ სახეს ალეგორიული მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს, რაც მოთხრობაში კარგად ჩანს მღვდლისა და გაბრიელის პირველსავე საუბარში:

„— ყმა გახლავარ.

მღვდელმა უგემურად გაიქნია თავი, თითქო შეწუხდაო... რაც უნდა იყო, მე და შენ კაცები ვართ, ღვთის შვილები. მითხრა პატარა ხანს უკან“ — ყვება გაბრიელი. „კაცმა რომ მოინდომოს, კლდეს გაარღვევსო, ხომ გაგიგონია?

— კლდის გამრღვევ კაცს სხვა ფერიც აძევს, შენი ჭირიმე!

— იმ ფერისა იქნება შენც გცხია: ყველას ღვთის სული გვიდგა, ჩემო ძმაო!

— ღმერთმა ქნას, მეც ეგ მინდა, ნუ-ავი მეცხოს!.. მე უარზე არა ვარ, ვცდი, თუნდა კლდემ ქვეშ მომიტანოს.

— ეს რომ ვუთხარი, თვალი თვალში გამიყარა, თითქო ჩემი სიტყვა გულს მოხვდაო, მერე სახე გაუნათდა და მითხრა...

— ე! თუ მაგრეა, მაგისთანა გულმაგარსა ვერაფერი ვერ მოგიტანს ქვეშ, თუ მოგიტანს, აუდგები ფეხზედ...

ვაი, რომ ბედმა ქვეშ მომიტანა იმისაგან წახალისებული თავმომწონე ბიჭი და აი, ველარ წამოვუდექი, თორემ ვინ იცის? იქნება მეც შემძლებოდა კაიკაცობა?“..

რას უნდა ნიშნავდეს ლაპარაკი კლდის გარღვევაზე და კლდის ქვეშ მოტანებაზე მივხვდებით, თუ გავიხსენებთ სახარების იმ ადგილს, სადაც ღვთის სიტყვისადმი დამოკიდებულების და ღვთის ნების აღსრულების მიხედვით ადამიანები ოთხ ჯგუფად არიან დაყოფილი. ეს არის მაცხოვრის ქადაგება. იგი იგავურ სახეს ატარებს — მთესვარი განასახიერებს ქვეყნის შემოქმედს, თესლი კეთილი — ღვთის სიტყვას, ხოლო სხვადასხვაგვარი ნიადაგი — ადამიანთა განსხვავებულ კატეგორიებს. იგავის მიხედვით მთესვარის მიერ დათესილ კეთილ თესლთაგან ერთი „დავარდა კლდოანსა ზედა, სადა არა იყო მიწაჲ ფრიად და მეყსეულად აღმოცენდა, და რამეთუ არა იყო სიღრმე მიწისაჲ, მზეჲ აღმოჰხდა და დაცხა, და რამეთუ ძირნი არა დაებნეს, და განხმა“. მაცხოვარი თავად განმარტავს ამ იგავს“... რომელი იგი კლდოვანსა ზედა დათესა, ესე არს: რომელმან სიტყუაჲ იგი (სასუფევლისაჲ) ისმინის და მეყსეულად სიხარულით გულსა თვისსა მიიღის იგი, ხოლო ძირი არა აქუნ გულსა თვისსა, არამედ საწუთროსა არნ. და რაჟამს არნ ჭირი ანუ დევნაჲ სიტყვისა მისთვის, მეყსეულად დაბრკოლდიან. (მ. 13) „რომელთა იგი ჟამ ერთ ჰრწამნ და ჟამსა განსაცდელისასა განდგიან.“ (ლ. 6) აი, რატომ მოიტანა გაბრიელი ქვეშ კლდემ და ჩაუქრო ღვთისაგან ან-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თებული ცეცხლი, ჩაუკლა თავდაპირველად სიხარულით მიღებული კეთილი თესლი.

ერთგან ილია წერს: „შესაძლოა სხვა გარემოებამაც შეუწყოს ხელი კაცს გაჭირვებისაგან დახსნისათვის, მაგრამ თავი და თავი მომქმედი ძალა მთაკლდის გასარღვევად მაინც კაცის საკუთარი მხნეობაა, საკუთარი თვითმოქმედებაა“. ამ თვითმოქმედებაში, მანამდე კი არასწორი გადაწყვეტილების მიღებაში, დაუშვა შეცდომა გაბრიელმა და ამით დაიღუპა თავი. „რაჲ სარგებელ არს, ძმანო ჩემნო, უკუეთუ ვინმე თქუას: სარწმუნოებაჲ მაქუს, და საქმენი არა ჰქონდენ? ნუ ძალ-უც-მეა სარწმუნოებასა ხოლო ცხოვნებად მისა?“ „...სარწმუნოებაჲ, უკეთუ არა აქუნდენ საქმენი, მკუდარ არს იგი ხოლო“. „...ვითარცა ხორცნი თვინიერ სულისა მკუდარ არიან, ეგრეთვე სარწმუნოებაჲ თვინიერ საქმეთასა მკუდარ არს“ — ვკითხულობთ იაკობ მოციქულის ეპისტოლეში. გაბრიელს, რომელმაც ვერ შესძლო დათიკოს პატიება და უზიარებლად მოკლა იგი, იავადაც იმავე საწყაულით მიეწყო, ზიარება არ ეღირსა.

ამქვეყნიურმა ბოროტებამ და საკუთარმა ჭნებათაღელვამ დააკარგვინა მას იმ „მაცოცხლებელი“ წყლისა და „თესლი კეთილის“ მადლი, რომელიც თავდაპირველად სიხარულით მიიღო. ეს მოთხრობაში მინიშნებულია მისი უკანასკნელი თავშესაფრის აღწერაში: „...საურმე გზის პირას იდგა ერთი ძველი საბძელი, გომურზედ მიდგმული... ამ საბძლის გარშემო ადამიანის კვალი არ სჩანდა... იყო მხოლოდ „ბოლვისაგან გამხმარი ბალახი“. „საბძელი“ „ბზეს უკავშირდება, რომლის შესახებაც სახარებაში ნათქვამია: „განწმიდოს კალოჲ თვისი და შეკრიბოს იფქლი საუნჯესა, ხოლო ბზეჲ დაწუას ცეცხლითა მით უშრეტითა.“(ლ.3.17)

ჩვენი აზრით, ასე ტრაგიკულად აღიქვამს და აღწერს ავტორი გაბრიელის მხატვრულ სახეს და ამიტომაც ამთავრებს მოთხრობას თითქოსდა საბოლოო განჩინების გამომხატველი სიტყვებით: „საცოდავსა მაინც ზიარების მიღება არ დასცალდა...“

ზიარება „საგზალია ცხოვრებისა საუკუნოჲსა» (ბასილი დიდი) „წინდი მერმისა ცხოვრებისა და სუფევისია (იოანე დამასკელი) და ვისაც ეს საგზალი“, ეს „წინდი“ არა აქვს წამძღვარებული, განწირულია დასაღუპად.

წმინდა მამები გვასწავლიან: „დაღაცათუ სარწმუნოებაჲ გუაქუნდეს და ყოველთავე საქმეთაგან კეთილთა ოხერ ვიყვნეთ, არარაჲ არს დამაყენებელ მისლად ჩუენდა ცეცხლსა მას გეჰენიისასა, დაუშრეტელსა სახუმილსა შინა გუემაჲ“...

მთესვარის იგავში ლაპარაკია იმ შემთხვევის შესახებაც, როდესაც თესლი კეთილი დავარდა „გზასა ზედა და მოვიდეს მფრინველნი ცისანი და შეჭამეს იგი.“ მაცხოვრის განმარტებით: „ყოველსა, რომელსა ესმეს სიტყუაჲ სასუფევლისაჲ და არა გულისხმაყოს, მოვიდის უკეთური იგი და მისტაცის თესლი იგი გულისაგან მისისა: ესე არს, რომელი იგი გზასა ზედა დაეთესა.“

მოთხრობა „გლახის ნაამბობის“ გმირი — დათიკო სწორედ ამ შემთხვევას მოგვაგონებს, მაგრამ მწერალს მისი სახის წარმოსაჩენად წმინდა წერილისეული სხვა შედარება აქვს გამოყენებული. გავიხსენოთ იოანეს სახარებაში სამარიტელ დედაკაცთან საუბარი, სადაც მაცხოვრის ღვთაებრივი სწავლება სიმბოლურად წყალთან არის შედარებული: „ხოლო რომელმან სუას წყლისა მისგან, რომელი მე მივსცე მას, არღარა სწყუროდის უკუნისამდე...“

ამ ღვთაებრივი წყლის სიმბოლოს ილია ბევრგან იყენებს სხვა ნაწარმოებებშიც, აქვე — გაბრიელთან დაკავშირებითაც, მაგრამ, როგორც ვნახავთ, გვაჩვენებს ამ „წყლისადმი“ დათიკოს დამოკიდებულებასაც. მღვდელი რომ გაიგებს, დათიკო სოფელში ბრუნდებაო, შეწუხებული ამბობს: „საკვირველია, რომ მე ეს ყმაწვილი ვერ მოვიკარეო“ და იგონებს რუსთველის სიტყვებს: „სწყუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

როდეს, წყალსა ვინ დაღვრის კაცი უშმაგო, ცნობილი...“ მერე თავად ეახლება დათიკოს, კარგახანს ესაუბრება და მისგან გამოსული, კვლავ დასძენს, „თავის სიტყვის კაცი ყოფილაო“.

„გლახის ნაამბობის“ ადრეულ ვარიანტში, მოთხრობაში „კაკო“ ასეთი რამ იყო მოთხრობილი — კაკო, გაბრიელის წინასახე, უკითხავდა ხოლმე ბატონს „ვეფხისტყაოსანს“. ის ცოტა ხანს უსმენდა „და რა ნახავდა, რომ თავის ცხოვრების საყვედურის მეტი იქ არა არის რა, დაფიქრდებოდა ხოლმე და იქნება ცოტაოდენ სინანულშიც შევიდოდა, მაგრამ ეგ სინანული იყო წუთისა; გავიდოდა ის წუთი თუ არა, კოლა (ბატონი) თავის თავით შერცხვენილი უნებლიეთ დაჰკრავდა გაჯავრებული ხელს წიგნს და გააგდებინებდა კაკოს...

— კარგი, გეყოფა! — იტყოდა ხოლმე გულზედ მოსული, — მეორე სახარებაც ერთი ეგა ყოფილა!..“ ავტორი გვეუბნება: „როგორც ლაფი არ გარდაიცემს მზის თბილ სხივებს, ისე საწყალი კოლას გული არ იკარებდა არარა კეთილსო“.

როგორც ვხედავთ, დათიკოს სახეში თავიდანვე ჩანდა სახარების — იმ „მაცოცხლებელი წყლის“, იმ „თესლი კეთილის“ უარყოფა. დათიკოს მეტყველებაშიალბათ არც თუ შემთხვევით, ხშირია ასეთი თვითდაჯერებული ფრაზები: „ვინცა ვარ, ის ვიქნები...“ „ვინც არ უნდა იყო, შენ მე ფერს ვერ მაცვლევინებ“ და ა. შ. სულიერად მან მართლაც ვერ იცვალა ფერი — დარჩა იმად, რაც იყო, — უარყო „წყალი ცხოვრებისა“, ამქვეყნიური, ცოდვიანი ყოფის შხამ-ბალღამი კი მრავლად მიიღო და დაიღუპა...

ილია ჭავჭავაძის მოთხრობებში არც ერთი გმირი იმდენს არ ლაპარაკობს ღმერთზე. წირვა-ლოცვაზე, მარხვასა და ბიბლიურ გადმოცემებზე, რამდენსაც ლუარსაბი და დარეჯანი. ისინი ახსენებენ ადამსა და ევას, ხე ცნობადისას, და ღვთის განჩინებებს; ურევენ ერთმანეთში სოლომონ ბრძენის წიგნებსა და სომხურ კარაბადინს, ლოცვას, და ძალოცვას, რწმენას და ცრურწმენას, წინასწარმეტყველებასა და მკითხაობას; თავისუფლად და თვითდაჯერებით ლაპარაკობენ და უაზრო განმარტებებით ფეხქვეშ თელავენ სიწმინდეებს.

ლუარსაბის სიზმრისეული ლოცვა არსებითად იგივეა, რაც სახარებაში აღწერილი ფარისევლის ლოცვა. ისიც თვითკმაყოფილია, ისიც სინანულის ნაცვლად ცდილობს დაამტკიცოს თავისი ღირსეულობა და დაამციროს სხვა: „ღმერთო... რა დაგიშავე, შე დალოცვილო, რომ შვილს არ მაძლევ?.. წირვა-ლოცვას უამისოდაც არ ვაკლდებოდი მარხვა მე არ გამიტეხია, ყოველ წელიწადს წმიდა ზიარება მიმიღია და აღსარება მითქვამს... დავითის ლუკმად უნდა გამხადო? რაც იმას ქვეყანაზედ ცოდვა ჩაუდენია, ვინ მოსთვლის...“ ამბობს: ლუარსაბი და საკუთარის ნაცვლად მოჰყვება თავისი ძმის ცოდვების ჩამოთვლას.

მოთხრობაში ძალიან კარგად ჩანს ლუარსაბისა და დარეჯანის ავტორისეული შეფასება: „რა იცოდნენ ამათ, რომ თავისის ქცევით, თავისის ცხოვრებით არისხებდნენ ღმერთსა, რომელსაც თავისი სული ამათთვის შთაუბერია... მართალი ხარ, ჩემო ლუარსაბ, შენ კაცი არ მოგიკლავს, კაცისთვის არ მოგიპარავს, ერთის სიტყვით, რაც არ უნდა გექნა, არ გიქნია. ესეც კარგია, უარაობას ეგა სჯობია, მაგრამ ეხლა ეს უნდა გკითხო: რაც უნდა გექნა, ის კი გიქმნია?.. წირვა-ლოცვას არ ვაკლდებიო. რა გამოვიდა? იქ ყოველთვის გსმენია ჩვენთვის ჯვარცმულის ქრისტეს სიტყვა: „ვითა მამა ზეცისა იყავ შენ სრულიო“, აბა, ან ერთს წამს შენს სიცოცხლეში მაგისთვის სცდილხარ?“ აქ უკვე პირდაპირ ჩანს, რომ გმირის შეფასებისას ავტორის საზომი ქრისტიანული ზნეობრივი სახეა.

ამ გმირთა სახეებს მიესადაგება მთესვარის იგავის შემდგომი ადგილი: „და სხუაჲ იგი დავარდა ეკალთა შორის და აღმოსცენდეს ეკალნი და შეაშთვეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

იგი... ესე არს რომელთა ისმინიან სიტყუაჲ და ზრუნვისაგან და სიმდიდრისა და გემოთაგან ამის სოფლისათა ვლენედ და შეაშთვიან და არა ნაყოფიერ იქმნიან.“

ამქვეყნიურ კეთილდღეობაზე და ხორცის სიტკბოებაზე ზრუნვამ მოაშთო ლუარსაბსა და დარეჯანში თესლი კეთილი და ვერ ამრავლეს იგი. ამაზე მიგვანიშნებს მათი უშვილოდ გადაგებაც. ეკლიანი გარემოს ალეგორიის შემცველად აქ მოგვევლინა გუბე, რომლის ბინადარიც არის ლუარსაბი და რომელზედაც მოთხრობის შესავლის ერთ-ერთ ვარიანტში აი, რას ამბობდა ავტორი: „უჰ. რამდენი მყრალა ბალახ-ბულახი, მალვით იმ დამპალ წუმპის ქვეშ ამოზდილი მომედო ფეხებზედ. რის ყოფით, ვაი ვაგლახით მოვაშორე ფეხებსა და თავი დავახწიე... ასე რომ თავი იმ წუმპიდან არ ამომელო, კატასავით შიგ ამოვიხრჩობოდიო“. ის, რომ ლუარსაბმა და დარეჯანმა, მთხრობელისაგან განსხვავებით, ვერ დააღწიეს თავი იმ წუმპესა და მყრალ ბალახს და ამით ჩაკლეს თავიანთ თავში თესლი კეთილის გამრავლების უნარი, მინიშნებით ჩანს დარეჯანის სიკვდილის აღწერაშიც: „ამათ შვილი არ მიეცათ. დარეჯანმა ერთი ექიმი დედაკაცი იშოვა და წამლობა დაიწყო, ექიმმა დედაკაცმა ერთი რაღაც წამალი მისცა, მთელი კვირა ასმევდა და მესამე კვირას კი დარეჯანს ფეხები გააჭიმინა.“ რა უნდა დაელევინებინა ექიმბაშს დარეჯანისათვის, თუ არა ისევ ის ბალახ-ბულახები, რაც იმ მყრალ გუბეში იყო. მათ ხომ სხვა გარემო არ ჰქონდათ;! ერთგან ნათქვამიც არის „ბევრი რაღაც ბალახ-ბულახი მიირთო და ლუარსაბსაც დაალევინა, მაგრამ ვერა ეშველათ-რაო.“

უცნაურად კვდება ლუარსაბიც: „ფერისცვალების დღეს ნათლიმამამ კალმახი მიართვა, „ჯავრისაგან იმ კალმახს ლაზათიანად მიაძღა, მოუვიდა კუჭის ანთება და ჩაბარდა პატრონსა“. თევზი ქრისტიანული სიმბოლოა — იმ მოძღვრების საფუძველია, რომელსაც უაზროდ „დახარბდა“ ლუარსაბ, არასულიერად, არამედ ხორციელად — ამიტომ ვერ შეითვისა, ვერ შეიტკბო და ამას გადაჰყვა კიდეც.

„რამეთუ აწვე ესერა ცული ძირთა თანა ხეთასა ძეს. ყოველმან ხემან, რომელმან არა გამოიღოს ნაყოფი კეთილი, მოიკუეთოს და ცეცხლსა დაედვას“. (მ.3.10) — ასე მიმართა მაცხოვარმა ფარისევლებს სწორედ ფერისცვალება დღეს და ალბათ მსგავსი აზრით უნდა იყოს ლუარსაბის სახლ-კარის აღწერისას ნახსენები ერთად დაყრილი, ერთმანეთთან შეუფერებელი მყრალბალახი და თევზი: „აქა-იქ ოთახის სამკაულად ეყარა სპილენძის საჩაიეში მოხარშული მყრალი ბალახი, ზურგიელის ნაჭერი და სხვანი და სხვანი“...

მივუბრუნდეთ კვლავ მთესვარის იგავს, სადაც გზაზე, კლდეზე და ეკლებში დავარდნილთა გარდა ზოგი თესლი კეთილ ნიადაგზედაც მოხვდა: „...ესენი არნ... რომელთა ისმინიან სიტყუაჲ იგი და შეიწყნარიან და ნაყოფი გამოიღიან: ოცდაათეული, სამოცეული და ასეული“. ილიას ამ ალეგორიის შესაბამისი მხატვრული სახეებიც აქვს შექმნილი, მაგრამ, იმისათვის, რომ ისინი უკეთ შევიცნოთ, დავაკვირდეთ „პური არსობისას“ და მასთან დაკავშირებულ იგავურ სახეებს.

ადამიანის ამქვეყნიური ცხოვრება მწერლის პუბლიცისტიკაში ხშირად შედარებულია პურის მოყვანასა და გამოცხობასთან დაკავშირებულ ისეთ საქმიანობებთან, როგორიცაა:ხვნა, თესვა, მარგვლა, მკა, ცხავში გატარება, ლეწვა, დაფქვა, გაცრა მოზელა, გამოცხობა, ხოლო გამომცხვარი პური — “პური არსობისა“ — განასახიერებს ადამიანის ამქვეყნიური ცხოვრების ნაყოფსა და საგზალს მარადიული ცხოვრების დასამკვიდრებლად.

ერთ სტატიაში ილია წერს: „ვისაც გულ-ხელი დაუკრეფია, იმას ამ ქვეყანაში პური არსობისა ვერ გამოუცხვია და საცა ეგ პური არ არის, იქ არც სიცოცხლეა, იქ მკვდარი-მკვდარზეა აკიდ-

ებული საფლავამდე წასაღებადო". როგორც ვხედავთ, ამ „არსობის პურის" გამოცხობა საყოველთაო ვალია. „აცადენ მკუდარნი დაფლად თვისთა მკუდართა, ხოლო შენ წარვედ და მიმოსდევ სასუფეველი ღმრთისაჲ", (ლუკა 9.10), — ეუბნება მაცხოვარი მის მიერ მოწოდებულ ერთ-ერთ მოციქულს, ფრაზა — „მკვდარი მკვდარზეა აკიდებული საფლავამდე წასაღებად", რომელიც სახარების ამ ეპიზოდთან უნდა იყოს დაკავშირებული, ალბათ მიგვანიშნებს, რომ ვისაც „პური არსობისა" არ გამოუცხვია, მას მხოლოდ მიწიერ, ამქვეყნიურ საქმეებზე უზრუნია — არაფერი გაუკეთებია მარადიული ცხოვრების დასამკვიდრებლად და განწირულია არა მარტო ხორციელი, არამედ სულიერი სიკვდილისათვის.

„პური არსობისას" ამგვარი შინაარსზე მიგვანიშნებს სხვა მაგალითიც: „წუთისოფლის სუფრა ჩვეულების სუფრა არ არის: ამ სუფრაზედ ყველამ თვითონ უნდა მოჰთესოს, მოჰხნას, მოიმკოს, მოზილოს და გამოაცხოს თავისი არსობითი პური". მადლს ყველა ადამიანი ზეციდან იღებს, მაგრამ მას იმ მადლის კეთილად მოხმარა და ნაყოფთა გამრავლება ევალება. ამიტომ მწერლის წარმოსახვაში მადლმოსილი ადამიანი არა მარტო იღებს „პურს არსობისას", არამედ ამრავლებს კიდეც — თავადაც აცხობს.

პუბლიცისტიკაში საოცრად მრავლადაა პურისა და მის მოყვანა-გამოცხობასთან დაკავშირებული მხატვრული სახეები. მათი ალეგორიული აზრი მკვეთრად არის გამოხატული და იოლად აღიქმება. ნათქვამის იგავური შინაარსი ზოგჯერ გარკვევით ჩანს მხატვრულ პროზაშიც.

ეტიუდ „უცნაური ამბავის" გმირი — სოლომანი, რომელიც ყრმის აღზრდის დიდად საპასუხისმგებლო საქმეს შეუდგება, ამბობს: „ხნული მზად არის, თესლიც გაღივებულა..." კონტექსტიდან გამომდინარე, სავსებით ცხადია, რომ ხნულის მზადყოფნას და თესლის გაღივებაში, რაც ალეგორიულად დასტურდ-ია „არსობის პურის" გამოსაცხობად წარმართული საქმიანობისა, ნაგულისხმევია ყმაწვილის — პატარა პატიკოსაღზრდა.

მხატვრულ პროზაში ალეგორიული სახეები მეტწილად მაინც უფრო შეფარულია. ამიტომ „პურის" მარტივ სახეებზე დაკვირვება დიდად გამოგვადგა მოთხრობებში იმავე „პურთან" დაკავშირებული ღრმა სტილისტური სახეების შეცნობაში. სულ სხვაგვარი ელერადობა მიიღო მაგალითად „ოთარაანთ ქვრივში" არჩილის სიტყვებმა: „რა სწნავს იმისთანა კაცურ კაცს, როგორიც გიორგი იყო, ან იმისთანა დედაკაცს, როგორც ოთარაანთ ქვრივია? მაგისთანა პური მარტო იმათს თორნეში-ღა ჰცხვება..." ნათელი გახდა, რომ მწერალი ოთარაშვილებს უბრალო პურს კი არ ადარებს, არამედ იმ არსობის პურს, რომელიც სახეა ადამიანის სისხლსავსე, მადლიანი ცხოვრებისა და საწინდარი მარადიულის მოპოვებისა. საერთოდ, პურისა და ღვინის ალეგორიები ძალზედ საინტერესოდ არის წარმოდგენილი ამ ნაწარმოებში.

ოთარაანთ ქვრივის შესახებ მოთხრობაში ნათქვამია: „რაც უნდა მდარე მოსავალი ყოფილიყო, ღვინოს სამყოფზედ მეტს ინახავდა. ათის დღის მიწას ყოველწლივ ხნავდა. გაჰყიდდა ღვინოსა და მომეტებულს პურს თუ არა, ფულს ხუთ ნაწილად ჰყოფდა და ხუთრიგად ინახავდა." მოთხრობის ტექსტის მიხედვით ოთარაანთ ქვრივის შემოსავალიც, მისი საკვებიც და სხვისთვის გასაცემიც პური და ღვინოა. ის ფულიც, რომელსაც ოთხ ქისაში დებს, ისევ შემდგომი წლის პურისა და ღვინის მოსავალს ხმარდება. მეხუთე ქისაში კი ინახავდა ოჯახისათვის სახარჯო და ღარიბთა გასაკითხ ფულს. აქედან გამომდინარე, ამ ქისას ორნაირი სახელი ჰქონდა — „ფარსიღას ქარვასლა", ალბათ იმიტომ, რომ ამ ფულით, რაც ოჯახისთვის სჭირდებოდათ, სავაჭრო სახლში უნდა შეეძინათ, და „შიოს

ეროვნული ბიბლიოთეკა

მარანი“, ეს კი ალბათ იმიტომ, რომ გლახაკებს მისგან, როგორც მადლიანი მარნიდან, უხვად და უსასყიდლოდ მიეცემოდათ. საინტერესო ის არის, რომ ოჯახის კერძო საჭიროებისათვის და გლახაკებისათვის მისაცემი ფული ერთ ქისაში იყო. მისი და სხვისი მოთხოვნილება ქვრივს გათანაბრებული ჰქონდა — „რაც პირველს ოთხს ქისას გადარჩებოდა, ყველას მეხუთე ქისაში დაუთვლელად ჩაჰყრიდა და, მინამ ჩამოილევოდა, დაუთვლელადვე ჰხარჯავდა.“

გლახაკებს ქვრივი ასევე პურით და ღვინით აძლევდა მოწყალებას. ყოველ კვირა დღეს ერთ ათიოდ შოთს და ერთ ბადის კორკოტს თავის ფეხით გადაუტანდა ხოლმე „წვრილშვილიან ქვრივ დედაკაცს“; ერთ გლახაკს „გამოუტანა გასაკითხად ერთი უშველებელი შოთი და რომ დაინახა, ფეხუცმელობით ფეხები საცოდავად დახეთქოდა, კიდევ ექვსი შოთი აიღო, წაიყვანა და საქალამნე ტყავი უყიდა იმ პურების ფასად.

ეს ყველაფერი პურსა და ღვინოს შემთხვევით არ უნდა უკავშირდებოდეს. მაცხოვარმა თავისი ღვთაებრივი მადლით ხუთი პურით ხუთიათასი ადამიანი დააპურა. და თუ არ ღვთის მადლით, ვერც მარტოხელა ქვრივი დედაკაცი შესძლებდა ხუთ ქისაში ჩაყრილი, თავისი შრომით მომუშაკებული ფულით ოჯახის ავსებასაც და კარზე მომდგარი ყველა გაჭირვებულის გაკითხვასაც. ამიტომ ეს პურიც მხოლოდ ცალმხრივი მნიშვნელობის მქონე ხორციელი საზრდო კი არ უნდა იყოს, არამედ ამ განსპეტაკებული ოჯახის სულიერი ღვაწლის მადლიანი ნაყოფი. ეს მხატვრული ალეგორიები კი უნდა ემსახურებოდეს იმაზე მინიშნებას, რომ ეს ოჯახი, ეს ადამიანებიც იმ წმინდა პურს არიან ნაზიარებნი, იმ პურისაგანნი არიან, რომლის შესახებაც პავლე მოციქული წერს: „ერთ პურ და ერთ ხორც ჩუენ მრავალნი ესე ვართ; რამეთუ ყოველთა ერთისა მისგან პურისა მოგუაქუს“.

უფლის მიერ ზეციდან გადმოვლენილი წმინდა პურით — მანანით სავსე თასი მოსე წინასწარმეტყველის დროიდან ახებოდა აღთქმის კიდობანში. ეს ზეციური მანანა მაცხოვრის, ანუ ჭეშმარიტი „პური ცხოვრებისას“ სახე იყო, როგორც განმარტავს იოანე ოქროპირი, სად ინახება ოთარაშვილების პური; ქვრივის ოჯახის აღწერისას ვკითხულობთ: „კუთხეში ერთი დიდი კიდობანია. ეტყობა ძველი ნაკეთობაა, იმიტომ, რომ წინაპირზედ გამოხატულია სხვადასხვა სახე და ძველებური გრეხილ-ხვეულები სილამაზისათვის“. მინიშნება ძველ ნაკეთობაზე, გამოხარატებული სახეებისა და გრეხილ-ხვეულების ხსენება თითქოს მოგვაგონებს ძველი აღთქმისეული „მოწმობის კიდობნის“ აღწერილობას და გვაფიქრებინებს, რომ ერთგვარი ალუზიაა მასზე.

ამ კიდობანში რომ უბრალო პური არ ინახება, იქ რომ ქვრივის გულის საუნჯე — მისი წმინდათა წმინდაა, ეს ჩანს ერთი ძალიან ღრმა, დიდი მხატვრული ოსტატობით შესრულებულ პარალელიდან. როდესაც გიორგის ხასიათის ცვლილებით შეწუხებულ ქვრივს გულში ერთმანეთზე საშინელი ფიქრები უტრიალებს, როცა ზარავს იმის შიში, შვილს რაიმე მძიმე ცოდვა არ ჰქონდეს ჩადენილი, მწერალი თითქოს სხვათაშორის, ახსენებს, კუთხეში, პურის კიდობანთან „თაგვი აფხაკუნდაო“. შეიძლებოდა ეს პატარა დეტალი აღწერილობით წვრილმანად ჩაგვეთვალა, მაგრამ, როდესაც თხრობა გრძელდება, — კიდევ უფრო დაბნელდა, ქვეყანა კიდევ უფრო გაყუჩდა და ქვრივის ფიქრებიც უფრო და უფრო გამძაფრდაო, ავტორი კვლავ ამახვილებს ყურადღებას იმ თაგვზე: „თაგვი ისევ ცოდვილობდა კიდობანთანო“. ეს ლამაზი პარალელი ხატოვნად წარმოგვიდგენს, თუ როგორ ემუქრება ქვრივის გულის საუნჯეს რაღაც ავბედითი, როგორ ღრღნის. მაგრამ — შიგ ვერ აღწევს, მის სიწმინდეს ვერ ეხება — ამაოდ ცოდვილობს.

გიორგის ხასიათში იდუმალი გარდატეხა მოხდა. დედის შეკითხვაზე, რამ გამოიწვია ეს, შვილი პასუხობს —

„დრო იყო — ძუძუსა ვწოვდი, დრო მოვიდა — გამომცხვარ პურსა ვჭამო.“ იგივე ფაქტთან დაკავშირებით თვით ქვრივი გიორგიზე ამბობს: „ჯერ დაუდუღარი მაჭარია და ბუყბუყებს. დაუდუღარს მაჭარს სარქველი არ დაეხურება, ჭურჭელს გაჰხეთქავს. დეე თავის ნებაზედ იყოსო...“ ცოტა ქვემოთ, გიორგის სათივედან ჩამოვარდნის ეპიზოდის წინ მწერალი გვამცნობს, დადგა შემოდგომა და „დადუღდა მაჭრებიო, ეს ალბათ ერთგვარი მინიშნებაა სისხლიან მსხვერპლზე.

პირველი სიტყვები, რაც მომაკვდავი შვილის დანახვის შემდეგ ამოიკვნესა ქვრივმა, იყო: „მღვდელი, ღვთის გულისათვის, მღვდელი!..“. „მოიყვანეს მღვდელი და შვილი უზიარეს!..“ ამ ერთადერთ მოკლე ფრაზას მწერალი ცალკე აბზაცად გამოყოფს ფაქტიდან და ძახილის ნიშნითა და მრავალწერტილით მიგვანიშნებს მის სიღრმესა და მნიშვნელობაზე. ამქვეყნისაკენ წუთიერი მობრუნების დროსაც, როდესაც გიორგი წყალს ითხოვს, ძალის მისაცემად ღვინოს მოასმევინებენ.

„მნათობის“ 1993 წლის მეორე ნომერში, სტატიაში — „მადლისა წყარო“ — აღწერილი გვქონდა უნაყოფო თივის ზვინიდან გიორგის ჩამოვარდნის ალეგორიული მნიშვნელობა. საინტერესოა პურთან დაკავშირებულ კიდევ ერთ ალეგორიულ სახეზე — წისქვილზე დაკვირვებაც.

ვიდრე „ოთარაანთ ქვრივის“ შესაბამის მაგალითებს განვიხილავდეთ, გავიხსენოთ ერთი მაგალითი მწერლისი პუბლიცისტიკიდან. აზრის ძალდაუტანებლად განვითარების და გამოთქმის საჭიროებაზე საუბრისას, ილია წერს: ძალად გამოყვანილს წყალსა წისქვილის დაბრუნება არ შეუძლიან: ის არის ულონო, რომელსაცა რაკი მოხვდება თიბათვის მზის შუქი, მაშინვე გაჰქრება“. როგორც ვხედავთ, წისქვილის სახე მწერლის წარმოსახვაში გარკვეულ ასოციაციებთან არის დაკავშირებული. ამიტომ, ჩვენი აზრით, ალეგორიული მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს ავტორის სიტყვებს „ოთარაანთ ქვრივში“:

...სოფელს ზედ შუაზედ სამის წისქვილის წყალი ჩამოუდიოდა. როცა ძალიან გოლვა იყო, მაშინ კი წყალს სოფლელები ერთმანეთსა ჰპარავდნენ... ოთარაანთ ქვრივს კი ვერ უბედავდნენ წყლის მოკლებასა. თუ ვინმე გაჰბედავდა, ვაი იმას!.. ოთარაანთ ქვრივი მეწისქვილესავით გაიდებდა ხოლმე მხარზედ თოხსა და აჰყვებოდა რუს თავამდინა...“

წისქვილის“ წყლის ხსენება და „მეწისქვილესთან“ ვენახის სარწყავი წყლის დასაბრუნებლად მიმავალი ქვრივის შედარება რომ შემთხვევითი არ უნდა იყოს, გვაფიქრებინა გიორგის სიკვდილის წინ არჩილისათვის ნათქვამმა მისმა სიტყვებმაც: „წყალი გადმოვარდნილიყო ამ ჩვენ პატარა ბაღში წისქვილის რუიდამ და იმის გადასაგდებად ვიყავიო“. წყლის წისქვილისათვის დაბრუნებით გიორგიმ იგი თითქოს ასამუშავებლად მოამზადა იმ იფქლით სრული თავთავის მისაღებად, რომელიც იმ საღამოს უნდა მოსწყვეტოდა უნაყოფო თივის ზვინს. „წისქვილის“ ალეგორიულ ხასიათზე მიგვანიშნებს ისიც, რომ ერთადერთი ადამიანი, რომელსაც ძალიან კარგად ესმის ოთარაშვილების ოჯახის ფასი, მათი ერთადერთი შემფასებელი მეწისქვილე სოსიაა.

დავუბრუნდეთ კვლავ გიორგის სახის განხილვას. რა არის ამ გმირში განსაკუთრებული, რამ გადააწყვეტინა მწერალს, ასეთი ღრმა აზრი ჩაედო მასთან დაკავშირებულ ალეგორიებში?

პოემაში „მეფე დიმიტრი თავდადებული“ ილია ჭავჭავაძე ქართველ მეფეს ათქმევინებს:

„ღმერთო, ღმერთო!.. თვალწინ მიდგა
დიდტანჯული მე ძე შენი...
ვით ძით ყველა, ისეც ჩემით
ერი ჩემი დაიხსენი“.

ძე ღვთისას ძალედვა კაცობრიობის გადარჩენა, მეფეს თავისი ერისათვის ტარიგად შეწირვა, მაგრამ ყველა ასეთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიდ ჯვარს ვერ იტვირთებს. მოყვასისათვის თავდადება, ერთი სულის მონადირებაც კი ადამიანისათვის დიდი მადლია: „უფროჲს ამისსა სიყუარული არავის აქუს, რაჲთა სული თვისი დადვას მეგობართა თვისათვის“ (ინ. 15.13). მართალია, სიუჟეტის მიხედვით გიორგი უნებლიედ ჩამოვარდა სათივიდან, მაგრამ მისი სიტყვები“ არა ვნანობ, არაო“, რომელიც ნაწარმოებში განსაკუთრებით არის ხაზგასმული არა მარტო გმირის სიკვდილის ეპიზოდში, არამედ არჩილისა და კესოს შემდგომ საუბარშიაც, მიგვანიშნებს, რომ ის მზად არის თავი დასდოს მოყვასის სულიერი გამოფხიზლებისათვის. გარკვევით ჩანს ნაწარმოებში ამ მსხვერპლის შედეგიც — კესოს ცრემლები, რომლებმაც „შესძრა გიორგი და შეაჟრჟოლა. ეს ცრემლი თითქოს უკვდავების წყაროდ ებკურა, იამა, გაუხარდა, მოსულიერდა, თითქო მიმავალი სოცოცხლე უკანვე დაუბრუნდაო“. გიორგის ეს სიტყვები — „არა ვნანობ, არა“, რომლებიც არჩილის თქმით მომაკვდავმა მათ დაუტოვა თავიანთი „თავის გასაკითხად“, საწინდარი გახდა კესოს სხვა — ამჯერად არა სიბრალულის, არამედ სინანულის ცრემლებისაც, რომლებიც, არჩილის თქმით, მდუმარე წვიმისაებრ ნაყოფის გამომცემელია“.

გიორგიმ მიაღწია იმას, რაც ვერ შეძლო მოთხრობის „სარჩობელაზედ“ გმირმა მოხუცმა პეტრემ — სულიერად მოინადირა მოყვასი — ქედმაღალ, გულგრილ კესოს გული გაუღო და მისი ცრემლების დანახვაზე სიტყვებით: „არა ვნანობ, არა!.. მივდივარ და თან მიმაქვს ამის ცრემლით განედლებული სიხარული. იქ ვახვირებ, — იქ...“ — ნებით უდრტვინველად შეეწირა მოყვასის სიყვარულს.

გიორგის მამის — თევდორეს შესახებ საინტერესო ინფორმაციას გვაწვდის სიკვდილის წინ მისი საუბარი ცოლთან. თევდორეს ნათქვამიდან გამოვყოფდით სამიოდ დეტალს — „ააქაოს სტუმარი ვიყავ და ეხლა შინ მივდივარო“; „ეჰ, ნეტავი კი ეგ (გიორგი) დავაჟკაცებული მენახა და მერე თუნდა ურმის თვალზე გავცმოდიო...“, და „ეშმაკის კერძად არ გამხადო, მკვდარს დამიურვე, მიპატრონეო.“

პირველი ნათქვამი ააქაოს სტუმრობის შესახებ, მოგვაგონებს პავლე მოციქულის სიტყვებს ფილიპელთა მიმართ: „ხოლო ჩუენი მოქალაქეობაჲ ცათა შინა არს, ვინაჲცა მაცხოვარს მოველით, უფალსა იესო ქრისტესა“.

მეორე ფრაზაში ნახსენები ურმის თვალზე გაცმა ალუზიურად აღძრავს მკითხველის მეხსიერებაში წმინდა დიდმოწამე გიორგის ბორბალზე წამების ფაქტს. „ოღონდ ეგ დავაჟკაცებული მენახა,“ — ამბობს თევდორე, და თუნდა ვწამებულიყავიო. შვილი სახეა მამისა. მასში სარკესავით აირეკლება მშობლის ავ-კარგი. ამიტომ თუ ინატრებდა მომაკვდავი თევდორე თავისი ცხოვრების ნაყოფის ხილვას და „დავაჟკაცებაში“ მხოლოდ ასაკის მომატებას, რა თქმა უნდა, არ იგულისხმებოდა. თავგანწირვა კეთილი ნაყოფის გამოსაღებად — ეს იყო მამის ზნეობრივი კანონი. რომელიც ანდერძად მიიღო შვილმა.

ჩვენს მიერ გამორჩეულ მესამე ფრაზაში მომაკვდავი თევდორე მეუღლეს სთხოვს, რომ გარდაცვალების შემდეგ უპატრონოს. ამ თხოვნას, ავტორის თქმით, ქვრივი იმით ასრულებდა, რომ „ყოველ კვირას კორკოტსა და წანდილს ჰხარშავდა იმის სულის საცხოვნებლად და ყოველწლივ აწირვინებდა“. როგორც ვხედავთ, აქაც იმ „პური ცხოვრებისასთან“ დაკავშირებულ სახეებთან, და ქრისტიანულ საიდუმლოებებთან გვაქვს საქმე.

ალეგორიული გააზრებით საინტერესოა ქვრივის სახეც. მოთხრობა იწყება სიტყვებით: „იმ ვეებერთელა სოფელში, რომელსაც თუნდა „წაბლიანს“ დავარქმევ, ყველამ იცოდა, ვინ არის ოთარაანთ ქვრივი“. სოფელს, სადაც ოთარაანთ ქვრივი ცხოვრობდა ალბათ იმიტომაც ქვია წაბლიანი, რომ გმირი. რომელზედაც არის მოთხრობილი ნაწარმოებში

ეროვნული ბიბლიოთეკა

სწორედ რომ წაბლს გავს — გარეგნულად ეკლიანია და შინაგანად გულსავსე. მცირეწლოვან შვილთან მარტო დარჩენილი ახალგაზრდა ქვრივი გარეგანი „ეკლებით“ თავს იცავს წუთისოფლის საფრთხეთა და საცდურთაგან — საიმედოდ ზრდის, და ნელნელა მადლით ავსებს თავის გულისნყოფს — ერთადერთ ვაჟს.

სასაფლაოსაკენ მიმავალი დაუძლურებული ქვრივის შედარებისას მის თვალყურსაგდებად მისულ, მაგრამ ქვეშაგებში მწოლარე და „გულიანად“ ჩაძინებულ დედაკაცთან ავტორი ამბობს: „რაში ჰგავდნენ ერთმანეთს მძინარე და წამავალი? და თავადვე პასუხობს: „მართალი უთქვამთ: წუთისოფელი ზოგისათვის მამაა, ზოგისათვის — მამინაცვალიო“. რისი თქმა უნდა აქ ავტორს, რატომ არის ეს სოფელი ქვრივისათვის მამინაცვალი? ალბათ მისთვისაც, როგორც მისი გარდაცვლილი ქმრისათვის ეს ქვეყანა საწუთრო სასტუმროა, მარადიული სამყოფელი კი ზეცაშია. იოანე მახარებლის პირველ ეპისტოლეში ვკითხულობთ: „უკუეთუ ვისმე უყუარდეს სოფელი ესე, არა არს სიყუარული მამისაი მის თანა... საყუარელნო, აწ შვილნი ღმრთისანი ვართ და არღა გამოჩინებულ არს, რაჲ ყოფად ვართ“. ვინც მხოლოდ, ამა სოფლისაზე ზრუნავს მისთვის ალბათ ეს სოფელია ყველაფერი, მაგრამ არიან სხვანიც — „შვილნი ღმრთისანი“, რომლებიც თავს ამ სოფლის შვილებად არ თვლიან და ზეციური მამისაკენ ისწრაფვიან. ჩვენი აზრით, ასეთად ჰყავს მწერალს წარმოჩენილი ოთარაანთ ქვრივი. საინტერესოა ამ ეპიზოდის წინ ბუნების სურათის აღწერაც, რომელიც მიწისა და ცის, ბნელისა და ნათლის, მანკიერისა და სპეტაკის დაპირისპირებას წარმოადგენს:

„მთა-ბარს, ტყე-მინდორს დილდილაობით ჭირხლი ედებოდა და მხოლოდ შუადღის გულზედ მზე პირდაპირ დაჰხედავდა თუ არა, ჭირხლს, ზოგს წყლად ქცეულს, მწყურვალი მიწა სვამდა და ზოგი ორთქლად ცას აჰქონდა და ბაბის ქულასავით თეთრ, ფუნჩულა ღრუბლად აქა-იქ ატარებდა თავის თვალგადაუწვდენელს სიგრძე სიგანეზე სიღრმე-სიმაღლეზე“. ცისკენ მიზიდული ღრუბლების მოძრაობა თითქოს აღმართულ ჯვარს გამოსახავს, მაგრამ ეს ჯვრის სახეზე ერთადერთი მინიშნება არ არის. ქვრივის გარდაცვალებას პირველად იგებენ არა თანასოფლელები, არამედ საშობაოდ სოფლად ჩამოსული მწყემსები: მეცხვარეებს“ ისე სციოდათ, რომ შეცივნული ხელები გულზედ გადაეჯვარედინებინათ და უბეში ეწყოთო“, — გვეუბნება ავტორი და სპეტაკ თოვლიან გზაზე მომავალი ამ მწყემსების სურათს ისე აღწერს, თითქოს ქვრივის სულის მისაბარებლად ანგელოზები იყვნენ ზეციდან გარდამოსულნი. განსაკუთრებით შთამბეჭდავი კი არის შვილის საფლავზე ზედ დამკვდარი მიცვალებულის აღწერა: „საფლავზედ გარდიგარდმო გადაქცეულიყო, ფეხები აქეთ პირას მიწაზედ ებჯინა... ორივე ხელი იქით პირას გადაეკიდნა...“ ასეთი იყო ამ დედა-შვილის ამქვეყნიური ჯვარი გიორგის დაბადებიდან ქვრივის აღსასრულამდე — ქრისტეშობიდან ქრისტეშობამდე.

ამდენ ალეგორიებსა და მინიშნებებში განსაკუთრებით საინტერესოა ორაზროვნება ქვრივის სიტყვებისა: იმ შობა ღამეს

„ვინ მეძახის, ვინ!..“ „წადი, წადიო!.. რად იძახის გული?; „რად მეძახი, რად!.. შეჰკივლა ეხლა კი ხმამაღლა ვიღაცას კვნესითა და ვაებითა...“ „კიდევ!.. კიდევ მეძახის!.. დღევანდელ დღეს დაიბადა, ღღევანდელ დღეს!.. მოვდივარ, მოვდივარ!..“

რატომღაც ამ ფრაზებს მხოლოდ ცალმხრივად აღიქვამენ ხოლმე და „ვიღაცაში“ გიორგის გულისხმობენ, ქვრივს კი არცერთხელ არ უხსენებია შვილი. მწერალს ნათქვამის ორაზროვნება საგანგებოდ უნდა ჰქონდეს ჩაფიქრებული და მოთხრობის ამ თავსაც ამიტომ აქვს ერთგვარად იდუმალი სათაური — „ეძ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახის“ — იქნებ მწერალს ისიც უნდა გვაფიქრებინოს, რომ ქვრივს საუკუნეების წინათ სწორედ ამ დღეს განხორციელებული ძე ღვთისა ეძახის, ის მოუწოდებს, თავისთან. „ჩვენ გვესმის და ადვილად გამოსაცნობიც არის, რისთვის გვიხარიან იესო ქრისტეს შობის დღე, გვესმის ეს დიდი დღე რისთვის არის ყოველწლივ სიხარულით და მილოცვით მისაგებებელი, რისთვის არის სადღესასწაულო დიდისა და პატარისათვის. ამ დღეს დაიბადა სიკვდილითა სიკვდილის დამთრგუნველი და ცხოვრების მომნიჭებელი მაცხოვარი ქვეყნისა...“ წერს ილია ერთ-ერთ პუბლიცისტურ წერილში და ალბათ შეცდომას დავუშვებთ თუ ვიტყვით, რომ მწერალმა, რომელსაც ასე ღრმად ესმოდა ამ დღის მნიშვნელობა ადამიანისათვის, ალეგორიული გააზრების გარეშე, სხვათაშორის, დაუკავშირა ამ თარიღს თავისი მხატვრული გმირების შობა და გარდაცვალება.

ამრიგად, ოთარაშვილების ამქვეყნიური ცხოვრება მხოლოდ ზრუნვა იყო მარადიულის მოსაპოვებლად. სამივე მათგანს ღრმად ჰქონდა ეს გაცნობიერებული და ქვეყნიურ ყოფას არ ებღაუჭებოდნენ. ასე განასახიერა მწერალმა მთესვარის იგავში აღწერილი ის ნიადაგი, რომელმაც თესლი კეთილი მიიღო და ამრავლა.

ილია ჭავჭავაძეს თავის ნაწარმოებებში საღმრთო წერილის სხვა სულიერი სწავლებები და იგავური სახეებიც აქვს გამოყენებული, რასაც საფუძვლიანი შესწავლა სჭირდება. ერთგან მწერალი გვარიგებს: ლიტერატურის კითხვისას „სულს ადევნე გულისყური და არა ხორცსაო, აზრსა და არა ამბავსაო, რადგან ამბავი მარტო აზრის გამოსახატავად არის აქ ჩართული და მოგონილიო“. ამიტომ ჩვენ ეს სული, ეს იდეური ჩანაფიქრი უნდა ვეძიოთ, რომლის განხორციელებასაც ემსახურება სხვა ყოველივე — უმცირესი სტილისტური ნიუანსებიდან დაწყებული — სიუჟეტით დამთავრებული.

ქართული მწერლობა ჩვენი ერის ის უდიდესი სულიერი საუნჯეა, რომელიც ჯერ კიდევ არ გვაქვს კარგად შეცნობილი. დიდ წინაპართა შემოქმედებითი ნაღვაწი ჭეშმარიტად გზას გაგვინათებს, თუ მათ ნააზრევს გაურკვევლობის ფარდას ჩამოვაცლით და სწორად ამოვიკითხავთ. როგორც მაცხოვარი ბრძანებს: „არავინ აღანთის სანთელი და დადგის ფარულად... არამედ სასანთლესა ზედა, რათა შემავალნი ჰხედვიდენ ნათელსა.“

ეროვნული
ბიბლიოთეკა

98
13/VIII 97

თბილისი რუსთაველის ქ. № 28

ტელეფონები: მთ. რედაქტორის — 99-51-61, მთ. რედაქტორის მოადგილის 99-91-00, პ/მგ. მდივნის 99-91-00, და განყოფილებების — 99-91-00.

გადაეცა ასაწყობად 20. 03. 96 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 3. 04. 96 წ., ანაწყობის ზომა $7^1/_4$X12, ქაღალდის ფორმატი 70X108. ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 12, პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 15,5. სააღრ.-საგამომცემლო თაბახი 16,8. ტირაჟი 700. შეკვეთა 318. ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობა „სამშობლო". კოსტავას ქ. № 14.

ი 660/2
97-98
ეროვნული ბიბლიოთეკა

ფასი ერთი ლარი და ოცი თეთრი

ინდექსი
76128